

114 /  
1944/2



# მნათობი

1-2

---

თბილისი  
1944



# მნათობი

სრულიად - საქართველოს საშჩეთთა მწერლუბის  
ვაგშირის - ყთვლთვიური სალიცრაცურთ,  
სასელთვნთ და საბოტადთუბრიც - საპოლიციეთ  
ქერნალი

წელიწადი მოცდაპრთა

## 1-2

1986  
1986



19 იანვარი — თებერვალი  
სახე რვაში

44  
საქართველოს  
მუშაკთა კომუნისტური  
პარტია  
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი  
ასათიანი ლევან  
ბაგსახუბრია კონსტანტინე  
ქალაძე კარლო  
ვახაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)  
მოსაშვილი ილო  
ტაბიძე ბალაჭტიონ  
ჭიაჭელი ლეო  
შენგელაია დემან.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI-44წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 15 ფ.  
შევ. № 478. ში 07386. ტირაჟი 4500.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ეორესის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მამაბლის № 13, მწერალთა კავშირი. ტელეფ. 3—04—64.



# ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წლის 28 თებერვალი № 16 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

წითელი არმიის 26-ე წლისთავს ჩვენი ქვეყნის ხალხები გერმანელ ფაშისტთა ჯარებზე საბჭოთა ჯარების ისტორიულ გამარჯვებათა გითარებაში ხედავიან.

ერთ წელზე მეტია, რაც წითელი არმია ძლევამოსილ შეტევას აწარმოებს, ანადგურებს პიტლერულ დამპყრობთა არმიებს და ერეკება მათ საბჭოთა მიწა-წყლიდან. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ წარმატებით ჩაატარა 1942 — 43 წ. ზამთრის კამპანია, მოიგო 1943 წ. ზაფხულის ბრძოლები და გააჩაღა 1943 — 44 წლის ზამთრის ძლევამოსილი შეტევა. ომების ისტორიაში ამ უმაგალითო კამპანიებში წითელმა არმიამ ბრძოლებით გაიარა დასავლეთისაკენ ალავ-ალავ 1.700-მდე კილომეტრი, გასწმინდა მტრისაგან თითქმის 1/4 მის მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყალი.

ახლანდელი ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ ლიკვიდაცია უყო გერმანელთა მძლავრ თავდაცვას დნებრის მთელ მანძილზე ელოზინიდან ზერსონამდე და ამით გააცამტვერა გერმანელთა ვარაუდები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაქიანურებული თავდაცვითი ომის წარმატებითი წარმოებისა.

ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში ჩვენმა მამაცმა ჯარებმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, დაამთავრეს კიევის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს ოლქების განთავისუფლება, გაათავისუფლეს მთელი ეიტომირის ოლქი, თითქმის მთლიანად — როენოს და კიროვოგრაღის ოლქები, ვინიცის, ნიკოლაევის, კამენეც-პოდოლსკის და ვოლინის ოლქების მთელი რიგი რაიონები. წითელი არმიის გადამწყვეტი მოქმედებით ლიკვიდირებულია ცდები გერმანელთა კონტრშემოტევისა ეიტომირის, კრივოი როგის და უმანის რაიონებში. საბჭოთა ჯარებმა გერმანელებს მოუწყეს ახალი სტალინგრადი დნებრის მარჯვენა ნაპირზე, — გარს შემოეგრტყნენ და მოსაკეს კორსუნ-შეჩენკოვსკის რაიონში გერმანელთა ათი დივიზია და ერთი ბრიგადა.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ჯარებმა ლენინგრადთან. ჩვენმა ჯარებმა დაამსხვრიეს მოწინააღმდეგის ხანგრძლივ, ღრმად ეშელონირებულ სიმაგრეთა მძლავრი სისტემა, გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ძლიერი გჯუფი, მთლიანად გაათავისუფლეს ლენინგრადი მტრის ბლოკადისაგან და არტილერიის ბარბაროსული დაშენისაგან. საბჭოთა მეომრები ამთავრებენ ლენინგრადისა და კალინინის ოლქების გაწმენდას ფაშისტი მტარელებისაგან და შევიდნენ საბჭოთა ესტონეთის მიწა-წყალზე.



გაიშალა ოქუბანტების მასობრივი განდევნა საბჭოთა ბელორუსიიდან. თითქმის მთლიანად განთავისუფლებულია გომელისა და პოლესიეს რეგიონები. გილიოვისა და ვიტებსკის ოლქების მთელი რიგი რაიონები. **გ. ი. გ. ლ. ი. მ. ე. ა.**

ახლანდელი ზამთრის არახელსაყრელ პირობებში ჩვენმა ჯარებმა, დასძლიეს რა მტრის მძლავრი თავდაცვითი ზოლები, ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში დამპყრობლებისაგან გასწმინდეს 200 ათასამდე კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი. წითელმა არმიამ მტერს წაართვა 13.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის 82 ქალაქი და 320 სარკინიგზო სადგური. ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლებული არიან ახალი მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი. ჩვენს სამშობლოს დაუბრუნდა დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო და რკინის მადნისა და მარგანეცის უმდიდრესი მარაგის შემცველი სამრეწველო რაიონები. გერმანელებს ხელიდან გამოეცალათ ეს ეკონომიურად დიდმნიშვნელოვანი რაიონები, რომლებსაც ისინი ასე გაშმაგებით ებლაუტებოდნენ.

ახლა უკვე, აღბათ, ყველასათვის ცხადია, რომ პიტლერული გერმანია შეუკავებლად მიდის კატასტროფისაკენ. მართალია, პირობები ომის წარმოებისა უფრო ხელსაყრელია გერმანიისათვის ამ ომში, ვიდრე წინანდელ მსოფლიო ომში, როდესაც იგი დასაწყისიდანვე და ომის დამთავრებამდე ორ ფრონტზე ეწეოდა ბრძოლას. მაგრამ გერმანიისათვის დიდი მინუსია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ამ ომში ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ძველი მეფის რუსეთი წინანდელ ომში. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ ორ ფრონტზე ომობდა ექვსი დიდი სახელმწიფო — საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი, ა. შ. შტატები, იაპონია და იტალია. ახლანდელ ომში გერმანიის მხარეზე გადავიდნენ იტალია და იაპონია, ფაშისტურ ბლოკს შეუერთდა ფინეთი, გადაიბარგა რუმინეთმა, რომელიც წინანდელ ომში გერმანიის წინააღმდეგ ომობდა, ამასთან გერმანიის ძირითადი ძალები დღევანდლამდე მოქმედებენ ერთ ფრონტზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისტორიიდან ცნობილია, რომ გერმანია ყოველთვის იგებდა ომებს, თუ იგი ერთ ფრონტზე იბრძოდა, და, პირიქით, აგებდა ომს, როცა იგი იძულებული იყო ორ ფრონტზე ეომნა. ახლანდელ ომში გერმანიამ, ომობს რა ძირითადი ძალებით ერთ ფრონტზე სრ კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა არამც თუ ვერ შესძლო მოეპოვებინა გამარჯვება, არამედ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მძლავრი დარტყმების შედეგად კატასტროფის პირას აღმოჩნდა დაყენებული. თუ საბჭოთა კავშირმა პირისპირ არათუ გაუძლო გერმანიის სამხედრო მანქანის მოწოლას, არამედ გადამწყვეტი დამარცხებებიც არგუნა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, მით უფრო უიმედო იქნება პიტლერული გერმანიის მდგომარეობა, როცა ამოქმედდებიან ჩვენი მოკავშირეების მთავარი ძალები და პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გაიშლება ყველა მოკავშირე სახელმწიფოს არმიების მძლავრი და ზრდადი შეტევა.

გერმანელი ფაშისტი ავაზაკები ახლა აქეთ-იქით აწყდებიან და კატასტროფიდან გადაარჩენის ზეზებს ეძებენ. ისინი კვლავ ჩაებლაუტნენ „ტოტალურ“ მობილიზაციის ზურგში, თუმცა გერმანიის ადამიანთა რესურსები ამოწურულია. ფაშისტი მმართველები სასოწარკვეთით ცდილობენ ჩამოაგდონ უთანხმოება ანტიპიტლერულ კოალიციის ბანაკში და ამით გააჭიანურონ ომი. პიტლერული დპლომატები მიმორბიან ერთი ნეიტრალური ქვეყნიდან მეორე-

ში, ისწრაფვიან გააბან კავშირი პროპიტლერულ ელემენტებთან, გადაკრავინ სიტყვას ხან ჩვენს სახელმწიფოსთან, ხან ჩვენს მოკავშირეებთან. პიტლერული ზავის შესაძლებლობაზე. პიტლერულთა მთელი ეს ზრახვები ლია და ჩაიფუშება, ვინაიდან ანტიპიტლერულ კოალიციას საფუძვლად ედევს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები მოკავშირეებისა, რომლებმაც ამოცანად დაისახეს გაანადგურონ პიტლერული გერმანია და მისი თანამონაწილენი ევროპაში. ძირითადი ინტერესების სწორედ ეს საერთობა იწვევს სსრ კავშირის, ინგლისისა და ა. შ. შტატების საბრძოლო კავშირის განმტკიცებას ომის მსუფთაობაში.

ახლოვდება ეამი საბოლოო განკითხვისა ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც ჩაიდინეს პიტლერულმა საბჭოთა მიწა-წყალზე და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში.

წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა შესაძლებელი გახდა ჩვენი საბალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი საგმირო საქმეების მეოხებით. საბჭოთა კავშირის მშრომელმა წითელი არმიის მიერ ფრონტებზე ზაფხულში მოპოვებული გამარჯვებანი განამტკიცეს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ზურგში.

ჩვენი მრეწველობის მუშები დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს ვადაძლე ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით, მწყობრში შეკავით ახალი ქარხნები, ბრძმეები და ელექტროსადგურები, განთავისუფლებულ რაიონებში უმაგალითოდ მოკლე ვადებში აღადგენენ ოქუპანტების მიერ დანგრეულ ინდუსტრიას. მუშათა კლასის გმირული ღონისძიებანი კიდევ უფრო ანმტკიცებენ წითელი არმიის სამხედრო-მატერიალურ ბაზას და ამით აახლოებენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების ეამს.

საბჭოთა გლეხობა სახელმწიფოს აძლევს სურსათის არმიისა და ქალაქებისათვის, ჩედლეულს მრეწველობისათვის, თავდადებულ დახმარებას უწევს წითელ არმიას.

საბჭოთა ინტელიგენცია პირდაპირს ხელმძღვანელ დახმარებას უწევს მუშებსა და გლეხებს წარმოების გაშლისა და წითელი არმიის საქიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

განთავისუფლებული რაიონების მშრომელები დღითი-დღე აფართოებენ დახმარებას წითელი არმიისადმი — თავიანთი გამთავისუფლებლისადმი, ფრონტზე მიმავალი ტვირთის საერთო ნაკადში აქცევენ აღდგენის პროცესში მყოფი ქარხნებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

ეკვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით და მთელი თავისი ძალ-ღონის დაძაბვით კვლავაც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განუწყვეტელ ზრდას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება სწრაფი და საბოლოო განადგურებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალ საჯარისო ფორმირებათა შექმნა, რაც მომზადებულია სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობით სამამულო ომში და ჩვენი სახელმწიფოს მთელი ისტორიით, კიდევ უფრო განამტკიცებს წითელ არმიას და ახალ, მებრძოლ ძალებს შემატებს მის რიგებს.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერკანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! ამხანაგო პარტიზანო კაცებო და ქალებო!

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დღე გან-  
მათავისუფლებელ ომში თქვენ ვმარობის სასწაულები გვიჩვენით. წითელმა  
არმიამ მიიღწია გადამწყვეტ მობრუნებას ომში ჩვენდა საყრდენად. და  
ახლა არწმენით აღსაესე მიდის მტერზე. საბოლოო გამარჯვებისაკენ. მტერი  
დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის განად-  
გურებული. პიტლურელი ავაზაკები, ხედავენ რა თავიანთი დაღუპვის მოახ-  
ლოებას, მათ მიერ ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილი ყველა სამინელი ზაროტ-  
მოქმედებისათვის სამაგიეროს მიზღვევის გარდუვალობას, განწირულთა  
გაათორებით გვიწევენ წინააღმდეგობას. ისინი ბრძოლაში აბამენ უკანასკნელ  
ძალებსა და რეზერვებს, ებლაუტებიან თითოეულ მეტრ საბჭოთა მიწას, თი-  
თოეულ ხელსაყრელ ზღუდას.

სწორედ ამიტომ, რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი წარმატებანი, ჩვენ წინანდ-  
ებურადვე ფიზიკად უნდა შევაფასოთ მტრის ძალები, ფრთხილნი უნდა ვი-  
ყოთ, არ დავუშვათ ჩვენს რიგებში ყოყოჩობა, თვითდამშვიდებულობა, უდარ-  
დებლობა. ომების ისტორიაში ჯერ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მტერ-  
ი თვითონ გადავარდნილიყოს უფსკრულში. ომი რომ მოვიგოთ, საჭიროა  
მოწინააღმდეგე მივიყვანოთ უფსკრულთან და შიგ გადავჩეხოთ. მხოლოდ თავი-  
სი ძალით განუხრელად ზრდადს გამანადგურებელ დარტყმებს შეუძლია გას-  
ტეხოს მტრის წინააღმდეგობა და საბოლოო გამარჯვებამდე მიგვაცივანოს. ამი-  
სათვის საჭიროა განეაგრძოთ ჩვენი არმიის მებრძოლების საბრძოლო წვრთნი-  
სა და მეთაურების სამხედრო ოსტატობის სრულყოფა. წითელი არმიის  
მოვალეობაა დღითი-დღე ამაღლოს თავისი სამხედრო ხელოვნება, განუწყ-  
ვეტლად და გულდასმით შეისწავლოს მტრის ტაქტიკა, უნარიანად და დროზე  
გამოიციოს მისი მზაკვრული ხრიკები, მტრის ტაქტიკას დაუპირისპიროს  
ჩვენი უფრო სრულყოფილი ტაქტიკა. საჭიროა, რომ წითელი არმიის მოწინავე  
ნაწილებსა და შენაერთების საბრძოლო გამოცდილება და მიღწევანი მთე-  
ლი ჩვენი ჯარების კეთვნილება გახდეს, რომ მთელმა წითელმა არმიამ,  
ყველა მისმა მებრძოლმა და ოფიცერმა ისწავლოს მტრისათვის დარტყმა  
თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით.

ამანავო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიც-  
რებო და გენერლებო, პარტიზანო კაცებო და ქალებო!

მოგესალმებით და გილოცავთ რა წითელი არმიის 26-ე წლისთავს,  
გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მთელმა რიგითმა და სერჟანტთა შემადგენლობამ — ქვეითებმა, ნაღ-  
მტყორცნელებმა, არტილერიისტებმა, მფრინავებმა, ტანკისტებმა, მესანგრეებმა,  
მეკავშირეებმა, კავალერიისტებმა — განაგრძოს თავისი საბრძოლო ოსტატობის  
დაუღალავად სრულყოფა, სავსებით გამოიყენოს ჩვენი საუცხოო საბრძოლო  
ტექნიკა, ურტყას მტერს, როგორც ურტყამენ მას ჩვენი სახელოვანი გვარ-  
დიელები, ზუსტად შეასრულოს მეთაურთა ბრძანებანი, განამტკიცოს დისცი-  
პლინა და წესრიგი, აამაღლოს ორგანიზებულობა.

2. ყველა სახეობის ჯარების ოფიცრებმა და გენერლებმა სრულყოფნა ჯარე-  
ბის წინამძღოლობის ხელოვნება, მანევრირების ტაქტიკა, ყველა სახეობის  
ჯარების თანამოქმედების საქმე ბრძოლის მსვლელობაში, უფრო გაბედულად  
და ფართოდ დანერგონ საბრძოლო პრაქტიკაში მოწინავე გვარდიული ნაწი-  
ლებისა და შენაერთების გამოცდილება, უმაღლეს საფეხურზე აიყვანონ



შტაბებისა და საჯარისო ზურგის მუშაობის კულტურა, ყოველნაირად გაი-  
ჯობესონ და განავითარონ ჩვენი დახვეწა.

3. მთელმა წითელმა არმიამ ცეცხლისა და მანევრის უნარიანად შეიჭრეთ  
გატეხოს მტრის თავდაცვა მთელ მის სიღრმეზე, არ მისცეს მტერს ამოსუნ-  
თქვის საშუალება, თავის დროზე უყოს ლიკვიდაცია მტრის ცდებს კონტრ-  
იერიშებით შეაჩეროს ჩვენი შეტევა. უნარიანად მოაწყოს მტრის დევნა, არ  
მისცეს მას საშუალება გაიტანოს ტექნიკა, გაბედული მანევრით შემოღაროს  
მტრის ჯარების ფლანგებს, შეიჭრას მის ზურგში, გარს შემოერტყას მოწი-  
ნააღმდეგის ჯარებს, დააჭუცმაცოს ისინი და მოსპოს, თუ იარაღის დაყრატე  
უარს ამბობენ.

4. პარტიზანმა კაცებმა და ჭალებმა გააძლიერონ დახმარება წითელი არმი-  
სადმი, თავს დაესხან მოწინააღმდეგის შტაბებსა და გარნიზონებს, ანადგუ-  
რონ მისი ზურგი, დაანგრიონ მისი კომუნიკაციები და კავშირგაბმულობა,  
წაართვან მას რეზერვების მოყვანის საშუალება.

5. დიად გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომლებიც მოპოვებულთა საბჭოთა  
სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ გასული წლის განმავლობაში,  
დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის 26 წლისთავის დღეს, 18 საათზე, მოს-  
კოვში, ლენინგრადში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, ჯომელში, როსტოვში  
ოცი საარტილერიო ზაღბით სალუტა მისცენ წითელი არმიის მამაც ჯარებს.

- დიდება ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!
- დიდება საბჭოთა იარაღს!
- დიდება ჩვენს გულად პარტიზან კაცებსა და ჭალებს!
- გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!
- გაუმარჯოს ჩვენს საკავშირო კომუნისტურ პარტიას — წითელი არმიის
- დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!
- სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდლი**  
**საბჭოთა კავშირის მარშალი**  
**ი. სტალინი**



პანო მოგზაძე

### 3. ი. ღვინის ხსოვნას

როცა წარსულის ბრძოლით განვლილ დღეებს გავხედავ,  
დავაკვირდები მშობლიური მიწის იარებს —  
ვამბობ: რამდენი განსაცდელი, ყინვა, ქარსეტყვა  
და რაოდენი სისხლის გუბებ გამოვიარეთ!

მღელვარე ზღვაზე არაერთხელ ტალღა მრავალი  
ჩვენს გემს ზეგვიფით გაბრაზებით ეხეთქებოდა,  
მაგრამ, ლელვაში შეუცთომელ გზით მიმავალი,  
გემი გრივალებს გოლიათურ მკერდით ხვდებოდა.

ვერ გვაშინებდა ჩვენ ქარსიცხე, წვიმა, აედარი,  
ვერც ბრძოლის ველზე გულბოროტი მტრის შემართება,  
რადგან შენ იყავ წინამძღოლი, ჩვენი სარდალუ  
და შენი შუქი მოელვარე გზას გვინათებდა.

ახლაც, როდესაც, ვით ურჩხული, აბჯარასხმული,  
აღსდგა ქვესკნელის გველვეშაპი ჩვენს დასანთქმელად —  
შენს დროშის ირგვლივ ფოლადივით ვართ დარაზმული  
ცოფიან მგლებს შხამიანი სისხლის საღვრელად.

არ გვეშინია ჩვენ ქარიშხლის მრისხანე ქროლის,  
წარბს ვერ შეგვიხრის მტერთა ურდო მოზღვავებული,  
ვიდრემდის გვიძღვის შენი დიდი თანამებრძოლის  
მტკიცე მარჯვენა, მტერზე მუდამ გამარჯვებული.

და შენის ხელით გაჭედული ხალხთა დიდება —  
მტერს ანადგურებს — ჩვენი ჯარი ლეგენდარული.  
აჰა, საცაა ცეცხლის ტალღად ამობრწყინდება  
მზე — ჩვენი ხალხის გამარჯვების და სიზარულის!

## ახალნდის ლამე

ფურცლები საფრონტო დღიურიდან

— მართლა, კინალამ დამეიწყა, — წამოიძახა მოხუცმა მეჯინებემ — წელან იმ ლეიტენანტის ამბავი ვითხარით და იმისი ქაღალდები აღარ გამხსენებია. როცა ის ბიჭი დაჭრილი, სიცხიანი წაიყვანეს, ქოხში რაღაც ფურცლები დარჩენოდა. მეზობელთან მეც იმ დროს შევედი, დავინახე თუ არა, დაეტაცე ხელი და უბეში ჩავიდე. სახელსა და გვარს მაინც ვაეიგებ-მეთქი, ეგებ წერილიც იყოს და გავზავნას მოვახერხებ-მეთქი, მტრას ზურგში კი არა, უარეს ჯოჯოხეთში რომ მოვხვედრილიყავ.

ერთხანს ის ფურცლები მიმავიწყდა. ტყეში გაქცევის შემდეგ, როცა სული მოვითქვით, იარაღი ვიშოვნეთ, პარტიზანულად გამოვეწყეთ. — მაშინ-ღა გამახსენდა და წაეთხვა დავაპირე. ტყეში ცეცხლის გარშემო ვისხედით — საღაც საქმელი იხარშებოდა. გავშალე საგულდაგულოდ, დაეხედე, მაგრამ რას წაიკითხავ — უცნობ ენაზე იყო ნაწერი.

— აბა, ბიჭებო, ეგებ თქვენ მაინც მიხედეთ-მეთქი, — გადავაწოდე ქაღალდი მეზობლად მჯდომარეს. იმან რომ ვერაფერი გაუგო, სხვას გადასცა და ასე ჩამოიარა ყველას ხელში ქაღალდმა, ვიდრე ისევე მე გადმომცემდნენ.

— ბუხარაში სწერენ ასეო, — სთქვა ერთმა, რომელიც შუა აზიაში ნამყოფი იყო, — იქაურ მეჩეთზე მინახავს მაგნაირი ხელწერაო.

მეორემა სთქვა, ტაშკენტიდან იქნებოდა მაგის დამწერიო, მესამემ ისეთი რაღაც ქვეყანა ახსენა, რომ არც მე გამეგონა და არც მეონი თითონ იცოდა საით უნდა ყოფილიყო ის მხარე. მერე ის იყო ჯამები მოიტანეს, ცხელი საქმელი ჩამოარიგეს და ლაპარაკიც შეწყვიტეთ. დარჩა ეს ნაწერი რაღაც გამოცანასავით. ძალიან კი მაინტერესებდა: იმ ბიჭის სიკვდილმა ისე დაგეწყვიტა გული, ისე ჩაიბეჭდა გონებაში იმისი სახე, რომ ის ფურცლები აღარ მასვენებდნენ. ამოვიღებდი, დაეხედავდი იმ უცნაურ ასოებს, მერე იმ ბიჭის სახე დამიდგებოდა თვალწინ. იმისი ვაჟკაცობა გამახსენდებოდა და თითქოს ბუნდოვანად მესმოდა კიდევ იდუმალი აზრი ამ გაუგებარი სტრიქონებისა. ეს ფურცლი მხოლოდ, თორემ ისე ნამდვილად აბა რას მივხედებოდი!

მერე ის იყო ერთხანს მტერმა მოგვიწყვიტა. პური რომ გამოგველია — მინდორში, ახრებულ სოფლის ბოლოს, კართოფლის ხელუხლებელი ბურტა მოვანხეთ და იმით გავიშართეთ ხელი. თამბაქოსა და ქაღალდს კი ველარა მოუხერხეთ-რა. ხავსის მოწევა დაიწყეს ბიჭებმა. მერე თივაში და იონჯაში რომ გამხმარი ყვავილებია, იმის მოწევაც სცადეს. რა მოსაწევი იქნებოდა — ვეება „თხის ფეხს“ გაახვევდი, მოქაჩავდი და კვამლს რომ ჩაისუნთქავდი — თივის სუნი დაგკრავდა და დაგბნედავდა. უარესად მოგანატრებდა

თამბაქოს. აღარც ქალაღდი იყო, მერე ერთმა დედაბერმა ცოტა თამბაქო მოგვიტანა, მაგრამ ხელი არ გამიხმებოდა, რომ ის ქალაღდი დამეჩუქებინა. ჯერ მიფიქრია გუშაგად ყოფნის დროს, იმ ბიჭის ბედზე, იმხანაში ვერც ვიკითხებოდი, რომელიც არ ვიცოდი საით იყო. ნეტავი იმას, იმათ ქვეყანას, სადაც იმისთანა ბიჭებსა ზრდიან. ხან რანაირად წარმოვიდგინე ის მხარე, ხან რანაირად. ერთი ნახეთ, იქნება თქვენ მაინც გაივოთ რა სწერია, ვინ არი, იქნება თქვენებურიც იყო ბიჭებო!

— განა აქამდე შეგერჩა ის ქალაღდები? — შევეკითხე მე.

— არ გუებნებით შემრჩა-მეთქი? ახლავე მოგიტანთ.

და მოხუცი მეჯინიბე თავის საბარგო ჩანთის მოსატანად წავიდა, რაიც, სოფლის თავში, ერთ-ერთ ქობში დაეტოვებინა.

— ქართული იქნება ყაცო, — დაიძახა ლაზარემ, როცა მართონი დავრჩით.

ფრონტზე ხანგრძლივად ყოფნამ ლაზარეს ხასიათი ვერ გამოსცვალა. ის ისეთსავე მიამიტად დარჩა, როგორიც აღრე იყო. სულ ფიქრობდა რომ დღეს თუ არა, ხვალ, თუ გაჭირდა ზეგ, თუ არა და შემდეგ კვირას მაინც შეხედებოდა თავის მეზობლებს, ომში წამოსულ ქართლებს, აქ ფრონტზე, სმოლენსკის ოლქის უღრანებში. რატომღაც მუდამ იმათ ელოდა. ყოველ პოლკს, რომელიც სადმე შეგვეყვებოდა, საგულდაგულოდ ჩამოუვლიდა, დაათვალიერებდა, გზაზე მიმავლებს ქართულად შეეხმიანებოდა. ახლაც იმითომ აფიქრა, ის ბიჭი უეჭველად ქართველი იქნებოდაო.

ამასობაში მოხუცი კოსტირინიც დაბრუნდა. ქალაღდები მოიტანა.

— აი, ეს სურათიც იმ ქალაღდებში იყო, — სთქვა მან და ყველაფერი ერთად გადმომაწოდა.

არ უმტყუნა ამხელად ლაზარეს თავისმა მუდამ მაცდურმა გემანმა და ამაო შოლოღანმა. დავხედე სურათს და უცებ შევკრთი: თითქო რაღაც ნაცნობი დავინახე მასზე, ჯერ ვერ მივხვდი რა იყო ეს, დავაკვირდი გატყეველ სურათს: მწვანე მოღზე ახალგაზრდა ყმაწვილი იდგა, კოსტუმში გამოწყობილი; მის ფეხთით იჯდა ახალგაზრდა ქალი, აბრეშუმის კაბით, ზოლო ფონზე, შორს, ფიქრის გორა მოსჩანდა და უფრო შორს ძალზე მკრთალი საღუეტი მთაწმინდისა, რომელიც ბერსბექტივაში თანდათან უფრო მკრთალდებოდა. აი, ეს იყო ნაცნობი ამ სურათზე. ეტყობოდა ის განაფხულზე გადაუღიათ, ზოგადად რომ თავდება — სადღაც იმ მაღლობზე. თბილისური განაფხული იგრძნობოდა სურათზე. მოსჩანდა ჩრდილებით დაჭრელებული ხის ტანი და ის ნათელი — ჩრდილები, რომელთა გადმოცემაც კი ფოტოს ობიექტივს შეუძლია. მწვანე სუფრასავით გაფენილიყო ბალახი და ყვავილებიც ისე სჩანდნენ, როგორც მათ ძველებურ სუფრაზე ამოქარგავდნენ ზოღმე. უცნობი ქალ-ვაჟის მღიმიარე სახეები და, ყველაფერი ეს, გაგონებდა, რომ ამ აოხრებულ სოფელს გარდა იყო გადარჩენილი ქვეყანა, რომ ამ ომის გარდა იყო მშვიდობა, ამ სიკვდილის გარდა იყო, იფურჩქნებოდა და კვლავაც აყვავდებოდა სიცოცხლე.

იმ ზამთარში ტბილი იყო ამაზე ფიქრი, კარგი იყო ამაზე ოცნება.

ბირევი ფურცლები არა სჩანდა. მე ხმამაღლა ვკითხულობდი, ლაზარე ისმენდა და ჩემად ცრემლებს იწმენდა. მოხუცი კოსტირინიც ისმენდა და თუმცა ვერაფერს იგებდა, იმასაც ცრემლი მორეოდა თვალებში.

„...მარცხენა ხელი საშინლად დამძიმდა, თითქოს წისქვილის ქვა დამკიდესო. ნუ იღარდებ, ნუ იფიქრებ, რომ ტანჯვითა ვკვდები. აი, ახლაც მსულს შევეზე ბინტებით სქლად შეხვეულ ხელს და ტყვილა აღარ მიტრიახვამს, რამ ეტყობა ხელს სიცოცხლე წართმევია. დაიწყო ვანგრენა. ამ პირობებში, როცა ეჭიმი ახლოს არ არის, ეს ნიშნავს სიკვდილს. მე არ ვიცი მოვა თუ არა ეს ფურცლები შენამდე, მაგრამ მაინც ვწერ, ვგრძნობ თითქოს გესაუბრები. მენატრები ახლა, სიკვდილის წინ. როცა დილით მამლები ყავიან და თენდება, ბურანში მომჩვენება ხოლმე, რომ სახლში ვარ.

ხელნაწერს რამდენიმე ფურცელი აკლდა. შემდეგ ეტყობოდა მოთხრობილი/იყო ბრძოლის ამბავი, რომელიც ასე გრძელდებოდა:

„...როცა ფანჯრიდან გამოვიხედე, დავინახე: რომ მტრის შეავტომატენი უკვე ქუჩაში შემოსულიყვნენ. გზა, რომელიც სოფლის თავში უხვევდა და შემდეგ ტყეში შედიოდა, უკვე ჩაეკეტნათ. მტრის ტანკი იდგა გზაზე. გელარც ჩვენი ნაღმსატყორცნები დავინახე. მამსადავმე ჩვენი მისია დამთავრებულა—მეტეი ვიფიქრე: ყველანი წავიდნენ, დაჭრილები წაიყვანეს. ტყეში ახლა ისინი უჩინარნი გახდა. ჩვენც უნდა გვეცადნა წასვლა. მაგრამ საით? აი, უკვე ეზოში არიან შეავტომატენი. ქობადან ვიწრო დერეფნის მარცხენა კარი ქუჩაზე გადიოდა, მარჯვენა — ბოსელსა და საეუბნაო სტრიდა და უკანა უბოს უერთდებოდა ბოსტანთან, ხოლო ბოსტნიდან ორასი მეტრის მოშორებით ტყე იწყებოდა. ბიტებს ეუბრძანე მარჯვენა კარით გახულიყვნენ, და როცა სამივენი ფაცი-ფუსით გაცივდნენ გარეთ, მეც გავყვევი. როცა კარი გავადე, მარცხენა მხრიდან ფიცრის კარები გერმანელმა შეავტომატემ შემოადო. ყი არ შემოადო, შემოანგრია და სიბნელეში უცებ რომ ვერაფერი გაარჩია—ერთი წუთით შედგა, თითქოს შეყოყმანდაო. ვერ შემამჩნია. მე კი როგორც შემეფეთა თვალბში—ავტომატი პირდაპირ დაეფიქნენ და მსხლეტზე დაეწექ. საკმაოდ გრძელა ჯერის გასროლა მომიხდა. არც ვიცი რამდენჯერ გავარდა. მგონი მეშვიდეთ თუ მერვედაც. შემოსული ზღართანით დაეცა ჩემს ფეხებთან. მეც იმავე წამს ბოსლისაკენ გავქანდი. ცდა აღარ შეიძლებოდა სათქმელად გრძელია ეს ამბავი, ისე კი ყველაფერი თვალის დახამხამების უმაღლობდა. უკვე უკანა ეზოში ვიყავი, ტყეც ახლო იყო და ბიტები კარებთან მიციდიდნენ. ის იყო უნდა წაქსულიყავი, როცა ხანგრძლივი კენესა გავაგონე. პატარა ფერდობზე, თხრილთან, პირველი ასეულის სანინსტრუქტორი ევგენი ლიაშენკო ეგდო. დაჭრილი იყო, წელში ნაღმის ნალეწი მოხვედროდა, ხერხემალი დაეზიანებანა, ადგომა აღარ შეეძლო და ისე უხერხულად დაეცმულიყო, რომ ტანი მადლობზე დარჩენოდა და თავი თხრილისაკენ იყო გადაშეებული: წამოჯდომას ცდილობდა, მაგრამ არ შეეძლო, წვალობდა ამოდ. იმავე წუთს ვიცანი, თუმცა სისხლში ისე გასერილიყო, რომ მკლავზე წითელი ჯვარიც აღარ უჩანდა, სისხლის მუქი ლაქა მოსდებოდა მთელ ტანსაცმელზე; იმანაც მიცნო, მთელი ძალის უკანასკნელი დაჭიმვით წამოიწია და დამიძახა: — ძმობილო, ქართველო, მესროლე შენი ქირიმი! იმათ ხელში ნუ ჩამავდები!

მტრის სალდათების ყაყანი უკვე ახლოს ასმოდა.

— მგონი მოდიან... ნუ დამტოვებ, მესროლე!

მე ავტომატი მოვიხსენი და როცა დაჭრილმა ჩემი მოძრაობა შეამჩნია, არ ვიცი მადლობის თვალათ, განცვიფრებით თუ შესფოთებით გადმოხედა.

მე კი ავტომატი გადმოვიღე მხრიდან, მებრძოლს გადავეცი რომ იიჯოს/ხელი არ შეეშალა, მერე დაჭრილს ხელი მოვხვიე, ბავშვივით ატყეფე მას ხელ-გაქეცი.

მტრის სალდათებმა ეს რომ შეამჩნიეს, ისევ ასტეხეს სროლა. მაგრამ მე იმედი მქონდა ვასვლას, რადგან ვიცოდი, რომ გერმანელი მეავტომატენი ორას მეტრზე არასოდეს არ უმიზნებდნენ. ისინი ხშირ ცეცხლს აჩენენ, რომ ალაღბედღებ მოვახვედრონ, არა და მორალურად მიინც დაგვაბნონ. სულ ახლოს, ყურის ძირში, წიოდნენ და ზუზუნებდნენ ტყვიები. ტყემდე არაფერი საფარი არ იყო. იძულებული ვავხდი ჩაეწოლილიყავი, მაგრამ აღარც დარჩენა შეიძლებოდა. ბიჭებმა სროლით უბასუხეს. გერმანელები თითქოს შეაფერხეს, მაგრამ იმათ ხალხი თანდითან ემატებოდა და ეტყობოდათ, გადაწყვეტილი ჰქონდათ არაფრის გულისთვის ტყემდე არ მივეშვით. ხოხვით უნდა წავსულიყავით, მაგრამ ამ დაჭრილისთვის რა გვექნა! უცებ მოვიფიქრე. მოვიხსენიეთ სამივემ ქამრები, ილაიაში ჩავაბით, გავბოხდით წინ და გავათრიეთ. აღარა ჰქონდა დასასრული ამ ორას მეტრს, თითქოს ორასი კილომეტრიაო. თითქოს სადღაც შორს მიდიხარ, სადაც ვერ მიხვალ სიცოცხლის ბოლომდე. რამდენჯერაც თავი წამოვწიე და ტყეს შევხედე, მანძილი თითქო არა მცირდებოდა, ამავე დროს თითქოს ძალიან ჩქარაც მივდიოდი და მიინც ხანდისხან მეგონა, რომ იმ ტყემდე მართლაც ვერასოდეს ვერ მივადგე.

აი, ერთხელ კიდევ ავიხედე და დავინახე, რომ მივსულვარ. უზარმაზარი მუხა იდგა, იმხელა, რომ იმის ჩრდილში ასი კაცისათვის სუფრა გაიშლებოდა. ერთი დაჭიმვა ძალღონისა და ჩვენ ამ ზეს ამოვეფარენით.

ტყე ძალზე ხშირა იყო. მეავტომატეებმა შიგ ვერ შემოხედეს. მაგრამ აღარც თავი დავგანებეს. — ტყეში: სოლივით ნამჯობი იყო შეჭრილი, — იმ მინდორს შემოპყვნენ და გრძელი ჯერებით ტყის ვარცხნა დაიწყეს.

მაგრამ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.

ტყეში იმდენ ხანს შევისვენეთ, რამდენიც სულის მოსათქმელად აყო საჭირო. ჩამინებულყო ტყე, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარას ეტყობოდა. მართო ტყვიები დაზუზუნებდნენ ჰაერში და ჩვენი დაჭრილი რომ ამოიკნენსებდა ხოლმე, ესღა განიშნებდა, რომ აქ ირგვლივ ცოცხალი არსებანი არიან. სიკვდილია იყო მოწმე სიცოცხლის არსებობასა. ლიაშენკოს ტრილობები შევეუხვიეთ, ქამრები შემოვხსენით, საკაცზე დავაწვინეთ და წავიყვანეთ.

ტყის გვიანმა მოოქროვილმა შემოდგომამ და ცოცხალმა ჰაერმა ჩქარა გაფანტა ჩვენი ფაოგნება. გვიმრის შამხნარი მუხლებამდე გაცემდა.

და ის იყო ჩვენებსაც წავაწყდით. ტყეში იყვნენ, შორს არ წასულიყვნენ. იმავე ღამეს დავესხით თავს სოფელს, უკანვე დაეაბრუნეთ ისე, რომ ერთი გერმანელიც ცოცხალი აღარ წასულა.

ასე გადმოვიდა სოფელი მტრის ხელიდან ისევ ჩვენს ხელში. ერთი ღამე გაათია აქ მტერმა და დილით ისევ დაებრუნდით. დამტვრეული იარაღი, დაზოცილი ხალხი, გამოფატრული ცხენები ქუჩებზე ეყარა. ჰაერში ჟივილხივით ქილყვაევი ტრიალებდა. ზორბა ცხენების ლეშს ყორნები დამფარფატებდნენ. ზოგი მათგანი ფრთებზამოშვებულნი ისხდნენ აყირავებულ ოთხთვალაზე და უკვე უმოქმედო ზარბაზნის ლაფეტზე. ზოგი კი უკვე ლეშსაც წიქნიდა. ვილაცამ ავტომატი გადმოიღო მხრიდან და ერთი გრძელი ჯერით ფრინველები დააფრთხო.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ისეთი აღარაფერი შემხვედრია, რომ საინტერესო ყოფილიყო, ვიდრე ერთ დღეს დაზვერვაზე არაფერი უნდა დაზვერვაზე სხვებთან ერთად ერთი ყარაიელი თათარი, გიულანაშვილი და ვი, წაიყვანე. მინდორში და ცხვარში იყო გაზრდილი. თბილისშიც იყო ნამყოფი. ხან ყველი ჩამოჰქონდა თურმე, ხან ერბო, ხანაც ბატკნებსაც მოერეებოდა სააღდგომოდ და საპირველმისოდ. ცხენბოლოად ავირჩიე. კაცის ყადრიც იცოდა და პირუტყვისაც. მხედველობა კარგი ჰქონდა. ბნელ ღამეში ყველაფერს არჩევდა. ისე წამოეპარებოდა კაცს ჩრდილივით, უხმოდ და იღუმალად რომ ვერაფერს გაუგებდი. იმ ღამესაც კატასავით ფრთხილად მიეპარა გუშაგს, დაეტაკა და დაახრჩო. მე პირდაპირ შევალე ოთახის კარი, შიგ ოფიცრები ისხდნენ და ვახშობდნენ, მთვრალეები იყვნენ. ალბათ ძალიან მოულოდნელი იყო ჩემი გამოჩენა. ოთახში მყოფთ ჯერ მათზე მიღერებულ ავტომატის ლულას შეხედეს, მერე თვალებში შემომჩივრდნენ და შეტბნენ, დაიბნენ. ერთმა თვალის მოიფშენიბა, სიზმარში ხომ არა ვარო, მერემ ნაძალადევად გამიღიმა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო და მომაწოდა. თანაც შევაბინე, რომ მეორე ხელი ლევოლვერისაკენ წაიღო და ის იყო ამოძარო კიდევაც ბუდიდან, რომ ნახევარი წამით დავასწარი: ავტომატის გრძელი ჯერი დაეყარე მას, ნახევარი წრისებურად მოვატარე ლულა ოთახში. ისინი ჩაიქცნენ მაგიდასთან, მგონი ვიღაცამ ისროლა კიდევ. ისევ უკანვე გამოვკარდი.

აირია ყველაფერი. ასტყდა განგაში. ეზოში მამხალის ფერმიხდილი, ლურჯ-მომწვანო სინათლე დაიფრქვა. ირგვლივ დღესავით განათლდა. ისმოდა ჩქარი ფეხის ხმა სიბნელეში, ყვირილი. ყოველ ბნელ კუთხეს ტყვიები მიყარეს, ეზოში საიდგანდაც დატვირთული ფორნები შემოდიოდნენ. გამყოლებმა ის თუ იფიქრეს, რომ ალბათ მთელი პოლკი დაესხა სოფელსაო. იმ მამხალის შუქზე უცებ მოვკარ თვალი, რომ გამყოლები საწევ ღვედებსა სჭირდნენ და ფორნების ცხენებზე სხდებოდნენ გასაქცევად. ვისარგებლე მტრის დაბნეულობით და ბედნიერად გამოვსხლტით პატრულთა შორის.

სოფელში ისევ დიდხანს ისმოდა სროლა.

იმ ჯოჯოხეთს გადავფრჩი, მაგრამ შემდეგ დავიჭერი, ავტომატის ბრმა ჯერით, მტრის ზურგში, პატარა სოფელ პოლინოშევოში. ეს იყო უაზრო შემთხვევა. მცხოვრებლებმა შემთფარეს, წამომიყვანეს კიდევაც იქიდან. მაგრამ მგონი გვიანდაა, წერა აღარ შემიძლიან. დანარჩენს თუ მოვახერხებ მერე დაწერა.

დასასრული ამ ამბისა ჩვენ უკვე ვიცოდით მოხუცის ნამბობიდან. ვიცოდით ისიც, რომ ლეიტენანტს აღარ დასცალდა თავისი დღიური გაეგრძელებინა.

მან ვერ მოასწრო სახელის მოწერაც კი..

ჩვენ წაითხულის შთაბეჭდილებით ვიყავით აღსაფასებელი, ფიქვის მორზე ვისხედით და თამბაქოს ვაბოლებდით. ირგვლივ ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ. მეავტომატეთა ახალი ცვლა თავდაცვის წინა კედელზე წასასვლელად ემზადებოდა. მღუმარედ შეეცქეროდით იმათ მოძრაობას. უფროსი სერჟანტი ეზოში იღგა და მებრძოლებს აჩქარებდა, ამზადებდა, იარაღს უსინჯავდა. ბიჭები უკვე მიდოდნენ. აი, უკვე ყველანი ფერლომში ჩაეშენენ, მერე მალ-ლომზე ავიდნენ და ისევ გამოჩნდნენ. მაღლობზე, როგორც სანთლები სახა-

ტეზე, ნაძვები ისე ჩამწკრივებულყვენ და ამ ხეებში მევეტომბატეების მოძრაივი ფიგურები ხან გამოჩნდებოდნენ და ხან ისევ ხეებს მოკფრეხულდნენ ხოლმე.

გიორგი ნატროშვილი

ასე წყნარად მიდიოდა ის დღე, როცა უცებ კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა.

არსეთის გზებიც იქაური მდინარეებივით გრძელნი და თვალუწვდენელნი არიან. ესევე უბოლოო სჩანდა ეს ასფალტირებული გზატკეცილიც. მხოლოდ სახელზე თუ შეატყობდი, რომ ის მოსკოვში იწყებოდა და სადღაც შორს, ძალიან შორს — ვარშავაში თავდებოდა.

ის გზა ხან უღრან ტყეებზე გადის, ხან ტრიალ მინდვრებზე, ხან ქალაქებზე.

სამხედრო შოფერმა მინდორი მოითავა და მანქანა ტყეში შეგრიალდა.

მერე რაა, რომ ეს ტყე ასე უკაცურია და ეს ცხრაშეტი წლის ბიჭი თითონაც მარტოა. საახალწლო საჩუქრებით, სურსათით დატვირთულ მანქანას მიიქანებს გზაზე, მოწინავე ხაზზე მიდის, მეომრებთან. ეს აღარ ვიცი რატომ იყო მარტო: ამხანაგებს ჩამორჩა, თუ სხვა რამ მიზეზი იყო. ფაქტი ის იყო, რომ ის მარტოდ-მარტო მიდიოდა.

ის ჩვენ პოლკში მოდიოდა. სამხედრო ნაწილები მაშინ ისე ღრმად შედიოდნენ სმოლენსკინის უღრანებში, რომ მანქანებს უჭირდებოდათ მიგნება. მაგრამ ახლა ამ გზაზე პოლკის ნაბრძოლი და ნაკვალევი ძლიერ ნათლად სჩანდა. ამ დღეებში ჩვენებმა აქ მტრის მოტორიზებული ბრიგადა გაიანადგურეს და გზა სავესე იყო დამტყრეული მანქანებით.

მტრის აფარებელი სალდათი ტყეში გაიფანტა.

მიიკროლებდა მიგლევეი მანქანას და წამდაუწყუმ დამტყრეულ მანქანებს რომ ხედავდა — თითონაც, უნებურად, ამ განვლილ ბრძოლაზე ფიქრობდა.

ტყეში გაიფანტნენ, მაგრამ სად უნდა წავადნენ ამ ჭახუხა სიცივეში. რამდენხანს გასძლებენ, სულ ბევრი, ერთი დღე გაუძლონ. მეტს რა გააჩერებთ იმათ ჩვენს ზურგში, ისე, რომ სოფელში არ შევიდნენ?

ამ ფიქრებში გართული იყო მიგლევეა და თან გზას აკვირდებოდა, რომელიც ყუმბარებისგან ალაგ-ალაგ დაზრამული იყო.

დღე იწურებოდა. უცებ მან იგრძნო, რომ მოტორის მექანიზმში ყველაფერი თავის რიგზე არ იყო. ჩვეულებრივ ნაცნობ რიტმულ ბუბუნთან ერთად მოტორის ზმაქრში სამი-ოთხი რაღაც უცხო ხმა ისმოდა, რაღაც ხიხინი, თითქო ვიშებს ყელში წაუქირეს და ახრჩობენო. ის ფიქრში გართული იყო და ამას უფრო ალღოთი და გუშანით მიხვდა, ისე როგორც ბნელში მხედარი მიხვდება ხოლმე, რომ მის ცხენს ფეხა შეეშალა.

მანქანა მალე სულ შეჩერდა. ის ჩამოხტა კაბინიდან და გასინჯვა დაიწყო.

ის იყო სადამოვდებოდა.

მიგლევეი დიდხანს შინჯავდა მანქანას. პირველად ვერც მახვდა რაში იყო საკმე. როცა მტკივნეული ადგილი იპოვნა — მისი შეკეთება დაიწყო.

საჩუქე იყო ირგვლივ.

და უცებ მან თითქოს საიდანღაც ნელი სთებრის ხმა გაიგონა. აიხედა, არა-  
ვინ სჩანდა. იფიქრა ალბათ მომეჩვენეო და კვლავ თავის საქმეს დაეხედა.

ახლა კი სღარაფერს მიაქცია ყურადღება. და უცებთ მანქანის მოტორთან  
დაიოქილმა, თოვლში ნაბიჯების ხშირი ხრამუნის გაიგონა. რაღაც გაურკვე-  
ველი ხმებიც მოესმა და ინსტინქტურად აიხედა: ტყვიან ხუთმეტამდე ყაცა  
პირდაპირ მისკენ მორბოდნენ.

პირველ წუთში ვერაფერი გაიგო რაში იყო საქმე. მერე უცებ იცნო, რომ  
ეს გერმანელები იყვნენ. ჯერ არ ჩამოხსენებულყო. ისე მოულოდნელი  
იყო ყველაფერი ეს, რომ სიზმარსა ჰგავდა და უცებ ვერაფერი მოიფიქრა.

გერმანელები კი კვლავ მორბოდნენ, ყვიროდნენ.  
მიგლევი უცებთ წამოხტა. კაბინიდან ხელის გრანატა გადმოიღო, გადა-  
ატრიალა, წითელ სიგნალზე დააყენა და ის იყო ასწია მკლავი, რომ ესრო-  
ლა, დაინახა — სალდათებს, რომლებიც უკვე თავზე წამოსდგომოდნენ, ყვე-  
ლას მალა აეწიათ ხელები.

მხოლოდ ხელში არაფერი არ ეტყირათ.  
მიხვდა უსიტყვოდ, უთქმელად გაიგო, რომ ესენი ერთს-ღა ნატრობდნენ:  
ტყვეობა უნდოდათ. დალაპარაკება სცადა, არცერთმა რუსული ენა არ  
იცოდა.

მაგრამ ენის ცოდნა რა ბედენაა! თვალებით, ხელებით, სიცივისაგან ჩახ-  
ლეჩილი ზმუილით ევედრებოდნენ: წაგვიყვანეო, ტყვედ მიგვიღეო.

მიხვდა და ანიშნა, ადიო მანქანაზეო.  
გზა წინ კიდევ გრძელი იყო. აღმართებში სალდათები ხტებოდნენ, ბორბ-  
ლები რომ ცურვას დაიწყებდნენ, მანქანა რომ შეფერხდებოდა, ტყვეები ძა-  
ლიან გულხმვიერად ირჯებოდნენ თურმე.

და აი, როცა პოლკში მოვიდნენ და შოფერმა თხუთმეტი ტყვე მოიყვანა,  
აბა მაშინ გაოცდნენ ბიჭები. არც მწვერავი იყო მიგლევი, მგონი ერთხელაც  
არ ყოფილა მწყობრში და უცებ ასე გაურჯელად, უომრად, თოფის გაუსრო-  
ლელად ამდენი სალდათები დაატყვევა.

მებრძოლები მანქანის ირგვლივ შეჯგუფდნენ, ყველანი ტყვეებს ათეა-  
ლიერებდნენ. შოფერმა შეკრებილთ მიმართა:

— ამათ ენაზე ყიყინი ზის შეუძლია ბიჭებო?  
— მე შემიძლია — წამოიძახა ერთმა.  
— ერთი ჰკითხე, რისთვის მოეთრეოდნენ ეს ოხრები რუსეთში? რისთვის  
მოდოდნენ? განა მანქანას მავათ სათრეველ სცალიან? მავათი დედა ასე და  
ისე...

ტყვეებმა მიგლევის ბოლო სიტყვების აზრი უთარგმნელადაც გააგეს და  
მანაც გაუღიმეს მას. თარჯიმანმა ხელი ჩაიქნია. მერე ის ტყვეები ზურგში  
გაგზავნეს.

გაპარტახებულ სოფელში, რომელიც ეს-ესაა დავტოვეთ, მოხუცმა კოსტი-  
რინმა საღლაც მოსძებნა ახალი ხამუტები და მოსართავები. ის იყო მარხილე-  
ბი შეაბა და, ზამელნიჩიეც დავტოვეთ. წინ წავედით. ახლა ის, როგორც გამ-  
ყოლი, წინ მიაქროლებდა მარხილს და ჩვენც უკან მივღევდით. წინ ერთფე-



როგან თოვლიან მინდორზე ვიწრო გზა გაწოლილიყო, ის ალავ ყვითლად და ალავ ოდნავ ტალახისფერ ზოლივით მისდევდა დათოვლილ კვირვებულ მინდორზე ვიყავით და ამიტომ ვჭქარობდით კიდევ. ოფლშიც უწყინებელ ცხენებს ორთქლი ასდიოდათ. შორი თოვლიანი სივრცე მომხიბლავი იდუმალეებით გაშლილიყო და პორიზონტი ყველა მხარეს თავებოდა ტყეებით და სოფლებით, რომლებიც ოდნავ, სულ ოდნავ-და მოსჩანდნენ.

შორს, ტყის ახლო, ალბათ სხვა გზა თუ იყო, რომ ცხენოსანი პატრულები მენებით მიდოდნენ.

ვჭქარობდით, მაინც არ გავვიღიმა ბედმა იმხელად. ჰაერში ჯერ ყრუ ლმობილი მოისმა და მერე ორ ფუხელაყიანი მშვერავეი თვათმფრინაეიც გამოჩნდა, რამელიც არტილერიის ცეცხლს აკორექტირებს, გადაგვიქროლა თავზე და უშალ დაიკარგა ისევ.

— მგონი შეგვნიშნა, — მითხრა ლაზარემ.

თითქმის დაგვაიწყდა კიდევ ის თვითმფრინაევი, როცა მტრის შორსმსროლელმა არტილერიამ გზის ბომბარდირება დააწყო. ცხადია ეს იმ მშვერავეის წყალობა იყო. გამტყნარებულ ჰაერში მკაფიოდ ისმოდა შრიალი ყუმბარისა. ის ჯერ სადღაც უკან დეცა, მერე წინ. მერე ცეცხლის წრე უფრო კონცენტრირებული გახდა, სულ ახლოს ღზეცა ყუმბარა და ინსტინქტურად ჩავიკეცეთ.

როცა ავიხედეთ, უცებ შევაძინეთ: ჩვენს წინ რომ მარხილი იყო — გამქრალიყო სადღაც, დაკარგულიყო, წუთით აღრე კი აქ იყო, ჩვენს თვალწინ. მშვენიერად ვხედავდით ცხენსაც და კაცსაც.

— კაცო, ეგებ წინ წავიდა! — უკანასკნელ იმედს-ლა ეჭიდება ლაზარე.

— ეგებ მართლა გააქროლა წინ! — ვეუბნები მეც, მაგრამ არა მჯერა ეს გული რაღაც ცუდს მეუბნება.

სროლა დაწყნარდა. და წინ რომ წავდექით — ვეება ღარტაფს წავაწყდით. ცხენისა და კაცის სისხლში აზელილ მიწაზე რაღაც ნაფოტები ყრია. ჩვენი გამყოლისაგან მეტი არაფერი აღარ დარჩენილა.

ერთი კი დახედა ლაზარემ და, როცა ცხედარაც ვეღარ დაინახა გამოტრიალდა და ისევ თავის მარხილისაკენ წამოვიდა. ათასი სიკვდილის მნახველი მაინც შეაძრწუნა კაცის ასე უველოდ გაქრობამ.

გავწიეთ წინ უგამყოლოდ. ჩუმაღ იყო ლაზარე, უზომო ბოლმისაგან თვალეში სისხლა მოსწოლოდა. მიმედ ჩაფიქრებულები და შორს გაყურებდა თოვლიან მინდვრებს.

სიცივემ უფრო მოუძიარა. ნათლისღების მკაცრი ყინვების მოახლოება იგრძნობოდა.

სიცივე მაჯაზე საათსა მყინავდა. იყინებოდა რევოლვერიც და აღარ ისროდა თუ ბუდიდან არ ამოიღებდი და უბეში არ ჩაითბობდი, გულთან ახლოს არ გექნებოდა. ვინ იცის რა განსაცდელში გიღალატებდა, რა საფრთხეში დამუნჯდებოდა!

თვალეები ყოველ ათ წუთში ხელით უნდა მოგეფშენატა, რომ წამწამებზე შეყინულა ლოლუები თბილი თითებით გაგედნო და ყინვას თვალეები არ შეეკრა.

ოდესღაც, მეტუთმეტე საუკუნის დასაწყისში ფლანდრიელმა მოგზაურმა გილბერ დე ლანნოამ, როცა ამ მინდვრეებში, რუსეთში თავის მოგზაურობის



დროს იწენია ეს ყინვა — ყველაფერი ეს სასწაულებად მიიჩნია: „როცა ღმერთს მინდორში მოგვიხდებოდა დაძინება — სწერს ის — ძილში, ყველაფერი ჰპერი ისე იყინებოდა, რომ წვერი, წარბები და წამწამები შექმნილი იქნებოდა და ყინულის ლოლუებით დაიფარებოდა. გაღვიძებისას თვალებს ვეღარ ვხეუდით“.

ფლანდრიელ მოგზაურს მეორე „სასწაულიც“ მოჰყავს:

„კიდევ ერთი სასწაული ვიხილე — განაგრძობს იგი, — ორი ვერცხლის თასი ჰქონდა, რომელნიც სამ ტროპულ მარკას იწონიდნენ. ამ თასებს წყლის სასმელად ეხმარობდი. ერთხელ ღამით, როცა ისინი ხელში შეჭირა — თითებზე მიმეყინენ. როცა თასები დავცალე და ერთი მეორეში ჩავაწყე, ისინი ისე შეჰყინოდნენ ერთმანეთს, რომ როცა ერთს ხელში აიღებდი, მეორეც თან აყვებოდა“.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ვის გაუგონია, რომ მოგზაურმა, მონადირემ და სალდათმა არ გადააჭარბონ თავის ნაამბობში, როცა სახლში დაბრუნდებიან და ამბის სათხრობლად ბუხრის წინ მოიკეცავენ. „ერთ დღს — სწერს ლანოა, — თიხის ქოთანში ხორცი ჩავეჭერი, წყალი ჩავასხი და ტბაზე, ერთ უდაბნოში, ცეცხლზე შემოვდგი. და მე დავეჭეროდი, რომ ერთ და იმავე დროს წყალი ერთ მხარეს დუღდა და მეორე მხარეს აყინებოდა“.

რას იტყოდა გულკეთილი ფლანდრიელი, რომ თავის თვალთ ენახა ის, რაც მოხუცმა კონსტანტინმა ნახა. რას იტყოდა, რომ უნახა კაცი, რომელიც ყინულის ბოძად იყო გადაქცეული. გერმანელებმა მიაკრეს ის ბოძე, მერე ვედრით წყალს ასხამდნენ თავზე, წყალი თურმე ჩამოდიოდა წურწურით და მაშინვე იყინებოდა. კაცი ნელნელა იფარებოდა ყინულის ფენით და ბოლოს ისე ვასქეღდა ის ყინული, რომ სხეულმა დაჰკარგა ყველა ფორმები და ოდნავ მოზრილი ყინულის ბოძი-და დაჩაჩა, რომელიც ადამიანს არაფრით აღარ მოგავგონებდა.

ის მოგზაური თუმცა ბნელი საუკუნოების კაცი იყო, თუმცა მან ნახევარი მსოფლიო მოიარა, მაგრამ ამის მსგავსს შემადრწუნებელ სურათს მისი თვალი ვერსად დანახავდა.

კარგა მანძილი ჰქონდა განვლილი, როცა იმ სევდიან თოვლის უდაბნოს უცებ ჰარბუქმა დაჰკრა, ფიფქი თოვლი მოხვეტა და ჰაერში შეათამაშა. ჩამობნელდა. ახლა მარტო მიწა კი არა, ზეცაც თოვლში გაეხვია. ნამჭერმა მაშინვე წაშალა გზა. ცხენების ალოოს-ლა მივანდით თავი. დაბრუნებას არავითარი აზრი არა ჰქონდა. ჩქარა მივხვდით, რომ გზა დავკარგეთ. აღარავინ იცოდა საით მივდიოდით, ეგებ უკანაც დავბრუნდით. ახლა მხოლოდ ჰარბუქის ჩაწყნარებას-ლა ვუცდიდით.


ბოლოს ტყეს წავაწყდით. ჰარბუქი აქ ისე მძინვარე აღარ იყო, როგორც გაშლილ ტრამალზე. ნეტა სადა ვართ — ესლა ჩვენი საფეჭრალი. კიდევ ერთიორჯერ მაგრად წამოუბერა და უეცრად სახეში რაღაც ქალაღდის ნაფლეთები მოგვაყარა.

ხელში ავიღე, თოვლი ვადავაცალე და გავშალე.

— ერთი კარგად ნახე შენი ჰირომე, — მეუბნება ლახარი. — ერთი მხარე გასინჯე, იქნება ეწეროს რამე...

— რა უნდა ეწეროს კაცო, — ვეუბნები და თან ქვედალს ნაღვრით ვაჭლიერებ. დასაწყისი მოხუელი აქვს. ერთ მხარეზე კიდევ უნდა დავაჭლიერებ.

Handwritten text on the left margin: 12/25/23 4013



პოგრაფიული რუკის ნაგლეჯია, სადაც გეოგრაფიული სახელები გერმანული ტრანსკრიპციითაა მოცემული, მეორე მხარეს რუსული ტექსტის სწავლად დაზვანე დაბეჭდილი. აჰა, ეს გერმანელების ფურცელბა, გვემუქრებიან — დავაცადეთ ერთი მოვიდესო, მაშინ გაჩვენებთო. და ყველაფერს ამას ხელს აწერს ვიღაც პოლკოვნიკი კონდორსი.

— კაცო, რას ათვალეირებ ეგრე გულმოდგინედ? — ისევ შევითხება ლაზარე.

— მტერი იმუქრება, ლაზარე, ზამთარი არ იყოს, მე თქვენ გიჩვენებდითო...

— ზამთრისა რა ბრალია, კაცო... ნაბატეცეში ერთმა პატარძალმა თურმე ფურის მოწველა არ იცოდა, დიდხანს აწვალა საცოდავი პირუტყვი, მემრე თავი დაანება და დედამთილს ტირილით უთხრა: რა ვქნა დედა, ფურა როგორ მოწვევლო, კალო შრუდეათო. კალო კი, ჩემო კარგო, ხელის გულივით სწორი იყო.

მერე ჩაფიქრდა და დაუმატა:

— აბა, ვაზაფხულზე უტირებთ დედასა, დავაცალონ...

ტყეში ვზა არც ისე ძალიან იყო დანამქრული.

წინ, ხეებში, კაცი და ქალი გამოჩნდნენ. ჩვენსკენ მოდიოდნენ. უეცრად წამოგვეწიენ და როცა დაგვინახეს, ფეხი შეაჩერეს. რუსული ლაპარაკი რომ გაიგონეს, მაშინ-და გაბედეს ახლო მოსვლა. როცა დარწმუნდნენ ეს რუსების ჯარაათო, — ორივემ პირჯვრის წერა დაიწყო.

— საით მიდის ეს გზა მოხუცო?

— ეს გზა, შვილო, მოროზოვკაში მიდის...

— მოროზოვკაში?! — გაიმეორა რამდენიმე ხმა.

და მართლაც საკვირველი იყო. დავებანია ქარბუქმა, მაგრამ თურმე მმართულება არ დავეკარგავს, ჩენი მარშრუტის დასასრული იმ სოფელში იყო. პოლკის საერთო საბრძოლო მოქმედების გეგმაში დასახლებული პუნქტის, მოროზოვკას დაკავება ჩენს ასეულსა ჰქონდა დავალებული. ამით ჩენ მარცხენა ფლანგის სიმტკიცე უნდა უზრუნველგვეყო.

— რა ამბავია მერე მოროზოვკაში?

— რა ამბავი უნდა იყოს? აი, სულ ახლახან წავიდნენ გერმანელები. ბიყარნენ და სულერთიანად წავიდნენ. აგრემც იქით წასულან, საიდანაც აღარ მოდიან. ამბობენ ზამელნიჩიეში მაგრად დაჰკრეს ფრიცა და აქედანაც იმიტომ გაიქცნენო. მართალია?

— მართალია!

— ისე უცებ წავიდნენ... ფაცი-ფუციით... ძალზე ჩქარობდნენ. დასდნენ მანქანებზე და ერთ წუთში გაჰქრნენ...

კარგა ზანი ვიარეთ და სოფელიც დავინახეთ. ჯერ არავინ სჩანდა. სადღაც აკენის ბავში ტირის ისე ღონიერად, რომ მისი ხმა ქუჩაში ისმის. საბძელთან რომ გაიარეს მარბილებმა — საბძლის შიგნით ცხენმა დაიჭინვინა, თითქოს ალღოთი იგრძნო, და ფეხის ხმაზე იცნო უცხო ცხენებია, მერე სადღაც ძალღმაც დაიყეფა და არც ისა სჩანდა. თითქო ამით ხმებს უცდიდნენო ქუჩაზე ზალხიც გამოეფინა.

იმით უხაროდათ და უჩვიოდათ, როგორ გაჩნდნენ ასე უეცრად მათთან საბჭოთა მებრძოლები. თვალებს არ უჯეროდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მართალია ფრონტის ხაზი ახლოს იყო, მაგრამ ჯერ მათ სოფელთან მაინც არ ვადიოდა.

უკვე საღამოა, ხვალ დილით ზნამენკასთან პოლკს შევეუერთდებით. ახლა კი ამ სოფლიდან აღარსაით წაისვლება.

გამათავნებული უნდა ყოფილიყო ადრე ის ოჯახი, სადაც ღამე უნდა გაეშათით. ქობის კედლები ჯერ ოდნავადაც არ შემკვარტლულან და კედლების ვერხვის მორებში ჩატანებულ ხავსსაც, ახლად დამკენარ ბალახივით, მკრთალი-მომწვანო ფერი ადევს. გამომცხვარი პურის სუნით სავსეა ოთახი. სასიამოვნოდ აღიზიანებს ეს სუნი ადამიანს. დიასახლისმა ღუმელიდან მალე გადმოიღო პური, რომელიც რაღაც მცენარის ფოთლებში იყო გამომცხვარი, როგორც ზემო-იმერეთში კეცზე გამომცხვარ მჭადს ვაზის ფოთიოლს დააფარებენ ხოლმე.

ფუსფუსებენ მასპინძლები. გულითად სტუმრებად მიგვიღეს, მაგრამ რითი გაგიმასპინძლება კაცი, როცა მის სახლს ორთვენახევრის განმავლობაში ძარცვადნენ, როცა სულს გარდა აღარაფერი დაუტოვეს და სულსაც ამოხდიდნენ, რომ ასე საჩქაროდ არ გაქცეულიყვნენ. ამათი სილატაკის მნახველთ რაღაც მძიმე ნაღვლიანი განწყობილება გვედება.

მაგრამ ჩვენ ამ თბილი ქობისაც მადლობელი ვართ.

უკვებ ლაზარე წამოდგა, სტუმრად მოსულ ქართველი მეომრის გულში თურმე პურადმა და გულდია მასპინძელმა გაიღვიძა. საჩქაროდ მოხსნა ტომარას პირი, რომელიც მარხილით მოფათირივით. ჯარისკაცის უღუფას ძეხვის წრეები მოაყოლა, ღორის ქონის მსუქანი ნაჭრები, ამას ნადავლი შედედებულნი რძე და პოლანდიური ხორცის კონსერვებიც დაუმატა. მერე არაყი და რომიც გაჩნდა სუფრაზე და ბოლოს ნაბახტეველი მასპინძელი მაგიდასთან მოვიდა და ფართოდ გაშალა ხელები:

— ეხლა დაეხსნეთ, ლუკმა გაეტეხოთ... — სთქვა მან.

— ბედნიერი იყოს ეს ახალი წელი, — სთქვა მასპინძელმა, არყის ჭიქა მიაკბანა, ერთბაშად დალია და მერე სული ამოიოხა.

— მართლა დღეს ახალი წელია, და ჩვენც მეკვლეებივით ვართ, — მითხრა ქართულად ლაზარემ.

ვივახშმეთ და დასაძინებლად დავწეკით.

მაგრამ რა დაგვაძინებს ამ ახალ წელს, და ჩვენ დიდხანს ვტრიალებთ ჩალასა და ნამჯაზე.

სღუმს ქვეყანა, სოფელში სიწყნარე დამკვიდრებულა.

ქუჩაზე ჩვენი პატრულები დადიან.

თითქოს რაღაც ხმაური მოგვესმება, მიუგდებ ყურს, სიწყნარეა, ეს თურმე გვერდზე გადაბრუნების დროს ნამჯამ დაიშმაშურა.

ძილი არ მოდის. არ ეკარება ის ჩვენს დაღლილ თვალებს. ეს ხმელი ჩაღბულა კი არა, ბუმბულის დოშაქები და ფარჩა-ატლასის საბნები რომ დაგვივონ, მაინც არ დაგვიძინება, რადგან ახალი წელი დგება, ათას ცხრას ორმოცდა ორი წელი და ყველა აქ მწოლარე ფიჭრით თავის ქვეყანაში წასულა: მე თბილისში ვარ, ლაზარე ალბათ ნაბახტევეშია, აი, ის ლეიტენანტი ტიურინი — მარჯვნივ რომ წევს და ისიც ტრიალებს — თავის ლენინგრადშია. ვატყობ არც უფროს სერჟანტ შერემეტსა სძინავს — ისიც ალბათ თავის ტავანოვში იმყოფება, ხოლო ორი წითელარმიელი ძმები ვალჩენკოვები — პეტრე და ფედორი, რომელნიც დოროგობუჟიდან არიან, ახლა ალბათ ფიჭრით იმ მიდამოებს დასტრიალებენ, სადაც დნებრი იწყება...

არც ერთს არა სძინავს და მაინც ხმას არ იღებენ, ან კი რა საქირთა:  
ტყბილ აჩრდილებს გაუფანტავთ ერთი-მეორეს.

ძილი მაინც არ მოდის...

და იმ სიჩუმეში მხოლოდ ნამჯის შრიალი და ქუჩაზე პატრულების ფეხის  
ხმა ისმის...

ლაზარემ მაინც ველარ მოითმინა. არ იცოდა რითი დაეწყო ლაპარაკი. ჯერ  
უკანასკნელი ბრძოლა გაიხსენა, მერე ისევ საქართველოზე დაიწყო საუბარი,  
და როცა სათქმელი მოლია, ამ ქვეყნის ყველაფერი მოითავა — მერე ლან-  
დებს დაუწყო კიდილი. ის ახლა წამოჯდა ნამჯაზე, უსქელესი და გრძელი  
პაპიროსი ვაახვია და, როგორც ალბათ ძველად, ქართლში, სადაღაც შუა მინ-  
დორში, ღამით, ცეცხლის წინ, როცა ფანტაზიას გასაქანს მისცემენ ხოლმე,  
როცა ღამის სიჩუმე და იღუმალი ლანდები საზღაპროდ განაწყობენ მთხრო-  
ბელისა და მსმენელის გონებას — აქაც ის მოჰყვა სამშობლოში გაგონილ  
ზღაპრებს — ქალა-ბიჭაზე, მარმარილოს ქვა რომ მოიტანა შავსა და თეთრს  
ზღვის შუა მდებარე მიწიდან; ხელმწიფეზე, წელზევით რომ ცოცხალი იყო  
და წელს ქვევით გაქვავებული; ქაჩალ-მებატეზე, ოქროს ხუჭუქიანი ქოჩორი  
რომ ჰქონდა; შავ მთაზე, შავი მეცხვარე, რომ ცხვრის ფარას აძოვებდა, შავი  
ჩომბახი რომ ეჭირა და შავი ნაბადი რომ ჰქონდა წამოსხმული, ცხვარიც რომ  
შავი ჰყავდა და ძაღლებიც. და მერე იმას ფეიქრის შეგირდი რომ შეებრძოლა.  
დაილოცოს ამ ზღაპრის მომგონი, რომელი ლიუშინალი შეედრება უძილობის  
დროს ტყბილ ქართულ ზღაპარს! ჯერ არ დამთავრებულა იმ შავი მეცხვა-  
რისა და ფეიქრის შეგირდის ბრძოლა, რომ მე უკვე მეძინა და აღარ გამიგია  
რა მოხდა იქ, ვის დარჩა ის შავი მთა და ის შავი ცხვრის ფარა.

## პაღიანი გუჩინდაჟილი

შენ რომ კვდებოდი, ალბათ ფანჯრებს მოასკდა ქარი,  
ისე ის ქარი — საფირონი რომ გაწამებდა.  
მაგრამ სიკვდილი რად მობრძანდა ასეთ სინქარით,  
ან გული ეგზომ რამ დაქანდა, მას რომ დანებდა?

შენ აღარ სუნთქავ, შენ ცივი ხარ, მკერდსა და თვალებს  
აყრიან ყინულს და კუბოში ისმის ხმაური...  
უკანასკნელო მეგობარო, ზომ არ გაწვალებს  
ეგ მარტობა და წვეთების ხმა უცნაური?

ეხლა მაგ მკერდში დადუმებულ საიადონოს  
იქნებ აღვიძებს კიდევ უთქმელ მანგების ფლერა,  
და კიდევ ერთხელ გინდა სიტყვას გამოატანო  
შენი ოცნება, ჟრუანტელი და გულის ძგერა?

ო, ზომ არ არღევს მღუმარებას, შენში რომ ჩადგა,  
მაგ შუბლის უკან მომწყვდეული ცეცხლის მორევი?  
ნუ თუ სიკვდილმა ყოველივე უკვალოდ შთანთქა —  
ვერ მოვეხვევით ჩვენ ერთმანეთს განშეორებით?

რომ სათნოებით კვლავ ვუცქიროთ საწუთროებას,  
შეეხედეთ სიცოცხლეს და სიყვარულს თაყვანისცემით.  
და კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ ჩვენს მყუდროებას,  
ჩვენს წმინდა თვალებს პოეზიამ მოჰფინოს ცრემლი!

---

## მინაწერი

(ტყნობ პოეტს, რომელმაც ფრონტიდან წერილი გამომიგზავნა)

ყრმავ პოეტო, ეგ ბარათი  
შენს ჭარბ გრძნობებს ვით აუვა. —  
მოსჩქედს ჰანგთა მძლე ნაკადი  
სტრიქონსა და სტრიქონს შუა.  
სიყვარული მშობელ ქვეყნის  
მზის სხივებით გიქსოვია,  
ხვამლის შთიდან გაგყოლია —  
სადაც ძუძუ გიწოვია.  
პოეზიის ტკბილი ბგერა  
გულს ესმის და სულს ათრთოლებს;  
ბერს და ჭაბუკს ეგ სიმღერა  
გულს ორივეს აუჩქროლებს.  
სამშობლოსთვის თავს არ ზოგავ  
სიტყვასწორი, გულით მტკიცე, —  
ბღვენი, მუსრავ უღმობელად  
გამხეცებულ ფაშისტ ფრიცებს.  
იწერები: მაქვსო თანვე  
მცირე გუნდა მშობელ მიწის...  
გიპასუხებ — თავიდანვე  
ქართველობამ ეგრე იცის. —  
იქნებ წუთმა გიღალატოს,  
ობლად დარჩე სადმე ველში,  
და მშველელი არსად ჩანდეს  
იმ უეცარ განსაცდელში, —  
მაშინ მიწა შენი ქვეყნის —  
სახსოვარი მშობელ დედის,  
ვით ცის მაღლი სანეტარო  
ნუგეშია და იმედი.  
თითქო მშობლის ძუძუ ტკბილი  
კვლავ დაგრჩეფდეს შედრევეანად  
და ქართული მოძახილი  
გაპკიოდეს ახოვანად.  
გადაგფერავს გულის ნაღველს,  
ჩაგაშუქებს სულში ტკბილად,  
აღტაცებით შენს გმირ სახელს  
შორს გადასცემს შეილთა-შვილად...



მანამდის კი — დაჰკრავს ეამი, —  
 ახლოვდება თანდათანა,  
 ვარდფურცლობა, ცის ცვარნამი,  
 მაისობის დაენანა...

გამარჯვებით, ვაშას ხმებით  
 ხიმს ჩამოჰკრავს ჩანგის წკირა,  
 და ხელმანდილს, შეთანხმებით,  
 ჩამოგიქნევს შენი ცირა.

შეეყრები თვალგიშერას  
 იზეიმებ სიხარულსა,  
 მოგილოცავ ბედისწერას,  
 შემოგძახებ მეც მაყრულსა...  
 მებრძოლს — სულით აგამადლებს  
 ჰვეყნისათვის თავდადება,  
 ეს იქნება ვაჟკაცისთვის  
 ზღმეორედ დაბადება...



## ზ ჳ ე ს თ ა ნ

ჩამოწვა მთიდან ჩრდილი მდუმარე  
და ბინდში ჩაღნა მზე მოქანცული.  
შემდეგ კი... ღამის თოლია მთვარე  
ზევითით ნელ ზვირთსა ამოჰყვა ცურვით.

ცა გამჟვირვალე, წმინდა, მაღალი  
ზღვას როგორც ფარჩა გადმოეფარა  
და ვარსკვლავების რძისფერი ღვარი  
ციმციმებს, იწვის შორს, სადღაც წყნარად.

ჰქრის თბილი სიო და ნისლის რიდე  
მთებში ხან ბრწყინავს, ხან ისევ ჰქრება,  
დაუსაბამო ღამის სიმშვიდე,  
და მთვარის ფერფლს გულს მეფინება.

გულს მეფინება ეს სილამაზე —  
მარადიული და ასე ვრცელი.  
შევცქერი ზვირთებს გაწოლილთ ზღვაზე  
და მატკობს სევდა გამოუთქმელი.

---

## მერცხლები აკაკის აივანზე

მგოსნის სამყოფელს შევებიხნე მგზავრი — გვიანი...  
სათუთი გრძნობით მოვანხვე, ფიქრი მგზნებარი!  
სულში ჩავიდგი ეს სახლიც-კი აივნიანი,  
რომ წამეკითხა, მისი ჩუმი ნაოცნებარი!

ამ ხის აივანს, მან უთუოდ გრძნობა ათოვა...  
შემდეგ, მოსულებს დაგვიტოვა ამბის მთხრობელად,  
მან ამ კუთხიდან — გული თვისი გააფართოვა,  
მთელი სამყაროს ჩასატყუად და სამკობელად.

აქ ანთებულა ის პირველად პოეტურ ცეცხლით!  
ამ სარკმლებიდან დაუნახავს სხივთა ნათელი!  
აქ ისვენებდა, შეფერილი დღეების ვერცხლით  
და აქ იმღერა თვისი ჰანგიც — უკანასკნელი!

...და ჰა! ყოველგან მისი აზრის შუქი ჰფენია!  
აქ ყოველივე, მთხრობელია — გარდასულია!  
გაშლილ აივანს — მგოსნის ღიმიც შემორჩენია  
და ფრთამალხაზი შიკრიკებიც — „გაზაფხული“-სა.

უკეთეს სადგომს ეს მერცხლები ვერ იპოვიდნენ,  
ეს აივანი, მათ უთუოდ კიდევ ეთვისათ,  
მან დაგვიტოვა, თუ ნეტავი თვითონ მოვიდნენ,  
რომ უგალობონ აყუავენას — იმერეთისას?

ხმატკბილ სიმღერას მოჰყვებიან ყოველი დილით...  
და თუმცა მის ძილში უკვე დიდი ხანი გავიდა,  
მჯერა! მარადის მოგვესმება ჰანგები — ტკბილი,  
დიდი აკაკის დანატოვარ აივანიდან!!!

საჩხერე, 1943.

## ქერხაკანი

შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამანტისა  
 იგივე მზნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

გ. ორბელიანი.

### 1

მიხეილ ყორაშაძე ცხენმა თოხარიკით აიყვანა სერზე და დაბურული ტყით სულშებუთული უსაზღვრო სივრცეს მისცა.

მის წინ შეერთებული იყო დადუმებული ზღვა და ფერწყასული ცა.

ორი მზე სჩანდა — ერთი მაღლა და მეორე ქვევით; ხმელეთი მიმალულიყო; ორი თეთრი სახლი და ქოხმსახები ლანდებად იდგნენ რიყეზე.

მგზავრის ყურადღება ხედმა ვერ მიიჭტია. მისი თვალები მბამტერდნენ იალქან-აშვებულ ხომალდს. ხომალდისკენ მიმავალ პატარა ნაევში მგდომ ვაჭარს მიხეილმა ხელსაყრელად მიჰყიდა დათვის ნაღველი, მელიის ტყავი და გარეული ტახის ორი ქსანი ჯაგარი. როცა უკან ბრუნდებოდა გახარებულნი, — არც ბატი გადამიხდია, აქ ლამის ვათევა არ მომიხდება და საგზალიც არ შემომაკლდებაო, — ნაშევრად ტიტველი სვანი წინ გადაელობა და სვანურ-მეგრულ-ქართულთა აუღსნა, გოგოს მოგყიდი ძლიერ იაფად, თათრებმა არ წაიყვანეს, გოგო უძღებად არის, და იმ ურჯულლებს ეშინიათ, ჩვენც არაფერი შეგვეყაროსო. მიხეილს ჯერ გაეცინა, რა მყიდველი მე მნახაო, მაგრამ როცა სვანმა მიუთითა ხურჯინიდან თავამოყოფილ ჰაღზე, — ის მომეცი და მეტი არაფერი მინდაო, — იფიქრა, ერთი ჩემ მშესათუნსაც ვევახარებო და პატარა გოგო ცხენს უკან შემოისვა.

— ჩამოხტი, შე კაი კაცო! ორივეს ვერ გწიკათ ეს ვირის ოდენა ცხენი! — მიამბა სვანმა უკვე სწორი ქართულით და სიცილი დააყარა.

ამ სიცილს მიხეილზე მაშინვე არ უმოქმედნია, გოგოს ხურჯინიდან ამოღებული ჰაღი მოუტება, თითონაც კარგი ნატები ჩაბლუჯა ხელში და გზას არხინად განაგრძობდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, და მზე იხრებოდა, ჩრდილები გრძელდებოდნენ და ვერც მგზავრებს ხედებოდნენ, ყანებშიაც აღარაფერ სჩანდა, ჯერ უმნიშვნელო ფიქრმა გაიტაცა, შემდეგ სიფრთხილე მოაგონდა და ბოლოს შიშმა შეიპყრო.

მართლაც, რად არ ლაპარაკობდა თავიდანვე სწორ ქართულს ეს სვანი, რად ამტკრედა მეგრულს, ქართულს და შიგ კიდევ სვანურს ურევდა? ასე იაფად გოგოს დათმობა რა იყო? ან ეს დაცინვა რას ნიშნავდა? ხანჯალი მოიმარჯვა გვერდზე, თოფი ხელში დაიჭირა, წელში გასწორდა და გულს მოიცა. მაგრამ ისევ ფიქრმა დააფრთხო, „თუ ეს გოგო მოიტაცეს, მე რა ყა-

რამანი ვარ?! ასე გულადად მიმავალს რომ დამინახავს მოთარეშე არ დამხოვავს და მაშინვე დამზახას მესვრის. ერთს ვაუძლო, მეორე დამეცემე კლას ვაუძლო — სამი გაჩნდება. მე შენ გეტყვი შშიერი და ოხერი ცუტადი ცუტადი ლი მიმაღა, „საწყალ კაცად ვერვინები, ვოგოს წამართმევენ და მე გადავრჩები“. ესეც არ იქმარა: თუ წინათ გოგო შეეცოდა და ცხენზე შემოისევა, ეხლა მიხეილმა გოგოს უბრძანა ქვეითად ეარა, და მუდამ-წამს უძახდა:

— გაიარე შე წყეულო, რა ფეხი ვეზმება, წელკავი ზომ არ გვირსო?

გოგოს არ გადადებია ბატონის შიში, მაგრამ შეატყო, რომ ბატონი თუმცა უყვიროდა წამოდო, მოცდას და შეჩერებას კი არ აპირებდა და სამართლიანად ფრთხილობდა, ამ ტიალ ბუჩქნარში ხრ დამტოვოსო; უკანასკნელ ძალას იჩებდა არ ჩამორჩენოდა, ცხენს კულში ჰკიდებდა ხელს, რომ სიარული შეემსუბუტებინა; როცა არაქათი გამოეღია, ერთი წაბანცალდა, გზის დაბალ სტეს წამოედვა, ვადახტა, წაიქცა და გაგორდა.

— ადგ. გოგო, ნუ გეშინია, მიველით, აწი ჩვენეთი იწყება, ვაუძალიანდითი სიზარმაცეს!

გოგოზე მეტყველება აღარ მოქმედებდა; მგლის არჩივი ცხენი სტეს დაწედა და ბალახობა დაიწყო. რატომღაც ცხენის საქციელი მიხეილს ცულ ნიშნად მოეჩვენა, აღვირი ჩაქრა, ქუსლი ჰქრა და გასწია. გზიდან გოგოს მიადება მხოლოდ:

— ალაღ იყოს შენზე ჩემი ზრუნვა და ის ორი ჰადიც!

გოგო ამ ძახილზე ერთხელ კიდევ წამოღვა, უნდოდა ცხენოსანს, დადევნებოდა, ფეხი აღარ დაემორჩილა, წინ აღმართულმა ცაცხვის ჩრდილმა მიიზიდა და მიწვა.

ორიოდე საათის შემდეგ მიხეილს ცხენმაც უღალატა — აღმართს მიაბჯინა ფეხები და ვერაეითარმა ქუსლმა, შოლტის რტყმევამ და გინებამ ადგილიდან ვერ დასძრა. მხოლოდ როცა მიხეილმა რტყმევა მიატოვა და გვერდზე მიჯდა, ცხენი ახლო ბუჩქნარში შევიდა და ბალახ-ბულახი ოდნავ მობლოწნა, შერმე წამოგარება ვანიზრახა; აქ კი მიხეილი მივარდა, უნაგირი მოხსნა, აღვირი აყარა, რომელიც წყეულა-კრულვით მასვე მიარტყა — „მგელსაც შეუქამიხარო“. თვითონაც მისაწოლად მოხერხებული ადგილის ძებნა დაიწყო, როცა ორი ცხენოსანის ფეხის ხმა მოესმა.

— სად დაიკარგა ეგ მამაძალი? ნამდვილ გაგვასულელა! — ამბობდა ერთი — ამღენა გზას მის ჯახრიკაზე ვერ გაივლიდა. სადმე გაღიშალა უთუოდ.

— დაებრუნდეთ, რას დაუბრუნდეთ, ორ ქედში მართლა, გოგო როგორ დავკარგოთ?! იმ მამაძალს ფულიც აქვს, — უპასუხებდა მეორე.

ამ ცხენოსნების ჩამორებად მთლად თავზარი დასცა მიხეილს. ეხლა ბედსაც ემადლიერებოდა, გოგოსაც და ცხენსაც, რომ გოგოს ფერაგობამ, ცხენის სიჯიუტემ უმაველ ტყეობას გადაარჩინა — გზაზე რომ ყოფილიყო ეს ორი კაცი ზომ შეპკრატდენ და, სტამბოლს თუ არა, ხულოში მანც ამოაყოფინებდენ თავს.

და მიხეილი უფრო გაშორდა გზას, ტყეში შევიდა და დაჯდა. ძილით ვერ დაიძინა, უცდიდა, იქნებ მდევრებმა უკან ჩამოიარონო. თვალღია გაატარა ღამე. დილითაც ვერ დაიძრა ადგილიდან, ვინ იცის, იქნებ ეხლა დაბრუნდენ უკან „ჩემი ცოდვით სავსენიო“ და მხოლოდ შუადღემ რომ მოაწია, უნაგირა

მიაკითხა, ცხენი მოძებნა, და დიდს სიფრთხილით ისევ დაადგა ზნას. ბევრი არ უვლია — როგორც კი სამშვიდობოში იგრძნო თავისი მსხვერპლად, ცხენი ბალახზე მიუშვა, და დალილი, დაქანცული მიეგდნა.

მზეხათუნს ის-ის იყო მიღულებოდა, რომ გულამომჯდარი მიხეილი ამაყად შევიდა თავის პატარა სახლში, ძაღლის მხიარულმა წკმუტუნმა და კარის ქრიალმა დიასახლისი ვერ გამოაღვიძეს და მოსულმა წყურვეა დაუწყუო, მოვედი ხომ მხედავ, მაკამე, ფეხი დამბანე და დამაწინეო.

ქალს ჩვეულებრივი წუწუნისათვის არ მიუშვართნია, რადგან შორიდან მოსულს მართლაც მოვლა უნდოდა, და თან ახლად დაბრუნებულის ქცევა ამვლავნებდა, რომ კარგი ამბები მოეტანა.

იმ დამეს თუ ბევრი არაფერი უთქვამს მიხეილს, მაგიერად მეორე დღეს განცვიფრება უნდოდა გამოეწვია თავისი მოხერხებით, ვაჭრობის უნარითა და ვაქაჯობით, მაგრამ მზეხათუნი იმ წამს გაფიქრდა, როგორც კი გოგოს დაკარგვა გაითვალისწინა:

— შენ ყოველთვის ასე იცი, ჩემი სასიამოვნო თუ რამეა, იმას არ დაეძებ, ზელს არ გაამჩრევ, ეს ტანჯვა და ვაგება ამამოროვო.

მიხეილი გულმჭიარული სიმშვიდით უპასუხებდა:

— ქალო, ღმერთს მადლობა უთხარი, ფათერაკს გადავრჩი, მეც მოვედი, ცხენიც მოვიყვანე და ფარაც მოგიტანე — იმ ცინგილიან ძღაბს რას დაეძებ, სულ ორ ქაღზე გადაეცვალე — შენი ქირი წაუღია.

მზეხათუნი დროებით დამშვიდდა, მაგრამ შთელი კვირის განმავლობაში საკმაო იყო მიხეილს ან წყლიანი დოქის მოწოდება ეთხოვნა, ან პერანგის დაკერება დასჭირებოდა, ან ცხენის საბალახოდ გაბმა გახსენებოდა და თვითონ წასულიყო, მზეხათუნი თავიდან იწყებდა თავისებურ პანგს „აი ახლა შენი ქმარის წყალობით ადექი და თრაქე წყალი მზეხათუნ შემგულადის ქალო, თითქო ერთი გოგო გაწყვეტილიყოს ქვეყანაზე!“ „ჰო, გადაყვი ამ დაშავებულ ჯანჯიკას მზეხათუნ შემგულადის ქალო! ფაი შენს დღეს, სად დამეკარგე, გოგო, შენ მაგიერ ამ გასატყავებელს ჯლიბა უნდა გამოუხილო და ვზიდო მისი ფუნა“.

რამდენიმე დღის შემდეგ ფერმკრთალი მზეხათუნი გავარვარებულ თონეს დამეგვანა და რაღაც ნაზად დაუწყუო ქმარს მოსყრობა.

— რა გინდა მაინც, აღარ იტყვი, ქალო? — ველარ მოითმინა შეხუმრება, ჯლიქვის გაყვრა-გამოყვრა მიხეილმა და ჰკითხა მეუღლეს.

— რა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, და მე და ჩვენმაპუბიმ ვითვალეთ გუშინ, ვითვალეთ და შენ ის გოგო დაგიტოვებია, უეჭველია, ქვაყელისპირზე... აბა სად იქნებოდა კილო მეტი, სად დატოვებდი? შენ რომ მოდი, შუალამე არ იყო. შენ რო თქვი, შეღამებასას გამექცაო ჰო და რა შორი ვზაა, შეღამებიდან შუალამემდე...

მიხეილი მშვიდად ისმენდა და უნდოდა გაეგო, საითყენ მიპყავს ცოლს მუსაფი.

— ასე რომ, შენ ნუ მოუტყელები ჩემს თავს, რომ წახვიდოდე და გაიკითხავდე, ქე ნახავ... ვინ იცის, იქნება ვზის პირად ზის და გიცდის.

მიხეილს შერცხვა გულწრფელად აღეარებინა, რომ არც კი იცის დამფრთხალი რა ვზით მოვიდა და სად დასტოვავაგოგო. მაინც არხეინად უპასუხა:

— რას ამბობ, დედაყავო, ვადირიე, აქამდი რა მოაცდევინებდა? ან შიმში-

ლი მოკლავდა ამდენ ხანს და ან ტურა-მგელი გაგლეჯდა <sup>ხევისთქვენი</sup> გოგოს.

— ნუ იტყვი, გენაცვალე, მაგას! ქრისტიან კაცს მგელი რა <sup>ერქვენული</sup> შიმშილით რაჟა მოკლავდა სოფელ-ქვეყანა?

— თუ ვინმემ აჭამა, კიდევაც წაიყვანდა შინ...

— რაჟა წაიყვანდა, შე კაცო, მურვან ყრუობა ხომ არ არის. მიხვალ და ეტყვი ჩემი გოგოა-თქო...

— ჰო და მოგართმევენ ხონჩით! მზითვეცას გამოგატანებენ!

— ასე იცი სულ! შენ გებუძრება და მე ცეცხლი მგვიდებდა გულზე. რა გიჭირს ერთი მიიარ-მოიარო, გაიკითხო და გამოიკითხო, მოყვრებსაც ნახავ და გოგოსაც მოიყვან!

— კიი ახლა, კაი! სასაცილოდ ნუ გამხდი სოფელ-ქვეყანაში. არ მეტყვიან, შენ გოგოს ამ ცხენის წყლის პირად რა უნდოდაო! აღიას და ოსმანას უთხრა, გოგო ვერ დავაჭირე — ხელსა და თვალს შუა გამექცა-თქო?!

მზეხათუნს გულს მოეცა.

— რაჟა, შენი ერთი შეწითლებისათვის მზეხათუნ შემგულადის ქალი სიკვდილამდის მოაქლედ გინდა გყავდეს?! ან რა სამარცხვინოა პატიოსანმა აზნაურძმვალმა არ იკადრე ბზლირტლიანი გოგოს დადევნება.

— თუ მაშინ არ ვიკადრე, ახლა რას დალოდავ და ეძებო, — არ მეტყვიან?! —

— ღმერთო კი მომვალე! უყურეთ ერთი ამას! გაქცეულ ყმებს დადიანები და ბაგრატიონები ეძებენ, შენ რა დაგეშართება, ბუნა? არც შვილი გინდა ჩემთვის, არც ძირი, არც გოგო... შეიძლება ეს? — ატირდა მზეხათუნი.

— ქალო, შვილი არ გყავს, ჩემი რა ბრალია?!

— არა, ჩემი ბრალია, ამასაც იტყვი შენ. შენი კაი კაცობა რომ ვიცი!

მიხვილი თავედანვე დაარწმუნებულა იყო, ცოლის ენას თავს ვერ შემოუფელიდა. ერთ ხანს მაინც უძღებდა, მიზეზს მიზეზზე იგონებდა, რომ უსიამო მგზავრობა თავიდან აეცილებია. ბოლოს იტყვიც შეეპარა, ვინ იცის, იქნებ, გოგო მართლაც ეპოვნოვო და განუწყვეტელი პაექრობის შედეგად ცხენს ლელვის ნემო ვადაუსვა, უნაგირი შეადგა, საგზლით სავსე ხურჯინი უნაგირის კეხსა და ბალიშს შუა გადაკიდა, გაჭირვებით ცხენზე შეეჯდა და საძებრად გაემგზავრა.

## 2

სისხამ დილას ჩიტ-ბადითა და ლაყოთი გამოსული თოთხმეტოდე წლის ბიჭი მეტად სახტად დაარჩა, როცა ხის ძირში ხელეგზამილი, პირაღმა შწოლარე მატარა გოგო დაინახა: ჯერ მოერიდა და უკან დაიხია, ცალი თვალი მაინც გადაავლო და შეამჩნია, რომ გოგოს მხოლოდ მოკლე პერანგი ეცვა, სახე ვალურჯებოდა; თუმცა მზის სხივი თვალებში სცემდა, მაინც ღრმად ეძინა, და ასეთი ვინმე მათ სოფელში არეინ ეგულებოდა. ბიჭი უკანვე გაბრუნდა და მალე მოიყვანა მოხუცი ქალი, რომელსაც სულ პატარა, ცნობის-მოყვარე ნამტირალე თვალებიანი ბავშვი მოჰყვებოდა. მოხუცმა ქალმა ოდნავ შეანჯღღრსა თუ არა, გოგონას გამოეღვიძა, წამოეჯდა და დაიწყო „ქო პატენი“, „ქო პატენი“, რომლის დანარჩენი სიტყვები ვერც ერთმა ვერ გაიგო.

— ვინაა ეს საცოდავი? ვაი და უი მის საცოდავ დედას!— და მოხუცებული უფათურებდა, როგორც კი შეეძლო, წამოაყენა, წელში ხელი კეჭიყვანდა. მის წინ  
გინჯლინიძეა

გოგო მთელი დღე ძილად იყო მიგდებული, ღამით გამოეღვიძა. მის წელზე თავი დაედვა ბიჭს და ეძინა. პირველად არ იცოდა რა ეჭა, შემდეგ წელი თავიდან ფრთხილად გამოაძვრინა, ფეხზე წამოდგა, ნიგუზალს წაიღვა და შეაკვილა.

— რა გინდა, გოგო, რას დაბოროილობ?

გოგომ რაღაც უპასუხა, თანაც კარი გააღო და მკრთალ სინათლეზე დოქს დაწვდა და წყალი დიდხანს სვა.

დიღას ბიჭმა რომ გაიღვიძა, მის გვერდით მწოლარე გოგო დაინახა, შერცხვა და სასწრაფოდ ადგა.

როცა პატარა გოგონამ „საიმედოთ სკამა“ მოხუცებულმა ქალმა ბიჭს უთხრა:

— მაინც არაფერს აკეთებ, მაღლია ამ გოგოს შენ მიხედო, შენი სტუმარიც, მე წაველ, ათასი საჭმე მაქვს, თორემ მართას იმედი, შენი არ იყოს, ჩემს მტერს მივცა. ოფოფებს დამადევს...

— კი, ბიჭოლა, კი! სოკოს რომ დაგპირდი, იმასაც მოგიტან.

მუნჯურით, ერთი და იმავე სიტყვის ათასჯერ განმეორებით გოგო-ბიჭი ყველაფერს აგებინებდა ერთმანეთს.

ბიჭმა გაიგო, რომ გოგოს ძაღვს ჰქვია და ვიღაც ბატონს აქ მიუტოვებია.

ბიჭმავე გააგებინა, მე ივანე მქვია, ეს სახლი ჩემია. მამა მეჭოთნე მყავდა, მომიკვდა, დედა ნათესავეებს შეეკედლა, იქედან უფრო მოგეხმარებო. და მართლაც მიგზავნის ფქვილს, ტანისამოსს.

ძაღვს დიდსავეთ დიასახლისობას მამინევი მიჰყო ხელი, თუმცა დიდი მისალაგებელი, ბევრი საკმაში, შესაწევავ-დასაცხობი არაფერი ჰქონდათ. უმარილო ფხალით, ღერლილიანი ღომითა და პანტა ვაშლით მაძღრები იყვნენ და მთელ დღეს ნადირობდნენ და ლაპარაკობდნენ.

ივანემ იშოვა საუკეთესო მსმენელი, ისეთი, როგორიც ჯერ არ ყოფილა: როგორც თვითონ ივანეს სჯეროდა, ისე იჯერებდა ყველაფერს ძაღვს: ცხრა-თავიანი გველუშაბა, ნატერის თვალი, უკვდავების წყარო ივანეს სწამდა, როგორც რაიმე არსებული, ავერ მთის გადაღმა მყოფი საგანი. ზღაპარი ზომ ნამდვილი ამბავი იყო ნაცნობთა შორის მომხდარი და ძაღვს უღდასტურებდა, თათქოს მასაც ენახოს ფასკუნჯი, ოქროს მღებელი ვირი, მოლაპარაკე მელია და ჯადოსანი დედაბერი.

მაგიერად ნანახს და განაცადს ივანე ისე მოჰყვებოდა, ისე შეაფერადებდა, რომ თვითონ განცვიფრებული რჩებოდა და სხვასაც აკვირებდა. ძაღვს იჯერებდა და თან განცვიფრებაში მოდიოდა.

ერთ დღეს წაიხეშეს თუ არა, ივანემ რაღაც მზადება დაიწყო და თან უხსნიდა ძაღვს:

ჩვესში დიდი ქალბატონია, როსკანი ქვია... სასახლე აქვს, ყველა, რაც გინახავს სახლები რომ შეკრიბო, მისი ერთა ოთახი არ გამოვა. თითებზე სულ ვარსკვლავები უთამაშებს; ცხენი ჰყავს, ერთი კი არა, ათასი, მთას გადახტებიან. პო და იმან ბრძანა, ვინც თეთრს მიმინოს მომაყვანს ერთ ცხენს ვაჩუქებო. რძლისთვის უნდა — ტერეზიასთვის — ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ

ტვის ქალი ხომ ვინახავს, იმას სჯობია. მე უნდა დაევიტორო უსათუოდ ერთი მიმინო და ცხენს მომცემენ. შეეჯდები და წაეღო, ამირანს მოუყვარე წაეღო.

— ჯო!

— იცი ვინ არის ამირანი?

— ვარი... არა, — შეასწორა ძატუმ...

— რომ მოვალ, გეტყვი. ერთი მიმინო დაევიტორო, უბრალო მიმინო, მოურავმა წაიყვანა და აი ეს ქუდი მაჩუქა.

ივანემ კედელზე ჩამოკიდებული ქუდი ჩამოიღო და გოგოს დაახურა.

— მიჩუქებია შენთვის.

— მაღლი, მაღლი.

ბიუს შენანდა თავისი ქუდი; გოგომ შეატყო და დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ივანემ ძალით ჩამოაფხატა თავზე, დასტაცა ხელი ბადეს და ლაქო და გაიქცა.

გახარებული გოგო ცალფეხზე შემოტრიალდა.

ივანე გვიან დაბრუნდა, თან თევზები და კიბოები მოიტანა, მარა სახე გამოცვლილი ჰქონდა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ძატუმ.

ივანე ერთ ხანს ხმას არ იღებდა.

შინი გოგოსაც გადაედო.

ივანემ, როგორც იყო, ხმა ამოიღო.

— რომ წავედი, მაშინ მიმინოზე ნადირობა აღრე იყო და ერთი ადგილი ვიცი მდინარეში, თევზობა დაეიწყე... ა, ეს კიბო და თევზი დაევიტორო, შერე გამოვედი და ჩაუსაფრდი... ბაღე გაეშალე, ლაქოს ვუფეთქებდი. უცბად რაა ნახავ?... უშველებელმა არწივმა დაიწყო ჩემს თავზე ცაში სრიალი. ტანში გამბურძღლა. ეს კი ჩამივარდება ხელში-თქო ვიფიქრე და უფრო გაეშალე ბაღე და უფრო ავაფეთქე ლაქო.

მაგრამ ლაქო ჯოხიდან ცაღმოვარდა, და ბალახში უნდოდა შეძრომა. მეც ბაღე ხელში გამიშეშდა. გაგონებით კი გამიგონია, ნახვით კი არ მენახა ასეთი ამბავი. შორს ფრიალო ქვებზე, სადაც მზე ძალიან აცხუნებდა, აღიმართა ვეებერთელა გველის თავი, რომელიც ქანაობდა, სისინებდა და უფრო და უფრო ზევით და ზევით მიიწეოდა... არწივმა ერთი კიდევ გააყეთა წრე და შურდულივით დაეცა გველს; გველმა ვერ მოასწრო კბენა და თავდაყირა დვედივით ჩამოეკიდა ისევ აღმა მიმფრინავ არწივს, მაგრამ მალე გამოერკვა, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ნელ-ნელა თავი ზე ასწია—უნდოდა ეკბინა არწივისთვის. სწორეთ იმ წამს, როცა მკერდისთვის უნდა მიედწია, გველი ტრიალათ ქვე წამოვიდა და ქვეს დაასკდა. დავარდნილმა გველმა კიდევ მოასწრო ზე აღმართულიყო; წინანდელი ხერხითვე არწივი დასწედა გველია კუდს, აიყვანა ზევით, უფრო მაღლა, ვიდრე პირველად, რადგან გველმა ისე მკვირცხლად ვერ ასწია თავი, ვერ აიტანა წელი და ვერ მიუახლოვდა არწივს, და უშვა ხელი; გველი მეორეჯერ დავარდა; ეხლა უკვე გაქცევა უნდოდა; არწივი როცა თავს დაეცა, გველმა სინჯა თავი წამოეწია, მაგრამ ვეღარ შესძლო. ახლა არწივი თითქმის დაიკარგა ცაის სიმაღლეში და იქიდან გაღმოავდო ურწმუნო. დავარდნილს სიციცხლის ნიშან-წყალი აღარ ჰქონდა, არ იძვროდა მაინც. არწივი ნელა დაეშვა, მსხვერპლს დახედა, თამამად ჩაჰკრა ნისკარტი თავში, წაიღო მძორი და მიიმაღა.



თვალეზ-გამოპრაწყულ ძატუს რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ველამაც თქვე  
დაძახა მათ:

— რას აშინებ ამ საწყალ გოგოს, აი შე მეზღაპრია, <sup>ეროვნულში</sup> შემეზაყენე ~~მეზღაპრია~~  
ბიჭი ხარ, სადაა რომ დამპირდი, ოფოფს დაგიჭერო!

— ერთს კი არა ორს დაგიჭერ, მეიცა პატარა, სული მომათქმევეინე ერთი,  
ხომ ვაივონე რა ენახე.

— ნახე, ღმერთი ვიშველის შენ ისე! ასე იცი შენ ყველაფრის გაზღაპრე-  
ბა, — გულმოსული უთხრა ქალმა და წავიდა.

— იცი ვინ არის ის? — მიუბრუნდა ივანე ძატუს, — მართაა, ჩემი ბიძაშვი-  
ლი, ქმარი უნდა, და თუ მათ ეზოში რომ ოფოფები დადიან, დაგიჭირე, უსა-  
თუოდ გათხოვდებო. რამდენი ხანია მეზვეწებო!.. უნდა დაუჭირო... შენც  
მოწყებარე.

მეორე დღეს ივანე და ძატუ შეიფუთნენ გვიმრით, აწლით და ტირიფია  
შტოებით; შეფუთნული ბადით ხელში ხოხეთა და განსაკუთრებელი სტეე-  
ნით დაუწყეს დეენა მართას ეზოში მოგოგმანე დედალ-მამალ ოფოფს.

ხოხვა და სტეენა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს ერთის მაგიერ ორი  
ოფოფი ერთად დაიჭირეს სწორედ იმ დროს, როცა მოულოდნელმა ახლო  
სტეენამ ორივე განაცვიფრა და ჯილა ისარივით დააყენებია.

მართას სიხარულს საზღვარი არ ქონდა — ამ წელიწადში უძველად გავ-  
თხოვდებო. ივანე დიდხანს ეხვეწა, ორი ოფოფი რად გინდა, ერთი დამი-  
ბრუნე ქალბატონის პატარა გოგონას წაუყუანო — უნდოდა ეთქვა გამონა-  
ცვალს მაჩუქებსო და ძატუს ჩავაცმევო, მაგრამ არ უთქვამს — შერცხვა.  
ბატონების საჩუქარი მხოლოდ იმედი იყო, მართამ კი ნამდვილად გამოუტყ-  
ნა მათ თითო ნაგები ღობი და ერთი პატარა ჯამი ღობიო, რასაც ხარხად  
დაეწაფა ორივე სანამ ბიცოლამ არ დაუძახა:

— ივანე, ბიჭო, მოდი აქ, გოგოც მოიყვანე. ვილაც კაცი კითხულობს.

## 3

ქიშკრიდან გადმოსული მიხეილი მზებათუნისა და პუბის გამოანგარიშებაზე  
არ დამდგარა, იცოდა, რომ სილაჩრის სახელის თავიდან ასაცილებლად  
ოსტატურად შესცვალა ბევშვის გაქცევის დრო, ადგილი და მიზეზი. და  
ეხლა, რაც კი გზაზე მიდიოდა, სულ ფიქრობდა, სად გამოადენ ერთმანეთს  
ის და გოგო; თუმცა ადგილი ვერ წარმოედგინა, მაგრამ იმედი უფრო და  
უფრო უმტკიცდებოდა, რომ გოგოს ნახავდა. „აი აქ ცხენი წამიფორხილდა“.  
„აქ ჩენი კორტოხი დაეინახე და დაემშვიდდი“. „აქ მეძინა“. „აქ იყო, ამ  
დაღმართში, რომ ეს სამგლე (და სიბოროტით ცხენს ორივე ქუსლი ჰკრა)  
გამიჩერა“. „იქ იმ ჩირგვენარში მივიძალე“. „ააა, მამა ნუ წამიწყდება, აქ  
იყო ის ძღაბი რომ ვამექცა, ა, ის ხე, სადაც გოგო გაგორდა“.

და მიხეილმა ეზას გადაუხვია; ხის ძარი დაათვალიერა და მინდორს დაად-  
გა. ბილიკს წააწყდა. მას გამყევა და ეზოს მიადგა. „მასპინძლო, მასპინძლოს“  
დაძახება ვერ მოასწრო, რომ მის წინ პატარა ძაღლთან ერთად გამოჩნდა მო-  
ხუცი ქალი, და ორიოდ შეეკითხვის და გადაძახების შემდეგ მოიბრინა გოგო-  
ბიჭმა.

და ეს გოგო იყო მისი გოგო, ასე იათად ნაყიდი და ასე ადვილად დაკარ-  
გული.

დასახლისს ბერი არ დაუფანჯლებია საქმე, — ეტყობოდა, გოგოს დედა ეება მინცა და მინც არც უნდოდა, ოღონდ რადსაც მოელოდა — და მცირე ყოყმანისა, რალაც კრიმანჭული ლაპარაკისა და შევაქრების შემდეგ მინცა დასასცა სპილენძის ორი პატარა ფარა, რომელიც ქალმა მაგვრად ჩაძლუჯა ხელში. მიხეილმა წყალი მოითხოვა, დალია, და ბატონი და გოგო დაადგენ გზას.

ქალბატონი მზებათუნის წყალმანკიანი მუცელი გაჭირვებით დაქონდათ დასივებულ ფეხებს. გოგომ არაფერი იცოდა, მოსაზრებაც ვერ ჰქონდა მკვირცხლი, მაგრამ მიტან-მოტანისთვის ზედგამოჭრილი იყო და ყველაფერზე მკვირცხლად ამობოდა: „ქო, პატენი!“ გოგო და ქალბატონი ერთმანეთს შეეთვისენ: შატარა გოგოს, როგორც ეტყობოდა, მშობლების სახლშიაც არ ჰქონდა დიდი პატივი, და მზებათუნის სუფრის ნარჩენი, და ათასჯერ მიკერილ-მოკერილი სამოსი საფეხებით აკმაყოფილებდა. მზებათუნმა კი ჯერ ერთი დიდკაცობაში შესდგა ფეხი, — მოახლის ყოლა ზომ ყველას არ შეეძლო, — მეორე, სირბილი აღარ სჭარდებოდა.

გავიდა წელი, პირველ წელს მოყვა მეორე და მეოთხე და მათ შეზმატკბილებულ ცხოვრებას თითქოს ვერაფერი დაარღვევდა, რომ ერთ საღამოს ორჯერ-სამჯერ დაძახებული მზისავარი (ასე მონათლა დიდის შინაგანი ყოყმანის შემდეგ მზებათუნმა მეგრელი გოგო ძატუ) ზანტის, ერთის მხარედან მეორე მხარეზე გადაქანებული აჯაბაჯათი მიუახლოვდა თავის ქალბატონს. დაგვიანება, უცნაური სიარული, აქორფლილი სახე უეცრად მოხვდა თვალში მზებათუნს და თითქოს ელვამ წყვილიდი გაანათაო.

— მიადექი ამ კედელს, — უბრძანა ქალბატონმა, და გოგომაც ბრძანება ასრულა.

— ასე არა... თავი, ქუსლები და ზურგი რომ მიეკრას კედელს... აი ასე, — და მზებათუნი ხელით მოეხმარა რომ ბრძანება ზუსტად ასრულებულიყო. — ასლა ხელები ასწიე ზევით, რაც შეგეძლოს. ჰო, გააჩერე ასე, — და ქალბატონმა გვერდიდან ვახედა გოგოს მუცელს. დიდი კვლევა-ძიება არ იყო საქირო — ყველაფერი ნათლად სჩანდა.

— უი, თვალი კი დამიდგა! რას ვხედავ ამას?! ორსულია, ორსული, დედა ნუ წამიწყდება! — მზებათუნს უნდოდა ერთი, მიერტყმია, მაგრამ შეჩერდა, ტახტზე დაბრძანდა და განაჩენის გამტანას შეუდგა.

— ორსულად ხარ, ზომ? — შეეკითხა ქალბატონი.  
პასუხი არ იყო საქირო, საწყალი გოგო ისე კანკალუბდა, ისე იკუმქებოდა და სახეს ხელებით ისე იფარავდა.

— ვისია? — მაგრამ ეს კითხვაც ზედმეტად ეჩვენა მზებათუნს — სულწაფყმენდილი ჩემი ქმარის, აბა ვისი იქნება — თვითონვე მისცა თავის თავს პასუხი.

— ბატონისაა ზომ? ამოიღე ხმა, შე ეშმაკის ფეხო!... — მაგრამ ჩვეულებრივი „ქო პატენი“ მინც ვერ გაიგონა და გაბრაზებული წამოიწია და მიაძახა:

— არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, გათხარე მიწა და ჩაძვრი შიგ. დამეკარვე აქედან.

პირზე ხელაფარებული ძატუ ზღაზვნით გამოირდა.

— ორსულათაა მზისავარი, — დაიწყო მზებათუნმა წერილად.

— რას ბრძანებ, ქალბატონო?! — თავის მხრით შეეკითხა მიხეილი.

— ჰო, ორსულათაა... ვისი უნდა იყოს ნეტავი?

— იმ ბიჭისაა, აქ რომ დაეთრეოდა წამლაუწყობა.  
 — ნუ წაიწყებენდ სულს, რას ერჩი იმ საცოდავ ბიჭს, ანუ, დეტალებია.  
 — რაეა არ დასიზმრებია! საჩუქრები რომ მოჰქონდა, ზეგაყურებოდა.  
 — რა საჩუქარია დედის ნაქონი ორი ღილი და სამი კაკალი თაღლითი.  
 — აბა დედოფლის ჯიდას ხომ ვერ მოუტანდა, რაც ჰქონდა ის მოჰქონდა, ხან პანტა ვაშლი და ხან მძივი.

— ამ ოთხ წელიწადში სულ ოთხჯერ თუ იყო, შე კაი ცაკო!  
 — შე დალოცვილო, ოთხი მოსვლა არ ეყოფა ერთი მღმურტლიანი ზაღანის გაკეთებას! ველათის მონასტერი ხომ არ არი, წლობით აშენოს კაცმა.  
 — უი, უი! რას ამბობს ეს უნამუსო?! რაეა აყროლდა და აყროლა ყველაფერი! — შეკიელა მზეხათუნმა.

— რა გენაღვლება ახლა, მზეხათუნ ჩემო, ერთი გოგო ან ბიჭი რომ შემოგვემატოს. უნდა გიხაროდეს ციდეც. და, თუ ქალი ხარ, სოფელ-ქვეყანას ნუ შეაწირიალებ — შენც სასაცილო გასმდები და მეც. ისე ჩუმ-ჩუმად ასეთი ამბავი ყველგან ხდება.

მახეილმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ თვითონ არაფერ შეაშია, დარწმუნებული იყო რომ ბავშვი იმ ბიჭს ეკუთვნის, რომელთანაც თავი შეაფარა ოდესღაც გაქცეულმა ძაღლმ და რომელიც მოდიოდა და ეკურკურებოდა, მაგრამ თავგამოდებით არ უარყოფდა თავის მამობას — უნდოდა მზეხათუნისთვის დაემტკიცებია, უშვილობა შენი ბრალიაო და ჯერ კიდევ ჰარმაგ ვაქკაცად თავი გამოეყვანა.

— უი, უი, ფუი ეშმაკს! — დარჩენოდა მხოლოდ წამოეძახნა მზეხათუნს და მარტო შედგომოდა ამ უბედურობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომებს, მაგრამ სანამ დამხმარედ არ გამოჩნდა მთელი მიდამოს ხან მოჩვეული და უფრო ზმარად უწყვეტი დამრიგებელი ქალბატონი პეტი, მანამ მზეხათუნმა საქმეს თავი ვერ მოაბა.

მიჯნურობის მხარეს ყველაზე ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მზეხათუნნი. ავადმყოფ ქალს ზვევან-ალერსი ეს თითქმის ათი წელია. აღარც კი აგონდებოდა, მაგრამ არ შეეძლო გულგრილად ეყურებინა, მის დოვლათს როგორ დაეპატრონებოდა ვიღაც ორ ქაღმა გაცვლილი მურტლიანი გოგო. გაეგდო? და აღარ ყოლოდა მოახლე? ქალბატონი ისე შეეჩვია ქალბატონობას, და ახლა ამ სიბერის დღეს სადღა შეუძლია ცეხვა, რეცხვა, ბოსტანის გამოხილება, საქონლის ფუნის გატანა. არ შეუძლია! სწორედ არ შეუძლია! კმარა, რაც სიყმაწვილეში თავი ჩააკლა, წელი ჩააწყვოტა ამ უმადურ ოჯახს.  
 — დაჯტოვო? — შეათუჯერ ეკითხებოდა თავის თავს მზეხათუნნი, — და უყურო ჰკრიტიკალიდან, როგორ ალერსობენ? არ შემიძლია, არ შემიძლია! რა ვქნა?

ასე ფიქრობდა მზეხათუნნი, როცა ციმკარში ჩამოვიდა პეტი და ისე დაადგა თავზე, რომ ფიქრში გართულს არც შეუშინებია.

— უი, უკაცრავად, გენაცვალე... — დაიწყო ბოდიში მასპინძელმა.  
 — ვიცი, ჩემო მზეხათუნ, არ გაქვს თავი სტუმარ-მასპინძლობის. ნუ მომერიდები, ჩემთან შენ რა ბოდიში გინდა? — ნეტავი კი რამე შემეძლოს, თუარა...

დასხდენ და ერთხანს სდუმდენ.  
 — მაინც რა ვქნა, ვერ გადამიწყვეტია, — მწუხარედ დაბრუნდა სიტყმე მზეხათუნმა, — მიჩიე რამე.

— ზომ იცი, ასეთ საჭმეში თვითონ უნდა გადაწყვიტოს ყაციმა. მე რომ ვიყო, ახლავე გავაგდებ გოგოს და მისი ჯანი, თუარა დაგოდებეს, ბედსა და ზარდს შენ, შემგულადის ქალო. იქნება მერე ნაწილიც ჭე მგინს და მისსა ბიჭმა და უყარე კაკალი. მვილი შენ არ გყავს საუბედურით.

— მეც მასე ვფიქრობ, მარა ოჯახს რა უყო? აღარ შემიძლია, პუბი ჩემო, გარჯა, და ეს მკლავს.

— ახლა შენ ვერაფერზე უარს ვერ ვიტყვის შენი ქმარი, გიყიდოს ერთი კი გოგო და მოგართვას საუბატიოთ.

— სად გვაქვს მფედენი, პუბის ვენაცვალე?

— რატომ არ გავქვს? დიკლოს შემმა ქმარმა. თუ ასეთი დარდიმანდობა უნდა კიდევ იშოვოს. შენი რა საქმეა, სად იშოვის?! ზღვიდან ამოიღოს და მთვარიდან ჩამოიტანოს. სხვა თუ არაფერი, ცხენი ზომ ყავს, გაყიდოს და ის იქნება — აბა, აბა ხასებით აავსებებ ოჯახს? — უფრო და უფრო კაპასობდა პუბი.

— კაი ახლა, თუ გინდა გავავდე გოგო, სად უნდა წავიდეს? — მზეხათუნი ეძებდა დამაბრკოლებელ შაზებს, რომ გოგო შეენარჩუნებინა.

— მავას კი უნდა, მართლა, მოფიქრება — ქრისტეიანი კაცის შვილია, კატის ქრუსთავით ზომ ვერ გადაავდებ, — და პუბი ღრმად ჩაფიქრდა, — ჰო, დიდხანია ვიფიქრე ამაზე, მარა არ ვიცი დანამდვილებით... კნეინა როსკანას რძალი ტერეზია ფეხმძიმედ ბრძანდება. ეს შენი გოგო ჯანსაღია, უთუეს-ტომია, იქნებ ქნას წყალობა და აიყვანოს. ერთხელ ისიც მითხრა, მინდა ისეთი ძიძა ვიშოვო, რომ მარტო ჩემი შვილის იმედით იყოს! შეიძლება ცოტა რამე კიდევ მოგეცეს. გავა წლები და, ახლა როსკანი შენ გოგოს არ დაეხარბება, დაგინტუნოს იქნებ მისი მვილიანათ, და ყველაფერა მოგვარდება. შენი ქმარიც ამ ორი-სამი წლის მერე არმოიყვანას აღარ იყადრებს და, რომც იყადროს, რა მორარშიყე მიეყოლება?! — ქალეშმა გაიღიმეს — ღმერთმანი, მგონი ასე აჯობებს.

— და მიხეილი, მიხეილი დამეთანხმება კი?

— უი, ღმერთო კი მომკალი, მიხეილს ვინ კითხავს?! ყელი გამოგჭრა და გამოვლებაც მას უნდა კითხო? აბა მეიფიქრე, მზეხათუნ, გენაცვალე! ახლა სახლში წავალ, საკერავი მაქვს, კვირისთვის უნდა მოუსწრო ჩემს ბიჭს.

მეორე დღეს მზეხათუნ ქალბატონი დიაკონს ეხვეწებოდა ქალღალი მომეციო და ბატის ფრთა მიუტანა ცალმად გამომიტყერიო. დიაკონმა ფრთა აღვილად გამოჭრა, მაგრამ ქალღალზე ეკლესიაში წავიდა და იქიდან ერთი ნაგლეჯი მოიტანა, რომელმაც მზეხათუნი შეაცუბუნა.

— კაცო, რას მიშვები, ეს სახარებიდან ამოგიღლეჯია, წაეწყდებით შე სულწაწყმედალო.

— რავა გეკადრება, შენ თუ არ მებრალეები, დიაკვანი კაცი ამას როგორ ჩავიდენდი?... ლექსის წიგნი ჰქონებია მღვდელს, შიგ ნათლობის სიას წერით, და იქიდან ამოვგლიჯე.

მელანიც ძმარით და ნაქაზე აფხევილ ქვარტლით შეაზავეს და მზეხათუნი შეუღლა შემდეგი უსტარის წერას:

დიდო ბატონო და მატრონო

ყოველთა ქალთა უმშვენიერესო, სანახავად სანატრელო, ბრწყინვალუო კნეინა.

თქვენისა ხილვისა უღირსი უძღურებისა ჩემისა. გამო უპარველად უხრწნელსა ღვთისმშობელსა მარიამსა სახელოვნისა ექვეყნედილსა თქვენისა ზედნიერებასა და ჯანმრთელობასა მუხლმუცრფუროსა შევედრო...

კნენამ მეტი ველარ წაიციოთა წვეტიანი/სსოებით, ქარაგმებითა და ხვეულებით ნაწერი ბარათი, განზე გადადგა და პუბის მიმართა:

— შენ დეკოდინება, პუბი, რა უნდა ამ საწყალ დედაკაცს?

პუბიმ, როგორც მისის აზრით დადგაცებთან ბაასს შეეფერებოდა, დაწერილებით და დალაგებით დაიწყო თხრობა არა ნაკლებ ბუნდოვანისა და ღრმა სიტყვებით.

კნენა როსკანი წარმოშობითაც დიდი კაცის ქალი იყო, ქმარაც დიდი კაცი და დიდი მოხელე ჰყავდა, საქმე მართლაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ დიდკაცობას აათებდა — ოდიშის მთავრის მეუღლეს ადარებდა თავს, საქმიანობას აასკეცებდა, მუდამ დროის უქონლობას უჩიოდა, ამიტომ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, საქმეს სწრაფად სწყვეტდა. პუბის ენაწყლიანობაც უნდოდა შეეწყვიტა, მაგრამ ბელათ სიტყვა მზეხათუნის იპვიანობაზე გადავიდა; ამან კი ისე გააცინა კნენა, რომ მხრები და გულმკერდი აუთრთოლდა, მუთაქას მოქანცული მიეყრდნო, ფეხები ტახტზე აიტანა და შემოიკეცა.

— არა, თუ ქალი ხარ, თუ! ჰა! ჰა! ჰა! მიხეილი მოარზიე! — ძლივს ამბობდა კნენა.

— კი, თქვენი ნუგეში არ დამეკარგოს, ასე ამბობს, მათ აღერსს როგორ უყუროვო?

— მართლა მისია, პუბი? — კიდევ იცინოდა კნენა.

— საწყალი მიხეილი ფიცაჟს, მარა რა ვიცი?! ვილაც თქვენი ფარეში ყოფილა, ივანე ბელფრაშვილა, იმას აბრალებს.

— ჰა, ჰა, ჰა! მერე რა უნდა მაგ საცოდაჟს?

— წაიყვანოს ეს გოგოვო, მის მაგიერ სხვა ვინმე მიწყალობოსო.

კნენამ თვალები მილულა, როგორც რაიმე გადაწყვეტილების დროს ჩვეულება ჰქონდა — თითქოს ქვეშაობას შორით ვკერეტო და მოკლედ გადაწყვიტა.

— კარგი! მე ტურფისაბარს გაუგზავნი, მაინც და მაინც იქვმისატანი არაფერია, და მან ის გოგო გამომიგზავნოს. ყმაწვალია, ჯანსაღია, ზომ? არ შეცდეს და არ შემაცდინოს.

— რომ არ ვიცოდეს და ისე წამომცდეს, ენას არ ამოვითხრი?! კენჭივითაა, კნენას ცირი შემეყაროს! ყვავილი სჭირდა, თორემ ამ ხუთ წელიწადში, მე ვარ მოწამე, ფრახილი არ წამოტკივებია, ნაყვავილევიც არ დაჩენია.

— იმ გოგოს ჯვარს გადაეწერ... რა ქვაა?

— მზისაბარს უძახიან და შენ, რაც გენებოს ის დაარქვი, გენაცვალოს ჩემი თავი, შენი ნება არაა...

— ჰო და იქნება ჩემთან ქმრიანად ამ ჩემს სასახლეში... და არ შემომესევა ძიძის ოჯახი, ცვარი და მათი მოყვარე. ასი კაცი არ გამიხდება სარჩენი და საზრუნავი.

— რჩენა არ გაგიპირდება, მარა სნეულებას და მურტალ ჩვეულებას ვერ შემოიტანებენ ოჯახში.

— გადი, ა, არ გინდოდა მაინც ტურფისაბარი და უთხარი მოგმზადოს და მიხეილ ყორაშაძესთან წააყვანიე.



- ეი, ბატონო, უარი რომ თქვას?
- მაგისთანა რამ არ გამაგონოს როგორ თუ უარს იტყვის! მკვებულს სამზარეულოში ყვირილ-ტირილი შეიქნა. ტურფისახარი გვეჯავიყრდა მან მომიხერხაო, მაგრამ აქაც პუბი გაჩნდა.
- ნუ სულელობ, დედაკაცო, ის მიხეილა დღეს თუ ზვალ დაქვრივდება და... ვინ იცის...
- უიმე ბეჩა, ასი წლის კაცი?
- არც შენ მყავხარ ნეკის მლოკავი ცოგონა...

## 4

ტურფისახარმა მიხეილ ყორაშაძის ოჯახში მოიკალათა, და ცოლ-ქმართა შორის მშვიდობა დამყარდა.

აქ ვტოვებთ სამუდამოდ მიხეილ და მზეხათუნ ყორაშაძეებს და მათ მოახლეს ტურფისახარს.

ჩვენი მოთხრობის მსვლელობისთვის მათ დაასრულეს თავისი როლი, მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველების დასაკმაყოფილებლად და კრიტიკოსების ყბიდან თავის დასაცავად — არ დაემართა მოთხრობის ზოგიერთ მოქმედ პირსო, — არ დაეზარებთ, მოგახსენოთ: მზეხათუნი მალე გადიტანა წყალმანკმა. ტურფისახარის სახელად ნელ-ნელა, თანდათანობით გადაიქცა თათიან და როგორც ზავის და სურო, აწწლი და გვიმრა გადიზლართება, ან ცენჭი და სილა მდინარის პირად აირევა ერთმანეთში, ისე შეუერთდა მიხეილს... ჯვარიც კი დაიწერეს და ცხოვრობდნენ ტკბილად, სანამ ორივეს განკითხვის დღე არ დადგა, სამ თვეში ერთი მეორეს გაპყვა „ადგილსა ყვავილოვანსა“.

არც რუსეთისა და ოსმალეთის ომებს, არც დიდ რეფორმებსა და გლეხთა განთავისუფლებას მათზე არ მოუტყდენია არავითარი გავლენა.

ძატუს კნენამ საკეთარი სახელიც აღუდგინა და სასახლეშიაც გადმოიყვანა; სასახლის მღვდელმა მოურავთან კი ჩბუტბუტა „ჯერ ცოდვის მონანიება უნდა და შემდეგ ჯვარის წერაო,“ „დასაქორწინებულთა გამოცხადება არის საჭირო ეკლესიაშიო, ვინ იცის როგორაა მათი საქმეო,“ მაგრამ კნენა რომსკანის წინაშე ყოველივე დაბრკოლება გაქარწყლდა, ყოველივე დადუმდა და ორ გულითად მეგობარსა და მიჯნურს — ივანესა და ძატუს ჯვარი დასწერეს.

ბებია-ქალმა — იმავე ქალბატონმა პუბიმ — ლოგინიდან ჩამოიყვანა ძატუს სკამზე დასვა, ზელში მიაჩნა დირედან ჩამოშვებული ბაწარი და უთხრა:

— დაიჭი და დაეკიდე!

მეორე ქალმა სკამს გობში ჩადგმული ფიცარი მიუყენა.

— ნუ დამიწყებ ახლა ერთი კნენობას, რა ჩვენი საქმეა ნაზობა! შენც ერთი „დობტური“ მომინდომე! — მიაძახა ბრანზმორეულმა პუბიმ როცა ძატუმ კვილის უმატა.

— მტკივა ბეჩა! — კიდევ უფრო შეკივლა მშობიარემ.

— მტკივა! გეტკინება, აბა რაფა იქნება?! როცა სიამოუნებდი, მაშინ რა-

ტომ არ გაგახსენდა რომ გეტყინებოდა, ახლა მოითმინე. საყვირალ არაფერი გაქვს — ქვეყანას ნუ გააგებიებ შენს სიყვითეს.

— რა გაუძნელდა ამ საცოდავს?! — ჩაულაპარაკა დამხმარე ქალბატონი — მკვდარი ყოფილა ბავშვი — უბასუბა ბებია და დაუმატა — იქნებ უკეთესიც იყოს მისთვის. კნინა ტერეზას ბიჭი ტყვილა ხომ არაა „დობტორის“ ზელში დაბადებული — ორივეს ეყოფა, დედისაც და ძიძისაც.

ძატუს შერცხვა და მშობიარობის მთელი შემდეგი ტანჯვა კბილის კრატუნითა და გულში ჩათხრობილი ვაით გადიტანა.

პუბი გაბრაზებული იყო, რომ ორიოდ დღის წინათ კნინას მოლოგინებისთვის ქალაქიდან საგანგებოთ მოიყვანეს ექიმი, ის კი არც მიუშვეს მელოგინესთან და ახლა ამ საცოდავ ქალზე იყრიდა ჯავრს.

ქალბატონებს აღსრულდით სურვილი: ბავშვი გაძიძებული ჰყავდათ, მაგრამ შინ იმყოფებოდა; ძიძა ჰყავდათ, მაგრამ ძიძას მთელი სოფელი არ ეკიდებოდა ზურგზე; ამას ძიძის უშვილობაც დაემატა — ძუძუზე აყვანილი მკვიდრ შვილსავით ძვირფასი ხდებოდა.

მუბიმ ჯააფრთხილა ძატუ:

— სანამ ბავშვს აწოვებ, ქმარს არ გაეკარო... რძე არ გაგიფუქდეს... თუ არ დაორსულდები, ქალბატონმა აცის დაჯილდოება — ძალი არ დაყვდეს შენს ბედს, — მარა მზეხათუნი არ გეგონოს, ცუდათ მოეწყობით... თუ...

ძატუმ ნაწუსიანად შესრულა მოვალეობა; დარცხვენა წარსულის გამო, გარდაცვლილ ბავშვზე მწუხარება, ძუძუზე აყვანილი ბატონიშვილის სიყვარული, უადგილობა და ივანეს აქეთ-აქით ზშირი ხეტიალი, საშუალებას არ აძლევდა ცოლქმრულ განწყობილებისათვის...

არც კნინა დარჩენია მთლად მწყურალად — როცა შვილაშვილს ძუძუ წაართვეს, ძატუს მისცეს იქვე ახლო ქვევა ადგილი, მოუწინეს და აუშენეს ისლით დახურული ჯარგვალ ნარევი ქოხი, გადმოუტანეს ივანეს ბარგი-ბარზანა, ფულად რვა მანეთი ჩაუთვალეს, გამონაცვალი კაბათეთრეული გაატანეს და გაანთავისუფლეს.

და აქ დაიწყო ცოლქმარის დევგმობობა.

წინათ ივანე არ აკლავდა თავს შრომასა და ჯაფას — სახლი სახლად რჩებოდა, თვითონ კი სასახლის სამზარეულოში უჯდა კერის წინ ფარეშებს, მოახლეებს, ზაზიერებს და დროს ატარებდა ზღაპრებისა და ამბების თქმაში.

სასახლეს ერთი შიკრიკი მაინც სჭირდებოდა და ის იყო ყველაზე ფეხმარდი და საიმედო — მეტს არ იტყოდა და ამბებით დატვირთული მოვიდოდა. სამოახლოს, სამზარეულოს, სამეჯინბოს ერთი მთქმელი სჭირდებოდა და ეს იყო ივანე. ასე ივანე თანდაყოლილ სურვილსაც ისრულებდა და ბატონყმათა სასიამოც რჩებოდა.

უხლა კი გლეხებსაც უკვირდით, ბატონებს კი სასწაულათ ერვენებოდით, თუ როგორ გარდიქმნა კნინას ნაჩუჭარი, ნაცრისფერი, ყვითელი გვიმრით დაფარული ზოფი, შავ მიწად, და ზედ აბიბინდა ვაზი, ხილი, ყანა და ბოსტანი. ჩირგვები და ფიჩხი არ დაუწვავთ — შეშად შეინახეს, მიწა გადააბრუნეს, ფერდობებზე ღვარის ჩამონარეცხს დასაღებად პატარა-პატარა ღობე-ყორე აუშენეს; ნაკვეთს ირგვლივ ბეოლა შემოურგეს; აქ წაბლს, იქ რცხილასა და კომიტს სურო და მკერტელა ჩამოაშორეს, ნიგოზი დარგეს, ვენახი ჩაყარეს, ბატონის მიტოვებულ ქართიდან თხრილით პატვი მიუშვეს, ტყეში ნაბოვნი ნაყარი ფუტკარი ბუკად შინ დაიღვეს.

გაზრდილის ნათლიამ უწმინდელი აჩუქა ძაბუს. სამ ბებერ თხანად დაკო-  
რულ ქურში ბიძამ ივანეს თითის ოდენა ორი მოზვერი მისცა, „ოლონდ და-  
ესახლე და მეტს გაძლე, ღმერთთა მოწამეო“ დაუმატა.

— მალე იმაგრებს ფეხს ჩვენი ახალი მოზვევე, — იტყოდა ერთი.  
— ი დედაკაცი, თვარა ივანე მეზღაპრეა! — უმატებდა მეორე.

„შუბიანი თეთროსანის“ დღის წინა საღამოთი, როცა ქმარს ეძინა, ძაბუმ  
დედალი დააკლევინა მეზობელ ბიჭს. თავ-ფეხი და კეჭი-ფილტვი ცალკე  
მოხარშა, სამი თავლია პატარა ხაჭაპური გამოაცხო, ყველაფერი ეს ჯამზე  
დააწყო, სამი ანთებული კელაპტარი მიაწება და ილოცა: „შუბიანო თეთრო-  
სანო, თეთრად დამიბერე ჩემი ივანე, ჩემი გაზრდილი დაეითი“. ძაბუს უნ-  
დოდა განეგრძო ჩამოთვლა, თუ ვისი თეთრად დაბერება უნდოდა კიდევ,  
მაგრამ აღარავინ ყვავდა და ოდნავ გულნატკენმა/ისევე გაიმეორა: „შუბიანო  
თეთროსანო, თეთრად დამიბერე ჩემი ივანე, ჩემი გაზრდილი დაეითი“ და  
დილით გააღვიძა ივანე და სანთლებიანი, საესე ჯამი გაუწოდა.

— რა გინდა ქალო? — შეეკითხა თვალების ფშვნეტით ივანე.

— ჭამე, ბატონო, შენ ზარ ოჯახის უფროსი.

ივანე მიხვდა, იამა, ჯამი ჩამოართვა, წამოდგა, ჯამი კარადან თაროზე  
ჩამოდგა და ვითომ უნდოდა გარეთ გასულყო, რომ დედაკაცმა მიიძახა:

— არა, ა, პირი არ დაიბანო, ეს ჯამი ასე უზმოდ უნდა გასცალო.

— მოდი შენც ჭამე, აბა.

— არა, ა, ეს შენია, მარტო შენი.

ივანემ ჩვეულებები კარგად იცოდა, მაგრამ ეხლა თაღლითობდა, რომ ცო-  
ლისთვის ესია მოვინებინა და უთხრა კიდევ:

— დაშავიწყდა, ქალო, ეს ამბები... აბა ვინ მომაშავებდა საუფროსოს?! —  
და მადიანად შეექცა ხმადას.

მზემ მოიარა ეზო. მამალმა მიატოვა ყვილი. ცაში ელივილით დასრიალებ-  
დენ მერცხლები. ქათმები აკაკანდენ; ღობის ჭიშკარში ძაბუმ გადაუშვა  
ძროხა და მაკე ღორი. ბუოლების ძირში დააბა თიქნებიანი თხა. მოზვერებს  
გამოჭრილი ჩალა დაუყარა.

— აქ მარტო მოილოცავემ მეტი არაფერი, ჩვენში კი ახლა ჯარია — ბურ-  
თაობა, ცეკვა, ქეიფი, შარულა — ლაპარაკობდა ძაბუ და თან ფუსფუსებდა  
სახლში.

— ბატონები თუ ქეიფობენ, თორემ სხვას, შენ არ მომიკვდე, ასეთი არა-  
ფერი ჰქონდეს...

— ამ ერთი დღისთვის ყველა მოიმარაგებს ერთ ფინჩხა რამეს...

— წავიდეთ თქვენ სოფელში, მოვიკითხოთ თქვენიანები, ვაგებარდება,  
ვაგებარდებათ.

— ეჰ, მამას არ უყვარდი, თუ ვყვარებოდა, შენ რომ გააგებდი ჩემი  
აქ ყოფნა, მნახავდა ერთხელ მაინც, მკედარი დაძმა არ მყავს, და დედი-  
ნაცვალი ხომ ღმერთთა ნუ მანახოს. ორი დღის სავალა — რამდენი მაგზა-  
ლი დაგჭირდება; ახლა ძღვენი და საჩუქარი, სად აუვალთ, სად წავა?!

— არა, გაისათ უნდა წავიდეთ... ვიშოვით რამეს... — ივანემ გასცალა ჯა-  
მი და ცოლს უთხრა:





— აგაშენა ღმერთმა, მარა შენ შშიერი დამრჩი!

— ნაწირებს სადილს ვქამთ და მოვასწრებ გაძღომას; <sup>მწიგნობრისა მცემელი აღორებ ღორია, და აჭორებ ქორია.</sup>

ძატუმ მიალაგ-მოალაგა ქოხი, საქმელ-სასმელი მიდგა-მოდგა და ცოლქმარი ეკლესიაზე წავიდა. წირვა თავდებოდა. გალავანში უკვე ყაყანებდნენ. ძატუს ვული დაწყდა, რომ დასაბატოებელი ვერვინ დაინახა, „ასე გამოწყვეტილი რაგა ვართ სოფელ-ჭვეყანაშიო“, მაგრამ შინ როცა დაბრუნდნენ, მალე გამოაკეთა თავისი და ქმარის გუნება.

კერაზე ეფიცებოდა ქოთანა, ნაჭაზე ეკოდა კარდალა ღომით და ერთი მეორეზე დადგმულ კეცებზე ცხვებოდა ნეშოდაფარებული ქადები.

ძატუმ მზიარულად დადგა დაბალი სუფრა, გამოიტანა კარადიდან ყველი, დააწყო ქაღი, დაავო ღომი, ივანეს ადგილთან დადგა დოჭი, თვითონ მოიდგა ქათმით ქოთანა და დაუძახა ივანეს:

— მოდი, კაცო!

ივანემ სიამოვნებით გადახედა სავსე სუფრას და ამყად სთქვა:

— თუ ელია არ გადაშერიო...

— ნუ ცოდავ, კაცო!

მაგრამ ივანე არ შეჩერდა და განაგრძო.

— ...გაისათ ერთ ოთხ საბალნე ღვინოსაც ჩავასხამ, ახლა წყლითაც დაეკმაყოფილდეთ...

— რატომ? ღვინოც გვაქ, ღვინოს წყალობა! — და ჭინჭილა გადაუდგა ივანეს — დოჭი მანდ არ არი?

— ბიჭოს, შე წყალი შეგონა!!! მართლა რომ ღვინოს წყალობაა, საიდან იშოვე?

— შე კაცო, ჩვენმა ვენახმა იმდენი ქე შეიბა, რომ ქვაბში გამომეწურა ერთი ორი დოჭი.

— ოჲ, პირველი მოსავალი ჩიტისაა, ცოდა ფიქნია... მარა კადო უკეთესი, დევილოცაე ერთს.

ივანემ ჭინჭილა აავსო.

— სახლრ გვაქ, მოზერები წამოიზრდება, ხელაში სიმიდია, მოსავალი გვეყოფა... რა გვიჭირს? ეივსოს ეს ოჯახი სიტკბოებით, სიხარულით..

როცა ივანემ ჭინჭილა ხელმეორეთ აავსო და ძატუს გაუწოდა, ფერწასული, უძრავად ჰჯდომი ქალი დაინახა და გაკვირვებით ჰკითხა:

— რა დაგემართა ქალო?

— მუცელი მეძრა, — წაიღუღუნა ძატუმ.

— დალიე, ყუათს მოგცემს! — და ქალს ჭინჭილა ტუნზე მიადგა და შემდეგ ხმადაბლა დააყოლა:

— მაშ, დავსახლდით!

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება არ ვიცით. რა საკვირველია, რომ ივანე-მთქმელის ცხოვრებაც მხოლოდ ხარვეზებით მქონდეს გადმოცემული.

ვაი რომ, რასაც ვწერ, იმაზე მეზადება იჭვი, თორემ ხარვეზებს უბოდიშოდაც მაპატიებდენ.

ივანე და ძატუ „მზე და მთვარესავით შეაბერდნენ ერთმანეთს“, როგორც

უსურვა მათ, ჯვარის წერის შემდეგ, კნენა როსკანის სამხარეთლოში გამართულ ვახშამზე შეხარხოშებულმა მოურავმა; ორი უფროსი ცნობილიანი ვაჟა უკვე ცალ-ცალკე დაესახლებიათ; უმცროსი შეეცდებოდა ლაქში და მშობლებს ფულს უგზავნიდა, რომ შემდეგ შინ დაბრუნებულიყო და მათთან დასახლებულიყო. ქალიშვილი გაეთხოვებიათ და ახლა საშობაოდ სტუმრად ჰყავდათ მისი 15 წლის ბიჭი, სემინარიის მოწაფე, ზურიკო.

კერაზე თავშეპყრული ეგდო თავისი ძირ-ფესვიანად ორი ვეება ხე, და კერამდე აწედილი ცეცხლი კიდევ ანათებდა და კიდევ ათბობდა ქოხს. ივანე გობზე დამბალ ჯოხს ჩიჩილაკად ზდიდა და ზურიკო კვახს იწვავდა და ზოგჯერ ნაქაზე დაკიდებულ აჩუხჩუხებულ ტკბილიან ქვაბში სუთს ურევდა, რომ ავადმყოფის აჩემებელი, ჯანჯუხებისთვის ანცმული თხილის კაკლები სასახლიდან დაბრუნებულ ბებიას შიგ ამოეველო.

— გამარჯობა თქვენნი! — მიესალმა ბაბუა-შვილიშვილს ახლად შემოსული მოხუცი დედაკაცი და კერასთან ჩაჯდა.

— გამარჯობა, გამარჯობა, მართა დაია, დაბრძანდი, დაბრძანდი, ამ ბაქს ვერ იცნობ?

— როგორ არა, ბენა?

— რამ მოგიყვანა, ქალო, ამ სიშორეზე? — და კითხვის უხერხულობა რომ ჩაეფარცა, ივანემ განაგრძო, — იცი რა გამახსენდა ახლა! გახსოვს მე და ძატუს რომ ოფოფებს გვაჭერინებდი — ხომ ავიხდა, იმ წელსვე გათხოვდი, ხომ?

მართამ ორივე ხელი გადაუქნია, თითქოს ქოქოლას-აყრისო:

— გაჭერიბდი, აბა! თვითონ დაიჭირე და ას იყო! უი ნეტავი არც ოფოფი დაგეპირა, შენის კარვად ყოფნით, და არც მე გაეთხოვილიყავი.

— რა დაგემართა, რა ამბავია? მართლა სახე შეგცვლია, მკვდრის ფერი ვლევს?

— რა კიი დამემართება ჩემი შვილის პატრონს?

ყოველგვარი ახალი ამბის მოყვარული ივანე შემობრუნდა, თხილის ჯოხი მუხლზე დაიდვა და სმენად გადაიქცა, მაგრამ ახლა მართა შეეკითხა:

— ძატუ სადაა?

— სასახლეშია, ბაბო გაუხდათ ავით დე ამას უვლის, — სასწრაფოდ უპასუხა ივანემ, რომ ამბავი მალე მოესმინა.

— ჰო და თუ გადაედვა ბებიას ტიფი, მოსაველედა კაცი არ მოვა აქ... — უქმყოფილოდ შენიშნა ზურიკომ.

— გადამდები არააო, დობტურს უთქვამს.

— სად შეეყარა საწყალს, ახლო-მახლო არ გამიგონია.

— რაც დიდი ქალბატონი როსკანი გადაიცვალა, წყდებიან სულ... ჩემი ვაზრდილისა და ამ ბაბოს მეტი არავინ შერჩათ.

— გაწყდებიან, აბა რა იქნება?! ცოდვამ პალიასტომი დააქციაო... ისევ მწყრალად შენიშნა ზურიკომ, რომელიც უკვე აღვილს უთმობდა ახლად შემოსულ ბებიას.

ძატუ სასწრაფოდ მიესალმა მართას, ტკბილს სუთი მოურია და დაწყებულ ღერზე თხილს დაუწყო ანცმა.

— წამომყევი ერთი ბატონთან, იქნებ ის ბიჭი გამიჯოროს.

— რა შუაშია ბატონი, ბატონ-ყმობაა თუ? — წაიბუღუნა ზურიკომ.

— შენ არავინ გეკითხება მავას! — გაბრაზდა უცრად ივანე.

ბაბუს მენიშენაზე ნაწყენმა ბიჭმა უკვე შემწვარი კვახი აიღო და გავიდა. ძაბუს საშინაოთის არ შეუშვია ხელი ისე შეეკითხა:

ერქუნულნი  
გინჯლინთქან

— არ მეტყვი, გენაცვალე, რა მოხდა, რისთვის?

— რა მოხდა და ჩემმა შვილმა გამომიცხადა, კიათურაში მივდივარ სამუშაოდ, და შენ რაც გინდა ის ჰქენი ამ მიყრუებულ სოფელშიო. ამას მოველოდი ამ სიბერის დღეს?

— არ წავა! — გადაკრით სთქვა ძაბუმ.

— რაცა შენი ბრალი იქნება, თვარა კიათურაში გამქცევს არ გავდა გუშინ რომ ვნახე გუდევანა, — დაუმატა ივანემ.

— ვაი ჩემი ცოდვა, შენც რომ ასე ამბობ, რაღა უნდა მეშველოს? — სასოწარკვეთილებით ამოიოხრა ჭალმა და რამდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოეკარდა. ივანე ისევ ჩიჩილაკს დაუბრუნდა, ძაბუ თხილის უკანასკნელ კბლებს ანცევამდა ძაფზე.

— ნუ მეტყვით უარს, წამომყვებით ბატონთან, იქნებ რამე მიშველოს, გასულელებული ბიჭი კტუაზე მოიყვანოს.

— ბატონის რა საქმეა, შენ ბიჭს კიათურაში უნდა წასვლა თუ ტრაპიზონში, ზურიკო მართალს ამბობს, ბატონ-ყმობა კი არაა ახლა — უბასუხა ისევ ივანემ.

— აბა ვისი საქმეა, ვინმესი საქმე უნდა იყოს ზომ?

ამ მოსაზრებას ივანემ ველარ გაუძლო და შერიგების კილოთი შეეკითხა:

— თითონ ბიჭი მაინც რას ამბობს, კიათურაში წასვლა რათ მომივიდა კტუაშიო?

— მოდი და შენ ელაპარაკე გამოლენჩებულ ვირიკას — შვილს უნდა ვასწავლოვო. ფული მინდაო. გეიგებ რამეს ახლანდელი ბიჭებისას? გადირიენ, გადიშალენ! ფულები უნდათ! სოვდაგრის შვილები გამომიჩიდენ მაგენიც! ერთი საწყალი თუმნიანი დამილანდა, შავი დღისათვის სამარხად მაქვს გადანახული, ვინ იცის კაცს რა დაემართება და შემომიჩინდა, შვილი ქალაქში მიმყავსო, ექვსი აბაზი მომეცი წულას ვუყიდიო, თითქოს ქალაქიანი არ ეკადრებოდეს ჩემ შვილიშვილს! წლიდან წლამდე ფეხშიშველი დავდივარ მაგისთვის, მაგ გასაგლეჯისთვის, თვარა სხვა ვინ მყავს, მე თვალ დასამსება.

ივანემ გულიანად გადახარხარა.

— რა გაციინებს, შე კაცო, მე ცაცხლი მეკიდება და შენ იცანი?! — შეკრთა მართა.

— უი, ღმერთო კი მომკალი! — შეუტია ქმარს ძაბუმაც — ბიძაშვილი რჩევას ვთხოვს და დახმარებას, და შენ კი ვიტივით იცინი! რა პატიოსნება! თუ არ ეცი რჩევა, გაჩუმდი მაინც.

— დაჯექი, დაჯექი! — დააშოშმინა ივანემ ფეხზე წამომდგარი მართა — ერთ ამბავს გეტყვი და მერე, რაც გინდა ის ქენი, შენი საქმეა.

— მაცა, შენი კიჩიმი, რა მეზღაპრება ახლა? გამიშვი, მე ჩემს საქმეს უნდა ვეწიო.

— მეიცა, ა, მეიცა! ამ შუალამზე რა საქმეს უნდა ეწიო და მე რომ გეტყვი, იქნებ არც ისე უსარგებლოდ გეჩვენოს.

მართა ჩაჯდა. ივანემ ჩიჩილაკი შეატრიალ-შემოატრიალა ვთბზე, ყოლიონი გაიწყო და დაიწყო:

— მთელ იმ მზარესაც და პატარა ცხრა კომლიან სოფელსაც ოლეითი ჰქვიოდა. იქ ერთ მოხუცებულ ქალს უავი ჰყავდა. დედას გლახა შვილიც კი

უყვარს, თორემ ისეთი ბიჭი რა თქმა უნდა თვალის ჩინს ერიჩი. ტანად, თვალად, გულად, მუშა და მგალობელი, მოცეკვავე და სოფლის ტრეპერული დედას კი არა ბებრემსაც იტაცებდა. მკაში, როცა წინ მიდიოდნენ, მკაში, მკაში, უმაწვილები ეხვეწებოდნენ ნუ დაგეზაგრაფო და ბებრები გახარებული უძახდნენ ბარაქალას; როცა ხელეგაშლილი ჩამოვივლიდა ორბივით, ახალგაზრდა ბიჭები წირეს უფართოებდნენ და წამოკარხლებული გოგონები კი წინ წამოკარებოდნენ, აქნებ ჩვენ დაგვიწვიოს საცეკვაფოთო და თავის სითამამით დარცხვენნილი, შემატყვევს გულის ნადებიო, იმალებოდნენ უკანა რიგებში; და თუ გალობას დაიწყებდა, სანამ კი მიწუდებდა თვალი, მგალოს საფლაფზე გაფოფრილ დედასაც კი დაამშვიდებდა.

დედა ევედრებოდა ბიჭს, ერთი, შვილო, მომასწარა შენი ნაშიერი კალთაში გაიეგარო და მერე მშვიდად მოგვედებო, მაგრამ ბიჭს მუდარა ხუმრობაზე გადაჰქონდა და ძველებურად არც შრომას იკლებდა და არც ნადიმობას.

ასე იყო თუ ისე, დიდ ხანს იყო თუ ცოტა ხანს, ბოლოს დედამ შეამჩნია, რომ ბიჭი მუშაობის დროს რაღაც ჩაფიქრდება, დაეყრდნობა თოხს იქნება თუ ცელს, და სივრცეში გაიყურება; დილით ადგომა ეზარება და ლოგინში თვალმძლულული აზმორებს; ან სხვებზე ადრე ნადმიაც კი მუშაობას მიატოვებს და ხის ძირში გაგორდება და ვითომ მძინავსო.

დედა ჩუმ-ჩუმად დედაკაცებს შესჩიოდა, უგუნებოთ მყავს შვილიო. ვიღაც შებედა და უთხრა, უჭმური ექნება აყოლილიო; გულაც მოუვიდა დედას, უჭმური შენ თვითონ გაქვსო, მაგრამ მარჩაელთან მაინც წავიდა და მისი რჩევით „შუბიანი თეთროსანი“ მოილოცა.

ბიჭს დღითი დღე უფრო და უფრო ეტყობოდა, რომ რაღაც დახდი აწუხებდა; სახეს ფერი შეეცვალა, შრომას გულს ვერ უდებდა, სიმღერით აღარ იმღეროდა და ტოლ-ამხანაგებში გარეკას გაუფრთხოდა. დედა აქედანაც შეუჩნდა, იქიდანაც, და დედა რომ დაემშვიდებია, შემდეგი სიტყვა წამოაცდევინა:

— დედი, არ მინდოდა თქმა, მარა რაღვან არ მასვენებ და შენ თვითონაც სწუხარ, გეტყვი, ერთი ქალი ვნახე, უმისოდ ცხოვრება არ შემოძლიაო.

— მერე შვილო, მაგას წინ რა უდგასო, კარგი თუ, შენც კარგი რამ გამოიზრდიხარ, მაინც ვინ არის, როგორია და სადაურთი?

შვილმა უთხრა:

— არც ის ვიცი, ვისი შვილია, და არც ის ვიცი, სადაურთია, ოღონდ მზე დათ არ ეკადრება და მთვარე მშადაო. ორი ტყერი თმად გაშლია, ორი გედის ყელი მკლავებადო; გვრიტებს მიუგავს ფეხები და ნატერფალზე ვარდები იფურჩქნებიანო; თვალთა ელვარება კბილების შუქს უერთდება და უკუნეთ ღამეს დღედ გარდაქმნიანო. თითებს რომ ჩონგურს ჩამოკრავს, ზღვის ტალღები დადუმდებიან, ამდგარი — ალვას ხე არის, დამჯდარი შველის ნუკრო.

— შვილო, აღი არ მოგლანდებოდეს არ დავიდუმბოვო.

— რა ალი, დედი, რას ბრძანებ?! ცოცხალი ჩვენი ქალია, ერთხელ ხელზე მამთხვევია და მითხრა — ჩემი საწინდარი ეს იყოსო, თუ ჩემი ქმრობა გინდოდეს... მამიშენის ბეჭედი და... — ბიჭი შეჩერდა.

— იმ ბეჭედის შელევა კი მენანება, — ჩემი განსვენებულის სამახსოვროდ შეტი არაფერი გამაჩნია, მაგრამ თუ ასე არის, მიართვიო, ოღონდ უთხარი შენი ისეთი ერთგული იყოს, მოყვარული და მორჩილი, როგორც მე

ვიყავი მამამწინისო... კიდევ რა ნებაეს, მითხარი, შვილო, ისეთი რა უნდა იყოს, რომ ვერ ეიშოვოთ და საწინდრად ვერ მივართვათო? *ერქენსული*  
 დედამ ბევრჯერ გაუშეორა კითხვა, ევედრა, მითხარი, ბჭქლლ: ჩქჩქქქქქქქ-  
 დევ რა ნებაესო, მაგრამ ბიჭი, თითქოს დაყრუვდა და გაშეშდაო, ხმას არ იღებდა.

კიდევ გავიდა ხანი. შვილი ცალკე დნება და დედა კიდევ ცალკე-  
 ბოლოს დედამ უთხრა:

— შვილო, ხომ მიყურებ, ისედაც დავებრდი და შენი მწუხარების მაყუ-  
 რებელს, სულ თავტანი დამებნაო. მიშველე, ცადამარჩინე ერთი, მე შენი  
 ბედნიერება მინდოდა სიბერას დღეს შენახა და ისე მაინც ნუ მომკლავ,  
 რომ ყველაფერი ვისინჯო, შენ ისევე გომზე და გუნებაზე მოგაცივანოვო. ხომ  
 იცი, დედის გულს შვილის ჭირ-ვარამა საფლავშიაც არ მოასვენებსო.

შვილი მაინც ნამდვილს არ ეუბნებოდა, მხოლოდ ზუმრობით ანუგეშებდა:

— დედი, რა შემატყვე სამაგისო, ჯანზე და ღონეზე კარგად ვარ, სატარ-  
 ლად რად გამამზადე, ცუდს რასმე რად მიქადიო.

დედა თავისას არ იშლიდა.

— შვილო, ერთი გული მაქვს, თუ გჭირდება ისიც წაილე, შენზე წინ მე  
 რომ მოგვედ სჯობია, ვიდრე შენს უბედურობას შევესწროვო. დედ-მამა  
 კვდება, შვილი რჩება, ყველგან ასეა და მითხარო, თორემ საცოდობა მოხ-  
 დება, ვატყობ შენი დამტარებელი მე ვიქნები, და ეს ღმერთსაც გააჩინ-  
 ხებს და კაცსაც, და მეც დამწვავს და ჯოჯოხეთს აქვე შენ გამიჩენო.

ასეთ ლაპარაკს ერთი დღე გაუძლო ბიჭმა, ორი დღე გაუძლო, მაგრამ ბო-  
 ლოს, როცა არ იყო, ბიჭმა უთხრა:

— ის ქალი შენს გულს თხოულობს, სენი რამ მჭირს და მხოლოდ დედი-  
 შენის გულა მომარჩენსო.

ერთი კი შეერთა მოხუცი ქალი, მარა წამოწვა; შვილმა რომ ვერ მოახერ-  
 ხა, თვითონ გაიჭრა მკერდი, ამოიღო და შვილს მისცა, მალე გაიქცა, თო-  
 რემ სისხლიდან დაწიდება გული, მოკვდება და, იქნებ, აღარ გამოადგესო.

გაიქცა ბიჭი. ორმაგი უბედურება იყო მის თავს; აქ დედა უკვდებოდა, იქ  
 კი ავადმყოფი სატრფიალო ამდენ ხანში ელოდა თუ არა არ იცოდა, თავი  
 ატყვიდა, გონება აერია, თვალთ დაუბნელდა, სირბილის მაგაერ მთვრალი-  
 ვით მიბანცალეზდა, ქვას წამოედვა და დაეცა. როცა წამოდგა და იფერთხ-  
 და, უბის ჯიბიდან გაიგონა დედის გულის ხმა:

— შვილო, მუხლის თავი ხომ არ გტყენიაო?

— არა, დედა, არაო! — დაიძახა ბიჭმა და უმატა ნაბიჯს.

მივიდა იმ მზეთუნახავ ქალთან, დაიხოქა და ბეჭედი გაუწოდა.

— უი, თვალი კი დამემსოს, რამოდენა ყოფილა თითბრის ბეჭედიო! ჩემს  
 თითებს ეს ეკადრებო! და ფეხის ცერზე წამოინცო და ბიჭს საკოცნელად  
 გაუწოდა.

ბიჭი როცა დაიხარა ცერის საკოცნელად, უბის ჯიბიდან გაიგონა:

— უი, ვინ ხართ მაღლიანი, უშველეთ ჩემს ნასათუთევე შვილს, როგორ  
 ჩაგრავენ, დაეხმარეთ, დამელუბებო!

ახლა კი მოვიდა გონზე ბიჭი, წამოხტა, ველ-მინდორი ირმად გაღირბინა,  
 მთა-კლდეები არწივად გადიფრინა, ზღვა და მდინარე — კალმახად გაღაცუ-  
 რა და დედასთან გაჩნდა, გული საგულეში ჩაუღედა და შეევედრა:

— შაბათიე დედა, ვერ დაგაფასეო!

— მადლობა გამჩენს, რომ გადაგარჩინეო! — ჩუმად სთქვა დედამ და სულ განუტევა.

ბიჭს აქ დედა საფლაფში ჰყავს და იქ ბეჭედით დაქერილი ივანემ ნელა-ნელა დაბერტყა ჩამქრალი ყალიონი, მიუბრუნდა ზურიკოს, რომელიც ზღაპრას მოსასმენად შემოსულიყო, და ჰკითხა:

— შენი განათლებული კაცები არ გეუბნებიან, რატომ არის სოფელ-ქვეყანაში ამდენი თვალთმაქცობა, შეცდომა, ტანჯვა და სიყვარული?

და რადგან კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, ვერ მიიღო, დიდხანს თვალბზიად უყურა, იქნებ იქ ამოვიკითხო რამეო, მაგრამ ეტყობოდა, ყმაწვილი ბიჭი თვით აძლევდა კითხვას, და ჩაფიქრებით, დინჯათ, თითქოს თავი-თვის, დაასვენა:

— ასეა ეს წუთი-სოფელი! მარა კაი კაცს ჰხენება მაინც დარჩება კარგი; ცუდი ჩაძალდდება, და ეს არის სამოთხე და ჯოჯოხეთი. მაგრამ დედის სიყვარულზე უფრო საიმედო არაფერია! აბა!

— ახლა შენ რა გინდოდა მაგით ვეთქვა? — ვერ მოითმინა ბოლოს მართამ, — ვითომ მე გლახა დედა ვარ, არა?! თუ კაი კაცი ხარ, აბა შენ მოგვარიც...

— მე თქვენი მორიგების თავი არ მაქვს, თუ მორიგება გინდათ თქვენ თვითონ მორიგდებით უჩემოდ, ოღონდ კაის იხამ, თუ ექვს აბაზს წულისთვის მისცემ და ერთ-ორ აბაზს კიღო დაუმატებ, — აბატარა ბიჭს უცხო ქალაქში ჩაიყვანებენ, რამდენ რამეს დაინახავს — შაქრიყინულს, ბუბლიკს, წიგნს, რვეულს — ერთი მაინც უნდა იყიდოს, თვარა გული გაუფუჭდება, ცოდვია...

მართამ ერთ ხანს კიდევ იწუწუნა და როცა ჩაფიქრებულმა ზღურბლს გადააბიჯა და ცაცხვის ძირში ზურიკო დაინახა, ჰკითხა:

— ისწავლის მაინც რამეს, ღირს რომ მას გადავალყო ყველაფერი?

— რატომ არ ისწავლის, დიდაც ისწავლას... ცაცი გამოვს და გადინდის, ბები, შენს ამაღს, — უპასუხა ყმაწვილმა.

— გადამდას ვინ ოხერი თხოვს, ოღონდ ტყვილ არ დაეკარგოს საწყალ ჩემს შვილს ამდენი სიმწრის ოფლი.

ბაბუასა და შვილიშვილს შორის „მცირე რამე სამდურავი“ ხშირად იჩენდა თავს: სამოცი წლის განსხვავება, რა თქმა უნდა, ჰქმნიდა ხილულ და უხილავ სხვადასხვაობას ჩვეულებისას, სიტყვა-პასუხისას, რწმენისას, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ შესარიგებლად ყოველთვის პირველად ივანე წამოიწყებდა რასმე.

მეორე დღეს, როცა ზურიკო ზის ძირში დაინახა წიგნის კითხვაში გართული, ივანე მივიდა და უთხრა:

— ბიჭო, ჩემს ზღაპრებს რა ისმენ, ერთი შენი წიგნების ამბავიც მოთხარი რამე.

— კი ბაბუ, თუ გინდა ახლავე...

— რა წერია მაგ წიგნში?

ზურიკომ აიღო წიგნი და წაკითხვა მოიჩლომა.

— ა, არა, შვილო, მასე ვერაფერს გავიგებ... თვალბზში თუ არ მიყურე, ისე რაა ნათქვამი?

— კად, ბაბუ, ვიამბობ, ოღონდ ზოგჯერ ჩავიხედავ, რომ გავიხსენო.

— რავე, ზებირად არ იცი?

— არა, ბაბუ.

— ცოდვია, თუ სიტყვა შეცვალე! მაგი რას გავს, მატყუებ თუ? აბა შენზე მაინც.

და სანამ ზურციკო უამბობდა, თვალების ფახურით, <sup>გერქვეშული</sup> ტუჩებით <sup>სურათით</sup> კრინტის დაუძრავად ისმენდა და, როცა დაამთავრა შედარებით გრძელი მოთხრობა, ივანემ გულის ტკენით შენიშნა:

- ეს ამბავი მასე არ იყო.
- როგორ ბაბუ?
- რაღა და მაგ ამბავი მეც გამოიგონია, გჭელია და იშვიათად ვამბობ, მარა მასე არ არი. რაღა შეიძლება?! ა, არა.
- აბა, შენ შიამბე, ბაბუ...
- კაი, მარა დიდხანს მოუწოდებთ.
- რა უჭირს მერე, მე მოგიმეცნე და ჩაიწერე.
- არა, ა, მე ვერ გეტყვი შენ თუ წერა დაიწყე... ქვას, ხეს ველამარაკო? რათ მინდა ასეთი თქმა? ქალაღი მაინც ვერ აიღებს ნათქვამს.
- აბა, ბაბუ, წერა-კითხვა მანეე ყოფილა?
- არა, შეილო! მაგრამ შენ რომ წერ, ან შენთვის რომ კითხულობ კარგია, თორემ კითხვის სმენას და კარნახობას რა ფასი აქვს. მე ასე ვიცი. მიჩვევია ყველაფერი!
- აბა რა უყო, აქ რომ გიმნაზიელია, იმან მთხოვა ჩაიწერეო.
- მოვიდეს და თითონ მოსმინოს.
- დაუძახებ!
- კარგი, დაუძახე, — უკმაყოფილოდ შენიშნა ივანემ.

დაჯდა ცაცხვის ძარში. ჩვენც შემოუსხედით. მე არც მისინჯავს რაიმე ჩემწერა, რადგან წინად შევამჩნიე, რომ თუ წერას დაეიწყებდი, ენა ბორძიკს უწყებდა, სიტყვები ავიწყლებოდა, ცდილობდა ჩემი ყურადღება ისე მიეპყრო, რომ მისთვის სახეში მეყურებინა და ბოლოს სრულიად სწყვეტდა ლაპარაკს, და ახლა, როცა გავგო, რომ ნაამბობს მაინც ვიწერდი, ან ვისმე ვაწერინებდი, არ სთამოვნებდა და პირველად უგულოდ დაიწყო, ხოლო შემდეგ გამოცოცხლდა. თბრობის დამთავრების შემდეგაც მე შენიშვნები არ გამოიკეთებია — ჩემი მასპინძლის ქალის — ბაბოს გარდაცვალებამ შემიშალა ხელი.

მას შემდეგ ორმოცდაათამდე წელმა განვლო. ცხოვრების „ქარმან სასტიკიან“ იმდენი გამოფიტა და გაანიავა მებსიერებებიდან და თან იმდენი ნალექი დააყარა, რომ ნაამბობის პირველყოფილი მარტივი და სადა ხასიათის დაცვა ფუჭედ ჩამიარდა.

და მე ვწერ როგორც ჩემს ბუნებას გადაუმუშავებია და ჩემს კალამს შეუძლია.

## ყინულის ქანდაკება

ხარკოვამდე სიარულს სამ დღეს მოუწოდნენ.

ქალაქის საანახებში შესულვებს უჩვეულო სიხარულით ეცხებოდათ გულები, მაგრამ სახეებზე გამოვლილი ტანჯვა უფრო ემჩნეოდათ ვიდრე შეება.

— ესეც ხარკოვი! — წამოიძახა ლეიტენანტმა კლუშკო-კამინსკიმ, მერე უკან წელა მომავალ ალექოსა და ნოდარს მიუბრუნდა: — ნამდვილ მაწანწალებს ვევეართ!

— მართლა, ქალაქში ასე შევიდეთ? — იკითხა ალექო ყიფიანმა და ძველი, დაჭმუჭნილი კეპი უნებლიეთ მოიხადა.

— მაყრები ხომ არა ვართ, რა გვიძავს! — ქართულად უბასუხა ნოდარმა. მეგობრებმა კვლავ განაგრძეს გზა.

ქალაქში შეადლისას შედგეს ფეხი. შემოდგომის დაბინდულ ცაზე მზე ძველი ფარევით ეკიდა. მის შუქს ბრწყინვალება და სითბო აკლდა.

ორგვლივ გამუდმებული ხმაური იდგა: მოასფალტებულ ქუჩებში უზარმაზარი, კიბორჩხალო ტანკები მირაზრახებდნენ. მათ ტრაქტორების რემა გრძელულებიან ქვემეხებით უკან მისდევდა. პაერში მოთვალთვალე თვითმფრინავები გუგუნიებდნენ.

ქუჩის მეორე მხარეს ალექომ სკვერი დაინახა და მეგობრები შეაჩერა:

— სურათი გადავიღოთ ასე, როგორც ვართ.

ამ დროს ქუჩა მოხალისეთა ტალღებით აივსო. მწკრივად, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდნენ იარაღსაბმული პროფესორები, მუშები, პედაგოგები, სტუდენტები, ქალები, პასაკში შესული მოწაფეები.

მათი ჩაელის შემდეგ ალექომ, კამინსკიმ და ნოდარმა ქუჩა გადაჭრეს, ბაღის შუა გულში აუზთან მოფუსფუსე ფოტოგრაფს მიაშურეს. კაფანდარა ფოტოგრაფმა, რომელსაც ცალი თვალის გუგა მუდამ უმოძრაოდ ჰქონდა გაყინული საკურცხლესთან, ორ ჯარისკაცს ელვის სისწრაფით გადაუღო სურათი. მათ აღვილას ახლად მისულნი მიიწვია. ალექო და ნოდარი ფეხებმორყეულ სკამებზე დასვა, ხოლო კამინსკი შუაში ზეზე დააყენა, მერე ელამი თვალებით ჩან ერთი მხრიდან გახედა სამივეს, ხან მეორე მხრიდან.

— ცოტა მხიარულად, გაიღიმეთ! — ქალური ხმით მიმართა მან მუშტრებს.

— მალე, შენი ქოქივ არ იყოს! — ქართულად წამოიძახა მოთმინებადაკარგულმა ნოდარმა.

— რა თქვით? — ჩაჰკითხა ფოტოგრაფმა და წვინტლიანი ცხვირი ცხვირთან მიუტანა.

— ავრე რად უცქერი? — ალექომ ხელი მოჰკიდა ფოტოგრაფს, — ასე გერმანელი პყავს მოკლული. ჩქარა, არაფერი ეწყინოს, თორემ...



ფოტოგრაფმა უკან დაიხია, ნოდარის იერმა მართლა შეაყრდო, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მერე რა, მე ხომ გერმანელი არა ვარ! — ამ სიტყვებით <sup>მეცხვენი</sup> მუხარებელი შეფარფატდა, ჭეჭრუტანას ელამი თვალი მიადვა, თავზე შავი ფალასი წაიხურა, ბოლოს ცალი ხელი მალა აიშვირა, მეორეთი აპარატის ზონარს დაწია.

წამოდგნენ. ალექო ფოტოგრაფთან მივიდა. კამინსკი და ნოდარი აუზის ნაპირზე ჩამოსხდნენ. აუზში დალექილ, მტვირან წყალზე მოფანტული იყო პაპიროსების ნაშფავები და მზისუმზირას ნაჭუჭები.

ვიდრე კამინსკი და ნოდარი თამბაქოს გაახვევდნენ, ალექომ პირველი სურათი მოარბენინა.

— დახედეთ, ეს რომ დედა-ჩემს გაუფუჭავენო, გადაირევა საწყალი.

ნოდარმა სურათი ჩამოართვა.

— მაგ ბრუტინისაგან უარესი იყო მოსალოდნელი, — ღიმილით თქვა ნოდარმა და სურათი კამინსკის გადაცა.

— რას ერჩით ფოტოგრაფს, — წამოიძახა კამინსკიმ, — კატებს ვეფხვებად ხომ ვერ გვაქცევდა. — ის ხან მეგობრებს უქცევროდა, ხან სურათს. — სამახსოვროდ გამოდგება, — დაუმატა ბოლოს და ახლა შორიდან დააკვირდა სურათს.

ფოტოგრაფმა დანარჩენი სურათებიც მოიტანა, სველ ქალღღებში დაგრაგნილნი.

გზას გაუდგნენ.

უცებ ნოდარს თვალეში გაუფართოვდა, მეგობრები მიწი-მოწია და ბადის ქიშკარში გაეარდა. ბადის კიდეს მიმავალ ფარაჯიან ქალს წამოეწია, ხელები მხრებზე მოჰხვიჭ, ყურში ჩასძახა:

— მარინა!

ქალი შეკრთა, მობრუნდა, ვაოცებით შეხედა ნოდარს.

— ვერ მიცანი განა?

— ნოდარ! — ქალმა მხურვალედ გადაკოცნა, მერე უხერხულობა იგრძნო, წამოწითლებულმა ცოტა უკან დაიხია. მის წინ თითქოს სხვა მდგარიყო. აღრინდელი იერი ნოდარს მთლად შეცვლოდა: დაბამბული, ალაგალავ დახეული ჯუბა ეცვა, ყურებსათბურებიანი შავი ბეწვის ქუდი ეხურა, გამხდარ ლოყებს ძირებში ჭუჭყნამჯდარი წვერი უფარავდა. თუ არა ძმა და ღიმილი, მარინას მისი ცნობა გაუძნელდებოდა.

— რას დამგვანებინარ, ღმერთო! — წამოიძახა მან და ერთხელ კიდევ შეაელო თვალი.

— სულ რამდენიმე დღეა მხოლოდ რაც გერმანელებს დავაღწიე თავი. რაც შენ დაგშორდი, მერეც ბევრი რამ გადამხდა თავს. სული ძლივს შემჩნია, მაგრამ არა უშავს, მალე ისევ ის ვიქნები, რაც ვიყავი, — უთხრა ნოდარმა და მოახლოებული მეგობრები გააცნო: — ეს ექიმი ალექო ყიფიანია, ეს ლეიტენანტი კლემკო-კამინსკი.

მათაც დაფლეთილი, ჭუჭყიანი გლეხური ტანისამოსი ეცვათ. ნოდარისაგან განსხვავებით რუხი კეპები ეხურათ. მარინამ შეატყო, სამივეს ერთი ჭირი ჰქონდათ გამოვლილი. ერთბაშად ძმა მოაგონდა.

— ჩემი სანიტარია, მარინა რადუმცევა, — ახლა ქალი გააცნო მეგობრებს ნოდარმა.



მარინას ნოდარის სიტყვები კარგად არ გაუგონია. მის ბედით სვეტრით  
ბული უხმოდ შეცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, ბოლოს ნოდარს მიმართ  
ჰკითხა:

— პეტროსი რა იცი, ნუ თუ არსად შეხვედრიხარ?

ნოდარს თვალწინ წარმოუდგა სინჩასთან, გორაკზე, საანგარში შუბლგან-  
ვმირული პეტრო. გაფერმკრთალებული სახე უფრო გაეცრიცა, მაგრამ მალე  
მარინას თვალი გაუსწორა და შშვიდად უთხრა:

— არა, არ მინახავს.

თავთაიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელი დივიზია დასასვენებლად გაიყვანეს.

ნოდარის პოლკი ხარკოვიდან კარგა მოცილებით ერთ დაბაში დაბანაკდა.

მეთაურები მცხოვრებლებს შეეკედლენ.

ბინდღებოდა, როცა ნოდარი მისთვის მიჩენილ ბინისაკენ გაემართა.

ბერუსიანი, სუსხიანი ტაროსი იდგა. ფიფქი ცვიოდა, მაგრამ თოვლის  
წვრილი ფანტელები ჰაერშივე დნებოდნენ. დაბა დიდი იყო, უფრო ქალაქს  
კვავდა. ერთსართულიან სახლებს შორის, ზოგან მრავალსართულიანი სახ-  
ლები იდგნენ. სწორსა და ფართო ქუჩებში ხალხი ირეოდა.

მეგზურმა დაბის შუა, მოზრდილ მოედანზე გაიყვანა ნოდარი. მალე მოედ-  
ნის პირდაპირ ერთსართულიან სახლს მიადგნენ. მეგზურმა კარს დააკაკუნა,  
ცოტა შეიკადა, ისევ დააკაკუნა. ტალანიდან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა.  
კარი გაიღო და გამოჩნდა ტანაშოლტილი, ზორბლისფერი კულულებიანი  
ქალწული.

უცნობების დანახვაზე თეთრი ღაწვები ოდნავ შეეფაქლა.

— როგორც გუშინ ვითხარით, საჭიროა ცოტახნით ჩვენი პოლკის ექიმს  
ბინა მიცეთ. — თავაზიანად უთხრა მეგზურმა.

— მობრძანდით! — მორცხვად, საამური ხმით მიიბატოცა ისინი ქალმა.

— ნება მიბოძეთ მე გიახლოთ, — მიმართა მეგზურმა ნოდარს.

— წადი, — მოკლედ უბასუხა ნოდარმა; პატარა, ხელის ჩემოდანი ჩამო-  
ართვა და ქალს შინ შეჰყვა.

აივანი უხმოდ გაიარეს.

ქალმა ოთახის კარი შეაღო.

— აქ იცხოვრებთ. ეს ლოგინი თქვენთვისაა გამზადებული, — აუხსნა მან  
სტუმარს.

— გმადლობთ! — ნოდარმა ჩემოდანი ფანჯრის რაფაზე დადვა, მანძარა  
გაიძრო, კართან ხარხაზე ჩამოჰკიდა, მერე ქუდი მოიხადა.

უცხო ბინაში, უცხო ნივთებს შორის უხერხულობა იგრძნო. დიდიხანია  
ქერქვეშ მყუდროდ არ უცხოვრია, ამიტომ სუფთად დალაგებულ ოთახში  
შესვლა პირველად ეხამუშა. ქურდულად მაეკერალ ქალის სიახლოვეც უც-  
ლოდა ნიღს.

ქალი ხან ერთ ნივთს ჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს, თან ცალი თვალით  
კართან ერთ ალაგას გაჩერებულ ნოდარს უცქეროდა.

— მე ვასილისა მქვია, — უეცრად უთხრა მან, — დამბრძანდით!

— სასიამოვნოა, — უბასუხა ნოდარმა. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგ-  
რამ თავი შეიკავა.

„ნამდვილი კომბალა ვარ, რას ვტოვებ, ეშმაკმა იცის“ — გაიფიქრა მან და ირგვლოვ მიმოიხედა.

— ესენი ჩემი ძმები არიან, — ვასილისამ კედელზე დაჯდებულმა მუტუბ-  
თებზე მიუთითა, — ეს უფროსია, ეს უმცროსი. ერთი ინტინერია, მეორე ექიმი.

— ჰოო! — რატომღაც გაიკვირვა ნოდარმა და კედელთან ახლოს მივიდა.

— აი, ეს მამაჩემია. აგრონომი იყო, ომის დაწყების წინ გარდაიცვალა, — განაგრძო ვასილისამ.

„რამდენს ტიკტიკებს, გამიკვირა საქმე“ — გაივლო გულში ნოდარმა.

— დედა კი დაერდომილი მყავს. ყურშიაც აღარ ესმის, — ნაღვლიანად დაუმატა ბოლოს.

— მართლა? — უნებურად, სწვისი ხმით წამოიძახა ნოდარმა.

ვასილისამ ვერ გაიგო — ეწყინა თუ ეამა სტუმარს დედის სიყრუის ვაგება და ცნობისმოყვარეობით შეამტერდა. ნოდარმა ჯერ სახე მოარიდა, მერე ჯიქურად თვალი თვალში გაუყარა.

კატბივით შეაცქერდნენ ერთმანეთს.

უცებ ვასილისას სიცილი აუვარდა.

ნოდარიც ახარხარდა. კარგა ხანს იცინოდნენ ცუდლუტი ბავშვებივით.

— რაა აქ სასაცილო? — ქალმა უცებ წარბები შეჰყარა.

— ისე, — ძლივს შეიკავა თავი ნოდარმა.

ვასილისამ დარაბები მისურა, ელექტრონი ანთო.

— ცოტა საქმე მაქვს, დედასაც მიეხედავ, — გაბუტვით თქვა ვასილისამ და წასვლა დააპირა.

— რამე წიგნი გეკნებათ, — ახლა დინჯად მიმართა ნოდარმა.

ვასილისა თაროსთან მივიდა, ერთი ღიმილით მოხედა უკან გაჩერებულ ვაქს და შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად თარგმნილი „ფეხვის-ტყაოსანი“ გადმოუღო.

მეორე დღეს ნოდარს მარინა მოჰყვა.

ვასილისას პირველად არ ეჭაშნიკა მისი დანახვა, ეწყინა კიდევ, მაგრამ მარინას ღია გულმა და ალაღმა ქცევამ მალე გადაიბირა იგი.

დამეგობრდნენ. მარინამ ხშირად დაიწყო სიარული მასთან. მაშინაც მიდიოდა, როცა ნოდარი შინ არ იყო. მარინა გრძნობდა, თუ როგორ სათუთად, როგორი ფარული მზრუნველობით ეპყრობოდა ექიმს ვასილისა, მაგრამ ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

ერთ დღეს მარინა აღრე მივიდა. ვასილისა ნოდარის ცხვირსახოცებს აუთოებდა. დობილები ერთმანეთს მოეხვივნენ, მერე ვასილისამ ისევ უთოს მოჰკიდა ხელი, თან მარინას მხიარული მუსიკი დაუწყო.

— მაგ ტანისამოსში მართლა კაცი მგონიხარ, თავისუფლად ვერ მიგოცნია შენთვის, — სიცილით ამბობს ვასილისა. — გაიძრე ეგ მაზარა, საცაა ექიმიც მოვა, — მიმართა მან სტუმარს.

— არა, ვასილისა, მეჩქარება: მოვედი გამოგემშვიდობო, — უთბრა მარინამ.



- როგორ! — გაიკვირვა ვასილისამ და უთო შეაჩერა.
- ამდამ ფრონტზე მივდივარ.
- ნოდართან ერთად?
- მასთან ერთად.



მუხლამდე თოვლი მოვიდა. მერე მკაცრი ყინვები დაიჭირა.

ვასილისა მთელ დღეს ფანჯარასთან იდგა, გულს ვერაფერს უღებდა. ზანდახან მწოლარე დედას დახედავდა, უხმოდ აკოცებდა, ისევე წინა ოთახში გაიქრებოდა, შეჭირბულულ მინებიდან მოედანს გახედავდა. მთელი მოედანი თეთრად იყო გადაბეჭტილი. მოედნის შუა ამართულ რკინის ბოძზე ორი მსხვილი შტეპურა ყინულის ბურთებივით ეკიდა. რაღაც უცნაური, მძიმე სიწმე იდგა ირგვლივ. თითქოს დაბის ყველა მცხოვრები სადღაც გადახვეწილიყოს, ერთი ადამიანიც არსად ჩანდა. უცებ ძაღლმა მოედანი ძუნძულით გადაირბინა. ბაშბის ძაფებივით თეთრად შეფიფქულ მავთულზე ბედურები შემოსხდნენ.

ქალმა გულის გამაწვრილებელი მარტოობა იგრძნო. სული შეეხუთა. ფანჯარას ნელა მოშორდა, ოთახს თვალი მიმოავლო. აგერ საწოლი, რომელზედაც ნოდარი იძინებდა. იქვე პიანინოზე წიგნი იდგა, რომელიც მას გამწლილი დარჩა. ვასილისას გრძელ წამწამებზე ცრემლები დაეკიდა.

უცრად ყრუ გრუნუნნი მოესმა. სახლი შეირყა. ფანჯრები აზანზარდნენ. ვასილისა შეკრთა. ცრემლებიანი თვალები გაუფართოვდა. ფანჯარაში გაიხედა. გარეთ კვლავ არაფერი ჩანდა. რძისფერ ჭაერს თალზი ეპარებოდა. დარაბები მყისვე მიხურა და დედასთან გაიქცა. ელექტრონის ანთება მოიწადინა, მაგრამ შუა ჭერზე დაკიდებული მინის ბუშტი დახშული აღმოჩნდა. გაოცდა, ცუდად ენიშნა, კუთხეში ფრთხილად მივიდა. ნავთურა აანთო. ოთახი ოდნავ გაშუქდა. დედას ეძინა. ვასილისა შეძრწუნდა. ცივმა ყრუანტელმა დაუარა, ღუმელს ზურგივით აეკრა. დიდხანს იყო ასე. ბოლოს მივიდა, დედის ფეხებთან კნუტივით დაწვა.

იმ ღამეს დაბა გერმანელებმა დაიკავეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ საღამოს, ვასილისას ბინის კარი გერმანელმა ოფიცერმა შეაღო. უკან ჯარისკაცი მიჰყვებოდა, ორ დიდ ჩემოდანს ძლივს მიათრევდა.

ვასილისა სახტად იდგა შუა ოთახში. გერმანელი ისე შევიდა შიგ, თითქოს იქ დიდხანს ნაცხოვრები ყოფილიყო. მაზარის გაუხდელად ლოგინზე ჩამოჯდა, ბაცი წვრილი თვალები უტიფრად მიაშტერა გაშეშებულ ქალს. მერე ოთახი შეათვალიერა. ჯარისკაცმა ამასობაში ჩემოდნები ერთმანეთზე დააღაგა.

— მშვენიერი ოთახია, თბილა. ასეთი გოგონაც კარგახანია აღარსად მიხაზავს, — უთხრა მან ჯარისკაცს.

— ქალებში ბედი გაქვთ, ჰერ! — ცუდლუტური ღიმილით უპასუხა მზღებელმა.

— ტკბილი სასმელები ამოიღე, შოკოლადიც. ამ უცხო ფრინველს ეამება. — უბრძანა მან ჯარისკაცს, მერე ჩიქორთული რუსულით ვასილისას ჰკითხა: შოკოლადი გიყვარს?



ვასილისა დაერდომილ დედის საწოლთან იყო დაჩოქილი, თანა მან მკვლე-  
ში ჩადგა. ავადმყოფი დამკვანარ თითებს წელა უსვამდა შერის უბრუნებელ  
ვით ლბილ თმაზე. თანაც თვალებიდან მდუღარებას უხმოდ აფრქვევდა.

კარგად გათენებული იყო, მაგრამ დაგმანულ ოთახში ისევ ბნელოდა.  
მსახურმა ჯარისკაცმა ოფიცერს შიაკითხა, დიდხანს უკაცუნა კარს, მაგრამ  
როცა ხმა არავინ გასცა, უკან სწრაფად გაბრუნდა. მალე აივნიდან ხმაძალა-  
ლი გერმანული ლაპარაკი მოისმა. მერე კარები შემოამტერიეს. ატეხილ ხმა-  
ურზე ვასილისას ახლაც არ აუწყევია თავი, არც შერხეულა.

რამდენიმე გერმანელი დაერდომილის ოთახში შევიარდა, ვასილისა. ზეზე  
წამოაგდეს. დედამ სუსტი ხელები მოჰხვია შვილს მუხლებზე, მაგრამ გა-  
მოკვლიჯეს, წინა ოთახში გაათრეეს.

ახლად მოსული სხვა ოფიცერი ვასილისას მიუახლოვდა და ღრენით  
ჰკითხა:

— შენ მოკვალი?

ვასილისამ შუქჩამქრალი თვალები საწოლს მიაპყრო. საცვლების ამარა  
გერმანელი ოფიცერი ლოგინზე განგმირული გულადმა იწვა. ცალი ხელი  
გადმოცურებოდა, გაშეშებული თითებით ატაკს ეხებოდა. იქვე მისივე რე-  
ვოლვერი ეგდო. მახლობლად პატარა მაგიდა იყო წაჭყეული. ძირს დაღვრი-  
ლი სასმელის წერილი ნაკადები ლოგინის ქვეშ იკარგებოდნენ. დამსხვრე-  
ული ბოთლის ნატეხები უცნაურად ბრჭყვიალებდნენ. აქა-იქ შოკოლადი  
ეყარა.

ვასილისამ მეორე ოთახიდან დედის კენესა გაიგონა, ერთი გააერგოლა,  
შიშველ მკერდზე ხელი მიიფარა, წელში გასწორდა, წინ აწოწილ ოფიცერს  
პირდაპირ შეხედა და ამაყად მიუგო:

— დიახ, მე მოკვალი.

ოფიცერმა ზურგი შეაქცია. ფანჯარას მიადგა. კარგახანს გაეჭეროდა მო-  
ედანს დაფიქრებული. უცებ სახეზე ბორბტმა ღიმილმა გაუთამაშა, კვლავ  
ვასილისას მიუბრუნდა:

— ამისათვის შენ საშავალითოდ დაისჯები! — შემაზარხენ კილოზე თქვა  
მან, მერე ჯარისკაცებს გერმანულად რაღაც უბრძანა, ბრძანება განუშეორა  
და პირველი გავიდა ოთახიდან.

ზუთი-ექვსი ჯარისკაცა ოთახებში მიმოიფანტა, ხოლო ორმა ჯარისკაცმა  
ვასილისას ჩაავლო ხელები, მაგრამ ის სულაც არ ფიქრობდა ურჩობას. ქალ-  
მა თავი დახარა, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კაბის კალთები ნაფლეთე-  
ბად ეკიდა და არც ფეხსაცმელები ეცვა.

ქუჩაში გასვლისას ოდნავ აწია თავი. ოფიცერი მოედანზე მიდიოდა. ისიც  
მის კვალზე წაიყვანეს.

ჰყინავდა. ცივი ნემსები ქალს უწყალოდ ჩხვლეტდნენ, მაგრამ იგი ტკი-  
ვილს არ გრძნობდა. თოვლი ქვად ქცეულიყო, ჯარისკაცების ყოველ ნაბიჯ-  
ზე საოცრად ზღბუნებდა.

ცა არ ჩანდა. სქელი ნისლი დაწოლოდა მთელ დაბას.

ოფიცერი ელექტრონის ბოძთან შედგა.

იქვე შეჩერებულმა ვასილისამ თავის სახლისაკენ გაიხედა. რამდენიმე ჯა-  
რისკაცს ზოგს თუნუქის კასრით, ზოგსაც დიდი ქვებით წყალი მოჭონდა. წინ



მომავალ ჯარისკაცს მარცხენა ხელში ბაწარი ეჭირა. გაუყვირდა ქალს, მაგრამ გაკვირვება სახეზე არ დატყობია.

— გახადეთ ტანისამოსი! — უბრძანა ოფიცერმა ვასილისას ბულ ორ ჯარისკაცს, როცა დანარჩენი ჯარისკაცები მიუახლოვდნენ.

ჯარისკაცები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ. ვასილისას კრინტიც არ დაუძრავს. მორჩილად ასრულებდა მათ სურვილს.

მთლად გააშინვლეს. მისი მარმარა, სწორ ნაკეთებიანი ნორჩი ტანი თოვლივით თეთრი იყო.

ვასილისას სილამაზემ ჯარისკაცებს თვალები მოტაცა.

ქალის უჩვეულ სიტურფემ ოფიცერიც მოხიბლა, მაგრამ განგებ თვალი აარიდა და გულგრილად ბრძანა:

— ბოძე!

ჯარისკაცებმა ვასილისა ბოძთან ზურგივით გააჩერეს და ზედ ბაწრით მიკვრა დაუწყეს. ქალს თითქოს გველი ეხვეოდა ტანზე. ცახცახი დააწყებინა. თოშმა სპეტაკი სხეული აფფორაჯა.

ვასილისა კვლავ უხმოდ იყო. ყინვის ნემსებს მის ტანში რაღაც გამაბრუნებელი შხამი შეჰქონდათ. უკვე აღარც სიცივეს გრძნობდა, აღარც ტკივილს. ფიქრის უნარსაც კარგავდა.

„ქაჯი ყოფილა!“ — გაიფიქრა ოფიცერმა და ყინულივით ცივი ხმით დაიძახა:

— წყალი!

ერთმა მაღალმა ჯარისკაცმა, ქარისაგან თმაშლილ ვასილისას, მთელი კასრი წყალი, წარბებზეუხრელად, თქეშად დაასხა თავზე. ქალმა ერთი საზარლად შეჰკივლა და გრძელ წამწამებიანი თვალები მყისვე დახუჭა. ვასილისამ კიდევ სცადა ხმის ამოღება, მაგრამ ვეღარ შეძლო.

ახლა წყალი ნელ-ნელა დაასხეს. ჩამოდვარული წყალი ტანზე სწრაფად აყინდებოდა. მთელი სხეული ყინულის ქერქმა დაუფარა. წყალის დასხმას განაგრძობდნენ. ყინულის ქერქი თანდათან სქელდებოდა და ქალის ტანის ნაკეთების მკაფიო იერს იღებდა. სახეც ყინულის ნიღაბად გამოეკვეთა. როგორც ბანგშესმულს — ბურანი, მარადიული ძილი ნელა ეუფლებოდა. ექანასკნელად, ერთმა ნათელმა წყრტილმა გონებაში ნაპერწკალივით გაუელვა და ყველაფერი ბნელმა მოიცვა.

ცოტახანი და ყინულის ქანდაკებად ქცეული ვასილისა მარტო დარჩა შუა მოედანზე.

საიდგანლაც მესკია ჩიტი გაჩნდა ქანდაკებას მხარეზე დააფრინდა.



## საბრძოლო მომღეობა

ღამე არის ღრუბლებიანი.  
ცას არ შვენის ლურჯ ვარსკვლავთა ციალი.  
მტრის ქვეყნიდან მოეარდნილი გრიგალი  
ჩვენს ველებზე დანავარდობს გრიალით.  
ზღვა გუგუნებს, ზვირთნი ყალყზე სდგებიან —  
მძლედ შხუიან, ნაპირს ეხეთქებიან.

ჰე, მასისო, მთათ ლაღო, ზვიადო,  
ცად აწვდილო მწვერვალეზო დიადო!  
ხომ მზადა ხართ, რისხვის ალით ხომ ელავთ,  
ლესავთ მახვილს მტერთა გასაპობელად?

ჰე, ისმინეთ ჩემი ქვეყნის შვილებო,  
ვაგაკებო, ცეცხლში გამოწვრთნილებო,  
თქვენი დედა შველას ითხოვს გმირებო.  
ღამით ხშირად ძილს ეძლევა მდინარეც,  
ღუშმანი კი მარად ფხიზლობს, მძვინვარებს.

გამხეტებულს მოაქვს შხამი და გესლი,  
ბორკილები მძიმე, უსასტიკესი.  
მოღის მხეცი სისხლით გაუმძღარა,  
სურს წაბილწოს ჩვენი წმინდა მთა-ბარი.

ჰე გმირებო, გესმავთ დედის ძახილი,  
გასაკლდევედით, ზელთ აიღეთ მახვილი,  
ტანთ ჩაიცვით ჯავშნიანი აბჯარი,  
მტერს ეკვეთეთ, ვაგაკურად დაჰკარით.  
შურისგების ცეცხლი გულით დასძარათ,  
აგუგუნდით — ცას გაჰქონდეს ზანზარი!  
თქვენც აზღვავედით ხის რტოებო, კენარო,  
აკიზენდით მრისხანე ხმით მერანო.  
დასცხეთ ბუკი ქარიშხლის დარადა,  
მტრის საელეტად გასწით უშიშარადა.  
წინ, გაჰკვეთეთ მძაფრი ცეცხლის ზვირთები,  
მწვერვალისკენ მარადიულ დიდების!



შორს განდევნეთ მტერი დაუნდობელი,  
 ვერ წაბილწოს ჩვენი კერა მშობელი.  
 ჩვენი ყანა, ეზო ნაყოფიერი,  
 მარად უნდა დარჩეს ლალი, ძლიერი,  
 ჩვენი მიწა, საყვარელი მთა-ბარი,  
 ბრწყინვალე მზის შუქით ნაკაშკაშარი!  
 წინ, წინ გასწვით, ვაჟკაცური გზნებითა,  
 მწვერვალისკენ ჩვენი გამარჯვებისა!

1941 წ.

თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა.



სერგო კლდიაშვილი

# ი რ მ ი ს ხ ე ვ ი

დრამა 4 მოქმედებად

მოქმედი პირები:

დოღვათ ფარნიონი	ამირან	} ხნიერი მამაკაცები
ფატმანი — მისი ცოლი	არდახენ	
ახმათი — მათი შვილი	სულხან	
შალვა საბაშვილი	უარამან	
პოლკოვნიკი გავაშელი	კოკაევი ურაშმაგ	} ახალგაზრდა ოსები
ბადრი	გერმანელი პოლკოვნიკი	
შურთაზი	გერმანელი კაპიტანი	
კოსტა	უცნობი მთიელი	

ექსი ხნიერი დედაკაცი, ქალიშვილები, სოფლის მცხოვრებნი.

მოქმედება სწარმოებს ჩრდილოეთ ოსეთში, საქართველოს საზღვარზე. 1942 წ. შემოდგომა.

## მოქმედება პირველი

ოთახს მკრთალად ანათებს სამუშაო მაგიდაზე დადგმული პატარა ლამპა. ფანჯრებზე შავი შტორები. ისმის არტილერიის შორეული კანონადა.

პოლკოვნიკი ბავაშელი და კოკაევი.

პოლ. გავაშელი — (ტელეფონით) ამ ღამით ვეტოვებთ ქალაქს. ასეთია შტაბის განკარგულება. ჩემი ბრძანება მიიღეთ? ამის თანახმად იმოქმედეთ. იპოვეთ კაპიტანი შალვა საბაშვილი? მამ ეხლავე ჩემთან გამოცხადდეს (დაჰკიდა). ეხლა კი თქვენთან ვილაპარაკოთ მოქალაქე კოკაევს. თქვენ მეურნეობის საწყობის გამგე ხართ, არა?

კოკაევი — დიახ, პატივცემულო ამხანაგო.

პოლ. გავაშელი — დაგვალათ თუ არა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაგეტანათ მთელი მარაგი?

კოკაევი — (სდუმს, შემდეგ თანხმობის ნიშნად თავს ხრის).

პოლ. გავაშელი — თქვენ კა აქ ბევრი რამ დაგროვიათ. რატომ არ შეასრულეთ დავალება?

კოკაევი — ტრანსპორტი აღარ მომცეს, პატივცემულო ამხანაგო. ვითხოვე, მაგრამ ასე შითხრეს — ქარხნის ევაკუაციისთვის გვეკირდებოთ. რაღა უნდა მექნა?

პოლ. გავაშელი — მამ მტერს! უტოვებდით ამდენ ქონებას?



- კოკაევი — აბა რას ბრძანებთ. მე აქ საგანგებო დავალებით ვარ დაბრუნებული.
- პოლ. გავაშელი — რა დავალებით?
- კოკაევი — უკანასკნელ წუთში ცეცხლი გაუჩინო საწყობს. ამის შესახებ წერილობითი განკარგულებაც მიქვს.
- პოლ. გავაშელი — ფასაღები თანა გაქვთ?
- კოკაევი — აქა მიქვს.
- პოლ. გავაშელი — გადმომეცით. ტრანსპორტს ჩვენ ვიშოვით.
- კოკაევი — კეთილი, მაგრამ მე ვალდებული ვარ ჩემი უფროსის დავალება შევასრულო.
- პოლ. გავაშელი — დამორჩილეთ ჩემს ბრძანებას!
- კოკაევი — მართვით.
- პოლ. გავაშელი — შეგიძლიათ ეხლავე დასტოვოთ ქალაქი.
- კოკაევი — თუ ნებას მომცემთ, მცირე ხნით შინ შევირბენ. ცოტაოდენი ბარგი შექნება წასაღები.
- პოლ. გავაშელი — თქვენ ამ ქალაქის მკვიდრა ხართ?
- კოკაევი — არა, პატივცემულო ამხანაგო. მე სოფელ არგუნიდან ვარ.
- პოლ. გავაშელი — არგუნიდან?
- კოკაევი — დიახ.

იზიზინი და შალვა.

- შალვა — ამხანაგო პოლკის უფროსო, თქვენი ბრძანების თანახმად გამოცხადდი.
- პოლ. გავაშელი — სწორედ შენ გელოდი. მოდი შალვა.
- შალვა — (გავაშელს ხელი ჩამოართვა, შემდეგ კოკაევს მიესალმა) გამარჯვება ურავშავ.
- კოკაევი — ამხანაგო შალვა! შაღლობა ღმერთს კარგად ზხედავ.
- პოლ. გავაშელი — თქვენ იცნობთ ერთმანეთს?
- კოკაევი — ამხანაგი შალვა ჩვენი მეურნეობის აგრონომი იყო და უჯრედის მდივანიც.
- პოლ. გავაშელი — (კოკაევს) დამაცადეთ იმ ოთახში. თქვენ იქნებ დამპირდეთ მე. (კოკაევი გავიდა).

ბაგაშელი, შალვა.

- შალვა — (სავარძელზე დაეშვა. სიამოვნებით ღრმად ამოისუნთქა) ნეტა ყოველთვის ასე რბილი იყო ეს სავარძელი?
- პოლ. გავაშელი — დაღლილი შეჩვენები.
- შალვა — დაღლილიცა ვარ და ბრაზიც მახრჩობს. უკანდახევას, სიმართლე ვითხრა, იქ სიკვდილი მერჩია.
- პოლ. გავაშელი — რას იზამ, ერთ პოლკს მთელი დღივითა თავს დაგვატყდა.
- შალვა — დაითვალონ რაც იმ დღივითიდან დარჩათ. ამით მაინც ვიყარე ჯაფრი.
- პოლ. გავაშელი — დავანებოთ მავას თავი. შენთან მოკლე საუბარი შექნება.

შ ა ლ ვ ა — მესმას.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — როგორც აცი, უმადლეს მთავარსარდლად მსახურეობით კავკასიაში სამხედრო ოპერაციებას ხელმძღვანელად გამოიწვიეს. მისი ბრძანებით რამდენიმე გამოცდილი მეთაური უნდა გააგზავნოს მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში. შტაბის განკარგულებით გავალბე წახვიდე მტრის ზურგში სოფელ არგუნში. ყოფილ-ხარ იქ?

შ ა ლ ვ ა — არა.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — ჩემი ახსნა-განმარტება არ გვირდება, ადვილი საქმე არაა. ახვალ არგუნში...

შ ა ლ ვ ა — ან ცოცხალი ან მკვდარი...

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — არა ჩემო ძმაო, ცოცხალი. გამიგონე, ამჟამად სოფელში გერმანელები არ არიან. ისინი დაბლობში ჩამოვიდნენ. სოფელი არმის ხევის თავზეა. ის მაღლობი ახლო მომავალში დიდ სამსახურს გაგვიწევს. ამხანაგი ბერია დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ მაღლობსა და არმის ხევის გასასვლელს. იქიდან მოხერხებული და მოკლე გზაა საქართველოსაკენ. დახედე რუკას. სამხრეთიდან ჩვენები მომწყვდევით ემუქრებიან ხეობაში შემოჭრილ მტრის ნაწილს. ამ ქალაქის ასაღებად გერმანელები იმატომ არ დაერიდნენ მსხვერკლს, რომ სამქაროდ მიეშველონ საფრთხეში ჩავარდნილ თავის ნაწილებს. ამ მთებში კი გზა ერთადერთია — ირმის ზევი.

შ ა ლ ვ ა — დიახ.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — ახვალ არგუნში. ხალხს შემოიკრებ და შეამზადებ. არგუნში დოღვათ ფარინონს ნახავ ან მას ვაქს ომარს, თუ ცოცხალი არიან, საიმედო კაცებია. დახმარებას გაგიწევენ. ყოველგვარ დაბრკოლებას შეუქმნი მტერს. ირმის ხევის გასასვლელს ჩამკეტავ. იარაღს მიიღებ. საჭირო ხალხსაც მოგაწვდა, როცა საამისოდ დრო დადგება. ახლო ხანში ჩემგან ცნობას ელოდე. იცოდე შტაბთან კავშირი არ გაწყვიტო.

შ ა ლ ვ ა — მესმის.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — (ლეიტენანტს, რომელიც დროდადრო შემოდის ოთახში და გავაშელს რაღაც ქაღალდებს აწვდას) მანდ ოთახში მოქალაქე ყოკაევია. დაუძახეთ. (შალვას) შენი მუშაობისათვის, ცხადია, მძიმე პირობები იქნება მაგრამ...

შ ა ლ ვ ა — ნუ მაშინებ, ვაცი. მე, ჩემო ძმაო, ბერიას გამოზრდილი ვარ. გახსოვდეს ეს.

#### იზივინი და კოკაევი.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — დარწმუნებული ვარ შტაბის დავალებას პირნათლად შეასრულებ. გახსოვდეს, შენს მუშაობას ირმის ხევი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი ოპერაციებისათვის.

შ ა ლ ვ ა — მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — (ყოკაევს) მამ შექვენ არგუნელი ხართ?

ყოკაევი — არგუნი ჩემი სამშობლო სოფელი გახლავთ.

პო ლ. გ ა ვ ა შ ე ლ ი — თუ კი ასეა, გზა კარგად გეცოდინებათ. გავალბებთ აიყვანოთ იქ კაპიტანი საბაშვილი.

კოკაევი — არგუნში ავიყვანო? სიამოვნებით, პატივცემულო <sup>ამხარული</sup> ინეთი ბილაკებით ვატარებ, ფრინველმაც თვალი ვერ მოჭრას <sup>მეცემს</sup> (აფეთქების ხმა. ჩაჰკრა სინათლე, წუთიერი სიჩუმე, გავმჯღღავებულნი რები ასწია. ფანჯრის იქით, ღამეში, ცეცხლი სჩანს).

პოლ. გავაშელი — სადღაც ახლო ჩამოაგდეს ყუმბარა...

კოკაევი — ვაიმე ჩემო ქალაქო!

პოლ. გავაშელი — (პაუზის შემდეგ შალვას) როდის გავმგზავრები? ეხლავე არა?

შალვა — აბა რაღას გავუჩერდე.

პოლ. გავაშელი — მენანება, ბიჭო, შენგან დამორება. ვინ იცის, იქნებ ვეღარც ვნახოთ ერთმანეთი.

შალვა — იმედი ვიქონიოთ რომ ვნახავთ. თუ არა და, საიქიოში მაინც შევხვდებით.

პოლ. გავაშელი — (ხელი გაუწოდა, მიიზიდა, გულში ჩაიკრა).

სრული სიბნელე. გაძლიერებული კანონადის შემდეგ სიჩუმე. იგივე ოთახი. ოთახში არიან გერმანელი პოლკოვნიკი და კოკაევი.

გერმ. პოლკოვნი. — შენი ვინაობა?

კოკაევი — ურაზმაგ კოკაევი. ამ ქალაქში ვმსახურობდი.

გერმ. პოლკოვნი. — მოწმობა!

კოკაევი — ინებეთ.

გერმ. პოლკოვნი. — ეგ რა ქაღალდებია?

კოკაევი — უბრალო ანგარიშები გახლავთ.

გერმ. პოლკოვნი. — მაჩვენე. ესეც უბრალო ანგარიშია? როგორც ეს საბუთი მოწმობს, შენ დავალებული იქონიდა საწყობის დაწვა.

კოკაევი — მართალია ბრძანება მივიღე, მაგრამ ცეცხლი არ ფაჩიჩენია.

გერმ. პოლკოვნი. — რა არის იმ საწყობში?

კოკაევი — ბევრი რამ იყო, მაგრამ...

გერმ. პოლკოვნი. — მაგრამ რა?

კოკაევი — ღმერთმა იცოდეს, მინდოდა თქვენ დაგრჩენოდათ, ყოველნაირად დავაბრკოლე ქონების გატანა, მაგრამ უკანასკნელ წუთში მაინც ფაჩიღეს. ეხლა მხოლოდ ცარიელი შენობაა.

გერმ. პოლკოვნი. — მე მგონია, რომ შენ აქ დივერსიული მტეშობისათვის დაგტოვეს. გამოტყდა. ალბათ იცი რა მოგელის ამისათვის (თვალი მიაჩერა) სიკვდილი.

კოკაევი — იცის გამჩენმა, უდანაშაულო ვარ. ამ ქაღალდის გამო რე გამაუბედურებთ. იქნებ მეც გამოგადგეთ რამეში. მაჩუქეთ სიცოცხლე და მიმსახურეთ. მე ღვაგიმტკიცებთ, რომ თქვენი მტრობა არა მაქვს. გარდა ამისა მე ჩემი ანგარიშებიც მაქვს ძველ მთავრობასთან და...

გერმ. პოლკოვნი. — მე დავამთავრე შენთან ლაპარაკი.

კოკაევი — ერთი წუთი! მომისმინეთ! წითლების ჯარის უფროსმა კაცი გაგზავნა ზურგში თქვენს წინააღმდეგ სამოქმედო... მე შემიძლია გასაქირიდან გიხსნათ, თუ თქვენ...

გერმ. პოლკოვნი. — უადგილო და გულუბრყვილო ეშმაკობაა.

კოკაევი — მალე დარწმუნდებით ჩემი სატყუების სიმართლეში. მოგავონდებით მაშინ, მაგრამ გვიან იქნება.



ერქონეული  
გინგლირთქან

გერმ. პოლკოვნი. — ვინ გაგზავნეს?

კოკაევი — მათი ოფიცერი გახლავთ.

გერმ. პოლკოვნი. — რა დაავალეს?

კოკაევი — მე გავიგონე რა უთხრა უფროსმა: გახსოვდეს შენს მუშობას ირმას ზევში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი ოპერაციებისათვის. დარწმუნებული ვარ შტაბის დავალუბას პირნათლად შეასრულებო.

გერმ. პოლკ. — შენ იცნობ იმ ოფიცერს?

კოკაევი — ძალიან ყარგად. თავგამეტებული და უღრეკია. მე მიაგანებ მის კვალს. მე გაბოჯინებთ მას. მე გავიგებთ ყველაფერს. თუ არა და მაინც თქვენს ზელში არ ვიქნები? სად გავექცევით, თუ მოგატყუეთ?

გერმ. პოლკ. — კეთილი. იმუშავებ ჩვენთან. ამ რაიონში, ცხადია, მამასახლისა იქნება ჩვენების მიერ დანიშნული. მე შევატყობინებ მას. თუ რა დავალუბით გავიშვი. შენ მისი ზედამხედველობის ქვეშ იქნები. იმოქმედებ მასთან შეთანხმებით.

კოკაევი — რა თქმა უნდა, ეგ ხომ ეგრე იქნება.

გერმ. პოლკ. — გავალუბ ის კაცი რამდენიმე დღეში ცოცხალი ან მკვდარი ზელში ჩაშიგდო. წინააღმდეგ შემთხვევაში...

კოკაევი — ეიცი ბატონო ოფიცერო, ეიცი. მე უბრალო კაცი ვარ, ომისა და პოლიტიკის არაფერი გამეგება. არც ვერევი ამ საქმეში. მე მხოლოდ ვიცი როგორ მინდა ჩემთვის, მყუდროდ, მშვიდად. თქვენ მხოლოდ ქალაქი მიბოძეთ რომ გამიშვან, არ შემაჩერონ. დანარჩენი მე ვიცოდებ. თქვენ მე ხელახლა დამბადეთ. სანამ სული მიღვას თქვენი სიკეთე არ დამაეიწყდება.

გერმ. პოლკ. — (ქალაქი გადასცა) რამდენამე დღეში...

კოკაევი — ან მკვდარი, ან ცოცხალი, ბატონო ოფიცერო!

### მეორე სურათი

ხვეის თავზე მიმავალი გზა. პერსპექტივაში — ფერდობზე გაშენებული სოფელი.

### ბადრი და მურთაზი.

ბადრი — (ღიღინებს).

შალა შალასა მთაზედა ვაეკაცი ეგდო მკვდარი  
თავთა დაუდევს ნაშანი, ნამსზვრევი შუბის ტარია.  
გვერდით დამდგარა ლურჯაი, დასტირის როგორც ქალია,  
ყარყატით გადმოიფრენდა ავი ყორნების ჯგარია...

ეხ, აღარ ისმის სიმღერა ჩვენს არგუნში!

მურთაზ — ვინა სთქვას, სადღა არიან ჩვენი ბიჭები.

ბადრი —

ვაპ, რა ცოდვა ზარ ვაეკაცო, ასე უღროოდ ცვდებოდე.  
ვაი დედა შენს, ყორანო შენ მისი ლეშით ძღებოდე! — გახსოვს როგორ  
გასძახებდა ამას ომარი? მისი სიმღერა გულის ძირამდე დადიოდა.



- მურთაზ — რა დამავიწყებს. ახლაც მისი ზმა მესმის. საბრალო რომარ, რა/ ზივი დაგველუბა!
- ბადრი — კიდეც ამოვა ბალახი, მთაო, შენს ნაომარზედა შეთამაშებდეს ლურჯაი, შეგოგდებოდეს ნალზედა... (შეწყვეტა სიმღერა) რა მამღერებს, თითონ არ ვიცი. თითქო იგივე არგუნია, იგივე მთებია ფარშემო, მე კი მგონია ტყვედა ვარ და მიძიე ზუნღები მადებს. კიდეც არის თუ არა ჩვენს იქით ქვეყანა, ესეც აღარ ვიცი. მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი ვართ. ასე გამოდის, რომ ღვთის ანაბარად ვართ მიტოვებულნი.
- მურთაზ — ასე გამოდის.
- ბადრი — ჩვენი მომხელავი არაუინაა. მთაერობაც არ გეყავს, — აღარც ძველი, არც ახალი.
- მურთაზ — არც ძველი, არც ახალი.
- ბადრი — პო მაგრამ, ასე როდემდის იქნება?
- მურთაზ — არ ვიცი. მე მარჩიელი არა ვარ.
- ბადრი — რა შუაშია აქ მარჩიელობა? აქ პოლიტიკის საკითხია. დაუკვირ- დი, — ჩვენმა ჯარმა ეს რაიონი დასტოვა, მტერი ჯერ დეპატრონა ამ სიმაღლეს, შემდეგ კი თავი მიგვანება და ბარში წაიდა. რა გამოდის ეხლა? ვინა ვართ ჩვენ? ვინა ვართ მე და შენ?
- მურთაზ — შენ ბადრი, მე მურთაზი.
- ბადრი — მე სახელს კი არ გეკითხებო, ამაზე მივასუნე, — რას წარმოვად- გენთ ჩვენ, ვის ვეჭვემდებარებით?
- მურთაზ — ჩვენს სინდისსა და შეგნებას.
- ბადრი — ერთი ამან კიდეც ახალა მთაერობა გამოიგონა. არა, შენ ის განმიმარტე, ვინ ვარ ახლა მე?
- მურთაზ — რას ჩამაცვიდი, ადამიანო? ფინდა მიინცდამაინც პირდაპარ მათქმევინო?
- ბადრი — პირდაპირ. მე მინდა ნამდვილი ვაცოდე.
- მურთაზ — ვინა და, რეგვინი. რას მიცქერი? მამ რომელი კკუამყოფე- ლი იკითხვას მაგას? ვინა ხარ და იგივე ბადრი. გაოგე?
- ბადრი — კაცი ვერაფერს გეტყვის, თოფის წამალივით აფეთქდება. დაი- ცა, არ გამიწყრე: ეს მაინც მითხარა — მტერი თუ ისევე ამოვიდა, რა ექნათ მაშინ?
- მურთაზ — არ ვიცი.
- ბადრი — ერთხელ ვიგემეთ, მეტი აღარ მინდა. მთებში გავიხიზნოთ, თუ აქვე დაერჩეთ?
- მურთაზ — არც ეგ ვიცი.
- ბადრი — არც მე ვიცი, არც შენ იცი. ვინმემ ზომ უნდა იკოდეს? აქ დავხედეთ, ვაი, გარდავიხეწოთ — უღი. რა ექნა აბა მე?
- მურთაზ — რაც სოფელმა დაგავალა, ის შეასრულე.
- ბადრი — აი მე და შენ მესხუთედ ემორიგეობთ და უცხო არავენ გამო- ჩენილა. ალბათ არც არავენ ამოვა. უცხო კაცს რა უნდა ამ კლდეებში?

იგივენი და რამდენიმე ძალიშვილი თუნდაცა წაპროსკან მივათქვან.

ბადრი — აი თქვენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ამათ რომ განქმნან მუ-  
ლიდან სევდა გადამეყრება.

1 — ქალიშვ. — (მისძახის ჩამორჩენილთ) ჩაბა! მარის! რა ღმერთი ვოყრებათ, ფეხებზე დოღბანდები ხომ არ შეგვიბამთ?

2 — ქალიშვ. — დაგვეწვიან, წავიდეთ.

1 — ქალიშვ. — დაიცა, ასმათი მათთან მოდის.

ბადრი — ნუ გეშინიათ, არგუნში წყაროს თვალი არ დაიმსება. ცოტა ხანს თქვენთვის მამზერინეთ.

2 — ქალიშვ. — ნეტავი შენ, მხიარულ გუნებაზე ხარ.

ბადრი. — ეს ოხერი გული გაუტეხელი ცახე ყოფილა, — ფარედან ცეცხლი მოსდებია, შივნით კი ხალისი მაინც შერჩენია. თქვენა შემხედავი აბა როგორ არ გავხალისდე.

1 — ქალიშვ. — (მურთაზს) შენ რას შეგიკრავს შუბლი? ჩვენა დანახეა ხომ არ გეწყინა?

მურთაზ — რად უნდა მეწყინოს? ღმერთმა იცოდეს, ყოველთვის მიხარია.

1 — ქალიშვ. — რა ვიცი, ბუსავით ცარანდებულხარ.

მურთაზ — ბუი ვარ და მიფრთხილდი. ერთხელაც იქნება ღამით უჩინრად ჩამოგიქროლებ და გავაფრენ.

1 — ქალიშვ. — გამაფრენ, თორემ ცხრა მთა არ გადამატარო. არგუნს იქით მაინც ვერსად წახვალ.

ბადრი — თქვენ იცინით, მე კი სატირალი მაქვს, — რომელ თქვენგანზე შევაჩერო თვალი, აღარ ვიცი. ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები ხართ.

1 — ქალიშვ. — შენი იმედით თუ ვიქენი, მგელსაც შეუტკამივარ.

ბადრი — სამგლელ შენს თავს ვერ გავიმეტებ. ერთი ინატრე და შენი გულისათვის ტყეში გავიჭრები, მგლებს სახსენებელს გავაწყობ, ვეფხების ხროვასაც შევეპილები.

იგივენი, ასმათი და რამდენიმე ძალიშვილი.

1 — ქალიშვ. — ასმათ! იჩქარე, თორემ ბადრის ტრაბახმა გოგოებს რეტი დაასხა.

ასმათ — მაგას თუ ყური უგდეთ, წყალის მოტანა დაგავიწყდებათ. წავიდეთ, რაღას გაჩერებულხართ. (მიდის).

ბადრი — ასმათ, შენგან დახმარებას ველოდი, შენ კი ძმობილი ასე აღვილად გამიმეტე.

ბადრი, მურთაზ.

მურთაზ — ვარგია ჩვენი ასმათი, რაც დღე გადის, უკეთესი ხდება.

ბადრი — ძმად შეფიცული ვყევარ, თორემ გული უკეთესს ვის აირჩევდა. როცა მას ვხედავ, ქვეყანაც სხვაგვარი მეჩვენება. მურთაზ, ერთი ეს საიდუმლო ამიხსენ — რა უნდა აღმიბანს? გახედე გარემოს, რასილაშაზე! ქვეყანა ასე მშვენიერია, აღამიანები კი ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთა ვერ აუტანიათ, ერთმანეთის მოსპობაზე უპირავთ თვალი. თითქო ყველაფერია იმისთვის გაჩენილი, რომ შენს გუნებაზე იცხოვრო, სიცოცხლე სიამეში გაატარო, ნამდვილად კი რას ვხედავთ ჩვენ?



მუ რ თ ა ზ — ჩუ, ვილაც მოდას.

ბ ა დ რ ი — შეი, ვინა ხარ?

ზ მ ა — მე ვარ, თავისიანი.

### იზიზიანი და კოკაევი.

ბ ა დ რ ი — ურაზმაგ!

კოკაევი — ჰო, მე ვარ. რა გაკვირვებით შემომცქერით?

მუ რ თ ა ზ — ისე შეფუთულხარ, ვერაფერ გაცნობს.

კოკაევი — დაუშვი თოფი. შოგ ეშმაკი ზის, უცაბედად არ გაისროლო. ისე შემომამყვირე, გული გადამიტრიალდა. მაღლობა ღმერთს, მგონი მოვალწიე. კიდეც არა მჯერა, რომ არგუნს ვხედავ. აქეთ მშვიდობაა?

მუ რ თ ა ზ — (ნაღვლიანი ირონიით) მშვიდობაა.

კოკაევი — ჩემი სახლი გადარჩა?

ბ ა დ რ ი — შენ ხომ ყველაფერში ძაღლის ბედი გაქვს.

კოკაევი — რა უბედურება გადაგიტანიათ, ძმებო! ვაჰმე ჩემო წყნარო, ოდესღაც ბედნიერო სოფელს გავიგე, ხალხი არ დაუხოგავთ. რა ბი-  
 ცები შეუწირავთ! თქვენ როგორღა გადარჩით?

ბ ა დ რ ი — მტერი მოუღონდნელად შემოიჭრა. წასვლა ვეღარ მოვასწარი. ჩვენი დარჩენა კი არ იქნებოდა. ჩვენებთან უნდა წავსულიყავით. შე-  
 ვებრძოლეთ, მაგრამ დაგვაშავეს და გზა გადაგვიჭრეს. ვინც ცოცხალი დავრჩით, ჯერ მთაში გავიხიზნეთ, როცა მტერი სოფლიდან წავიდა, დაებრუნდით.

კოკაევი — ვის შეებრძოლეთ, თქვე საწყლებო, ვის? სად გქონდათ ამის ძალა! აქ რას აკეთებთ?

მუ რ თ ა ზ — ვდარაჯობთ, უცხო არაფერ ამოვიდეს. ასე უბრძანეს სოფელს გერმანელებმა.

ბ ა დ რ ი — ცეცხლითა და მოსაბოთით დაგვემუქრენ, თუ სოფელმა რაიმე სა-  
 წინააღმდეგო მოქმედება განიზრახა, ან ვინმე უცხო მიიღო და შეიფა-  
 რა. ათი წარჩინებული მეზობელი მძევლადაც წაიყვანეს.

კოკაევი — სხვა გზა არაა, მტრის მბრძანებას უნდა დავემორჩილოთ, მის წინამე ქედი უნდა მოვიხაროთ. არაფერ ცდილა. აქ შემოსვლას? უცხო ვინმე არაფერ განახავთ დღეს, ან გუშინ?

ბ ა დ რ ი — არაფერ.

კოკაევი — ფხიზლად იყავით, ძმებო. იმათგან არაფერი დიშმალება. მა-  
 მასახლისი აქ ცხოვრობს?

მუ რ თ ა ზ — არა, მეზობელ სოფელში.

ბ ა დ რ ი — მამასახლისი მათ დაგვინაშნეს, ჩვენ კი საიდუმლოდ დოღვათი ავირჩიეთ მეთაურად. ხალხი მასხეა დანდობილი, მის სიტყვას ყურს უგდებს, როგორც გვირჩევენ, ისე ვიქცევით.

კოკაევი — ჭკვიანი კაცია, ბრძენი კაცია. იმედია ჟრიგოს არაფერს გირ-  
 ჩევთ. ვიყოთ, ვიცხოვროთ მშვიდად. ამ იმედით ამოველი, ამიტომ მო-  
 ვაშურე სამშობლო ბუდეს. რომ იცოდეთ რა ბედნიერი ვარ ესლა.

მუ რ თ ა ზ — როგორ მოახერხე აქეთ გამოსვლა?

კოკაევი — ნუ შეითხავ, ნუ მომავიწყებ. ბედი, სასწაული. ერთი დღის  
 გზას ორი დღე-ღამე მოვანდომე. ტყეებსა და კლდეებზე დავეხეტებო-  
 დი, მდინარეში კანალამ დავიხრჩვი. რაც მე გადამიწყდა, საიქონს ცხოვე-  
 ზად შეყოფა.





მ უ რ თ ა ზ — ვატყობ გვარიანი შიში გიქამია.

კ ო კ ა ე ვ ი — ჩემთან ბაღლი ხარ, ქაბუჯო, აგრე დაცინვითე ჯუჭუტუქუქარ უნდა შეშკადრო. ჯერ გამოსცადე ის, რაც მე და მამუნს უნდა შეშკადრო იტყვი. ეხ, რაც იყო, იყო. ამიერადან ვიცხოვრებ ჩემს ბუღეში, ბარში არც ჩავიხედავ.

ბ ა დ რ ი — რად უნდა ჩაიხედო, რაც შეიძელ, ადრევე ამოზიდე. ამზობენ ბლომად არისო.

კ ო კ ა ე ვ ი — ტყუილაა ეგ, ქორი, სიცრუე! თუ ცოტა რამ ამოვიტანე, იმატომ რომ მტრის მოახლოვებას ვხედავდი, მტერს არ დავუტოვე. როცა დრო მოვა, უკანვე ჩავიტან.

მ უ რ თ ა ზ — ეგ ზღაპარი სხვას უამბე.

კ ო კ ა ე ვ ი — რა ვატუტუტებულხართ, ბიჭებო! გიცქერით და გული მტკივა. სადღაა ძველებური პატიოსნება, უფროსადაღმი პატივისცემა და მერე რა დროს? მტერი შეიგნით გვეყავს, — ასეთ პირობებში ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის გატანა, ერთმანეთისათვის მსხვერპლის გაღებაც გეშართება. თქვენ კი ისე გაბოროტებულხართ, შეშინიან — ხელსა მკრავთ და უფსკრულში ფადამისვრით. მგონი აჯობებს, რომ გაგშორდეთ.

ბ ა დ რ ი — რა გეჩქარება, რას ნახავ იქ სასიხარულოს?

კ ო კ ა ე ვ ი — რაც თქვენს თავზეა, ჩემზედაც ის იყოს. თავისიანებს შორის გასაქირსაც უფრო ადვილად გადაიტანს კაცი. გავიგე, დოღათის ვაჟიც დადუბულა. საწყალო ომარ, რა ბავი ყავი! თითონ დოღათი გადარჩა? მიხარია. თუმც მე არარად მთვლიდა, — ღმერთმა ამატოს ეს შეცდომა, მისთვის მაინც კეთილი მსურს. მისი ასმათი როგორაა? გაათხოვა?

მ უ რ თ ა ზ — აქამდე ვერ დაივიწყე?

ბ ა დ რ ი — კიდევ ნაწყენი ხარ დოღათზე, რომ ასმათი არ გავატანა? იქნებ ეხლა აღარ იუაროს, შენს ქონებას დაეხარბოს.

კ ო კ ა ე ვ ი — ეხ, რა დროს მაგაზე ფიქრია. ერთი საზრუნავი-ღა დამრჩა, — როგორმე ამ დროებას გადაუტარე. რაც იქნება, იქნება. რაკი არგუნს მოვალწიე, ასე მგონია, ყველაფერი სასიკეთოდ გამოიცივლება... დროა გზას გაფუღვე. ეს ოხერი მუხლები სწორედ ახლა მომეკეთა, როცა საბლამდე ხელის დადება დამრჩა. (მოდის. ბადრი და მურთაზი ლაპარაკით მიაცილებენ).

მ უ რ თ ა ზ — შენ ის გვიკმბე, ბარში რა ამბავია?

კ ო კ ა ე ვ ი — განკითხვის დღე. ქალაქი დაცალეთ, გარშემო სოფლები დაეტოვეთ. ჩემი სამსახურიც გათავდა. თუ გინდ დაეხვე მტრის ფერხთა წინაშე და შებრალება შესთხოვე, არაფერი გიმველის (წავიდნენ).

გ ა ლ ი შ ე ი ლ ე ბ ი, წყაროდან დაბარუნებულნი. ყველაზე ზოლოს ასმათი.

1 — ქ ა ლ ი შ . — ხედავ, სისხლისფერია მზე.

2 — ქ ა ლ ი შ . — ცუდი ამინდის მომასწავებელია.

3 — ქ ა ლ ი შ ე . — იღმათ ქარი ამოვარდება.

4 — ქ ა ლ ი შ ე . — ფიქრი ნუ გაქვთ, სანამ შინ მივიდოდეთ ამინდი არ შეიცვლება.



1 — ქალიშვი. — ასმათს ვერ ვხედავ. სადაა აქამდე?

2 — ქალიშვი. — ქვედა ბილიკით მიმავალ ჯოგოებზე ულაბარაკებზე ვხედავ.  
 დეთ, დაგეწევა. (მიდიან).

ასმათი, შემდეგ შალვა.

ასმათი — (თუნგით მხარზე მარტო ამოდის დაბლობიდან).

შალვა — (უცერად გამოჩნდა ბუჩქიდან).

ასმათ — ეინა ხარ?

შალვა — მომეც ეგ თუნგი, წყალი შევსება.

ასმათ — შიირთვი.

შალვა — (შესვა) გმადლობ.

ასმათ — ვან ხარ, ან აქ საიდან გაჩნდი?

შალვა — მგზავრი ვარ, შორიდან მოველ. ეს რა სოფელია?

ასმათ — არგუნი ვახლავს.

შალვა — (თითქმის თავისთვის) არგუნი... მაშ ვბა არ შემშლია...

ასმათ — სოფელში შევვლას ხომ არ ფიქრობ?

შალვა — ისე მკითხე, თათქო შეშინდი... ვანა აქ უფროხიან სტუმარს?

ასმათ — ვაი, რომ აგრეა. შენ უცხო ხარ, ნურც შეეცდები აქ შემოსვლას.

ყარაულები არ გაგიშვებენ. სოფელს უფლება არა აქვს მიიღოს ვინმე.

შალვა — ნუ გეშინია, აქ არ მოვდივარ. მხოლოდ ეს მითხარ, თქვენს სო-

ფელში სცხოვრობს დოღვათ ფარნაონი?

ასმათ — დოღვათი მამაა ჩემი. რად იკითხე?

შალვა — ისე, ტყუილად. სიტყვას მოჰყვა. გამიგონია დარბაისელი, პა-

ტივსაცემი კაცი არისო... შენს გარდა შვილი კიდევა ჰყავს?

ასმათი — ერთი ძმა მყავდა, ისიც მომიკლეს.

შალვა — შენს ძმას ომარს ხომ არ ეძახდნენ?

ასმათ — ჰო, ომარი ერქვა.

შალვა — მახსოვს, ქალაქში იყო ჩემთან. ერთხელ ვნახე, მაგრამ არ და-

მავიწყდება. ვაუკაცი იყო, ღინჯა, გონიერი.

ასმათი — მაშ შენ ვინახავს ჩემი ომარი? მამას გაუხარდებოდა შენი

ნახვა. მაგრამ ეს შეუძლებელია. სოფელში უცხოს ვერ შეუშვებენ.

შალვა — მოვა დრო, მშვიდობა იქნება. მაშინ ამოვალ და ვინახულე.

ასმათი — მობრძანდი. სტუმარი ჩვენთვის მუდამ გასახარელი იყო. ესლა

საით მიხვალ?

შალვა — საითაც თვალი გამიძღვება, სადაც მტრის ჯარისკაცებს თავს

ავარიღებ.

ასმათი — მერე და ისინი რომ შეგხვდნენ?

შალვა — ეუფროხი არ დამინახონ. დღით ვიძალეები, საღამე საფარში გა-

სულრულა ვარ, ღამით კი ვზნა მივიკვლევ.

ასმათი — აგრე თავი რად გაგიწირავს?

შალვა — შენთვის, მამაშენისთვის, ამ ქვეყნისათვის.

ასმათი — ვერ მიგიხვდი, რას ამბობ. საგონებელში კი ჩამავდე. მჯერა

და არც მჯერა შენი. შეცოდები და თანაც გიფროხი!

შალვა — ჩემი რად უნდა გეშინოდეს? ოდესმე გაიგებ, რომ სამეგობროდ

ვიყავ მოსული. თუმცა ვან იცის, იქნებ ვერაფერიც ვერ გაიგო, იქნებ

უკანასკნელად გხედავდე.



ეროვნული  
წიგლმწირობის  
კავშირები

ასმათ — აქი დამპირდი, მომევალში ამოვალო.

შალვა — როგორ მოგაგნო? რომელია შენი სახლი?

ასმათ — აი მარჯვნივ, განაბირას რომ სჩანს.

შალვა — ვხედავ. ადვილი მისაგნებია.

(შორიდან ძახილი ისმის: „ასმათ, აუ ასმათ!“)

ასმათ — მშვიდობით. (ნაბიჯი გადასდგა. შეჩერდა). პო მაგრამ, ანე მართო ტყეში როგორ უნდა იქნე?

შალვა — რას იზამ, უცხო ვარ თქვენთვის.

(ისევ ხმები: „ასმათ, აუ ასმათ!“)

ასმათ — რას ჩამაცივდნენს მოვალ, მოვდივარ! (შალვას) ხომ გახსოვს, რას დამპირდი?

შალვა — მახსოვს.

ასმათ — აქ ამოსვლა არ დაგეზარება?

შალვა — არა.

ასმათ — აი ის სახლი!

შალვა — ვხედავ, არ დამევიწყდება.

#### მესამე სურათი

დოლგათის სახლი. ასმათი ლანგარზე აჯახობს ხილს.

დოლგათი — ეგ რა ბონჩაა?

ასმათი — დღეს ომარის დაბადების დღეა. დედამ დამევალა, გამიმზადეო.

დოლგათ — ეს დღე ჩვენთვის ბედნიერი უნდა ყოფილიყო. საბრალო შვილო... სიმღერა, ცეკვა, მოღონა იქნებოდა ეხლა ჩემს სახლში. ამის მაგიერ კი ტირილია და გლოვა. ვაჟკაცი ვაჟკაცურად რომ მოეკლათ, ასე არ ვინაღვლიდი. ღირსეული დასასრული სიკვდილთანაც შეგარიგებს, მაგრამ დაჭრილი, უკვე უღონო, ძალშილეული ჩაიგდო ხელში, ყელში ბაწარი გამოაბა და ათრიო, როგორც ძალი დასახრჩობი, ათრიო იმის შემდეგაც, როცა უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდა... არა, მასზე მწუხარება არასოდეს არ გამინელდება. (გარედან ძლიერი ქარის ხმა აღწევს).

ასმათი — რა საშინელი დამეა!

დოლგათი — სადაა აქამდე დედაშენი? ბნელა და ისეთი ქარია, რომ ხეებსაც ზრის. უბედურება კმარა ჩვენს თავზე. ამიერიდან კარებს ჩავეტაცავ, აღარ გაუშვებ.

ასმათი — ნუ გაუჯავრდები. გულს მოიოხებს, დაბრუნდება.

დოლგათ — შინ ტირილს არავინ უშლის. იმ ბედშვებ დღიდან არ შემშრალან მისი თვალები. მძინარეც ვერ დამშვიდებულა. წუხელ ძილში ვალაცას ელაბარაკებოდა. მერე ეუცრად წამოიჭრა, კარებს მივარდა, წასვლას აპირებდა. დროით მივეუსწარ. შევაჩერე, ძლივს შევესძელ მისა დაბრუნება.

ასმათი — მითხრა, ღამით ომარის ხმა მომესმაო. შეძახდაო.

დოლგათ — მწუხარებამ გონება აურია. ასეთი ყოფილა მისი ბედა. ჩვენც განწირული ვართ.

ასმათი — და ამ ბედს შევეუროდეთ? შენ ამას გვირჩევ?

დოლგათ — არა.



ასმათ — მამ შურისძიება ომარისათვის?

დოღათ — მაგახე ფიქრს თავი დაანებე. (წუთიერი სიჩუმის შემდეგ) შენ როგორ გგონია, მე შემოდია ბედის მორჩალი დედაჩემი? როგორ ვებრძოლო მას? (ქარი ისევ მოზოქრობს. წამოდგა. კარი გააღო) ფატმანი (პასუხს არავენ აძლევს. კარი მიხურა, დაბრუნდა). ასეთ ღამეში ნადირიც თავშესაფარს არ სცილდება.

ასმათ — ასეთ ღამეში ვინ იცის რამდენი ადამიანი დაეხეტება საშიშ ხევეში. აი თუნდაც ჩვენი ომარის ნაცნობი...

დოღათ — ნეტავ ის კაცი მეც მენახა.

ასმათი — რომ გენახა, მიიღებდი და შეაფარებდი?

დოღათი — ვერა შეილო, ვერ გაგებდავდი.

ასმათი — ვინ იცის, სადაა ეხლა, რა გასაჭირშია.

დოღათი — ვაი სირცხვილო და ჩვენი წასდენა. მგზავრს შენა სახლის კარებიც ვერ გაუღო!

ასმათი — ომარის ნაცნობი მაინც არ ყოფილიყო. სულ მერგენება, თიანკო ომარი საყვედურს მეტბნებოდეს.

დოღათი — შენ სულ იმ უცნობზე ფიქრობ. კმარა, გეყოფა. მეც ნულარ მომაგონებ... კიდევ კარგი, რომ არ მინახავს. მაშინ გულა კიდევ უფრო დამწყვდებოდა. სულერთია, მაინც ვერ მივიღებდი. სოფელს განსაცდელში ვერ ჩავაგდებდი, ხალხს ვერ ვუღალატებდი. მე შეურცხვენლად ვატარე აქამდე ჩემი სახელი. ჩემი ფიქრი და საზრუნავი მართო ოჯახი კი არ იყო, — არგუნიც ჩემთვის ოჯახია, უფრო დიდი, უფრო საპატიო. შენც ამას დაგიბარებ, — შენს დიდ ოჯახად ჩასთვალე ის სოფელი, სადაც ბედი ცხოვრებას დაგინიშნავს.

ასმათი — აბა შეხედე, მოგწონს ზონჩა?

დოღათი — ლამაზი გამოვიდა. მარჯვე ზარ, ჩემო თვალის სინათლე. ოქროს ხელი გაქვს...

ასმათი — ომარის მაგიერ ეს ზონჩა რა ნუგეშია... (ცრემლი ვრევა).

დოღათი — დამშვიდდი შეილო... აგერ ჩამოგექვს ჩემს გვერდით. გული დაეიტვხო შენის ცქერით, შენა ალერსით. ჩემი პატარა, ჩემი ბღღურა, წინათ მზიარული და მოუსვენარი... შეიშურე ცრემლი... ჭირს გაძლება უნდა, გამკლავება... არ დამორჩილდე, თორემ ცულს ნაადრევად მოვიჭვნობს.

ასმათი — გაუძლებ მამა, გაუძლავდები.

დოღათი — აგრე შეილო, მანუგეშე, მითხარ, რომ მოერევი. შენც მომეალერსე. მეც შენსავით ბავშვი გავხდი, ალერსი მომენატრა. ჩვენ ორნილა ვართ ამ ქვეყანაზე, ამ უშველებელ ქვეყანაზე. ორნი დაერჩით, მეტი არავენ. დედაშენი ცოცხლებში რა ჩასათვალა. დარჩენილი საცოცხლის დღენი დაეუამოთ და შეეუშნებუქოთ ჩვენი მისდამი სიყვარულით, მასზე ზრუნვით. პატივი ვცეთ მის ტანჯვას, მის უჭარებელ მწუხარებას.

იზივისინი და აპირან.

ამირან — მართონი ზართ? შენი დედაკაცი სადაა?

დოღათ — რატომღაც შემკრთალი მეჩვენები. რად იკითხე ფატმანი?

ამირან — წელან ისინი ნაბრალის თავზე დაეინახე.



დოღჯათ — ვინ ისინი? ვინ ღაინახე?

ამირან — შინ ვიყავ და ჩემი დედაკაცის დაბრუნებას ეძებოდი. ეუცრად გარედან ხმა მომესმა. გავედი, მივაყურადე, ქვემოთს მივყევ-  
 ცანი. გაესწიე იქით და ღაინახე, რომ ნაპრაღის თავზე რაღაც შავი  
 ლანდები გადამდგარიყვნენ. შევეკრთი, ავი სულეები შევკანენ. ახლოს  
 ვიყავი და მათი ყოველივე მესმოდა. ბოლოს გავარჩიე; ჩვენი სოფლის  
 დედაკაცები ყოფილიყვნენ. თავიანთ დაღუპულ შვილების სახელებს  
 გასძახდნენ, უხმობდნენ, შინ იბატიყებდნენ. იქნებ ზოგიერთის სული  
 მართლაც იბოვეს.

დოღჯათ — მოხუცო, წლებმა შენ გონება აგირია.

ამირან — შენ ცოდვილი ხარ, დოღჯათ. ისიც არა ვწამს, რომ მიცვა-  
 ლებულის სული თავის სამშობლო ადგილს დასტრიალებს. ცოცხალზე  
 უფრო მას სჭირდება მოვლა და პატრონობა.

დოღჯათ — უშჯობესია ის მითხარი, რა იქნენ დედაკაცები?

ამირან — ბილიქ გააყვნენ. დაედევენე, მაგრამ ბნელმა დაფარა ისინი.  
 შეგონა, აქეთ წამოვიდნენ. სად ვნახო, აღარ ვიცი. (წავიდა).

დოღჯათ — რა ქარია... მომეცი ქუდი. იქნებ ვიპოვო ის უბედური. ასეთ  
 ღამეში რა უნდა გარეთ?

(წასვლას აპირებს. კარი გაიღო და შემოვიდა შავებში ჩაცმული ექვსა  
 დედაკაცი, რომელსაც ფატმანი მოუძღვის. დედაკაცები გალობენ).

დოღჯათი, ასმათ, ფატმანი, მამსი დედაკაცი.

ფატმანი — (აღზნებული სჩანს) ფართოდ გააღეთ კარები! გაიხარენით!  
 ომარის სული შინ მოვიყვანე!

დოღჯათ — ფატმანი!

ასმათი — დედა!

ფატმანი — აქამდე ვით გარეწარი უთვისტომო მთა-ბარში დახეტებოდა.  
 ახლა ინება შინ დაბრუნება. მობრძანდი შვილო, სულს პატროსანო.  
 ამა შენი სახლი, დაისადგურე შენს საბუღარში, აქ გშობე შწარე ტყი-  
 ვილებით, აქ გაგებილა პირველად თვალი. აქ ირწეოდა შენი აკვანი და  
 მშობლის ნანა გზრდიდა ვაჟკაცად.

დოღჯათ — დედაკაცო ფონს მოჭდი, რა გეპართება!

ფატმანი — გააღვივეთ კერა, დარში, აედარში ქარს დაჰქონდა ბუმბული-  
 ვით მსუბუქი მისი სული. სციოდა, სითბო ენატრებოდა. ღამით ქურ-  
 დულად მოდიოდა და მეძახდა. რა შინში გქონდა შვილო, ვის უფრთხო-  
 დი, რატომ თამამად არ შემოაღე კარები?

1 დედაკ. — წმინდა პურის ნაწილო,

მამის ოქროს ვუთანო,  
 დედის ჩიქილ-მანდილო,  
 მამის ქამარ-ხანჯალო,  
 შინდის ტოტზე ყვავილო,  
 ცვარით გახარებულო!

ფატმანი — ზევში ბოროთს შენი ხმა დაჰქონდა, მიხმობდა საშველად და  
 მეც გეძებდი. მოვედი და ვიპოვე. მე სატირალი არაფერი მაქვს, შენ  
 უკვე შინ მყავხარ, შენი თავი ჩემს კალთაში ისვენებს. მე ეხლა ისევ  
 დედა ვარ ბედნიერი.



2 დედაც. — ცისკარზე ადგებოდე,  
ჭალას ჩაინადირებდე,  
ჭალა ეკლიანია,  
მინდორი დანამულა,  
დაიჭერდე ხოხობსა,  
მზით დაფერილ ფრთიანსა!

ფატმან — ისევ მდიდარი, მხიარული გახდა ჩემა სახლი. შენი თვალემა ისევ შემომცქერიან. ისევ შესმის შენი ხმა. არწივის ყორყოტა მგონია. დედა ვარ შენი და ამაყი ვარ შენით. საღ მქონდა ამ ოხერ მკერდში ამდენი ძალა, რომ ასეთა ვაყვაცი გაგზარდე. თუ არის კიდევ დედა, ჩემზე ბედნიერი!

3 დედაც. — შენი სახლი სასახლე,  
ნათალი თეთრი ხეა,  
გარს ია ამოსულა,  
კართან ალვის ხეა,  
სახლის კარი შეაღე,  
პატარძალი გელას.

ფატმან — მისი რჩეული, მტრედი უმანკო, მთის ყვავილთ შეულახავი, მალე შემოვა პატარძალი ჩემს სახლში. ფარდაგები დაუფინეთ, შარბათი შეაგებეთ, წყურვილი მოიკლას ნამგზავრმა. ჩემს ვაყვაცს მიართვით ხონჩა, მისთვის დამზადებული, ლუდი და არაყი მიაწოდეთ, პატრიცი ეციოთ ღირსეული, სიმღერა სთქვიოთ და მოუღბინეთ. თუ არის კიდევ დედა, ჩემზე უფრო ბედნიერა!

4 დედაც. — შინდეს ტოტი გამხმარი,  
მთვარის ნამი გამშრალი!

5 დედაც. — ცისკარი დანისლული,  
ფრთა მომტყდარი ხოხობი.

6 დედაც. — ნამეხარი ალვის ხე,  
მტოებჩამოცვენილი!

ფატმან — ავაი, ავაი! არასოდეს ჩემი სახლი არ გაიხარებს!  
დოღვათ — გეყოფა, კმარა. წაიყვანეთ, მოასვენეთ!

ფატმან — ავაი! გაცივდა სასხლი მის სხეულში, თვალში ნათელი სამულამოდ ჩაუქრა. ის იყო ამაყი და ქედუხრელი. ახლა კი უძრავად ვდია, თითქო პატარა ქვა მდინარის ფსკერზე, მშვიდი და უღონო. მხოლოდ ხმა დარჩა მისი ჰერში. ის მოაქვს ნიაფს, ხეებს ბოროთს და მომიწოდებს სასხლი ვიძიო. ვინ მიწინამძღერებს, რომ შენთვის, ომარ, დედებო, თქვენი შევილებისათვის, დაუნდობელი შური ვიძიო?

დოღვათ — წამოდი, ფატმან, მოისვენე. ჩვენს მწუხარებას მე და შენ ვერასოდეს გამოვიტირებთ. (მიჰყავს საძინებელ ოთახში).

დედაცაც. (მიჰყვებიან) ავაი, ავაი!

ასმათ — (უფერად შენიშნავს, რომ კარებში ვიღაც გამოჩნდა) ვინა ხარ? ასმათი, შაღვა.

შალვა — ველარ მიცანი?

ასმათ — შენ? აქ როგორ მოდი?

შალვა — თუ ნებას მომცემ, გავითენებ ამ ჰერქვეშ. თუ არა და ეგერ ზღურბლის გადაღმა მოვიკალათებ. მე იმითაც კმაყოფილი ვიქნები.

ასმათ — ეგ შეუძლებელია. მამა ვერ მივიღებს.

შალვა — რა ცივა გარეთ... აქ კი ნამდვილი სამოთხეა.

ასმათ — წადი, სანამ მამა გამოვიდოდეს.

შალვა — ძივც კაცია ჩემსათვის. შევეცდები. ასეთ ამინდში გარეთ ძალდაც არ გაავადებენ. კარგი სახლი გქონიათ, რა ბედნიერებაა ეს ცეცხლი. გასაგებია, რატომ უყვარს ადამიანს თავისი კერა.

ასმათი — გვეედრები ეხლავე წადი.

შალვა — ძალა აღარ მაქვს. აგერას წავექცევი.

### იგივენი და დოღათი.

დოღათი — შენ ვინა ხარ?

შალვა — სალამი, დოღათ!

დოღათი — ვერ გიცანი. ვხედავ, არა ხარ აქაური. ჩემს სახლში საიდან გაჩნდი? ვინ მოგიყვანა?

შალვა — კვამლი შევნიშნე სახლის თავზე. ვიგრძენ, სითბო იქნებოდა და შემოვედი.

დოღათი — მო, მაგრამ, უცხო სოფელში ვინ შემოგიშვა?

შალვა — ღამის სიბნელით ვისარგებლე და შემოვედი.

დოღათი — შემოიპარე? საიდან ხარ, რისთვის მოდი?

შალვა — მტრისაგან თავი დავაღწიე. მინდა ჩვენებთან გავიდე. გზა დამებნა, აღარ ვიცი, საით წავიდე. ღამემ აქ მომიტყუა და სხვა გზა არ მქონდა. სოფელს მოვამშურე. ბევრს არაფერს ვთხოვ, ერთი ღამით შემოიფარე.

დოღათი — სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ეხლა ჩვენზე ღმერთიც გამწყურა-ლია და კაციც. ამის თქმაც მიხმის, მაგრამ მეტი რა ძალაა, პირდაპირ გეტყვი: არ შეიძლება, ვერ მივიღებ. მტერი მოსამობით დაგვემუქრა, თუ უცხო ვინმე შევიფარეთ.

შალვა — თავშესაფარზე უარს მეუბნება? გასაჭირში ჩავარდნილს სამ უკანასკნელ იმედსაც მისპობ?

დოღათი — შენ აპირებ თავი შემამარალო შავ სიტყვებით, ან და ნამუსზე შემაყენო?

შალვა — არა, ბატონოვანო კაცო, არ შეგკადრებ ცბიერ სიტყვას და არც მჩვევია ეს. მე ვიცნობდი ძველ მთას, მწამდა მისა ბატონობა. სადაც არ უნდა მივსულიყავ, იმედი მქონდა, მეგობრებსა და კეთილსმყოფელთ ვიპოვიდი. არ მაშინებდა, რომ უცნობი ვიყავ მათთვის. ვიცოდი, რომ მთის ხალხი ბუნებამ კეთილშობილი და მოყვარული გულით დაიჯილდოვა. ყველგან შემეძლო თავისუფლად შემელო კარი. ეხლა კი თურმე სულ სხვა ხართ. ვხედავ დროებამ გამოგცვალათ.

დოღათი — შენი სიტყვები ვულს მწარედ მომხვედნ, მაგრამ ამ გრძნობას ეხლა ვერ ავეყვები. იქნებ მართალი ადამიანი ხარ და ჩვენი მოკეთე. ჩემი ჭიკაბა სამუდამოდ შერცხვა, თუ ასეთი კაცი არ მივიღე, მაგრამ იძულებული ვარ გარემოებას დავემორჩილო და უარი ვითხრა. წადი, გამბრუნდი.

ასმათი — მამა!



დოღათი — არა შეილო, ნურაფერს მეტყვი. ხალხის ცოდვამი დეეს  
 ვერ ჩაივდამ.  
 ასმათი — ასეთ ღამეში სად წავიდეს?  
 დოღათი — შენ არავინ გეკათხება. მე უკეთ ვიცი, როგორ მოვიტყე-  
 წადი, მიხედვე ამ ავადმყოფს.  
 (ასმათი გადის)

შალვა, დოღათი.

დოღათი — სანამ არავის გაუგია შენი ამ მოსვლა, დასტოვე ჩემი  
 სახლი.  
 შალვა — მამ მაგდებ სტუმარს?  
 დოღათი — არა, სტუმრად შენ ვერ მივიღებ. დანაშაულად და ცოდვად  
 ნუ ჩამითვლი ამას. გვერანებული სოფელი უნდა გებრალებოდეს. თუ  
 პატიოსანი ხარ, გაიგებ რა მაიძულებს უარი გითხრა თავშესაფარზე.  
 შალვა — მესმის და გული შემტკივა თქვენთვის.  
 დოღათი — გაიგე, სოფლის ბედი მაფიქრებს მე. ესაა მიზეზა, თუ ასე  
 გიფრთხი. თორემ საკუთარ თავზე მე აღარ ვზრუნავ. მე უკვე დავკარ-  
 გის, ვინც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის.  
 შალვა — ერთა დარდი იგაქვს, დოღათ, მე და შენ.  
 დოღათი — შენ რა იცი, რა დარდი მაქვს?  
 შალვა — ვიცი და იცო იყო მიზეზი, თუ ამ გაფრდი. მე შემთხვევით არ  
 ამოვსულვარ. შენთან დავალებაც მაქვს.  
 დოღათი — ჩემთან? რაო?  
 შალვა — ვიცი, გული გტკივა. ძნელია უცქირო ქვეყნის დამცირებას და  
 შეგინებას. სიცოცხლეზე და ბედნიერებაზე ფიქრის დრო არა გვაქვს  
 ესლა მშ და შენ. ქედმოხდილ მონად შეგიძლია დარჩე? განა შეგიძლია  
 ყოველგვარ სიცოცხლეს შეურავდე?  
 დოღათი — ვხედავ შორიდან უფლი. პირდაპირ სთქვი, რა გინდა ჩემ-  
 გან?  
 შალვა — დოღათ, ხალხია საჭირო.  
 დოღათი — რა ხალხი?  
 შალვა — შურისძიების საათი ახლოვდება. ეს დღე შესაძლოა უფრო აღ-  
 რე დადგეს, ვიდრე მოველით. ჩვენი მეზობლანი მალე გადმოვლენ  
 შეტევაზე. გზა ამ ხეობით მიდის. აქაც მზად უნდა ვიყოთ. მტერს ზურ-  
 გში უნდა დავკრათ და გზა მოვუკრათ.  
 დოღათი — რაო? რა სთქვი?  
 შალვა — არგუნსა და მებოზელ სოფლებში დარჩენილმა ხალხმა უნ-  
 და შესძლოს ეს.  
 დოღათი — შენ გინდა ხალხი ახალ განსაცდელში ჩაავდო? ამისთვის  
 მოხველ? ან იქნებ მე მცდი? თუ ასეა, ტყუილად გარჯილხარ. წა-  
 დი, დასტოვე ჩემი სახლი.  
 შალვა — კაცი მეგონე ღირსეული, მხალაი ყოფილხარ.  
 დოღათი — მაგას ნუ მკადრებ. შენ არ იცნობ დოღათ ფარნიონს.  
 შალვა — ვხედავ, პირუტყვად ყოფნას არჩევ ქვეყნის სამსახურს. შენი  
 ომარის სისძლის ხმა მაინც აღარ გესმის? ასე გაცივდა შენი გული?





დოღგათ — გაჩუმდი, კმარა!

შალვა — დაუგდე ყური, გაიგონებ მის ხმას ამ მრისხანე ეჭირუნქმურღ-  
ვაში. აღარ გესმის, როგორ მოგძახის და მოგაწოდებს შინაგანად?

დოღგათ — რას მაწამებ, რა გინდა ჩემგან?

შალვა — დოღგათ, ყოყმანის დრო არაა. ხალხი შენ იგნდობა, შენი ხმა  
გაამხნეებს მას, შენს დაძახილზე აიშლება. უნდა შეეკრიბოთ საიმე-  
ლონი, მტკიცენი, ვინც ნამდვილად გამოდგება. მე შენგან ველი დაბ-  
მარებას ამ საქმეში.

დოღგათ — ვინ დაგავალა ეგ?

შალვა — პარტიამ, სარდლობამ.

დოღგათ — (მღუშარე შეტყურებს).

შალვა — შეგვკრებთ მებრძოლებს? არის ხალხი? გავვეც პასუხი მე და  
ომარს!

დოღგათ — ასმათ!

#### იპიპიპი და ასმათი.

დოღგათ — მოიხადე ჩვენი ვალი სტუმრის წინაშე. ზრუნვა გვმართებს;  
მოუარე, პატივა ეცი. იცოდე, არსად, არავისთან დაგვდეს რაიმე. (შალ-  
ვას) მიგულე მეგობრად. არა, შენს მამად. დაღუპულ შეილის მაგიერი  
იქნები ჩემთვის.

(ღარ და)

#### მოკმედეგა მორაი

პატარა სამკედლო, კოთხეში ზავა, ცხენის საბეღლი. სარკმელიდან ჩამავლი მზის შუქი  
ხანს, თივაზე სძინავს ნაბადში გახვეულ შალვას. ასმათი შორიახლოს ზის და რთავს.  
დროდადრო ლიღნებს: „შალალ შალალა მოაზედა...“ მძინარე შეკრთა. ჩუმად, სველიანად  
გაისმა მისი სიტყვები: „ქარი... რა სუსხიანი ქარია“. ასმათი წამოდგა, მისვლა დააპირა,  
შეკრა რა დინახა, რომ მძინარე დაშვიდდა, ისევე ჩამოჯდა. კარები ფრთხილად შე-  
მოალო ბადრიძე.

#### ასმათი, შალვა, ბადრი.

ბადრი — ისევე დაიძინა? ეტყობა ძალიან დაღლილი ყოფილა.

ასმათი — ჩუმად. შენი შემოსვლა არავის შეუმჩნევია?

ბადრი — არა.

ასმათი — აქი გაგაფრთხილე აღარ მოსულიყავი.

ბადრი — მოთმინება აღარ მყოფნის. ისევე მომინდა მასთან საუბარი. რაც  
მისგან გავიგონე, იფულს მოხვდა, მოსვენებას აღარ მაძლევს.

ასმათი — ხომ არავის განდობიხარ?

ბადრი — აბა ჭას ამბობ, როგორ გაებუდავდი! მამა შენი კი მურთაშს  
ელაპარაკა და ისიც მიიშრო. შემდეგ ისანი ერთად წავედნენ კოს-  
ტასთან. მამა შენი ფრთხილი კაცია, თითო-თითოდ იმხრობს ხალხს.

ასმათი — გახსოვდეს, რა დავარივა მამამ. სანამ ნებას არ მოგვცემს,  
არავის უთხრა. თორემ სოფელს ამბავი მოედება.



ბადრი — ფიქრი ნუ გაქვს, არავენ იცის. ლაპარაკობენ მხოლოდ, რომ წუ-  
ხელ ვიღაც შემოპარულიაო. ყარამანს შეუშინებია. ექვი აღუღრღვსოფრ  
მე არ იყოსო და შეუძახნია. როცა პასუხი არ მიუღია, დასტუქნენ ჩემს  
რამ ბნელში დაკარგვია. ზოგმა დაიჯერა, ზოგი კი ამბობს, მოსწვე-  
ნებიანო. მაინც ფრთხილობენ და ყოველ შემთხვევისათვის კვალს ეძე-  
ბენ. აქ არისო, ამას აბა ვინ იფიქრებს. ბორჯავს, რა მოუსვენრად  
სძინავს...

ასმათი — შენ ამდენს ლაპარაკობ, გამოაღვიძებ. ცოდვაა. წადა.  
(ბადრი წაეიდა).

ასმათი, შალვა.

შალვა — (გაეღვიძა) ასმათ! მარტო ხარ?

ასმათი — არავენ არი.

შალვა — რაღაც ხმა ჩამესმა. შეჩვენა, თითქო ვიღაც იყო. რამდენი დღეა,  
რაც მიძინავს?

ასმათი — ჯერ ერთი დღე-ღამეც არ შესრულებულა, რაც არგუნში  
ამოდი.

შალვა — მე კი მგონია, აუ რა ხანი გავიდაო მას შემდეგ, რაც პირველად  
აქ შემოვედი. ძირს თავი ვერ ავართვი. აქამდე ბურანში ვარ. წუხელ  
უცბადვე ჩამეძინა, თუმცა მოსვენებული ძილი არ მქონია. ქარი ღმუო-  
და, კედელს ქვიშას აყრიდა, სულ მეგონა ვიღაც ამტერგვდა კარებს.  
ახლა კი თავს კარგად ვგრძნობ. ო, მზე ყოფილა გარეთ! აქ სადა ვარ?

ასმათი — წინათ სამკეღლო გვქონდა. იქ კუთხეში კი ზამთრობით ჩემი  
შის ცხენი გვეყავდა დაბმული. ისეთი ზურდავი იყო, მთაში და ველად  
ფრთხილავით დაქროდა. მტერს რომ არ წაერთმია, მამამ მთაში აიყვანა  
და გაუშვა. მოსაკლავად ვერ გაიმეტა. აღარ ვიცით სადაა.

შალვა — შენ ჯდებოდი მასზე?

ასმათი — ვინა, მე? ახლოსაც ვერ ვეკარებოდი. გიფი აყო. რას ეძებ?  
წყალი გინდა? აი აგერ. დაიცა, ზელის გულეები რამ დაგისერა?

შალვა — კლდეებზე წვეტიანი ქეებიან. აღარ მტკივა.

ასმათი — კლდეებზე რად ცოცავდი, ვზით ველარ იარე?

შალვა — მაშინ მტერი დამინახავდა. აქეთ ველარ ამოვიდოდი.

ასმათი — შენც ბადრივით ყოფილხარ. ის კლდეზე ვაცივითაა. ვაქებზე  
ფეხები ებლანდებო.

შალვა — მამ ბადრი აგეთია? კარგი ბიჭი მომიყვანა მამა შენმა.

ასმათი — ბადრი ცუტია, ისე კი პატიოსანია.

შალვა — რა გაჩვეული გქონია ხელი. დიდი ხანია მავას რთავ?

ასმათი — წელან დავიწყე. აბა რა მექნა? შენ სულ გძინავს, საცაა დაღამ-  
დება კიდევ. თავს ამით ვირთობდი, თორემ მეც აჭვე ჩავთვლებოდა.

შალვა — აი წელან დადხანს მელეძია. გელოდი, მაგრამ...

ასმათი — საცოდავი. ხმის გამცემიც არავენ გყავდა. მოგეწყინა ალბათ.

შალვა — არა, მოწყენის დრო სად მქონდა?

ასმათი — მამ თავს რითი ირთობდი?

შალვა — ვფიქრობდი... შენზედაც ვფიქრობდი.

ასმათი — ჩემზე? იტყვი რაღაც საოცარს. აი მე კი მართლაც ვფიქრობდი ძალაუნებურად. მე თუ არ მოგხვდებ, ვინაა შენი პატარა ჩემი ვიქნებოდი, მაგრამ არ მიხერხდება. ოჯახს უნდა მივხედო, მერე კიდევ დედას მოსავლელი.

შალვა — დედა ავად გყავს?

ასმათი — აქამდე სრულ გონზე ვერ მოსულა, რაც ძმა დამეღუბა. სულ იმას გაიძახის, უნდა წავიდე, შური უნდა ვიძიო. იქნებ კიდევ წავიდოდა, მაგრამ სადა აქვს ამისი ღონე.

შალვა — აქ კიდევ არიან ასეთი დედები?

ასმათი — უ, ბევრი. მოხუცებიც და ილუპუნენ, ახალგაზრდებიც. ნულარ მომავონებ.

შალვა — წუთიერი დემილის შემდეგ სარკმელთან მივიდა. გაპყურებს) რა დღე ყოფილა! მზის მადლი იღვრება მიწაზე. რა მთებია! როგორ არ უხაროდეს ადამიანს აქ ცხოვრება. ჩემი სამშობლოს პერიც მოვლის გადაღმიდან. აი, აქეთვე რომ პატარა ღრუბელი მოიწვეს, იქნებ მან წელან ჩემი სოფლის თავზედაც გადმოიარა. უკან რომ გაბრუნდებოდეს, დავაბარებდი, რომ შეზობლად ვარ და აქედან მის სიმშვიდეს ვღაბავ. ასმათ, ვანა არის სადმე ამაზე უკეთესი ქვეყანა?

ასმათი — არსად. მამაც მაგას ამბობს ხშირად.

შალვა — დოღვათი შინ არის?

ასმათი — არა, წავიდა. ალბათ ისევ შენს საქმეზე დადის.

შალვა — ჩვენ ერთი საქმე გვაქვს, ასმათ, ერთიდაიგივე საზრუნავი. აი შენ კი მგონი თავი მოგაბეზრე და შეგაწუხე.

ასმათი — აბა რას ამბობ. მე უფრო ის მაწუხებს, რომ ამ ოთხ კედელში ხარ გამომწყვდეული.

შალვა — რას იზამ, ჯერჯერობით სხვაგვარად არ იქნება. როცა ქვეყანა დამშვიდდება, აი მაშინ თამამად ამოვალ. ხომ ვნახავ, ხომ აქ იქნება?

ასმათი — ვიქნები, თუ კი ომს ცოცხალი გადავურჩი.

შალვა — სიკვდილის გეშინა?

ასმათი — რა თქმა უნდა, მეშინია.

შალვა — სიცოცხლე ტუბილია ასმათ, არა?

ასმათი — აბა რა საკითხავია.

შალვა — ოღონდ სული გედვას და ყოველგვარ საცოცხლეს შეურიგდები?

ასმათი — ოჰ, რა ჩაცეება გკოდნია, რა თქმა უნდა, არა. ეხლა რომ მაქვს, ასეთი არ მინდა. ჩუ, დედის ხმა! (მიდის).

შალვა — ასმათ, მალე დაბრუნდები?

ასმათი — რა სულსწრაფი ხარ. მოვიცლა და მოვალ. (ყარებიდან) არ გეგონოს, რომ გაგიწყერი. მოვალ, მარტო არ დაგტოვებ. (წავიდა).

შალვა — (ყარებს თვალს არ ამორებს, თითქო ოცნებით შეპყრობილი. მერე ისევ სარკმელთან მივიდა. სივრცეს გაპყურებს. ერთხანს მუშად ღილინებს) ეს მზეც ჩავედა... ხვალ კი ისევ აღმობრწყინდება... ხვალ კი... იქნებ ხვალ ცა ღრუბელმა დაჭაროს... არა, ისევ მზე!



შალვა, ბადრი.

ეროვნული  
გინჯლითქა

ბადრი — შალვა!

შალვა — ბადრი! რა კარგია, რომ მოდი. აი იქ რომ სჩანს, გაღმა კიდეც ისეთივე, მათ შორის გზა მიდის? ტიტველი კლდე

ბადრი — მდინარეა და გზა.

შალვა — იმ ადგილას ხეობის ვიწრო ყელია, არა? ვთქვათ დაეშვა იმ კლდე და ხევის გზა ღორღით ამოივსო...

ბადრი — მაშინ თუ აფრინდები, თორემ ამ მთებს ისე ვერ გადაივლი-  
ვგ რად მკითხე?

შალვა — მოწყენამ ახირებული ფიქრი იცის. მარტო ვარ, ასე მგონია ტყვე ვიყო ჩაეკტილი. კიდეც კარგი, შენ და ასმათს გხედავთ.

ბადრი — მალე სხვებსაც ნახავ. მე აქ ერთი ძმადნაფიცი მყავს. დოღ-  
გათი გაენდო მას და თუმცა ჯერ არ უნახავხარ, ისიც უკვე შენი ერთ-  
გულია. დოღგათმა მას აქ მოსვლის ნებაც მისცა.

შალვა — (თითქო ყურს უგდებსო ბადრის, მაგრამ თავის ფიქრებში წა-  
სული სჩანს) მაშ შენ ამბობ, რომ იმ ადგილას ხეობის ყველაზე ვიწ-  
რო ყელია. თუ კლდე დაეშვა, გზაც დაიკეტება...

ბადრი — მგონი სამუდამოთაც. ეგ რა ფიქრი აგკვირებია?

შალვა — და თუ საჭირო შეიქნა, შევძლებთ? მე და შენ ზომ მღევები  
არა ვართ წიხლი ვკრათ და ჩავანგრით?

ბადრი — ჩვენი წიხლი რას უზამს, — უნდა აფეთქდეს. აი ის ჩემი ძმად-  
ნაფიცი მაგ საქმის ფსტატია. როცა გზა გაგვყავდა, ლაღუმებს ის აწ-  
ყობდა.

შალვა — ვერ მომიყვან ამდამ იმ შენს ძმადნაფიცს?

ბადრი — დაიცა, იქნებ კიდევ მოვიდა. (კარებიდან გაახედა) აქ არი-  
დავეუძახო? მურთაზ!

იგივენი და მურთაზი.

შალვა — შე კაი კაცო, სულის ამოთქმაც აღარ მაცალე. გამარჯვება. რა-  
გქვია შენ?

მურთაზ — მურთაზ.

შალვა — შენ ბადრის ძმადნაფიცი ხარ?

მურთაზ — ერთი ლა გადაუურჩი.

შალვა — დოღგათმა გითხრა, ვინა ვარ?

მურთაზ — ვიცი რისთვისაც ამოხველ. მენდუ, სიკვდილამდე შენი ერთ-  
გული ვიქნები.

შალვა — თქვენსავეთ ზიქები აქ კიდეც მოიძებნებიან?

მურთაზ — ვისაც ჩვენ ვენდოთ, ერწმუნეთ.

შალვა — ისინიც მხარში ამოგვიდგებიან?

მურთაზ — სოფელს რომ ვინმე გაამხნევებდეს, მეტი არ უნდა. ოღონდ...

შალვა — ოღონდ რაო?

მურთაზ — შიშველი ხელებით ხალხმა რა უნდა ქნას?

შალვა — ვხედავ, თქვენთან პირდაპირი ლაპარაკი სჯობს. მაგრამ დრომდე კი შეშინახეთ ეს საიდუმლო. თქვენ იცით, თუ რისთვის უნდა ვიქცეოთ. ამასვე სიტყვას არ გაეგარძელებ. ირმის ხევეში მტერს უნდა ვიქცეოთ. ირმის ხევი მისთვის სამარედ უნდა იქცეს. ჩვენ იარაღი გვეძინება. მხოლოდ თქვენ არ შედრკებით? მომეყვებით?

მურთაზ — რა წუთსაც გვეტყვი.

შალვა — მცირე დრო გვაქვს, ყოველი წუთი საშურიია. მაგრამ არც წინდაუხედავი აჩქარება ივარგებს. ამით მხოლოდ თავს ვაწვებთ. თუნდაც მთელმა სოფელმა აისხას იარაღი, მაინც ვერაფერს გავაწყობთ, თუ ჩვენი ბრძოლა ჩვენი ირმის მოქმედებასთან შეთანხმებული არ იქნება. იქიდან ბრძანებათ მივიღებთ და ამ დღისათვის მზად უნდა ვიყოთ.

ბადრი — მერე და აქ როგორ გავიგოთ?

შალვა — აი სწორედ მენ შვირდები ამ საქმისათვის. შესძლებ ჩვენიანებთან გადასვლას?

ბადრი — მიბრძანე სად და ვისთან!

შალვა — შენს დედაქალაქში, ორჯონიკიძეში, მიხვალ. ქართულ დივიზიის უფროსს იკითხავ და დათქმულ ნიშანს იტყვი. მოითხოვ შტაბში მიგიყვანონ.

ბადრი — როდის მიბრძანებ წასვლას?

შალვა — იქნებ ხვალაც. შენ კი, მურთაზ, აქ იყავი მზად. ლაღუმების ჩასაწყობი ადგილები ადრევე უნდა დამზადო. მე ვაგვყვები და გაჩვენებ, თუ სად ჩააწყო. ალბათ დამზდარე დაგპირდება. იპოვი მცოდნეს?

მურთაზ — არას.

შალვა — ენდობი? კარგად იცი მისი ამბავი?

მურთაზ — ძმადნაფიცის ამბავი როგორ არ ვიცი. ის უკვე ჩვენი კაცია. დოღვათმა ნებაც მომცა შენთან მომეყვანა. (ყარებში) კოსტა, შემოდი!

#### იზივანი და კოსტა.

შალვა — ეს არის შენი ძმადნაფიცი?

მურთაზ — დიახ, ეგ გახლავს.

შალვა — ვხედავ, აქ მარტო მე ვარ ობოლი.

კოსტა — შენთან ძმობაზე უარს ვინ იტყვის!

ბადრი — იყავ ჩვენი ძმა. სამი ძმა გეყოლებით, სემი გული შენს გულთან შეერთებული. შენთან სიკვდილი სხვასთან სიცოცხლეს გვერჩიოს. ვფიცავ არასდროს გიღალატო!

ყველა — ვფიცავ!

#### იზივანი, ასმათი და ახალგაზრდა ოსი.

ასმათი — მურთაზ, კოსტა თქვენ აქ რა გინდათ?

შალვა — ნუ ცეშინია, ძმის სანახავად მოვიდნენ ძმები. ეგ ვინლა?

ასმათი — მამამ მითხრა მიიყვანეო.

შალვა — წელან ობოლს ასე უცბად ოთხი ძმა ჩამიღვა მხარში. ძმებო, რა წაახდენს ჩვენს ქვეყანას, რომელმა იცის უკეთესი ქვეყანა?!



შეორე სურათი

დოღვათის სახლი.

დოღვათი. შალვა.

დოღვათი — საქმე უფრო სწრაფად წაივია, ვიდრე მეგონა. ვისიც იმე-  
დი აღრევე მჭონდა, მათთან ხანგრძლივი ლაპარაკი არ დამეპირებია.  
შტაბადვე მიმიხედნენ ყოველივეს. ისინი მზად არიან თუნდაც ეხლავე  
გაიხედნენ საბრძოლველად.

შალვა — როდის მიდიხარ გადაღმა ხევში?

დოღვათ — ამაღამ, როგორც დათქმული გვექონდა.

შალვა — იმედი გაქვს, რომ იმ სოფლებში ხალხს შემოიკრებ? მაგრამ  
იქნებ იქ სხვას ფიქრობს ხალხი?

დოღვათი — ყველგან მძიმე უღელი ადევს ხალხს. ერთსადამიამვე ბოღ-  
მას ატარებს მისი ფული. ფიქრი ნუ გაქვს, მალე გაიგონებ საიმედოს.

შალვა — როგორც კი დაბრუნდება ბადრი და შტაბიდან ცნობას მოი-  
ტანს, უმალვე შეგატყობინებ. ვახსოვდეს, მებრძოლთ არ გამოიყვან იმ  
დრომდე, სანამ ჩემგან ამბავს არ მიიღებ.

(გარედან სტვენა ისმის).

დოღვათი — ვიღაც შოდის, ჩვენა ღირაჯი ნიშანს გეაძლევს.

შალვა — მაშ ამაღამ!

დოღვათი — როგორც კი მთვარე ამოვა, ვზას გაუღვდები.

შალვა — მანამდე კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

(საჩქაროდ გადის).

დოღვათი და ამირანი.

ამირანი — საღამო დოღვათს.

დოღვათი — მობრძანდი, ამირანი. რას დაბორიადობ ადამიანო, ამ ღა-  
მეში?

ამირანი — მარტო ვარ, სევდა მომერიია. შინ ვერ ვისვენებ, ჩემო დოღ-  
ვათ.

დოღვათი — დაჯექ აგერ კერიასთან, ვიცი, გიყვარს ცეცხლი.

ამირანი — რას იზამ, სისხლი ვაცივდა, ჩემო დოღვათ. პატარა სითბო  
აღარ ყოფნის. ასე მგონია, მზეც კი განელდა და ის სიმბურვალე აღა-  
რა აქვს, რაც ჩემს დროში მჭონდა.

დოღვათი — შენ ყველაფერზე საყვედურობ. ყბედი შეიქენ სიბერეში.

ამირანი — შენც ჩემსავით იქნები, როცა მოხუცდები. უნდა ვიყებედო,  
ამა რა გქნა. რა საჭიროა, რომ დაუბოხებ დედამიწაზე! ჩემი ტოლები  
აღარ არიან, მე ერთი შევრჩი მიწის ზედამირს. სიხარულით ვუცდი  
ჩემს დასასრულს, სინანულად მხოლოდ ის მიმყვება, რომ ვისაც ჩემს  
სახლში ასეთი კერა უნდა ელვივებინა, აღარა მყავს. ვილასთვისა ვარ სა-  
ჭირო? არც კაცს ვუნდივარ, აღარც ღმერთს, ასე ზედმეტი და უსარ-  
გებლო დაელოდიადებ. რატომ, რისთვის, ვერ გამიგია. სიმშვიდეში მა-  
ინც დამსკოდა სულის ამოხდა. ვაი რომ არც სხვებსა გაქვთ ტყბილი  
ცხოვრება. ეხლა კიდევ ისიც მითხრეს, თითქო ვიღაც შემოპარულაო  
სოფელში.



დოღათი — რაო? ვინ სთქვა ეგ?

ამირან — ასე ამბობენ.

დოღათ — კორს ნუ აპყეები, ამირან, შენ ყველაფრის დასაწყისად რეზა იცი. არაინაც არ შემოსულა.

ამირან — თუ მართალია, დაიწყება ისევე უფოთი, აწიოკება. კმარა, რაც ხალხმა გასაჭირი ნახა.

დოღათ — დამშვიდდი, გული დაიწყნარე, ვინმე რომ შემოსულიყო, მე ვერ ვაფიგებდი?

იზიზინი, სულხან ღვ. ჟარამან.

ჟარამან — აქა მშვიდობა!

დოღათ — მობრძანდით, პატივცემულნო. დიდი ზანია ჩემ სახლში არ ბრძანებულხართ. არა ერთხელ შეყრილხართ აქ და ნებიერ მასლაათში დრო მოგიკლავთ. არა ერთხელ ისმოდა აქ თქვენი სიმღერაც. ეხლა ჩემი სახლი მგლოვიაჩრეა. აევი, თქვენს შორისაც ვერ ვხედავ ისეთს, ვისაც გული მხიარული ჰქონდეს.

ჟარამან — სიხარულსა და მოღბენას დიდი ზანია გამოვეთხოვეთ ჩვენ.

დოღათ — ასმათ! (ასმათი კარებში გამოჩნდა) სამსახური გემართებს სტუმრის. მიართვი პატივცემულთ ხილი, არაყი. (ასმათმა პატარა სუფრა გააწყო და ისევ წავიდა). გთხოვთ შეეცქეთ. პაატაიეთ ღარიბი სუფრა.

ამირან — დღეგრძელობა მოგკეთ ღმერთმა, გამარჯვება ნუ მოგეშალოთ.

ჟარამან — შენი ომარის საუკუნო ხსენების იყო!

სულხან — ღირსეული შეალი გყავდა, პატიოსანი, გონიერი, გულს-ხმიერი.

დოღათი — ის ამ მთებში იყო გაზრდილი. თუ მას რაიმე სიკეთე გააჩნდა, ამ მთის მადლი იყო ეს და მისი წყალობა. როგორც წმინდა ნამი ზრდის მცენარეს და ძალას აძლევს, ისე ზრდობდა მას ჩვენი ქვეყნის სიკეთე და ღირსება. ამ მთის ხალხივით ქედს არ იხრიდა ას მტრის წინაშე, ხოლო თავისიანთან დამთმობი და თავმდაბალი იყო. ასეთი იყო შენი შეიღვც სულხან, ვაჟაკი და ღირსებით საესე. შენი, ამირან, შენიც ჟარამან, — ჩვენი სოფლის სიამაყე. ისინი პატიოსან ბრძოლაში დაიღუბნენ. ესღა ჩვენი ნუგეში.

ჟარამან — შენმა სიტყვებმა გამამხნევეს, დოღათ, ცოტა მაინც დამიამეს ტკივილი. შენ სთქვი, ღირსეული იყოო ჩემი შეილი. მეც ეგლა მრჩება ნუგეშად, რომ პატიოსანი სახელი დარჩა.

დოღათ — გლოვშია მთელი სოფელი. დაღუმებულხართ, თვალში ნათელი ჩაეჭრობათ, გული შეგკვრიათ, ერთმანეთს სალაშს ისე აძლევთ, თითქო სამიძიარს ეუბნებოდეთ. ესეც გიჭირთ, თითქოს შიშობდეთ, წყველად არ მოგეთვალთ, თუ ადამიანს სიცოცხლე უსურვეთ. სტუმარი არავის უხარია და არც ვინმეს მასპინძლობა. დაცალიერდა ჩემი სახლი, ჩემი სამშვიდლოც დაღუმებულა. ჩაქრა შიგ ქურა. მითხარით, აბა ვისთვის და რისთვის ვაგაძრვიო?

ამირან — ეგ სამშვიდლო ჯერ კიდევ მამაშენისა იყო, პაპაშენისაგან ჰქონდა მას დატოვებული. დღე და ღამე ქურა ცივად არ დარჩენილა.



დოღვათ — ჰო, მათი იყო და ისინი სკედდნენ თქვენთვის, თქვენი მამბა-  
სათვის ზმალსა და სატევარს, ესენი ეხლა კედელზე უძმედ, ჩქეცუღად  
როგორც უსარგებლო სამკაულები. მტვერითა და თანგოთი უფრო უფრო  
ოდესლაც კი თავისუფლება მოგვიბოცეს მათ.

ყარამან — დოღვათ, განსაცდელის დროს ხალხმა თავის მეთაურად  
შენ ავირჩია.

სულხან — შენგან მოელის, რომ ახალ უბედურებას ააცდენ და ძველ  
იარებს დაუამებ.

ყარამან — ხალხმა თავისი ბედი შენ ჩაგაბარა.

დოღვათ — რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა ხალხს სჯე-  
რა შენი და ღირსებით შეგამკობს.

სულხან — და შენც გახსოვდეს ეს.

ყარამან — არ დაივიწყო.

დოღვათ — ვერ გამოგია რად მომაგონეთ ეგ, რად დაგჭირდათ ამის გახ-  
სენება. რატომ ფიქრობთ, რომ დავხეიწყე? თქვენს კილოში საყვედურს  
ვეგრძნობ. ნდობას კი არა, ეჭვსა და რალაც სინანულს.

სულხან — დოღვათ, სოფელში უცხო ვილაც შემოსულა.

დოღვათ — შენც მავას ამბობ? ვინ ვითხრა?

სულხან — მრავალი ამბობს.

დოღვათ — მერე და რატომ აქამდის არ გამაგებინეთ? ვინ დანახა?

ყარამან — შორიდან მოკვარ თვალი. გაბედულად ვერ მოდიოდა. ხში-  
რად სახლებს ეფარებოდა. ეჭვი ავიღე, მივაძახე, არ მიბასუხა. მაშინვე  
ვაჭიე მისკენ, მაგრამ ბნელში დამეკარგა. ვიფიქრე იქნებ ჩვენიანია,  
ქარში ჩემი ხმა ვერ გაიგონა და ამიტომ არ შემეხმინა. მეორე დღეს  
აღარც მახსოვდა. მაგრამ ეხლა ვგრძნობ, არ შეეშვდარვარ. სოფელი  
თითქოს გამოიკვალაო. ახალგაზრდობა და ზანმესულნიც კი აფორია-  
ცებულნი მეჩვენებიან.

სულხან — დიდი სიფრთხილე გვმართებს, დოღვათ!

ყარამან — სიცოცხლე დაბნელებული მაქვს, მაგრამ თავი მაინც ვერ  
გამიბეტებია. ერთი ორი დღე მაქვერინე კიდევ ჩვენი ცისა და მზისა-  
თვის.

დოღვათ — დახარბებიხარ, ყარამან, სიცოცხლეს. უშვირე მზეს, გათბი  
მისი სხივებით. განა ჩრდილს მე გაფენ? გახელებული მეჩვენები, მაგ-  
რამ რატომ, ვერ გამოგია.

ყარამან — მინდა ვითხრა და ვერ გამიბედნია.

დოღვათ — რაა ისეთი, რომ ვერც გაგიბედნია? სთქვი! რატომ სდუმ-  
ხარ? რა მოხდა პატივცემულნო? რას ნიშნავს თქვენი დუმილი? იტყ-  
ვით თუ არა?

იბივინი, კოკაივი და არდასენ.

დოღვათ — მობრძანდით პატავეცემულნო, იკადრეთ ჩემი ღარიბი სუფრა.

არდასენ — დროს გასატარებლად არ მოვსულვარ შენთან.

დოღვათ — სალამის მავიერ წყრომა მესმის. რას ნიშნავს ეს?

არდასენ — დოღვათ, არ გახდე მიზეზი ჩვენი ახალი უბედურებისა.



- სულხან — მოგვეც საშუალება ცოტა ხანს კიდევ ვიცხოვროთ. იქნებ ზედი ვეაქვს და მტერს დაავაწყდა საღლატ მთაში გამხსნის. ჩვენი სოფელი.
- ყარამან — იმ სისხლიან აფთარს რად ახსენებ ჩვენ თავს? ისევე ამოვა, ისევე ცეცხლსა და მახვილს მისცემს აქაურობას.
- სულხან — გახსოვდეს მძევლად წაყვანილი ჩვენი ძმები და მამები.
- დოღვათ — გამაგებინეთ, ბრალს რაში მდებთ?
- სულხან — დოღვათ, უცნობის კვალი აქეთ მოდის.
- დოღვათ — ჩემთან? თქვენ შემცდარი ხართ, პატივცემულნი. აქ არავინ მოსულა. სხვაგან ეძიეთ მისი კვალი.
- არდასენ — ის შენთან არის დამალული.
- დოღვათ — ეგ სიცრუეა! ჩემთან გარეშე არავინაა. აქეთ უგონო დედაკაცი, იქით სამშვედლო ცარიელი და დაცობული.
- არდასენ — არ დაუგეროთ, დასძებნეთ ყველგან!
- დოღვათ — (გადაედობა) ფერი არავინ მოიცვალის. რომელი გაბედავა ჩემი სახლის შეურაცხყოფას!
- სულხან — მოგვეც ის კაცი!
- დოღვათ — ამ პერკვეშ უცხო არავინაა.
- არდასენ — შენ იქნები მიწეზი, თუ მტერი ისევე ამოვიდა!
- ყარამან — უბედურება კმარა ჩვენს თავზე.
- არდასენ — ვინც ჩვენ არ გვინდობს, ჩვენგანაც არაა დასანდობი! (სატყვარი იშისვლა).
- დოღვათ — ჩააგე ეხლავე! ბედს უმადლე, რომ მეზობელი სტუმრად მივიღე.
- კოკაევი — გერ მე მომკლავ და მერე მას! შენ გულფიცხი ხარ არდასენ და გაბრაზებისას გონებას კარგავ. წადი, დასტოვე აქაურობა.
- არდასენ — რა დროც იქნება, ვიპოვ მას! (წავიდა).
- კოკაევი — გაბოროტდით და გონება აგერიათ? ვის გაუბედავთ, ვის მოუპყართ ასე უდიერად? დოღვათს? აბა დადიქრდით, რა ჩაიღინებთ. ეთქვათ, აქ არის მართლაც ის უცხო ვილაც, მერე და რა მოხდა ამით? როგორც მოვიდა, ისე წავა. ხიტყვას გაძლევთ, მალე მოგვმორიდება და სოფელს ვნება არ მიადგება.
- ყარამან — დოღვათ, შენ ხარ დამნაშავე და შეცდომა შენვე გამოასწორე! (წავიდა).
- სულხან — თუ აქამდე ხალხი გლოცავდა, გეშინოდეს — წყევლად და შეჩვენებად არ შეგაცვალოს. (წავიდა).

#### დოღვათი, კოკაევი.

- კოკაევი — წადით, დამშვიდდით. ფაქრი ნუ გაქვთ, სამიში არაფერია. შენც ნულარ ლელავ, ჩემო დოღვათ. დაივიწყე, თუ გაწყენინეს. აბატიე შენს კეთილ მეზობლებს.
- დოღვათ — დაივიწყებ, მერწმუნე. ხინჯი გულში არ ჩამრჩება. ვიცი, ასე რომ გააბოროტათ. მებრალეებიან, ღმერთია მოწმე.
- კოკაევი — შენც ხედავ, ეყვაცნი შიშმა წაახდინა, ისეთი დროა, ვერ უძრახავ.



დოღათ — ტყუილად შაშობენ, აქ არაინ ამოსულა.  
 კოკაევი — მომწონს შენი სიმტკიცე. შენს ადგილზე მეც აგრე მოვიტყუოდი; ცხადია, შენთან ვილაც იმალება. თუ ის კაცაა, ვიხედავ ვინაა რომ, მაშინ ჩემგან ტყუილად ფარავ. შალვა საბაშვილს კარგად ვიცნობ.  
 დოღათი — (გაკვირვებული და ოდნავ შემკრთალი შეჰყურებს).  
 კოკაევი — ის არის, არა? შალვა აქ უნდა ამოსულოყო. შემთხვევამ დაგვაშორა ერთმანეთს, თორემ თვითონ მე უნდა ამომეყვანა.  
 დოღათ — გულბნები, არაინაა.  
 კოკაევი — კეთილი, აგრე იყოს. ოღონდ თუ დავეირღე, შემატყობინე. შზად ვარ ორავეს გემსახუროთ.

იზიზინი და შალვა.

შალვა — ურაზმაგ!  
 კოკაევი — შალვა, ძვირფასო! მადლობა ღმერთს, ცოცხალს გხედავ.  
 შალვა — გიციერ და არ მჯერა, რომ შენა ბარ. დარწმუნებული ვიყავი, დაიღუბე.  
 კოკაევი — რომ იცოდე რა გადამწყდა იმ ბოროტ ღამეს. თუ გახსოვს, ჩვენ მაშინ დაკვარგეთ ერთმანეთა, როცა ქალაქიდან გამოვდიოდით. უეცრად მტრის ნაწილს შევეფეთეთ. ატყდა სროლა. ჩვენს გარშემო ტყვია ცვიოდა. შენ გაიქეცი, ხოლო მე... მე რაღაც ლოდს ამოვეფარე. თუ შემდეგ თავი როგორ დავაღწიე, ეს ეხლაც სასწაულად მიმაჩნია. მრავალჯერ სიკვდილს თვალში ვუცქერდი, მაგრამ, მერწმუნე, მაშინაც შენზე ფიქრი უფრო მტანჯავდა.  
 დოღათ — მაშ თქვენ ერთმანეთს ახლო იცნობთ? არ ვიცოდი, ნუ მიწყენ, თუ შალვას აქ ყოფნა არ გაგიმზილე.  
 კოკაევი — პირიქით, ვაქებ შენს სიფრთხილეს.  
 დოღათ — მე ეხლა უფრო გულდამშვიდებით გავემგზავრები. თუ რაიმე გაგვიჩირდა, საიმედო მეგობარი გვერდით გეყოლება.  
 კოკაევი — შორს მიდიხარ? დიდხნით მიხვალ?  
 დოღათ — რამდენიმე დღით. იმედი მაქვს ჩემს სტუმარს ყურადღებას არ მოაკლებ.  
 კოკაევი — დოღათ, ვთხოვ მე დამითმო. შენი სტუმარი. ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, შენს მაგიერ მე ვცე პატივი და ვემსახურო. გარემოებაც მოითხოვს, რომ მან ბანა გამოიცვალოს. სოფელში ეჭვი აქვთ, რომ აქ ვილაც შეიფარე. შეშინებული ხალხი ვინ იცის, რას არ ჩაიდენს. ჩემთან ფადავიყვან და იქ უფრო უშიშრად იქნება.  
 დოღათ — შენთან გადავიდეს?  
 კოკაევი — ხოლო თუ საჭირო შეიქნა, აქაურობასაც მოვაშორებ და სხვა საიმედო ადგილას გადავმალავ. სიტყვას ვაძლევ, არ მოვშორდები.  
 დოღათ — როგორც ნებადღეს პატივცემულს, როგორც საქმისთვის უმჯობესად მიიჩნიოს.

კოკაევი — (შალვას) რას იტყვი, შალვა?  
 შალვა — მომწონს შენი რჩევა, აგრე აჯობებს.

## იგივენი და კოსტა.

- კოსტა — მთვარე გამოჩნდა, წასვლის დროა.  
 დოღათ — შხად ვარ. ეხლავე. (შალვას) მე ეხლა უფრო მზნედ მივდი-  
 ვარ. საიმედოდ გტოვებ.  
 შალვა — ამბავი საჩქაროდ მაცნობე. ჩვენი პირობითი ნიშანი იქნება  
 სიტყვა „ირმის ზევი“. ამ ნიშანს ეტყვი ჩემთან გამოგზავნილ კაცს.  
 დოღათ — შესმის.  
 შალვა — მხოლოდ მას ვენდობი. სხვას არც მოვუსმენ. მენი იმედი მაქვს,  
 დავალებას პირნათლად შეასრულებ.  
 დოღათ — მენდე, საცოცხლეს არ დაეიშურებ შენთვის და ჩემი მკვენი-  
 სათვის.  
 შალვა — გზა მშვიდობისა, ჩემო დოღათო.  
 დოღათ — მშვიდობით და გამარჯვებით მენახეთ მუდამ. (წავიდა. გა-  
 ყვა კოსტა).

## შალვა, კოკაივი.

- კოკაივი — ეხლა კი ჩემთან გავსწიოთ. ხელსაყრელი დრო გვაქვს. სო-  
 ფელს სძინავს, უჩინრად გავივლით.  
 შალვა — აბა, წავიდეთ.  
 კოკაივი — ჩემი სახლის კარი ღიაა შენთვის, სანატრელო სტუმარო!

(ფარდა)

## მისამი მოკმედობა

პირველი სურათი.

ოთახი კოკაივის სახლში.

შალვა და ასმათი.

- ასმათი — (მცირე ხანს კიდევ ალაგებს ოთახს).  
 შალვა — მოინათლა აქაურობა! რასაც შენი ხელი შეეხო, ყველაფერმა  
 ხალისიანად გამოიხედა. ასე მგონია, ეხლა სხვა ოთახია. ოთახი კი არა,  
 დარბაზია დიდი, ნათელი, უცხოოდ მორთული.  
 ასმათი — დიდხან აბირებ ამ სახლში ცხოვრებას?  
 შალვა — სანამ საჭირო იქნება.  
 ასმათი — ნეტავი მალე დასტოვებდე. არ მინდა აქ იყო.  
 შალვა — რატომ?  
 ასმათი — რა ვიცი, გული ასე შეუზნება. (მცირე პაუზის შემდეგ) ჟრან-  
 მავს ავი თვალი აქვს, ალბათ გულიც ბოროტი ექნება.  
 შალვა — ფიქრი ნუ გაქვს, ის ჩემი ერთგულია. გეჯავრება ალბათ და  
 იმიტომ ამბობ აგრე: აი მას კი უყვარდი...  
 ასმათი — შენ რა იცი?

შალვა — მან მოთხრა. ისიც სთქვა, გულქვა და ამპარტავეანი არისო, მაგრამ მე არ შეგერა. იქნებ იმიტომ არ გაიკარე ურანშავი, რომ სხვა გიყვარდა...  
 შალვა — არისო, მაგრამ მე არ შეგერა. იქნებ იმიტომ არ გაიკარე ურანშავი, რომ სხვა გიყვარდა...  
 შალვა — არისო, მაგრამ მე არ შეგერა. იქნებ იმიტომ არ გაიკარე ურანშავი, რომ სხვა გიყვარდა...

ასმათი — ეგ საიდან მოიფიქრე?

შალვა — შენს ასაკში არ შეიძლება ქალიშვილს ვინმე არ უყვარდეს. ხომ ასეა?

ასმათი — არ ვიცი.

შალვა — (თვალი მიაჩერა) ვგრძნობ ასეა. ვინ არის ის? აქაურია?

ასმათი — არა.

შალვა — მაშ მუზობელი სოფლიდან?

ასმათი — არც მუზობელ სოფლიდან.

შალვა — არც აქაური, არც სხვა სოფლიდან. მაშ სადაურია?

ასმათი — ნუ შეითხავ, მაინც არ გეტყვი.

შალვა — უცხო მერიდები?

ასმათი — უცხო რაღა ხარ? უცხოდ რომ გთვლიდე, არც ასე მოგენდობოდი.

შალვა — მაშ თუ მეგობრად მიგაჩნევარ, რად მიმაღავ?

ასმათი — ალბათ მაქვს მიზეზი.

შალვა — რას იზამ, შენი ნებაა.

ასმათი — რად მოიწყინე? შენ ალბათ ისევე ბადრიზე ფიქრობ, — სად არისო აქამდე, როდის დაბრუნდება, რა ამბავს მოიტანსო... განა ასე არაა?

შალვა — ეგ მართალია, მაგრამ ეხლა სხვაზედაც ვფიქრობ.

ასმათი — ეგ სხვა ვინ არის?

შალვა — ვინ არის და, — ის მიზეზი, რომელიც არა სთქვი.

ასმათი — (თითქო საყვედურით) რად უნდა გითხრა? შენ მრავალი რამ მიამზე ომზე, მეგობრებზე, შენს ქვეყანაზე, მაგრამ ერთხელაც სიტყვა არ დაგცდა იმაზე, ვინც სამშობლოში გულის ტკივილით დასტოვე.

შალვა — თუ კი ასეთი არავინ დამჩნენია?

ასმათი — არ შეიძლება შენს ასაკში ვაჟაკს ვინმე არ უყვარდეს. ის ქალიშვილა შენს სოფელშია?

შალვა — არა.

ასმათი — მაშ მუზობელ სოფლიდან არის?

შალვა — არც მუზობელ სოფლიდანაა.

ასმათი — არც შენი, არც მუზობელი სოფლიდან. მაშ სადაურია?

შალვა — ნუ მკითხავ, მაინც არ გეტყვა.

ასმათი — უცხო მერიდები?

შალვა — უცხოდ არც მე გთვლი. შენზე სანდო მეგობარი სხვა არა მყავს.

ასმათი — მაშ რად არ მიმხელ?

შალვა — ალბათ მეც მაქვს მიზეზი.

ასმათი — რას იზამ, შენი ნებაა.

შალვა — რად მოიწყინე? ალბათ მამა შენზე ფიქრობ, — სად არისო აქამდე, როდის დაბრუნდება, რატომ აქამდე ამბავი არ მოვიდაო მისგან... ასეა, არა?

ასმათი — მამაზე მე ნიღავ ვფიქრობ, მაგრამ ეხლა სხვაზედაც.

შალვა — ის სხვა ვინ არის?

ასმათი — ვინა და ის მიზეზი, რომელიც ვერ გითქვამს.

შალვა — ვითხრა? დამოჯერებ?

ასმათი — შენსას ყველაფერს დავიჯერებ. შენ ტყუილს არ ეტყვი.

შალვა — მამ მომინტ, ასმათ...

(ფანჯარაზე ხელი გამოწინდა. კაკუნი გაისმა. კაკუნი ისეთია, რომ ნიშანი ატანობა).

ასმათი — ვილაც ჩვენიათ. (ფანჯარაში გაიხედა და გახარებულმა შესძახა) ბადრი, ბადრი დაბრუნდა! (კარი გააღო).

### იმივენი, ბადრი და მურთაზი.

შალვა — ბადრი, შენი კირიმე! (გადაეხვივნენ) აბა, რას მეტყვი სასიხარულოს?

ბადრი — ალბათ უფრო მეტს, ვიდრე გგონია.

შალვა — მიალწიე ჩვენებთან? ვიამბე, სთქვი ყველაფერი.

ბადრი — რამდენა რამ მინდა ერთბაშად ვითხრა და არ ვიცი საიდან დავიწყო. პრ, ასე იყო. აქედან რომ მივლიოდი, ერთ ადგილას მტრის რაზმს კინალამ შევეჩებე.

შალვა — ეგ მერე, მერე. ჯერ ჩვენების ამბავი მითხარ. იყავი შტაბში?

ბადრი — ვიყავი და ეგრე? მანქანით მიმიყვანეს. ეთქვი ვინა ვარ, შენი დაშიფრული ბარათი გადავეცი. წაიკითხეს, გაუხარდათ. შენი ამბავი გამომკითხეს. მეც უთხარ, რომ...

შალვა — აღმიანო, რა დროს ჩემი ამბავია? შენ საქმე სთქვი.

ბადრი — რა ვქნა, ღმერთმანი ასე იყო. პირველად შენი ამბავი მკითხეს. ყველამ სათითაოდ ჩამკითხა, როგორ არისო, ხომ არაფერი უჭირსო.

შალვა — დაცა, მე გკითხავ, შენ კი მოკლედ მიმასუბე. ჩემთან რა დაგაბარეს?

ბადრი — (წერილი გაუწოდა) აქ სწერია ყველაფერი. ამას შენ თუ წაიკითხავ მხოლოდ.

შალვა — (ჩუმად არჩევს შიფრს).

ბადრი — ერთი ისიც იკითხეთ, მე რა მიყევს. ისეთი პატივი მცეს, ენით უთქმელო. ყველა ხელს მირტყამდა მხარზე, ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარო. ახ, რა ზალხია, იმათი კირიმე! ჩემი იქ მისვლა ლავრენტი ბერიასაც გააგებინეს.

მურთაზ — შენ ისიც ნახე, თუ?

ბადრი — მირადად არ მინახავს, ისე კი ჩემი მისვლა მოახსენეს. პე, რაკ კიამ სტული ჩაბერა მთელ ჯარს! რაც ის ჩამოვიდა, ჩვენი საქმე წაღმა წავიდა.

შალვა — (კითხვა დაასრულა. უკვე საქმიანი კილო აქვს) მამ აგრე... იარალი მოიტანე?

ბადრი — ისეთი ბილიკებით გადმოვიყვანე დატვირთული სახედრები, ჩატსაც არ შეუნიშნავს.

შალვა — ასაფეთქებელი მასალა რამდენია?

ბადრი — თორმეტი ყუთი.

მურთაზ — მაგით მთელ მთას ჰაერში ავიხვრი.

შალვა — სად დააყენე სახედრები?

ბადრი — უჩინარ ადგილს სოფლის ახლო. მათი გამყოლი არმიელებიც იქ დაეტოვე.



შალვა — ხვალ არმიელების რაზმიც უნდა ამოვიდეს. მთის ველები და ბილიკებით გამოიქვლები.

ბადრი — დიახ, ავეთი დაეღლება მაქვს.

(გარედან ხმაურია ისმის).

შალვა — რა ხმაურია?

ასმათი — მოედანზე შეკრებილან.

მურთაზ — ბადრის დაბრუნება გაიგეს მეგობრებმა.

შალვა — (ბადრის) გადი, ეჩვენე მათ. შელამდება თუ არა, იარაღს ამოზიდავთ. შემდეგ კი მოხვალ და გამაგებინებ ყოველივეს.

ბადრი — მესმას. (წაეიდა).

შალვა, მურთაზ, ასმათი.

შალვა — შენ კი, მურთაზ, პირდაპირ კლდისკენ წაიღებ ყუთებს. არმიელები რომელნიც სახედრებს მოჰყვენენ, მესანგრენი არიან. ამაღამვე შეუღლებით საქმეს. ორ დღეში ხევის ის ყელი ერთიანად უნდა დაინადომოს.

მურთაზ — მესმის.

შალვა — კლდე უნდა დაეშვას, როგორც კი ჩემგან ნიშანს მიიღებთ. ხომ გახსოვს, რა ნიშანი დაეთქვიით?

მურთაზ — შენ ის ხმა ვაგვაგონე, შენ ის ორბი ააფრინე, სხვა ჩვენ ვიცოდეთ.

შალვა — აცოდე ზრუნვა და ალერსი არ მოაკლო მესანგრეთ. წაღი მათთან.

მურთაზ — მესმის. (წაეიდა).

შალვა, ასმათი.

შალვა — ოხ, რა მატარაა ეს ოთახი! გააღე ფანჯარა. ჰაერი მიჰდა, ასმათ, მტეტი ჰაერა. თავისუფლად მინდა ამოვისუნებო!

მეორე სურათი

სოფლის ქუჩა. ღამდება.

ბადრი — ხომ კარვად გახსოვთ, რაც ვითხარით?

ხმეზი — გვახსოვს, არ დაგვაეიწყდება.

ბადრი — მოიფიქრეთ და გადასწყვიტეთ აქვე: საბოლოოდ მონებად დარჩებით, უღელქვეშ ატარებთ მთელ სიცოცხლეს, თუ ქვეყნისა და საკუთარ ღირსებას დაიცავთ?

პირველი — რა სიცოცხლეა ბნელში ყოფნა!

მეორე — უღირს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს!

ბადრი — თუ თქვენს შორის რომელიმე ოდნავ მაინც ყოყმანობა, სჯობს ეხლავე უარი სთქვას და წამოიგწმორდეს.

მესამე — იმედი გქონდეს, არ გილაღატებო! ეს ჩემი მამაც მიიღეთ. თქვენც იცით, მუნჯია, ვერ იტყვის — რა სურს. მაგრამ მტერთან შეხვედრისას, ერწმუნეთ, შესაფერად აღამარაკდება. თვალი მჭრელი აქვს, ხელი არ აუკანკალდება. მასაც უშოვეთ იარაღი, რომ დანგრეული კერისა და მოხუც მამისათვის შური იძიოს.

ბ მ ე ბ ი — მიიღეთ! გამოგვადგება!

ბ ა დ რ ი — იარაღის გადმოსაზიდად რამდენიმე კაცი მპირდებიან. მისი მტრის მტრები. დანარჩენები წადით სახლებში. (წავიდა. გაპყვა ჩამდენობა).

ბადრისა და რამდენიმე კაცის გარდა იგივენი, სულხან და არდასენი.

არდასენ — ზედავ, აქაც შეგროვილანი!

ს უ ლ ხ ა ნ — პეი, თქვენ, მუქთაბორებო! რაო, სხვა საქმე არაფერი გაქვთ, რომ დღე და ღამე დაბორილებთ და სოფელს მოსვენებას არ აძლევთ? რა გინდათ აქ, რისთვის შეიკრიბენათ?

პ ი რ ვ ე ლ ი — თქვენი სიკეთე, სხვა რა უნდა გვინდოდეს...

ს უ ლ ხ ა ნ — კარგად ვგრძნობ რა სასაკეთო საქმისათვის შეყრილხართ აქ. დაგიკვეტიათ ყურები, ხარბად იჭერთ ყოველ სიტყვას, თითქო რაიმე საამო ზღაპარს უსმენდით.

მ ე თ რ ე — სრულ სიმართლეს ბრძანებ, ზღაპარს ვუსმენდით.

მ ე ს ა მ ე — ჭკვიანი კაცი ხარ სულხან, საკვირველია, რა უცბად მიხვდი. სულისათვის სააო და ღეთისათვის მოსაწონ სიტყვას ვუსმენდით.

ს უ ლ ხ ა ნ — იქნებ ამის შემდეგ ლოცვასაც აპირებდით, მართლმორწმუნენო?

პ ი რ ვ ე ლ ი — იმ ღმერთს ვფიცავ, პირდაპირ გულთმისანი ყოფილხარ. ნამდვილად ლოცვასაც ვაპირებდით. ის იყო შევეუღებოთ, როცა თქვენც გამოჩნდით.

არდასენ — მერე და რა უწმინდურნი დაგვინახეთ, რომ ასე უეცრად გადაიფიქრეთ?

მ ე თ რ ე — თქვენ მზეს ვფიცავ, მაგასაც მართალს ამბობთ. მოულოდნელად რომ შეგხედეთ, ავი სულები გვეგონეთ და დაეფეთდით.

ს უ ლ ხ ა ნ — ხმა გაკმიდე, შე წინკაე! ბოროტი და ავი სული თქვენს შორის ეძიე. კარგად ვიცი, რა სალოცავიც გაგიჩნდათ. თქვენ ბედისწერას აუტანიხართ. დაიშალენით, წადით სახლებში! წადით და მართლაც სთქვით ლოცვა, გამოიტირეთ თქვენი შეცოდება და უგნურება, გასწით აქედან!

პ ი რ ვ ე ლ ი — წავიდეთ, ძმებო, სულხანის ჩრევა შევისმინოთ და დაუჯგეთ ლოცვად! (მიღიან).

#### სულხან, არდასენ.

ს უ ლ ხ ა ნ — როგორ უცბად ეცვალა ფერი აქაურობას. ვშიშობ, ეს ამბავი ასე უბრალოდ არ დამთავრდება.

არდასენ — სულხან, ამ საქმეს ეხლავე შეველა უნდა. ჩვენი ბედი სასწოროზეა დაგდებული. ჩვენ რამდენიმე კაცი ღა დებრჩით, იმათ მხარეზე კი თითქმის მთელი სოფელია.

ს უ ლ ხ ა ნ — ვინ მეტყვის მე, რომ მტერი არ მძაგდეს? საშუალება რომ მომცა, კბილებით ყელს გამოვლადრავდბ. მაგრამ ეხლა ის-ღა დამრჩენია, რომ ქედი მოვიხარო, გავისუღრო და ჩემი თავი დავავიწყო. მამ სხვა რა გზაა!

#### იგივენი, კოკაბი და ჯარაგანი.

ყ ა რ ა მ ა ნ — შენ რას გვეტყვი? რა გზას დავადგეთ?

კ ო კ ა ე ვ ი — ღმერთი მყავს მოწმედ თქვენზე ფიქრმა დამალა, მაგრამ საწუგეშო ვერაფერი მომიანხრებია. ვშიშობ, დღეს იქნება თუ ხვალ, ამბავი

მტრის ყურამდე მიადწევს და ვაი მაშინ! ბრუნდისა და სწორის გარჩევას  
 აღარ იქნება. ას-ლა დაგვრჩება, რომ აქაურობას გავუქცეთ და გავიქცეთ  
 ვით უღრანს თავი შევაფაროთ.

- ყარამანი — დოღათის ბრალია ყველაფერი. რად მიიღო ის უცხო კაცი?
- სულხან — მისგან დანთებულ ცეცხლს აღვივებს დოღათი.
- არდასენ — გული შეუბნება, ის უცნობი აქ არის სადღაც.
- ყარამანი — მოშორდეს არგუმს, თუ სიცოცხლე არ მობეზრებია.
- კოკაევი — გულისხმას ნუ აწყვებით, მათივეცემულნო. ის რომ მოჰკლათ, მათი საკმეს ვერ უშველით. პირიქით, შულლა და მტრობა გაჩაღდება, ერთმანეთს დაერევიან. ამით მტერს საბაზს მიეცემთ ამოვიდეს. განადგურდება ჩვენი სახლკარი, განიადდება ჩვენი ოფლით შეძენილა, მათხოვრებად გადავიქცევით. მე და თქვენ თუმც ბრალი არაფერში გვაქვს, მაგრამ ამის გარჩევის თავი ველას ექნება? ბრალიანთ შორის ჩვენც დავიღუპებით უბრალონი. ესაა რომ ხელგებს მიბორკავს, თორემ... მე გაძლევა სიტყვას, რომ ის უცნობი მალე დასტოვებს აქაურობას. მენდით, მოვებნი მას და მოვაშორებთ. მალე გაივებთ, რა მეგობრობა გაიწიეთ და მწამს მადლობას მეტყვის მთელი ხევი. ნება მომეცით გავაცილოთ, თავი გავიროთ საუბარში. ღამეც ისეთია, რომ შინ შესვლა არ მინდა... (ლაპარაკით მიდიან).

შალვა, ასმათი.  
 (საბლიდან გამოდიან).

- შალვა — მაშ მიდიხარ? გახსოვდეს, როგორც კი მოვა კაცი დოღათისგან, მაშინვე შემატყობინე.
- ასმათი — მოვა თუ არა, თვით მოვიყვან. რად გამოდიხარ აქ თანამად? ერთი ბორბოტიც რომ იყოს სოფელში, იმასაც შეუძლია ზაინა მოგაყენოს.
- შალვა — ჯერ შენ აქ ხარ ჩემი ყურმამხვილი დარაჯი და რისი შიში უნდა მქონდეს?
- ასმათი — დამიგვიანდა, უნდა წავიდე.
- შალვა — მე არ ფაჩერებ, თუმც დაშორება მენანება.
- ასმათი — დაურიდებელი ხარ, ვიცი კიდევ დარჩები გარეთ; სანამ შინ არ შეხვალ, ფეხს არ მოვიცვლი, ჩემი წასვლა კი საჭიროა.
- შალვა — რა გაეწყობა, უნდა შევიდე.
- ასმათი — ღამე ნებისა. ხვალ ისევ ვნახავ.
- შალვა — დიდი დროა გათენებამდე, მაგრამ რას იზამ.
- ასმათი — გიცდი, სანამ კარებს მიხტრავდე.
- შალვა — ღამე ნებისა. (შევიდა შინ).

ასმათი, კოკაევი.

- კოკაევი — (მოულოდნელად გაჩნდა).
- ასმათი — ვინა ხარ?
- კოკაევი — მე ვარ. რად შეკრთი?
- ასმათი — ბნელი გახლავს, ვერ გიცანი. (წასვლას აპირებს).



კოკაევი — დაიცა, რას გამოიბი? ბნელზე უფრო, მგონი, ჩემი შიში გაქვს.

ასმათი — აბა რას ბრძანებ, შენი რად უნდა მეშინოდეს?

კოკაევი — რა ვიცი, ასე მგონია.

ასმათ — კარგად იცი, პატივისცემა მაქვს შენი.

კოკაევი — პატივისცემა შენ მრავალს გაქვს. თუ გამოიგებ, მარტო ებ ჩემთვის არაფერს ჩიშნავს.

ასმათ — მამ მეტი რა მომეთხოვება?

კოკაევი — ბევრი არაფერი, — ჩემთან შეხვედრა გაგზარებოდეს.

ასმათ — ღმერთმა იცოდეს, არ მწყენია. მშვიდობით ვნახე.

კოკაევი — რა მიგაჩქარებს? ერთი-ორი სიტყვა კიდევ მათქმევინე. თუ ასეთი უკარება იყავ, არ ვიცოდი. მარშან ბავშვი დაგტოვე. ასე უცბად დაქალბულხარ. ბედნიერია მამაშენი რომ ასეთი გოგონა ჰყავს. ბედნიერია, ვინც მუდამ გიშურს. შენი ცქერა ვის მოსწყინდება.

ასმათ — რაებს ამბობ? მენს თავს რად ჰკადრებ ჰაბუკის სიტუტუტეს?

კოკაევი — მართალს გეტბნები და რად უნდა გწყინდეს. ღმერთმა მრავალი სიკეთე მოგცა. სხვებისთვის უძუნწია, შენზე კი გულუხვობა გამოუჩენია. მხოლოდ ერთი დაეიწყნია — გულისთვის საკმაო სითბო არ მიუცია. რადა ხარ ჩემთან აგრე კუშტი? ხმამაღ წყრომა ისმის, როცა ჩემთან ლაპარაკობ. დაიცბრე ფული, თორემ სიამე დაგჩემდება.

ასმათ — ზედმეტად სწუხარ ჩემთვის, ურახმაგ, სჯობს მაგაზე ფიქრს თავი დაანებო.

კოკაევი — ვერ დაეანებებ, ჩემო სიცოცხლე. კიდევ რომ მოვიდომო, ჩემი ნება აღარაა. ტყვე გავხდი შენი. შენ მომცემ შევბას, თუ არა და შენს გულშია ჩემი სამარე.

ასმათ — ხომ არ გაგიყლი? გონს მოდი!

კოკაევი — სიცოცხლეს სიმწარედ ნუ გადამიტყევე, ამას გვედრები. ტყილ სიზმრად ვაქცევ შენს ცხოვრებას, ყველას შენი ბედი ეხარბებოდეს. ყელამდე სიკეთით აგავსებ. რას ინატრებ, რომ არ აფისრულო.

ასმათი — დამეხსენ, შინ მიმეჩქარება. სხვას არაფერს ვთხოვ.

კოკაევი — თუ მეტი არა ვანდა რა. შენის ხელით მომკალ, ეს ბედნიერება მაინც მიწყალობე. არცა მკლავ, არცა მაცოცხლებ. ასე ცოცხალ-მკვდარი როგორ ვიქნე. გაიგე რასაც გეტბნები.

ასმათი — გაგონებაც არ მინდა. ნეტავ სულაც არაფერი გეთქვა.

კოკაევი — ჩემთვის გული დაგიკეტია. სხვისთვის ღია გაქვს. ახლა კი უხედავ: რასაც ვფიქრობდი, მართალი ყოფილა. რა ჯადო აქვს იმ ფაქტონს, რომ ასე უცბად შეიტკებ? სანანებლად არ გაფხიდეს. როგორც მოფრინდა, ისევე გაფრინდება. იქნებ ისე გაფრინდეს, მისი ცვალი ღმერთმაც ვერ იბოვოს.

ასმათი — ვიზე სთქვი ეგ? ვის ემუქრები?

კოკაევი — ჩემი სიტყვა გულს მოგხვდა, ამიტომ შეკრთი? ვილაც მოთრეულა ვერ დამწახლავს. მტრად ნურც მამაშენს გადამიკიდებ. ისიც ხედავს, — რაც წინათ ვიყავ, ის აღარა ვარ. უკვე სახელი მაქვს და ღირსება. ყველაფერს წყალში ნუ გადამიყრი. გონს მოდი, ნუ გამამოროტებ. იცოდე, ჩემი იქნები. ან არავისი! (ხელი ჩაჰკიდა).



ასმათი — (გაუსხლტა) რას სჩადი ვზა მომეც! (წავიდა).

კოკაევი — როგორ თევზივით დასხლტა ხელიდან! ისე შეზარდა ჩემი შეხება, თითქო ლორწო მიეკრაო. მოგაგონდება, ტალბატონი მო! (შინ შესვლას აპირებს. ბნელში კაცი შენიშნა და შეჩერდა) ვინა ხარ მანდ?

კოკაევი და უცნობი მთიელი.

უცნ. მთიელი — ურაზმაგ, შენ გელოდები.

კოკაევი — გაცქერ და ვერ გცნობ.

უცნ. მთიელი — ჩემი სახელი არაფერს ვეტყვის. არც საჭიროა მისი ცოდნა.

კოკაევი — რა გინდა ჩემგან?

უცნ. მთიელი — დაგვიწყნია, ურაზმაგ, მოცემული დაელება. სადაა აქამდე წითლების მიერ ხეობაში გამოგზავნილი კაცი? ვერ იპოვე, თუ არც გიძებნია?

კოკაევი — შენ იმათგან ხარ? ღმერთმა იცოდეს მაკადნი ან დამიკლია. თუ პირობის შესრულება დამიგვიანდა, ჩემი ბრალი არაა. მოვახსენებ, ხელს რა მიშლიდა.

უცნ. მთიელი — მე გამოგზავნეს ამბის გასაგებად და არა ჩვენების ჩამოსართმევად. ანგარაშის ჩასაბარებლად ზვალ ჩახვალ იქ. შენს თავს დააბრალე, თუ რისხვა დაგატყდა.

კოკაევი — მომითმინე, ის კაცი აქ მყავს.

უცნ. მთიელი — შენთან არის? რაღას აჩერებ?

კოკაევი — ბევრს ვეცადე, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე სოფლიდან მისი გაყვანა. დოღვათ. ფარნიონი გაგზავნა ხევში და სანამ ამბავს მიიღებდეს, ფეხს არ მოიცივლის. ფრთხილად თუ არ ვამოქმედე, ექვს აიღებს და...

უცნ. მთიელი — რა დაელებით წავიდა დოღვათი?

კოკაევი — საბრძოლველად ხალხი შემოიკრიბოს.

უცნ. მთიელი — ჯერ არ მოსულია მოსგან ამბავი?

კოკაევი — არა.

უცნ. მთიელი — გამიგონე. დამიდასტურებ, რომ მე ვარ დოღვათისგან გამოგზავნილი. შემოუთვალა ჩამოვიდეს დაუყოვნებლივ შენ მას გამოწყევი. მდინარის გაღმა ტყესთან მოიყვან. იქ კი გერმანელთა სადარაჯო რაზმი სდგას. გასაგებია? ეხლავ მანახე შენი სტუმარა.

კოკაევი — დოღვათისგან გამოგზავნილმა პირობათი ნიშანი უნდა ეთხრას...

უცნ. მთიელი — რა ნიშანია?

კოკაევი — „არმის ხევი“. გირჩევ ფრთხილად იმოქმედო. თუ ოდნავ ეჭვი აიღო, არა თუ ხელიდან დაგვისხლტება, თვით ჩვენ ჩავვარდებით საფრთხეში.

უცნ. მთიელი — ბევრს ლაპარაკობ. ეხლავე მანახე.

კოკაევი — ბატონი ბრძანდები. (კარებს უკაქუნებს) ეს მე ვარ, ურაზმაგო, კარი გამიღე.

## იზიშენი და შალვა.



შალვა — (კარი ვაულო).

კოკაევი — მარტო ხარ? შენთან არაინაა?

შალვა — არაინ. რაღაც შემკრთალი მეჩვენები.

კოკაევი — შალვა, აქ კაცი არის დოღვათისგან. შენი ნახვა ეჩქარება.

შალვა — დოღვათისგან? ეს შენა ხარ?

უცნ. მთიელი — მე გახლავარ, მათივეცემული. ირმის ბევი...

შალვა — გამარჯვებუ. რა ამბავი მოიტანე?

უცნ. მთიელი — დოღვათი დასაჭირშია ჩაეარდნლი. პირველად ხალხი ერთობლივ აპყვა მას მოწოდებას, მაგრამ შემდეგ ბევრი დაეკედა და ჩამოშორდა. ასე უთხრეს — სარწმუნო ვინმე მოვიდეს და მაშინ გავალთ საბრძოლველად. ხოლო ვინც შერჩა, გაიძახის — რაღას ვუცადოთ, ეხლავე დაფიწყით მოქმედებო. ასზე მეტმა უკვე აისხა იარაღი. აბირებენ მტრის სადარაჯო რაზმებს თავს დაესხან, ბრძოლით გზა გაიკაფონ და არგუნის ხალხს შეუერთდნენ. მათ დოღვათი მოაყვება.

შალვა — მერე და როგორ დათანხმდა ამას დოღვათი? ზომ არ შეშლილა?

უცნ. მთიელი — დოღვათი დიდხანს უარზე იყო, მაგრამ საბრძოლველად აშლილ ხალხს ვეღარ აჩერებს.

კოკაევი — გმირი ხალხია!

შალვა — ამით ისინი ჩვენც დაგვლუბავენ!

უცნ. მთიელი — დოღვათიც სწორედ ამას შიშობს. მაგრამ რა ქნას, თავი ვეღარ გაართვა. შემოგითვალა საჩქაროდ ჩამოხვიდე. რა გადავსცე შენგან პასუხად?

შალვა — ჩემა პასუხი? მე თვით წაეალ. ეხლავ გავსწიოთ. (სახლში შევიდა).

## კოკაევი, უცნობი მთიელი.

უცნ. მთიელი — გახსოვდეს, მდინარის გაღმა, ტყესთან. მე თქვენზე აღრე გავემგზავრები. სადარაჯო რაზმს გავაფრთხილებ და ჩაესაფრდები. (წაჭიდა).

## კოკაევი, შიშვებ შალვა.

შალვა — (ნაბადით ხელში). აბა, გზას გავუღდეო. სადაა ის კაცი?

კოკაევი — საფრთხილისათვის მარტო წასვლა ამჯობინა.

შალვა — მე გზა არ ვიცი, როგორ წავიდე?

კოკაევი — ფიქრი რუ გაქვს, მე გაგყვები. ყველა ბილიკი კარგად ვიცი.

შალვა — შენ? მათ უკეთესი.

კოკაევი — იქნებ სჯობდეს ცისკარს დაუუცადოთ?

შალვა — წუთის დაკარგვაც შეუძლებელია. ეხლავე, ეხლავე ურახმაჯ!

კოკაევი — როგორც გენებოს. მზად ვარ გემსახურო. მაშ მეც სამგზავროდ მოვეწყობი და გამოვალ. (სახლში შევიდა).



შალვა, შიმდეზ ბადრი.

- ბადრი — შალვა!  
 შალვა — ვინ ხარ?  
 ბადრი — იარაღი ამოვზიდეთ და შევინახეთ.  
 შალვა — მურთაზმა რა ქნა?  
 ბადრი — ყუთები წაიღო და მესანგრენი წაიყვანა. ეგ რა ნაბადი გიპირხვს ხელში?  
 შალვა — ბადრი, მე მივდივარ.  
 ბადრი — საით? რა მოხდა?  
 შალვა — დოღვათი მელის. მისგან გამოგზავნილი კაცი იყო ჩემთან. მეტს ნურას მკითხავ. შენ და მურთაზს გაბარებთ აქურობას. შალვა დაგებრუნდები. ერთ დღეზე მეტი არ დამიგვიანდება. მაგრამ თუ დამიგვიანდა, ან და ვინ იცის, გაწყრა ღმერთი და სულაც ვეღარ ამოვედი, თქვენი იმედი მრჩება მაინც.  
 ბადრი — შავას რად ამბობ, რად არ უნდა ამოხვიდე?  
 შალვა — ყური მივდე. შენ კარგად იცი, რა გევალება. მურთაზს კი უთხარ, კლდეზე მუშაობა დააჩქაროს. გარშემო დარაჯები დააყენოს. იქურობას არ მოშორდეს არც დღე არც ღამე.  
 ბადრი — შესმის.  
 შალვა — ასმათს უთხარ, მამის ჯავრი ნუ ექნება.  
 ბადრი — იწებ მოვასწრო და ფვითონ ასმათი მოვიყვანო. (წავიდა).

შალვა, შიმდეზ კოკაევი.

- შალვა — რა დაგეძარათა, ადამიანო? პატარძალი ხომ არა ხარ, რომ აქამდე ვერ ჩაიციე?  
 კოკაევის ხმა — სულსწრაფი ხარ, შალვა ძვირფასო. ნუ გეშინია, არ დავაგვიანებთ.  
 შალვა — სანამ მთვარეა, დროს ნუ დაგვარგავთ.  
 კოკაევი — (გამოვიდა) ერთი წუტიც მოითმინე, სახლს დავეკეტავ. ღიადაც რომ დარჩეს არა უშვას, — ღმერთმა პატიოსნება არ დაუკარგა ჯერ არგუნის ხალხს, მაგრამ მაინც დავადგათ ბოქლომი. აჰა, ესეც მორჩა. ღმერთო, მშვიდობით გვატარე!  
 შალვა — აბა, წავიდეთ! (მიდიან).

ბადრი, ასმათ და მართი ახალგაზრდა.

- ბადრი — უკვე წასულან. სახლიც დაუკეტიათ.  
 ასმათი — ისეთი რა ამბავი მიიღო, რომ ასე უეცრად გაემგზავრა?  
 ბადრი — ავი ვითხარი, დოღვათს უხმია საჩქაროდ.  
 ასმათ — შენ ამბობ, რომ მამამ კაცი გამოგზავნა? მერე და რატომ ჩემთან არ მოვიდა? შენ ნახე ის კაცი?  
 ბადრი — ვერ მოვესწარი, წინდაწინვე წასულიყო.  
 ასმათ — მამ შალვას ვინ გაპყვა?  
 ბადრი — ურანზავი.  
 ასმათი — არა მჯერა რაიმე ამბავი მოსვლოდეს მამისაგან.

- ბადრი — გუბნები, დოღვათი ელის. თვითონ შალვამ მითხრა.
- ასმათ — მერე და რატომ მართო ურახმავა გაყვა? რატომ, რატომ მასთან არ იყო? თქვენ რა იცით, თუ რატომ ვარ საგონებელში? მას ჩვენ მამა არის განსაცდელში და მიმალავთ? რა დაემართა მამას? სთქვი!
- ბადრი — ასე მითხრა, ჯავრი ნუ ექნებაო.
- ასმათ — შენ იცი რაღაც და მიმალავ. დიდხანია რაც წავიდნენ?
- ბადრი — სოფლის ბოლოში თუ იქნებიან.
- ასმათ — მეც მივდივარ.
- ბადრი — აბა რას ამბობ. ამ ღამეში სად უნდა წახვიდე?
- ასმათ — არა, მივდივარ. (წავიდა).
- ბადრი — დაცა ასმათ! ქალი ყი არა, ქაჯია სწორედ. ასმათ, ასმათ! მისი მართო წასვლა როგორ იქნება? მისოსტ, მიპყევი, სანამ იმათ დაეწეოდეს!

(ფარდა)

### მოკმეღება მეოთხე

გერმანელ პოლკოვნიკის სადგომი.

პოლკოვნიკი, მისი ადმუტანტი და კაპიტანი.

- პოლკოვნიკი. — თქვენ ერთობ ღელავთ, კაპიტანო. მე შიკირს თქვენი მოსმენა. ილაპარაკეთ უფრო მშვიდად, უფრო გარკვევით. გასაგებია?
- კაპიტანი. — მესმის, ბატონო პოლკოვნიკო.
- პოლკოვნიკი. — განაგრძეთ.
- კაპიტანი. — დაზვერვამაც დადასტურა, რომ მტრის ნაწილები გამოჩნდნენ ჩვენი დივიზიის ზურგში. პატარა რაზმებად დაყოფილნი გადმოდიან ისინი ისეთ მთებზე და კლდეებზე, რომელთაც ჩვენ სრულიად გუვალად ვსთვლიდით. თუ ჩვენმა პოლკმა ვერ შესძლო მათთვის გზის გადაჭრა, ისინი თავის განზრახვას განახორციელებენ. ეს გარემოება გარშემორტყმითა და განადგურებით ემუქრება ჩვენს დივიზიას. მას უკანდახევის გზაც მოჭრილი ექნება.
- პოლკოვნიკი. — კაპიტანო, თქვენგან არავინ მოითხოვს კომენტარიებს და მდგომარეობის შეფასებას. ფაქტები, მხოლოდ ფაქტები — აი რა მანდა თქვენგან. გასაგებია?
- კაპიტანი. — მესმის.
- პოლკოვნიკი. — შემდეგ?
- კაპიტანი. — ხევის მიდამოებში შემჩნეულია საეჭვო მოძრაობა. ჩვენი სადარაჯო მუნქტებიდან მთებში რაღაც რაზმები შენიშნეს. ჯერჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამოკვლევა, თუ ვინ არიან — სოფლებები, თუ რეგულარული ნაწილები. ეს პატარა რაზმები შენიშნულია რამდენიმე ადგილას ხევის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. შესაძლოა ამ ამბავს რაიმე კავშირი აქვს მტრის მიერ ფრონტზე დაწყებულ მოქმედებასთან. დანამდვილებით ამის თქმა ძნელია.



პოლკოვ. — თქვენ მე გამახარეთ, კაპიტანო... ერთობ გამახარეთ... თუ ეგ აგრეთ, მაშინ არა თუ სხვის შველას შევეძლებთ, არამედ ჩვენვე გავთვალთ ვართ საფრთხეში.

კაპიტ. — თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვ. — რას გვატყობინებენ სოფლებიდან ჩვენი კაცები?

კაპიტ. — ისინი ერთხმად ადასტურებენ, რომ ყველაზე უფრო საფრთხილთა არგუნის მიდამოები.

პოლკოვ. — რას ატყობინება იქიდან ჩვენი კაცი? მე დავაუღუთ საჩქაროდ გამოგეწვიათ ეს.

კაპიტ. — სწორედ ესაა უნდა მეთქვა მისი ამბავი. ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვ. — რაო?

კაპიტ. — ამ დილით ჩვენმა სადარაჯო პუნქტმა ხელთ იგდო ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ერთი მათგანი ვინმე კოკაევი, არგუნში თქვენ მიერ გაგზავნილი, ხოლო მეორე წითლების ოფიცერი გამოდგა. ის ოფიცერი და ქალი ცდილან გაქცევას, მაგრამ...

პოლკოვ. — ის უკვე ჩვენს ხელთაა? სად არიან ისინი?

კაპიტ. — მალე მოიყვანენ.

პოლკოვ. — დააჩქარეთ, ცხენები შეაგებეთ. ესაავე! როგორც კი მოვა კოკაევი, შემოაღწვიეთ ჩემთან.

კაპიტ. — მესმის. (დავიდა).

პოლკოვნიკი. აღიშტანბი.

პოლკოვ. — აი ვინ მჭირდება ესაა ყველაზე უფრო! თვითონ განგება გეგზავნის კოკაევს. ვინ იცის, იქნებ მისმა ცნობებმა რამდენიმედ მაინც ნათელი შეიტანოს ამ ფაურკვეველ მდგომარეობაში. იქნებ კიდევ შესაძლო შეიქნეს ჩვენი საქმის გამოსწორება!

აღიუტან. — ნუ თუ ასეთი სერიოზული მდგომარეობაა, ბატონო პოლკოვნიკო?

პოლკოვ. — თამბაქოს ბოლმა თავი მატყინა. ფანჯარა გააღეთ.

აღიუტან. — (ნახევარ ფანჯარა გააღო). ვეჭვობ გარემოება ხელსაყრელი იყოს მტრისათვის, რომ ესაა სერიოზული ოპერაციები დაიწყოს. სტრატეგიის ყოველგვარი კანონი ეწინააღმდეგება ამას.

პოლკოვ. — გააღეთ მეორე ნახევარიც.

აღიუტ. — თქვენ სიგრილეს ერიდებით, ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვ. — ნუ შემიხუთეთ სული. პაერი მინდა, გააღეთ ფანჯარა.

აღიუტან. — (გააღო მეორე ნახევარიც). ჩვენ ხელსაყრელი პოზიციები გვიჭირავს და გარდა ამისა ორჯერ-სამჯერ მეტი ჯარი გვყავს მათ წინააღმდეგ. იმედი მაქვს მტრის ყველა ცდა უნაყოფოდ ჩაივლას.

პოლკოვ. — იმედი! ეგ-ლა დაგვრჩენია. პირდაპირ ვთქვათ, შებრუნდა ჩვენი ბედი. ვილაც ჯადოქარის ხელი ამოქმედდა ჩვენს წინააღმდეგ.

აღიუტან. — თქვენი აზრით, სადაა მოსალოდნელი ყველაზე დიდი საფრთხე?

პოლკოვ. — ეგ მეც მინდა ვიცოდე, მაგრამ ამოუდ. რა ვიცით, სად ჩაპყტენ გზას? ყველა ხევაში და ყველა კლდეზე ხომ ვერ დავაყენებთ ჯარს? ამ მხარეში კი ხევსა და კლდეებს რა დასთვლის? აქ საქართველოს კარებია. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ქედს სწრაფად გადავლახავ-

დით, საქართველოში შევიტრებოდით და იმიერკავკასიის ხელთ გვგდებდით. ბედმა ყი სხვაფერად ანება... მაგრამ რაღაც არ უნდა დაგვივადეს, ჩვენ ეს კედელი უნდა გავარღვიოთ!

გენერალითაჲს

პოლკოვნიკი, ალიუზანბი, კოკაივი.

კოკაივი — სიცოცხლე და დღეგრძელობა, ბატონო ოფიცერო!

პოლკოვნიკი. — სად ხარ აქამდე? დაგვიანება იგივე დაღატაკია.

კოკაივი — მე თქვენს წინაშე მირნათლად ვარ. იმედი მაქვს, რისხვას კმაყოფილებით შეცვლით. მივაკვლიე იმ კაცს, ვისაც გავზღიე თქვენი დავალებით.

პოლკოვნიკი. — რა მდგომარეობაა ირმის ზევიში?

კოკაივი — ის, ვინც ზალხის ამრევი იყო, იქაურობას მოვაშორე. ის თქვენ ხელთაა. აქა მყავს, მაგრამ სიმაართლეს ვერ დაეფარა, — ვშიშობ, რომ ზალხი ერთხელე მისგან გახელეხული, აგრე აღვილად ვეღარ დამშვიდდება. მრავალმა აისხა იარაღი და ბრძოლისათვის ემზადება. ვშიშობ, რომ ირმის ზევიში საფრთხე მოგვლით.

პოლკოვნიკი. — სახელდობრ რა ადგილას?

კოკაივი — ვეცადე გამეგო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერას გავხდი. წითლების იმ ოფიცერს ვერაფერი დაეცდენი, თათქო ყველაფერში მენდობოდა, მაგრამ რომ ჩაკეითზავდი, სიტყვას ბანზე ამოვღებდა. მე მგონია, მთელი მისი საიდუმლო არც სხვამ აცის, ერთისე გარდა.

პოლკოვნიკი. — ის ვინდა არის?

კოკაივი — დოღვათ ფარნიონი. გაბედული და საშინი კაცია. სოფელზე დიდი გავლენა აქვს. სამწუხაროდ თეითონ დოღვათის ხელში ჩავდება არ მოხერხდა, მხოლოდ გველის წიწილი კი, მისი შვილი, აქა მყავს.

პოლკოვნიკი. — შემოიყვანეთ ორივენი. (აღიუტანტი გაეადა) ასე გამოდის, რომ ზევის ვზა ჩაკეტილია ჩემთვის... რა ძალა ჰყავთ, რა აარაღი აქეთ?

კოკაივი — იქნებ თქვენ შესძლოთ და მათგან გაიგოთ.

იგივენი, ალიუზანბი, შალვა და ასმათი.

პოლკოვნიკი. — თქვენ გამგზავრეთ ირმის ზევის სოფელში ჩვენს წინააღმდეგ სამოქმედოდ?

შალვა — სრული სიმაართლე ვახლავთ.

პოლკოვნიკი. — რა ადგილებში მოქმედობენ თქვენი მომხრენი?

შალვა — (კოკაივის) არ მოახსენეთ?

პოლკოვნიკი. — მე შინდა თქვენგან გავიგო.

შალვა — ჯ, ეგ კარგი სურვილია, მაგრამ...

პოლკოვნიკი. — იცით თუ არა, როგორ ვეძიებთ თქვენსავით ურჩს?

შალვა — როგორ არა, გამოგონია.

პოლკოვნიკი. — შიიღეთ ეს მხედველობაში.

შალვა — მაღლობას მოგახსენებთ გაფრთხილებისათვის. ეგ ალბათ, იმიტომ მომავონეთ, რომ ჩემზე ზეგავლენა მოახდინოთ. მე ათი ჯოჯოხეთი მაქვს გამოვლილი. მუქარა ჩემზე აღარ მოქმედობს. ნება მომიცით დაეჯდე. შენც დაეჯე, ასმათ.

პოლკოვნიკი. — ვხედავ, კარგ ვუნებაზე ბრძანდებით!

შალვა — თქვენ გისურვებთ მუდამ ასეთ ცუნებაზე ბრძანდებოდეთ.



- ბოლკოვნი. — ვგრძნობ, თქვენთან ლაპარაკი ზედმეტია.
- შალვა — ქუშმარიტი სიტყვაა. ტყუილად შეიწუხებით, თავს.
- ბოლკოვნი. — (ასმათს) თავი ასწიე. სახეზე ცრემლის ნაკვალავები მაქვს.
- თუ კი ასეთი ნაზი ხარ, როგორ გაბედდე ამ კაცთან დაახლოება? გახა არ იცოდა, რა მოგელოდა ამისათვის? მაგრამ თუ ჩემთან გულახდილი იქნები, მეც ლმობიერად მოგექცევი. რა ადგილას ამირებენ ჩვენზე თავდასხმას? მარტო სოფლებია, თუ ჯარის ნაწილიც არის? პასუხს ველი.
- ასმათ — რა უნდა ვთქვა, არა ვიცი რა.
- კოკაევი — სტყუის, ბნო თფიცერო, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ იცის. მოგეხსენებათ, დიაცი ეშმაკია და ჯიუტი.
- ბოლკოვნი. — (შალვაზე ანიშნა). იქნებ ამისი გერიდება, ან გეშინია? ის არავისთვის საშიში აღარაა.
- ასმათი — მისი რად უნდა მეშინოდეს? თუ ვერას ვამბობ, იმიტომ, რომ სათქმელი არა მაქვს რა.
- ბოლკოვნი. — სტყუი მე გაიძულებ სთქვა ყველაფერი. მოვძებნი ამის საშუალებას. უკანასკნელად გირჩევ გულახდილი იყო. ხევის რა ადგილას ამირებენ ჩვენზე თავდასხმას? დროს გაძლეე ერთ წუთს, მოიფიქრე და მიპასუხე.
- ასმათ — (სდღმს).
- ბოლკოვნი. — პასუხი!
- ასმათი — არ ვიცი რა ვთქვა, ვერაფერი მოვიფიქრე.
- ბოლკოვნი. — გომბიო! ათასჯერ სიკვდილს ინატრებ, სანამ სული აღმოვხდებოდეს. მომამოორეთ, გაიყვანეთ.
- შალვა — დაიცადეთ. ამ გოგონას ბრალი არაფერში აქვს. დამნაშავე მე ვარ მხოლოდ.
- ბოლკოვნი. — გაიყვანეთ.
- შალვა — მომისმინეთ. მე ვიტყვით. ვიტყვით ყველაფერს.
- ასმათი. — შალვა!
- შალვა — შენც ხედავ ასმათ, უაზროა ჩვენი ჯიუტობა. ჩვენთვის გათავდა ყველაფერი. მაგრამ თუ კი გამოიძებნა საშუალება როგორმე სიკვდილს თავი დააღწიო, რატომ არ უნდა ისარგებლო ამ ბედნიერი შემთხვევით? ტკბილია საცოცხლე, აგრე ადვილად არ გაიმეტება.
- ასმათი — შენ რას ამირებ?
- შალვა — სხვა გზა არაა. ტყუილად რად გავწირო? ერთი დღით გვიან, თუნდაც მსხვერპლის გაღებით, ისინი გავლენ არმის ხევში. მე კი ამ ოთახიდან ხმა როგორ მივაწვდინო... იქნებ შენ მაინც შეგვრჩეს საცოცხლე.
- ასმათი — სიცოცხლე მაშის წამებით მოვიპოვო? შენ მირჩევ ამას?
- შალვა — გული ქვა არ არის, ასმათ, არ შემიმძლია ვუცქირო შენ ტანჯვას. (ალერსით ხელი დაადვა თავზე).
- ასმათი — (ჩამოიგლიჯა მისი ხელი) შენ მგონი საკუთარ თავზე უფრო ზრუნავ. თავს რად იტყუებ ფუჭ იმედით.
- შალვა — შენ უნდა იცოცხლო, ასმათ! იქნებ დაბრუნდე კიდევ არგუნში...
- ასმათი — აქამდე როგორც ჩემი სინიღისი, ისე მიმანდი, შენზე უფრო ღირსეული არავინ მეგონა, ახლა კი... (ჩაუჯდა, ატირდა).





პოლკოვნიკი. — აბა, რას მეტყვიან?

შალვა — (პოლკოვნიკს) მუ დაგისახელებთ იმ ადგილს, სადაც ჩვენი მოგვლით. სამაგვიროდ ჩემთვის არაფერს ვთხოვთ. ვიცის, ვეცდები, შევთხვევაში სიკვდილი მეღოს. ეს ვოფონა მეცოდება, მის შებრალებას გვეუბრებით.

პოლკოვნიკი. — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავრწმუნდები, რომ გულახდილი ხართ.

შალვა — მომეცით რუკა. დახედეთ ამას. თქვენც იცით, ირმის ზეგში მრავალი ტიტველი კლდეა. ერთადერთი გზა, რომლითაც ჯარი გასვლას შესძლებს, ეს ვიწრო ყელია. ერთ-ერთ იმ კლდეზე, მიუვალ და უჩინარ ადგილგზაში, რამდენიმე თავდადებული ადამიანი დღე და ღამ ბურღავს ლოდებს და ნაღმებით ავსებს. როგორც კი თქვენს ჯარს თვალს მოპკრავენ ისინი, ამავე წუთში კლდე დაეშვება, წვიმად წამოვა ღორღი, შეპკრავს მდინარის კალაპოტსაც და გზა ჩაიკეტება. თქვენ იქ ველარ გაივლით. გაივლით იმ შემთხვევაში, თუ შე ვინებე. ერთადერთი კაცი, რომელსაც შეუძლია განსაცდელი აგაშოროთ, მე ვარ.

ასმათი — არამზად! (სილა გააწნა).

პოლკოვნიკი. — მოაშორეთ. ასე რად ამორგდი, ქალბატონო? არ მოგწონს მისი გულახდილობა? ის ხომ შენზე ზრუნავს.

შალვა — რა მწარე ხელი იქონია, ვოფონა...

პოლკოვნიკი. — ეხლავე წახვალთ. აჩვენებთ იმ კლდეს. (ადიუტანტს) ბანაკი აიშალოს და წასასვლელად მოემზადოს. მესანგრენი და მთაშსვლელები წინასწარ ამით გაპყვებიან.

ასმათი — არასად არ მივალ. ფუჭი იმედია. თქვენ იმ ადგილს ვერ მივაგნებთ.

პოლკოვნიკი. — მივაგნებთ. შენც მასთან ერთად წაბრძანდები.

შალვა — სიტყვას მაძლევთ, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებთ?

პოლკოვნიკი. — როგორც კი ჯარი ირმის ზეგს გაივლის, ორივენი თავისუფალი იქნებით.

შალვა — ასმათ, გესმის? შენ იცოცხლებ! მეც შენთან ერთად!  
(ნაღარის ხმა).

პოლკოვნიკი. — აბა, გზას გაუდგეჭით!

მეორე სურათი.

ირმის ზევი. ღამე.

შალვა — აქ შეჩერდით, მეტს ველარ წავალთ. ამ ბნელში გზა გაუვალა.

კაპიტ. — სადა ვართ, რა ადგილია?

შალვა — ირმის ზევის შუაგულია.

კაპიტ. — რომელ კლდეზე არიან თქვენი კაცები?

შალვა — ამ ღამეში იქ ვერ მივალწევთ.

კაპიტ. — დაყოვნება შეუძლებელია. ვანაგრძეთ გზა.

ასმ. — დამტოვეთ, ან მომკალით. ძალა აღარ მაქვს, მეტი აღარ შემიძლია.

კაპიტ. — ეხლავე გასწით. უბრძანებ.



შალვა — ბნელა და ვერ ხედავთ, თუ რა საშიში გზა გვიდევს წინ. დილი-  
თაც კი შიშის ზარს სცემს ადამიანს იმ ნაპრალების შეხვედრის  
იქით წასვლას მხოლოდ სიკვდილის მონატრული თუ გაბეჭდვის  
ტყუილად გასწირავთ.

კაპიტ. — მაშ როდემდის ვიცადო აქ?

შალვა — ალიონიც მალე დადგება. მანამდე უნდა შევიცადოთ. ფიქრი ნუ  
გაქვთ, ყველაფერი მოესწრება.

კაპიტ. — ღმერთმა დასწყევლოს ეს ადგილი და ეს ქვეყანაც. ლეიტენან-  
ტო, დაყენეთ აქ გუშავი. დანარჩენებმა დაისვენონ.

ხმები — დაისვენეთ!

შალვა — გათენებისას ჯარი შემოვა... დილით გზა თავისუფალი იქნება...  
ამ იმედით ისვენებს ყველა... ასმათ, ასმათ! ჩაძინებია. საბრალო გო-  
გონა... ან აქამდე როგორ გაუძლო ამდენ წამებს. (თავისი ნაბადი მოა-  
ხურა).

ასმათ — წაილე. ჩემზე ზრუნვას არ გთხოვ.

შალვა — ცოდეა ხარ, სიცოცხე არ მოგასვენებს.

ასმათ — შენ რომ მართლა გეცოდებოდე, ადრევე სიკვდილს მაღირსებდი.

შალვა — გაუძელ, ცოტა ხანს კიდევ მოითმინე.

ასმათ — რითი მაიმედებ? იმითი, რომ გამიშვებენ? რად მინდა ის თავი-  
სუფლება, შენ რომ მიშაადებ? საით წავიდე, ვის გაუეზბილო, თუ ვინა  
ვარ? ნადირს თავისი სორო აქვს სადმე, მე კი ამხელა ქვეყანაზე თავსაც  
ვეღარსად შეუფარებ. ჩემი სახელი წყველად აქციე შენ.

შალვა — ასმათ ჩვენ აქ მარტონი არ ვართ. ღმის სიბნელე ფარავს მათ,  
ვისაც თვალი და ყური აქვს ჩვენსკენ.

ასმათ — ისეთი რა უნდა სთქვა? შენ თილისმა გაქვს სიტყვაში, გული კი  
კურდღლის გქონია. რად აშალე ხალხი საბრძოლველად, თუ თვითონ  
მხდალი აყავი? შენი სამშობლო ვაყვაცებით არის განთქმული. შენს  
ქვეყანას მაინც რად არცხვენ?

შალვა — ერთი დღის მარცხმა ყველაფერი შესცვალა ჩვენთვის. რომ  
შეიძლებოდეს ის დღე დაბრუნდეს და ცხოვრება ახლად დაიწყოს...  
მაგრამ ვაი, რომ ეს არ იქნება.

ასმათ — წინათ რომ ეგ გეთქვა, გავოკვირებდი. მჯეროდა, რომ შენ-  
თვის არაფერი იყო მიუწყდომელი. მეგონე ისე ძლიერი, რომ შეგეძ-  
ლო ჩენი მთა აგელო და მხრებზე შედგმული წაგელო იმ ქვეყანაში,  
სადაც არაა დამკირება, ტანჯვა, სიკვდილი. მჯეროდა, რომ ამ ბედნიე-  
რებას შენ აღირსებდი სოფელს და ყველას, ყველას ჩვენ. ასე გულმა  
როგორ მომატყუა!

გუშავი — ჰეი, ვინ მოდის?

ხმა — ბატონ პოლკოვნიკის ადიუტანტი. მე მინდა თქვენი უფროსი ენაზო.

კაპიტ. — აქა ვარ. რა ამბავია?

ადიუტ. — პოლკოვნიკი მთავარი ძალებით აქეთ დაიძრა. თქვენგან კი ჯე-  
რაც ცნობა არა მაქვს. რა ქენით?

კაპიტ. — იძულებული ვარ გათენებამდე აქ ვიცადო.

ადიუტ. — თქვენ აგვიანებთ.

კაპიტ. — ამ ჯოჯობეთურ სიბნელეში კლდეებზე ავიდე და ხალხი დაე-  
ღუბო? ამით ხომ საქმე არ გაკეთდება!

- ადიუტ. — იჩქარეთ კაპიტანო, დაგვიანება ჩვენთვის საბედისწეროა.
- კაპიტ. — თვითონ განსაჯეთ, რა გავაკეთო ამ პირობებში? *მეცხველ უყვარ ამ ლამესა და ამ მთებს.*
- ადიუტ. — ასეთი პასუხი წავიღო თქვენგან?
- კაპიტ. — გადაეცით, რადაც უნდა დამოუდეს ბრძანებას დროით შევასრულებ. დილით გზა უშიშარი და თავისუფალი იქნება.
- ასმათ — ნეტავ ეს ლამე არასოდეს დასრულდებოდეს. ჩემთვის უბედურ გათენებას არ მოვესწრებოდე.
- შალვა — მალე ეს ლამეც დაილევა... ისევ ნათელი შესცვლის ბნელს. ახალი დღე დაიწყებს თავის ცხოვრებას. ყველაფერი სიცოცხლისთვის აღორძინდება, ყველაფერი სიცოცხლის სადიდებლად ამეტყველებს... შენი სიცოცხლის სადიდებლად, ჩემო ქვეყანა. (ჩუმად ღიღანებს: „ისევ ამოვა ბალახი, მთაო, შენს ნაომაჩხედა“).
- ასმათი — გაჩუმდი, მაგ სიმღერას მაინც ნუ შეურაცხყოფ. მაგას ვაეკაცები ამბობდნენ ჩვენში. შენ რომ ლაჩარი არ ყოფილიყავ, უარს იტყოდი შენს განზრახვაზე.
- შალვა — შერე და შენი თავისუფლება? მაშინ შენ ხომ სიკვდილი გელის?
- ასმათ — სიტყვი უარი, ჯერ კიდევ დროა!
- შალვა — ხედავ იმ კლდეს? ხედავ, რა მრისხანედ ამართულა? ერთ ფრიალოზე იქ მურთაზი ელის ნიშანს. მე ამ მესანჯრეთ ავიყვან ზევით და განთიადზე, როგორც კი ჯარი შემოვა ამ ვიწროებში, ჩვენებს ნიშანს გადაუძახებ და მაშინ...
- ასმათ — შალვა! შენ ამისთვის მოიყვანე აქ ისინი?
- შალვა — იუუჩე ასმათ.
- ასმათ — მაშ ისევ ის ხარ!
- შალვა — ჩუმად, არავინ გაიგონოს.
- ასმათ — ო, არა. გაეჭუმდები. ავერ შენთან მოვიკალათებ. რა თბილია შენი ხელები, რა ძლიერია შენი ხელები. ერთად მივიდით სიკვდილზე. უშენოდ მაინც არ მეცხოვრება. მათ შეუძლიათ ყველაფერი წაიღონ ჩემგან, სიცოცხლე გულგრაღად მომისწრაფონ, მაგრამ სიმდიდრეს აურაცხელს, რომელიც ერთხელეე გულმა შენგან მიიღო, ველარავინ ვერ წამართმევს. შენ ისევ ის ხარ და მეც ისევ ბედნიერი ვარ.
- შალვა — ათი სიცოცხლე რომ მლირსებოდა, ათივე ცოტა იქნებოდა, რომ გული შენით დამეტკბო. ნეტავ შემეძლოს მართლაც დაგიბრუნო ბედნიერება.
- ასმათ — განა შენ არ შევიძლია სასწაული მოახდინო? რა უნდა იყოს შენთვის შეუძლებელი? აეყვეთ ამ მთებს სულ მალა, მალა. მივიდეთ შენს ქვეყანაში. ის ალბათ უფრო მალა არის, არგუნზე ზევით. ისეთ მადლობზე, რომ ვარსკვლავები სულ ახლოა, — ხელებს ასწევ და თითებრთ შეეხები.
- შალვა — ჰო, მალა არის. იქ, ერთ სოფელში, პატიოსანი ორი მოხტე ფიქრით მუდამ თავს მეელება. მესმის მათი ხმა, ვხედავ მათ ხელებს, ჩემსკენ ნუგეშად გამოწვდილთ. სიხარულით გაგიღებდნენ ისინი კარებს, მოგებეოდნენ, როგორც შვილს და სიყვარულს გეტყოდნენ. შეგვიტკობდა ჩემი ქვეყანა. მისი ალერსი, მისი მადლი ყველა იარას დაგვიამებდა.

ასმათ — რა რიგ ბნელა. ასეთი ღამე ჯერ არ მინახავს. ასე მგონია მთელი სიცოცხლე აქა ვარ და სულ ეს ღამეა. სხვა ყველაფერი გაქრა. იყო ტკბილი სიზმარი, სხვა არაფერი. სოფელი სადღაც მთხრე გაქრა. ბული, თბალი კერა, დედისა და მამის ალურსი. საბრალო დედა! იქნებ დაბორჯავ ეხლა ყველასგან მიტოვებული, მე დამეძებ, ან ზიხარ ბაშზე, ისევ ომარის დაბორუნებას ელოდები და ღამის სიჩუმეში მისი ზერღაგის ტიხინი გესმის. ავაი, ავაი, ველარავინ ველარ დავიბრუნდეთ!

შალვა — ყველა ისვენებს... ფიზილობს მხოლოდ ერთი გუშაგი... ასმათ, გამიჯონე და ყველაფერი დაიმახსოვრე. შენ ახვალ, იქ, ახვალ ზევით...

ასმათ — რაო, რა სთქვი?

შალვა — როგორც კი მიაღწევ პირველ ფერდობს, დათქმულ ნიშანს გადასახებ. გარშემო ყველგან ჩვენი დარაჯები იქნებიან. ისინი ნიშანს სხეებს გადასცემენ და მალე ის ხმა მურთაზთან მივა.

ასმათ — მე ვინ გამიშვებს?

შალვა — მეტს ნურას მკითხავ. როგორც კი გეტყვი, მაშინვე წახვალ.

ასმათ — შენ? შენ აქ დარჩები?

შალვა — თუ ბედმა გასჭრა, მეც გამოგყვები.

ასმათ — მე წავიდე, შენ მიგატოვო? აბა რას ამბობ!

შალვა — მერე და საქმე? ნიშანს ვინ მისცემს?

ხმა — განთიადი ახლოვდება, მოემზადენით!

შალვა — გესმის, ასმათ? შენ ახვალ იქ!

ასმათ — იქ, ზევით... პო, მაგრამ როგორ?

შალვა — (ხელსაყრელ წუთში სწვდა უეცრად გუშავს, თავზე ნაბადი მოახვია და მიწაზე დააგდო. ასმათს) იჩქარე, წადი!

ასმათ — შალვა!

შალვა — მშვიდობით. გასწი ეხლავე!

(ასმათი გაქრა. შალვა იძულებულია ერთხანს კიდევ ებრძოლოს გუშავს. ის იყო დადგა წუთი შალვასაც შეეძლო თავის შველა, როცა კაპიტანი და რამდენიმე ჯარისკაცი გამოჩნდა.)

კაპიტ. — სად არიან პატიმრები? მოემზადენით. სადაა გუშავი? ვის სძანავს იქ? ქალი არის?

შალვა — დიახ, ის გახლავთ.

კაპიტ. — გაალეიძეთ. გზას გაუდექით.

ხმა — ჰეი, ვინ მოდის?

### აოლკოვნიკი ახალით და კოკაივი.

პოლკ. — სადაა თქვენი კაპიტანი? მე ეხედავ, თქვენ ეხლა იღვიძებთ. რას ნიშნავს ეს?

კაპიტ. — ნება მიბოძეთ მოგახსენოთ...

პოლკ. — ჯერ ეს მითხარით — გზა თავისუფალია, თუ არა?

კაპიტ. — ღამემ მოგვისწრო. იმ კლდემდე ვერ მივალწიეთ. იძულებული გავხდით აქ დაგვებანაქა.

პოლკ. — თქვენი სიცოცხლით აგებთ პასუხს, თუ დამიგვიანდა. სად, სადაა ის კლდე?

(შორს, მალეიდან ხმა მოისმა. პირველს მეორე შეეხმიანს, შემდეგ მესამე. ისმის შორეული გადაძახება: „ეჰეი, აფრინდა ოქტობრის თვესა იცვლის“.)

გინგლირთქან

შალვა — (იმედით სავსე, აღტაცებით, მაგრამ ჩუმად) ასმათ! მურთაზ!

პოლკა — სადაა ის კლდე? რომელია ამით შორის?

შალვა — აი ის კლდე!

კოკაევი — იქ, ზევით, მთა გაცოცხლდა! თავს უშველეთ!

პოლკა — გაგზავნეთ ჯარისკაცები! გასწიეთ ჩქარა!

შალვა — გვიანდაა, ის ხმა უფრო ადრე მიიღწევს.

კოკაევი — ვაჰმე, დამოღუბა! თავს ვეღარ ვიხსნი! (შალვას მივარდა) ვერ მოესწრები, ვერ ეღირსები ამ სიხარულს!

შალვა — (უფსკრულში გადაისროლა) მოვესწარი. დამალოცნია შენთვის ეგ გზა!

პოლკოვნიკი — ვერაგო, შენ ადრევე უნდა მომესატე. (ესროლა) მალე კლდეზე! ჩქარა, ჩქარა! (გარბის ამ ყვირილით. მტრის ბანაკში საგანგაშო ნალარა დაჰკრეს. მალეიდან უკანასკნელი გადაძახილი აღწევს და მაშინვე ხევეში მრისხანე გრგვინვად გაისმის ძლიერი აფეთქება. თენდება. მთიდან ხალხი კიჩინით დაეშვა).

შალვა, დოლგათი, ბადრი, მურთაზი, ხალხი, ბოლოს ასმათი.

დოლგათ — გზა გადასჭერიო! გაბრუნება ვერაგინ შესძლოს! ხევიდან ერთიც არ გავიდეს! ეს ვინაა? შალვა!

შალვა — დოლგათ, მურთაზ, ძმებო...

ასმათ — ავაი, შალვა!

შალვა — ბინდი ეშვება ჩემს თვალებზე. ასე მგონია ისეც ღამე ჩამოდგა.

დოლგათ — არა, ნათელი ძლიერდება. არგუნის ფავზე ისეც ბრწყინვალე მზე ამოდას.

შალვა — მე შევასრულე ჩემი ვალი, ჩემო ქვეყანა. შენი სიმშვიდის, შენი ღირსების ერთგულ დარაჯად ვრჩები აქ სამუდამოდ. მშვიდობით ასმათ, დოლგათ, ძმებო... ბედნიერ დღეს მეც მომიგონეთ. (კედება).

დოლგათ — ის იყო ჩვენი მეთაური. მან უჭრობელი ცეცხლი დაგვითო სულში. და ის, ვინაც ღირსება დაგვიბრუნა და აგვამალა, ბრძოლაში ეხლაც წინამძღოლი იქნება ჩვენი. ასწიეთ ზევით, წინ წაიღეთ, ძლევის დროშად წარიმძღვარეთ და მუსრეთ მტერი, წინ შურისმგებელნი!

(ფარდა)

## ქალის სჯილი

მეომრის დედავ, ვაჟით ჭებულო,  
შენს სახლს დღეს შენი თვალი ანათებს  
საქმით გართული ხშირად ლებულობ  
ომში წასული შეილის ბარათებს.  
გამხნეებს მისი ხმა და სახელი,  
სძლევ ვაჟკაცურად დღეთა სიმძიმეს.  
ბევრის განმცდელი, ბევრის მნახველი  
ლამით ყოველთვის გვიან იძინებ.  
ძილში შეილს ზედავ: თითქოს შინ არის,  
თითქოს შეჭარბის თავის ნამყენებს,  
დაღის ეზოში პირმოძინარი  
და გაზაფხულის სუნთქვა ამღერებს.  
თითქოს შენი ხმით მიწა ეძახის  
თითქოს შენი ხმით ეზო ხმიანობს,  
ხელგამოწედილი ხედება ვენახი,  
ვაეიც ხელს უწვდის და საქმიანობს...  
გაგელეიძება, შეილი არსად სჩანს,  
ირგვლივ ლამაზი სიზმრის სხივია,  
გარეთ ძალღიწვეს ეზოს დარაჯად  
და შორს მამლები გზნებით ყივიან.  
გული დაგწყდება... მარტოდ დარჩენილს  
დაგრჩება სიზმრის სხივი იმედად.  
რიერაყი, ცაში ხანძრის გამჩენი,  
მალე სარკმლებში შემოიხედავს.  
დილით აცყვება ერთი სურვილი,  
შენი აზრის და გულის თვისება:  
შერჩეს შეილს მუდამ მტრის სიძულელი,  
მტრის არდანილობა ჭქონდეს ღირსებად;  
იყოს დღეგრძელი მშობლის ლამპარი,  
მარჯვედ მტრის მკერდზე ლახერის მსობელი,  
ნუ დაადარდებს დედა, სახლ-კარი, —  
არ გაუქირვებს იმათ სოფელი.

## კავკასიონის კაკაბთან<sup>1</sup>

ბოზანი

XVI

### კავკასიონზე მაღალი

ჯერ კიდევ 12 საათი არ იქნებოდა, სამშვიდობოზე რომ გავიდნენ. ბეჭობს მიეფარნენ, ხის ძირას დასხდნენ.

— რაღაც მეტის-მეტე სიმშვიდეა მაგ წუნკლების ბანაკში, — სთქვა დავითმა. — უსვინდისო ჭიკო, თუ ეგ ქარიშხლის წინამორბედი არ იყოს.

— სწორედ მაგას ვფიქრობდი ახლა მეც, — დაუდასტურა სამსონმა. — ადვილად შესაძლებელია, ჩვენი ცნობები უკვე მოძველებული იყოს. იქნება სულ სხვა მიმართულებიდან ამზადებენ იერიშს.

— მაგენი უთუოდ დამხმარე ძალას მიიღებდნენ. ნახავთ, თუ ასე არ იქნება, — მისთვის უჩვეულო კილოთი ჩაილაპარაკა კოლიამ.

— თუ აგრეა, ცარიელნი რად მივდივართ, განა აგრე ძნელია ერთი მოენეს შოვნა?

— რაცა ყველაფერის ნამეტარა გაიოლება იცი, ირაკლი, შენ, — იწყინა ლადიმემ. — თუ მასე გეადვილება, რაღას უტედი?

ირაკლიმ მხართეძრზე წამოწოლილ გიორგაძეს თვალეში ჩაახედა. საწყენად არ მიიღო მისი კუბტი გამომეტყველება, რადგან მის ოფლშეტუმშრალ სახეზე ამოიკითხა, თუ რამდენად დაღლილი იყო იგი, მთელი დამის უძინარი. ერთმა გულმა უთბრა, თვითონაც მიწოლილიყო და მოესვენა, დამტკბარიყო იმ უდრტვინელი განწყობილებით, რომელიც საბედისწერო ზიფათიდან თავდაღწეულ კაცს ეწევა ზოლზე. მაგრამ კარგა ხანია გულში უღვივოდა სურვილი, რომ ერთი ფაშისტი ცოცხლად წამოეყვანა, და ახლა ამ სურვილმა გაიტაცა.

— შენ ხომ არ გაძალებ? — ღმბილით მიუგო ლადიმეს. მერე სამსონს შეაცქერდა: — იცი, სამსონ, რა ადვილია? აგე, შენიღბულ სანგრებს რომ თუხვიეთ, იქ, სულ ახლოს, ფშანს ხომ დააკვირდი? ახლა ჩამოცხა, ხშირად გამოვლენ წყლის დასაღვეად, ერთი ვინმე გამომყვეს... დიდხანს არ დაგვაგვიანდება.

— გენაცვალე სულში! — გამოცოცხლდა კოლია. — ეგ ნამდვილდ საქმეა. მოვდივარ!

<sup>1</sup>) იხ. „მნათობი“ № 7, 8, 9 — 10, 11 — 12.



ლადიმე შუბლი შეიკრა, წამოჯდა. ჯერ კოლიას შეანათა მკაცრად თვალი, მერე ირაკლის.

— გაჰქირეს საქმე! თქვენ თუ წახვალთ, მე რა, წელკავი ხომ მოიხსნის — მოიცა, ლადიმე, — დაამშვიდა სამსონმა. — ეგ საქმე მეც დამიჯდა კეუაში. ყველანი წავიდეთ. ორი რომ ფშანთან მიიპარება, დანარჩენები მახლობლად ვიქნებით ჩასაფრებული. შენ კი, ავთანდილ, აქ დაგვიცადე, მოისვენე.

ავთანდილი უფროსების მიერ აბუჩად აგდებული ყმაწვილივით შეწუხდა: — შენი ჭირიმე, სამსონ, მაგას ნუ მიზამ, ხომ ხედავ, რა კარგად ვარ. იმდენი მუღარა იყო ავთანდილის ხმაში, რომ სამსონმა უარი ველარ უთხრა. მცირე ხანს ითათბირეს და გზას გაუდგინენ.

გზატყეცილის მახლობლად; ყანების პირად ჰქონდათ გერმანელებს შენიღბული სანგრები. სამხრეთ-დასავლეთით, სანგრებიდან სულ ორასი მეტრის მანძილზე, ოდნავ შემადლებული ბექობის ძირას მწვანე ბალახით გარს შემორტყმული ფშანი იყო, საიდანაც ანკარა რუ მოჩუბჩუხებდა.

მოხერხებულ ადგილებში ჩასაფრდნენ. ირაკლი და კოლია ფშანისაკენ გახიზნდნენ. ირაკლი მიუძლოდა. პირველად ის უნდა გადამხტარიყო.

ლადინი დადბანს არ დასჭირებიათ. აგერ ნელი ნაბიჯით, მოდის ფშანისაკენ მუზარადიანი ჯარისკაცი. ავტომატი მხარზე აქვს გადაკიდებული.

ირაკლის გული აუტგერდა, შეიკუმშა. წინასწარ მოისაზრა, თუ როგორ უნდა გადამხტარიყო და დასტაკებოდა გერმანელს. მგზრამ როდესაც გერმანელმა წყალთან ჩაიმუხლა, მუზარადი მოიხადა და სველი ზელი მელოტ თავზე გადაისვა, ირაკლი უცებ მოეშვა. „ასეთი გამოთაყვანებული სახის პატრონს რა უნდა გამოერჩეთ?“ გაიფიქრა და თვალი მოარიდა, ლოყა ბალახს დააყრდნო.

კოლიამ მოთმინება კინაღამ დაჰკარგა. ყოველ წამს მოელოდა — ირაკლი საცაა ისკუბებსო, მაგრამ ის რომ აღარ შეიჩა, გული მოუვიდა: „მაცალე. მე შენ წავგიოთხავ სახარებასო“, გაიფიქრა თავისთვის. ამ დროს ჯარისკაცი წამოიშარათა. კოლია სახეზე დააკვირდა.

„აჰ, გენაცვალე სულში, ირაკლი, მივიხვდი. \*მაგ ჩერჩეტი რა ეშმაკად გეინდოდა... გასწი, მოგეშორდი, წუნკალბ! ბედი გქონია“.

რამდენიმე წუთი გავიდა. ირაკლი ცუდ გუნებაზე დადგა. „შენც ერთი, — გაუწყრა თავის თავს: — რას არჩევდი? ეხლა სანამდის უნდა იცადო?“

ის იყო, კოლიასაც ებადებოდა ასეთი ფიქრი, რომ ბილიჩხე ტანადი, კოხტად ჩაცმული ფაშისტი გამოჩნდა.

ვეფხვი შეარხვეს, ალბათ, ასე თათებს, ირაკლიმ რომ თითები აამოძრავა, ამჩატდა, თითქო ფრთა გამოესხათ.

გერმანელი დაიხარა, ვერცხლივით პრილა მათარა წყალში ჩასდო. სწორედ ამ დროს გადახტა ირაკლი. გერმანელმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო. ის კი მოისაზრა, რომ ყელზე შემოკლდობილ ბელუბისათვის ხელი ჩაველო: სცადა ირაკლის წინ გადატანა. მაგრამ კოლიამ მიუსწრო. ხელად ჩასწარეს პირში ჩვარი, შეჰკრეს და ამხანაგებისაკენ გაიტაცეს.

გამოთოფილ არე-მარეს მალე გასცილდნენ. მაინც სწრაფად იარეს. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინ შეისვენეს მცირე ხნით მდინარის პირას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მძიმედ სუნთქავდნენ.



გერმანელს კარგა ხანია პირიდან ჩეარი ამოუღეს. პირველად ვიდრე თუ-ვის ბედს შეუროგდებოდა, ოჩანი ხარივით განზე იწევდა, მანძილზე მუშაობდა, შემდეგ კი წელში გაიმართა, სამსოფს მუნჯურად უნძმა — თქვენს ხელში ვარ, მოვდივარ.

იმდენად დაღლილი იყვნენ, რომ კოლიაც კი ხმას არ იღებდა. მეორედ შეისხა პეშვით პირზე წყალი. ლოყები მაინც ძალზე წამოღვივებული ჰქონდა; ლაევარდისფერ თვალბში თითქო ქუფრი ნისლის ჩრდილი ჩაფენოდა.

კბოდებზე მიწოლილმა დავითმა კარგახანს უცქირა გერმანელს. ცნობის-მოყვარეობამ დასძლია. რუსულად ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხართ?

გერმანელმა თავი გაიქნია — რუსული არ ვიციო, თან გერმანულად დასძინა რალაცა.

— სახეზე ემჩნევა, რომ ნასწავლია. იქნება რუსული იცის, მაგრამ განზრახ მალავს, — სთქვა სამსონმა. — არაფერია, შტამში გყავს გერმანელის მცოდნე.

— საოცარია, — ჩაილაპარაკა დავითმა: — შეხედეთ, გარეგნულად რა უნაკლო ახალგაზრდაა, სანხეც არა აქვს უღამაზო, კაცს — ევროპელი ინტელიგენტი ეგონება. ეს კი... არა, როგორ თავსდება ასეთი გარეგნობის მქონე ადამიანში ამდენი ველურობა?

ავთანდილს მწარედ გაეღიმა. ხანდაზმული, მრავალნაცადი კაცივით სთქვა:

— თქვენ რა იცით, რა გველები არიან მაგენი: თუ ხელში ჩაუვარდი, წვეთ-წვეთად გამოგწოვს სისხლს. განა ასეთივე ინტელიგენტი არ გეგონებოდათ ის ობერ-ლეიტენანტი, თქვენ რომ ჩააძაღლეთ? ის კი...

ენა დაება ავთანდილს. უცებ წამოხტა, ხელები ისე გაშალა, თითქო უცნაური რამ ეზმანებო. მერე სათითაოდ მოაქლო ყველას თვალი და მღელვარე ხმით იკითხა:

— სიზმარში ხომ არა ვარ? ნუ-თუ მართლა თქვენთან ვარ, ბიჭებო?

დავითი ადგა, ხელი მოხვია, გვერდით მოისევა და ალურსით უთხრა:

— დამშვიდდი, ძამია, სული მოითქვი. მართლა დიდად ნაწამები ხარ...

დედის თვალბების შექვივით შემოეფინა ავთანდილს ეს მიფერება. ლოყები წამოუტკარხლდა, თხელი ტუჩები შეერხა, გრძელ წამწამებზე ცრემლები დაეციდა.

უხერხული დემილი კოლიამ დაარღვია:

— ბიჭებო, ჩემმა ყანწმა ჩამილაპარაკა ახლა: იჩქარეთ, თვარა სოფელში ერთ წვეთს ვერაფერს იშოვნითო.

— ხედავთ, რას მოვესწარით? კოლიას სასმელი შემოვლია, — გაეხმაურა ლადიმე.

წამოიშალნენ. გზის გასწვრივ, ყანების პირად გაყენენ საცალფეხო ბილიც. ახალდამწვარი მანქანის ჩონჩხისათვის ყურადღება არ მიუძღვევით: ასეთი რამ ბევრჯერ უნახავთ.

სოფლის თავში მიწურიდან მებრძოლნი გამოცვივდნენ, გერმანელ ტყვეს შეაკერდნენ.

— აბა, გასწით თქვენს ადგილებზე! — ბრძანების კილოთი მიმართა მათ სამსონმა და გზა განაგრძო.

მაიორმა ალექსი კლდეკარულმა ცივად მიიღო სამსონი, დაგვიანებულად უყვედურა. მაგრამ შემდეგ, როდესაც სამსონის მოხსენება მოისმინა, შეშფოთდა და აღვა, მხარზე ხელი დაადო და ძმური სიყვარულით უფხვლავით ელაპარაკა — კარგი, ძალიან კარგი... წადი ახლა და გამოიხინე.

ეზოში რომ გამოვიდა, შესდგა, ირგვლივ მიმოიხედა. „ნეტავი სად იქნება ახლა ეთერი?“ სხვა არაფერი ახსოვდა სამსონს. არც დადლილობას გრძნობდა, ეთერთან შეხვედრის მოლოდინით იყო გატაცებული.

აგერ ბესო ვოგოლაძე მოდის, ამას ეცოდინება.

მხედრული ნაბიჯით მიეგება ბესო მისკენ გაჩქარებულ სამსონს.

— ეთერი? — გაიმეორა ზატომლაძე კითხვა ბესომ: — ეთერი ამ დღით მდსანბატში გაჰყვა დაქრილს. შალვა ყიფშიძეც იმ მანქანით წავიდა, დივიზიის კომისარმა გამოიძახა.

— პოო... გმადლობ, — ჩაილაპარაკა სამსონმა და მიმოდგა გადადგა ნაბიჯი. ერთბაშად მოეშვა, ირგვლივ თითქო ყველაფერს ნაცრისფერი ბინდი ვადებდა. ახლა მარტოოდენ ის გაეგება, რომ ყოველი სახსარი დასვენებას სთხოვს.

ტახტამდის ძლივს მიადგო. გაუხდელად წამოწვა. სადღაც შორს, ძალიან შორს გაივლიდა ეთერის სახემ, მაგრამ იგი იმდენად ნირშეცვლილი იყო, იმდენად შექჩამქრალი, რომ სამსონმა თვალი მოაჩინა და ქუთუთოები დაშხარა. ქაოსისებური ბურუსი შემოეხვია, — წამსვე მკვდარივით ჩაეძინა.

ფრონტზე მდგომარეობა მარტის დღესავით ცვალებადია. ამ წამს რომ სრული სიმშვიდეა, ისეთი სიმშვიდე, როდესაც გგონია, ირგვლივ ყველაფერი განცხრომას ეძლევაო, ანაზღად იელვებს, იგრაილებს, ცა და დედამიწა ზანზარს დახიწყებს.

მაიორი ალექსი კლდეკარელი სამეთაუროდან ამოვიდა, ტელეფონით გამშული ლაპარაკისა და ყვირილის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა. რაჟის ლამაზი მთების წიაღში იყო ალექსი აღზრდილი და ბუნებასთან თანაზიარობას წმინდა პოეტური გზებით განიცდიდა. შესაძლოა ბუნება ყველაზე მეტად მხედარსა და მონადირეს უყვარდეს. თუმცა ალექსის ორი დარგი ჰქონდა დამთავრებული, ქიმიკოსიც იყო და ინჟინერიც, მაგრამ მასში მხედრის ტემპერამენტი სჭარბობდა.

ხეხილის ბალისკენ გაისეირნა, ჩასული შხის მცხრალ ნათელში მოკამკამე ლავარდს გახედა, ვერცხლისფერ ნამგალივით მოციმციმე ახალ მთვარეს გაუღიმა, მერე არე-მარეს მოავლო თვალი, მწუხრის მონარნარე ბინდში გახეუღს.

რა სიწყნარეა! თითქოს დედამიწას ცისიერის უზარმაზარ ბალიშზე მიუდგია და დაინებებს ამირებსო.

გული ცი სულ სხვას ეუბნება ალექსის: ერთობ მწვავე ბრძოლას მოელას. მაგრამ ახლა არა სურს დიქტოს ამაზე, მკირე ხნით უნდა მოისვენოს, სიამით შეიგრძნოს, რომ ისიც ამ დაუსრულებელი ბუნების განუყოფელი ნაწილია.

თავის გასართობად მოგონებები მიიშველია. ერთ წამს გადაჯეროლა ყრმობისა და სიჭაბუკის დღეებს. შემდეგ კრემლის დარბაზში მდებარე მეტად ძვირფასია ალექსისათვის ეს მოგონება. ფრიალოსანმა მტკიცე ხმით კრემლში იყენენ მიწვეულნი. აქ ისინი სტალინმა იხატულა. ალექსისაც გაესაუბრა. „ვენახავ, როგორ გაამართლებ პირობასო“, — უთხრა ბოლოს. ამის შემდეგ ორი წელიწადი გავიდა. ალექსი კვლავ კრემლში მოხვდა. სტალინი რომ მიუახლოვდა, ალექსი მღელვარებამ იტანა, არ იცოდა, როგორ მოეგონებინა თავისი თავი სტალინისათვის, როგორ ეთქვა, რომ პირობა შეასრულა. მაშინ მოხდა ის, რაც ალექსის არასოდეს არ დააეწიყდებოდა: სტალინმა თვითონ იცნო ღიმილით ჰკითხა:

— კლდეკარელო, პირობაზე როგორა ხარ?

„საკვირველია! — გაივლო გულში ალექსიმ მრავალჯერ ნაფიქრი: — მრავალმილიონიან ერებს წინ მიუძღვის, უზარმაზარ ქვეყანას განაგებს და ერთი ნახვით როგორ დაამახსოვრდა უბრალო სტუდენტის სახე?!“

შესდგა, ახალი მთვარის მკრთალი შუქით ბუნდოვანად განათებულ მთას მიაცქერდა. ამ წამს მთელი სისაყით შეიგრძნო ის დიდი სიხარული, რომელიც დღეს ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრმა, ალექსი საჯაიამ გაუზიარა: სტალინმა ლაერენტი ბერია გამოგზავნაო. ახლა აქ იმყოფება და კავკასიას დაცვის საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობსო.

„ჰო — დაუდასტურა თავის თავს ბრძოლაში წრთობილმა ვაჟკაცმა, — ბელადის მარჯვენა ხელი, ჩვენი ლაერენტი აქ არის, ჩვენთანაა მისი ცხოველყოფელი, დამრახმავი, შთამგონებელი ენერჯი“.

მთას გაჟყურებდა ნათელი ზრწმენით გულანთებული კლდეკარელი, მაგრამ ცის ვუმბათში თავშედგმულ მწვერვალს როდი უმზერდა, თვალწინ სტალინი ედგა. იმის თავისებური სიმშვიდით ათვალეირებს ჩრდილოეთის ზღვიდან შავ ზღვამდის გაშლილ ფრონტს. მტერი სტალინგრადის ქუჩებშია შემოკრიბილი, კავკასიონის კარებსაც გაშმაგებით აწყდება, ის კი, ჩვენი მთავარსარდალი წინასწარ სჭვრეტს მტრის დამარცხების დასაწყისს.

კავკასიონის მწვერვალები მზის ამოსვლას ყველაზე ადრე ეგებებიან. ის კი, ჩვენი სტალინი, კავკასიონზე მაღალია, მისი მარჯვენა ხელაც აქ არის და ის აქედანვე ხედავს სისხლიან დღეებს გადაღმა ამომავალ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ეს რომ გაიფიქრა, გული ისე დაუამდა ალექსის, თითქო ამ წამს კვლავ კრემლის დარბაზში მდგარიყოს და სტალინი უახლოვდებოდეს თავისა მშვიდი, კეთილი ღიმილით.

შეგვრემანი სახე წამოგზნო ალექსის, მთას თვალი მოსწყვიტა და ჩქარი ნაბიჯით გასწვია სადგომისაკენ, რომ ასე ჭარბად ნაფეთქი სიხარული ვისმესთვის გაეზიარებინა.

სამეთაუროსთან შტაბის უფროსი შემოეგება. აჩქარებით მოახსენა:

— დღეს მოყვანილი ტყვეს ჩვენებიდან გამოირკვა, რომ გერმანელები ჩვენს უბანზე დიდი შეტევისათვის ემზადებიან. დიდად მნიშვნელოვანი გზა უნდა გადასჭრან, რომ არმიის ნაწილი მთის უბეში მოამწყვდიონ.

ალექსი შტაბის უფროსს ჩვეულებისამებრ თავდახრილი უსმენდა, მეტად სწრაფად აზროვნობდა, რომ თითოეულ ცნობას ღრმად ჩასწვდომოდა.

— კარგი... ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა ბოლოს და სამეთაუროში ჩაირბინა, ბატალიონების უფროსები გამოიძახა.



სამსონმა თავი ძლივს ასწია. გამოძინება აკლდა. ჩექმებში ფეხები ეწვოდა, წელზე შემორტყმულმა ქამარმაც ახლა შეაწუხა. ამხანაგის ნათქვამი — გერმანელები შემოტყვევას იწყებენო, ჯერ ვერ გაეაზრებინა. იმავე დროს თანდათან უფრო მძაფრად გრძნობდა, რომ რაღაცა არა ჰყოფნიდა, რომ ქაოსივით გარსშემოფენილ ბინდს მიღმა იყო დარჩენილი ის, ვისაც მოუთმენლად ელოდა.

უცებ სადგომში შესულ ბესო გოგოლაძეს შეაცქერდა, მერე შეეკითხა, თითქო რაღაცას იგონებდეს:

— რა მითხარი, ბესო, შენ? ეთერი სად წავიდაო?

— მეღსანბატში გაპყვა დაქრილს. საღამოს უნდა დაბრუნებულყო. არ ვიცი, რატომ დააგვიანდა.

— ჭოო... შალვაც მასთან იყო, არა?

— დიალ.

სამსონს დამცინავემა ღიმილმა შეურხია ტუჩების ცალი კუთხე. წამსვე შებლი შეიკრა, სწრაფად წამოხტა. გრძნობდა, რომ ახლა მისთვის საჭირო იყო მოძრაობა, დიდ რამეზე ფიქრი, თორემ გულს აუტანელი სევდა შემოენთებოდა.

მდინარეს მიაშურა, ჩექმები გაიხადა, ფეხები დაიბანა. შემდეგ ხანგრძლივად ისხამდა პეშევით პირზე წყალს. თან ზშირად იმეორებდა გუნებაში: „ბრძოლა იწყება. ეს კარგია... მომშორდეს, ნულარ მელანდებია...“

სადგომში მებრძოლნი მზად დახვდნენ. მხოლოდ კოლია არა სჩანდა.

— ბარბაქაძე სადაა? — იკითხა სამსონმა და მიხედა, რომ კვლავ ლეღავდა, ეთერი და შალვა გონებიდან ვერ ამოეგდო.

— ახლავე მოვა, — მიუგო დავეითმა. — თუ საჭიროა, წავიდეთ, დაგვეწვიო. ორი წუთიც არ ვასულა, რომ კოლიამ მიიზრინა, სულს ძლივს ითქვამდა.

— სადა ხარ, კაცო? — მკაცრად დაუყვირა სამსონმა.

კოლიამ სამსონის მრისხანე კილო ვერ შეიცნო. მაინც დამნაშავესავით მოკრძალებით თავი დაჰხარა, ცალი თვალით ლაღიმეს გაუღიმა, გულუბრყვილოდ ჩაილაპარაკა:

— სად ვიქნებოდი... საბრძოლველად. ქრისტიანი კაცი ისე რაღა წავა, რომ თითო კიქით არ დაილოცოს. რაღაც იქნა, ეს ერთი ბოთლი ოსური არაყი ვიშოვნე.

— დაიკარგე იქით! — აუწია ხმას ბრახმორეულმა სამსონმა. — ნუ-თუ შენს თავში მაგის მეტი არაფერი არ შედის? რას გავს ეს? გადააგდე ეგ ბოთლი!

ყველანი გაოცდნენ. არასოდეს არ უნახავთ სამსონი ასე გაჯავრებული, მეტადრე ასეთ უბრალო რამეზე. სრულიად არ უხდებოდა მის ვაჭაკურ სახეს ეს უცხო იერი. მისი მიწშიდგელი თვალების შუქიც ამღვრეული მოეჩვენათ.

კოლიამ ბოთლი გადასაგდებად ვერ გაიმეტა, მიტრიალდა, დაიხარა, იატაკზე დადგა, მერე წელში გაიმართა და ხელები ძირს დაუშვა.

ყველანი სდუმდნენ. ამ დუმილმა შეაერთო სამსონი. მიხვდა, რომ კოლიას უმართებულოდ მოექცა. მაინც იმდენი ძალა არ აღმოაჩნდა, რაოდენი უნაყოფილოდ რომელიმე გამოეცხორებინა. მოწყვეტით შებრუნდა ახლად დასრულებული მოხვდა თვალში.

— შენ რა გინდა, ბიჭო, აქ?

— მე... თქვენთან მოვდივარ.

— ეის რაში გამოადგები ეს დაბევილი, თავშეხვეული კაცი? გათენდება და მელსანბატში წადი!

— აჰ, სამსონ, შენი ჭირიმე, ნუ დამტოვებ. მე ახლა არაფერი არ მტკივა. ამ დოღბანდს, თუ გინდა, ახლავე შევიხსნი.

საოცარი: აეთანდრის ხმამ, მისი სახის გამომეტყველებამ სამსონს უცებ თავისი სოფელი მოაგონა. მოეჩვენა, ზითქო ამ წამს ნათესაებისა და მეზობლების თვალები შეკუთრდნენ. ყველას უკვირდა — სამსონი ასე რამ გამოსცვალაო. თვითონაც ვერ იცნო თავისი თავი, ხელი ჩაიქნია.

სანგრებისაყენ რომ გემართნენ, დავითმა კოლიას გადაულაპარაკა:

— უსვინდისო ვიყო, თუ გამეგებოდეს, ამ კაცს რა მოუვიდა?

— რა ვიცი... შენ გვონია, ის ბოთლი იქინე დავტიე, აგერ მაქვს ჩანთაში.

— არა, კაცო, მე მაგაზე კი არ გეუბნები. მე ის მაწუხებს... იცი, რა? იქნება ომში კაცს ხასიათი უცებ ეცვლება? ადამიანის ნერვები ხომ რკინა არ არის? მოიშლება ერთი, რომელიღაც უჯრედი და მორჩა. ვახსენე, არჩილს რომ დასწემდა: გაშტერდებოდა, ვერაფერს ვერ გააგონებდი...

— არა, დავით, აქ სულ სხვაა... სამსონი კათივით ვაქაკია. მე მაქვს ერთი გუმანი, მარა...

— რა?

— ჯერ დაწმუნებული არა ვარ. ცოტა მაცალე და მე არ ვიქნები ამბერკი ბარბაქაძის შვალი, თუ ყველაფერი ხელის გულზე არ დაგილაგო.

ბატლიონი ფრონტის მეტად ვრცელ უბანზე იყო გაშლილი. სამსონის რაზმს კარგა მანძილზე უნდა გაემაგრებინა თავდაცვის ჩლუდე. ეს იყო ოდნავ შემადლებული ბექობი მდინარის მახლობლად. მდინარე ძალიან ფართო და ჩქარი არ იყო, მაგრამ იმდენად ღრმა იყო, რომ თუ კაცმა ცურვა არ იცოდა, ისე შიგ ვერ შეუბდავდა. ხოლო სამსონისა და მისი თანამებრძოლების ზურგს უკან ერთობ დიდი მორევი იყო, რომლის მდორე ტალღები ძნელად ამოსასვლელ კბოლეს ეგრაგნებოდნენ.

სამსონმა სანგრები დაათვალიერა. ზოგან ახალ ადგილზე დააწყებინა თხრა. ყველაზე უფრო მასუხსაგებ ზღუდეზე თვითონ მოთავსდა, ხელმარჯვნივ ირაკლი და კოლია ჩააყენა, ხელმარჯვნივ — დავითი, ლაღიმე და აეთანდრილი. ვაზნები და ხელყუმბარები ბლომად მიაზიდვინა.

კოლიამ რომ ტყვიამფრქვევი მოხერხებულად დადგა და შენიღბა, ცოცხალ არსებასავეთ გამოელაპარაკა:

— ახლა ხომ მაგრა დგახარ? ასე, ვაქაკო, ასე. გენაცვალე სულში ვანანოთ იმ წუნკლებს ჩვენი გივის დაჭრა.

ბექობზე მიწა ქვიანი იყო, ძნელად სათბრელი, მაგრამ სამსონს, გამოცდილ მესანგრეს, ეს არ აბრკოლებდა, მდარაოელსავეთ ხელხვაირიელად მუშაობდა. ხან ერთს წაეხმარებოდა, ხან მეორეს. ბოლოს აეთანდრითან მივიდა.



— მომეცი ძამია, ეგ ბარი. ზომ ხედავ, რომ არ შევიძლია. განა არ სჯობდა, დარჩენილიყავი და დაგესვენებაა?

აეთანდითმა მაჯით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და მერე ისტყა ბოძის ჩაქაპსა ლო ხელი.

— არა... ნუ გეშინია, მოვასწრებ.

— ალი ზევით და წამოწეკი. მოიტა! — უბრძანა სამსონმა და ბარი ხელიდან გამოვლიჯა.

მუშაობაში გაერთო. გაოფლიანდა. გუნებაც დაეწმინდა. მტერთან პირისპირ შებმის მოლოდინმა გაუფანტა შენაღვლიანი ფიქრი. ახლა კვლავ ფოლადივით მტკიცედ ჩამოსხმული, შეუპოვარი მებრძოლი იყო.

აეთანდილი შემჯნარ ბალახზე წამოწევა. თავი მკლავზე დასდო. ახლა იგრძნო დაღლილობა, შვებით ამოისუნთქა. ცას გააჩხედა. უთვალავი ვარსკვლავით განათებული ღამე იყო. ღრუბლის მცირეოდენი ფთილაც კი არსად სჩანდა. ერთხანს გაოგნებულად უშზირა ცის სიღრმეში ზღვის ქვიშასავით ჩახვეებულ ვარსკვლავებს, მერე თანდათან გაამახვილა გონების თვალი და თავის სოფლის ის სერი წარმოესახა, სადაც ბავშვობისას საქონელს მწყემსავდა. აი ასე წამოწეებოდა ხოლმე ფერდობზე და კავკასიონის მოკამკამე მწვერვალებს უცქერდა. ახლაც ისეთმავე სიამეშ დაუამა გული. მაგრამ მალე უცნაური ფარდა დაეშვა თითქო... თავი სარდაფში მოსყუო, მაგიდასთან მჯდომი თვალბოროტი ფაშისტი მოელანდა. შეერთა, იდაყვზე წამოიმართა. დააყურა, როგორ ცვივოდა მის მახლობლად სამსონის მიერ თხრილიდან ამოყრილი ქვიანი მიწა. ღრმად ამოიოხრა. მერე ღიმილი შოერია. აი თურმე რა დიდი რამ ყოფილა სიცოცხლე! აგერ, ამ უსაზღვრო სიერცეს ზომ თვალი ვერ გადასწვდება, ვერც ამ უამრავ ვარსკვლავებს დაითვლას ვინმე. ასე დაუღუველია იგი — სამშობლოს სიყვარულით გაბრწყინებული სიცოცხლე.

ამ აზრმა რომ გაუელევა, ისე მკვირცხლად წამოხტა აეთანდილი, თითქო მზის ბმოსელისას წყაროზე პირი დაებანოს. თხრილში ჩაეშვა, სამსონს მონებია:

— თუ გიყვარდე, სამსონ, ახლა მე მომეცი. ნუ გეშინიან, კლდესავით ვარ.

— კარგი... მხოლოდ იცოდე, ძალონე დაზოგე, ბრძოლის დროს გამოგადგება, — დაარიგა სამსონმა და თავის სანგრისაკენ გასწია.

ერთხანს ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა სანგრის მახლობლად, შემდეგ, ოფლი რომ შეაშრა, თავის სათვალთვალო ადგილას ჩამოჯდა, თვალები დახუჭა. იცოდა, რომ ბრძოლის დაწყების ეამი ახლოვდებოდა. უნდოდა დაესვენა, არაფერზე არ ეფიქრა... ახლა თითქო მთელი ქვეყნიერება სამსონთან ერთად მიყუჩდა, მხოლოდ მდინარე არა ცხრებოდა, უფრო გარკვევით. ისმოდა მისი გაბმული ჩხრიალი.

ფხის ხმა მოესმა. თვალის გახელა დაეზარა.

— აჰ, შენ ხარ, კოლია? მოდი, ძამია, ჩამოჯექი აგერ.

— დიდი ბოდიში, სამსონ, მარა...

— რას ბოდიშობ, შე კაცო? საბოდიშო მე მაქვს შენთან, მაგრამ, ზომ იცი, კაცე ყოველთვის ერთნაირ გუნებაზე არაა. საწყენად არ ჩაგჩჩეს გულში, წიდან რომ ხმას აფუწი.

— რას ბრძანებ? განა არ ვიცი, რომ შენ ჩვენთვის კაის მეტი მათეორი არ გინდა? მე მხოლოდ აგერ...

ამ დროს სანგარს მაიორი გადმოადგა. ორივენი ფეხზე წამოჯდნისათვის  
— იუკეპით, — სთქვა ალექსიმ და სანგარიზი ჩავიდა. სამსონის გვერდით ჩამოჯდა.

— დაჯექი, კოლია, რისი გერიდება?

— გმადლობთ, ამხანაგო ალექსი, მე აგერ... თუ გეიბედება... იქნება ბრძოლის წინ თითო ჭიქა არაყი მიირთვათ.

— ბიჭოს, მაგას რა სჯობია, დაგვისხი!

კოლიამ ფრთხილად გაავსო თავისი ყანწი, ჯერ ალექსის დაალეგინა, შემდეგ სამსონს. ჯიბიდან პური და ყველი ამოიღო, ორივეს გაუნაწილა.

— ერთსაც რომ დაგვისხამდე, არ გვაწყენს, — უთხრა ალექსიმ.

— კი, ბატონო, ახლავ. გენაცვალეთ სულში! ნეტავი ერთი თქვენი თავი ჩემს ოჯახში მომასწრო და...

— კარგი ვაქეცი ხარ, კოლია, კარგი, — გულწრფელად შეაქო ალექსიმ. — მოვითავოთ აგერ ეს ომი და სამაგიეროს ჩემს ოჯახში გადაგიხდი. ხომ იცი, რა დიდებული ღვინო გვაქვს რაჭველებს?

— მშვენიერია, მხოლოდ ჩემისთანა მსმელი კაცისათვის ისევე ჩვენებურს ვარჩევ, — უპასუხა კოლიამ და ყანწი ქამარზე ჩამოიკიდა. შემდეგ ბოდიში მოიხადა და სანგარიდან მკვირცხლად ავიდა.

ალექსი და სამსონი ერთხანს სდუმდნენ. არაყმა მათი გონების მუშაობა იმდენად გაამძაფრა, რომ თავიანთი ნაზრევის ურთიერთისათვის გაზიარება ჯერ ვერ მოეხერხებინათ.

— ჩვენ ახლა ისეთ ზღუდეს ვიცავთ, რომ აქედან ფეხის მოცვლა სიკვდილს უდრის, — ხმაშალა წარმოსთქვა სამსონმა თავისი ფიქრი.

— სწორედ ეგარეა. ეს გზა რომ გადასტრან, არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი ალყაში მოემწყვედვია. ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდის უნდა ვიბრძოლოთ. ერთის წინააღმდეგ რომ ასი მოაწივებს, მაინც არ უნდა შევდრკეთ.

— ეგ აგრე იქნება, მხოლოდ...

— შენ რა, საერთო მდგომარეობა გაფიქრებს, ხომ?

— მებრძოლმა სინამდვილეს თვალს უნდა გაუსწოროს.

— მართალი ხარ... მდგომარეობა მართლაც მეტის-მეტად მძიმეა. მეტერი სტალინგრადის ქუჩებშია შეჭრილი, ვოლგას ებოჭინება... აქაც, ხომ ხედავ, როგორ გვაწებებან. ყველაფერი თითქო ბეწვზე ჰკილია... აბა, ერთის წამათ წარმოიდგინე ცეცხლის ალში გახვეული საქართველო, მთელი ამიერ-კავკასია... მაგრამ ეს შეუძლებელია! შერე იცი, რატომ?.. მოიწი აქეთ... აგრე (ალექსიმ სამსონს ხელი მომხვია და განაგრძო) დღეს ერთობ სასიხარულო ამბავი გავიგე. ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ალექსი საჯაია იყო ჩვენთან, იმან გვითხრა: შელადს ლავრენტი ბერია გამოუგზავნია. ახლა აქ არის.

— არა, მართლა? — წამოიძახა გახარებულმა სამსონმა და ალექსის უფრო მჭიდროდ მიეყრდნო.

— ჰო... ხედავ, სად მოგვაწვდინა სტალინმა თავისი მარჯვენა ხელი? მართალია, ძალიან გვიჭირს, დიდ საფრთხეში ვართ, მაგრამ... როგორ ვითხრა... გაბსოყს, გორიდან რომ დავიძარით და სტალინის სახლის წინ გამოვი-

რეთ, მაშინ ნათლად დაეინახე... გაიხედე, აგერ ცისკრის ვარსკვლავი რომ ამოდის, ასე დაეინახე ის, ჩვენი გზის გამშუქებელი... ამ საღამოს კვლავ უნდა დი ამაზე და აი სწორედ ახლა მინდა გაგიზიარო ჩემი სიხარული... ახლა ცისკრის ვარსკვლავის გასწვრივ ცამლის აწვილ კავკასიონის მწვერვალს? ისინი ყველაზე ადრე ეგებებთან მზის ამოსვლას. ჩვენი ბელადი კი კავკასიონზე მაღალია, ის ყველაზე უწინ ხედავს ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელსაც ამ შიშვე განსაცდელის შემდეგ მოეპოვებთ. გესმის, ის ხედავს, მისი მარჯვენა ხელიც ჩვენთან არის და წინ მიგვიძღვის.

სამსონი ალექსის სახეზე შეაკვირდა. ფრიალ მწვავე ბრძოლის წინ აღუძვრებათ ხოლმე მებრძოლთ ისეთი ძმური სიყვარული, როგორც ახლა სამსონმა იგრძნო ალექსის მიმართ... უსიტყვოდ მოეხვია და მხურვალედ აუცა.

## XVII

## კლდეკარი

ალექსის წასვლის შემდეგ სამსონმა ერთხელ კიდევ ჩამოუარა სანგრებს, ამხანაგებს ლაერენტი ბერიას ჩამოსვლა ახარა. ნათელი რწმენის ნაკადად ჩაიღვარა მებრძოლთა გულში ეს ამბავი. ისეთი მხნეობა და სიმტკიცე იგრძენეს, თითქო თითოეულ მათგანს ყოვლად ძლიერი შამის მზრუნველი ხელი აღერსით შეებზოდეს.

სამსონი თავის ადგილს დაუბრუნდა, ჩამოჯდა, თამბაქო გაახვია. ფრთხილად მოუკიდა. პაპიროსს ხელი შემოაფარა. თავი მიწას მიაყრდნო და მოახლოებულ რიყრაყის მკრთალი შტებით ოდნავ განათებულ მთის უბეს მიაკვირდა.

ალექსისთან საუბარმა თუ გაამძაფრა ასე მისი ფანტაზია. საკვირველი სურათი დაუდგა თვალწინ. თითქო მთის უბე როდია ის, რასაც ახლა სამსონი ხედავს, თითქო უზარმაზარი ციხე-სიმაგრეა იგი.

აგერ ჩუქურთმიანი კამარა, მაღალი ქონგურები. ნელა იღება ვეება კლდეკარი და ზეღმართული დროშებით გამოდიან მკერდმაგარ ბედაურებზე მსხდარი მეომრები, ისრებით, შუბებით, ზმლებით შეიარაღებულნი. ფოლადისფერად ეღვარებენ მათი ჯაგუნები, მუზარადები, ფარები. იქნება ეს თამარის ლაშქარია და წინ ზაქარია მხარგრძელი მიუძღვის, იქნება გიორგი სააკაძის რაზმია, ან იქნებ პატარა კახი მიეშურება კრწანისის ველი-საკენ.

რატომ არიან ასე შორეულნი და თანაც ასე მახლობელნი სიყრმიდანვე შეთვისებული ეს სახეები? ძლევამოსილად გამოდიან კლდეკარიდან. სამსონი შათლამიც ისეთ ცხოველ სიყვარულს გრძნობს, როგორც ამ წამს მის გვერდით მყოფ თანამებრძოლთან... იქნება ის, რასაც სიკვდილი ეწოდება, უბრალო ფიზიკური შიშია და მეტი არაფერი, იქნება მარტოოდენ ის ჰქრება სამუდამოდ, ვინც თავის მშობლიურ ნიადაგს ჰკარგავს ისე, როგორც ფლატედან მომსკდარი, ფესვგამოთხრილი ხე, მდინარისაგან უსაზღვრო ზღვისაკენ გატაცებული. ესენი კი, ეს მწუბოვარი რაინდები, აგერ მთის უბიდან რომ გამოდიან ზეღმართული დროშებით, მანამდის იცოცხლებენ, სანამ მათი მამული იარსებებს...



ამ ფიქრმა არა მარტო დაამშვიდა სამსონი, არამედ დიდ სიხარულიც აღუძრა. ამიტომ ქვეშეხებმა რომ იელვეს და მაღალკამარენი კედლები თვალს მიეფარა, იგი არ შეეკრთა, აუჩქარებლად წამოიმართა და მიიწვირა დასაძახა:

— აბა, ვეფხვებო, დაიწყო. მოემზადენით!

ელვას ელევა მოჰყვა. მზარავად აშრიალდა ნაფლეთებად ქცეული სივრცე და უმაღლე იქექა, ივრიალა.

პირველი ყუმბარები ზურგს უკან, კარგა მოშორებით დაეცნენ. შემდეგ თანდათან მოახლოვდნენ. განსაკუთრებით ის ადგილი გადათხარეს, სადაც წინათ ჰქონდათ სანგრები.

„რა კარგი ვქენი, აქეთ რომ გადმოვინაცვლე, — გაიფიქრა სამსონმა. — ახლა მობრძანდნენ, კარგ ამბავს წაიღებენ“.

ზარბაზნების ქუხილი მთელ საათს გაგრძელდა. რამდენიმე ყუმბარა ზედ სანგრებთან დაეცა, ლაღიმეს და დაეითს მიწა გადააყარა. არ დაშავებულან, მალე ისევ მზად იყვნენ ბრძოლისათვის.

უცებ უკანასკნელი ყუმბარის გრუხუნის შორს, მთების უბეში დაინთქა; ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, თითქო, მთელი ეს ნაგრიგალევი გარემო ამ წამს იშვა და გარინდებული შეჰყურებს ქვეყნიერებასო.

სამსონმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ სექტემბრის დამტკბარი დღე გათენებულაიყო. გარსშემოფენილი კვალი თისფერი ნისლივით დნებოდა სივრცეში და წინ გამლილ ჭალას ჩრდილნარევი ნათელი ეფინებოდა.

„ახლა საცაა დაიძვრებიან“, — იმეორებდა სამსონი და ყანების კიდეს თვალს არ აშორებდა. წინ მდებარე ჭალა რომ აქა-იქ ყუმბარებისაგან ამოთხრილი არ ყოფილიყო, ისეთი ელფერიით იყო მოსილი, თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს. აი მდინარეც ჩვეულებრივად ჩხრიალებს, მაღალი ბალახი და ბურქები მზის სხივებში ბზინავენ, ხოლო ფოთლებ-შემსმარი სიმინდის ყანა ჩალისფრად ბიბინებს.

სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა ეს დუმილი. ანაზღად მარჯვენა ფრთაზე, კარგა მოშორებით, ჭახა-ჭუხი გაისმა. მალე გახშორდა სროლა. თავთავიანთ კილოზე აღიმადლეს ზმა ნალმსატყორცებმა, ტყვიამფრქვევებმა, ავტომატებმა.

სამსონი თავის უბანს თვალს არ აშორებდა. გული უფრო და უფრო გამალებით უცემდა. ბევრ რაიმეს შეეჩვია, მხოლოდ ეს მოლოდინი, როცა არ იცოდა, რა ძალა შოდიოდა, რამდენს უნდა შებმოდა, მეტის-მეტად აღელვებდა. მებრძოლნი დარიგებული ჰყავდა: ვიდრე არ განიშნებთ, სროლა არ დაიწყოთო, არც ერთი ტყვია უმიზნოდ არ დახარჯოთო. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ აქ მეტად მწვავე ბრძოლა გაჩაღდებოდა და დიდხანსაც გასტანდა.

— რაღას უცდიან? მოვიდნენ, თუ დედლები არ არიან!

ეს ირაკლი იყო. ხანგრძლივი სიჩუმე ვერ აიტანა. ვაზნებით საესე დინკოები ერთხელ კიდევ მოხერხებულად დაალაგა, მერე ავტომატი მოიმარჯვა, სამიზნეს გაჰხედა.

კოლიას ტყვიამფრქვევზე მეორე ნომრად ოცი წლის ჭაბუკი მყავდა, ვარდენ სიხარულიძე. საოცრად ლამაზი სახე ჰქონდა ვარდენს. მისი დიდრონი, სათნო თვალები ყველას ნდობით შეჰყურებდნენ, ხოლო მისი გულ-

უბრყვილო ღიმილი, მთელი მისი ნაზი ელფერი მოწმობდა, რომ ჯერ ცხოვრებაში საკმაოდ გამობრძმედილი არ იყო.

კოლიას არ გამოეპარა, ვარდენი რომ მეტის-მეტმა მღელვარებამ ხელი მოჰხვია, მიუალერსა:

— წინ ნუ იცქირები, ჩაჯექი, მე მიყურე. სროლის დროს ღმერთი არ გაგიწყურეს, თავი არ ასწიო. ხვრ ნახავ რა დღეს დავაყრიო მაგ წუნკლებს... ერთს კიდევ დავალუქინებდი, მარა ეაი თუ მეტი მოგივიდეს.

დავითი გაოგნებულებით მისწოლოდა სანჯრის კიდეს. არაფერზე ფიქრი არა სურდა. თვალმოუწყვეტლად გაყურებდა წინ გაშლილ არეს და მთელი არსებით გრძნობდა მწვავე ბრძოლის მოახლოებას.

ლადიმე გიორგაძე ამ დილით ისე აღტაცებული იყო, თითქო მთელი ქვეყნიერება თავის თავში მოეთავსებინოს. იქნება ეს კოლიამ რომ არაყი დაალეენა, იმისი ბრალი იყო. თუმცა არა, ბავშვობიდანვე ენატრებოდა ლადიმეს საგმირო საქმე. ცხრაასშვიდში ხუთი წლისა იყო. მამა მისი ნესტორი დევნილი იყო, წითელრაზმელი. სადღაც სურების ტყეში იმალებოდა. ლანდივით ასსოვს ლადიმეს, მამა რომ შინ მიიპარებოდა. ყველაზე მეტად მამის გულმკერდზე მობრძყვიალე ვაზნები ჩარჩა ხსოვნაში. შემდეგ, ნესტორი ბაქოში დაიჭირეს. კატორღაში მოკვდა. ლადიმეს დედა ახლაც ცოცხალი ჰყავს. ჰო-და, მისი ჩუმი ცრემლები, მისი მწუხარე სახე მუდამ იმას უნერგავდა ლადიმეს გულში, რომ მტარვალეზე შური ეძია. ამიტომ მოსწონს ამ წამს თავი, ამიტომ მოელის ასე უშიშრად მოსისხლე მტერს.

ავთანდილმა რამდენჯერმე მოუცვალა ადგილი შაშხანას. ძალიან ცდილობს, მაგრამ მღელვარება ვერ დასძლია. მართალია, ცოტათი დასუსტებულია, ხანდახან თავის ტკვილიც გაჰყრავს, მაგრამ ამან ბრძოლაში ხელი არ უნდა შემოშალოსო, უტუნება თავის თავს. პირიქით, ახლა უნდა დაუმტკიცოს აშანაგებს, რომ მხდალი არაა. მაშინ გამოუტყელი იყო და იმიტომ ჩაეარდა. რაღას აგვიანებენ? მარჯვენა ფრთაზე უკვე ცხარე ბრძოლაა. იქ თუ უკუაგდეს, იქნება აქ ვერც მოხედონ... ვითომ? ეს რაა?... ხედავ, სიმინდებში მოძურებიან. აგერ გამოჩნდნენ, მწყობრად მოემართებიან.

ავთანდილს გაუგონია ფსიქიური იერიში, თვლით კი მხოლოდ კინოში უნახავს. ეს მაინც სულ სხვია, წარმოუდგენელი. რა თავხედურად მოაბიჯებენ... რამდენნი არიან! ამათ რა დაუდგება?

მოდინ. ახლოვდებიან.

ავთანდილი გარკვევით ხედავს მათ სახეებს, მაგრამ რატომღაც ჰგონია, რომ ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან, ერთნაირად გამოიყურებიან...

ჰო, ეს ის არის, თვალბორბოტი ობერ-ლეიტენანტი, იმ საღამოს რომ იჯდა მაგიდასთან, მზაკვრულ ქსელს აბამდა და ავთანდილს გველივით სულში უძერვებოდა, საზიზღრად ასანსალებდა შხამიან ენას...

„კარგი, მობრძანდი, გიტირებ დედას!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა და შეატყო, რომ დაშეიღდა. ხელების თრთოლეა დაუცხრა, შაშხანა მტკიცედ გამართა, მოწინავე ფაშისტის მიზანში ამოიღო.

სასხლეტს რომ თითი გამოჰყრა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა სამსონის ბრძანება, უჩემოდ არ გაისროლოთო. მაგრამ იმავე დროს იმასაც მოჰყრა თვალი, თუ როგორ ჩაემზო მის მიერ მიზანში ამოღებული გერმანელი, და აღფრთოვანდა, მეორედ მიზანში ამოუღებლად გაისროლა.

სამსონს მთელი სხეული დაძაბული ჰქონდა, ტუჩები — მოკუმული. მკეტული თვალებით ზომავდა მანძილს, უნდოდა უფრო ახლოს მიეჭმუნებინა, რომ ზუსტად მცელავი სროლით მუსრი გაეგლო, მაგრამ ვახტანგის ეწყობოდა, ძალაუნებურად დასტეკა თავისი მძლავრი ხმით:

— ცეცხლი!

კოლიამ ტყვიამფრქვევის გასროლა მხოლოდ ოციოდჯერ მოასწრო, გერმანელები მიწას გაეკვრნენ.

— აჰა, იკადრეთ ხომ! — ჩაილაპარაკა კოლიამ. — ეგ რაა, მთლად ჩაგაწვენთ მიწაში!.. რაეა ხარ, ვარდენ? ნუ გეშინია, ძამია, შენ მე მიყურე, მაგენის ხეირს ვიჩვენებ...

რადაც კიდევ სთქვა კოლიამ, მაგრამ ვარდენს არ გაუგონია, რადგან გერმანელებმა სროლა მეტისმეტად გააძლიერეს, ტყვიების ზულიმა ყურთასმენა წაიღო. ზშირად სულ ახლოს, თითქმის ყურის ძირთან თხრიდა მიწას ტყვია, ან ქეას მოხვდებოდა და ნამსხვრეეები ნაბერწყლებივით ირგვლივ იფრქვეოდნენ.

გერმანელებმა ერთხელ კიდევ სცადეს იერიშზე გადმოსვლა. ჯერ ხოხვით წამოიწიეს, მერე წამოიშართნენ და ყიეინითა და გაბმული სროლით დაიძრნენ, მაგრამ ისეთ ცეცხლს წააწყდნენ, იმდენი დაჭრილი და მოკლული დაეცა, რომ მაშინვე ჩაწვნენ და უკან დახევა იწყეს.

ირაკლიმ დრო იხელთა: თითო-თითოდ იღებდა მიზანში. არა ჩქარობდა. ყოველი გასროლის შედეგს აკვირდებოდა. ჯერ მხოლოდ ერთი დააცილა. ესეც, ალბათ, მიტომ, რომ თვითმფრინავის ხმა გაიგონა და უნებლიედ გულისყური მასზე გადაიტანა. ამდროს გერმანელები სიშინდებს უახლოვდებოდნენ, საკმაოდ შორს იყვნენ. ირაკლიმ სამიზნეს გაახედა, თან გულში გაივლო: „ვერ წამიხვალ, შე წუნკალი!“ „აჰა, ესლა როგორ გუნებაზედა ხარ?“ — უხმოდ გასძახა ირაკლიმ წაქცეულ ფაშისტს და დინჯად შეუდგა ყანის პირამდის მიღწეული გერმანელის მიზანში ამოღებას.

იერიში მოგერიებული იყო, მაგრამ სამსონმა იცოდა, რომ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდებოდა. ამას მტრის თვითმფრინავის გამოჩენაც მოწმობდა. ჯერ ძალიან შალლა დაფრინავდა იგი, ბრძოლის ველს ათვლიერებდა.

ფრთხილად გახობდა სამსონი. ბიჭებს ჩამოუარა. ერთხელ კიდევ სათითაოდ დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ჰაერიდან თავდასხმის შემთხვევაში.

ავთანდილთან რომ მივიდა, იგი სავესებით შეცვლილი ეჩვენა: თავი შეხვეული აღარა ჰქონდა, ლოყები გასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა.

— სამსონ, ძამია... იცი... მე ის მოკვალი! — სანჯარში ჩასვლისთანავე მიაცხა სამსონს.

— ვინ მოკალი, ბიჭო? — კუმტად შეეკითხა სამსონი.

— ეინა და, აი ის საზიზღარი თბერი, ადამიანის სულის-მწოველი... მოიცა, სამსონ, თუ ხათრი გაქვს... ამაზე მე ახლა ვფიქრობდი... მაგენი სწორედ სულისმწოველები არიან. სისხლი რაა, დაიკლება კაცი სისხლისაგან და მოკვდება. მაგათ კი უნდათ ადამიანის სული გამოსწოვონ, აზრი წაართვან, თავის მონად აქციონ... გესმის, რა არის ეს? მე ეს მაშინ გავიგე, როცა მაგათ ხელში ჩავევარდი. ახლა კი... აჰა, ერთი კიდევ მობრძანდენ!

— კმარა, ასე უნდა გეჭიროს თავი უფროსის წინაშე? — მკაცრად შესძახა სამსონმა.

ავთანდილს იმდენად აღტაცებული იყო, რომ სრულებით ვერ გააგო, თუ რამ გააგებრა სამსონი. სახტად დარჩა. უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ ვერ შეებოდა.

— მე...

— შენ, პო! იცი ვინა ხარ? — კვლავ შეუტია სამსონმა.

— წითელარმიელი...

— მერე? წითელარმიელს დისცაპლინა ზომ უნდა ესმოდეს? ბრძანების შესრულება ხომ უნდა იცოდეს?

— დიალ...

— მერე და, რა დაგეაღე მე? ხომ გითხარი, უჩემოდ სროლა არ დაიწყებოდა?

— პოო... სამსონ, შენი ჭირიმე, ეს ერთი მაპატიე, და თუ კიდევ გავიმეორებ, რაც გინდა ეს მიყავი.

სამსონმა ავთანდილს ერთხელ კიდევ ახედ-დახედა, მიხედა, რომ ახლა იგი უნაპური ექსტაზით იყო შეპყრობილი. იქნება ნორმალურად არც-კი აზროვნობდა. გაუღიმა, ბავშვსავით მიეფერა:

— კარგი, მიპატიებია... მოიწი აქეთ. ეს რაა, სახვეცი რომ გადაგვდია? თავზე იარა გახსნილი გაქვს, მტვერი ჩაგიცვივა და სისხლი მოგეწამლება. შენხელა კაცმა თავის მოვლა არ უნდა იცოდეს? დასწი თავი, შეგიხვევ.

— ნუ სწუხდები, სამსონ. მე მოგიკვდე, თუ მტკიოდეს.

— მე რომ გეუბნები, დამიჯერე, მაცალე. უნდა ვიჩქაროთ. ახლა შეიძლება თვითმფრინავებიდან დაგვყაარონ ყუმბარები. შენ აი ამ გამოთხრილში შეწევი, არ გაინძრე. თვითმფრინავები რომ წაველენ, მერე მოემზადე, ნუ აჩქარდები. ხომ გესმის?

— მესმის... როგორ მიდიოდენი იცი, რას ჰკავს? ერთხელ კოკისპირული წვიმა მოვიდა, შენ მაშინ თბილისში იყავი. უცებ ჩვენი ქელიდან ნიაღვარი დაეშვა. რა დაუდგებოდა წინ? პირველად ასეთი ნიაღვარი გადმოსკდა მუგონა, მაგნი რომ წამოვიდენ. მარა მერე, ის პირდალი რომ დავამხე...

— კარგი, გეყოფა, დამშვიდდი, — შეაჩერა სამსონმა. — ეს აღარ შეიხსნა. ჩემს ბრძანებას უტადე.

ათიოდე წუთიც არ გასულა, რომ ცას სიღრმიდან ქორის ოდენა თვითმფრინავი დაეშვა, შემზარავი შხელითა და სტეენით გაკვეთა სიერცე და ზედ სანერების თავზე ვაჭართა გეზი. ტყვიამფრქვევი აამუშავა, არე ტყვიებით დატბრილა. სწრაფად შეკრა კამარა, შებრუნდა და ყუმბარები გადმოყარა.

სულ მცირე ხნის შემდეგ ნაღმსატყორცებშიც გააჩაღეს ცეცხლი. მალე შორსსროლელმა ქვემეხებმა ივრიალეს. მთელი საათის განმავლობაში ცასა და დედამიწას ზანზარი გაჰქონდა.

ხერელებში შემალულ მებრძოლთაგან არც ერთი არ დაჭრილა. ზოგს მიწა გადაეყარა. ზოგი რამდენიმე წამს დაყრუებული იყო, ზოგი ნაღმის ნამსხვრევმა გააქარა, მაგრამ როცა ქვეაქუხილია გადაიარა და იერიშის განახლების დრომ მოაწია, ყველანი თავის ადგილზე იყვნენ, ყველას იარაღი მომხარჯებული ჰქონდა.

ბრძოლა მთელ ფრონტზე გრძელდებოდა. მარჯვენა ფრთაზე მაიორ მიხეილ ოდიშელის არტილერიისტები ზუსტად ცეცხლით ვზას ულობავდნენ მტრის ტანებსა და მოიერიშე ბატალიონებს. აქ-კი, სადაც სამსონის მცირე რაზმს

თავდაცვის ზღუდე ეჭირა, რატომღაც საქმე ისე მოეწყო, რომ სასურაოდ დახმარების მიღება მოსალოდნელი აღარ იყო, არც ჩვენი არტისტობით. ცუდი სწევდებოდა. ისევ თვითონ უნდა გამკლავებოდნენ მტრის ერთი-ათად მარბ ძალას, რადგან ეს ეიწრო ზღუდე რომ გაერღვიოთ, გერმანელები სოლოვიო შეიჭრებოდნენ ჩვენს განლაგებაში და არა თუ დაიბრუნებდნენ წინა დღეებში დაკარგულს, არამედ სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან გზას გადასჭრდნენ და ჩვენი მებრძოლების საგრძნობ ნაწილს მთის უბეში შეამწყვდევენ. აღეცსიმ მეორედ შეუთვალა მეკავშირის პირით სამსონს რამენაირად გამაგრდი, ფეხი არ მოიცვალო.

სამსონმა ბრძოლის ველს თვალი მოავლო. გერმანელებს დაჭრილების გაყვანა მოესწროთ, მხოლოდ რამდენიმე მკვდარი დარჩენიდათ. სანგრების მახლობლად ნაღმებისაგან მიწა გადათხრილი იყო.

„საკვირველია, როგორ გადაერჩით, — გააფიქრა სამსონმა: — ბედი გეჭონია... ერთი სულ ახლოს უნდა მოუშვა. ჯერ ხელუშმაბარები, მერე“...

— ჰეი, ვეფხვებო, ჩემს ბრძანებას უცადეთ! სულ ახლოს უნდა მოცუშვათ. ჯერ ხელუშმაბარები, მერე ცეცხლი! ხომ გესმით?

— არის. ჯერ ხელუშმაბარები, მერე ცეცხლი, — გამოეხმაურნენ სანგრებიდან.

— გენაცვალე სულში! მეც მიგი მინდოდა, — გაიძმა ბოლოს.

ეს კოლია იყო. ტყვიამურქვევი კვლავ გაშენილი და გამართული ჰქონდა.

გერმანელებმა იერიში განაახლეს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გრივალისებური ცეცხლის შემდეგ სანგრებში ეოცხალი თითქმის არაფერი დარჩებოდა. გაბედულად დაიძრნენ გაბმული სროლით და ყიყინით. წინანდელ მიჯნას რომ გადმოსცდნენ, უფრო გათამამდნენ, იფიქრეს — ახლა წინ აღარაფერი დაგვიდგებაო.

ავთანდილს თვალები გაუგანეირდა. გრანატი ხელში მზად ჰქვს, თვითონაც ჩაბმახივით შემართულა, აეტრიატურად იმურობს: „მოიცა... სამსონი დაიძახებს“... თან შემადრწუნებელი სიტყვებით ხედავს, რომ ესენი, ასე ახლოს რომ მოვიდნენ, ყველანი იმ სულისმწოველ ობერსა ჰგვანან... გაეოცებულა... რამდენია!

ამდენად მონუსხული იყო ამ გაერთახიანებული ფაშისტების ბეჭობთან მიახლოვებით, რომ სამსონის ბრძანება ძლიერ გაიგონა. წამსვე მოიქნა გრანატი. სული მოითქვა. მეორე მოიმარჯვა. გარკვევით დაინახა, რომ იქვე, მის თვალწინ, ეცემოდნენ მოკლულნი. აღფრთოვანდა, მაღლა აღიშართა, გრანატი გადაიშროლა. ცერზე შედგა, რომ უფრო გარკვევით დაენახებ მტრების დაცხრილული გვაგები. ამ დროს მოხვდა ტყვია მარჯვენა მკლავის ძირში. შეტორტმანდა. ტყვიალი კი სრულიად არ უგრძვნია, მხოლოდ მთელ ტანზე შინავანი უზნებისაგან გაღვივებული აღმური შემოენთო და როცა ჩაიკეცა, მოეჩვენა, თითქო თვითონ კი არ ეცემოდა, ის სულისმწოველი ობერა დაუნარცხა მიწაზე, — ავთანდილის ყუმბარამ შეუხვრია გულმკერდი და ამიერიდან ვერასოდეს ველარ ადგება.

ყოლია ტყვიამურქვევიდან ჯერს ჯერზე აყრიდა. თვალით უკვე დაინახა, რომ იერიში მოგერიებული იყო, მაგრამ გული ვერ დაიძრო, უნდოდა ისევ და ისევ ეცელნა მტრის მოძალეებული გუნდები. ბოლოს, როგორც იყო, შეუშვა ცერი ღილს და ბრძოლის ასპარეზს ცალი თვალით გადახედა.

ბეჭობზე ამოსასულელთან მოკლულნი ფეხრენ. შოლოდ აქა-იქ თუ შოლოდ-ხეოდნენ მომაკვდავნი და მძიმედ დაჭრილნი. დანარჩენები უკვე სივნიდებს მიეფარნენ, თავს უშველეს.

— პატ, თქვე წუნკლებო, აბა როგორ გვეგონათ! — ჩაილაპარაკა კოლონამ. სამსონმა ფრონტის სხვა უბნებზე მიმდინარე ბრძოლის ხმაურს შიშველი უკრა.

„არ მოგვეშვებინ, იერიშს გაიმეორებენ... ახლა უფრო მეტ ძალას მოგვაყრიან“, — გაივლო გუნებაში და მტერთან შებმის ახალ ხერხზე შექდდა ფიქს.

შესაძლოა ეს მარტოოდენ ღრმად ჩაფიქრება როდი იყო, აუცილებელა შესვენებაც იყო, თორემ გული როგორ არ უფრანობდა, რომ იქვე ახლოს, ბორცვზე, ეთერი ამოხოხდა, ნიკაპი მკლავს დააყრდნო, ანთებული თვალებით მაიკტყდა.

— სამსონ!

სამსონს ერთნატელმა დაუარა. მიმოიხედა. ეს... ნუ-თუ ეთერია? აჰ, არა, ეჩვენება ისევე, როგორც ამ დილით ძველი ცხე-სიმაგრის ღია კლდეკარს ხედავდა. მაგრამ ეს თვალები, ეს სულზე უტკბესი თვალები...

— მოდი, ჩემო სიცოცხლე... გელოდი, სულ გელოდი.

ეს სიტყვები სამსონს არ წარმოუთქვამს, შოლოდ ტუჩები შეარბია. ეთერი მაინც მიუხედა, სწრაფად გაცურდა სანგრისაკენ.

რამდენ რამზე შეიძლება იფიქროს კაცმა რაღაც ორიოდ წუთის განმავლობაში!

ვიდრე ეთერი სანგრის პირამდის მიღწევდა, სამსონი ჯერ უზომო ნეტარებამ შეიძყრა: აგერ მოდის ის, ვისაც ყოველ წამს ნატრობდა, ვინც ჩაუჭრობელი ნათელივით ენთო მის სულში და სიყვარულის მაღლით დამტკბარი სიცოცხლის გზას უშუქებდა, ვინც ბრძოლის ხალისს უორკეცებდა... მერე უცებ შალვა გაახსენდა, გუშინდელი დარდი განუახლდა... „მე ცეცხლში ვარ, ესენი კი“... შუბლი შეიკრა, ბრახი მოერია. მაგრამ უმალვე მიახლოვებული ეთერის ღიმილმა, ანკარა წყაროსავით სუფთა ღიმილმა აუჩქოლა გული. მოსაგებებლად გაიწია.

ამ დროს საღდაც ქვემეხმა იგრიალა და სამსონი უცებ შედგა. „შესაძლებელია ამ წამს ჩვენ დაგვიშინონ ყუმბარები“. ამ ფიქრმა ყველაფერი დაჟარა, ანაზღად მოზღვაებული სიხარულიცა და შეწნაღელიანი გვიც.

და ეთერი რომ სანგრის პირთან მიხოხდა, სამსონმა გაწვილილი ხელები დაუშვა, სახეზე რისხვა აღებუჭდა, მკაცრი ხმით უყვირა:

— რა გინდოდა აქ? ვინ დავავალა? გასწი, გამეცალე შილი! საღდაცა ბრძოლა განახლდება. შენ მოგვიარო, თუ საქმეს მივხედა?

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გამოარკვია ვაოგნებული ეთერი. მიხვდა, რომ სამსონი მასზე ზრუნვამ გაარისხა. ამან უფრო გაუმძაფრა სურვილი — მისუღიყო გულში ჩაეყრა, მაგრამ როდესაც სამსონმა კიდევ უფრო მკაცრად შეუტია, ეთერს ტუჩები აუთართოლდა, თვალები ცრემლებით აევსო, მავედრებელი ხმით უთხრა:

— სამსონ, შემოგველე, ერთი წამი მადროვე. ხელს არ შეგიშლი.

ეს უკვე სამსონის ძალღონეს აღემატებოდა. მიხვდა: ბეწვის ოდენაც რომ დაეთმო, სანთელივით დადნებოდა, ეთერს აიტაცებდა, ჩაიხუტებდა, ყველა-

ფერი დააფიქვდებოდა, — ომიც, მოთვალთვალე თანამებრძოლიც, სამედის-  
წერო საფრთხეც. ამიტომ ხმაში უფრო მეტი რისხვა ჩააქსოვდა.

— რა ვითხარი? გასწი, გამეცალე, ახლავე! გესმის, აქ მგ. მტერი ჩვენია და  
ვძობდნებ!

ეთერი გამეშდა. სამსონის შეუვალმა შროსხანებამ ენა ჩაუვლო. მაგრამ თვა-  
ლის დახამხამებაზე უშუვავესი სიყვარულის სახმილი შემოენთო: აგერ, მის  
თვალწინ დგას ეს ძლიერი, შეუდრეკელი ვაჟკაცი, მისი სუნთქვაც კი ესმის.  
ეთერის სიცოცხლის აზრი და ბედნიერება მის თვალებში გამოსჭვივის. ეთერს  
კი არ ძალუძს მიეახლოს, ხელი მოხვიოს.

მეტის-მეტად გამძაფრდა წამიერი დუმილი. შესაძლოა კიდევ რამდენიმე  
ამოსუნთქვა და ორთავენი ადგილიდან მოსწყდებოდნენ, ურთიერთს ჩაეკო-  
ნებოდნენ, მაგრამ ამ დროს კვნესა მოესმათ. ხელმარცხნივ მიიხედეს.

ეთერი გამოერკვა, მღელვარე ხმით უთხრა სამსონს:

— იქ დაჭრილია, ფავეყან. მხოლოდ შენ... მე რას მიფრთხილდები? ვინ  
არ იცი, რომ უშენოდ ჩემს სიცოცხლეს არავითარი აზრი არ ექნება?

„ავთანდილი დაჭრილა“, — გაიფიქრა სამსონმა და ეთერს თვალი გააყოლა.  
მერე უცებ შეჩქვივდა, თითქო წყაროს ცივი შეხვეტი შემოესხურაო, ყოველ  
წამს მოსალოდნელ ბრძოლაზე ზრუნვამ შეიპყრო. ერთ ნაბიჯსაც არ მოიცი-  
ვლის, აუცილებლად გაიმარჯვებს. მტერი გაათყვებული ძალით მოაწეება?  
არაფერია, გაუძლებს. მხოლოდ ახლა მებრძოლთა გადაჯგუფებაა საჭირო.  
ავთანდილის ადგილას სხვა უნდა ჩააყენოს, კოლიის პოზიციით უნდა გამოაც-  
ვლეინოს...

ეთერმა სულთმოპობავე ავთანდილს ჭრილობა სწრაფად შეუხვია, სანგრი-  
დან ფრთხილად ამოიყვანა. კარგა მანი მოუნდა, ვიდრე სამშვიდობოზე გააღ-  
წევენ.

სამსონმა ამ დროისთვის სანგრებს ჩამოუარა, თავისი მცირეხრიცხოვანი ძალა  
მოხერხებულად გაანაწილა.

ბოლოს თავის ადგილას ჩაჯდა, შესასვენებლად თავი მიწას მიაყრდნო,  
მღინარისაკენ გაიხედა. აგერ ახლა იყო იქ ეთერი, ლანდევით მოპკრა თვალი,  
კბოდეს რომ მიეფარა... კარგა, საფრთხე არ მოელის...

ამ ფიქრმა გული დაუამა, თვალი მთის უბეს მიაპყრო.

შუადღე ახლოვდებოდა. ევება ტაძრის გუმბათივით კამკამებდა მყინვარი  
კრიალა ცისიერში, ხოლო მთის უბის ორივე მხარეს პიტალო კლდეებს სძი-  
ლოს ძელის-ფერი ნისლი ჩუქურთმიან კამარასავით გადაღვმოდა. ახლა სამ-  
სონს უფრო ნათლად მოეჩვენა თვალუწვდნელი დარბაზის ღია კლდეკარი-  
ამ დიდებულ დარბაზს — უთვალავ გმირთა სივანეს და მძლეთა-მძლე კლდე-  
კარს — შარად უჭკნობი ელფერი ამკობს.

და ამ წამს სამსონი იქ მხოლოდ ძველ სახელოვან ადამიანებს როდეს ხე-  
დავს: აგერ თავისი თანამებრძოლიც — ალექსი და შალვა, დავითი და ლადი-  
მე, კოლია და ირაკლი, ავთანდილ და ვიცი ჯიქია... აგერ ეთერი... ესენიც  
ბევრნი არიან... მხოლოდ რატომ ჰკონია სამსონს, რომ ესენი უფრო პატარები  
არიან, ვიდრე წინანდელი გმირები? „ახლათ, დრო არის საჭირო, — გაივლო  
გულში სამსონმა: — გაივლოს დრო და ესენიც გაიზრდებიან, ამათი სახეების  
შუქიც დაამშვენებს მარადისობის წინაშე პირნათლად აღმართულ კლდე-  
კარს“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## გმირი მეზობლებთან

ოჭროს ბალი შეჰხარის მზეს,  
ბზინავს ნარინჯების ველი,  
სტუმრადა ჰყავს კოლექტივს დღეს  
გმირი — მათი მეზობელი.

მეზობლების წრეში ჩამჯდარს,  
საამბობი გმირს აქვს ბევრი.  
ჰყვება ფრონტის დარს და ავდარს,  
იწყებს ამბავს სიტყვა მკვევრი:

— „მთვარე გვიან ამოსული,  
ანათებდა მზისა დარათ,  
ცა მოსჩანდა აქარგული,  
ვარსკვლავები ასხდნენ ჯარათ.

გვერებოდა შუქი გულში  
გადაშლილ ზღვას ნაკაშკაშებს,  
ხშირ ტალღების ტლაშა-ტლუში  
საცეკვაოს ჰგავდა ტაშებს.

უნახესი იყო ქნარზე  
ხის ფოთოლთა შარი-შური;  
თითქოს გაჰქრა ქვეყანაზე  
ბოროტება, მტრობა, შური,

მაგრამ ვერაგ მტრის თარეშებს  
დაგვავიწყებს განა მთვარე?!  
იმედები გვანუგეშებს  
გაიმარჯვებს ჩვენი მხარე...

ჩვენ ტამანთან ჩასაფრულებს  
გულზე გვაწვა სევდა, დარდი,  
ვიგონებდით დაკარგულებს,  
ჩვენ გვახსოვდა მტრის ნავარდი.

ჩვენ ძიებდა გესურდა შურის,  
არ გვინდოდა მეტი თმენა...  
ამ დროს გვესმა მეთაურის  
ხმა ნაცნობი, მტკიცე:  
— „სმენა!





ღღეს ბრძანება მოგვივიდა —  
 ვეალებო ჩვენს ასეულს  
 მტრის გარეკა იმ კონცხიდან  
 საღ კლდეს ხედავთ ჩამონგრეულს.

ქართველებო, თქვენ ხომ იცით,  
 ჩვენ აქ ვიცავთ სახელს ერის?!  
 ძმებო, ჩვენ ხომ დავდეთ ფიცი,  
 მუდამ ვიყოთ რისხვა მტერის.

აწ ვაკმართ გარეწართა  
 ჩვენი მიწა რაცა სთელეს,  
 მცვევით ანდერძს წინაპართა  
 მამული რომ ასახვლეს!..“

ღიღის ექვსზე მოხდა შებმა,  
 გადავედით შეტევაზე,  
 სკეპტეს ჩვენმა ზარბაზნებმა,  
 ჩვენც შევაწყვეთ ხმა მათ ხმაზე.

კარგად სჩანდა დარტყმის ძალა,  
 თავი ვეღარ შეიმაგრეს.  
 ვინაც შესძლო გაეცალა,  
 შორდებოდნენ წინა სანგრებს.

— „მივდიოთ მტერს!“ — ხმა ფიცხელი  
 გვესმა ჩვენი ოფიცერის,  
 მაგრამ წამს, ვით მონაცელი  
 იმ ჩაპყეცა ტყვიამ მტერის.

მის ადგილას სწრაფ დავდექი  
 და განვაგრძე სიტყვა მისი:  
 — „მივდიოთ მტერს! რისხვის ჭექით!  
 ნუ შეგვაკრობს დანაკლისი!..“

გაფთრებულ ბრძოლის შემდეგ,  
 დავიბუარით კონცხი როცა,  
 ჩვენ მებრძოლთა ვაეკაცობამ  
 მნახველები გააოცა.

იმ ბრძოლისთვის მომანიჭეს,  
 მეზობლებო, მე ვარსკვლავი...  
 ეჰ!.. დიდება იმ კარგ ბიჭებს,  
 რომელთაც იქ დასდეს თავი!“

## მეორე ხსოვნა

ომში დაღუპულ მეგობარ  
პოეტს სევერიან ისიანს.

დაღუპული გმირების ხსოვნა ცოცხლობს და  
იციოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულში, საბჭოთა  
შრომების გულში, აღაფრთოვანებს მათ ახალი  
საგმირო საქმეებისათვის!

„პრავდა“.

ის გვერდში ედგა სამშობლოს ლომებს,  
ფიცით შეთქმული იყო ბელადთან;  
ანადგურებდა მტარვალს უღმობელს,  
იბრძოდა მხნედ და მტერს მიცელავდა.

ის ხმალთან იყო ძმად შეფიცული,  
და არ იცოდა ცრემლი და კვნესა,  
მასაც უყვარდა ვაჟკაცის გულით  
დედა-სამშობლო უპირველესად.

სამარადისო დიდება მასი!  
მან დააფარა სამშობლოს მტერი,  
მკლავში უჩქეფდა მღელვარე სისხლი,  
ვით დარიალში მჭეხარე თერგი.

მან არ დაზოგა შემოსეული  
მტრები და ჩასცა გულში ლახვარი,  
დაეცა მხოლოდ მისი სხეული,  
სტელი კი დარჩა ისევ შადალი.

მასთან სხვაც ბევრი გმირი ქებულა,  
სხვაც ბევრი სიკვდილს დაუხვდა მტკიცედ,  
მათ შეასრულეს ყველამ ერთგულად  
რაც კი სამშობლოს დროშას შეჰფიცეს.

სამარადისო დიდება მათი!  
არწივებს გვანდნენ შეუღარებელს,  
მოკვდნენ საყვარელ სამშობლოსათვის,  
ბრძოლას კი მაინც არ ამთავრებენ.

კვლავ ყოფინებენ წინანდებურად  
 შურისძიება რომ ისევ შესძლონ,  
 შათი სახელი მზედ ანთებულა  
 და გულს უკაყებს თვითიულ მებრძოლს.

ერეკლესული  
 ბიბლიოთეკა

ჭაბუკს, დაცემულს მტერთან ბრძოლაში,  
 დედის თვლებიც არა სტირიან,  
 რადგან საცოცხლე გმირობით სავსე  
 სამშობლოსათვის შეუწირია!

## ლიხვის პირა<sup>1</sup>

თავი III

სამიოდ ათეული წლის წინათ ქუციკოს ახლანდელი თავისი საარსებო წყარო, მუხამბა, არც მოვლანდებოდა. იგი გასაგზავნ-გამოსაგზავნ ბიჭად იდგა გორის დახურულ ბაზარში, მეწვრილმანესთან. ეხვევოდა ვაჭრობას და ლუქნის მოვლის საქმეს. ნელ-ნელა იწადებოდა.

ერთხელ პატრონს, კარგა ხნით მოუხდა სხვაგან წასვლა საქონლის შესაძენად. რა კი ახალგაზრდა ქუციკო ხელმრუდე არ იყო, პატრონმა დაშვებულბით ჩააბარა მის საწვრილმანო და წავიდა. სამ თვეს აღარ გამოჩენილა გორში. ქუციკო ამონაგებ ფულს მებითუმეს აძლევდა, ახალ საქონელს იღებდა მისგან და ჰყიდდა. პატრონსა და ბიჭს პირობა ჰქონდათ — დაბრუნების შემდეგ პატრონი იანგარიშებდა შემოსავალს და ქუციკოს გადაუხდიდა მოგების ნახევარს.

მაგრამ ახალგაზრდა ქუციკოს შუბლზე არ ეწერა შესულიყო გორელ ამაყ ვაჭართა სიაში. ახალგაზრდა ნოქარს ორი მანკი აღმოაჩნდა: პირველი — ნაადრევი ღორბუტლობა, ხოლო მეორე — კოჭის თამაშით თავდავიწყებამდე ვატაცება. ჯიბეები სავსე ჰქონდა კამფეტებით და ძელით. სჭამდა და თამაშობდა იმდენს, რამდენიც მის ღონეს აღემატებოდა. არა, ქუციკოს არ მოუპარაეს არც ერთი კაპეიკი. ისე, თავისთავად გამოღვიდა დანაკლისი ანუ, როგორც პატრონმა უწოდა — წაგება. პატრონისა და ბიჭის ამ მარცხს ბევრი წაგება-მოგების, ჩხუბისა და დავიდარაბის შუაგაცი, გორელი მოხუცი დარბაისელი ვაჭარი არშაკა ყარმისოვიც ჰკვირობდა.

— ვაჰ, ვაჰ! — ამბობდა ის, — ამ ბიჭისა ვერაფერი გამიგია: კარცს ეგ არ თამაშობს, ლეინოს ეგ არა სომს, მაშ რამ შაქამა ფული? ახა, ლმერთო, მიკვირს და გამკვირებია!

— როგორც გინდა სოჭვი, წაგება ნაღვია, მადლობა უფალს, მეწვრილმანემ ღრით მოუღწრო, თორემ იქნება გაკოტრებულყო კიდეც, — მიუგებდნენ პასუხად არშაკს.

— აბა, აბა, ბეწვზე ვადარჩა, — ემოწმებოდა მათ არშაკ და თან ახასიათებდა ქუციკოს: — ეგა, ძმაო, ვაჭრად არ დაბადებულა. იქნებ ხელოსნად გამოდგეს?

პატრონმა, გაასწორებინა თუ არა ქუციკოს წაგება, სამეწვრილმანოდან დაითხოვა. ერთგან სახელგატეხილი ბიჭი გორში აღარავინ მიიღო არც ბიჭად, არც ნოქრად. ქუციკოც ძალიან არ ნაღვლობდა. დადიოდა გორის ქუჩებსა და გარე-

<sup>1</sup>) იხ. „წათობი“ № 11 — 12.

უნებში, ვახურებულ თონესთან აიტუზებოდა, სანამ ქალები კოქს არ მხეგდებდნენ, და თამაშობდა კოქს ბოლოს, ცივი ზამთარს პირას, ვერუჭყვლეუცქეხაშეს მიეკედლა, რომელიც საქმეწამბდარ ნანოჭრალს ხანდამას — სასაფლაოზე, ქვაში დარჩენილ წვექსა და მაგიდაზე დატოვებულ პურის ნატეხებს აჭმევდა. ამინებდა სარდაფში, ვაჭირება იყო მიზეზი, თუ ის, რომ კოქსი თამაში მოხეზრდა, ქუციკომ საქმეში მიშველება დაუწყო მოხუც მეხაშეს. ხეხავდა თუჯის ქვაბს, ალაგებდა, სწმუნდა ქუციკან სარდაფს, რეცხავდა ჯამ-ჭურჭელს, დარბოდა სასაქლოზე, ზურგით მოაქონდა იქიდან ფაშეები და ფეხები. ხელმარდად ფტკენიდა და კვავდა სახაშე შიგნულს. მერე გათენებამდე უჯდა მოთუბთუბე ქვაბს, ხოლო განთიადზე ნიორს ჩეჩქავდა.

მოხუც მეხაშესაც მეტი არა უნდოდა—რა. მოეწონა, შეუყვარდა მოხეტიალე, ნოჭრობაში ხელემაძეგარი ქუციკო და ფუტქელად უყოფდა შემოსავლის ნაწილს. ქუციკომ ჩაიცვა და დაიხურა. მოსუქდა, სახე წამოუჭარბლდა. მერე მოულოდნელი რამეც ჩაიდინა. ნებართვა აიღო ზამთარს ერთად არყის ქიჭობით ვაყიდვისა. მოხუცი მეხაშის საქმე წყაროს თვალისით წამოიყვანა და ფეხზე დააყენა.

— მე დამავსო, ვაკოტრების პირას მიმიყვანა, ის კი ააშენა, მაგ მკვდარ-ძაღლმა! — ამბობდა მეწვერილმანე და გულში მჯიღს იტემადა.

ბოლოს ქუციკომ მოხუც მეხაშეს ქალიც კი გამოსთხოვა და შეირთო.

— მიჩრჩენს ქალს, შიმშილით არ მომიკლავს, მეტიც არა მინდა—რა, — ამბობდა მოხუცი მეხაშე და მარჯვფათიან სიძისთვის არა ენანებოდა—რა.

მზითვეში პირველ ხანად ქუციკომ სამი ხელი ლოგინი, ერთი ხალიჩა, ერთი ნოხი, ერთი ზურჯინი, სპილენძის საშისაფლავე ქვაბი, ქაღჭირი, ჩაშჩა, სპილენძის მაყალი და პურის საცხობი ვარცლ-საჯერი მიიღო ვარდა იმ ოქროვლისა, რაც ქალს თითებსა და ყელს უმშვევებდა გვირგვინის დაღმწის დღეს. ხოლო დანარჩენი ქონება, — სახაშე, თავისი მოწყობილებით და ორთავლი სახლი ციხის უბანში, პალატითა და სათონით, მოხუცი მეხაშის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა ახალგაზრდა ცოლქმარის ხელში. შვილის ბედნიერად დაბინავებით გახარებულ მოხუცს ერთ დღეს სამეფო ქუჩაზე გაეარნა ნაცნობ მიკიტანთან. იმ გემრიელი ასტრახნული ჭიბა ექამა. მარილით გაზურბულ კეჭზე ხარბად ესვა ღვინო. მერე ბლომად წყალიც დაეყოლებინა. ძლივას მოესწრო შინ მოსვლა. კეჭის ანთება და ნაწლავების გადახლართვა დაემართა, სული განუტევეა. სიძემ იგი ვერნაკის კალთის სასაფლაოზე დასაფლავა ნაცნობ-მეგობრებისათვის სამახსოვრო ქელეხის გაშლით.

სასაფლაოდან შინ მიბრუნებული ქუციკო და მისი მეუღლე ერთად-ერთი პატრონები აღმოჩნდნენ მოხუცი მეხაშის უძრავ-მოძრავი ქონებისა. ათიოდე წლის შემდეგ შეეძინა ქუციკოს ქალი, რომელსაც სახელად ასტლიცი დაარქვა. მერე განაგრძობდა ცხოვრებას გორში, თავის სარდაფში, უმტროდ, უმოყვროდ, კმაყოფილი ბედისა, რომელიც თურმე მხოლოდ შესადერ დროს ეტებდა, რომ გაემწარებინა იგი, მოეწამლა სიცოცხლე, მოეჭრა თავი მთელ გორის მარაში.

ის საშინელი ხმა, რამაც ქუციკო მიწასთან გაასწორა და დამბლად დაავლო, ციხისუბნელ ქალებს მოეჭრაათ ქუჩებსა და ჩიხებში, ალაყატის კართან, პირველად ზედ ქუციკოს სახლის წინ. იქიდან ხმა იარმუკაში დარჩეულიყო, საყდრის ეზოს მოსდებოდა და მთელი ქალაქი მიეველ-მოეველო. ქუციკოს ყველაზე უფრო ვაჭრებისა და ნოჭრების სცხვენოდა. პირველად ის ამბავი

მას მეკოჭე ბიჭებმა წამოსძახეს. ნაშუადღევს მივიდნენ ისინი სარდაფში. კი-  
ბეზე ჩაემწყვიტონენ, თითქმის ერთად იკითხეს:

სარდაფში  
განსწორებისა

— ძია, შეგვინახე კოჭები? აბა, მოგვეცი!

იმ დღეს ქუციკო ცუდ გუნებაზე იყო, წინა ღამეს უში სიზმარი ნახა. ე-  
თომ გორიჯევარს იყო. დაბრუნებისას ბუჩქების ძირას წამოწვა დასასვენებ-  
ლად. ფსევნები შემოესივნენ, დაისრეს, დაპკორტნეს, კანზე სისხლი დაადინეს,  
წვერები ღერა-ღერად დააგლიჯეს და თავიანთ სოროებში ჩაძვინენ. გამოე-  
კიდა ქუციკო, დასდევს, მაგრამ ვერც ერთ ფსვენს ვერ მოასწრო რომ თავი  
ჩექმით გაეშეშა. გამოეღვიძა, შემშა შეიპყრო. როგორ ან რაზე ამიხდებოდა,  
ფიქრობდა და ეს ფიქრი სახამეშიც გაძევა. მუშაობდა და ფსვენებზე ფიქრობ-  
და. დაითრო და მაინც ფსვენები არ შორდებოდნენ გონებიდან. ამ დროს  
გაჩნდნენ აბეზარი ბავშვები. ჩვეულებრივად ყველას თითო კამეიკი ეჭირა  
ხელში. ეს მაზანდა ჰქონდა დადებული კოჭების ფასად ქუციკოს.

რატომღაც გული მოუვიდა, თავი ველარ შეიკავა და ბავშვებს შეუტია:

— კოჭები კი არა, გასწით; გამეცალეთ! — დაუფერია და გაუფცქველ  
ფაშეს მოაელო ხელი; სარდაფიდან ქუჩაზე გარეკა ყველანი, მიფანტ-მოფან-  
ტა. ბავშვებმა კი თითების სავსავით გაბრაზება დაუწყეს. ქუციკო უფრო გა-  
ხელდა, ფაშეი ძირს დაავდო, ორ ბავშვს მკლავებში წაავლო ზელი, შეახდ-  
რია, თავი ერთმანეთს მიარახუნებინა და ჯავრამოყრილმა თავის სარდაფს  
შიაშურა.

— ეა, ეს რა მწყრები აძფრენია ძია ქუციკოს! — ხარხარებდნენ ბავშვები.  
შეტრიალდნენ, ისევ ჩავიდნენ სარდაფის კიბეზე, ისევ დაუწყეს ქუციკოს  
კოჭების თხოვნა.

საქმე მარტო ცუდი სიზმარი არ იყო, სწორედ იმ დღეს ორი უსაამოვნება  
კიდევ შეემთხვა ქუციკოს.

სამი დღეს წინათ ხარაზი თედუა გაასვენეს. ერთი შეგირდი და ერთი ქარ-  
გალი ძყავდა ხარაზს. ქუციკოსაგან მიჰქონდათ ნისიად ხაში მთელ ხამთარს.  
მივიდოდა შეგირდი, აავსებდა წაფას. მიჰქონდა ყოველ დილით. თედუა კი  
გაასვენეს, მაგრამ ქარგალმაც და გარდაცელილბს ქერიმაც ვალის გადახდაზე  
ქუციკოს ცივი უარი სტყვიეს. ჩვენ არა ვიცით—რა, თედუამ ის ფული გადავი-  
ხადა, მეორედ გვთხოვა. სასამართლოშიც აღარ მიესვლებოდა ქუციკოს. ხა-  
რაზი კოტრი აღმოჩნდა. ქმრის დამარხვის დღეს ქერივი საკუთარ ბინიდან გა-  
აძევეს და ცის ქვეშ დაავდეს. ერთი სიტყვით, ხარაზმა სამთუმანანაშეგარი გა-  
იყოლა ვალად საიჭიოს. ეს კიდევ არაფერი. ფასაბმა, რომლის მუშტარი ქუცი-  
კო იყო ოცი წლის მანძილზე, სახაშე მასალაზე უარი უთბრა, აგერ სტემ-  
კვა უფრო მეტს მაძლევსო. მერე ვინ იყო სტემკვა? სწორედ ერთი თვის წი-  
ნათ გაალო მან სახაშე სარდაფი, მანამდე სადღაც სამიკიტნო ჰქონდა, გა-  
კოტრდა და გორში ჩამოეხეტა. ქუციკოს დაუწყო კონკურენცია. ამ სადარ-  
დებლის პატრონს რაღა ბავშვების კოჭების ჯავრი ჰქონდა? მაგრამ რომ არა  
სცილდებთან, ტრიტინებენ, სისხლს უშრობენ:

— ქუციკო, ქუციკო, ჩვენი კოჭები, ჩვენი კოჭები!

— მომცილდით, მე თქვენი...

— ეა, ეა, რათ იფინები! შენ რომ კაცი იყო, ის იმერელი გოგოს არ დაჯა-  
მაკებდა! — მიახალა ერთმა და უეცრად ყველანი გაცვივდნენ სარდაფიდან,  
ქუჩაში გაიქცნენ, კუნძულებში დაიშალნენ ეშმაკებით.



ენა ჩიოდა: შეუძლებელი გახდა გორში გარეთ გამოჩენა. ორშაბათს ბავშვების გუნდი დაედევნა. წვრილ ქვეებს, კოქებსა და საბზრიალოებს ესტრონდნენ, უსტყუნდნენ, უჭყოლდნენ, დაჰკვირებდნენ. ძლივს შეასწრო ერთ-ერთს. ნავეე ყუთის გვერდით დაიშალა მომავედავი ძაღლივით. გვიან დაღამებისას გამოძვრა თავის საფარიდან. ხუთშაბათს დახურულ ბაზარში მოუხდა გავლა. იმისთანა თქვენს მტერს, ასტლიეს რომ დღე დაადგა. ჩარაზებმა მუშეები და ფეშტამლები აარაყუნეს, მეთუნეუქვეებმა და შექვეებებმა წყარუნი ასტეხეს. ქარგლები, ნოქრები და შევირდები ფილაქანზე გამოეფინნენ. თითქოს კაბელმეისტერმა ჯოხი აუქნიაო, ერთბაშად დაიღრიალეს: ვაპ, ვაპ, ვაპ!

- ვაა, ვინ მოდის! — დაიძახა ვილაცამ.
- პატარძალი! — მისცა მას ხმა მეორემ.
- აბა შავას უქამია ლობიო!
- არა, ბიჭო, ძირტკბილა!
- ხელების წამალი!

— ვაა, ვაა! — ისმოდა ყოველი მხრით. სარეკში ჩაეარდნოდ ნადირივით ეხეთქებოდა ასტლიევი ქიშკრებსა და კედლებს, ერთგან ძაღლი გამოებლანდა ფეხებში, კინალამ კისერი მოიტეხა ქვაფენილზე. ვიცივით შეეარდა სუსანასთან. უგონოდ დაეცა ტახტთან. ინგლისელმა ქაღმა მოიყვანა გონებას წყლითა და ღეინით.

— რა ექნა, ტოტა სუსანა, მეტი გზა არა მაქვს, წყალში უნდა გადავიარდე ან საბელით ჩამოვიხრჩო თავი, — უთხრა თავის მფარველს ასტლიემა.

— შე უბედურო შენა, ადრე მაინც გამომტეხოდი, გიშველიდი რაქვს. ეხლა კი რა ექნა, ერთადერთი გზა დაგჩენია... — ორჭოფად დაიწყო სუსანამ, მაგრამ არ დაამთავრა. მეზობლის ბიჭი აფრინა ასტლიეს დედასთან.

იგიც მალე მივიდა შევითან. ხელდახელ მოითათბირეს ქალებმა. გადამწყვიტეს გასცილებოდა ასტლიევი გორს. თბილისში უნდა გადასახლებულიყო სამუდამოდ. დედამ მზითვად შეგროვილი სამასი მანეთი და ოქროს სამაჯური ამოიღო და სთქვა: ყვითელი ოქრო შავი დღისათვისო. ღმერთი კიდევ სხვა რამესაც შემამლებინებსო.

სუსანამ წერილი მისწერა თავის ნათესავ ვაჭარს თბილისში და დედა-შვილს გადასცა. ღამის პატარებლით გამოვიდნენ გორის საღვურებიდან. იმ საღამოს შემდეგ ვიგოს დედის გარდაცვალებამდე გორელებმა აღარა იცოდნენ-რა ასტლიეს შემდგომი ბედისა. არა ხელაუდნენ. თვალშიც არ აკლდათ.

თბილისელ ვაჭარს, რომელთანაც წერილი მიჰქონდა დედა-შვილს, მეტეხის ძირში მხითაროვის ქარვასლა ჰქონდა იჯარით აღებული. სუსანა დაუფარავად აღწერდა მას ასტლიეს მდგომარეობას და დახმარებას სთხოვდა.

ვაჭრის წყალობით იყო თუ საკუთარი მოხერხებით, დედა-შვილმა ათი წლის ვადით ერთი პატარა აგურის იატაკიანი ოთახი დაიქირავეს, ძაღლის უბანში. დედამ ასტლიეს მოლოგინებამდე მოუცადა, მერე მამა-პაპეულ სახლს მიამურა გორში. იქიდან რაც შეეძლო ეხმარებოდა შვილს, უგზავნიდა ხან ერთ თემანს, ხან ხუთ მანეთს და სასმელ-საჭმელს.

ბევრი გაჭირვების გამონაცადი ასტლიევი თბილისმა ველარ დააბნა. ბავშვი მეზობლის ქალს მიაბარა. თითონ-კი ქარვასლაში დადგა დამგველ-დამლაგებლად. ვაჭარი, ქარვასლის მოიჯარადრე მფარველობდა. ერთ მშვენიერ დღეს ასტლიევი საწვრილმანო შკათთან დააყენეს, როგორც მაშინ ეძახდნენ თბილისში „შკაპჩიკად“. ჰყიდდა ნემსებს, იაფფასიან გულის ქინძისთავეებს,



სავარცხლებს, ფოლაქებს, წინდის ჩხირებს, სათითურებსა და მაკრატლებს. ახლა მას დედის დახმარება აღარ სჭირდებოდა. თავისი სამუშაოები უკეთესად და კიდევაც და მთელ თავისუფალ დროს ან შვილს უვლიდა, ან თანამშრომლებს. ში იყო ჩაკეტილი მარტო, ეუღლად. ნაცნობები, გარდა ქარვასლის მსახურ-ნოქრებისა, არა ჰყავდა, არცა ცდილობდა ჰყოლოდა. ჭირივით ერიდებოდა გორელებთან შეხვედრას, რომლებმაც იგი გააწირეს, გარიცხეს თავიანთი წრიდან, გამოაგდეს უცნობ ქალაქში, ხელი ააღებინეს საკეთარ სახლ-კარზე.

ავონდებოდა თუ არა ერასტი დევალი?

აბა, რა დაეიწყებდა. მუდამ თვალწინ ედგა. მაგრამ არც ერთხელ ცუდიც არ უფიქრია თავის უბედურების მიზეზზე, არც ერთხელ არ დაუწყევლია. პირიქით, ერასტი ახლა წარმოდგენილი ჰყავდა მის ცხოვრებაში საამურად შემოჭრილ ღვარად, ძალისა და ვაჟაკობის ჯადოქრად. სწამდა ღრმად ასტლიკს, რომ ბედნიერება მარტო მას ერგო და სხვას არავის. შემურდათ, შეეხარბათ ეს ბედნიერება, ამიტომაც გამღეუნეს, ამიტომაც გამარიცხეს, ამიტომაც კინალამ ჩამქოლეს, — ფიქრობდა გუნებაში ქალი.

თავისებურად მართალიც იყო ასტლიკი. იმ ასაკში იყო იგი, როდესაც სხვარივად ფიქრი არ შეუძლიათ ქალებს ასეთ შემთხვევაზე. ამ სიამის და სიმწარის ღრმა პატივისცემა ჰქონდა ასტლიკს და რაც უფრო იზრდებოდა მისი შვილი, მით უფრო გაგიჟებით უყვარდა იგი, უვლიდა, თავს ევლებოდა. ეგ იყო, ჯერ ვერ მოენათლა. ვერ გადაეწყვიტა, სომხისა თუ ქართველის საყდარში ეცხო ბავშვისთვის მირონი. ვადიოდა თვეები, ილეოდა წლები, ერასტი დევალი კი არსად სჩანდა გორში. მისი მოამბეც არსად იყო ქვეყანაზე.

დღეს ასტლიკი პირველად ჩავიდა თბილისიდან გორს. გიგო ჩარექაშვილის დედა გარდაიცვალა. დაკრძალვაზე ქარვასლის მოიჯარადრეც მიდიოდა იმავე მატარებლით, ბევრი სხვაც, მაგრამ ასტლიკი მათ ერიდებოდა, არ ეჩვენებოდა. ან იქნებ ისინი ერიდებოდნენ მას. აბა რა იმათი ტოლი იყო უკანონო-შეუღლიანი, ღარიბი ქალი. ასტლიკს სწყუროდა გორისა და სუსანას ნახვა. განსაკუთრებით სუსანასი, რომელიც მას გაჭირვების ემს დაეხმარა, გადარჩენის გზა უჩვენა და ახლა თვით სჭირდებოდა ერთგული აღამიანი გვერდით. ამასთან ერთი მზაკრული აზრიც უტრიალებდა თავში; ასტლიკს უნდოდა დაკრძალვის პროცესიაში გამოჩენილიყო გორელი ქალების გულის ჯაგრად, ეჩვენებინა ყველასთვის თავისი უკანონოდ შექმნილი ვაჟი, ბევრ კანონიერ შვილზე უკეთ მოვლილი, ნაზარდი და ეგრძნობინებინა მტრებისათვის: აი ავერ ვახლავართ თქვენგან ათვალისწუნებული ასტლიკი, ერთი კი არა, ორა, დამინახეთ, დავისკდეთ გულები, დაგმბრმავდეთ თვალებით. ამ განზრახვით ასტლიკს ყველაფერი ეღონა, გამოიწვევი გარეგნობა მიეღო. სიასამურის ქუჩა-ქი არ ესხბ, თორემ სხვა ყველაფერი, რაც კი ეცვა და ეხურა, ძვირფასი ნაჭრებიდან იყო შეკერილი, თანაც მოღაზე. ბავშვიც თოჯინასავით ჰყავდა მორთული.

ვაგონიდან ჩავიდა. ყურადღება არავისთვის მიუქცევია. ბაქნიდან პიჭღამირ ეტლების დასადგომ ადგილისკენ წავიდა. საუკეთესო ეტლი დაიჭირავა, მოისვა გვერდზე შვილი და გაუდგა გზას დედის სახლისაკენ, მეფის ქუჩით. მისი ჩაცმულობა და იერი თვალსა სჭირდა გამველულებს ქალაქში. შინ მცირედ შეისვენა, მერე დედას მკლავში ხელი გამოსდო და ჩარექაშვილის ბინისაკენ წავიდნენ დაკრძალვაზე დასასწრებად. ვიწრო ქუჩებსა და ჩიხებში ასტლიკი

ხელაღდა ჩარქაშვილისას მიმავალთ, ნათესაეებსა და მეგობრებს. ბევრი მათგანი ასტლიკის ნაცნობიც იყო, მაგრამ ასტლიკი მათ არც საყრდენს და და არც ამჩნევდა.

აპრილის პირველი დღეები იყო. საკმაოდ თბილოდა. მზე აცხუნებდა მოკრიალბულ ციდან.

ეზოში, ჭიშკართან, აურაცხელი ხალხი იდგა, დაკრძალვებზე სხვა დაბებიდან და ქალაქებიდანაც მოსულიყვნენ. ასტლიკი იჩქაროდა. ვაჟი ზელჩაკიდებული მიჰყავდა. დედა რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული მიხედვდა უკან, უცხოსავით. ასტლიკი აქ უფრო მეტ ნაცნობ სახეებს ამჩნევდა. ხსინი ამტრლებოდნენ, ვერა სცნობდნენ. ეს ქალს კიდევაც ახარებდა და ქმუნვასაც ჰკვრიდა. ბედნიერება აქ, გორში დარჩენილ ტოლებთან შედარებით, მას არ აკლდა. ყველაზე უკეთ ეცვა, თბილისში ცხოვრობდა, ქარვასლაში ვაქრობდამაგრამ ეს არც იმდენად ახარებდა მის გულს რამდენადაც გააუფრებელს ეგონა. თუ ოდესმე ასტლიკს თავისი წარმოდგენა ჰქონდა ბედნიერებაზე, მას უნდოდა ამ ბედნიერებისთვის მიედგნო გორში, თავისიანებსა და გორელებს შორის. იქ, თბილისში, ეცვა, ეხურა, ჰქონდა ბინა, საქმელი, სამუშაო, რაც ბევრ მამაკაცსაც კი შეშურდებოდა, მაგრამ ასტლიკი თავს მაინც ობლად გრძნობდა. დიდმა ქალაქმა იგი შეიფარა და იმავე დროს ჩაყლაბა. თბილისში იგი არც პირველი იყო, არც მესამე და არც მეასე. თითქოს ადგილიც არა ჰქონდა იქ, ათასნი და ათი ათასნი დაიარებოდნენ თბილისის ქუჩებში ასტლიკისთანები. აქ კი, გორში, მას შეეძლო სხვა მდგომარეობა ჰქონოდა, როგორმე გამოეჩინა თავი ნათესაობაში და ტოლწილში.

ამაზე ფიქრობდა ახლა ასტლიკი და მიარღვევდა ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც ერთ დროს სახადივით მოერიდა, გაექცა. ცრემლი მოადგა თვალბზე თავის მდგომარეობის წარმოდგენით და უიმედობით. მღვრიე თვალბით მისჩერებოდა ყველას. ერთად-ერთი ყური/არ ღალატობდა, ყველაფერი ესმოდა, განსაკუთრებით, ვინც დედა-მისს გამოელაპარაკებოდა.

— ქა, ვინ არის? — ჰკითხა დედას ვილაც ქალმა.

— უი ქა! განა ველარ იცანი ჩემი ასტლიკი? — მიუგო დედამ.

ქალმა განკვიფრებისაგან ლოყაზე ზელი შემოიკრა. საჩქაროდ, ჩურჩულით გადაულაპარაკა ფეხზე დგომისაგან მოლლილ, კედელზე მიყულებულ ქალებს.

— უი ქა, უი ქა, შეხეთ ერთი ქუციკოს ასტლიკისა!

— სადა?

— ვინაო?

— აბა, ერთი დამანახვეთ!

— ხელავე, როგორ გამოპრანჭულა.

— ხარმა ხარს რქა ჰკრაო, უკეთეს ბაგაზე მიაგდოო.

— ნაბიჭვარა?

— ჰო, ჰო!

— აი მეხი კი დაეყარა თავზედა!

— კარგი ქა, ნუ მოსჩერებიხარ, თვალი მავასაც დასდგომია! მამ ეგ ბავშვია ის ნაცოდარი?

— ნაცოდარი, თორემ არ უცმევი და ჩეენს ბავშვებსა ჰვავს, უცოდართ.

— თვალიც მოსთხრია თავის ბავშვიანადა! მავასი ვის რა უნდა შეეხარბოს!

ასეთს და უარესებს ჩურჩულებდნენ ქალები, როცა ასტილი უკვე ასული იყო კიბეზე, სუსანას გადაჰხვეოდა ცრემლიანი თვალებით. *არქონდა* ასტილიც გარშემო მითქმა-მოთქმა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რამ შეკრებილთა შორის ჩოჩოლი არ ბტეხილიყო და ყველას ქუჩის დასაწყისისაკენ არ მიეხედა. იქ ისეთი ხალხი გამოჩნდა, რომლის მოსვლასაც არაფერს მოელოდა. ნელის ნაბიჯით მოძრაობდნენ. გუნდის თავში მასლათით მოდიოდნენ ელიზბარის მეუღლე კნინა თეკლე და მახრის უფროსის მეუღლე ცხვირჩაქეცილი ქალი. მათ უკან მოსდევდნენ თავიანთი ქმრები, ელიზბარი და მახრის უფროსი, მუნდირში გამოწყობილი. მახრის უფროსს მხარში ბარძიმ თუშელიშვილი ედგა, ხოლო ელიზბარისთვის მკლავში ხელი ჩაეკლო იაკობ გვანამტყვილს და მოღუშული სახით რაღაცას უმტკიცებდა, აჯერებდა.

— პოდა, აქი თქვენც იცნობთ, ბატონო ელიზბარ! — ეუბნებოდა იაკობი.

— დიად, ვიცნობ. ჩემი აგრონომის ამხანაგია.

— საქმეში თუ გამოგიცდიათ?

— არა, არ შემხვედრია.

— ჩემმა მზემ, ტოლი ვაქაკი არ მოეძებნება ამ ჩვენს პატარა მხარეში. უთხარი, თუ ღმერთი გწამთ, მახრის უფროსს, შეეხევეთ, აგერ აქავე, ახლავე.

— ვეტყვი, თუმცა არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვება. არ იცი, რუსი ჩინოვნიკების ხასიათი?

— შენ ოღონდაც უთხარი, და ხატის ვერ გაგიტეხს. საქმე მანამდის უნდა მოწყოს, სანამ ოქმი თვითონ აქვს ხელში. თავდებობით მაინც დაგეანებოს კაცი, სხვა ჩვენ ვიცოდეთ. მერმე ცას შევასკდებით და რამეს გავაწყობთ. ფულს დაეყრით. მაგრამა ეგ რაჯულადლი ფული არც თითონ გოლას გააჩნია და არც სიმამრს. ხუთიოდე თუმანში მახრის უფროსი ხომ ხელს არ გაისვრის და ვერც ჩვენ შევაძლევთ.

— სადა ხის ციხეში გოლაი?

— აქვე, გორში, იმიტომ ვიჩქარით. აქ საქმის მოწყობა უფრო ადვილია. გვიშველეთ, რაც შეგიძლიათ, თორემ თუ ქალაქში გადაგზავნეს საქმეები...

— კაცო...

— დაგვეხმარე, ბატონო ელიზბარ, იმ ცოლშვილის მზეს — გაფიცებ. მეც კაცი ვარ, ქუდი მხურავს, მაგიერად დამსაქმე, ჩემს კისერზე კალო მოატრიალუ.

— კარგი რაღა, იაკობ, გავაკეთებ. ეს კი იცოდე, სხვა დროს მაგეთ საქმეზე აღარა მთხოვო-რა, თორემ ორიენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდებოდა: მე ვერ გავაკეთებ და შენც გულნაკლული დარჩები. ჩემზედ ნაკლებად არ იცი, გოლას საქმეს მაგარი მბოლიტეჟური სენი უდის.

— თუ დაგვირდება, კიდევ გეტყვი, კიდევ დაგვეხმარები, ოღონდაც გერ ეს გოლა გამოაშვებინე, — თვალების ცამციმით მიუჯო იაკობმა და კვლავ ჰკითხა: — მამ იმედი ვიქონიოთ? მისი დედაკაცი ჩჩვილი ბავშვით და სიმამრი ჩემსას ღვანან, ამბავს უცდიან, რა უთხრა?

— რახან მითქომს, გავაშვებინებ. ცეცადოს კი მეორედ ხელში არ ჩაუვარდეს მთაერობას, თორემ ეგენი რომ ამბავს ათევენ, მეფის ნაცვალაც ვეღარ უშველის. პირდაპირ თოჯში გააყრევიანებენ კისერს.



ეროვნული  
გზაობისთვის

- მაინც როდემდის გააშვებინებ?
- ხვალამდე.
- მაშ აქვე დაელოდნენ ცოლშვილი და სიმამრი?
- დიაღ, დაელოდნენ, ბრძანებას ამაღამ დაეაწერინებ, დილით მიუვა ციხის უფროსს, შუადღემდის გაანთავისუფლებენ.
- მაშ ასე?
- წადი, უთხარ, ახარე, მომიკითხე კიდევაც ჩემი და თეკლეს სახელით. — გადაწყვეტილად უთხრა ელიზბარმა.
- იაკობი გატრიალდა, გვერდიდ ჩაუარა ხალხს, რომელიც შორიხალხს მოჰყვებოდა ელიზბარს და მასრის უფროსს. ესენი იყვნენ იოკიმე თუშელიშვილი, რომელიც გორში უკვე ანგარიშს ასწორებდა გიგო ჩარქეაშვილთან, მაკრინე ბორტიშვილი, ევასი, ქურჭლუღობის კომიფოიაეორი, გორელების სიტყვით „ევი-ეორი“.
- სულ ბოლოში ხელი წაატანა ქართლურ ჩოხასა, თუშურ ქუდსა, ლეკური შალის შარვალსა და წულღა-წინდაში გამოწყობილ შეკალარაგებულ გლუხს იავორა ბალთიაშვილს. შეაჩერა, ხმადაბლა ლაპარაკი გაუბა.
- შენიშნეს ეს გორელებმა და უმაღვე მიხედნენ: გოლა კამკამიძე დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოვიდოდა ციხიდან.
- აბა, რას იტყვის კაცი ისეთსა გორში, რომ იაკობმა ვერ მოახერხოს? — გადაულაპარაკეს გორელებმა ერთმანეთს. — მეტი სწავლა ჰქონოდა, მღვდელთ ლხენა, გორში აღარ მოიცილიდა, თბილისის ქალაქსათავად დაუდებოდა. ეგ ისეთი ყისმათის კაცია საქმე არ გამოუვიდეს, არ იქნება, არ გავგონილა.
- რამდენს მისცემდა თითოს? — იკითხა ვილაკამ.
- ერთს ნაცარ ცხელსა და მეორეს თავში ქვას. იაკობი კი იქნება, ეგეთ საქმეში ფული დახარჯოს, უინმეს ჭრთაში მისცეს. მე სანაძლეოს დავდებდი, რომ კაპეციც არ დახარჯვია. პირიქით, შემოიხევეწინებდა, ეგ ისეთი თაბაღთის და ენის პატრონია, რომა გველსა ხერულით ამოიყვანს. მიცემას ვინ ჩივა, იქით დაამადლებს-მეთქი.
- აბა ნამდვილი მაინც ვაგიგოთ რამე? — დაინტერესდნენ სხვები.
- იაკობს — დაუძახეს.
- იაკობმა მოიხედა.
- საქმე როგორაა?
- იაკობმა მკლავი განუე გასწია, ცერი ააშვირა, მუშტი შეაქნია.
- ავი ვსთქვი: მაგ საქმეს ხელს მოჰკიდებს და ვერ გაარიგოს რამეც, არ მომხდარა, — სთქვა ისევე იმან, რომელიც ამტკიცებდა იაკობის უნარიანობას. ეს აზრი ახლა უსიტყვოდ გაიზიარა ყველამ.
- მაშ არა აიღეს-რა? — ჰკითხავდა იავორა იაკობს.
- ბევრიც უნდოდეთ, არაფერს მიეცემ.
- ეპ, იაკობ, როგორ გადავიხადო? — უთხრა კვლავ იავორამ და შეჩერდა.
- რად გაჩერდი?
- არ დავესწროთ დაკრძალვას?
- რამდენი ბებერი ქვეყანაზე წაკედება, შენი რა საწუხარია, იავორა. წავიდეთ, სონას უთხრათ ჯერ. მერე რაც ვინდა, ისა ჰქენი, ან იქნებ ძა-

ლიან გეცოდება? კარგი ობოლია, ალუ, ნეცზე არ მიქმინოს. ჰო, მართლაც, ქელეხი აქვს.

— ქელეხი კი არა, ისე, წესია, რახან აქა ვარ, თორემ სადმე სხვაგვარად ვსაქმე გაკეთდეს, — ერთ კვირასაც არ შევჭამ.

— მამ ჩქარა წაგიდეთ, უთხრათ სონას, როგორც არის საქმე. დღეს შინ შევლაც ვერ მოვასწარი, სახლსაც დავხედავ. ეგენი კიდეც საათნახევარს მოუნდებიან. თუ შინ ვერ მივუსწარი, სასაფლაოზე მაინც მივწვედები. პური თუ გშიან, შინ შევჭამოთ ხელდახელ.

— კაცო, რა მებუტრება. მამ სულ არაფერი აიღეს?

— აბა, ღმერთო, არაფერი-მეთქი, დრო შეურჩიე მოხერხებული, კულის გაქნევის საშუალება აღარ მივეც.

— შენ მაინც, იაკობ...

— ეე მაგ სიტყვისთვის კი ღმერთმა შეგარცხვინოს, აღარ გაბედო ეგეთი რამ.

— მამ ჩემზე იყოს.

— ე მაგისტვისაც შეგარცხვინოს ღმერთმა, შენ აქ გული არ მომაწყვანინო, თორემ — დამუქრა იაკობი იაკორას და სირცხვილისაგან გაწითლებულმა ჩაიბუზღუნა: — რად გაგამტყუნო? ქვეყანა ისეა გაფუჭებული, რომ არ გეძრახვის მკადრო ეგეთი რამ.

— ისე, წმინდის გულით ვითხარი, შე კაი კაცო. ეთქვათ, ჰო, ფული არ აიღეს, ხვალ სამაგიერო რამეზე მოგადგებიან კარს.

— ეგ კი, იაკორა, შენ აღარ გეკითხება, ჩემი მე ვიცი, გავწვედები მაგათ, — და უმცირად შეუწყრა კიშკართან შეხვედრილ შეღებს, რომლებიც ბურთს მოსდევდნენ. — აბა სულ ხომ ბურთს არ უნდა სდიოთ, გასწით, გაკვეთილები დაამზადეთ. ჯერ, ძმაო, შრომა, მერნე ხტომა და ყირაზე დგომა.

ბავშვებმა ბურთი ჯიბეში იკრეს, ეზოში შეცვივდნენ და ბრახუნით დასიცლით კიბე აირბინეს. იაკორაც ძირა საართულში შევიდა სონასთან. იაკობმა სწრაფად ტანსაცმელი გამოაცვალა, კიბეზე დაეშვა და ჩარეკაშვილისას გასწია. ცხედარს ჯერ კიდევ გამოუსვენებელს მიუსწრო. ქოშინით აიარა კიბე. მისწი-მოსწია შეჯგუფული ხალხი და კუბოსთან ბარძიმ თელშელშვილის გვერდით დაიკირა ადგილი. მერე მიიხედ-მოიხედა, გიგო დანახა, იგი ერთ ადგილას იდგა გაშტერებული, დედის ცხედარს დასჩერებოდა. იაკობის დანახვაზე თავი დაქნია, თითქოს მოსულს მადლობა გადაუხადაო, და შვებით ამოიოხრა.

— აბა დროა! — განაცხადა მთავარ-დიაკონმა.

ხალხი შეჩოქოლდა, კუბოს გარშემო თავი მოიყარეს ოჯახის მახლობელმა მგობრებმა. პირველი იაკობი, ბარძიმი, ელიზბარი და ერთი-ორი უცხო შეუდგნენ კუბოს. აიღეს, კარებთან შეჩერდნენ, სამჯერ მიახალეს ჩარჩოს. გაიტანეს გარეთ და დაასვენეს ეზოში დადგმულ მაგიდაზე. აქ ცხედარს ექვსი შემოსილი მღვდელი შემოეხვია გარს, საკმეველი უკმევს. დეკანოზმა თომა ჩუთაშვილმა წესის აგება დაიწყო.

კუბოს თავთან გაუნძრევლად იდგნენ გიგო და სუსანა. მხოლოდ სიკვდილის შემთხვევას შეეძლო შეერიგებინა და კვლავ მხარი-მხარს დაეყენებინა ისინი ერთად.

ვერავითარმა წამლობამ და მკურნალობამ ვერ უშველა გიგოს მოხუც დედას. კიბოსა და წლებს შეეთქვათ, სიცოცხლეშივე დაედნოთ და გაეხმოთ თა-



ვიანთი მსხვერპლი. კუბოში მწვანე ფოთლებსა და ყვავილების არშიაში ნიღბივით მკვეთრად მოსჩანდა სიკვდილისაგან თითქოს უფრო ვადამყრფელი და წამწვეტებული კეხიანი ცხვირი და ჩამქრალი თვალების ღრმად შიშველებსა დედამთილი უეცრად მოკვდა, თავის ლოგინზე წამოწოლილი. ერთიც არ დაუკენესია. დილით კი თავს ბევრად უკეთ გრძნობდა. რძალს ეგონა, ავადმყოფი რჩებაო და შინ სიწყნარის დასამყარებლად ბავშვები აღმზრდელი ქალითურთ სასეირნოდ გაისტუმრა. ამ დროს ცგი დედამთილმა მიიხმო, ახლოს ჩამოჯდომა, სთხოვა. სუსანამაც სკამი მიიდგა და ჩამოჯდა. დედამთილმა როყვივით გამხმარი ხელით მუთაქის ქვემოდან ვერცხლის მსუქან ძეწვეზე აჩურჩხლული გასაღებები გამოიღო და რძალს დაანახვა.

— სუსანი!

— ჰო, დედი!

— აჰა, დაიჭი, — უთხრა ავადმყოფმა და გასაღებების აცმა მიაწოდა.

სუსანა შედგა, არ იცოდა, გამოერთმია თუ არა. ავადმყოფს ზელი მოედლა და გასაღებების აცმა ჩხარუნით იატაკზე დაეცა. სუსანამ აიღო და ისევ დედამთილს გაუშვირა.

— შენ დაიჭი, — ჩაილაპარაკა დედამთილმა, — აქამდე მე მოვიტანე, ახლა მე ეგ აღარ მჭირდება, გიგოსია და შენი, იმის შეილისა და შეილიშვილისა. დიდ სალაროს ყურეში აბრეშუმის ნაჭერში გახვეულია საფლავის ქვის საყოფნი ფული, სამარეში ძვირფასს ნურაფერს ჩამატანთ, ჩემს ეასოს გვერდით გამიჭერით სამარე.

— დედი, რას ამბობ!

— რაღა, დედი... მივალ, როგორც ყოველი მოსული ამ ქვეყნად. შენც წახვალ, ყველანიც წავლენ.

— დედი! — წამოიძახა სუსანამ და სიტყვა ყელში გაეჩხირა, ცრემლებმა სუნთქვა შეუვუბეს.

— დამილოცნიხარ, იცხოვრეთ და გაძლიერდით.

— კარგი, ნუ ფიქრობ მაგაზე, — კვლავ აიმედა სუსანამ.

— მე მოვილრე, მივდივარ, დამილოცნიხარ. ერთი ღვინო შემასვი, თუ ქალი ხარ.

— ახლავ, დედი! — სუსანამ საღვინე ჭიქა აავსო, ავადმყოფს მიუტანა, მან გამოართვა, ერთი ყლუბი რომ ჩახვრიბა, ისევ სთხოვა რძალს:

— ახლა მცირე ხანს დამტოვე. იქნებ ჩამეძინოს, მოვისვენო.

სუსანა ფეხაკრეფით გავიდა მერე ოთახში და როცა დაბრუნდა, მოხუცის სხეულიდან სიცოცხლე გაპარული დახვდა. ერთი შეიცბადა, ის იყო გიგოც შევიდა. შეიღმა გააწორა დედის ნეშტი, გულზე ხელები დაუკრიბა, თვალუბი დაუხუჭა, მერე მოწყვეტილი დაეშვა მახლობელ სკამზე.

„შენც წახვალ, ყველანიც წავლენ“, — ესმოდა სუსანას ყურში დედამთილის უკანასკნელი სიტყვები.

უეცრად იმასაც უღალატა ღონემ, ჩაიჩოქა და აქვითინებულმა თავი დასდო ქმრის მუხლებზე, შეძრწუნებულმა დედამთილის სიტყვებითა და სიკვდილით, უფრო კი სინანულით.

— ეჰ, წაქიდა, მოგვეცილდა, — ჩაილაპარაკა სასოწარკვეთით გიგომაც და ცოლს ბავშვივით დაუსვა თმაზე ხელი. მერე გული ამოუჯდა, აბლაღლდა შემზარავად, საშინლად.

ნუგეზისმცემელი ჯერ არც-კა იყო ვინმე მახლობლად, რომ ადლით ხელში მეკუბოვე შემოვიდა. მან შეუბრალებლობით გვერდი შეუარა და მკაცრად დასაძინებლად დაიწყო. ადლით ნუგეზი ზომა აულო, ნელა გავიდა აივნზე და მკაცრად დასაძინებლად დაიწყო. ცქერა ცოლ-ქმარს. ისინი ხმამაღლა ტიროდნენ. ყველაფერი როგორ იყო, მამასადამე. გამოეცადა მეკუბოვეს: დააცადე ადამიანს დარდით გულის მოხება, ეს ისევე სასარგებლოა მისი სიცოცხლისათვის, როგორც სიზარულით გამოდგება. მკედრის ადლით აზომვა-კი ეს იმისი, მეკუბოვეს საქმეა. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

ავადმყოფი ხელშეშობით ნაშუადღევს გარდაიცვალა. ნათესაებებთან მოთათბირების შემდეგ გიგომ და სუსანამ გადასწყვიტეს დედა დეკრძალათ შაბათს.

დიდი თანხა გამოჰყო სამარხად, საწირავად, პანაშვიდებისათვის და ქეღები-სათვის, მთელი მარხა მიიბატეა.

შაბათ საღამოს გაიტანეს ცხედარი, სემინარიის ქუჩით გაატარეს კვერნაყის ყალთისაკენ. მიღეთმა ხალხმა მოიყარა თავი სამარხთან, რბილ მიწაზე იდო დახურული კუბო. დამშვიდობნენ ცირისუფალნი და წინ ნიჩბებით წამოდგნენ მესაფლავენი. მაგრამ თომა დეკანოზი შედგა ვასოს საფლავის ქვაზე და მორწმუნეთა სახელით რამდენიმე სიტყვა წარმოასთქვა.

ყველას ეგონა ამით დამთავრდებოდა დაკრძალვა და ყველამ თითო მუჭა მიწა აიღო ხელში, ის მიწა, რასაც მიყარა ზოლმე სამარხში ჩასვენებულს და თან ვტყვიან, „მიწა ხარ და მიწად იქცეო“. ასტლიცი იქ იყო, მანაც აიღო ხელში მიწა მარცხენათი, მარჯვენათი კი ბავშვი ეჭირა. უეცრად კვლავ საფლავის ქვაზე შესდგა ევრობულ სამოქალაქო ტანისამოსში აქტიორივით გამოწყობილი კაცი. სახე გააბრუსული და გაბუღრული ჰქონდა. ერთ ხელში ქოლგა ეჭირა, მეორეში ფეტრის ქუდი. უცხოთა სიტყვა დაიწყო. უყურა, უყურა ასტლიცმა უცხოს, მიწა ხელიდან გაუცვივდა. იცნო და ვერც იცნო. ნუ თუ ის არის. ის არის ნამდვილად. ისევე დაიხარა და ახლა მრგვალი რიყის ქვა აიღო. ერთმა აზრმა გაურბინა თავში — ეთხლიშნა რიყის ქვა მისთვის. ნამდვილად ის იყო, ერასტი დვალი. კაცის ასე გამოცვლა? ჰკვირობდა ასტლიც. უეცრად ისევე წინ გაიხედა, გაკვირვებულ ვაყის თვალებს შეეფეთა. ასტლიცს სახე შეეშალა, წაბოროტდა და კიდევ კარგი, მახლობლად საფლავის ქვაზე ჩამოჯდომა მოასწრო. რას ამბობდა ერასტი, ველარ გაარჩია. გიგოს ღრიალიც მოესმა, მაგრამ ამ დროს კუბოზე მიწისა და ქვის ბრახუნმა ყველაფერი დაფარა.

ქვა კიდევ ხელში ეჭირა ასტლიცს. არ უშვებდა. ხალხი რომ დაიშალა, სათუთად გაახვია ცხვირსახოცში. შინისაკენ გასწია ტკივილებით დარღებულმა, გონება-აფორიაქებულმა.

(დასასრული იქნება)

პარსი-ბიზი ზეული

## ღ რ უ ბ ე ლ ი

ეს მე მომაქვს შხაუნა ყუაველები სააკურად, —  
შორი ზღვიდან ვატარე.  
მე ჩრდილი მაქვს მარადი, მზისგან ფოთლებს ვფარავდი,  
როს ეძინათ პატარებს.  
ფრთებს დაებერტყავ ცვარიანს, კვირტებს გაუხარიათ,  
თვალს ახელენ ჩვილები.  
მიწა შემობრუნდება, მზის ალერსი უნდება,  
და ხარობენ შვილებიც.  
მე ჯაქვი მაქვს წყობილი, — სეტყვა ჩემი შობილი  
ველს შოვფინე ციმციმით.  
შემდეგ განა ვისვენებ, წვიმად გაქცევ ისევე  
და ქუბილში ვიციანი.

ციდან მოვალ ქვევითა, მოვალ თოვლის ფრქვევითა,  
ნაძებებს დაძრის სიმძიმე, —  
კენესენ.... მე კი გამიშვით, თოვლის თეთრი ბალიშით  
ქარის მკლავზე ვიძინებ.  
მალა ჩემი მმართველი, თვითონ ელვა ნათელი  
ცის კოშკებში ბზინვარებს,  
და ქუბილი დიდგული ჩემს ფეხებთან მიბმული  
არ ისვენებს მძვინვარე.  
მივალ მალა, ფრთებსა ვწლი, ხმელეთზე და ზეცაში  
მყავს მესაჭე ქებული.  
მას ეძახის გულისხმა, სული სიყვარულისა  
ზღვაში ჩაბუდებულნი.  
და დაეძებს გაბმულად, თუ სად დაისადგურა,  
რა საფარში იქნება.  
მთებზე, ტბებზე, ველადა მიქარის საძებნელადა;  
ან მე რა მეფიქრება.  
ლურჯ ლაყვარდში ვისვენებ, ვიდრე იგი ისევე  
წვიმად გარდაიქმნება.





სისხლისფერი ალებით, მეტეორის თვალებით  
 დილა ფრთებს შლის აფრებად.  
 მოდის, უფრო დიდდება, მხრებზე წამყვდება  
 და მთიებიც გაქრება.  
 ასე მხნე და ძლიერი, მედიდური იერით  
 კლდეზე ჯდება არწივი.  
 ფრთები ოქროდ ირხევა, და ციცაბო ირყევა  
 ზეცისაკენ აწვდილი.  
 ჩამავალ მზის ჩქერების, უნაზესი ფერები  
 ზღვამ თუ ამფატარა:  
 მიწა ნათელ ჩრდილში დევს და ქვეყანას სიმშვიდე,  
 სიყვარული დაფარავს.  
 მეც ვიძინებ ნუგეშით, ჩემს ჰაერის ბუდეში  
 როგორც მტრედი პატარა.

მოდის თეთრი ასული, ცეცხლით შემოფარსული,  
 ჩვენში მთვარედ ხმობილი,  
 ძირს იშლება ულვეი მატყლის რბილი ქულები,  
 ქარის გადაწყობილი.  
 უბილავი ფეხების იდუმალი შეხებით  
 (ხმა არ ესმის არავის  
 გარდა ანგელოსების) შუქთა გასხივოსნებით  
 დამიწეწა კარავი.  
 მე ჩემს დაშლას ვუნდები, ცაზე ოქროს ფუტკრების  
 ტრიაშული იწყება.  
 დავგმე სახლი ქებული, ქარის ჭმენებული,  
 მანდა თავდავიწყება, —  
 ვიღრე ვით ცა მზინვარე, დაბლა ზღვა და მდინარეც  
 მთვარით მოიკირწყლება.

მე მზის ტახტი ვაშენე, მთვარეს წელზე ვამშვენე  
 მარგალიტის არშია;  
 ვარსკვლავი ვერ კამკამებს, ვულკანი კი კანკალებს  
 ფრთებს რომ გაეშლი ქარშია.  
 სად არ დავალ სად არა, ზღვებზე ხიდის დაგვარად,  
 ვღგები მთების სვეტებით;  
 ბნელი ქერის ფარებით, სხავებს ავეფარები  
 და ძირს დავეხეტები.  
 ცეცხლით, თოვლით, ქარებით მივალ, მივეჩქარები  
 და როს მოითენება  
 მძლე ჰაერის ძალები, მალიონი თვალებით  
 ცისარტყელა ენთება.  
 სველი მიწაც ციმციმით, ნეტარების სიცილით  
 ზეცას შუუერთდება.



მიწის და წყლის ასული, გამზრდელ ცასთან წასული  
 ხმელზე, ზღვებზე ვნავარდობ.  
 ათასგვარად ვიცვლები, რად არ გადავიტყვი  
 და არ ვკვლები არასდროს.  
 როცა წვიმა მშვიდდება, ცის ლაქვარდი ბრწყინდება  
 არ ჩანს ჩრდილიც კი არა,  
 ქარის ხელით შენდება და სხივებით მშვენდება  
 ცის გუმბათი კრიალა.  
 მე შორიდან გულსივი, ჩემს კენოტაფს ვუცინი, —  
 ცას ლაქვარდით შენაფერს.  
 როგორც ყრმა იზადება, როგორც ლანდი აღგება  
 ეღვები, ვანგრევ ყველაფერს.

თარგმანი ინგლისურიდან ალექსანდრე საჯაიასი

## ათასნი ღაეხეიან<sup>1</sup>

თამი შიქიძე

განაღმრეტება

ჩამოვთვალე თუ არა ეტაპები წამებისა, რომელიც დაიწყო იმ დღით ვერიერში და დამთავრდა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში? იენისის იმ გრილი დღის შემდეგ, როდესაც ლეიტენანტ სენ-ბრისთან ერთად ვერიერიდან გამოვედი, ერთხელაც აღარ დამინახავს მტერი. ეს იყო სწორედ უცნაური ჩვენს გამოქცევაში. მთელი არმია გამოვრბოდა უხილავი შტრისაგან. ხოლო მეორე არმია ზეიმობდა და დასცინოდა მოწინააღმდეგეს, რომელმაც უბრძოლველად აღიარა თავი დამარცხებულად.

პოლკოვნიკი და მასთან ერთად ჩვენი პოლკის ნაშთები ვიპოვეთ ვერიერის სამხრეთით, ამ ქალაქიდან თერთმეტ კილომეტრზე, პასაევანში, ბაჭირივით გაჭიმულ ვიწრო სოფელში. ჩემი ასეულის გადარჩენილ ჯარისკაცებს თავი შეეფარებინათ შუა სოფელში მდებარე ფარდულისათვის. უკანასკნელი დღენახევარი იმავე ფარდულში გაატარეს მეთვრამეტე პოლკის ბატალიონის — „მხიარული ბიჭების“ ბატალიონის — ნაშთებმა.

გზაზე სოფლამდე მოულოდნელ მიხარულს წავაწყდი. შეგვხვდა ბრეტონელს, რომელიც მთელი ოთხი კვირის განმავლობაში თავისი ტანკაწინააღმდეგო ქვემეხებით ჩემი სამეთვალყურეო საგეშავას მახლობლად იდგა. მივესალმენით ერთმანეთს როგორც ძველი მეგობრები. თავისი პოლკის სხვა არტილერისტების დახმარებით მას უნდა მოეწყო „ტანკების შესაკავებელი ლობური“, რადგან მიღებულ იქნა ბრძანება პასაევანში მტრის შეჩერების შესახებ. ასეთი ლობური წარმოადგენდა მაკრატლით ადვილად გადასაჭრელ ეკლიან მავთულს და უპატრონო ფერმებიდან წამოღებულ რამდენიმე გუთანს. ამ გუთანებს ისეთი კონსტრუქცია ჰქონდათ, რომ ტანკის გამძვრელი ვერ გადალახავდა მათ. თუ გამოცდილი სპორტსმენი არ იყო ან თუ არ მიხვდებოდა, გადამოხტარიყო ტანკიდან და გადაეყარა გზიდან გუთანები. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები მტერმა ხელში ჩაიგდო სენტ-მენეგულდის ჩრდილოეთით.

მაროკოელთა ასეული სწორედ იმ დღეს უნდა გასულიყო ჩვენი ფარდულის მეზობლად მდებარე ფერმიდან. ისინი ეზოში ისხდნენ და კმაყოფილებით შეეჭყეოდნენ ხილის კომპოტს. ღამიზად დახვეულ დოღბანდებზე ფოლადის მუხარადები ეხურათ. ყოველ მაროკოელს ხელში თავმომტვრეული ბოთლი ეჭირა, საიდანაც თითებით ალუბალს, ქლიავს და კინკრიყს იღებდა. ყოვე-

<sup>1</sup>) იხ. „მთაბი“, №№ 6, 7, 8.



ლი ჯარისკაცის წინ ხუთი-ექვსი ასეთი თავმოტყვეული ბოთლი იდგა. —  
ვეები მოემტვრიათ რამდენიმე მარცვლის გულისთვის.

ეს ადგილი მასსა და მარნას შორის ცნობილია ხილის სიუხვეით. —  
სები ხილის კონსერვებს ჩვეულებრივად ღვინის ბოთლებში ამზადებენ.  
არ ვიცი, როგორ ახერხებენ ისინი ხილის ჩაყრას ვიწრო-ყელიან ბოთლებში,  
მაგრამ ამოდების დროს რომ საჭირო ხდება თავის გადამტყვევა, ეს ამკარაა.  
სარდაფებში ასობით უყრიათ ასეთი ბოთლები, და მაროკოელებიც უხვად  
უმსპინძლდებოდნენ თავიანთ თავს ამ „კომპოტ ასორტი“. წასასვლელად  
გამზადებული მაროკოელები ეზოში ისხდნენ.

თვით სახლი აუწერელ მღვთმარეობაში იყო. ლეიბები იატაკზე ეყარა. დი-  
დი მამა-პაპეული საათი გამოფატრული ეკიდა. მაგიდაზე წერილების, სუ-  
რათების, კალენდრების, ზეწრების, პირსახოცების, ძაფის კოჭების ზროვა  
იდგა. საწოლებზე დამტყვეული ბოთლები მიმოფანტათ. ყველაფერი თამ-  
ბაქოს და სიროფის სუნით იყო გაყენილი, ყველგან კომპოტი იყო და-  
ღვრილი.

არც ერთ მაროკოელს ფრანგული არ ესმოდა. ვიბოვნე კაპრალი და ვკით-  
ხე, სად იყო მათი ოფიცერი. კაპრალი ხანში შესული კაცი რყო გრძელი შა-  
ვი წვერით და ლამაზი ცხვირით. თავზე ყვეთული ამრეშუმის დოლბანდი ეხუ-  
რა. ჩემ კითხვაზე ღიმილით თავი გააქნია.

— ოფიცერი მანქანით წავიდა, — მომიგო მან. — სამი დღეა, რაც წავიდა.  
სამი საათის შემდეგ დაებრუნდებიო, სთქვა, მაგრამ არ დაბრუნებულა. გაფ-  
რინდა, როგორც ჩიტი, აი ასე, — და ხელებით მაჩვენა ჩიტის გაფრენა. —  
ჩვენ მარტონი ვართ. საათს არ ვითვლით. საათი გაჩერდა, — ხელი გაიშვირა  
გამოფატრულ საათისაკენ. — ახლა ჩვენც ჩიტებს ვგვყართ. აი ასე...

— რატომ არ წახვალთ?

სუფრაზე მიმიითია.

— საქმელი აღარა გვაქვს. აღარც სასმელი გვაქვს.

— სად მიდიხართ?

ბასუბი არ გამცა. ერთბაშად დამუნჯდა. სამაგიეროდ მისი გრძელი ვიწრო  
თვალები გაფაცოცებით იყურებოდნენ. თითქოს რაღაც მოესმაო, რაც ჩემს  
ყურამდე ვერ აღწევდა. ეზოში გავიდა და ცას მიაშტერდა. მერე რაღაც  
უთხრა ამხანაგებს. ვერ გავიგე მისი სიტყვები, მაგრამ მაროკოელები ერთ-  
ბაშად მუხლებზე დაეცნენ და, აღმოსავლური ლოცვის რიტუალის მსგავსად,  
რიტმიულად იწყეს ქანაობა. ხელებს ხან გულზე იცემდნენ, ხან წინ  
იშვერდნენ.

— სახლში შედიო! — შევიძახე მათ და თავათაც აკლებულ სასაღილო  
ოთახში შევეარდი.

მაგრამ არავინ არ გამომყვა. ცხრა გერმანული თვითმფრინავი, სამ სწორ  
სამკუთხედად დაწყობილი, თავზე დაგეტრიალებდა. პლოცაც მაერებს შეემ-  
ლოთ გაეცათ არა მარტო თავიანთი თავი, არამედ პასაჟანში მყოფი მთელი  
დანარჩენი ჯარიც. ისინი-კი ადგილიდან არ იძროდნენ. ხან დაიოქილნი, ხან  
მიწაზე გართხმულნი ბუტბუტებდნენ თავიანთ ლოცვებს. დრო-და-დრო  
ყურებს თავიანთი მოხდენილი თითებით იფარავდნენ. შემდეგ კვლავ მიმარ-  
თავდნენ ლოცვით ყოვლისშემძლე ალაჰს. სიჩქარეში რამდენიმე კომპო-  
ტიანი ბოთლი გატყვეს. მუხლის თავები შუშის ნამსხვრევებზე ედოთ, სახე-  
ები სქელი მუქი სიროფით ჰქონდათ მოსვრილი. მოტორების მონოტონური

გუგუნი ლოცვის მონოტონურ მოთქმას უერთდებოდა. ბოლოს გერცხლის-ფრად შოკლვარე გერმანულმა თვითმფრინავებმა თავზე გადააგდეს. თვითმფრინავებმა ისე განაგრძეს გზა, რომ ყურადღებუ-ცის. მაროკოელები ფეხზე წამოდგნენ და არაჩვეულებრივი სისწრაფით შეუდგნენ სამგზაქრო მზადებას. უეცრად საიდანღაც გააჩინეს სამი თუ ოთხი საბავშვო ეტლი. იყო მათ შორის თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი ეტლები. ერთი იყო მეტად მოხდენილი და პატარა, თითქოს ტიკინების ეტლიაო. ამ საბავშვო ეტლებში მაროკოელებმა სურსათ-სანოვავე ჩაალაგეს: კომპოტის ბოთლები, ღვინის ბოთლები, ყველის პატარა ყუთები, ორი-სამი საბანი და ზოგი რამ სხვა უმნიშვნელო ნივთი. იმავე საბავშვო ეტლებში ჩასდეს ყველა პრეყვილა ნივთი. გრძელწვერა კაბრაღმა, ალბათ, ერთად-ერთმა უფროსმა, რომელაც მაროკოელებს შერჩათ, გზად გასვლის ბრძანება გასცა. იმავე წუთს ყველამ ქოლგა ვაშალა. მხოლოდ მაშინ შევინშნე ის ქოლგები. მაროკოელებმა, ალბათ, დაიტაცეს ყველა ქოლგა, რაც-კი სოფელში მოიპოვებოდა, და ახლა ამ ქოლგებით მზისგან სახეს ირდილებდნენ (უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ არა ერთხელ შემიინშნავს, რომ ესპანელები, აფრიკელები და სამხრეთის სხვა მცხოვრებნი ნაკლებად იტანენ მზის სიცხეს). ასე ფავიდნენ პასაენიდან საფრანგეთის კოლონიების მუქკანიანი ჯარისკაცები. ფავიდნენ უუფროსებოდ. არა ჰყავდათ მათ არც უნტერ-ოფიცრები და არც ობერ-ოფიცრები. ერთად-ერთი მათი უფროსი გრძელწვერა კაბრაღი იყო, რომელსაც აბრეშუმის ყვითელ დოღბანდზე ფოლადის მუზარადი ჰქონდა ჩამოკმული და რომელსაც მარჯვენა ხელში კარაბინი ეჭირა, ხოლო მარცხენაში — ქოლგა. შავვერემანი ჯარისკაცები ქუჩაში ბაწარალებით მიდიოდნენ, კედელ-კედელ და წინ თავიანთ საბავშვო ეტლებს მიავორებდნენ.

ეს სანახაობა სსიამოვნოს არაფერს წარმოადგენდა, ამიტომ ისევე ჩემს ფარდულს დაეუბრუნდი. ღვინომ, პატარა, ქერა-თმიანმა ღვინომ, რომელიც სენტ-მენეგულდის ამბებს, საბედნიეროდ, ცოცხალი გადაურჩა, ახალი ამბავი დამახვედრა — ჩვენ ამჟამად, ალბათ, ამ სოფელში დაერჩებიით. უკანასკნელ ეამს ხმა ვავარდა, რომ ჩვენი პოლკოვნიკი გადააყენეს და იმის ნაცვლად დღეს ახალი უნდა მოვიდესო. იმ დამეს ჩალაზე წამოვიწეკი ღვინის გვერდით.

ჩვენს ირგვლივ „მზიარული ბიჭები“ ისვენებდნენ — იყვნენ ან ბანქოს თამაშობდნენ. სწორედ ჩემს გვერდით ჩალაზე იჯდა და წერილს სწერდა მათა ლეიტენანტი. გამხდარი ყაცი იყო, სახეს სწორი და მტკიცე ნაკვთებით და იმდენად ცისფერი თვალებით, რომ გამჭვირვალედ ეჩვენებოდნენ ისინი კაცს. დაღუმებული იჯდა. დროგამოშვებით თავს ასწევდა და თავის ჯარისკაცებს გადახედავდა ხოლმე. რაღაც უნდობლობა გამოსჭვივოდა ამ გადახედვაში. თუ ვინმე მიმართავდა, იგი თანხმობის ან უარყოფის ნიშნად თავს დაუქნევდა მხოლოდ, იმ ადამიანივით, რომელსაც ეშინიან გაუფრთხილებული სიტყვით რაიმე საიდუმლოება არ გასცეს. არ შეგხვედრივარ სხვა ოფიცრს, რომელიც ისე დაშორებული ყოფილიყოს თავის ჯარისკაცებს, როგორც ეს ლეიტენანტი. როგორც ლეიტენანტი, ისე ჯარისკაცები სსა-ჯელს იხდიდნენ. ესეც არ იყოს, მას ზომ მუდამდღე უხდებოდა თავის ჯარისკაცებთან ყოფნა და მათთან ერთად ჭამა და სმა.

წამოდეკი და, თუმცა აკრძალული გვექონდა, გარეთ გავედი რაიმე ამბის ვასაგებად. სწორედ მაშინ, როცა მე გავედი, სენტ-მენეგულდის გზიდან მოტოციკლისტმა ვადმოუხვია.

— ხომ არ იცით, სადა დგას მეთურამეტე მსროლელი პოლი? — შეიშინა მან.

— ეცი. სწორედ აქა დგას, ფარდულში.

— არის თუ არა მათთან ოფიცერი?

— არის, უფროსი ლეიტენანტი.

— გვედრებით, სთხოვეთ გამოვიდეს. უზომოდ დავიღალე და ძალზე მეჩქარება.

— კეთილი, ვთხოვ.

ფარდულში დაებრუნდი. ლეიტენანტმა წინადადება წერტილამდე მიიყვანა, მუდმივი კალამა ტარში ჩაუშვა და წერილები იქვე მაზარის ქვეშ ამოსდო, მერე ერთად გარეთ გავედით. მოტოციკლისტმა დალუქული კონვერტი გაუწოდა. ოფიცერმა კონვერტი ვახსნა, ქალაღი ამოიღო, სწრაფად წაიკითხა და მტკიცე ნაბაჯით ფარდულისკენ წავიდა. კარებში შეჩერდა და მიმოიხედა. მის თვალეში კვლავ უნდობლობა გამოსჭვიოდა — იგი თითქოს დაეძებდა ისეთ ვინმეს, ვინც ზურგიდან დაიკავედა მას. შემდეგ სწრაფად დაგადაწყვეტით ტაში შემოჰკრა:

— Allons-y, messieurs! წავიდეთ, ბატონებო!

გაისმა დრტინვა, თითქოს გამოძახილიო. დრტინვა მთელ ფარდულს მოედვა. ამ დროს სუფთა ფორმაში გამოწყობილი გამხდარი ლეიტენანტლომების მომთვინიერებელს ჰგავდა.

— სად უნდა წავიდეთ? — იკითხა ვილაყამ.

ოფიცერმა მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა:

— სოფელი უნდა დავიცვათ.

ძალიან ცოტანი წამოდგნენ. ზოგმა თოფს დაავლო ხელი. უზარმაზარი მზარბეჭიანი ახალგაზრდა ადგილიდან არ დაძრულა, იგი კვლავ განაგრძობდა წოლას. ლეიტენანტი მასთან მივიდა და გაქიმულ ფეხებზე გადალაჯა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. მერე კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა. მაზარა ჩაიკეცა, სარტყელი შეიკრა და რევოლვერი შეატრიალა. ამის შემდეგ თავი მოუყარა წერილებს და იქვე გვერდით ბორბალზე დასდო. ისე დასდო ბორბალზე, თითქო საფოსტო ყუთში ჩაუშვაო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმაკრინტი არ დაუძრავს: ისე ჰქონდა პირი მოკუმული, როგორც მკვდარს.

ახლა ყველანი ოფიცერს შესცქეროდნენ. მე და დეზი კარებში ვიდექით. ლეიტენანტი ჩვენ მოგვიახლოვდა. გაჩუმებული იდგა, რევოლვერით ხელში, თითქოს დაავიწყდაო მისი ბუდეში ჩადება. მზარბეჭიანმა, გრძელფეხებმა ახალგაზრდამ ერთი შეიგინა და ზეზე წამოდგა.

— მომყევით თითო-თითოდ! — უბრძანა ჯარისკაცებს ლეიტენანტმა.

ხმა ლითონივით უწყრიალებდა. მაგრამ ისეთივე არაბუნებრივი ჰქონდა ხმა, როგორც თვალეში. ქუსლებზე შეტრიალდა და ფარდულიდან გავიდა. „მზიარული ბიჭები“ ხანტად გაჰყენენ უკან. ერთი მეორეს მისდევდა. ჯაჭვივით გაიქიმნენ. ცოტა ხნის შემდეგ მარცხნივ შეუხვიეს, სოფლის თავისკენ, იქითკენ, სადაც ტანკების შესაყავებელი ლობურა იყო გამართული.

ოცდათექვსმეტი საათი დაეკარგეთ პასაჟანში.

ამ ოცდათექვსმეტი საათის ფტყუარ ისტორიას უნდა ვუმაღლოდე მის ერთ-ერთ მონაწილეს. გადმოგვით მოკლედ ამ ისტორიას, არც არაფერს მიუუმატებ და არც არაფერს დაეაკლებ.

პოლკოვნიკი დე ბიუისი თავისი პოლკით გამორულად იცავდა სენტ-მენე-გულს. დე ბიუისი სამოცი წლის კაცი იქნებოდა. პირველსავე მომენტში იგი შეიდეჯერ დაიჭრა. თვრამეტი წელიწადი მან აფრიკაში მსახურობა უცხოელთა შერთხე ლეგიონს მეთაურობდა. ამ ამის დასაწყისში უკვე პენსიაზე გადასულმა პოლკოვნიკმა მიატოვა თავისი სახლი ლილში და სურვილი განაცხადა, გამოეყენებინათ იგი საფრანგეთის სამსახურში. მიიღეს რა მხედველობაში პოლკოვნიკის გამოცდილება და დამსახურება, იგი დაუყოვნებლივ დანიშნეს უცხოელ მოხალისეთა პირველი პოლკის, შემდეგში ოცდამეერთე პოლკის, უფროსად. დე ბიუისი კავალერი იყო საპატიო ლეგიონის და ყველა სხვა ორდენისა, რომლის მიღებაც-ი შეეძლო ფრანგ ოფიცერს.

პოლკოვნიკმა დე ბიუისიმ ბრძანება მიიღო—გამოცხადებულიყო პასაევანში საღამოს ცხრა საათისთვის. უნდა გამოცხადებულიყო იგი წინა დღეს, როცა მე და სენ-ბრიუსი ამ სოფელში მივედით. გენერალი, ბრიგადის უფროსი, პოლკოვნიკს ნოტარიუსის სახლში უცდიდა. მაგრამ გენერლის მიერ შედგენილი ვანოვების მიხედვით შეუძლებელი გახდა ბრძოლის შეჩერება სენტ-მენეგულში. რათა ნაწილობრივ მაინც დაეცვათ და დაეფარათ უამრავი პოლკის სამხრეთისკენ დახვევა, მტერი უნდა შეეჩერებინათ როგორც სენტ-მენეგულში, ისე მის მიდამოებში. ყველა ამის გამო პოლკოვნიკი დე ბიუისი პასაევანში მოჰხვდა მხოლოდ მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე, პასაევანს მან მიაღწია ქვეითად, მთლად ძალ-ღონე გამოუღებლმა და სასწაულებრივად გადაარჩენილმა სიკვდილს. ლეიტენანტი კოსტა, მამაცი ვორსიკანელი, ჩვენი მოტოციკლისტების—ნუ დაივიწყებთ, უმოტოციკლო მოტოციკლისტების—უფროსი დაიღუპა ბრძოლაში მოწინააღმდეგის თვალწინ, სულ რამდენიმე ნაბიჯზე მისგან.

გენერალსა და პოლკოვნიკს შორის ასეთი ლაპარაკი ჩამოვარდა:

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — რატომ გამოცხადდით, პოლკოვნიკო, ასე გვიან?

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — ვიცავდით სენტ-მენეგულს, ვიცავდით იმდენხანს, რამდენხანსაც შესაძლებელი იყო.

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — შეგეძლოთ დაგეხიათ ბევრად უფრო ადრე. უკვე გავიდა ოცდაერთი საათი, რაც გიცდით.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — ბოდიშს ვიხდი. ვცდილობდით წინააღმდეგობა გავეწვია. საუბედუროდ, როგორც მოგეხსენებათ, იარაღის ნაკლებობას ვანიციდით.

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — რამდენია მოკლული?

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — ხუთას კაცამდე იქნება. ნორმალურ შეიარაღებისას ოთხასი კაცით ნაკლებს დაგეარგავდით.

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — ხუთასი ებრაელით ნაკლები იქნება.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — ებრაელები ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვები. ვარდა ამისა, კათოლიკე იმდენივე დაიღუპა, რამდენიც ებრაელი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — ძალიან ცუდად გამოიყურებით, პოლკოვნიკო.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — დავიღალე.

გ ე ნ ე რ ა ლ ი: — კეთილი. ქალბატონ დე ბიუისის გაახარებს თქვენი დაბრუნება.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: — გინდათ სთქვათ, რომ გადაყენებული ვარ თანამდებობიდან?

გენერალი: — მე მინდა ვთქვა, რომ ერთი საათის შემდეგ სანიტარულ-  
 ლი მანქანით მშვიდობიან სამხრეთისაკენ გაგამგზავრებთ.

პოლკოვნიკი: — გმადლობთ, მაგრამ მე ავად არ გავმხდარა ვერცხულში  
 დაკრილი ვარ. ამ პოლკში მე მისი არსებობის პირველ წუთიდან ვსასაბურენ  
 და განზრახული მაქვს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავრჩე ჩემს ჯარისკა-  
 ცებთან. ჩემი პოლკი გმირულად იბრძოდა. ვიმედოვნებ, რომ დავიმსახურე...

გენერალი: — რამდენი წლისა ბრძანდებით პოლკოვნიკო?

პოლკოვნიკი: — ორმოცდა თვრამეტისა.

გენერალი: — უკვე დამსახურეთ დასვენება, ჩემო ძვირფასო დე ბიუ-  
 ისი: ნერვები გაქვთ აშლილი. ერთი საათის შემდეგ ზურვისკენ გაუდგებით  
 ვზას. ერთი საათის შემდეგ მოვა პოდპოლკოვნიკი ლანდრი.

პოლკოვნიკი: — მაშასადამე, ჩემს ადვილზე უკვე დანიშნულია სხვა?

გენერალი: — დიალ, იმედი მაქვს დასტკბებით დამსახურებული დასვენებით.

პოლკოვნიკი: — ეგ ბრძანებაა?

გენერალი: — დიალ.

პოლკოვნიკი: — გემორჩილებით, მაგრამ პროტესტს ვაცხადებ.

გენერალი: — დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი დე ბიუისი პრო-  
 ტესტს არ განაცხადებს, როცა შინ დაბრუნდებით.

ერთი საათის შემდეგ ჩვენი პოლკოვნიკი უმაღლეს სარდლობის მიერ გა-  
 მოგზავნილ სანიტარულ მანქანაში ჩასვეს და კომერსში გაისტუმრეს, შტა-  
 ბის დივიზიამში. პოლკოვნიკი საკაცით შეიტანეს იმ დარბაზში, სადაც ორი  
 გენერალი საუბრობდა: ბრიგადის უფროსი და დივიზიის უფროსი. ოთახი  
 დიდი იყო და გენერლებს ეგონათ, ალბათ, რომ პოლკოვნიკს არ ესმოდა მა-  
 თი ლაპარაკი. გარდა ამისა, პოლკოვნიკმა დე ბიუისიმ თავი მოიმიწინარა.

აი რა გაიგონა მან:

ბრიგადის უფროსი: — პოდპოლკოვნიკი ლანდრი თავისი მოვალე-  
 უბის შესრულებას შეუდგა.

დივიზიის უფროსი: — პოლკოვნიკმა დე ბიუისიმ სისხლი გამიშროს სწორედ.

ბრიგადის უფროსი: — წარმოიდგინეთ, წინააღმდეგობის გაწევა  
 მოისურვა.

დივიზიის უფროსი: — ეგ ვაებატონები უცხოელთა ლეგიონიდან,  
 გამოუყლებლივ ყველანი, პოლიტიკური ინტრიგანები არიან.

ბრიგადის უფროსი: — მაშ რა უნდა დაეწერო მოხსენებაში?

დივიზიის უფროსი: — აბა რა ვიცი.

ბრიგადის უფროსი: — სთქვა, პროტესტს განაცხადებ ავადმყო-  
 ფობის გამო ჩემი გადაყენებისათვისო.

დივიზიის უფროსი: — ჩომ ვსთქვი, მაგ კაცმა სისხლი გამიშრო-  
 მეთი. ძნ საყსებით შეეგუა იმ არაშაადებს, ვისაც მეთაურობს. ნუთუ ვერა-  
 ფერს გამოიგონებთ? ისეთ რამეს, რაც ჩირქს მოსცხებდეს?

ბრიგადის უფროსი: — ვერაფერს. გადავაქოთუ მთელი მისი ბარგი-  
 ბარხანა, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვნე, გარდა...

დივიზიის უფროსი: — გარდა?

ბრიგადის უფროსი: — ვერაფერი, გარდა ცარიელი ბოთლისა.

დივიზიის უფროსი: — სპირტის-ბოთლისა?



ბრიგადის უფროსი: — შეიძლება სპირტისაც იყო.

დივიზიის უფროსი: — საუცხოვოა! დასწრეთ, მაგარე, მძევლების გადაქარბებით ხმარებამ გვაიძულა გადაგვეყენებინა თანამდებობის მფლობელები.

პოლკოვნიკმა დე ბიუსიმ ბოლომდე მოისმინა მთელი საუბარი. ბოლოს თვლები გაახილა. ბრიგადის უფროსი საკაცესთან მივიდა. განუცხადა, ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ დამსახურებული დასვენება გამოვითხოვეო თქვენთვის. ჰკითხა, მოახერხა თუ არაო ქალბატონმა დე ბიუსიმ პერპინიანში ჩასვლა. ბოლოს წასწორა, მხედველობაში მივიღე რა თქვენი პოლკის გმირული მოქმედება, განვიზრახე უმაღლეს ჯილდოზე წარგადგინოთო. დე ბიუსიმ პასუხი არ გასცა. როცა გენერალი გაჩუმდა, პოლკოვნიკმა ჰკითხა: — ხომ არ უნახავთ ჩემს ნივთებში ბოთლი, იოდის ბოთლი? აფრიკაში მიეჩვიე იოდს. მუდამ თან დამაქვს.

დარცხენილმა გენერალმა ერთი-ღა მიუგო მხოლოდ: ახლა იოდი აღარ დაგვირდებათო.

იმავე დღეს პოლკოვნიკა პოლ დე ბიუსი სამხრეთისაკენ გაისტუმრეს. ჩვენ ახალი მეთაური დაგვინიშნეს. შემდგომმა ვითარებამ ცხადჰყო, რომ ახალმა პოლკოვნიკმა იცოდა სიტყვის დაცვა, და სარდლობას სანანებლად არ დარჩენია მისი დანიშვნა: პოლკოვნიკ ლანდრის არაერთგვაროვნება არ გაუწევია გერმანელებისათვის.

ორ დღეს ვიარეთ თითქმის შეუსვენებლად, და ეს ჩვენი ლაშქრობა დამთავრდა ერთ სოფელში, კომერსიდან ათ კილომეტრზე.

მე კვლავ ქვეითად მიხედებოდა სიარული. პოლკოვნიკ ლანდრის პირველ ოფიციალურ მოქმედებას წარმოადგენდა ჩვენი „რენოს“ კონტისკაცია თავისი საველე სამხარეულოს საჭიროებისათვის. მზარეულმა, უნგრელმა ნიკოლამ მიიღო ინსტრუქცია—დღეში ორჯერ მოამზადოს ხოლმე ცხელი საჭმელი: პოლკოვნიკს კარგი კვება უღარესად საგულსხმო საკითხად მოიჩნდა.

მთელ გზაზე ჯგუფ-ჯგუფად გვხედებოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებნი, სოფლები ცეცხლში ზუზგუზებდნენ. კავალერისტები ქუჩებში გასხტომას ლამობდნენ, მაგრამ ცხენები განზე ზტებოდნენ, ჰაერი გაყრუებული იყო ტიხვინით. ყალბზე შემდგარი ცხენები ფორებსა და ოთხთვალა ურმებს ეხეთქებოდნენ. ქალები კიოდნენ და ხელიდან ბავშვებს უშვებდნენ. ჯარისკაცები ქუჩაში ეცემოდნენ: დაუძლურებულებს, ძალღონე გამოლულებს აღარ შეეძლოთ სიარული და გზის ვანგრძობა.

ყოველი მხრიდან ერთი და იგივე გვესმოდა: გერმანელები მოდიანო. როგორც ამობდნენ, ისინი ჩვენს უკან იყვნენ, ორი კილომეტრის მანძილზე, ჩვენს წინ იყვნენ, ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ. მაგრამ ნახვით არც ერთხელ არავის არ უნახავს ისინი. გზაში საწვავის უქონლობათ მიტოვებული მრავალი მანქანა გვხედებოდა. ბევრი მათგანი სავსე იყო ლოგინით—ლტოლილთა ქონებით. ზოგ მანქანაზე ლეიბების, საბნებისა და ბალიშების ხროვა ცას სწვდებოდა. ერთ სოფელში სამარგო მანქანა სახლის კედელს დასჯახებოდა. მოკლული ჯარისკაცები ისე ეკადნენ, როგორც სახრობელაზე დაეწყებული დასჯილები. საყვირი დაძვწვილიყო, და განუწყვეტილ გუგუნებდა, ისე გუგუნებდა, თითქოს მკვდარი შოფერი და მისი მკვდარი მგზავრები მოუთმენლად მოეღიან კედლის განზე გაწეასაო.

სოფელს ცხელი ფერფლი დასდებოდა. სასწაულს უნდა მიეწეროს, როგორ არ დაეკარგეთ ერთმანეთი ანუ, უფრო სწორედ, როგორ ეტყვიან ერთმანეთის პონას. ჩვენ საბრძოლო ნაწილს აღარ წარმოვადგენდით, მხოლოდ ტოხელა ჯარისკაცები ვიყავით. უმწეოდ მიეჩინა ჩვენდამი დაუსრულებელ შარა-გზაზე.

გერმანელი ბომბდამშენები აღარ იმეტებდნენ ჩვენზე ბომბებს. „მეტერ-მითებიც“—კი იშვიათად თუ დაგვიწყებდნენ ტყვიამფრქვევების სროლას. მასხარად გვიგდებდნენ და ეს სიკვდილზე უარესად მოქმედებდა. ჩვენ ნადირებს წარმოვადგენდით, მაგრამ ყოველ წუთს ვგრძნობდით, რომ მონადირეებს ცოცხლად უნდოდათ ჩვენი თავის ხელში ჩაგდება. თავიანთ ზიზლს ისინი იმაზე უკეთესად ვერაფრით გამოხატავდნენ, რომ ცოცხლებს გეტოვებდნენ. ათასში ერთხელ მესერშიმითი ორ-სამ მეტრამდე ეშვებოდა და ტყვიის წვიმას ასხამდა ჩვენს კოლონას, თითქოს მებაღე სარწყულით კვლებს რწყავსო, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ტყვიის წვიმის შემდეგ სიცოცხლე აღარ ზარობდა. ასეთ სიკვდილში ტრაგიკული არა იყო—რა, იყო მხოლოდ აუტანელი ზიზლი. ჩვენ, ადამიანთა მასა, ვაერბოდით დღის კაშკაშა სინათლეზე, ხოლო ბომბდამშენები ფეხდაფეხ მოგვდევენ, და რომ დაეშინათ ზევიდან, არც ერთი მომბი არ აგვცდებოდა. დროგამოშვებით ცას ავხედავდით, მაგრამ ფარულად, თითქოს ვშიშობდით, მფრინავების ყურადღება არ მიგვექცია. კარგად გვესმოდა, რომ ისინი კეკეშალულობას გვეთამაშებოდნენ. ზოგჯერ ეს მეძებრები გვაგრძნობინებდნენ—თუ მოვისურვებთ, ნაფლეთებლად გაქცევითო. მაგრამ ცოცხლები უფრო შესაქცევარნი ვიყავით, ვიდრე მკვდრები. ასეთი ამბავი საფრანგეთის ყველა გზაზე ხდებოდა.

ბოლოს კომერსიდან ათ კილომეტრზე მდებარე სოფელში დასვენების ნება მოგვცეს. ეს სოფელი განზე მდებარეობდა მთავარ შარა-გზიდან და ჯერ კიდევ მთელი მოსახლეობა არ იყო ევაკუირებული. ჩვენი ნაწილი პირველი შევიდა იმ სოფელში. ორი დედაბერი თავის სახლის წინ იდგა და ელოდა, იქნებ ვინმემ წაგვიყვანოსო. არტილერიისტმა, რომელმაც თავის ფრანს ლაფეტი მიაბა, დაუყვირა მათ:

— აბა, დედაბერებო, ამოცოცდით!

დედაბერებმა ქუჩა გადალახეს. ვარდის ყვავილებით მორთული შავი ჩაღის ქუდები ეხურათ. ეს ყვავილები გახუნებულ გვირგვინებს ჰგვანდნენ, რომლებითაც სამხრეთ საფრანგეთში საფლავებს ამკობენ. ხელში ეჭირათ შავი ტყავის ამბები და ხელსახოცები. ხელსახოცებში გახვეული ჰქონდათ სანოვავე, პირსახოცები და იქნებ მადონის საყვარელი ქანდაკებაც. დასტდნენ და ლაფეტს ხელები მაგრა ჩასქიდეს, თან იდაყვებით სანოვაგიან ხელსახოცებს იმაგრებდნენ. მათი დანაოჭებული სახეებიდან შიშისაგან გაგანიერებული თვალები შემოგვეცქეროდნენ. მაგრამ დედაბრები არა ჩიოდნენ და არა დრტვინავდნენ. ეს აკვირებდა ყველაზე მეტად ადამიანს: გასაოცარი იყო ფრანგების, მეტადრე ფრანგი ქალების მოთმინება. ამ მორჩილებაში ბევრა რამ იყო გმირული. განსაკუთრებით ქალები იტანდნენ ყველაფერს, იტანდნენ მღუმარედ, ხმის ამოუღებლად, უდრტვინელად. არასოდეს არ დამავიწყდება მოხუცი გლეხი ქალი, რომელიც მე და სენ-ბრისმა პასაჟანამდე მანქანაში ჩავისვით. ქალიშვილი და ორი წლის გოგონა, შვილიშვილი. მასთან ერთად გამოქცეულან სოფლიდან, მაგრამ გზაში დაკარგულან. დედაბერი მიინც იმედს არა ჰქარგავდა. დარწმუნებული იყო, რომ სადმე საფრანგეთში იბო-

ნიდა ყველას — ვაეიშვილსაც, ქალიშვილსაც და შვილიშვილსაც. ამ ფრანგ გულხ-ქალებში რაღაც კლასიკური სიღრმე გამოსტკვიოდა. უნდა იხსენიებოდა მისი პირის პატარა ნაკვეთს როდი ებღაუჭებოდნენ, — მაშინვე მსახურს ფესვები საფრანგეთის მთელ სივრცეზე. თუ გერმანელები ამ ფესვების ამრგლეჯას მოსურვებენ, მათ მთლად უნდა განდევნონ ისინი საფრანგეთის ფარგლებიდან.

ის ორი დედაბერი მოქანავე ლაფეტით მოსახვევთან საღლაც გაჭრა. ჩვენ თავშესაფრის ძებნას შევუდექით. ყველგან სანოვაცის სიუხვე იყო. ყველის ქარხნიდან ასამდე ყველის პატარა ყუთი წავიღეთ, ფოსტმეისტრის სარდაფიდან — ღვინო, ხოლო ფერმიდან — კეერცხები. მე ფოსტმეისტრის სახლში მოვეწყე. ამ ფოსტმეისტერმა ფოსტაზე ყველაფერი ისეთ წესრიგში დასტოვა, რომ გული გეტკინებოდათ. უკანასკნელი ფოსტის დარიგება მაინც ვერ მოესწრო. გაეხსენი ბაწარი, რომლითაც მთელი ფოსტა იყო შეკრული. ზვიდან რამდენიმე ვახეთი ვადმოვარდა. ეს ვახეთები მაისის პირველი რიცხვებით იყო აღნიშნული. იღწებოდნენ: ჩვენებმა გერმანელთა პატრული ჩაიგდესო ტყვედ, საერთოდ კი „ფრონტზე მშვიდობიანობა“-ო. ტელეფონის შილს დავაგლე ხელი. გავიფიქრე, რომ ვინმე უსათუოდ გამოემხმარებოდა მათულის მეორე ბოლოდან. ან იქნებ ცოლს გამოვლადარაკებოდი. ვეტყობდი, ყველაფერი, რაც მოხდა, ხუმრობა იყო და ხვალ შინ დავბრუნდები-მეთქი. ვთხოვდი, ამოეღო ჩემი საუკეთესო ტანსაცმელი, ღია-ნაცრისფერი კოსტიუმი. მაგრამ ტელეფონის აპარატი მტრულად მიბღვეროდა. რეზინის შტამპები გაწერთიანილი ჯარისკაცებივით გამწკრივებულყოფნენ მაგიდაზე. მთელ საფოსტო განყოფილებაში პირქელში სიჩუმე იყო გაბატონებული.

მე და დეზი ქუჩის გადაღმა გადავედით, — საპარიკმახეროში შესვლა განვიზრახეთ. ჩემი ამხანაგებიდან ერთად-ერთი დეზი დარჩა ჩემთან. მწვერაგები სენტ-მენეგულდსა და პასაჟანს შორის დაეკარგეთ და მას შემდეგ აღარ შევხვედრივარ აღარც კელენბერგერს, აღარც ექიმ ბარატის. მაგრამ რამდენიმე კაცს დაკარგვა გასაკვირველს არას წარმოადგენდა. ასე იყო თუ ისე, მე და დეზიმ საპარიკმახეროსკენ გავეწიეთ. ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყვარელ გასართობს შეადგენდა ცარიელ სახლში შესვლა და იმის გამოცნობა, თუ როგორნი იყვნენ მისი მკვიდრნი. დეზი ჯერ დათვალიერებდა სახლს, შემდეგ იტყობდა, — ამ სახლის პატრონს ქერა ცოლი და სამი შვილი ჰყვანდა, თანაც იგი გულის ავადმყოფობით იტანჯებოდაო. ასეთი ოხუნჯობა სასოწარკვეთილებას აწმობდა ჩვენში.

საპარიკმახეროს პატრონი, ეტყობა, გრძნობათა კეთილშობილებით არ განირჩეოდა. იმედი ვეჭონდა, საპარიკმახეროში კანის რაიმე დამამებელ სითხეს აღმოვაჩენდით და მით ტანს დაეიზელდით. მაგრამ იმ ძუნწ კლადურს მთელი შუშები ისე დაეცალა, რომ ერთი წვეთიც აღარ დაეტოვებინა. ვერსად ვიპოვნეთ საპნის პატარა ნაჭერიც-კი. ასე გასინჯეთ, წვერის გაპარსვის დროს საჭირო ქალღლის პატარა ნაჭრებიც საღლაც მიემალა იმ კრიკანს. საპარიკმახეროში დაგვხვდა მხოლოდ კრემებისა და სამართებლების ვახუნებული რეკლამა, ვატეხილი პულვერისნატორი და ვანცხადება, რომ შაბათობით გაპარსვა უფრო ძვირად ღირსო.

როცა ქუჩაში ვავედით და დავაპირეთ დავბრუნებოდით უფრო გულუხვი ფოსტმეისტრის სარდაფებს, უცრად დაეინახეთ ჩვენი დედაბრები. ისინი თავიანთ ლაფეტებიდან ვადმოდიოდნენ. ერთი წუთის შემდეგ კომერსის მხრი-

დან, იმ კომერსის მხრიდან, საითყენაც ჩვენ მივემართებოდით, გამარჩნდა ცხენოსნებისა და ფორების მთელი ტალღა. გულმა დაგა-დუგა, ცხენოსნების ისეთ გრძნობას განვიცდიდი, თითქოს თოკით მაგრა შევებოჭე ვინმეს.

— გზა გადაჭრილია, ხიდები აფეთქებული, — სთქვა ერთმა კავალერისტმა. — არ გაგვიშვებს, უკანვე გამოგვაბრუნებს.

— ვინ გამოგაბრუნათ?

— ეანდარმებმა.

— რატომ გადასტრეს გზა?

— გერმანელები მოდიან. ყოველი მხრიდან გვერტყმიან.

კავალერისტი გაქრა. ამასვე გვეუბნებოდნენ არტილერისტები, ცალკეული ოფიცრები და ქვეითი ჯარისკაცები, რომელნიც ტალღასავით მოგორავდნენ ჩვენსკენ. ამ წუთიდან ყველაფერი ხაფანგს დაემსგავსა, რომელშიაც თავგია მომწყვდეული. დამფრთხალი თავგი აქეთ-იქით ეხეთქება, ხან სად წაჰკრავს ცხვირს, ხან სად, შფოთავს, ბორბავს, თუმცა მისი ბედი დიდი ხანია გადაწყვეტილია. ამ წუთიდან კილომეტრებს ორმაგად ვითვლიდით. გავრბოდით ერთი მიმართულებით, ვიდრე არ წავაწყდებოდით ჩვენსკენ მომავალ ხალხს, რომელიც გვარწმუნებდა, გერმანელები სწორედ აქედან მოდიანო. ჩვენი ოფიცრები რჩევისათვის ქალებს, ეანდარმებსა და ბავშვებსაც-კი მიმართავდნენ. გაწყვეტილი იყო ყოველივე კავშირი შტაბთან. ინფორმაციის ძებნაში გზა-კვალ აბნეული ტურისტებივით ერთ ადგილს ვტყეპნიდით, აქეთ-იქით ვეხეთქებოდით. ყველგან ერთი და იგივე სურათი იყო. ჯარისკაცები ბაჟარალებით მიდიოდნენ ჩვენს წინ, ხოლო ერთი საათის შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ. არავინ არ იცოდა, რატომ ბრუნდებოდნენ. თავათაც არ იცოდნენ. გარბოდნენ იქითკენ, ახლა აქეთკენ გამორბოდნენ. ყოველთვის დაბრუნებულთაგან ვინმე ამბობდა: გერმანელები მოდიანო. მოდიან ჩრდილოეთიდან, მოდიან სამხრეთიდან. თუმცა არავის ისინი არ ენახა. ზარბაზნები სდუმდნენ. თვითმფრინავების რიცხვიც-კი შემცირდა. ხან აქ, ხან იქ ცალკეული ტყვიამფრტევეი გაიკაკანებდა. მაგრამ მტერი ყტელგან იყო. თქვენ პირადად ვერსად ნახავდით, მაგრამ ვინმეს უსათუოდ ნანახი ექნებოდა. ძალა-უნებურად მირს იბრუნებდით და გარბოდით იქითკენ, საიდანაც გულგახეთქილმა და თავქუდგადაგლეჯილმა მოიჩბინეთ. საითაც უნდა წასულიყავით, მუდამ წაიწყდებოდით ისეთ კაცს, რომელმაც ყველაფერი იცოდა. ჩვეულებრივად ასეთი ყოვლის-მცოდნენი ეანდარმები იყვნენ, მაგრამ ასეთ მცოდნეებად სხვებიც გვევლინებოდნენ — არასამხედროები, ბავშვებიც-კი. მათ იცოდნენ, რომ გერმანელები ორ კილომეტრზე იყვნენ. მუდამ ორ კილომეტრზე, მუდამ მეზობელ სოფელში.

იმბახი, ელზასელი ლეიტენანტი, ფოსტაში იჯდა და წერილს სწერდა, როცა ქუჩაში განაგონი გადავეცი.

— თუ აგრეა, მაშინ ჩემ წერილს ასეთ მისამართს წაეაწერ: «ქენევა წითელ ჯვარს», — და კვლავ განაგრობო წერა.

ერთი საათის შემდეგ მაინც გავუღეპით ვზას. გაწვიეთ კომერსისაკენ. ჩემს გვერდით ბორძიკით მოჰანჩალებდა ვაგო, პატარა არქიტექტორი თავისა სათუთად მოვილილა წვერით. სურნელებათა ისეთი სუნე ასდიოდა ვაგოს, თითქოს კოტის მალაზიაში ვყოფილიყავით.

— სად გიშოვნიათ ეგ სურნელებანი? — ეკითხვ ვაგოს.

მან მღერე თვალებით შემომხედა, მერე მომიახლოვდა და შიგ ბიძგი ჩამსუნთქა. იმავე სურნელების საშინელი სუნი მეცა.

— ფუი! — შევძახე: — რა ჩავიდენიათ?

ხელი საპარიკმახეროსაკენ გაიშვირა.

— იქ, სარდაფში წავაწყდი, — მიპასუბა.

ყველაფერს მივხვდი: ძნელ პარიკმახერს, ეტყობა, სარდაფში დაუმაღაჲ მთელი თავისი სურნელებანა. ვაგოს-კი მაგარ სასმელად მიუღია ისინი.

მოულოდნელად ჩემ წინ კაბიტანი ბილიერო აიტუბა.

— ჩვენ მხოლოდ სამ კილომეტრს გავივლით, — მითხრა მან: — დასავლეთის მიმართულებით. იქ მთებში პატარა სოფელია. გერმანელებმა ამ სოფელზე უნდა გაიარონ. გვიბრძანეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, შევაჩეროთ გერმანელები.

მე თავი დავექნიე. მერე მე და დეზი აქეთ-იქით ამოვუდექით ვაგოს და ასე სურნელების ორთქლში გახვეულნი გავუდექით გზას გერმანელების დასახვედრად.

ეს დასაბრუნების დასაწყისი იყო.

სოფელი — დამავიწყდა მისი სახელი და რუკაზედაც ვეღარ მიმოვხი — კომერსიდან ოთხ თუ ხუთ კილომეტრზე მდებარეობდა, დასავლეთით, დაახლოებით ათას ხუთას ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მისი ორმოცი თუ ორმოცდაათი სახლი მომწყვედრული იყო ორ მთას შუა, ქვაბულში. არც ერთი მოსახლე არ იყო გახიზნული. ომი თითქოს არ გაპყარებოდა იმ ადგილს. არაფერი არ ვიცოდით ამ სოფელზე, გარდა იმისა, რომ იგი მდებარეობდა იმ გზების მთავარ ჯვარედინზე, საიდანაც დასავლეთიდან კომერსისა და ლინიი-ან-ბარუასკენ მიმავალი გერმანელები უნდა გამოჩენილიყვნენ. რადაც უნდა დაგვეჯდომოდა, უნდა დაგვეცვა ქალაქი ლინიი-ან-ბარუა, რკინიგზის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო კვანძი დეპარტამენტში.

უბადრუკ მდგომარეობაში ვიყავით, როდესაც სოფელს მივალწიეთ. მით უფრო სასურველი იყო ჩვენთვის კარგი შეხვედრა და გულთბილი მიღება. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. როდესაც მთავარ გზატკეცილიდან გადავუხვიეთ, კოჭებამდე ტალახში მოგვიხდა სიარული. ტალახი წებოსავით ეკვროდა ჩვენს დაფლეთილ-დაგლეჯილ ფეხსაცმელს. ქვემოთკენ, მიწისკენ გვეწეოდნენ სველი მახარები, წყლით გაუღენთილი აირწინალები, გალუმპული საბარგო ტომარაკები. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი თავიდან ფეხებამდე, სულ ცოტა, ერთი მილი მანძილი მაინც იყო. ცდილობდი გამება კავშირი ჩემი სხეულის ამ ორ კიდურს შორის, მაგრამ მანძილი მეტად დიდი აღმოჩნდა. გამოვიგონე სიარულის ახალი ტექნიკა: სრიალი ტალახში ფეხების აუწყველად. მაგრამ ეს ახალი ხერხი არ ვარგოდა გუბებზე გავლის დროს.

სოფელში ჩვეულებრივ ამბავს მოველოდით: გვეგონა აქაც, როგორც ყველგან, წავაწყდებოდით ცარიელ სახლებს, ლტოლვილთა ბრბოებს, უიმედო სახეებს, მომტირალ ბავშვებს, გაძარცვულ ფერმებს. ამის მაგიერ სოფელი სადღესასწაულოდ ვანწყობილი და მხიარულ გუნებაზე დაგვხვდა. ორმა მიხეზმა გამოიწვია ეს: პირველი და მთავარი ის იყო, რომ მცხოვრებნი, რომელთაც ორიოდ დღის წინათ გაიგეს მხოლოდ გერმანელების მიახლოების ამბავი, ყოველ წუთს მოელოდნენ ფრანგთა ჯარს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ჯარი მივა და დაიცავს სოფელს. მათ ჩვენ თავიანთ მხსნელებად მი-

ვანდით. აფიჭრებდათ მხოლოდ ერთი რამ — არ დაგვეგვიანა. ისე კი ერთ წუთითაც არ ეპარებოდათ გუჯი, რომ თუ არ დაგვიგვიანებდით და დაგვიმე მივიდოდით, უსათუოდ დავიცავდით მათ. ისე მოგვეგებნენ, თვემე — ერთმე გოს კიდევ პირველი ბრძოლა.

მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ სწორედ ამ დღეს ათხოვებდა ადგილობრავე მერი თავის ქალიშვილს.

არა ერთი და ორი მძიმე წუთი გამოვიარეთ ისტორიაში ყველაზე უფრო სამარცხვინო ამ უკანდახვევის დროს. მაგრამ იმაზე უარესი, საზარელი დასამარცხვინო იყო ის, რაც ჩვენ მთებში მომწყვდეულ ამ პატარა სოფელში ენახეთ და განვიცადეთ.

მე კოლონას მივუძღოდი. მივდიოდი დეზისტან, ვავოსთან და ერთ პოლონელთან ერთად, რომლის გვარიც სენკევიჩი იყო და რომელიც ჩემი დაკარგული მხეერაეების ნაცვლად მომიჩინეს. სოფელი დავინახეთ მოულოდნელად, როცა ფიჭვის პატარა ტყიდან გამოვედით. სოფლის შესავალში ათიოდე მამაკაცი (და ამდენივე დედაცა) იდგა. ქუდმოსხილები იყვნენ, თუმცა წვიმა განუწყვეტლივ ასხამდა. გავვოცდით. გვეგონა, მტრულად მიგვიღებდნენ. მერე დავინახეთ, რომ ქუდები ხელში ეჭირათ. და როცა ახლო მივედით, ქუდებმა ჰაერში ფრიალი იწყეს. შეკრებილთა წინ მერი იდგა, ჭიკარა-შერეული მოხუცი, ხნოვანებით გაკეთილშობილებული გრძელი სახით. გცვა თოვლივით თეთრი პერანგი და ლამაზი ჰალსტუხით დამშვენებული სადღესასწაულო ტანისამოსი. მკერდს უმშვენებდნენ პირველი მსოფლიო ომის ნაირ-ნაირი ფერის ორდენები.

ჩვენდა უნებურად შეჩერდით. შეჩერდა ჩვენს უკან მომავალი კოლონაც. ჯარისკაცები ბრძანების მიუტემლად სამხედრო სალამით მიეგებნენ შეკრებილთ.

მოხუცმა სიტყვა დაიწყო. მეტად მოკლე იყო ეს სიტყვა, მაგრამ ისე ჩამწვდა იგი გულში, რომ თითქმის ფიზიკური ტკივილი ვიგრძენი. ჩვენი იმედი გქონდეთ, — მოგემართა მოხუცმა: — მზადა ვართ ყველანი ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ.

— მოხუცი ჯარისკაცები მოგესალმებით ახალგაზრდა მებრძოლებს, — ასე დაამთავრა მან თავისი სიტყვა.

ქუდები კვლავ აფრიალდნენ ჰაერში. წვიმაც ისევ ისე ასხამდა. მოხარული ვიყავ ამით, რადგან ცრემლი ლოყაზე დამდიოდა, ასეთი ამინდის გამო-კი ადვილად შეიძლებოდა ცრემლის წვეთების მიღება წვიმის წვეთებად. ბოლოს მერი უკანასკნელი ნობათით გავვიმასპინძლდა.

— სოფლელებმა გაითვალისწინეს, — სიტყვა მან, — რომ თქვენ, დამცველები, ჩვენი სოფლის დამცველები, დალილ-დაქანცულები მოხვიდოდით. ჩვენ, თითქმის ყველანი, პირველი ომის ვეტერანები ვართ და რადგან საქმე ვიცით, სოფლის დამსავლეთ მხარეს ამოვთხარეთ და დავამზადეთ სანგრები. შიგ შესვლის მჭტი აღარაფრის გაკეთება აღარ დაგჭირდება.

მთელმა მოსახლეობამ მიგვაცილა სანგრებამდე. მცოდნე ხელებს ამოეთხარათ ათი ფუტის სიღრმეზე ეს სანგრები. ამოეთხარათ ტყის პირად, სამხედრო ბელოვნების წესების მიხედვით. მოხუცი მერი პირველი ჩახტა სანგარში. მან მამობრივი მზრუნველობით მიაქცია ჩვენი ყურადღება კუთხურად განლაგებულ სანგრების უპირატესობას. ამაყობდა თავისი ნამუშევრით, თითქოს ახალი ეკლესია აეგოს. ქალები იქვე იდგნენ და ხმაურით ცხვირებს ახოცა-

დნენ წინსაფრებში. არ იყო იმ დროს ჩვენს შორის არც ერთი, ვინც სიხარულით და ხალისით არ დასდებდა თავს იმ უსახელო სოფლებს...

ჩემი ასეული სანგრებში ორ საათს უნდა დარჩენილიყო. ჩემი ასეული შესცვლიდა მას. ჩემი ასეული შესდგებოდა მეთვალყურებისა, ტელეგრაფისტებისა, ტელეფონისტებისა, ნიშნის მიმცემებისა და მზვერავებისაგან. სანგრებისა ჩვენ ძალიან ცოტა რამ გაგვიგებოდა. მაგრამ ახლა დეტალებისათვის არ გვეცალა. მოვთავსდით სანგრებში და დაუწყეთ ცლა მოწინააღმდეგეს. წვიმა ისევ ისე ასხამდა. სანგრის ფსკერზე დაგროვილ გაწყალბულ ტალახში ვიდექით. ამაოდ ცდილობდნენ ჩვენი თვალები ნისლში გახვეულ მინდორზე რამის გარჩევას. სწორედ იქიდან იყო მოსალოდნელი ნაცრისფერი მანარების გამოჩენა. პირდაპირ მდებარე მალლობი არ იყო დაფარული ტყით, და მოსვენებას არ გვაძლევდა აზრი — ამ მალლობიდან ხომ არ დაგვესხმებოდნენ გერმანელთა ტანკები.

კაპიტანი ბილიერო კომპანით ხელში ჩვენს სანგარში ჩამოვიდა. მისი სახის თავფურ-ნაცრისებურ. ნაკვთებს წვიმის მეოხებით უფრო მეტად გადაჰკვროდა ნაცრისფერი. მან დაგვანახვა, საიდან უნდა დავესხმოდა, მისი მოსაზრებით, მტერი. ხელში კაპიტანს სასტვენის ეკირა.

— რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გავუმკლავდებით მტერს, — სთქვა მან. — არავინ არ უნდა დაიძრას ადგილიდან, სანამ მე სტვენით ნიშანს არ მივცემ. ნიშნის შემდეგ სრული წესრიგით დავიხვეთ აი ამ მიმართულე-ბით, — და ხელი სოფლისკენ გაიშვირა.

ისე გვეუბნებოდა კაპიტანი, მაგრამ არავის არა გვეჯეროდა, რომ მისი სასტვენის წოდისმე უკან დახვევის ნიშანს მოგვეცემდა. ორიოდე მამაცმა კაცმა და ახალგაზრდა თაობისადმი რწმენით გამსჭვალულმა მოხუცმა ჯარისკაცმა ისე აღგვაფრთოვანა, რომ დემორალიზებული ბრბო მარნის გმირებად გადააქციეს. ვიდრე სული გვედგო, არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრებდა უკან დახვე-ვას. ჩემს გვერდით ბუქარესტელი მაიერ-მაიერესკუ იდგა. თავი თითქოს უფრო დაუბატარავედაო, ისე ჰქონდა ჩამოფხატებული ფოლადის მუხარადი ყურებზე. ალიუმინის ქვაბი აღარ მოუჩანდა ზურგზე, სადაც დაეკარგა. იგი მაგრა ეზღაუჭებოდა თავის თოფს, თითქოს საყრდენი ესაჭიროებო. თმა თავზე მთლად ჩაღისფერი გაუხდა, როგორც იმ რუსს მსახიობს, რომელიც თამაშობს პიესაში: „От ней все качества“. ტოლსტოის გმირს დაემსგავსა, უფრო გახდა და დაუძლიურდა. თუმცა ყველგან ვახერხებდით საცობის შოვნას, მაგრამ მაიერი გადაჭრილ უარს ამბობდა ჰამაზე. თვალები გადმოეკარკლებოდა ხოლმე, როცა ხედავდა, როგორ ვფშვნიდით ყველს. ნერწყვი დასდიოდა, როცა უცქეროდა, როგორ შევექცეოდით კომპოტს. თავათ მაიერი სჯამდა მარტო იმ ორცხობილებს, რომლებსაც „სამზარეულო“ გვირი-გებდა. ახლა იგი ჩემს გვერდით იდგა და მეკითხებოდა — გაიგონეო.

მიეტრიალდი. დილ, გავიგონე. სოფელში ვილაც აკორდეონს უკრავდა.

ორ საათს ვიდექით უძრავად ჩვენ ჩვენს ადგილებზე. ორჯერ მოვიდნენ სოფლიდან დედაკაცები და მოგვითანეს ცხელი ჩაი. ჩვენ სიხარულით ვეგებებოდით მათ. „ეს ის ხალხია, რომელიც სიცოცხლეზე არა ფიქრობდა, რომელიც მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობდა“, — სწერდა პირველი მსოფლიო ომის ისტორიკოსი. ჩვენ სიკვდილზე არა ვფიქრობდით. ჩვენ ვფიქრობდით მხოლოდ იმაზე, თუ როდის გაივლიდა ორი საათი, რომ წავსულიყავით იქ. სადაც აკორდეონს უკრავდნენ.

ბოლოს ჩვენმა ორმა საათმა გაიარა. შეგვეცვალეს. დეზი, ვაგო, სენეკეტი და მე პირდაპირ ადგილობრივ კაფესაკენ გავემართენით, სადაც ქორწილს უკვე გაჩაღებული იყო. კაფე თავათ მერს ეკუთვნოდა, ამიტომ მკაცრად გულუბნი იყო. პატარძალი ახალგაზრდა აღარ იყო, ორმოცი წლის დედაცაი იქნებოდა. მოღლილ-მოქანცული სახე ჰქონდა და ეტყობოდა, როგორ უძნელდებოდა გაღიშებაც-კი. ხელი ნეფისთვის წაველო, რომელიც გვერდით ეჯდა, და სდებდა. ნეფე ორმოცდაათი წლის მამაკაცი იქნებოდა, როგორც გადმოგვეცეს, ქვრივი, ამიენელი. ამიენში კარგი ფერმა ჰქონია, მაგრამ გერმანელებს გამოჰქცევია. რატომღაც დიდად საგულისხმოდ მიგვაჩნდა გაგვეგო მისი ცხოვრების აკარგი, ამიტომ დაეინებით ვეკითხებოდით ყველას წვრილმანებზედაც-კი. საერთო მხიარულებაში მარტო ის არ იღებდა მონაწილეობას. იჯდა იგი პატარძლის გვერდით მაგრა გახამებულ პერანგში გამოწყობილი, როგორც ფოტო-სურათზე გადაღებული, და ხმას არ იღებდა. მისი ოთხკუთხი გამობურცული შუბლი ნისლით იყო შებურული, როგორც ივნისის ცა წვიმიან დღეს.

მაგრამ ბედნიერი ნეფე-დედოფალი აღარ წარმოადგენდნენ საერთო ყურადღების ცენტრს. ახლა ჯარისკაცებს ეხვეოდა ყველა. მათ მთელი ოთახი გაავსეს. მერი თავს გვევლებოდა. მანარები გასაშრობად დაჰკიდეს. ცუგრუმელა გოგონამ ჭიჭა რომი მომირბენინა. არც ერთ ქალს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ამ გოგონამ მოახდინა. ეანა ერქვა, როგორც ეანა დ'არკს. ეანა დ'არკიც ხომ სოფლელი იყო და დაიბადა ამ სოფლის მახლობლად. ისე ვიყავი გაოცებული შინაგანად, რომ ქალის შემოხედვა უნაზეს ალერსად მეჩვენებოდა. ისე მენატრებოდა ადამიანური სითბო და თანაგრძნობა, რომ მაგრა ჩავებლაჟე გოგონას ხელზე.

— დარჩით ჩემთან, თუნდაც ერთ წუთს, — შევეხვეწე ახალგაზრდას.

— რატომ? — მომიგო მან სიცილით.

ლამაზი არ იყო, მაგრამ თეთრი კბილები და მოხდენილი ტანა ჰქონდა. იგი სულ სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, ისეთ სამყაროს, სადაც სითბო და სინარჩარე იყო გაბატონებული.

შეკითხვაზე პასუხი ვერ გამოვიძებნე. მაგრამ გოგონა რამდენსამე წუთს მაინც დარჩა ჩემთან და არც ხელის წადებას ცდილა. მერე სიცილით მკითხა:

— ხომ დამიცავთ, როცა ბოშები მოვლენ?

— რასაკვირველია, დავიცავთ!

განა შემეძლო არ დამეცვა იგი?

ვაგოსთან მივედი. დახლოთან იდგა გაეარვარებულები სახით და წვერებზე ხელს ისვამდა. ვილაც წვერგარძელა გლებთან სერიოზულ ლამაზაკში იყო გართული: რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ერთმანეთს წვერის მოვლის შესახებ.

მერი, კაფეს პატრონი და პატარძლის შამა, გრძელ მაგიდას ეჯდა, კედელზე ჩამოკიდებულ და ზეთის საღებავებით დახატულ ორ სურათს ქვეშ. ერთი, უფრო მომცრო, ასახავდა იმას, თუ როგორ გამოეცხადა ღვთისმშობელი ორღეანელ ქალწულს, ხოლო მეორეზე, უფრო მოზრდილზე, პრეზიდენტი კარნო წარმოსთქვამდა თავის პირველ სიტყვას ნაციონალური კრების წინაშე. მერმა გავიზიარა თავისი მოგონებანი ომის შესახებ. გველაპარაკებოდა ამ ოდნავ ირონიული, მაგრამ მჭერმეტყველური კილოთი, რომელიც ასე სჩვევიათ „ძველ კომბატანტებს“ ჯარისკაცთა ახალგაზრდა თაობასთან საუ-



ბარში. დრო-და-დრო მერის და, მკერდსავე მანდილოსანი უზარმაზარი კეთილურით, მანდილოსანი, რომელიც მერის ცოლის სიკვდილის შემდეგ მთელ მის მეურნეობას განაგებდა, ჩაურევდა ხოლმე რაიმეს თავისი შიგონებებიდან. საუბარი ტრიალებდა სოფლის მოსახლეობის მიერ ჩვენთვის ამოთხრილი სანგრების ირგვლივ.

— ხომ გუბნებოდით, ბატონებო, — სთქვა ერთმა მოხუცმა მეტად წვრილი ხმით, — რომ ჩვენი ბიჭები დროზე მოვლენ-მეთქი.

სთქვა ეს, ჩაახველა და ქერა დეზის ზურგზე ხელი მოუთათუნა.

სახლიდან გავედი. უცრად სული შემეხუთა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვუძღურებოდი, ძალ-ღონეს ვკარგავდი.

ქუჩის იმ მხარეს კეითყორის ძველი ქა იდგა. ნაპირზე ჩამოვეჯექი.

სახეზე აღმური ამდიოდა, ყურები მეწვოდა, ხელები-კი ყინულივით ცივ მქონდა. გადავხედე ჩვენ სანგრებს, დავინახე ჯარისკაცთა ზურგები. სანგარს იქით წელში მოხრილი კაპიტანი ბილიერო იჯდა და ჩიბუხს სწევდა. მთები სოფლის ირგვლივ ნისლში იყვნენ ვახვეულნი.

სახლიდან ლურჯ-წინსაფრისანი გლეხი დედაკაცი გამოვიდა. ხელში ჩაით სავსე ვედრო ეჭირა. მან ისევ სახლში შემაგდო, შემაგდო სწორედ იმ დროს, როცა აკორდეონი კვლავ დაუკრეს. ყველა აღმუხდა. ნეფე-დედოფალი ჩარჩოში ჩამსულ, სურათს აგონებდა კაცს. თითქოს ორმოცი წელიწადი ჰკიდიაო ეს სურათი კედელზე, სასტუმრო ოთახში აკორდეონს უკრავდა ახალგაზრდა კუზიანი, ამ კუზის გამო განთავისუფლებული სამხედრო სამსახურისაგან. მერმა-კი შესწყვიტა ლაპარაკი. ოდნავ ქანაობდნენ მხოლოდ ყვავილთა ლურჯი, თეთრი და წითელი ხვეულები ქანა და რაკის სურათზე.

აი სწორედ ამ დროს გაისმა სასტვენის ხმა.

აკორდეონმა საცოდავად დაიწრობინა და ჩაკვდა, ენა დაიდუმა. რამდენიმე კაცი ადგილიდან წამოხტა. ერთმა დედაკაცმა ყურთამდე გაალო კარები. ჩვენ მაზარებს დაეტაკეთ ხელი, ქამრები შემოვიჭირეთ და თოფებს ვეცით, ამასთან ისე სწრაფად, რომ ერთმანეთში აფურჩით საკუთარი და სხვისი თოფები. ყოველივე ამას ჩავდიოდით აურ-ზაურით, უწყსროვოდ, აუწერელად სასწრაფოთ. მერმა რაღაც დამიყვირა, მაგრამ ვერ გავიგე. მხოლოდ ახალ-ჯვარდააწერილნი ისხდნენ უძრავად, ხელი-ხელ გადაჭდობილნი.

და ამ დროს ვიღაცამ წამოისროლა სიტყვა „უკან დახევა“.

ყველამ ვიცოდით, რას ნიშნავდა სასტვენის ხმა. მაგრამ ვერ გავიგე, ვინ წარმოსთქვა ისე გაუფრთხილებლად სიმართლევ. არც ის ვიცი, როგორ მიხვდა ერთ წამში ეს ხალხი, რომ ბედის ანაბარა ეტოვებდით. ვიცი მხოლოდ, რომ ორმა დედაკაცმა მხარში ხელი მტაცა. ერთი მათგანი ქანა იყო. ძლივს ვიციანი. აუწერელი შიში გამოჰკრთოდა თვალებიდან და ამ შიშმა მთლად შესცვალა მისი სახე. ტუჩები კბილებზე უფრო მეტად გასთეთრებოდა. გრძელწვერა მოხუცს ვავოს თოფის ბოლოსთვის წაველო ხელი. ისე ეჯაჯ-გუნებოდნენ და ეწეოდნენ თოფს აქეთ-იქით, თითქოს რაი ძალდი ძვლის გამო ჩხუბობსო. კუზიანი თავისი აკორდეონით კარებში გაჩხირულიყო და ყველას ვზას უღობავდა.

როგორც იყო, გაეარღვიეთ წრე და გარეთ გამოვედით. სანგრებიდან გამოსულდ ჯარისკაცები სამ-სამნი ჩამწყრივებულნიყვნენ. აღაუტანტმა დარუს-მა წინ ჩამიარა.



— ისევ გავრბივართ, — მითხრა მან. — ბრაზი მალჩობს.

თუთრი კებიდან წვიმის წვეთები დასდიოდნენ.

ქლივის მოვიშორე მკლავზე ჩამოკიდებული ქანა. მინდოდა მაგრამ ვერ ვახერხებდი.

გზას გაუღდექით. მოწინააღმდეგეს მაინც ვერსად ვერ მოვკარით თვალი. გაუურბოდით ლანდებს. თავდაბრილნი ეშორდებოდით მთებში მომწყვდეულ სოფელს. ვერავის ვერ გაებედა თავის აწევა. გზასთან იდგნენ ისინი, რომელთაც ბედის ანაბარა ეტოვებდით. მუხუცები, ქალები, ბაეშეები. გაქეპებულნი იდგნენ, ჩვესავეთ დადამბლავებულნი, და როცა მათ წინ პირველმა ოფიცერმა გაიარა, მხოლოდ მაშინ წამოიძახა ერთმა დედაკაცმა:

— მაშ ასე, ბოშებს უტოვებთ ჩვენ თავს!

მხოლოდ ამის შემდეგ გამოერკვა ყველა საღათას ძილისაგან. სეტყვასავეთ წამოვიდა წყველა-ჭრულვა. ფოლადის ვერავეთარი მუზარადი ვერ დაგვიფარავდა ამ წყველა-ჭრულვისაგან. დედაკაცები გვიყვიროდნენ: თავს უშველეთ, მხდალებო, და პატარა უწყინარი ქანა. ყველაზე მაღლა ყვიროდა. პატარძალიც გამოვიდა სახლიდან. იგი გვერდით მოსდევდა ჯარისკაცებს. ტალახში მოათრევედა თავის აბრეშუმის კაბის შლეიფს. იფურთხებოდა, შეუსაბამო სიტყვებს გაკვიოდა, მუშტებს გვიქნივედა. ნეფე ფეხდაფეხ მოსდევდა თავის დედოფალს, ცდილობდა მის დაშვიდებას, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევდა.

ლურჯ-წინსაფრიანმა დედაკაცმა ჩაით სავსე ვედრო ჩვენ წინ დაცალა, გზაზე, თითქმის ფეხებში შემოგვასხა. ჟუზიანი ისე იცინოდა, თითქოს აკორღონის ხმაზე ცეკვაესო ყოველი ნაოჭი მის გამბდარ სახეზე. მხოლოდ მერი იდგა პირმოკუმული, კედელზე მიყუდებული, ქუდით ხელში. არასოდეს არ მინახავს ესოდენი მწუხარება ადამიანის სახეზე.

არ მახსოვს, როდისმე ჩემს სიცოცხლეში ისეთი სირცხვილი განმეცადოს, როგორც იმ დღეს განვიცადე.

თარგმანი ილია აბლაძისა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კონსტანტინე ზიზინაძე

## კომუნისტური მემკვიდრის კულტურის დასაცავად\*)

გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ მიმდინარე წლის პირველ ნომერში ჩვენ მოვათავსეთ პატარა წერილი „ციტატები“, რომელსაც მოჰყვა იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში ანხ. ბესო ელენტიის ვრცელი და მეტად ცხარე საპასუხო წერილი. ვინაიდან ანხ. ელენტიის პასუხში შემცდარად არის გაშუქებული მთელი რიგი ფაქტები, იძულებული ვართ ვუპასუხოთ იმავე უფრო ვრცელი წერილით, ვადრე მისი წერილია, რის გამო გაზეთის ფურცლებიდან ძალაუვნებურად უფროსად გვიხდება კამათის გადატანა.

გავიხსენოთ აქ მოკლედ, თუ რამ გამოიწვია ეს კამათი. ზემოთ დასახელებულ წერილში ჩვენ ვუსაყვედურეთ კრიტიკოსებს, რომ თავიანთ წერილებში მათ მოჰყავთ ხოლმე ისეთი ლექსები ციტატებად, რომელთა პოეტური ღირსება, თუ ნაკლი ხშირად პირუკულმა არის შეფასებული მათვე მიერ. მაგალითისათვის ავიღეთ ბესო ელენტიის წერილი პოეტ გ. აბაშიძის პოემის „ვიორგი მეექვსის“ შესახებ („ლიტ. და ხელ.“ № 5, 1943 წ.), სადაც კრიტიკოსს მოჰყავს სამი პატარა ციტატა პოემიდან და აცხადებს მათ „პოეტური მეტყველების საუკეთესო ნიმუშებად. ჩვენ განვიხილეთ ის ციტატები და აღმოვაჩინეთ მათში გრამატიკული, პოეტური თუ ლოგიკური ხასიათის მთელი რიგი შეცდომები. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, როგორც მკითხველს, ისე, მით უმეტეს, მოკამათე ბესო ელენტს ახსოვდეს, რომ აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორ მომენტს: ერთია ჩვენ მიერ აღმოჩენილ შეცდომათა სიხშირე (თორმეტი შეცდომა ორმოც სტრიქონში), ხოლო მეორეა ის, რომ ამ შეცდომათა შემცველ სტრიქონებს კრიტიკოსი პოეტური ოსტატობის ნიმუშებად აცხადებს.

წინასწარ ვგრძნობდით: თუ ბესო ელენტი გვიპასუხებდა, ჩვენს წერილზე, ის მოლაზავდა კლასიკურ პოეზიას და მოიყვანდა იქიდან ისეთ მაგალითებს, რომლებიც ჩვენს მიერ განხილულ ციტატებს ემგვანებოდნენ და ამგვარად ნაწილობრივად მაინც გაიმართლებდა თავს. კრიტიკოსს მართლაც ბევრი მაგალითი მოჰყავს. მაგრამ ანხ. ელენტი თავის ნიმუშებით კლასიკური პოეზიიდან გვაგონებს იმ მებაღეს, რომელმაც სანამღშო ხილის გამოფენაზე მიიტანა ერთი პატარა კალათა ვაშლი, როგორც საუკეთესო ნაყოფი მისი ბაღიდან, ხოლო, როდესაც მის კალათაში არა ერთი და ორი ჭიანი ვაშლი აღმოაჩინეს, ის ვარძის სხვა უფრო დიდ ბაღებში და იქ თავის ვასამართლებლად ეძებს იმგვარ ვაშლებს, როგორიც მას დაუწუნეს. მაგრამ კიდევაც

\*) რედაქცია არ იზიარებს ავტორის მთელ რიგ დებულებებს.

რომ აღმოაჩინოს მებაღემ დეფექტიური ვაშლები ბაღებში, განა ეს უნდა-  
ლის მას? განა ერთი და იგივეა საგანგებოდ შერჩეული ხილით სუპერმარკეტში  
ჩა კალათა და დიდი ბაღი, სადაც მრავალ ხეს ათასობით და ათასობით  
ასხია ნაყოფი, რომელთა შორის ყოველთვის შეიძლება აქა-იქ უვარვისიც  
ურიოს? მით უმეტეს, რაღა ეთქმის მებაღეს ამ შემთხვევაში, თუ მან ამოდ  
შოიარა ბაღები — აჩქარების თუ დაბნევის გამო, ვერ მოახა ვერაფერი იმის  
ბაღალი, რაც მას დაუწუნეს?

ვიდრე ფაქტიური მასალის განხილვაზე გადავიდოდეთ, შევჩერდეთ ზო-  
გიერთ უფრო ზოგადი ხასიათის ბრალდებაზე, რომელსაც ბესო ელენტი  
გვიყენებს. თურმე ჩვენ დავიწყებია „ის ელემენტარული კეშმარიტება, რომ  
მხატვრული მეტყველების კანონები მართლწერისა და სუფთაწერის კანონე-  
ბით არ განისაზღვრებიან რომ პოეტური შემოქმედება და ვერსიფიკაცია  
ერთი და იგივე არ არის“. სად, რომელ ჩვენს წერილში დაინახა ბესო ელენტი-  
მა, რომ ეს ელემენტარული კეშმარიტება ჩვენ დავგვეწყოს, ან სრულებით  
არა გვეცოდნოდეს? ლიტერატურული კამათი არ უნდა დაეამგვიანოთ ბურ-  
ჟუაზიულ სასამართლოს, სადაც მოკამათე მხარეები თავის მჭერმეტყველე-  
ბას ხშირად იმისთვის იყენებენ, რომ კეშმარიტება დაჰფარონ. ჩვენ ძალიან  
კარგად ვიცით, თუ რა განსხვავება არსებობს პოეტურ შემოქმედებასა და ვერ-  
სიფიკაციას შუა, მაგრამ ამასთან ერთად ისიც კარგად ვიცით, რომ არ შეიძ-  
ლება დავივიწყოთ მართლწერისა და პოეტიკის ნორმები ჭე, სადაც ლაპარა-  
კია პოეტური მეტყველების ოსტატობაზე. ჩვენი კამათის თემა კი სწო-  
რედ ამ ოსტატობის საკითხია და არა საერთოდ პოეტურა შემოქმედება.  
გრამატიკისა და პოეტიკის კანონები როდი ზღუდავენ, როგორც, ალბათ, ბე-  
სო ელენტმა ჰგონია, პოეტის აღმაფრენას, ისე როგორც არ აბრკოლებს ზე-  
დაურის გაქანებას საძუვე, სამკერდული და მავრად მოჭერილი მოსართაეები.  
მხედარი მაშინაა ლამაზი, როდესაც ის, უნაგირში მტკიცედ ჩამჯდარი,  
უზანგებში ფეხებზედგმული, ხელში სადავეაყრფილი მიეჭანება წინ, და  
არა მაშინ, როცა ის მოახტება უბელო ცხენს, ჩასწვდას ძირს ფეხებს იმ სი-  
გრძეზე, რა სიგრძეც მის ფეხებსა აქვს, ჩააელებს ხელებს აღვირის ნაცვლად  
ფაფარს და დაქერის უგზო-უკვლოდ. უბელო ცხენზე ჯდომის ესთეტიკა  
კაცობრიობის ისტორიის წინა პერიოდს ეკუთვნის.

მწერლის, როგორც მხატვრული მეტყველების ოსტატის ფორმირება და  
ზრდა ზდება უმთავრესად ორი ფაქტორის ზეგავლენით: ერთია კლასიკური  
მწერლობა, მეორეა თანამედროვე კრიტიკა. ამ უკანასკნელის აღმზრდელო-  
ბითი მუშაობა მხოლოდ მაშინ მოიტანს კარგ ნაყოფს, როდესაც ის თავათ  
იქნება საფანადო სიმალღეზე ასული. ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქ-  
მედებაში დაბალია არა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე, არამედ  
მხატვრული მეტყველების კულტურა, როგორც ცალკეული ფრაზის, ისე  
მთლიანად ნაწარმოების ჩამოყალიბების, კომპოზიციის თვალსაზრისით. ამი-  
ტრამ მიზანშეწონილი იქნება, თუ ჩვენი კრიტიკა ზოგადი, ხშირად მოსაწყენი  
მსჯელობის ხარჯზე ფართო ადგილს დაუთმობს ლექსის ტექსტუალურ  
ანალიზს, ანატომიურ განხილვას. ნაწარმოების მიერ ამგვარი კრიტიკის  
წინაშე გამოცდის დაჭერა კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. თუ გნებავთ, ეს  
ნიშნავს ძალიან ცოტას, მაგრამ მაინც იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისათ-  
ვის, რომ ნაწარმოები ლიტერატურულ ფაქტად მივიჩნიოთ. აქედან უკვე  
ცხადია, რომ ჩვენ საერთოდ ლიტერატურულ კრიტიკას არ ვათანასწორებთ,

როგორც ბესო ელენტი საკონია, ანატომიასთან. ჩვენ ვიცით, როდესაც პოეტური ნაწარმოები განიხილება მის მთლიანობაში, როგორც აზროვნებისა და მხატვრულ სახეთა სინთეზი, როდესაც პოეტის შემოქმედების მსახური გაივლის კრიტიკოსის სულში, ვით სხივი ბროლის ბრიზმაში, და დაგვანახებენ თავისი სილამაზის ფერიულობას, კრიტიკა მხოლოდ მაშინ ადის ამ სიმაღლეზე, რომელიც მის დანიშნულებას შეეფერება. ჩვენი მეხსიერების და არა რაიმე ბოროტი განზრახვის ბრალია ის, რომ აქ ამგვარი კრიტიკის არსებობაზედაც ჩამოვაგდეთ სიტყვა.

ბესო ელენტი სწერს: „კიჰინაძეს ჩემი წერილი გრიგოლ აბაშიძის პოემის გამო „პანეგირიკად“ მიუჩნევია, მაშინ, როდესაც მე მეტად მძაფრად და მკაფიოდ აღვნიშნე დასახელებული პოემის ფრიად თვალსაჩინო და სერიოზული ნაკლი. ჩემი წერილის ძირითადი აზრი სწორედ ამ ნაკლას აღნიშვნასა და დასაბუთებაში მდგომარეობდა“. წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ ბ. ელენტის წერილიდან საკმაოდ ვრცელი ამონაწერები, სადაც პოემის ავტორის პოეტური ოსტატობა უდიდესად არის ნაქები. ახლა სხვა მაგალითს მოვიყვანთ. ბ. ელენტი სწერდა: „გიორგი მეექვსე“ ყოველთვის დარჩება პოეტური ოსტატობის მკაფიო ნიმუშად, ყოველთვის გამოიწვევს მწერლობის მოყვარულთა მოწონებას და იქნებ აღტაცებასაც“. რას ნიშნავს ეს ფრაზა? განა თქმა იმისა ახლად დაწერილი, ისტორიის მიერ ჯერ კიდევ შეუძომებელი ნაწარმოების შესახებ, რომ ის ყოველ ეპოქაში გამოიწვევს მწერლობის მოყვარულთა მოწონებას და აღტაცებას, ამ ნაწარმოების უდიდესი ქება არ არის? ჩვენს წერილში არ შეუხებიათ ბ. ელენტის წერილის იმ ნაწილს, სადაც იგი პოემის ნაკლს აღნიშნავდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არც ერთი ციტატა მას თავისი აზრის ნათელსაყოფად ამ ნაწილში არ მოჰყავს. ჩვენს ამოცანას-კი შეადგენდა ციტატებისა და შთათან დაკავშირებულ მოსაზრებითა განხილვა. ამ გარემოებას ბესო ელენტი თვალს არიდებს და მძიმე ზრალდებას გვიყენებს: „კონსტანტინე კიჰინაძე სხვაგვარად ფიქრობს, როგორც სჩანს, მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საკითხს პოეტური ნაწარმოების იდეური შინაარსის, სოციალური რეზონანსისა და საზოგადოებრივი აქტუალობის შესახებ“. არა, ყველაფერს ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, და ნუ დაგვაძალებს ამხ. ელენტი თავისი კრიტიკის განხილვას ამ თვალსაზრისითაც, თორემ შესაძლოა გამოიწვევას მივიღოთ და აღმოჩნდეს, რომ არც აქ ჰქონდეს მას ყველაფერა თავის რიგზე. შორს არ წავალთ: ავიღოთ თუნდაც მის მიერ ამ პოემის განხილვის მაგალითი. ერთის მხრით კრიტიკოსს ცამდე აჰყავს ნაწარმოები პოეტური ოსტატობის გამო, მეორეს მხრით ძალზე იწუნებს მას. რას ნიშნავს კრიტიკული თვალსაზრისი ამგვარი გაორება? პოეტური ოსტატობა ამხ. ელენტს ქალის მხარზე გადაცილებული ქრელი შარფი ზომ არა ჰკონია, რომელიც შეუძლია კაცს ააღოს ხელში, შეათამაშოს, დასტკბეს მისი ფერადებით და თანაც სიბრალულით გადახელოს მისი პატრონის ულაზათო სახეს? დაგვისახელოს კრიტიკოსმა ძველი მწერლობიდან ისეთი ნაწარმოები, რომელიც ყოველთვის და, მაშასადამე, დღესაც თავისი პოეტური ოსტატობით პოეზიის მოყვარულთა მოწონებას და აღტაცებას იწვევდეს და იმავე დროს იგი მოკლებული იყოს „ფართო იდეურ საფუძველს, მასში აღძრული პრობლემის სიღრმესა და აქტუალობას“, ვერ გვაძლევდეს „აღებული ჭმირული ისტორიული ეპიზოდის სწორ სოციალურ ვაგებას და განსახიერებას“. ამგვარ ნაწარმოებს ბესო

ელენტი ვერ დავგისახელებს, რადგან ასეთი რამ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ლიტერატურულ კრიტიკის მეთოდის გამარტივებასა და გავულგარებასთან.

გადავიდეთ ფაქტიური მასალის განხილვაზე. ამხ. ელენტი სწერს: „გრიგოლ აბაშიძის პოემიდან ამოწერილ მრავალ ციტატიდან კონსტანტინე ჭიჭინაძემ განიხილა სამი ციტატა“. აი საოცრება! აღნიშნულ წერილში ბესო ელენტი მოჰყავს მხოლოდ სამი ციტატა, რომლებსაც იგი იხილავს, და წერილის ბოლოში კიდევ ერთი ტაეში. ამ უკანასკნელის შესახებ თვით კრიტიკოსი არას ამბობს და ამიტომ, ცხადია, ჩვენც განუხილველი დავტოვეთ იგი. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ დასჭირდა ამის გამოგონება კრიტიკოსს.

ბესო ელენტი მოჰყავს პირველი ციტატა მთლიანად ერთი თითქოს უმნიშვნელო ცვლილებით: მეორე სტრიქონის ბოლოს დასმულია მძიმეს მაგიერ წერტილი: ხედავთ, კრიტიკოსი სცვლის მძიმეს წერტილით და იცხადებს— აქ წერტილია დასმული, რადგან ეს მას ესაჭიროება იმ გაუგებრობის გასაქარწყლებლად, რომელზედაც ჩვენ მიუეთითებდით. არა, აქ მძიმეა დასმული როგორც ბ. ელენტის წერილში, ისე ჟურნალსა და წიგნში, სადაც ეს პოემა დაიბეჭდა.

კრიტიკოსს მოჰყავს ჩემი შენიშვნა ამავე ტაეპთან დაკავშირებით: „არ შეიძლება მკერდის ამხედრება, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს მკერდი“, და გაოცებული კითხულობს: „რატომ არ შეიძლება? ვინ აკრძალა?“ ჩვენ შეგვიძლია დავამწვიდოთ ამხ. ელენტი, არავის პირადად არ აუკრძალავს იგი, ამას აკრძალავენ მხოლოდ მხატვრული გემოვნება და სწორი მეტყველების წესები. იმის ნაცვლად, რომ გვითხრას, თუ რას ნიშნავს „მკერდის ამხედრება“, ბესო ელენტი ჩამოგვითვლის, თუ რას არ ნიშნავს იგი: მკერდის ამხედრება არ ნიშნავს თურმე მკერდის მხედრად ქცევას, მის შეჯღომას ცხენზე, მის მიერ აჯანყების მოწყობას, შეგვიძლია მივეშველოთ კრიტიკოსს და დავუმატოთ, რომ ის არ ნიშნავს აგრეთვე მკერდის სანადიროდ წასვლას, არც მდინარეში ცურვას და არც კიდევ ათას სხვა რამეს. გვაგონდება ასეთი ამბავი: ერთმა ინგლისელმა ლორდმა გაზეთში გამოაცხადა — აფრიკაში მიუდივარ ლომებზე სანადიროდ და თუ ვინმე ისურვებს ჩემთან ერთად წასვლას, მაცნობოს ამა და ამ მისამართით. შუა ღამეს ვიღაც კაცი მაადგა კარზე ლორდს, გააღვიძა იგი და უთხრა: ბუდიშს ვიხდი, მე არ შემიძლია წამოსვლაო. ცხადია, ლორდთან უნდა მისულიყო ის კაცი, ვისაც შეეძლო და სურდა სანადიროდ წასვლა მასთან ერთად, თორემ ისეთი, ვისაც ეს არ შეეძლო ან არ უნდოდა მილიონობით იყო. სჯობდა ბესო ელენტისაგან გაგვეგო, თუ რას ნიშნავს „მკერდის ამხედრება“, იმის ნაცვლად, თუ რას არა ნიშნავს იგი, რადგან ის არ ნიშნავს იმდენ რამეს, რისი ჩამოთვლა შეუძლებელიც კი არის.

ამავე „მკერდის ამხედრების“ გამო კრიტიკოსი მიგვითითებს ორ სტრიქონზე აკაკის „განთიადიდან“ — „მთა-წმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“ — და დასძენს: „ჭიჭინაძის ლოგიკას თუ გავყვებით, უნდა ვუსაყვედუროთ აკაკი წერეთელს: როგორ შეუძლია მთას ჩაფიქრებული იყოს ან ვარსკვლავს შეჰყურებდეს, ფიქრი და მზერა ხომ არ ახასიათებს უსულო ბუნების სამყაროს“. საიდან სადაო! რა კავშირი აქვს აკაკის ამ ლექსს „მკერდის ამხედრებასთან“? აკაკი იყენებს აქ პოეზიაში ყველაზე მე-

ტად გაერცელებულ ხერხს, გასულიერებას, მკვდარი საგნების კრისტლად წარმოდგენას, ხოლო „შეგრდის ამხედრებაში“ საქმე გვაქვს რწმუნებულად ხმარებულ სიტყვასთან. პოლემიკის ამგვარი იაფფასიანი საშუალებები ბესო ელენტი ისიც შეუძლია მოგვაწიროს, რომ ჩვენ ვითომ უარვყოფთ ეზოპის, ლაფონტენის და კრილოვის იგავ-არაკებს იმის გამო, რომ ცხოველებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ ადამიანის ენით და ისიც ლექსად. პოეზიის ამგვარი გაგება ბესო ელენტის ლოგიკისათვის დაგვილოცნია.

ბესო ელენტი განაგრძობს: „იყვენენ ისეთი „კრიტიკოსები“, რომელთაც ილია ჭავჭავაძეს „გაზაფხული“ დაუწუნეს იმ მოტივით, რომ შერცხლის „ჭყვილი“ შეუძლებელიაო“. იცის თუ არა ბესო ელენტმა, რომ ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში დაეთანხმა თავის კრიტიკოსს და აღიარა, რომ შერცხლის „ჭყვილი“ მართლაც უფარვისი გამოთქმაა? თუ იცის, მაშინ რატომ მოჰყავს ეს მაგალითი, რომელიც სწორედ მის წინააღმდეგ მეტყველებს? ალბათ, იმათ შეცდომაში შესაყვანად, ვინც ეს არ იცის.

ჩვენ ვსწერდით „ციტატებში“, რომ არ შეიძლება ითქვას „მორთულნი, ნაზნი და მოკაზმულნი“ ფიტიომ, რომ „მორთულნი“ და „მოკაზმულნი“ სინონიმებია და ისინი, თუ ორივე ვიხმარეთ წინადადებაში, ერთად უნდა დიწეროს, აქ კი ვათიშულნი არიან და მათ შორის ჩართულია დამოუკიდებელი ცნება „ნაზნი“.

თუ ეს არა კმარა ჩვენი მოკამათისათვის, ავიღოთ სინონიმების ხმარების მეორე მაგალითი. არსებობს სინონიმები „ნადიმი“ და „ლხინი“; შეიძლება დახწეროს ამგვარი სტრიქონი ლექსში: „მეფემ გამართა ნადიმი, ლხინი“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას „ნადიმი მეფემ გამართა, ლხინი“. ან, მაგალითად, ამბობენ „ჩემი გზა-კვალი“, „ჩემი გზა და კვალი“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას „გზა ჩემი და კვალი“. ბესო ელენტი კი გვიმტკიცებს, რომ შეიძლებაო. ის სწერს: „მორთულნი“ და „მოკაზმულნი“ მართლაც რომ სინონიმები იყვენენ, რომ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა საგნებით ერთი და იგივე იყოს, მაშინაც პოეტს უფლება აქვს განალაგოს ისინი სტრიქონში თავისუფლად“. ასე ფიქრობს ბესო ელენტი, ილია ჭავჭავაძე კი, რომლის ავტორიტეტს ჩვენი კრიტიკოსი ცოტა ზემოთ შეუფერებლად იშველიებდა, სრულიად სხვა აზრისაა ამ საკითხზე. ილია თავის წერილში „ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმანზედა“ უწესოდ სიტყვების დალაგებას ლექსში ამასხრებს ფრაზით „ფეხი გაეიქნე, ხელი“, ნაცვლად ფრაზისა „ფეხი და ხელი გაეიქნე“. ამგვარად, გამოდის, რომ ჩვენ კი არ ვაბრუნებთ მწერლობას უკან, როგორც ბესო ელენტი გვიცხივინებს, არამედ თავათ ელენტი გვიხდის ხელახლა საკამათოდ დღეს პოეტიკისა და გრამატიკის იმ ელემენტარულ საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ გამოარკვია თავის კრიტიკულ წერილებში ბარბარე ჯორჯაძისა და ივანე კერესელიძის ეპოქაში.

„მორთულნი, ნაზნი და მოკაზმულნი“ გასამართლებლად ბესო ელენტს მოჰყავს ორი ციტატა, ერთი ხალხური ლექსი „მორთე და მოკაზმე“, მეორე — „ლამაზად მორთული და მოკაზმული“ ილია ჭავჭავაძისა. ეს ციტატები ხომ ჩვენი აზრის ქეშმარიტებას ადასტურებენ და არა ბესოსას. რა როლს ასრულებს კავშირი „და“ ფრაზაში? ის აკავშირებს, აბაჰს ერთმანეთთან ორ სხვადასხვა სიტყვას ან წინადადებას. თუ ვიტყვით წინადადებაში „მორთულ-მოკაზმული“, ან „მორთული და მოკაზმული“, ან „მორ-

თული, მოკაზმული“, ეს იმას ნიშნავს, რომ სინონიმები „სამივე შემთხვევაში ერთიანად ხმარებული, რადგან უნდა ვიცოდეთ — არც „და“, არც „მე“, არც „მე“ ცალკე ცნებას არ წარმოადგენენ და, მამასადაც, გამოთქმულზე ვერ ჩადგებიან ორ სინონიმს შუა. ეს აზრი მოკლედ გამოეთქვით ადგილის ეკონომიისათვის „ციტატებში“. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მოკლედ გამოთქმული აზრი არ ესმის ჩვენს მოკამათს.

მოკლედ გვქონდა გამოთქმული აზრი აგრეთვე ციტატის შემდეგი ორი სტრიქონის შესახებ: „სუფრაზე ისხდნენ ტურფა ასულნიც, ვაჟაკთა გულის დამლონებლები“. ჩვენ ვსწერდით: „ვასაგებია, რა აზრითაც ამბობს ამას პოეტი, მაგრამ ასე განზოგადოებულად უფრო მისაღებია საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, სახელდობრ იმისა, რომ ამგვარი სანახაობა ვაჟაკთა გულებს ახალინებს“. აქ ყველაფერი ვასაგებია გამგებისათვის. ბესო ჟღენტს რომ გავგო, თუ რა აზრს შეიცავს აქ სიტყვა „განზოგადოებულად“, მაშინ ის აგვაცდენდა თავიდან ამ შემთხვევაშიც გაკვირებულ ლაპარაკს, რომლისადმი მიდრეკილება არ არის ყველასათვის სავალდებულო. ამ სიტყვით ჩვენ ვამბობთ იმას, რომ ცალკეული ვაჟაკი შეიძლება დაალონოს ცალკეულმა ლამაზმა ქალმა. როდის შეიძლება ეს მოხდეს? იმ შემთხვევაში, თუ ვაჟაკს უყვარს ესა თუ ის ლამაზი ქალი, რომელიც სიყვარულითვე მას არ უპასუხებს. საერთოდ კი ლამაზი ქალები ვაჟაკთა გულის დამლონებლები, რა თქმა უნდა, არ არიან, თორემ ნადიმზე, რომელსაც, განსაკუთრებით ძველად, ვაჟაკთა პატივსაცემად მართავდნენ ხოლმე, სულ მაშინვე ქალებს მიიწვევდნენ, რომ საპატიო სტუმრება მათი ცქერით კარგ გუნებაზე დაეყენებინათ. ბესო ჟღენტს რომ გავგო ჩვენი მოკლედ გამოთქმული აზრი, მაშინ ის გავგანთავისუფლებდა იმ ორი ციტატის განხილვისაგან, რომელიც მას გულუბრყვილოდ მოჰყავს ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად გაბათილების მავიერ. პირველია ხალხური ლექსი:

„ერთმა ქალმა აღრიანად  
ჩვენს ეზოზე გადიარა,  
შეხედე და შემომხედა,  
გული დამიდარდიანა“.

აქ სწორედ ლაპარაკია იმ ცალკეული კაცის დადარდიანებაზე ცალკეული ქალის გამო, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მეორე ციტატა ვაჟაკთაგანადაა მოყვანილი, სადაც პოეტი ამბობს, რომ ლამაზი ქალი „ვაჟაკის გულის ჭირია, გადამგდებელი ჰქვიდინა“. ბესო ჟღენტს ვერ გაუგია ამ ნათელი სიტყვების აზრი და ჰკონია, რომ ქალი აქ გამოყვანილია „დარდისა და სევდის“ აღმძვრელ ძალად. ნამდვილად კი პოეტი ამბობს, რომ ლამაზი ქალი არის ვაჟაკის ჰქვიდან შემშლელი, რაც პოეტურ ნაწარმოებში საესებით მისაღებია განზოგადოებულადაც. სიტყვა „ჭირი“ აქ ნიშნავს სნეულებას, ესე იგი სიყვარულს.

ბესო ჟღენტს ვერ გაუგია აგრეთვე ჩვენი მოკლედ გამოთქმული აზრი, რომ პოეტი თუ სულიერს ან უსულო საგანზე ამბობს, დახატულსა ჰგავსო, მაშინ ეს საგანი სტატიურ მდგომარეობაში უნდა იყოს მოცემული. მაგალითად, დამჯდარ ან ზეზე მდგომ ქალზე შეიძლება ითქვას, „დახატულივით ზის“ ან „დახატულივით სდგას“. მაგრამ ქალზე, რომელიც შირბია





რეკლამა. რატომ არის აქ ნათქვამი — დასდრეკდა ლერწმის სარს და არა რკინის კეტს ან მუხის ბოძს? იმატომ, რომ ლერწმის სარსე ~~ქვეყნულ~~ სხეულებით მოადრიკოს, რკინის კეტი და მუხის ბოძი კი ახსნა ~~სხეულებით~~ რაში „სისხლი ეცვა და სისხლი ეხურა“ ზმნები „ეცვა“ და „ეხურა“ მიგვიითებენ იმაზე, რომ აქ სისხლი შედარებულია ჩოხასთან და ქუდთან, ისე როგორც რუსთაველის მეტაფორაში ზმნა „დასდრეკდა“ მიგვიითებენ ლერწმის სარის შედარებაზე ავთანდილის სხეულთან. მაგრამ ლერწმის სარს აქვს ადამიანის სხეულთან საერთო თვისება — დრეკადობა (ჩვენ ბესო ელენტიის გამოსაჯავრებლად განზრახ ავიღეთ მაგალითისათვის ისეთი მეტაფორა, სადაც მეტაფორის დასაყრდენ საფუძველს დრეკადობა წარმოადგენს), ხოლო სისხლს კი არა აქვს ჩოხასა და ქუდთან არც ერთი საერთო თვისება, მაშასადამე, ამ შემთხვევაში მეტაფორას არა აქვს დასაყრდენი საფუძველი. ბესო ელენტიის პოლემიკურ ბერბებს რომ ვიცნობთ, შეგვიძლია ვიფიქროთ — ის აქაც მოგვიბრუნდება და შემოგვძახებს: „რავუყოთ მერე, რომ არა აქვს დასაყრდენი საფუძველი? მეტაფორა ხომ სახლი არ არის ან საბძელი, რად უნდა მას დასაყრდენი საფუძველი?“ უნდა, ამხ. ბესო, აუცილებლად უნდა.

კრიტიკოსს ამოდ შეუწუხებია თავი „ქართლის ცხოვრებიდან“ და შექსპირიდან მაგალითების მოყვანით — არც ერთი მათგანი სისხლის ჩაცმა-დახურვას არ მოგვაგონებს. „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყვანილ მაგალითში/ლაპარაკია სისხლის დათხევაზე, რომლის გამო „ყრველივე მეწამულად იხილებოდეს“, ესე იგი რომელმაც ყველაფერი წითლად შეღება. შექსპირის მაგალითში — „მე იმას ვარჩევ... ვისაც მოსწონს ეს ჩემი სისხლით მოკაზმულობა“ — მხედველობაშია მიღებული სისხლის ლაქები, რომლებიც აცხია კორიოლანოსის ტანსაცმელს და არა სისხლის ტანსაცმელი და ქუდი.

ამგვარად, გავარჩიეთ ბესო ელენტიის პასუხის ყოველი მუხლი. რამდენადაც უმართებულო იყო კრიტიკოსის განცხადება, თითქმის მისი მრავალი ციტატიდან ჩვენ მხოლოდ სამი განვიხილეთ, იმდენად მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბესო ელენტი ჩვენს მიერ აღნიშნული შეცდომების მხოლოდ ნაწილის გამართლებას შეეცადა. მან, ისედაც ენაწყლიანმა, პირში წყალი ჩაიგუბა იმგვარი მნიშვნელოვანი შეცდომების გამო, როგორცაა „ცხენები ჰგლეჯდენ აღვირებს მხედრებს“, „ტებდა მეხვიით მისი მახვილი“ და სხვ. ჩვენი წერილის „ციტატების“ მიზანი იყო დაგვემტკიცებინა, რომ ამხ. ელენტის მიერ მაღალი პოეტური ოსტატობის ნიმუშად მოყვანილი ლექსები ნამდვილად არაერთარ ოსტატობას არ გამოხატავენ. ეს აზრი უეჭველად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ქართველი და მსოფლიო კლასიკოსებიდან მოყვანილი მაგალითების შემდეგ ბესო ელენტს მოჰყავს მაგალითები პირადად ჩვენი ლექსებიდან. მადლობას ვუძღვნით კრიტიკოსს ასეთი პატივისცემისათვის, მაგრამ ჩვენი ლექსების გარშემო ჩვენ აქ კამათს არ გავმართავთ, თუმცა შეგველო ბევრ რამ გვეთქვა. მაგალითად: „მკლავმობხვეული გაკვეთილები“ ნიშნაქს იმ წიგნებს, რომლებიც ილიაის ქვეშ ამოუღვეს სკოლაში მომავალ ნოწაფეს. აქ გამოყენებულია პოეზიაში ცნობილი ბერბი — განყენებული საგნის მატერიალიზაცია. განყენებული საგნის ამგვარსავე მატერიალიზაციას წარმოადგენს „იღვების აორთქლება“, ვაქას ცნობილი ნათქვამის მსგავსად — „ნის-11. „ნათობი“, № 1 — 2.

ლი ფიქრია მთებისა“. „გაფრთხილებულ თათებში“ სიტყვა გაფრთხილებული ნიშნავს არა გაფრთხილების მიცემას, არამედ იმ სიტუაციის აღწერას, როდესაც იჩენს ღამით მოღარაუკედ დათვი მიძინარე მარინას გააფრთხილების დროს. ღათვისა და მარინას, შედარება მურმანთან და ეთერთან საუკეთესო შედარებაა ამ უბრეტუნზიო პოემაში, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ არ ნიშნავს მის მაღალ ღირსებას.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამ კამათში ჩვენ საქმე გვაქვს ამხ. ჟღერტის კრიტიკის ზოგად ნაკლთან და არა ცალკეულ ჩაუარდნასთან, ჩვენ მოვიყვანთ აქ ახალ საბუთს. არც ამ შემთხვევაში წავალთ შორს. ავიღოთ მისი მეორე წერილი, რომელიც უშუალოდ მისდევს „გიორგი მეექვსეზე“ დაწერილ წერილს და შეეხება პოეტ სიმონ ჩიქოვანის მეტად საინტერესო ლექსებს გურამიშვილზე. არას ვიტყვი აქ იმის შესახებ, რომ ბესო ჟღერტის კრიტიკის მეოთხედი სრულებით არ უდგება ამ ლექსებს, რომლებსაც ახასიათებს საგანთა და მოვლენათა გაუცნაურება, ემპირიული სამყაროს მიღმა ცქერა და არა მისი რეალისტური აღწერა. შევხვით მხოლოდ წერილში მოყვანულ ნიმუშებს. განვიხილოთ აქაც კრიტიკოსის მიერ მოწონებული სამი ციტატა. მაგალითად:

„შენს მოტირილს მეც ვისმენდი  
ცად აყრობილს კვამლის ზოლად,  
შენი ცრემლის მელნით ვწერდი  
მზობელ მიწის ვასაგონად“.

რა მოტირილია ისეთი ეს მოტირილი, რომ კვამლის ზოლად აყრობილია ცად? გვგონებათ, რომ აქ ტერის ზღაპრული დევი და არა ლირიკოსი გურამიშვილი. არ შეიძლება აგრეთვე „ცრემლის მელნით“ წერა, ცრემლი უფერულია და მელნად არ გამოდგება. ჩვენ აქ არა ვართ დაზღვეული იმისაგან, რომ საბასუზოდ ბესო ჟღერტი არ მოგვიყვანს აკაკის სიტყვებს „ცრემლში პილესავს ნალველი და მელნად ის. მიხმარია“ და არ შემოგვძახებს — აი თუ არ გამოდგება ცრემლი მელნადო. აქ საკითხსა სწავებტს ცრემლში ნალველის გალესვა, რომელიც ცრემლს აძლევს არა მარტო სიმძაფრეს, არამედ ფერსაც. რუსთაველიც ამბობს — „კალაში ნალველთა ამონაწები“. ცრემლი მელნად რომ ვარგებულებო, ნესტან დარეჯანი თავის წერილს ქაჯეთის ციხეში უთუოდ ცრემლით დასწერდა.

მეორე მაგალითი:

„შენ გცივა თუ მე ვეანკალბ სულერთია,  
ოღონდ ვიყოთ მარად ტრფიალებით მიერალი,  
შენს წისქვილში მსურდა დამე გამეთია,  
ან მეპოვნა შენი წვიმით საფე კვალი“.

აქ მეორე სტრიქონი რომ რიტმის დაცვით წაეიკითხოთ, საქმრო გაბდება სიტყვა „ტრფიალებით“ შუაზე გაიკვეთოს (ტრფია ლებით). მეოთხე სტრიქონში კი პატარა უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უნდა გწეროს „წვიმით საფე შენი კვალი“.

მესამე ნიმუში:



„მაგრამ დავტოვე ბალლი ტანტალა,  
ხმა ჩაეუნერგე ზარივით წყნარი...“

ეროვნული  
კულტურის

კარგია გურამიშვილის წიგნის შედარება ბავშვთან, მაგრამ ეს ბავშვი არ უნდა შეეწიროს პოეტს რითმისათვის და არ უნდა ეწოდებინა მისთვის „ტანტალა“. არ შეიძლება ითქვას აგრეთვე „ზარივით წყნარი“, რადგან ზარი წყნარიც შეიძლება იყოს და თავზარდამცემიც.

თუნდაც არავითარი შეცდომა არ იყოს ამ ნიმუშებში, მაინც შეუფერებელია მათ შესახებ ითქვას ის, რასაც ამხ. ელენტი სწერს: „ჩვენ მიერ ციტირებული ადგილები ამ ციკლას ლექსებისა საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ, თუ როგორის ცხოველყოფელი ფანტაზიით და გამოვინებით ძერწავს პოეტი თავისა აზრებისა და განცდების გადმომცემ მხატვრულ სახეებს“.

„წონასწორობისა და ობიექტიურობის“ დასაცავად, ამ წერილის ბოლოში კრიტიკოსს მოჰყავს რამდენიმე ლექსის ნიმუში, რომლებსაც ის იწუნებს. აი ერთი მათგანი, რომლის აზრი ვითომც ისე ბუნდოვანია, რომ ის მკითხველისთვის „მიუწვდომელი რჩება“.

„შემომახმა ტანზე ჩრდილი,  
შესამოსიც გახდა მზრალი,  
თითქოს ვიყო შესაწირი,  
სული ჩემი კვამლში არი“.

არაფერი არ არის აქ გაუგებარი: უმზეო სიცოცხლეს პოეტის სხეულისათვის დაუკარგავს ჩრდილი და შეუყინავს სამოსი. სული იმიტომ არის კვამლით მოცული, რომ იგი სამსხვერპლოზეა მიტანილი შესაწირად. აქ კვამლი უფრო თავის ადგილას არის, ვიდრე ზემოთმოყვანილ პირველ ნიმუშში. საერთოდ კი ეს ოთხი დაწუნებული სტრიქონი ძალიან კარგია და სჯობს სამივე მოწონებულ მაგალითს.

აუ ესეც არა კმარა, ავიღოთ ბესო ელენტის სულ უკანასკნელი წერილი, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ „მნათობის“ 1943 წლის მე-9 — 10 ნომერში. ამ წერილში განხილულია სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. ყოველ შემთხვევაში ამ პოეტის პოეზიას მაინც უნდა მიეცა საშუალება კრიტიკოსისათვის, რომ თავისი წერილი მას მაღალხარისხოვანი ციტატებით შეემკო. მაგრამ ბესო ელენტი აქაც ახერხებს მოუნახოს პოეტს განსაკუთრებით სუსტი სტრიქონები და წარუდგინოს ისინი მკითხველს როგორც კარგის ნიმუში, ნამდვილად შესანაშნავი, ყველასათვის ცნობილი და ათასჯერ ციტირებული ლექსების გვერდით. მაგალითად, რა სანიმუშოდ მოსაყვანია ამგვარი ლექსი:

„მე კავკასიის ქედები მთხოვენ,  
მე მთხოვენ მუსკა თერგის ხმაურის,  
ვლსინო ყაზბეგს, ზევის ბეთხოვენს,  
იღუგუნება კაიშაურის“.

უადგილოა ამ სტროფში ბეთხოვენის შედარება მწვერვალ ყაზბეგთან. ადვილი წარმოსადგენია, რომ ბესო ელენტი მოგვეტრიალდება ამის გამო გაცემულ სახით და შემოგვძახებს: „რატომ არის უადგილო? ილია ქაე-



## ასახვის თეორია და მხატვრული შემქმნაობის საკითხები

მხატვრული შემოქმედების პროცესის ობიექტური ბუნების ანალიზი, მხოლოდ შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, „შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების ასახვა“<sup>1)</sup>. ამავე დროს, „ჩვენ შემეცნება შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი ეპოქის მიერ მოცემულ პირობებში და იმდენად, რამდენადაც ნებას გვაძლევს ეს პირობები“<sup>2)</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემეცნება ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს, განსაზღვრულს „საზოგადოებრივი ყოფიერებით“.

მხატვრული შემოქმედება შემეცნების, „სამყაროს ათვისების“ სპეციფიკური ფორმაა. ამიტომ მის არსსაც აღნიშნული მომენტები უდევს საფუძვლად: იგი გვევლიანება როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვა, ათვისება, იგივე — როგორც მხატვრული შემეცნება, ყოველთვის და ყველგან „საზოგადოებრივი ყოფიერებით“ პირობადებული.

მხატვრული შემოქმედების ბუნების ამგვარი გაგება, რომელსაც მხატვრული ასახვის თეორია შეიძლება ვუწოდოთ, ორგანულად გამოიმდინარეობს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპებიდან. ის არაერთხელ უშუალოდაც გვხვდება კ. მარქსის, ფრ. ენგელსის, ვლ. ლენინისა და ი. სტალინის მთელ რიგ შრომებსა, წერილებსა და ცალკეულ შენიშვნებში.

უმათერესად ამ თვალსაზრისს ანეითარებს გ. პლუხანოვიც. მანამ აღნიშნულთან ერთად, მარქსისტული ესთეტიკური აზროვნების ამ უდავოდ დიდი წარმომადგენლის შრომებში მოცემულია ისეთი ცალკეული განსაზღვრებებიც, რომელთა მიხედვით ხელოვნების ობიექტად აღიარებულია არა სინამდვილე, არამედ „გრძნობები და აზრები“. ამავე დროს, მათი ძირითადი პრინციპები, არაპირდაპირ იმ თვალსაზრისის გაზიარებასაც გულისხმობენ, რომელიც შემოქმედების პროცესში სუბიექტურის მხატვრულ ობიექტირებას ხედავს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი „უმისამართო წერილები“. „მე ვფიქრობ, — სწერს პლუხანოვი დასახელებულ „წერილებში“, — რომ ხელოვნება იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი ხელახლა იწყებს თავის თავში გრძნობებსა და აზრებს, მის მიერ განცილებს გარემო სინამდვილის გავლენით და აძლევს მათ გარკვეულ სახეობრივ გამოხატულებას“. (ხაზი პლუხანოვისაა)<sup>3)</sup>. არსებითად ასეთსავე პრინციპს შეაქავს

<sup>1)</sup> ლენინის კრებული, IX, 1935 წ. გვ. 98.

<sup>2)</sup> ფრ. ენგელსი, „Диалектика природы“, стр. 23.

<sup>3)</sup> Плеханов, Соч. т. XIV, гл. 2.

გ. პლენხანოვის მიერ არა ერთხელ განმეორებული ხელოვნების ბელონისკისე-  
ული (წარმოშობით ჰეგელიანურია) განსაზღვრა: „ხელოვნება არის შემოქმედება  
სახეებით“.

ცხადია, გ. პლენხანოვის ეს შეხედულებები ვერ გამოხატავენ ხელოვნების  
ნამდვილ ბუნებას. მათ წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, გრძნობები და აზ-  
რები, რა სიმკვეთრითაც არ უნდა ვლინდებოდნენ ისინი ხელოვნების ნაწარ-  
მოებებში, გვევლინებიან როგორც სინამდვილის ათვისების, ასახვის ზოგადი  
საშუალებები, ამსახველნი ხელოვანის სინამდვილისადმი დამოკიდებულებისა,  
ხოლო თვით მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს ობიექტიური სინამდვი-  
ლის მხატვრულ სუბიექტირებას და არა პირიქით. აქედან ნათელია დასკვნა  
ხელოვნების ნამდვილი საზღვრების შესახებაც: ხელოვნება იწყება მაშინ,  
როდესაც ადამიანი ხელახლა უბრუნდება სინამდვილეს, ათვისებულს შინაგა-  
ნი განცდის გზით, და მის მხატვრულ განსახიერებას, უკუფენას ახდენს.  
აქამდე აღნიშნული გარკვევით მიგვიბრუნებს იმ გარემოებაზედაც, რომ შემოქ-  
მედების პროცესის „მეს“ საზღვრავს ობიექტურისა და სუბიექტურის მთლიან-  
ობაში სპეციფიკური ფორმა, სახელდობრ — მხატვრული მთლიანობა, დამყა-  
რებული ობიექტურის საფუძველზე.

რა ახასიათებს ამ მთლიანობას? სხვა სიტყვებით, რა გზით მიდის ხელო-  
ვნება სინამდვილიდან თავისთავამდე?



„შემეცნება, — ლენინის განსაზღვრით, — არის ადამიანის მიერ ბუნების  
ასახვა. მაგრამ ეს ასახვა არის არა მარტივი, არა უშუალო, არა მთლიანი,  
არამედ ეს არის პროცესი მთელ რიგ აბსტრაქციათა, ფორმულირებისა, ცნე-  
ბათა შედგენისა, კანონთა etc., რთული ცნებანიც, კანონებიც etc. (აზროვნე-  
ბა, მეცნიერება—„ლოგიკური იდეა“) ასახვა ენიჭება პირობითად, დაახლოებით  
მარადიულ მოძრაობასა და განვითარებაში მყოფი ბუნების უნივერსალურ  
კანონზომიერებას“. „ადამიანს არ შეუძლია შეიცნოს—ასახოს—გამოხატოს  
მთელი ბუნება სისრულით, მისი „უშუალო მთლიანობა“, მას შეუძლია მხო-  
ლოდ მუდმივად უახლოვდებოდეს მას, იმით, რომ ქმნის აბსტრაქციებს,  
ცნებებს, კანონებს, სამყაროს მეცნიერულ სურათს და სხვ. და სხვ.“<sup>1)</sup> თვით  
ეს მიახლოების პროცესი კი, ან იგივე „ადამიანის აზრში ბუნების ასახვა  
უნდა გვესმოდეს არა როგორც „მეცდარი“, „აბსტრაქტული“, უძრავი, არა  
წინააღმდეგობათა გარეშე, არამედ მოძრაობის, წინააღმდეგობა-  
თა წარმოშობისა და მათი გადაჭრის მარადიულ პროცესში“.<sup>2)</sup>

შემეცნების აღნიშნულ თვისებებს არ „ქმნის“ არც მხოლოდ გონება, არც  
მხოლოდ გრძნობა. ასეთ ცალმხრივ გაგებათა წინააღმდეგ, შემეცნება, მარტ-  
სისტულ-ლენინური თვალსაზრისით, უაღრესად რთულ დიალექტიკურ პრო-  
ცესს წარმოადგენს — გონებისა და გრძნობის მოქმედებათა მთლიანობის სა-  
ხით. ამ პროცესის დასაწყისს შეგრძნებები შეადგენენ. შეგრძნობა, რომე-  
ლიც „არის ნამდვილად უშუალო კავშირი ცნობიერებისა გარეგან სამყაროს-  
თან“, შეიცავს საგნებისა და მოვლენების „ასლებს, სურათებს, გამოხატულ-

<sup>1)</sup> ლენინის კრებული, IX, 1935 წ., გვ. 98.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 110.

ბას, სარკის გამონაკრობს“ („სარკისებურ ან ფოტოგრაფიულ სურათს“) ერთეულადი (დანაწევრებული) სახით. მის საფუძველზე კი ელემენტარული შემეცნების შემდეგი საფეხური: განზოგადოება და შექმნა „ბუნების სურათის“ ფორმისა ადამიანის შემეცნებაში; ეს ფორმა სწორედ ცნებები, კატეგორიები etc.“<sup>1)</sup> იგივე — სინამდვილის აბსტრაქტული შემოკლებანი. დასასრულ, ყველაფერი ეს უკავშირდება პრაქტიკას როგორც კრატერიუმს. ამრიგად, „ცოცხალი განქვერდებიდან აბსტრაქტულ აზროვნებამდე და მის განპრაქტიკამდე, — ასეთია ქეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა.“<sup>2)</sup>

შემოქმედება კიდევ ემთხვევა და კიდევ უპირისპირდება სინამდვილის ასახვის ამგვარ გზას. ასეთი ორმაგი დამოკიდებულების პირველი მომენტი (დამთხვევა) ობიექტის იგივეობაში ფიქნდება: შემოქმედებაც ისევე ნიშნავს სინამდვილის ასახვას, როგორც შემეცნება. ამ მხრივ მათ ერთი და იგივე „მე“ ახასიათებთ. განსხვავება მათ შორის მოთავსებულია ამ საერთო თვისების გამოვლენის (განხორციელების) კონკრეტული გზებისა და ფორმების სფეროში. სახელდობრ, შემეცნება, როგორც დაეინახეთ „აბსტრაქციის ძალას“ ემყარება, „სამყაროს მეცნიერულ სურათს ქმნის“. მისი „ფორმა ბუნების ასახვისა არის“ ცნება, კატეგორიები, კანონები და სხვ. შემოქმედების დასაყრდენი კი არის არა ეს სფერო, არამედ ჩვენება, ცხოვრებისა და ბუნების „ცოცხალი სურათებით“ მეტყველება, ზოლო ასახვის ფორმა — მხატვრულობა, მხატვრული განსახიერება, სინამდვილის მხატვრული სურათის შექმნა. ამიტომ იგი არ იფარგლება მხოლოდ ქეშმარიტების ძიებით. ასეთ ინტერესს, დამახასიათებელს თეორიული მეცნიერებისათვის, აქ ცელის ქეშმარიტების, ან უფრო უშუალოდ სოციალური სიმართლისა და მშვენიერების სინთეზის ძიება. სინამდვილის სურათს შემოქმედების პროცესი ყოველთვის ამ სინთეზის შემცველი ფერებით ხატავს. ყველა ამ მომენტის გამო, მხატვრული შემოქმედება ასახვის შემეცნებითი საფუძვლების მიხედვითაც სპეციფიკურია: მის სფეროში ასახვის თავისებური ფორმა, ყოველთვის და ყველგან, თავისებურ შემეცნებით პროცესს (საფუძველს) ემყარება.

კ. მარქსი შემოქმედებისა და შემეცნების აღნიშნულ ურთიერთობაზე გარკვევით მიგვითითებს „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ დაწერილ შესავალში. „მთლიანობა, — სწერს იგი დასახელებულ შესავალში, — როგორც საბითაო იგი გვევლინება გონებაში, როგორც აზროვნებითი მთლიანობა, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს ითვისებს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით, — იმ წესით, რომელიც განსხვავდება სამყაროს მხატვრული, რელიგიური, პრაქტიკული, სულიერი ათვისებისაგან.“<sup>3)</sup>

ამრიგად, ციტირებულ სტრიქონებში, კ. მარქსი თეორიულ შემეცნებასა და მხატვრულ შემოქმედებაზე ლაპარაკობს როგორც სამყაროს ათვისების სპეციფიკურ ფორმებზე, რომლებიც ათვისების საკუთარი წესებით ხასიათდებიან. ეს თვალსაზრისი, შემოქმედების პროცესის სპეციფიკური შემეცნებითი ბუნების აღიარებას რომ გულისხმობს და არსებითად უპირისპირდება ამ პრობლემის ირგვლივ

<sup>1)</sup> იქვე, გვ. 98.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>3)</sup> კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1931 წ., გვ. 24 — 25.



ისტორიულად შემუშავებულ არა მარტო იდეალისტურ თეორიებს, არამედ მექანიკური მატერიალიზმის ესთეტიკის თვალსაზრისითაც მხატვრული შემოქმედების პროცესი ძირითადად განსაზღვრულია თეორიული შემეცნების მონაბოვართა მხატვრული ილუსტრირება, — არაპირდაპირი სახით გარკვევით არის ხაზგასმული მხატვრული ასახვის უდიდეს შემეცნებითს მნიშვნელობასთან ერთად, ე. მარქსისა და ფ. ენგელსის ცალკეულ შენიშვნებში ინგლისელი რეალისტი რომანისტების, საერთოდ რეალიზმის, შექსპირის, გოეთესა და ბალზაკის შესახებ. აგრეთვე, იგი კიდევ უფრო მეტი რელიეფურობით არის წარმოდგენილი ელ. ლენინის ცნობილ წერილებში ლევ ტოლსტოიზე, განსაკუთრებით წერილში „ლ. ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“. ლენინი ამ წერილებში გვაძლევს მხატვრული შემეცნების აღნიშნული მარქსისტული გაგების არა მარტო გამოყენებას, არამედ გაღრმავებასა და განვითარებასაც. კერძოდ ის, ლ. ტოლსტოის შემოქმედების გენიალური ანალიზით, ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ მხატვრული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი გამოსახვის თავისებური ფორმა წარმოადგენს თავისებური შემეცნებითი საფუძვლის (წესის) გამოვლენას, ხოლო ერთი მთლიანობის შემადგენელი ორივე ეს მომენტი, მით უფრო მკვეთრად და ორგანიზულად ვლინდება, რაც უფრო ნამდვილი და დიდია ხელოვანი, როგორც ხელოვანი. „დიდი მხატვრის სახელის შეპირისპირება რევოლუციასთან, — სწერს ლენინი დასახელებულ წერილში, — რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც იგი აშკარად განშორდა, პირველი შეხედვით შეიძლება უცნაურად და არაბუნებრივად მოსჩანდეს. ხომ არ დაეარქმევთ სარკეს იმას, რაც ცხადად არ ასახავს მოვლენებს სისწორით? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უაღრესად რთულა მოვლენაა: მის უშუალოდ მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბევრი ისეთი სოციალური ელემენტი ურევია, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, შორდებოდნენ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც მოვლენათა მსვლელობამ მათ წინაშე დააყენა. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, ზოგიერთი რამ რევოლუციის თუნდაც არსებითი მხარიდან მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში“. 1)

რევოლუციასთან ლ. ტოლსტოის დამოკიდებულებების ეს გენიალური ანალიზი, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებული სამკვეთრით მიგვიითიბებს მხატვრული შემეცნების (ასახვის) სპეციფიკურ ბუნებაზე, აგრეთვე აღნიშნავს მისი (ამ სპეციფიკის) გამოვლენის სოციალურ საფუძვლებსაც. მხატვრული შემეცნების სპეციფიკისა და სოციალური გარემოს ეს ორგანიზული დაკავშირება ურთიერთითან, რაც უდავოდ ახალ ნაბიჯს წარმოადგენდა მარქსისტულ ესთეტიკაში, უფრო ნათლად მოსჩანს ლენინის იმავე წერილის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ტოლსტოის „სკოლასა, მოძღვრებასა, შეხედულებებსა და ნაწარმოებებისათვის“ დამახასიათებელ „აშკარა წინააღმდეგობას“. ლენინის განსაზღვრით, ეს წინააღმდეგობაში, რომელიც ძირითადად მოცემულია რეალისტ-მხატვარ ტოლსტოის ნაწარმოებებსა და „მოაზროვნე ტოლსტოის შეხედულებებს“ შორის, წარმოადგენს ხელოვანის ეპოქის შედეგს, გამოვლენას, კერძოდ გამოხატულებას „იმ წინააღმდეგობებით საცხე პირობებისა, რომლებშიაც ჩაყენებული იყო რუსეთის ცხოვრება მე-XIX საუ-

1) ლენინი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 418.

კუნის უკანასკნელ მესამედში<sup>1)</sup> ამრიგად, მხატვრული შემეცნების, საერთოდ, ხელოვნების სპეციფიკურ ბუნებას, ლენინი განიხილავს არა კარგად, არა ცუდად (აბსტრაქტულად), არამედ როგორც გარკვეულ კონკრეტულ რიტუალურ მოვლენას, მოცემულს (გამოვლენილს) შესატყვისი სოციალური გარემოს ჩარჩოში.

აქამდე აღნიშნული ნათელს ხდის იმ გარემოებასაც, რომ მხატვრული ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით, მხატვრული შემოქმედების სპეციფიკური მხარე — მხატვრულობა არას ასახვითი (შემეცნებითი) მოვლენა და არა ვიწრო ფორმალური, ან მხოლოდ გამოხატვითი. ამიტომ მისი თავისებურება ყოველმხრივ სინამდვილის ასახვის (ათვისების) თავისებურ ლოგიკაში („წიესებში“) ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ ამ გაგების განსაზღვრული მხარე, საერთო სახით აღებული არ არის ყოველმხრივ ახალი და უწინაპრო: ესთეტიკური აზროვნების ისტორია ჯერ კიდევ არისტოტელეს „პოეტიკის“ სახით იცნობს მას. ამ შრომის მეცხრე თავში განვითარებული თვალსაზრისით, პოეტი არ განსხვავდება ისტორიკოსისაგან იმით, რომ იგი მეტყველებს ლექსით, ხოლო ისტორიკოსი პროზით. შეროდოტეს ნაწარმოებები რომ ლექსად დაწერილიყო, ისინი მაინც ლექსად დაწერილი ისტორიული ნაწარმოებები იქნებოდნენ. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი მოგვითხრობს იმას, რაც მოხდა, ხოლო მეორე იმას, რაც შეიძლება მომხდარიყო, აუცილებლობის ან ალბათობის მიხედვით. ამიტომ პოეზია უფრო ფილოსოფიურია და სერიოზული. ამავე დროს, პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, მაშინ, როდესაც ისტორიაში ამ უკანასკნელის ადგილს იჭერს ცალკეული. ამრიგად, არისტოტელე პოეზიის სპეციფიკას ხედავს სინამდვილისადმი თავისებურ ამსახველობითს დამოკიდებულებაში. მისი დასკვნით, პოეტი „ასახვის გამო არის პოეტი“.

არისტოტელეს შემდეგ განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატა ეს გაგება თავისებური პრინციპების საფუძველზე, ჰეგელმა თავის „ლექციებში ესთეტიკის შესახებ“. მაგრამ როგორც არისტოტელე, ისე ჰეგელი ხაზგასმულ გაგებას იდეალისტურად ანვითარებდნენ. ამიტომ მათ ესთეტიკურ სისტემებში არ არის მოცემული თვით მხატვრული ასახვის ობიექტური ბუნების სწორი ახსნა. კერძოდ, ერთის მხრივ, მათ არსებითად შებრუნებული სახით ჰქვთ წარმოდგენილი ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთობა მხატვრულ ასახვაში, ხოლო მეორეს მხრივ — მათთვის ბოლომდე შეუცნობელი დარჩა მხატვრული ასახვის ისტორიულ-სოციალური არსი, ნამდვილი „მე“. მხატვრული ასახვას მარქსისტულ-ლენინური თეორია ამ ნაკლთა დაძლევის, გადალახვას შეიძევს თანმიმდევრული მატერიალისტური ანალიზის საფუძველზე, რის გამო მხატვრულობის როგორც სხვა თვისების, ისე ასახვითი ბუნების განსაზღვრა მხოლოდ ამ თეორიაში დებულობს სრულყოფილ სახეს.

ცნობილია რომ განსაზღვრულ იდეალისტურ ესთეტიკურ სისტემებში, მხატვრული შემოქმედების პროცესი განხილულია, როგორც ყო-

<sup>1)</sup> იქვე, გვ. 421.

ველმხრივ იმანენტური და ქვეცნობიერი მოვლენა. ამ გაგების მიხედვით, ნამდვილი ხელოვანი ჰქმნის აბსოლუტურად დამოუკიდებელად რეალობას. რეალური სამყაროსაგან, ისე, საკუთარი შემეცნებისაგანაც. ამიტომ: მსხვერპლისათვის ყოველთვის საიდუმლოების ბურუსით არის მოცული საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკა: მან არასოდეს არ იცის რას ჰქმნის, ან როგორ ჰქმნას.

ხელოვნების განვითარების ობიექტური ბუნება, ასახული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საუკეთესო მიღწევებში, ყოველმხრივ უპირისპირდება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, იგი უდიდესი სიცხადით ავლენს იმ გარემოებას, რომ ხელოვნების ნაწარმოები შეუძლებელია შეიქმნას სინამდვილის ცოდნისა და ცნობიერი მხატვრული ხედვის დამოუკიდებლად. ყოველი მხატვრული ქმნილება ხელოვანის ცნობიერების საერთო „ცნობიერი მოქმედების“ შედეგია, რადგან, როგორც ეს არაერთხელ აღუნიშნავთ სხვადასხვა ავტორებს „შემოქმედება ახასიათებს მხოლოდ თვითცნობიერ სუბიექტს“. ხელოვნების ისტორიიდან შეუძლებელია ისეთი მაგალითის დასახელება, რომელიც სიცარიელიდან, მხოლოდ მისტიკიდან იყოს წარმოშობილი. ძალი, არ არსებულ ქვეყანაში ზეტიალი და ცნობიერებას მიღმა ღვთაება, ობიექტურად არასოდეს არ არსებულა როგორც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი შემოქმედებით ფაქტორი. თვით ის მაგალითებიც, რომლებსაც დამშვიდებით ასახელებენ ქვეცნობიერების თეორიის აპოლოგეტები, უდიდეს მჭერმეტყველებით ამტკიცებდნენ მათ საწინააღმდეგოს. ეს გარკვევით აღნიშნა ჯერ კიდევ ჰეგელმა, რომელმაც სისულელედ აღიარა ფიქრი იმის შესახებ, თითქოს ისეთი პოემები, როგორიც არის ჰომეროსის პოემები, პოეტს „ძილში შეექმნას“. ასეთივე შეუძლებლობა არსებობს ამ მხრივ ხელოვნების ყველა სფეროს ყოველ ნაწარმოებების მიმართ. იგივე რაფაელი, რომელსაც ხშირად იყენებენ ქვეცნობიერების თეორიის დასასაბუთებლად, სინამდვილეში თავის მადონებს ჰქმნიდა მრავალი მშვენიერი იტალიელი ასულის სახეებას შესწავლის შედეგად. და თუ გენიალური ოსტატები თავიანთ შედეგებზე მუშაობისას ღამეებს ათევდნენ, ხშირად ეზრძოდნენ უვარგისს სტრაქონებს, ფერებს, ბგერებს, ფორმებს, ან დუმილით შეპყრობილნი შეცქეროდნენ დაწყებულ სურათს, ქანდაკებას, საწერ მაგიდას — ეს ხდებოდა არა იმიტომ, თითქოს ისინი ელოდნენ შთაგონებას, საკუთარ „მესა“ და სინამდვილის „სიღაბლიდან“ „აფრენას“, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უძილობის, გადაკეთების, ოცნების თუ საკუთარ განცდებსა და წარმოდგენებთან ზრძოლის პროცესში ეძებდნენ, ამუშავებდნენ, მხატვრული განზოგადების გზით ამოლიანებდნენ თავიანთი ნაწარმოებების ყოველ მომენტს, რეალური სამყაროს შესწავლით და განცდით დაგროვილი მასალის საფუძველზე.

თუ რამდენად გარდუვალია ხელოვანის სინამდვილესთან ცნობიერი დამოკიდებულების მითითებული ძალა, ეს ნათლად სჩანს იმ მეტად თავისებურ გატაცებდანაც, რომელიც ხელოვანთა ერთ ნაწილს ახასიათებთ. რუბენსი იმ დროს, როდესაც მთელი მისი ქონების აღწერას ახდენდნენ ვალების გასასტუმრებლად, ბუნებრივი მიღწევარების მიუხედავად, ჩვეულებრივი სიღინჯით იწერდა ამწერთა წრეში მყოფ საინტერესო ტიპებს, ნ. ნ. გე, მომავლადი მფლლის წინ იდგა არა მარტო როგორც ქმარი, შეპყრობილი განუსაზღვრელი მწუხარებით, არამედ როგორც მხატვარიც, რომელმაც სიცოცხლის დასასრულთან მოახლოებული მეგობარი „ჯვარცმავში“ გამოსაყენებლად ჩიხბატა. შვილის გარდცვალების გამო მწუხარებით ვახლებული. კრამსკოისაც არ

დაეწყებია ფერები: მის სურათში „უნუგეშო მწუხარება“ განსახიერებულა მისი მეუღლე და შვილის კუბო. ანალოგიურ ფაქტს იძლევა ჩვენს შემთხვევაში „მახსოვს, — სწერს მხატვრის ქალიშვილი ვ. რეპინა თავის მხატვრულ მემორუარებში — ერთხელ ტანთვარჯიშობის დროს თავბრუს დამეცხა, ჩამოვვარდი ტრაპეციიდან და ცხვირი გავიტეხე. დედა მომვარდა წყლით და პირსახოცით.

— შეჩერდით, ნუ შეეხებით, — სთქვა მამამ.

მე გაეჩერდი და ასე ვიდრეც რამდენიმე ხანს.

— ახლა კმარა, მოსწმინდეთ სისხლი.

მამას უნდოდა დაემახსოვრებინა სისხლის ფერი „ივანე მრისხანესათვის“. <sup>1)</sup> ამ ფაქტებს ემატება აგრეთვე ის ცნობილი გარემოებაც, რომ მხატვრები და მოქანდაკეები თავიანთ სახეებს ნატურის გამოყენებით ან პირდაპირ ნატურიდან ქმნიდნენ. ანალოგიური სურათია გადაშლილი ხელოვნების სხვა დარგების სფეროშიც. საერთოდ ხელოვნების მთელი ისტორია ამგვარი ფაქტების სისტემაა, თუ მას სწორად გავიგებთ და არა შებრუნებულად. ბალზაკმა ძირითადად უდავოდ სწორად გამოხატა, საკუთარ შემოქმედებითს პრაქტიკასთან დაკავშირებით ყველა ამ ფაქტის ობიექტური არსება „ადამიანური კომედის“ წინასიტყვაობაში. ერთ-ერთ თავის კრიტიკულ წერილში კი იგი უფრო მკვეთრად მიუთითებს ამ მომენტზე ლიტერატურის კლასიკოსების მაგალითზე. ისინი, ბალზაკის დასკვნით, ყოველთვის სწავლობდნენ ადამიანთა ცოდნის ატმოსფეროს მდგომარეობას, თავიანთი ეპოქის მაჯისცემას, გრძნობდნენ ამ უკანასკნელის ტივილებს, აკვირდებოდნენ მის სახეს, ეცნობოდნენ მის უცნაურობას.

ცხადია, ამავე კანონზომიერებასთან ვვაჭვს საქმე მაშინაც, როდესაც შემოქმედელი, წინასწარი შემოქმედებითი მუშაობის, გააზრებას გარეშე, „ერთბაშად ქმნის“ თავის ნაწარმოებს. ეს შემთხვევა არსებითად წარმოადგენს ხელოვანის ცნობიერებაში უკვე დაგროვილი ცოდნის, შთაბეჭდილებების, იდეების და განწყობილებების მთლიანობის „აფეთქებას“, თანდათან მომზადებული მარობების შემოქმედებითს „ნახტომს“, გამოვლენას. ამდენად იგი თავის წარმოშობით და ბუნებით, ობიექტურად, ცნობიერია. მეტიც: ცნობიერი მოქმედების უშაღლეს სტადიას შეიცავს, თუმცა მასში, ისევე როგორც სხვა შემთხვევის დროსაც, არის მეორე მხარეც, როგორც არა ძირითადი მომენტი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც ამ მოვლენის დროს, ისე საერთოდ, შემოქმედების პროცესი ხშირად უფრო შორს მიდის, ვიდრე ეს შემოქმედლის ცნობიერებაში მის აღქრამდე ივლისხმება. ეს გასაგებიცაა, რადგან შეთხზვის მომენტში ხელოვანი არა მარტო მის ცნობიერებაში არსებულს ავლენს, არამედ მის საფუძველზე ახალსაც ქმნის. ამავე დროს, აღნიშნულს ის გარემოებაც უდევს საფუძვლად, რომელსაც შეიძლება შემოქმედებითი ფანტაზიის მოძრავი ბუნება ეწოდოს და რომლის გამო ხელოვნისათვის ცოტა ბიძგია საჭირო, რომ იგი „აფეთქდეს“, შორს წავადეს, მოვლენებისა და განცდების ფართო პორიზონტს დაუკავშირდეს.

ამრიგად, დასკვნა ბუნებრივია: შემოქმედების პროცესი ხელოვნების განვითარების არც ერთ საფეხურზე, თვით იმ ხელოვანთა შემოქმედებით პრაქტიკაშიც კი, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ ქვეცნობიერების თეორიას, არა

<sup>1)</sup> „Huna“, 1914 r., № 29, стр. 573.

მდგარა რეალური ქვეყნის შემეცნებით დაგროვალი მასალის გარეშე, არ არსებულა ქვეყნობიერი სახით. პირიქით, იგობირთადად ყოველფეხი ქვეყნობიერად გააზრებულ და აქტიურ ცნობიერ გზას ემყარება, შემოქმედლები ყველაფერთან ცნობიერი დამოკიდებულების სპეციფიურ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ ათასჯერ სწორია ცნობილი დებულება: „უგუნურებაა იფიქრო, თითქოს ნამდვილმა ხელოვანმა არ იცოდეს, თუ რას აკეთებს (ჰქმნის)“. საეხებით სწორია აგრეთვე ის შეხედულებაც, რომლის თანახმად შემოქმედმა, თუ მას სურს იყოს ნამდვილი შემოქმედი, სურს შესძლოს ცხოვრების სახეების ნამდვილი სიღრმის კონკრეტულ მოვლენებად ჩამოყალიბება და მხატვრული განსახიერება, არა მარტო შეერი უნდა ნახოს და კარგად იცოდეს, რაც მის ირგვლივ არის და ხდება, არამედ უშუალოდაც ბევრი უნდა გადაიტანოს; — მრავალმა და დიდმა ფაქტმა უნდა დაამძიმოს მისი ცხოვრება, „დაიპყროს და ააღელვოს მისი სული, მისი გული“.

ეს დასკვნა შინაგანის აუცილებლობით გულისხმობს იმ მჭიდრო გამოყენებითს ურთიერთობასაც, რომელიც შემოქმედებასა და თეორიულ შემეცნებას შორის არსებობს, კერძოდ იმ ფაქტს, რომ შემოქმედება ყოველთვის უხვად სარგებლობს შემეცნების მიღწევებით. „სამყაროს, ცხოვრების ღრმა ცოდნის გარეშე არ შეიძლება შეიქმნას დიდი მხატვრული ნაწარმოებები“. მხატვრული შემეცნების მიღწევებსაც უხვად იყენებს თეორიული შემეცნება. მაგრამ, ამავე დროს, ყველაფერი ეს არ გულისხმობს, თითქოს შემოქმედმა ზუსტად მხოლოდ შესწავლის, ცდის, ცნობიერი განსჯისა და წინასწარ გააზრებულის ჩაჩიოში მიმდინარეობდეს, ან მხოლოდ იმას ემყარებოდეს, რასაც თეორიული შემეცნება შეიცავს. ეს უკიდურესობა, სხვადასხვა სახით განვითარებული იდეალისტური რაციონალიზმისა და მექანიკური მატერიალიზმის ესთეტიკურ სისტემებში, ჰქმნას მეტად ყალბ და ცალმხრივ გაგებას. სახელდობრ, იგი, ერთის მხრივ — უარყოფს შემოქმედების პროცესის სპეციფიურ ბუნებას, ხოლო მეორეს მხრივ — მთლიანად რიცხავს შემოქმედების სფეროდან ქვეყნობიერ მომენტს. ასეთი გაგების წინააღმდეგ, ის, რაც აქამდე ითქვა, არ გამორიცხავს არა მარტო მხატვრული შემოქმედების სპეციფიკურ ბუნებას, არამედ შემოქმედების პროცესში ქვეყნობიერის არსებობასაც. კერძოდ უკანასკნელის შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ მას შინაგანი ელემენტის სახით შეიცავს მხატვრული შემოქმედების პროცესი. სახელდობრ, ზმირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორი მხატვრული ნაწარმოებების ზოგიერთ თვისებებს, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ცალკეულ დეტალებს სუბიექტურად შეუცნობლად ჰქმნის. ეს მდგენა, რომელზედაც არამირდამარ, გარკვევით მიგვითითებენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, ისტორიულად შემოქმედების პროცესს უფრო თვალსაჩინოდ ახასიათებს, ვიდრე შემეცნებას. ამიტომ მისი აბსოლუტური უარყოფა, რაც განსაზღვრულ ფორმებში არ ჩაუდენია თვით ჩერნიშევსისაც-კი, იქნებოდა ფაქტების წინ თვალების დახუჭვა. თეორიულ სიბრმავეს ვერ დაეაღწევთ თავს ვერც მაშინ, თუ წერტილს აქ დაესვათ და არ აღვნიშნავთ იმ კარდინალურ განსხვავებას, რომელიც შემოქმედების ქვეყნობიერი მომენტის ობიექტურ ბუნებას ახასიათებს, იდეალისტური ესთეტიკის შესაფერ პრინციპებთან შედარებით.

იდეალისტური ესთეტიკა, ქვეყნობიერს აბსოლუტურად თიშავს (ანსხვავებს) ცნობიერისაგან, — მათ ურთიერთის უარყოფად სთვლის (ამ მხრივ გამოჩაყლის მხოლოდ შელინგი წარმოადგენს). სინამდვილეში შემოქმედე-

ბის პროცესის სუბიექტურად გაუაზრებელი (ქვეცნობიერი) მხარე ძირითადად ყოველთვის ცნობიერ საფუძველს ემყარება, ცნობიერის ფორმულურ წარმოადგენს; სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, ცნობიერი ფორმულურად ვილი შთაბეჭდილებები, განცდები, ცოდნა და მათში გასხეულებული ტენდენცია, ამსახველი შემოქმედების სინამდვილესთან დამოკიდებულებისა, აი ის მთავარი მომენტები, რომლებიც შემოქმედების არაცნობიერ მხარეს უღვეს საფუძველად. ამრიგად, მხატვრული შექმნის პროცესის ეს თვისება თავისი არსებით მხოლოდ შემოქმედებით აქტს (მხატვრული ნაწარმოების ფორმირების აქტს) უკავშირდება, და ცნობიერას შეუცნობელ გამოვლენას წარმოადგენს. ამავე დროს, იგი სინამდვილის ასახვას, ზელოვანის განცდებისა და სინამდვილესთან დამოკიდებულების მხატვრულ განსახიერებას შეიცავს ან უკავშირდება და არა წმინდა ესთეტიკურს.

როგორც ცნობილია, გრძნობები წარმოადგენენ მხატვრული შემეცნების უშუალო დასაყრდენს. შემომქმედი ობიექტურად ყოველთვის რეალური სამყაროს აღქმიდან ამოდის, თუმცა ეს ფაქტი სუბიექტურად, ყოველთვის არ არის ყოველმხრივ ცნობიერი მისთვის. სხვა უშუალო საწყისი შემოქმედების პროცესს არ გაანია. ამ მხრივ შემოქმედების პროცესი ძირითადად იმავე ხასიათს ატარებს, რასაც თეორიული შემეცნება: ისე როგორც შემეცნების სფეროში, აქაც შეგრძნობები საგნებისა და მოვლენების სურათებს, ასლებს, ფორტოგრაფიულ გამოხატულებებს იძლევიან. ასეთი, ერთი შეხედვით სრული იგივეობის მიუხედავად, შემოქმედებასა და შემეცნებაში მონაწილე შეგრძნობებს შორის მიიწე არსებობს გარკვეული განსხვავება. შემოქმედების პროცესში ეს თავისებურება ძირითადად შეგრძნობების მეტი ემოციური (განცლითი) და „საგნობრივი“ ხასიათით ისაზღვრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზელოვანის შეგრძნობა მეტი სუბიექტური აქტიურობით და განცდითი სისრულით ხასიათდება, უფრო ლირიული და კონკრეტულ-საგნობრივი შინაარსისაა. მასში გარკვევითაა გასხეულებული მხატვრული ხედვის ყველა ელემენტის საწყისი. მაგრამ, რადგან ყველაფერი ეს მხატვრული შემოქმედების პროცესსა დასაწყისია, ამიტომ სპეციფიურობაც, რომელიც შემოქმედებასა და შემეცნებას შორის ამ სტადიაზე ვლინდება, ჯერ კიდევ არ არის მთლიანი და ყოველმხრივი. მისი მთლიანი და ყოველმხრივი ფორმირება შეგრძნობების ათვისებისა და განზოგადობის პროცესში იწყება. როგორც ზემოთაც დავინახეთ, თეორიულ შემეცნებაში ეს გზა ემსახურება სინამდვილის შემოკლებული განმეორების, იგივე ცნებების, კატეგორიების და სხვ. შექმნას. მხატვრული შემოქმედების სფეროში კი საწინააღმდეგო სურათია მოცემული: აქ აღნიშნული პროცესი სინამდვილის განსახიერების (ჩვენების), მხატვრული ტენდენციური უკუფენის განხორციელების პროცესს წარმოადგენს, რის გამოც მასში ბოლომდის გრძნობების უშუალო და აქტიური მონაწილეობასთან გეაქვს საქმე. ამრიგად, მხატვრულ შემეცნებაში, როგორც ჰეგელი იტყვოდა, საქმე გეაქვს არა „სინამდვილის ჩრდილების ბატონობასთან“, ან ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არა „სინამდვილის ლოგიკურ შემოკლებებთან“, არამედ თვით ცოცხალ, მდელვარად „სისხლ-სახე სი-

ნამდვილესთან“. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს სინამდვილე თავიერი ობიექტური ფორმით ვლინდებოდეს ხელოვნებაში. პირიქით, ხელოვნებაში ყოველთვის კვდება იქ, სადაც ასეთ პირდაპირ გარემოებასთან წყვეტილი უკავშირდება. ამასთანავე ერთად, ასეთ შემთხვევაში ათვისების მომენტიც გამოირიცხებულია.

ხელოვნება, სინამდვილისადმი აღნიშნული პირდაპირი დამოკიდებულების ნაცვლად, ყოველთვის შეიცავს შემომქმედის მიერ ობიექტურის საფუძველზე შექმნილ „ახალ სამყაროს“, იგივე, „საკუთარ სამყაროს“. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს არა აბსოლუტურად, „ახალსა“ და „საკუთარს“, ან სინამდვილესთან დაპირისპირებულ გამოგონებას, არამედ სინამდვილის ასახვის, შემეცნების საშუალებას, რომელიც, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ერთერთი ავტორი, „резко подчеркивает своеобразие художественного отражения“. დასკვნა ბუნებრივია: ხელოვნება ისევე არ გულისხმობს სინამდვილის პასიურ და პირდაპირ უკუფენას, როგორც არც უარყოფას: ის სინამდვილეა, მაგრამ სინამდვილე მხატვრული სუბიექტირებისა და განზოგადობის გზით ასახული, სხვა სიტყვებით: „სინამდვილე განცხოველებული აზრითა და მხატვრობით“. <sup>1)</sup> აღნიშნულის გამოა, რომ ვენერა მილოსელი, რაფაელის მადონები, რემბრანდტის „წმინდა ოჯახი“, დავიდის „ფიცი“, ისევე როგორც გოეთეს „ფაუსტის“, პუშკინის „ევგენი ონეგინისა“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის“ სახეები სინამდვილეში არ არსებულან ზუსტად რმგვარად, როგორც ისინი დასახელებული ნაწარმოებებში არიან წარმოდგენილნი. არც ბეთზოვენის მე-9 სიმფონია არსებულა ობიექტურად სტიქიური ბგერების სახით. აღნიშნულის მიუხედავად ვერაინ დაამტკიცებს იმას, თითქოს ისინი არ სახადენენ შესატყვის სინამდვილეს, არ წარმოადგენდენ ხელოვნის სინამდვილესთან ურთიერთობის პროდუქტებს, სინამდვილის გამოხატვის მხატვრულ ცნებებს. იგივე ითქმის ხელოვნების ყველა სხვა ნაწარმოების შესახებ, რადგან ხელოვნების შემეცნებითი ბუნება ყველგან და ყოველთვის მხოლოდ ამგვარი ლოგიკით ისაზღვრება. ამ ლოგიკის განზორციელებას კი მხატვრული ფანტაზია უდევს საფუძველად.

• •

ფანტაზია უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის შემეცნებაში. „Нелепо отрицать роль фантазии и в самой строгой науке“, <sup>2)</sup> — შენიშნავს ლენინი „ფილოსოფიურ რეკულებში“. ერთ-ერთ სიტყვაში იგი უფრო მეტის რელიეფურობით საზღვრავს ფანტაზიის საერთო მნიშვნელობას: „Эта способность чрезвычайно ценна. Напрасно думают, что она нужна только поэту. Это глупый предрасудок. Даже в математике она нужна; даже открытие дифференциального и интегрального исчисления невозможно было бы без фантазии. Фантазия есть качество величайшей ценности“. <sup>3)</sup>

<sup>1)</sup> ი. ჭავჭავაძე, თბ. კრ. ტ. IV, გვ. 83.

<sup>2)</sup> ლენინი, „Фил. тетр.“, стр. 336.

<sup>3)</sup> ლენინი, т. XVIII, стр. 226.

ფანტაზიის ასეთი ხასიათი მისი შემეცნებითი არსიდან მომდინარეობს. კერძოდ, ფანტაზია, წინააღმდეგ იდეალისტური გაგებისა, რომელიც შემოქმედდა მხოლოდ გამოგონილსა და წმინდა სუბიექტურს ხედავს, ობიექტურად აღიქვამს დილის პროდუქტსა და ასახვას წარმოადგენს. ლენინი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ფანტაზიის აღნიშნულ ბუნებას ლ. ფეიერბახის შემდეგი სტრიქონებით ახასიათებს: „რასაკვირველია, ფანტაზიის ნაწარმოებშიც ბუნების ნაწარმოებია, იმიტომ რომ ფანტაზიის ძალაც, ისევე, როგორც ადამიანის ყოველი სხვა ძალა, საბოლოო ანგარიშში (zuletzt), თავისა საფუძვლის მიხედვით, წარმოშობით იგივე ბუნების ძალაა; მაგრამ ადამიანი, როგორც არსება, მაინც განსხვავდება მზისა, მთვარისა, ვარსკვლავებისა, ქვებისა, ცხოველებისა და მცენარეებისაგან, — ერთის სიტყვით, ყველა იმ არსებისაგან (Wesen), რომელთაც იგი საერთო ტერმინს ბუნებას უწოდებს; — მაშასადამე თუმცა ადამიანის წარმოდგენანი (Bilder) მზესა, მთვარესა, ვარსკვლავებსა და ბუნების სხვა არსებებზე (Naturwesen) ბუნების ნაწარმოებნი არიან, მაგრამ სხვა მათი ნაწარმოებნი, — ისინი განსხვავდებიან ბუნებაში არსებულ საგნებისაგან“.<sup>1)</sup> ამრიგად, ფეიერბახის განსაზღვრით, ფანტაზია ბუნების შედეგია, ბუნების თავისებურ ასახვას, თავისებურ პროდუქტს წარმოადგენს. ამავე დროს, ეს ბუნების „ერთი მხარე ან მხოლოდ ნაწილია, როგორც თვით ადამიანი, მხოლოდ ერთი ნაწილია მისი [ადამიანის] წარმოდგენებში ასახული ბუნებისა“.<sup>2)</sup> ფანტაზიის დაახლოებით ასეთსავე გაგებას აწვითარებს ჩერნიშევსკიც თავის დისერტაციაში. მისი დასკვნით, ფანტაზია მხოლოდ სინამდვილიდან იბადება და სინამდვილეს ავსებს, სახავს. ფანტაზიის ბუნების ამ მხარეზე მართებულად მიუთითა აგრეთვე პისარევა თავის წერილში „Промахи незрелой мысли“.

ყველაფერი ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქმის ფანტაზია პირდაპირ იმეორებდეს სინამდვილეს. პირაქით, როგორც ამას ფეიერბახის ციტირებული სტრიქონებიც გარკვევით მიუთითებენ, სინამდვილის ემპირიულ ფორმას ფანტაზია გარკვევით სცილდება ისეთი სამყაროს შექმნით, რომელიც არ არის სინამდვილის ადეკვატური განმეორება. შედარებით უფრო „ახლოა ცასთან“, მაგრამ ამისდა მიუხედავად სინამდვილიდან მომდინარეობს, სინამდვილეს ემყარება და სახავს.

ფანტაზიის აღნიშნული თვისებები თავისებური სახით ვლინდება მხატვრულ ფანტაზიაში, რადგან ეს უკანასკნელი ფანტაზიის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, როგორც ბუნების, ისე იმ როლის მიხედვითაც, რომელსაც ის შემოქმედების პროცესში ასრულებს. სახელდობრ, იგი ერთის მხრით, ხასიათდება სუბიექტურის განსაკუთრებული აქტიურობით, განცდისა და ემოციის სიჭარბით, საგნებისა და მოვლენების სურათობრივი, მხატვრული წარმოსახვით, მხატვრული განზოგადოებით, ხოლო მეორეს მხრით — შემოქმედების პროცესის სპეციფიკურ დასაყრდენს შეადგენს: თუ თეორიული შემეცნების სფეროში ფანტაზია გვევლინება თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც არა ძირითადი მომენტის სახით, შემოქმედების პროცესისათვის მხატვრული ფანტაზია აუცილებელ სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს. ობიექტურად იგი არსებით როლს თამაშობს იმ ხელშეწყობაში, რომელიც

<sup>1)</sup> ლენინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, 1934 წ., გვ. 110.

<sup>2)</sup> იქვე.



რომლებიც სუბიექტურად ხელაღებით უარყოფდნენ მას, როგორც <sup>ინტონ,</sup> „მაიდურსა“ და უსარგებლო სიცარიელეს.

მხატვრული ფანტაზიის აქ შითითებული ბუნება და მოქმედებას <sup>ინტონ</sup> ხანძრუ-  
ბი, იდეალისტრი თვალსაზრისით განსაზღვრული აქვს ჰეგელს თავის  
„ლექციებში ესთეტიკის შესახებ“. ჰეგელის თვალსაზრისით მხატვრული ნა-  
წარმოები იბადება სულიდან — „Das kunstwerk entspringt aus dem Geiste.“<sup>1)</sup> ამიტომ მხატვრული შემოქმედების პროცესი შეიცავს სუბიექტურ  
შემქმნელ საქმიანობას, რომლიდანაც მხატვრული ნაწარმოები გამომდინა-  
რეობს „როგორც მისი პროდუქტი“. ეს სუბიექტური საქმიანობა ხელოვანის  
ფანტაზიაა. „Die subjektive hervorbringende Tnätigkeit ist die Fantasie  
des künstlers“ — სწერს ჰეგელი.<sup>2)</sup> ამრიგად მხატვრული ნაწარმოების  
ძირითადი უშუალო შემომქმედი არის ხელოვანის ფანტაზია, „ფანტა-  
ზიის თავისუფალი მოქმედება“. ეს ერთის მხრით; მეორეს მხრათ, ჰეგელი-  
სათვის ფანტაზია წარმოადგენს ხელოვანის „უთვალსაზროსს მხატვ-  
რულ უნარს“, რომელიც, როგორც შეშოქმედებითი კატე-  
გორია, არსებითად განსხვავდება „პასიური წარმოსახვის უნარისა-  
გან“. მას ახასიათებს უბირველეს ყოვლისა ნიჭი და აღღო, სინამდ-  
ვიღისა და მისი სახეების ასათვისებლად. ამ უკანასკნელთა გზით  
ხელოვანის სულში ისახებიან „არსებულის მრავალფეროვანი სურათები“,  
რომლებსაც დაეიწყებისაგან იცავს ფანტაზიის შემდეგი ელემენტი — ძლიე-  
რი მეხსიერება. სინამდვილისა და მისი სახეების, არსებულის სურათების  
თვით ეს ათვისება არსებითია ფანტაზიისათვის იმიტომ, რომ ხელოვნებაში  
არა აზრი, არა ამსტრაქტული განზოგადოება, „არამედ ნამდვილი გარეგანი გა-  
ფორმება“ შეადგენს შემოქმედების სტიქიას. აღნიშნულის გამო, შემოქმედე-  
ბა არტისტის „მე“-სთან არის დაკავშირებული, მაგრამ „მე“-დან, იდეალები-  
დან სინამდვილეში გასვლის გზით ხორციელდება. ამიტომ საჭიროა ხელო-  
ვანის მეხსიერება ღრმად იყოს დატვირთული გარეგანი სინამდვილის, ცხოვ-  
რებისა და ადამიანის შინაგანი ქვეყნის ღრმა ცოდნით, შეგრძნობით, რაც  
ფანტაზიის, როგორც ათვისების უნარის, უკვე აღნიშნულ თავისებურებას  
უკავშირდება. ამავე დროს, ფანტაზია შინაგანის გარეგან გაფორმებას არ  
ახდემს სტიქიურად, ცნობიერების გარეშე. პირიქით, მისი მოქმედება ყოველ-  
თვის გონივრულობას ემყარება. იგი მხატვრულ ნაწარმოებს ჰქმნის  
როგორც სუბიექტური საწყისის, ისე კონკრეტული ფორმის — მასალის (ინდი-  
ვიდუალიზირებული სინამდვილის) ღრმად აწონდაწონვისა და მოფიქრებას,  
გაზრებას, შინაგანი გონივრულობის (ცნობიერი განსაზღვრის) საფუძველზე.  
მხოლოდ ასეთი ხასიათის განსჯისა და სტლიერი განცდების კონცენტრირე-  
ბის გზით სძლევს ფანტაზია იმ „შინაარსს“, რომელიც ხელოვნების ნაწარ-  
მოებებად უნდა იქცეს. ამის გამო, „მასალა და გაფორმება“, მხატ-  
ვრული ნაწარმოების შექმნის პროცესში, გვევლინება, თვით ხელოვანის,  
„როგორც სუბიექტის“ „მეს“ ნაწილის, „უშინაგანესი სა-  
კუთრების“ სახით.

<sup>1)</sup> „Vorlesungen über die Aestetik“, I, გვ. 360.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 361.

დასასრულ, მხატვრული ფანტაზია ორგანიულად არის დაკავშირებული „პრაქტიკულ გრძნობასთან“, იგივე — „შესრულების ნამდვილ გრძნობასთან“ (ნაწარმოების ფორმის სპეციფიკური მხატვრული ტექნიკის დადგენის გრძნობა). ბასთან): ის, რაც ხელოვანის „ფანტაზიაში ცოცხლობს წამსვე მის თითებში გადადის“.

ძირითადად მითითებული თვისებებით საზღვრავს ჰეგელი მხატვრული ფანტაზიის არსს. აღსანიშნავია, რომ ჰეგელი მათი ანალიზის პროცესში აწვითარებს თავის იდეალისტურ სისტემასთან დაპირისპირებულ, ცალკეულ შენიშვნებსაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჰეგელის ეს თეტიკის ამ ერთერთ უაღრესად იდეალისტურ ნაწილში<sup>1)</sup> ყველაზე მეტად არის ხაზგასმული ის წინააღმდეგობაც, რომელიც ასე მკვეთრად ახასიათებს ამ ესთეტიკურ მოძღვრებას საერთოდ. კერძოდ, ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ის რომ ჰეგელი ზემოთ მოყვანილი პრინციპების სახით, შემოქმედებას განიხილავს როგორც სუბიექტურ მოვლენას. ამ მხრივ, ცხადია, იგი უფრო ახლოა ჰემარიტებასთან, ვიდრე მექანიკური მატერიალიზმის ესთეტიკური კონცეპცია. მაგრამ მის ამ დადებით ნაბიჯს თან ახლავს თავისი ჩრდილიც. სახელდობრ, ფანტაზიას ის შემოქმედ სუბიექტთან აკავშირებს არა მარტო როგორც სპეციფიკურ უნარს, შემოქმედებითს ფაქტორს, არამედ მთავრად უბრალოდ მისი შინაარსის მიხედვითაც. მისი დასკვნით, მხატვრული ნაწარმოები სულაღან იბადება, ხოლო ამ დაბადების პროცესს ფანტაზია არსებათად სუბიექტურში მოცემულის საფუძველზე ანხორციელებს. ამიტომ ფანტაზიის შემოქმედებითი სტიქია ჰეგელასათვის არსებითად, სუბიექტურის ობიექტურით გამოხატება. განსხვავებული გაგებაა მოცემული ჰეგელის მსჯელობის იმ ნაწილში, რომელსაც ზემოთ ცალკეული შენიშვნები ეუწოდეთ. აქ ჰეგელი ნაწილობრივ გრძნობს მხატვრული/ფანტაზიის ზოგიერთ მხარეს. ძირითადად ეს ითქმის მხატვრული ფანტაზიის შემეცნებითი ბუნების ზოგიერთ მომენტთა შესახებ. მაგრამ ეს გრძნობაც, ცხადია, ჰეგელის იდეალიზმის რკალშია მოქცეული და ამიტომ არსებითად შორს დგას ფაქტების ლოგიკიდან.

მხატვრული ფანტაზიის ობიექტური ბუნების ანალიზს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა გვაძლევს. ამ უკანასკნელის თვალსაზრისი უპირველესყოლისა ნათელს ხდის იმ გარემობას, რომ მხატვრული ფანტაზია თუმცა ხელოვანის სპეციფიკური სუბიექტური უნარია, მაგრამ ამავე დროს „მოქმედების“ მხრივ ობიექტური სინამდვილის პროდუქტსა და ასახვის საშუალებას წარმოადგენს. მხატვრული ფანტაზიის ბუნების ეს მომენტი გარკვევითაა ასახული იმ როლის ხასიათში, რომელსაც ის შემოქმედების პროცესში ასრულებს და რომელიც ძირითადად ორ მხარეს შეიცავს. სახელდობრ, ერთის მხრით—ფანტაზია ისეთივე გამამთლიანებელი, განმზოგადოებელი მოვლენაა შემოქმედებაში, როგორიც აბსტრაქციაა თეორიული შემეცნების პროცესში: მისი საშუალებით ხელოვანი შეგრძნობებში ასახული სინამდვილის მხატვრულ განზოგადობას ახდენს. მეორეს მხრით—მხატვრული

<sup>1)</sup> ვგულისხმობთ „ლექციების“ პირველი წიგნის იმ ნაწილს, რომელსაც „ხელოვანი“ ეწოდება. (ამ ნაწილშია განხილული ფანტაზია ზემოთ მითითებულ პრინციპთა თვალსაზრისით).

ფანტაზიაც კქმნის სინამდვილის ობიექტური ფორმის საფუძველზე მხატვრული შემოქმედების იმ მხარეს, რომლითაც შემოქმედების *რეგულაცი* სპეციფიკური შემეცნების, არსებობაა პირობადებული, — *განსახიერება* მხატვრულ ფორმას. ამრიგად, მხატვრული ფანტაზია გვევლინება, როგორც განსაკუთრებული უნარი „სინამდვილისა და მისი სახეების ათვისებისა“. იგი წარმოადგენს მხატვრული შემეცნების ძირითად (არსებით) ფაქტორს და შეიცავს ობიექტური სამყაროს განსახიერებას არარსებული, მაგრამ არსებულის საფუძველზე შექმნილი ფორმის ან უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით — „ახალი სამყაროს“ საშუალებით.

მხატვრული ასახვის სპეციფიკური ბუნების ერთ-ერთ არსებით მხარეს წარმოადგენს მხატვრული გამოგონება (შეთხზვა). ეს თვისება იმდენად დამახასიათებელია მხატვრული შემეცნებისათვის, რომ იგი ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში ვლინდება, ცხადია სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სიძლიერით და შინაარსით. მას ჰქვან ვხვდებით ხელოვნების ისეთ ნაწარმოებშიც, როგორც არის პორტრეტი, ილუსტრაცია, ნარკვევი და სხვ. ამ უკანასკნელთა სფეროში შემომქმედი ყოველთვის გარკვეულად მოცემული ფაქტის განსახიერებას იძლევა, რის გამოც იგი აქ თავისი ობიექტით გაცილებით უფრო განსაზღვრულია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, აქაც არ შეიქმნება ხელოვნების ნაწარმოები, თუ ხელოვანი ზუსტად გაიმეორებს მხოლოდ იმას, რაც იყო ან რასაც ხედავს. ასეთი არჩევანის შედეგად იგი დარჩება არა მარტო შემოქმედების გარეშე, არამედ სინამდვილის არსის მიღმაც, რადგან, როგორც ცნობილია, სინამდვილის არსის ათვისება შეუძლებელია, მისი პირდაპირი, „მონური“ გადაღების გზით. ამგვარი ზედის თავიდან ასაცილებლად ხელოვნებას აქვს თავისი სპეციფიკური გზა მხატვრული განსახიერების, მხატვრული განზოგადოების სახით, რომლის განხორციელების პროცესში ხელოვანი სინამდვილეს, როგორც ეს არა ერთხელ შეუნიშნავთ, კიდევ აკლემს და კიდევ უმატებს რაღაცას. და ეს გზა ორგანიზულად შეიცავს ფანტაზიის სფეროში მოქმედ მხატვრულ გამოგონებას, რომლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს ტყუილი წარმოადგენს და რომელიც გვევლინება, როგორც იმ ლირიზმის ნაწილი, შემომქმედის სუბიექტურ ქვეყანას რომ შეაქვს მხატვრული ასახვის პროცესში; ან სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, რომლითაც ხელოვანი სინამდვილის ამსახველ „საკუთარ სამყაროს“ („მეორე სამყაროს“) კქმნის. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს შემოქმედებას სპეციფიკის ისეთ მხარესთან, რომლის გამო მხატვრული შემეცნება გამოგონების, ტყუილის, ილუზიის გზითაც განსახიერებს სიმართლესა და სინამდვილეს, მაშინ როდესაც თეორიულ შემეცნებაში „არა მოჩვენებას, ტყუილს, არამედ მხოლოდ სიმართლეს შეუძლია დაბადოს სიმართლე“, ასახოს სინამდვილე.

დასკვნა ბუნებრივია: მხატვრული გამოგონება, ტყუილი, არ უპირისპირ-

ღება სინამდვილესა და სიმართლეს, მირიქით, მათგან მომდინარეობს და მათ ასახვას წარმოადგენს.

რემბრანდტი „უძღვები შეილის დაბრუნება“, აგებული ცნობილი ფანტაზიის სიუჟეტზე, მხატვრის ფანტაზიის შედეგია, შემცველი მხატვრული გამოგონებისა და ტყუილის გარკვეული ნაკადისა. ასეთი ხასიათის მიუხედავად, ამ ნაწარმოებში უდიდესი სამძაფრით არის გამსახიერებელი გენიალური მხატვრის თანამედროვე პოლანდიელი ხალხის სოციალური ტრაგიზმი და მის წინააღმდეგ მიმართული ხელოვანის დიდი ჰუმანიზმი, გამოვლენილი მძაფრ რეალისტურ ჩარჩოში. ანალოგიური მგალითები კი დაუსრულებლივ შეიძლება დასახელდეს.

მაგრამ აქამდე აღნიშნული არ ნიშნავს, თითქოს, მხატვრული გამოგონების ფუნქცია მხატვრულ შემეცნებაში, მხოლოდ ასახვითი მომენტი ისაზღვრებოდეს. მას აქვს მეორე არსებითი მხარეც. სახელდობრ, მხატვრული გამოგონება და ტყუილი ორგანულად არის დაკავშირებული მხატვრული ასახვის ფორმის შექმნასთანაც.

დასასრულ, საჭიროა ხაზი გავსვას იმ იდეალისტური გაგების სიყალბესაც, რომლის განსაზღვრით მხატვრული ფანტაზია ხელოვანის ცნობიერების აბსოლუტურად თავისუფალ სფეროს წარმოადგენს. ამ გაგების წინააღმდეგ, მხატვრული ფანტაზიის, შემოქმედების პროცესში მონაწილეობის ხასიათი და მიმართება (შინაარსი) ყოველთვის განსაზღვრულია სოციალური ყოფიერებით. მხატვრულ ფანტაზიას ეს მხარე, მის დამახასიათებელ სხვა მომენტებთან ერთად, გარკვევით არის ასახული კ. მარქსის ცნობილ შენიშვნაში ბერძნული ხელოვნების შესახებ. „ცნობილია, — სწერს კ. მარქსი ამ შენიშვნაში, — რომ ბერძნული მითოლოგია, შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელია იმ შეხედულებას ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ბერძნულ ფანტაზიასა და ამიტომ ბერძნულ (ხელოვნებას) საფუძვლად უდევს, ადგილი ჰქონდეს სელფაქტორის, რკინიგზების, ორთქლმავლებისა და ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს? სადღაა ადგილი ევლყანისთვის Roberts C-ის გვერდით, ოლიტერისათვის მებთამრიდის გვერდით და ჰერმესისათვის Credit mobilier-ის გვერდით? ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ანსახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადამე, იგი ისმობა მათზე ნაშვლილ მატონობასთან ერთად. სად არის ადგილი ღმერთქალ ფამასთვის Printinghousesquare-ის გვერდით? ბერძნული ხელოვნება გულისხმობს ბერძნულ მითოლოგიას, ე. ი. ბუნებასა და საზოგადოებრივ ფორმასაც, რომელმაც ფკვე მიიღო შეუცნობლად ხელოვნების წესით გადამუშავება ხალხის ფანტაზიის მიერ. ეს არის მისი მასალა: მაგრამ არა ყოველი, რომელიც გინდა მითოლოგია, ბუნების არა ყოველი, რომელიც გინდა შეუცნობლად ხელოვნებით გადამუშავება (აქ მასში იგულისხმება ყველაფერი საგნობრივი, მაშასადამე, საზოგადოება [ც]). ევკობტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ გახლბობღბ საბერძნეთის ხელოვნების ნიადაგად და წიაღად. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი მითოლოგია კი [უნდა ყოფილიყო] ეს,

ამნაირად, [ბერძნული ხელოვნების წიაღაგი] არასგზით არ შეუძლო [შექმნა] ისეთ საზოგადოებრივ განვითარებას, რომელიც გამოიხატებას ყოველ მითოლოგიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან, ყოველ გამმითხრობას მისადმი, მაშასადამე, მითოლოგიისაგან დამოუკიდებელ ფანტაზიას მოითხოვს ხელოვანისაგან<sup>1)</sup>.

ციტირებულ სტრიქონებიდან ნათლად სჩანს, რომ საზოგადოებრივი გარემო, ეპოქის სოციალური სუნთქვა, შეადგენს იმ საფუძველს, რომელიც საზღვრავს სიძლიერის მხრივ ხელოვანის უნართან (ნიჭთან) დაკავშირებულ მხატვრული ფანტაზიის მოქმედების ჩარჩოსა და არსს.

\* \* \*

ძირითადად აღნიშნული თვისებები საზღვრავენ მხატვრული ფანტაზიის ბუნებას, მოქმედების სფეროსა და შინაშენლობას. მხატვრული ფანტაზიის ყველა ეს თვისება, მხატვრული შემეცნების სხვა მითითებულ მომენტებთან ერთად, ნათელს ხდის მხატვრული შემეცნების „მეს“ იმ მხარესაც, რომელიც სინამდვილის ემოციურ და შინაგანი განცდის (შეგრძნების) გზით ათვისებასა და მხატვრულ ამალღებაში მდგომარეობს. ხელოვანი მხატვრულ ნაწარმოებს ჰქმნის არა მარტო სინამდვილის შესწავლით ან „პასიური“ ათვისებით (განჭვრეტით), არამედ ორგანული განცდისა და საკუთარი სულიერი ქვეყნის უშინაგანეს ნაწილად ქცევის საფუძველზე. ამიტომ ხელოვანის ხედვა, საერთოდ, შემოქმედებითი ლაბორატორია, აზრთან ერთად ყოველთვის შეიცავს შინაგანი გრძნობისა და ემოციის ცეცხლს. ცხადია, ეს უკანასკნელი სხვადასხვა სიძლიერით ვლინდება სხვადასხვა ხელოვანში, მაგრამ ამ ვარიაციულობის მიუხედავად, მისი არსებობა, მუდამ ახლავს თან მხატვრული შემეცნების არსებობას, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა. არსებითად ამ მოვლენის შედეგთან — მხატვრული ნაწარმოების ემოციონალურ სრულყოფილობასთანაც არის დაკავშირებული ის გარემოება, რომ სინამდვილე ასახული ხელოვნებაში გაცილებით უფრო მეტი მიმზიდველობის, შემოქმედებისა და ესთეტიკური სიამოვნების შექმნის უნარით ხასიათდება, ვიდრე ეს მას ობიექტურ (ემპირიულ) მდგომარეობაში ახასიათებს. ეს განსხვავება ხშირად იმდენად არსებითია, რომ ის, რაც სინამდვილეში მახინჯსა და ზიზღის აღმძვრელს ან მეტად ტრაგიკულს წარმოადგენს, ხელოვნებაში განსახიერებელი, როგორც ეს გარკვევით აღნიშნა ჯერ კიდევ არისტოტელმა ტრაგედიის მიმართ თავის „კათარსისის“ (გაწმენდის) თეორიის სახით, ესთეტიკურ მოვლენად (მშვენიერებად) გვევლინება, „სულიერ სიმშვიდესა“ და ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს.

მითითებული ფაქტი, რომლის ანალიზირება სხვადასხვა მხრივ ესთეტიკური აზროვნების თიხქმის ყოველ თვალსაჩინო წარმომადგენელთან გვხვდება, ნაწილობრივადაც არ გულისხმობს ბუნებასა და ხელოვნების ურთიერთთან ესთეტიკურ დაპირისპირებას. ჩვენი აზრით, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით, ეს დაპირისპირება, სახელდობრ, მსჯელობა იმის შესახებ, თუ სად უფრო მაღალია და სრულყოფილი მშვენიერება ბუნებაში თუ ხელოვნებაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რადგან მშვენიერების

<sup>1)</sup> კ. მარქსი, „პოლიტ. ეკონ. კრიტიკისათვის“, გვ. 35 — 36.

ეს ფორმები თვისობრივად სხვადასხვაგვარ მოვლენებს წარმოადგენენ.

კერძოდ:

1. როგორც ეს არაერთხელ შეუნიშნავთ, მშვენიერება ბუნებაში მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როგორც სილამაზე. ამავე დროს ის ობიექტური („ემპირიული“) მოვლენაა. ხელოვნებაში კი მშვენიერება მხატვრულობაა, რომელსაც სუბიექტური (ხელოვანი) ჰქმნის ობიექტურის საფუძველზე და რომელიც ობიექტურისა და სუბიექტურის სპეციფიკურ მთლიანობას ემყარება. აღნიშნულის გამო მშვენიერება ხელოვნებაში, ერთის მხრით, უფრო ფართო პორიზონტს შეიცავს, ვიდრე ბუნებაში, ზოლო მეორეს მხრით—წარმოადგენს შემეცნებას, ასახვის თავისებურ ფორმას.

2. არაერთხელ აღნიშნულა ისიც, რომ მშვენიერება ხელოვნებაში გარკვეულ საზღვრებს უკავშირდება. ამიტომ საერთოდ ცნობილია თუ სად იწყება ან მთავრდება ხელოვნების სფერო, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ—რა ეკუთვნის ხელოვნებას (რა არის ხელოვნება) და რა არა. მშვენიერება ბუნებაში კი არ შეიცავს ასეთ ობიექტურ სპეციფიკურ საზღვრებს: ჩვენი წარმოდგენა მის შესახებ უმეტესად მეტად ცვალებადია, განუსაზღვრელი და ამდენად ინდივიდუალური. ამის გამო ჩვენთვის უცნობია სად იწყება ან სად მთავრდება მშვენიერება (იგივე სილამაზე) ბუნებაში.

3. ბუნების მშვენიერების მითითებული განუსაზღვრელი ხასიათი გამოწვეულია იმიტომაც, რომ ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულება ბუნების მიმართ თავისებურია. კერძოდ, ის, თუ რას მიიჩნევენ ადამიანები მშვენიერებად ბუნებაში, ორგანულად და უშუალოდ არის დაკავშირებული მათ პრაქტიკულ ინტერესებსა და არსებობისათვის ბრძოლასთან. წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისი აქ, არსებითად, ამ საფუძვლის ზედნაშენს წარმოადგენს. არ ვადაეჭვარებთ თუ ვიტყვით, რომ ძირითადად მშვენიერების მხოლოდ ამ სახეობის სწორ ანალიზს გვაძლევს ნ. ჩერნიშევსკი თავის ესთეტიკურ შეხედულებებში, რომელთა ძირითად პრინციპს შეადგენს ცნობილი განსაზღვრა—„მშვენიერება ცხოვრებაა“. სხვაგვარ სურათთან გვაქვს საქმე ხელოვნებაში. აქ მშვენიერების ათვისება შემეცნებით—ესთეტიკურ მომენტთა მთლიანობას ემყარება.

ამრიგად, როგორც ამას ზემოთ სქემატიურად აღნიშნული ძირითადი განსხვავებანი უთითებენ, მშვენიერების განხილული ფორმები არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ამიტომ მათი ურთიერთთან მეტაფიზიკურ-მეჭანისტური შედარების (დაპირისპირების) ნაცვლად, საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ იმის შესახებ თუ მშვენიერების რომელი სფერო უფრო ახლოს დგას ადამიანთან, ცხადია, ესთეტიკური თვალსაზრისით. ამ მხრივ, ბუნებრივია, საკითხი ხელოვნების სასარგებლოდ წყდება, რადგან ხელოვნებას ადამიანი ჰქმნის და ამიტომ მშვენიერება მასში ადამიანის განცდით, სოციალური და ესთეტიკური იდეებით, „ადამიანის სულით“ არის ამეტყველებული.

მხატვრული შემეცნება უაღრესად ცვალებადი (ისტორიული) მოვლენაა: სინამდვილის ათვისების არც ერთ ფორმას არ ახასიათებს სხვადასხვა სახით გამოვლენის ისეთი მრავლადიფეროვნება, როგორიც მის სფეროში გვხვდება.

საფუძველს, რომელიც მხატვრული შემოქმედების აღნიშნულ ისტორიულ ბედისწერას საზღვრავს ყოველთვის და ყველგან, როგორც უნდა მხატვრის დასაწყისშივე აღინიშნა, სოციალური გარემო, უშუალოდ მხატვრის ხასიათით (საზოგადოებრივი ურთიერთობით) განსაზღვრული ის დამოკიდებულება შეადგენს, რომელიც სოციალურ სინამდვილესა და შემოქმედ სუბიექტს შორის მყარდება. აქ არ შეეჩერდებით იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სოციალური გარემოს შემოქმედება შემოქმედ სუბიექტზე. შემოქმედების პროცესზე, რა როლს თამაშობს ამ პროცესში ხელოვანის „მე“, ან როგორ უნდა გავიგოთ მხატვრული შემეცნების სოციალურ-კლასობრივი ბუნება<sup>1)</sup>. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ გარემოებას. პირველი: შემოქმედების პროცესის, საერთოდ ხელოვნების ისტორიის სოციალური გარემოს თვალსაზრისით თანმიმდევრულ ახსნას, ესთეტიკური აზროვნების ისტორია მარქსიზმამდე არ იცნობდა. ამიტომ ამ მიჯნამდე თითქმის ყველასათვის, ვინც შემოქმედების ბუნებას შეხებია, შემოქმედების პროცესის ერთი კანონზომიერება არსებითად უცნობი იყო. ისინი ვერ ახერხებდნენ მხატვრული შემეცნების სივრცე ერთ გზასთან, ერთ სუნთქვასთან დაეკავშირებიათ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბ. პელისკი, რომელიც თუმცა სწერდა «Законы творчества вечны, как законы ума», მაგრამ ამავე დროს იძულებული იყო მრავალი მხატვრული შედეგის დაეყენებია მის მიერ აღიარებულ ხელოვნების საერთო კანონზომიერების თვისებათა გარეშე, როგორც გამოთქმისა. ასეთივე ბედი ჰქონდა ჩერნიშევსკისაც: ისიც ვერ მისწვდა შემოქმედების ქვეყნის ერთ კანონზომიერებას, რის გამო მისი ესთეტიკური პრინციპები ვერ აცდნენ ხელოვნებაში შინაგანი სხვადასხვაობის დანახვას. მხატვრულ შემოქმედებაში მოცემული მრავალფეროვნების ეს აუზსნელობა უფრო მძაფრად იგრძნობა იდეალისტური ესთეტიკის მონისტური პრინციპების სფეროში. მეორე: მხატვრული შემეცნება სპეციფიკურია უშუალო საფუძველის მიხედვითაც. ამ მხრივ იგი ძირითადად ემყარება არა მსოფლმხედველობას, როგორც ამას ადგილი აქვს თეორიულ შემეცნებაში, არამედ შემოქმედების მეთოდს, რომელიც ყალიბდება ხელოვანის მსოფლმხედველობის საფუძველზე, სინამდვილის ათვისების (ხელოვანის სინამდვილესთან შემოქმედებითი დამოკიდებულების) პროცესში. აღსანიშნავია, რომ განსაზღვრული სახით მხატვრული შემეცნების ამ თვისებასთანაც არის დაკავშირებული იმ წინააღმდეგობის შექმნა, რომელიც ცალკეული კლასიკოსების მხატვრული შემოქმედებისა და თეორიული შეხედულებების ძირითადი ტენდენციების ურთიერთობას ახასიათებს.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> ამ საკითხების შესახებ იხ. წერილები: „ხელოვნების განვით. კანონზომიერების პრობლემებისათვის“. (ეურ. კლასიკოსთა ხელოვნება, 1940 წ. № 9) და „მხატვრული სტილის თეორიის საკითხები“ (სტალინის სახ. თბ. სახ. უნ. შრომები. ტ. XXV).

<sup>2)</sup> წერილი იბეჭდება შემოკლებით.



პროფ. შ. ამირანაშვილი

## ნაკრებიანი მისჯვარიები და ანტიკური თეატრი საქართველოში

ანტიკური თეატრის წარმოშობა გარკვეულ მოვლენას წარმოადგენს. საე-  
სებით დადგენილია, რომ იგი თავისი შინაარსით და მხატვრული მოქმედებით  
დაკავშირებული იყო დიონისიეს მისტერიებთან. რელიგიური ხასიათის  
მისტერიებთან დაკავშირებული იყო აგრეთვე დრამისა და ტრაგედიის წარ-  
მოშობა.

ანტიკური ხანის მწერლები, რომელთა შესახებაც დაწერილებით ქვემოთ  
გვქმნება საუბარი, ერთხმად მოწმობენ, რომ ჩვენში არსებობდა იმავე ტიპის  
თეატრი, როგორც იყო ძველს საბერძნეთსა და რომში. წინა ქრისტიანული  
ეპოქის ქართული არქიტექტურის ნაშთების შესწავლა ცხადყოფს, რომ ჩვე-  
ნამდე მოაღწია ისეთმა ნაგებობამ, როგორსაც წარმოადგენს ანტიკური ხანის  
სათეატრო შენობა, რომელიც მხატვრულ-ისტორიული ანალიზის შედეგად  
რომის პოლიტიკური ექსპანსიის პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ. ამავე დროს  
საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალის შედარებითი შეს-  
წავლა ნათლად არკვევს, რომ ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა იმავე  
ტიპის რელიგიური ხასიათის მისტერიები, რომლებიც ასე გავრცელებული  
იყო საბერძნეთსა და რომში. არქეოლოგიური მასალის, განსაკუთრებით თ რ ი  
ა ლ ე თ ი ს<sup>1)</sup> მასალის გადასრჩევა ხსენებული თვალსაზრისით არკვევს, რომ  
რელიგიური მისტერიები, რომელთა გადანაშთს ჩვენამდე მოუღწევია, გავრ-  
ცელებული ყოფილან ჩვენში ადრინდელ ხანაში. შედარებითი შესწავლა ზე-  
მოდასახელებული მასალისა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ ჩვენი კულ-  
ტურის შორეული წარსულის ის პერიოდი, რომელიც დღემდე სიბნელით იყო  
მოცული.

პირველი ძეგლი, რომელზედაც გარკვეული შინაარსის რელიგიური მის-  
ტერიის გამოსახულება გვაქვს, აღმოჩენილია თრიალეთში ვათხრების დროს  
არქეოლოგ ბ. ი. ივანოვიჩის მიერ. განსაკუთრებით საინტერესოა  
ყორღან კურუხტაშის ვერცხლის თასი (სიმაღლე — 111 მ., დიამეტრი — 90 მ.,  
წონა 250 გრ.), რომელიც ნაპოვნია ვათხრების დროს არქეოლოგ მ. ივანო-  
ვიჩის მიერ (იხ. სურ. 1, 2).

თასის ზედაპირზე ორ წყებად გამოსახულია რთული კომპოზიციები, რომ-  
ლებიც ამოყვანილია ზურგიდან დაბალი რელიეფის სახით. ზედა კომპოზი-  
ციის თავზე მოთავსებულია ორნამენტალური სახის ზოლი, რომელიც შესდგე-

<sup>1)</sup> Б. А. Куптин, Археологические раскопки в Триалети, Тб. 1941.



ბა გეომეტრიული სახის უჯრედებისაგან. კუფრო საინტერესო სახის ორნამენტი მოთავსებულია თასის ქვედა ნაწილზე, რომელიც თასის ფეხს ეყრდნობა. ორნამენტი გეომეტრიული კანელიურობის სახის მოხაზულობას წარმოადგენს. აქვს რელიეფობა. კანელიურების სახის ორნამენტი წარმოადგენს ძველ მოტივს. კანელიურებიანი თასი ცნობილია ურში.<sup>1)</sup> აღმოჩენილი სუმერული ხანის საფლავების ინვენტარში.

ელინისტურსა და გვიანი ხანის ხელოვნებაში (რომაული თასი ბანძიდან, დათარიღებული მონეტით 138 — 161 წლ., ვერცხლის თასები ტაგელონის განძიდან და სხვ.) კანელიურები რელიეფურ სახეს ღებულობს. თრიალეთის თასზე გამოსახული ორნამენტი შეიცავს მხოლოდ ხაზოვან სქემას. რელიეფობა მოცემული არ არის. თრიალეთის თასის ორნამენტის სქემა უფრო ადრინდელია, ვიდრე ელინისტური და რომაული პერიოდის სასმისებისა. მას არა აქვს მომრგვალებულ კანელიურების ბოლო, რაც ტიპურია ზემოდასახელებული ხანის ძეგლებისათვის. ერთი სიტყვით, თრიალეთის თასის ორნამენტის სახე გეომეტრიულად ადრინდელი ხანის სუმერული ხელოვნების მოტივს, იმ განსხვავებით, რომ მას არა აქვს რელიეფობა. იგი წარმოადგენს განმეორებას მხოლოდ უფრო გვიანი ხანის ძველი აღმოსავლური ფორმისა და იმავე დროს იგი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ელინისტურ და რომაულ ხელოვნებაში მოცემული კანელიურების სახე.

სახვითი ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით მთავარი მნიშვნელობა აქვს თასზე მოთავსებულ ზედა კომპოზიციას. ცენტრში გამოსახულია მთავარი სერსონაჟი — ტახტზე მჯდომარე, რომელსაც მარჯვენა ხელში სასმისი უჭირავს. იგი გამოსახულია მყარებლისაგან ნახევრად მიბრუნებული პოზიით, მარცხენა ხელი მოხრილი აქვს, გამოსახულია რაკურსში. თავი მოცემულია პროფილში. აღამიანის პირისახის ნაცვლად გამოსახულია ცხოველის თავი (ნილაბი). აღნიშნული გამოსახულების ტანისამოსი ჰგავს ასურულ ხელოვნებაში გავრცელებულ ზედატანსაცმელს, მაგრამ იგი ბევრად უფრო მოკლეა, რაც ხეობის ტანსაცმელს მოგვაგონებს. იმავე დროს ჩვენი გამოსახულების ტანსაცმელი განსხვავდება ხეთურისაგანაც. უპირველეს ყოვლისა, საგულე ამოჭრილია. ამას ერთვის ისიც, რომ სარტყელი არ არტყია. ხეთურ ძეგლებში კი ფართო მოჭედილი სარტყელი, ლამაზად მოჩუქურთმებული, ტანსაცმელის განუყრელ ნაწილად ითვლება. მას ფეხზე აცვია ჰვინტიანი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რაც ჩვეულებრივ ხეთური ნივთიერი კულტურის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება. მაგრამ ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, განსაკუთრებით სარტყლის მოჭედილობაზე, რომელიც არქეოლოგ ვირხოვის მიერ არის გამოცემული, აგრეთვე იმ სარტყელის მოჭედილობაზე, რომელიც 1936 წ. გათხრების დროს თრიალეთში პროფ. ბ. კუფტინიშვილმა აღმოაჩინა, მონადირის ფეხზე აცვია ე. წ. „ხეთური“ ტიპის ჰვინტიანი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი. საჯდომი ტახტი, „საყდარი“, რომელზედაც მთავარი პირი — დეოთება, ზის, სამფეხიანია. მას ზურგის მისაყრდენი არა აქვს და კვარცხლბეგზეა დადგმული.

მთავარი გამოსახულების წინ დგას დიდი თასისებური ფორმის მაღალყელიანი ბომონი (სამსხვერპლო). ბომონის ფეხი ორმაგია, ქვემოთ განიყოფება ორად, ბოლოებს აქვთ ჩლიქის ფორმა. მესამე ნაწილი ფეხისა არა ჩანს, ოს-

<sup>1)</sup> Contenau, Manuel d'archéologie orientale, t. III, p. 1551, fig. 959.

ტატს არ გამოუსახავს, რადგან იგი გამოსახულების უკანა მხარეს უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, მაყურებლისათვის უხილავია. ოსტატი კარგად შეიძლება ხეხს ფიგურების გამოსახვას სხვადასხვა რიგზე. ბომონის ორივე მხარეს გამოსახულია ორი „ზეარაკი“. უკანა პლანზე გამოსახული „ზეარაკი“ ნაწილობრივ დაფარულია ბომონის ფეხით. ბომონის წინ გამოსახულია თასისებური ჭურჭელი, რომლის ზედა ნაწილი უფრო ფართოა, ვიდრე ბაზისი. იგი ისევე, როგორც ბომონი, ორნამენტირებული ყოფილა.

მთავარი პერსონაჟის გამოსახულებსაც მამართულია მთელი პროცესია, რომელიც ოცდაორი ფიგურისაგან შედგება. თითოეული ფიგურის პოზა, ჩაცმულობა ერთი და იგივეა. მარჯვენა ხელში მათ მოგარბო სასმისები უჭირავთ. მთელი წყება დასახელებული ფიგურებისა წარმოადგენს მხატვრულად გაფორმებულ ფრისს, რომელიც ზუსტად იცავს სივრცეზე ფიგურათა განაწილებაში ისოკეფალიის პრინციპს. კომპოზიცია რიტმულ შთაბეჭდილებას ახდენს. საერთოდ მნახველი მონუმენტურობის უტყუარ შთაბეჭდილებას აღიბულობს, თითქოს მონუმენტური ხასიათის ქვაზე ამოკვეთილი ფრისის მხატვრული პრიზციპები გადატანილია მცირე პლასტიკის ძეგლზე.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა ფიგურის ტანისამოსი ერთნაირია. საერთოდ, იგი უახლოვდება მთავარი პერსონაჟის ჩაცმულობას. მაგრამ არის განსხვავებაც. მთავარ პერსონაჟს ფეხები დაფარული აქვს წინა მხრიდან სახიანი ქსოვილით, იმ წესის თანახმად, რომელიც ასურულ ხელოვნებაში იყო მიღებული. მაგრამ განსხვავება აქაც არის: ასურულ ძეგლებზე ფეხები სულ დაფარულია გრძელი ტანისამოსით, რომელიც შემკულია მოქარგული ამიებით, ან ზედატანსაცმელი მუხლთან გაჭრილია იმნაირად, რომ ფეხები თავისუფლად სჩანან, კიდურები-კი შემოვლებულია მოქარგული ამიით. პროცესიაში გამოსახული ფიგურების ტანსაცმელს ქვემოთ მიმავრებული აქვს ბეწვიანი კუდი, რაც მთავარ პერსონაჟს არა აქვს. ყველა ფიგურას და მათ შორის მთავარ პერსონაჟსაც ადამიანის პირისახის მავიერად აქვთ ცხოველის თავის გამოსახულება.

იბადება საკითხი: გვაქვს თუ არა ამ შემთხვევაში კეთილ გენიათა გამოსახულება ცხოველების ატრიბუტებით, რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის ერთა ხელოვნებაში, თუ, პირიქით, გამოსახულია ადამიანის ფიგურები ცხოველების ატრიბუტებით?

აღნიშნული საკითხის დაკვირვებელი შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრული სიზუსტით დავადგინოთ, რომ ამ შემთხვევაში ყველა ფიგურას აქვს სახეზე მიფარებული ნილაბი ცხოველის გამოსახულებით. მართლაც, ნილაბი გამოყოფილია კისრისაგან ხაზით, ცხოველის თავი ბეწვიანია. ნილაბს ატარებდნენ ჯერ კიდევ სუმერულ ხანაში. ურის დინასტიების სამარხის გათხრის დროს იპოვეს ოქროს მუხარაღი. აგი იმნაირად არის გაკეთებული, რომ წინა მხრიდან აუცილებლად მიმავრებული ექნებოდა ცხოველის გამოსახულება, რომელიც, ალბათ, საზეიმო პროცესიის დროს იხმარებოდა.<sup>4)</sup> გილგამეშის ეპოსის სიუჟეტებს ქურუმები ასრულებდნენ რელიგიური მის-

<sup>4)</sup> Contenau, op. cit., t. III, P. 1931, p. 1523, fig. 934.

ტერიის სახით ურის საფლავების ეპოქაში.<sup>7)</sup> ცხოველების ნიღაბებს ეგვიპტელი ქტრუმები ხმარობდნენ რელიგიურ პროცესებში, განსაკუთრებით ოზირისის მისტერიების შესრულების დროს.<sup>8)</sup> ლევერში დამკვიდრებულ ნიღაბი, რომელიც გამოსახავს ანუბისის თავს და რომელსაც ყბის ქვედა ნაწილი მოძრავი აქვს.<sup>9)</sup> ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთის სხვაერთა რელიგიური მსახურების დროს.

ჩვენს თასზე ნიღაბი გამოსახავს ცხოველს (ნადირს), რაც აგრეთვე მიღებული იყო რელიგიური ხასიათის პროცესების დროს. ბეწვიანი კუდი, რომელიც, მთავარი პერსონაჟის გარდა, ყველა ფიგურას აქვს, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ აქ გამოსახულია განსაზღვრული მნიშვნელობის რელიგიური რიტუალი. ცნობილია, რომ ძველერებს (და დღესაც-კი ჩამორჩენილ ტომებს) წესად ჰქონდათ რელიგიური ცერემონიების დროს პირისახეზე განსაზღვრული ცხოველის ნიღაბის — ტოტემის გამოსახულების — აფარება, ტანსაცმლის შემკობა ტოტემის დამახასიათებელი ნიშნებით და სხე.

მთავარი პერსონაჟის უკან გამოსახულია ხე, რომელიც უნდა იყოს „ხე ცხოვრებისა“ და რომლის კულტი და გამოსახულება გავრცელებული იყო ძველს აღმოსავლეთში. ასურულ, ბაბილონურ და ხეთურ ხელოვნებაში ხშირად ვხვდებით „ცხოვრების ხის“ გამოსახულებას. ჩვენს თასზე წარმოდგენილი „ცხოვრების ხის“ შედარებითი შესწავლა არკვევს, რომ თასზე გამოსახულია კედარი და არა პალმის ხე. იგი მოგვაგონებს ერთ ხეთურ რელიეფზე მოცემულ ცხოვრების ხის გამოსახულებას.<sup>10)</sup> ხის გამოსახულებას უჭირავს მთელი ფრიზის სიმაღლე. ხის ძირში მოცემულია ორი მდინარე. ერთი უფრო დიდი, მეორე მცირე. ამ ორი მდინარის სახით გამოსახული უნდა იყვნენ შუამდინარის სახელგანთქმული მდინარენი — ტიგრისი და ეფრათი. ჩვეულებრივად „ცხოვრების ხის“ გამოსახულების ორივე მხარეს წარმოდგენილი არიან ფრთოსანი გენიები, ხშირად არწივები; თასზე ამგვარ გენიათა გამოსახულება არ არის. „ხე ცხოვრებისა“ ცნობილია დაბადებაში, როგორც „ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. II, 9—10), რომელიც იყო „საშუალ სამოთხისა“ (დაბ. I, 19). იგი არის სიბრძნისა და ცოდნის საუნჯე, იგი ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, უყვდავებას. იგი არის უყვდავების წყარო, ვინაიდან ის, რაც ყველაფერს ანაყოფიერებს, ასაზრდოებს, თვით უყვდავია. ადგილი, სადაც ეს ხე ხარობს, აღმოსავლეთის ძველ ერთა წარმოდგენით, არის სამოთხე ძველი ბაბილონისა და დაბადების მითების მიხედვით. დაბადების მითის თანახმად, „ხე ცხოვრებისა იყო საშუალ სამოთხისა“ (II, 11). ასურელთა და ბაბილონელთა წარმოდგენით, მდინარე ეფრათისა და ტიგრიისის შესართავებთან იყო სამოთხე, სადაც ხარობდა „ხე ცხოვრებისა“, რომლის ჩრდილი ოკეანეს ფარავდა. ამ ხის წვენი წარმოადგენდა საღვთო სასმელს, რომელიც ადამიანს უყვდავებას ანიჭებდა. ერანში ამ ხეს უწოდებდნენ „პაომა“-ს, ინდოეთში — „პომა“-ს. მისი წვენი ყველას უყვდავებას ანიჭებდა. ყოველ ოჯახს ჰქონდა თავისი საკუთარი როდინი და ქვესანაყი, რომელთაც ისეთივე მორი-

<sup>7)</sup> Klingbeil, Kopf-Masken und Maskierungszauber in den antiken Hochkulturen, B. 1935, Taf. XXVIII.

<sup>8)</sup> Moret, Mystères Egyptiens, P. 1929, p. 270.

<sup>9)</sup> Moret, op. cit. pl. XXVII.

<sup>10)</sup> Weber, L'art hittite, P. 1922, pl. 17.

დებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ცეცხლს. აღნიშნული წენის ანუ სასმელის დამზადებისას იმართებოდა რელიგიური მსახურთაგან ერთ-ერთი წესით, რომლის დროსაც სასმისი პირთან ახლო აბნეწვითა და თა ადამიანის სუნთქვას იგი არ შეეხებოდა.

ზედა კომპოზიციის შინაარსის დადგენისათვის საყურადღებო მასალას გვაწვდის მთავარი პერსონაჟის წინაშე გამოსახული ორივე ჭურჭლის ფორმა. მთავარი ჭურჭელი წარმოადგენს არა სამსხვერპლოს, ბომონს, არამედ წმინდა წენის ანუ ნაკურთხი შარბათის ჭურჭელს. სამსხვერპლოს ანუ ბომონსა ფორმა ძველს ბაბილონურ, ასურულ და ხეთურ ხელოვნებაში სულ სხვანაირია. ერთ ასურულ ცილინდრზე გამოსახულია სამსხვერპლო ჭურჭლის სახე<sup>2)</sup>. მცირე ჭურჭელს უფრო მოგვაგონებენ ადრინდელი ხანის სუმერული ხელოვნების ძეგლები. პატესი ვუღვა (2350 ქ. წინ) ერთს რელიეფზე ასხამს წყალს თასში, რომლის ფორმაც მოგვაგონებს უკვე აღწერილს ჭურჭელს.<sup>3)</sup> თასში გამოსახულია მცენარე.

ზედა ფრიზის სიუჟეტი წარმოადგენს რელიგიური რიტუალის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებულია უკვდავების წყლის (წყაროს) დამზადებასთან და დარიგებასთან. აღნიშნული თემა უფრო მოკლე რედაქციის სახით ცნობილია სუმერულ რელიეფებზე და ბაბილონურსა და ხეთურ ცილინდრებზე სხვადასხვა ვარიანტით.

მოტივი წყლის „მინიჭებისა“, რომელიც „ცხოვრების მინიჭების“ აქტის სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს, მეტად გავრცელებული იყო სუმერულ-ბაბილონურ-ასურულსა და წინა აზიის ხელოვნებაში. ჩვეულებრივად აღნიშნული რელიგიური „მოქმედება“ ნაყოფიერების ღვთაების კულტთან იყო დაკავშირებული.

ქართული წარმართობის მასალების მეცნიერულ შესწავლას, რომელსაც მტიცი საფუძველი შეუქმნა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, შეუძლიან, როგორც ეს დადგენილი იქნება სათანადო მასალის მოყვანის შემდეგ, მოგვცეს ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი. საქართველოში ადრინდელ ხანაში ყველა ქართველ ტომს მრავალი საერთო კულტი ჰქონია, რომელთა შორის მამრობითობის განაყოფიერების ძალას ღვთაების სახე ჰქონია: ამ ღვთაებას, სვანეთის ფოლკლორული მასალის მიხედვით, ტულუფიამელია ეწოდებოდა. როგორც შემდეგ იქნება გამოჩეული, ადრინდელი სახელწოდება ამ ღვთაებისა უნდა ყოფილიყო „ტულუფია“ და არა „ტულუფია“. ამ ღვთაებასთან დაკავშირებულია რელიგიური მსახურების რამდენიმე წესი, რომელთაგან აღწერილია მხოლოდ ერთი. ამ მხრივ ყველაზე მეტი მასალა მოგვცა სვანეთის ყოფაცხოვრებისა და ენის დიდმა მცოდნემ არსენ ონიანმა. ერთი ამ წესთაგანი გარჩეული აქვს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც მოცემული აქვს თვით სახელწოდების ეტიმოლოგიაც (იხ. „ქართველი ერის ისტორია“, წ. I, ტფ., 1928, გვ. 59). საჭიროა კიდევ დამატებითი მასალის შეგროვება აღნიშნული კულტის სრული შესწავლისათვის. გაუგებარი რჩება ღვთაების სახელწოდების მეორე ნაწილი — „მელია“.

ანტიკური რელიგიებისა და მითების მკვლევარს ს. რეინაქს<sup>4)</sup> აღნიშ-

<sup>2)</sup> Lenormant, Histoire ancienne de l'Orient, t. v, P. 1897, p. 253.

<sup>3)</sup> M. Jastrow, Bildermappe zur Religion Babylonien und Assyrien, Abb. 83.

<sup>4)</sup> S. Reinach, Cultes, mythes et religions, t. I, p. 108 — 109.

ნული აქვს, რომ ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღვთაება დიონისეს მელას უწოდებდნენო. მელად სთვლიდნენ დიონისე ბასსარეუსსა და მისი მხარეების ხანალების დროს შენადებს ზემოდან ეცვათ მელიის ქურქი და მისი მხარეების უწოდებდნენ. მწერლების გადმოცემით, თრაკიელები და ლიდიელები ისეთ ტანსაცმელს ატარებდნენ, რომელსაც ბასსარიდეს ეწოდებოდა და რომელიც დიონისესთან იყო დაკავშირებული. ფრეზერმა გარკვევით დაასაბუთა, რომ დიონისეს კულტი წარმოადგენდა იმავე კატეგორიის ნაყოფიერებათა ღვთაების კულტს, როგორც იყო ატიისი, აღონისისი, თამუზისა და ოზირისის კულტი.

აღსანიშნავია, რომ ხეთებსაც კქონიათ ამგვარი ღვთაების კულტი, რომელიც, როგორც უკვე დადგენილია, აღრინდელი ხანის პროტოხეთურ მოსახლეობას ეკუთვნოდა და ცნობილია ტელეპინუსის სახელწოდებით. დაცულია თვით ტექსტი, რომელიც მეტად მხატვრულად ასურათებს ამ ღვთაების მნიშვნელობას და ფუნქციებს.<sup>1)</sup>

გასაოცარია ძველი ხეთური ნაყოფიერების ღვთაებისა და სვანური ღვთაების სახელწოდებათა იგივეობა. დღეს ცნობილი მასალის მიხედვით, ჯერჯერობით არა სჩანს, იყო თუ არა მელა ხეთურ რწმენაში, ისევე, როგორც დიონისეს კულტში, რითმე დაკავშირებული ტელეფინუსთან. სვანურმა ფოლკლორმა ამგვარი კავშირის ნიშნები შეინარჩუნა. დიონისეს კულტში უთუოდ მრავალი აღმოსავლური ელემენტი მოიპოვება. შესაძლებელია, რომ ხეთურმა რელიგიურმა რწმენამ ერთგვარი გავლენა მოახდინა დიონისეს კულტზე.

არ შემოიძლიან არ აღენიშნო, რომ შ ა ხ რ მ ა ი ე რ მ ა ერთ თავის წერილში<sup>2)</sup> ნათლად დამტკიცა, რომ ეტრუსკებს ღვთაება ტელეპინუსის კულტი შეუთვისებიათ აღმოსავლეთიდან ტელეფას სახელწოდებით. ღვთაების ეტრუსკული სახელწოდება „ტელეფა“ ისეთივეა, როგორც სვანური (იხ. ზემო იმერეთში არსებული სოფ. ტელეფას სახელწოდება).

ამრიგად, თრიალეთის თასის სოფეტის შინაარსი საეცებით დადგენილია. იგი წარმოადგენს ქართული წარმართობის განსაზღვრულ რელიგიურ მისტერიას, რომელიც ბუნების ნაყოფიერების ღვთაების კულტთანაა დაკავშირებული.

ქვედა ფრიზი გამოსახავს ირმებს (მამალსა და დედალს), რომლებიც მოცემული არიან მოძრავ პოზაში. ირემი ბრინჯაოს ხანის ძეგლებში მრავალჯერ არის გამოსახული საქართველოსა და ჩრდილოეთ-კავკასიაში. ირმების გამოსახულებას სტილი ენათესავება მიაკოპის თასზე გამოსახულ ცხოველებს, მაგრამ თრიალეთის თასის ირმების გამოსახულება შესრულებულია უფრო მშრალად, სქემატურად, ვიდრე მიაკოპის თასის ცხოველების გამოსახულება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ თრიალეთის თასი ეკუთვნის გაცილებით უფრო გვიან ხანას, ვიდრე მიაკოპის თასი. მიაკოპის თასი გვაძლევს თემის მეტრეალისტურ გაგებას, განსაკუთრებით ბუნების სურათის, მაგ., კავკასიონის ქედის და ომ მდინარეების ასახვის დროს, რომელიც ზღვას ერთვინ. თრიალეთის სასმისი საერთოდ ეკუთვნის განვითარების უფრო გვიან ხანას, როდესაც ფრიზას კომპოზიციის მხატვრული პრინციპები განვი-

<sup>1)</sup> Götze. Kulturgeschichte des alten Orients. Kleinasien. München, 1933, S. 134 — 136.

<sup>2)</sup> Schachermeyer, Telephas und Etrusken, Wiener Studien, B. 47, 1929, S. 154 — 190.

თარგმნილი სახით იყვნენ მოცემული: მოძრაობის რიტმი, ფიგურები და ყენების პირობითი ნიშნების გამოყენება მოძრაობის აღნიშვნაში. კერძოდ, მკვლევარმა მაინც რეალისტური სტილის ნიშნები ჯერ კიდევ ნათლად სჩანდა: ყველაზე დევე საესებით არ არის დაკარგული მაიკოპის თასის მხატვრული ტრადიცია-1938 წ. თრიალეთში აღმოჩენილ იქნა ვერცხლის სარწყული, რომელზედაც გამოსახულია ნადირობა.<sup>1)</sup> ამ უკანასკნელის კომპოზიცია რთულია, არ ემორჩილება ფრიზის პრინციპებს, მაგრამ ცხოველთა გამოსახულება წარმოადგენს აღწერილი თასის ცხოველთა გამოსახულების განმეორებას. თემა ბრინჯაოს სარტყლის მოჭედილობის კომპოზიციების განმეორებაა. ეს აადენებს დათარიღების პრობლემას. თრიალეთის თასი და სარწყული წარმოადგენენ სახვეთი ხელოვნების უძველეს ნიმუშებს, როგორც კი ნაპოვნია საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი გენეტიკურად ენათესავენ იან მაიკოპის კულტურას, წარმოადგენენ ამ კულტურის განვითარების შემდგომ ეტაპს, ორივე ძველი უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოსთან, ამასთანავე ძველი აღმოსავლეთის კულტურის ცენტრებთან. ქრონოლოგიურად ორივე ძველი წინ უსწრებს ქალღური ხელოვნების ჩამოყალიბებას და მიეკენის კულტურის აყვავების ეპოქას ემთხვევა.



განსაკუთრებული სისრულით ქართველ ხალხს დაუცავს ის ძველი ჩვევები, წარმართული ხანის ის რელიგიური წესები, რომლებიც მამრობითი სქესობრივი ძალის კულტთან არიან დაკავშირებულნი. ჩვენი ამოცანის გასარკვევად საჭიროა თვალი გადავავლოთ ქართული წარმართული ხასიათის დღესასწაულებს, რომლებიც დღეს უკვე გასართობ სანახაობად არიან გადაჭედილნი, მაგრამ ძველად ფალოსის კულტთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამგვარია ჩვენებური ბერიკობა და ყენობა. თუმცა არ მოგვეპოვება ამ დღესასწაულებს ძველი და სრული აღწერილობა, მაგრამ იმ მცირე მასალის მიხედვით, რომელიც ხელთ გვაქვს, შესაძლებელია დასახელებულ დღესასწაულთა პირვანდელი სახის დადგენა და გავება. არსებითად ბერიკობა<sup>2)</sup> და ყენობა<sup>3)</sup> რომლებიც ჩვენში გაზაფხულის ხორზე, ყველიერში, იმართება, ბუნების განაყოფიერების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ორივე ჩვეულებაში სასცენო მოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც შინაარსის მხრივ, ისე თვით სანახაობის თვალსაზრისით. ჩვენში მიღებული იყო შეხედულება, რომ ყენობა მხოლოდ ქართველების ჩვეულებაა, რომ იგი გამოხატავს ქართველი ერის ცხოვრებთან აღებულ განსაზღვრულ ისტორიულ ფაქტებს და სხვ. ამგვარ გასართობი ცნობილია თითქმის ყველა კულტურულ ისტორიულ ერში, აგრეთვე ჩამორჩენილ ერთა ცხოვრებაშიც: იგი სრულდება ერთსა და იმავე დროს — ზამთრის გასულსა და გაზაფხულის პირზე. იგი დაკავშირებულია ბუნების გამანაყოფიერებელი ძალის გაღვივებასთან და სამეურნეო წელიწადის დაწყებასთან. პირვანდელი

<sup>1)</sup> Б. А. Куфтин, *op. cit.* табл. LXXXVIII.

<sup>2)</sup> გ. წერეთელი — „ბერიკობა“, „კვალი“, 1893 წ., № 5, 6, 7.

<sup>3)</sup> „ივერია“, 1889, № 50. „კვალი“, 1893 წ., № 6.

სახე განსაკუთრებით წმინდად შერჩა ქართულ ბერიკობას, რომელიც ძალიან წააგავს დიონისეს საგანაფხულო მისტერიებს. ქართულ ბერიკობაზე უმეტესად შემთხვევაში თავისებური სახე აქვს, რასაც განსაკუთრებულად აღიარებდა უნდა მიეკუთვნა. ეამთა ვითარებაში ბერიკობამაც მრავალი ცვლილება განიცადა. მხოლოდ შედარებითი ანალიზი გვაძლევს საშუალებას მისი პირვანდელი სახის გარკვევისათვის.

ზაც შეეხება ყენობას, უნდა ითქვას, რომ ჩვენში მიღებული აზრის თანახმად, რომლის მკაფიო გამომხატველი გ. წერეთელია, მასში დაცულია ქართველი ერის ისტორიული თავგადასავლის სხვადასხვა ფაქტი. კარგად ცნობილია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ყენობის სახით ხალხი დასცინოდა გარეშე მტრებს, ხშირად კი, მეტადრე ჩვენს დედაქალაქსა და ხევეში, იგი მიმართავდა პოლიტიკურ სატირას, სადაც დიდი გონებაბახვილობით იყო დახასიათებული თვითმპყრობელური რუსეთის ხელისუფლების მოქმედება საქართველოში). მაგრამ ამ ჩვეულების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ პირველად ყენობას წმინდა რელიგიური სანახაობის (მისტერიის) ხასიათი ჰქონდა. იგი დამკვირვებელი იყო მამრობითი გამანაყოფიერებელი ძალის კულტთან. ცნობილია, რომ ყენობის დროს თვით ყენს საგანგებოდ კახმადნენ და ჰკიდებდნენ მას ხისაგან გაკეთებულ მამაკაცის სასაქოსო ასოს, რომელსაც კონკილას უწოდებდნენ. ყენი კონკილას მოძრაობით მასურებლებს საარშეყო სცენებს უმართავდა.

ბერიკობის დროს კაცი ქალის ტანსაცემელში ეწყობა ან სახეზე ვირის, დათვის ან სხვა ცხოველის თავს ჩამოიცვამს, ხოლო ზურგზე იმავე ცხოველის ტყავს წამოისხამს. ორივე პირი თამაშობს და ერთმანეთს ეარშეყება. მესამე პირი რქებს გათქვებს თავზე, მეოთხე ხის ხმლით ან ხანჯლით ხელში უნილობად გაჰყვება სხეებს. მათ ახლავს საზანდარი. მესაზანდრე დაუტრავს სტეირს, ხის ხანჯლიანი არაკუნებს, მეფე და დედოფალი თამაშობენ. თხის ნილაბიანი ჰყვება მათ, ხტის და იგრიხება. დამსწრენი ერთობიან და იციან.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალა მოიპოვება სვანეთში, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ე. გაბლიანს<sup>1)</sup> და ს. მკალათიას<sup>2)</sup>. სვანთრა მასალის შედარებითი ანალიზი მოცემული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს<sup>3)</sup>. ს. მკალათიას ნავეებით მართებულად მიიჩნია ფალოსის კულტის ნაშთად ჰარიკელა, ადრეკილა და საქმისა. ჰარიკელას იხდიან შეისარობის პარასკევს. მსხვერპლად სწირავენ გოჭს. გათენებისას ყოველი ოჯახიდან ტიტველი ვაჟი სახლიდან კარში გამოდის და იძახის: ჰარიკიანი და მარიკიანი, მე რომ ტიტველი ვარ, ისე გაატიტვე ჩემი საქონლას მტერიო. ს. მკალათიას დასკვნით, ვაჟის სიტიტველი უთუოდ ფალოსის რწმენის ნიშანია, რადგან ფალოსს, როგორც თილისმას, ავთვალისა და მანე სულების წინააღმდეგ იყენებდნენ. ამავე კულტის უტყუარ მასალას შეიცავენ ქვემო სვანური „ადრეკილას“ წესები, რომლების შესრულების დროსაც ფერხულში მოთამაშენი სასქესო ორგანოებსაც-კი

<sup>1)</sup> გ. ნ. — „ყენობა დეშეთის მარაში“, „ივერია“, 1898.

<sup>2)</sup> ე. გაბლიანი — „ძველი და ახალი სვანეთი“, 1925, გვ. 126 — 127.

<sup>3)</sup> ს. მკალათია, *op. cit.* გვ. 130 — 135.

<sup>4)</sup> ივ. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, ტფილისი, 1928, წ. 1, გვ. 58 — 63.

იტყვიან, რომ „საქმისადას წესები სექსუალური სცენების ექსპლექტიკური ბერძნულ დიონისე-ვახის და ვენერის მისტიციზმს“-ო. „საქმისადას წესები ალფრედი აქეთ ე. ვაბლიანსა და ს. შაკალათიას, რომელთა ცნობების მიხედვით აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ამ წესის სრული სახე და პირვანდელი მნიშვნელობა. შედარებითი შესწავლა ზემო დასახელებული მასალისა, სადაც მამრობითობის განსაყოფიერების ძალის თაყვანისცემის აშკარა ნიშნებია მოცემული, განსაკუთრებით სეანური მონაცემებისა, არკვევს, რომ ქართულ წარმართობას საერთო წყარო ჰქონდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილს მართებულად აქვს შენიშნული, რომ ყენობა, ბერიკობა, „ადრეკილა“ და საქმისადა წარმოადგენენ „მელოა ტულეფიად“-ს დღესასწაულის ერთ-ერთ ნაწილთაგანს (ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, გვ. 63). მისივე აზრით, „ზემო-ქვემო სეანურისა და ქართლ-კახური წვეულების საერთო თვისება დღესასწაულის პირველადი ფენისა თუ არა, ძველი ფენის წესისა და რწმენის ნაშთი მაინც უნდა იყოს. ამ ქართულ წარმართულ დღეობაში ზემოსეანურს და ქართლ-კახურ ზნეწვეულებას ორივე მოპირდაპირე გუნდის მეთაურთათვის ნიშანდობლივ სამკაულად დაწესებია ხისაგან გაკეთებული მამაკაცის ორგანოს ან კანკის ძვლის წელზე შემორტყმა, რომელსაც ქართლ-კახეთში „კონკილა“ ჰქვამდნენ, ზემო სეანეთში-კი — „საქმისადა“. იქაცა და აქაც ეს ნიშანდობლივი სამკაული ერთ გარკვეულ ოჯახში იყო ხოლმე დაცული. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ გუნდთა მეთაურები მამრობითობის სქესობრივი ძალის განმასახიერებლად არიან ნაგულსხმევი (ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, გვ. 65). მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ სეანური წესების შესრულებისას ქართული სახელწოდებები იხმარება. ფერხულში ქართულ-სეანური შაირის შენაცვლება გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ტომებს სარწმუნოებრივი ერთობა ჰქონდათ ჯერ ყიდევ წარმართობის ხანაში.

ქართული წარმართობის ეპოქიდან მომდინარე ძველი რელიგიური წესების შესწავლა არკვევს მცირე ზომის ბრინჯაოს იმ ქანდაკებათა სემანტიკას, რომელთათვისაც დამახასიათებელია მოძრავი პოზა, ითიფალობა (ზშირად ფალოსი გამოსახულია ზურგიდანაც) და რომელიმე ცხოველის ატრიბუტი — რქები. პირველად ამგვარ ძეგლებს ყურადღება მიექცია პანტიუხოვმა<sup>4)</sup> თავის გამოკვლევაში კავკასიის უძველესი მღვიმეებისა და სადგომების შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს დღისტანსა და ანდის ოლქში ნაპოვნი ქანდაკებანი ფალოსის გამოსახულებით. ამ ძეგლებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პროფ. ა. ზახაროვმა<sup>5)</sup> ჯერ რუსულად<sup>6)</sup>, შემდეგ კი, უფრო ვრცლად, ფრანგულად. არქეოლოგ ა. ტალგრენის<sup>7)</sup> აზრით, დასახელებ-

<sup>4)</sup> Н. И. Пантюхов — „О пещерных и позднейших жилищах на Кавказе“, Тифлис, 1896, стр. 58, табл. XVI.

<sup>5)</sup> А. Захаров — „Кавказ. Малая Азия и Эгейский мир“, труды секции археологии Научно-исследовательского Института Археологии и Искусствознания, 2. Москва, 1928, стр. 15 — 45.

А. Zakharov, Etudes sur l'archéologie de l'Asie Mineure et du Caucase, Revue hittite et asianique, P. 1931, fasc. 4, p. 120.

<sup>7)</sup> A. Tallgren, Kaukasische anthropomorphe Figuren und der vorderasiatische Kulturkreis, IPEK, Berlin, 1930, S. 51.



ბულ ძეგლთა უმრავლესობა ყალბი უნდა იყოს. მაგრამ ხსენებული მემორიის შეხედულება არ უნდა იყოს მართებული. ყველა ქანდაკება დამზადებულია ე. წ. ფორმის დაკარგვის წესით. ჩვენ ზუსტ განმეორებულ მემორიულ ეპოქაობათ. ამიტომ არქეოლოგ ა. ტალგარენის შეხედულება, ისევე როგორც აკად. მეზოანინოვის ეპევი ბრინჯაოს ბალთების სინამდვილის შესახებ სრულებით უმართებულოა. პროფ. ა. შახაროვს უმეტეს შემთხვევაში ზუსტად აქვს აღნიშნული, თუ სად არის ნაპოვნი მის მიერ გამოქვეყნებული თითოეული ძეგლი: ზოგი ნაპოვნია რიონში, ქუთაისის მახლობლად (8 ცალი), კავკავში, ხევსურეთში, დაღისტანში და სხვ.

ხსენებული ძეგლების შედარებით შესწავლას მეტად საყურადღებო დასკვნამდე მივყევართ. უმირველეს ყოვლისა, დღემდე შეუძენველი იყო ის გარემოება, რომ ყველა ქანდაკება გამოსახულია მოძრავი პოზით, რომელიც მოცეკვავე ფიგურის შთაბეჭდილებას ახდენს. მართლაც, თუ დავაკვირდებით ყველა ფიგურას, განსაკუთრებით ფეხებისა და ხელების მდგომარეობას (შეტადრე თრი ხელი-ხელ ჩაკიდებულ მამაკაცის ფიგურას), საყვებით ნათელი გახდება, რომ ჩვენ უნდა გვეჭონდეს ფერხულში მონაწილეთა გამოსახულება. როგორც სურათებიდან სჩანს, ზოგ ფიგურას ხელში უჭირავს რაღაც იარაღის, დაშნა-ზმლის მსგავსი, ზოგს კი ერთს ხელში (ისევე, როგორც ძეწკვე დაცილებულ მცირე ფიგურებს სტეფანწმიდაში) ყანწი, ზოგ შემთხვევაში ეს გაურკვეველი რჩება ჩვენთვის. ის გარემოება, რომ ზოგ ფიგურას რქები აქვს, ზოგს მალალი სწორი ან ბოლოში ოდნავ მოხრილი წვეტიანი თავსაბურავი, რომელიც უფრო რქასა მგავს, ვიდრე თავსაბურავს, განსაკუთრებით კი ის, რომ ზოგიერთის პირისახის მოყვანილობა წარმოადგენს ან რომელიმე ცხოველის ან ადამიანის უტრირებულ სახეს, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ ქანდაკებათა სახით გამოხატული უნდა იყვნენ თვით „საქმისაჲს“ ფერხულში მონაწილე მთავარი პირები. საქმისაჲს ჩვეულებსა და ბერიკობის ზემოდსახელებული წესების განხილვა საშუალებას გვაძლევს საყვით სიზუსტით დავადგინოთ თითოეული ქანდაკებათა იმ ჯგუფის ზილქეტური რაობა, რომელთაც ცხოველების ატრიბუტები აქვს.

ცნობილია, რომ ანტიკური თეატრი თავდაპირველად დიონისეს მისტერიების და მასთან დაკავშირებული ზოროების (დიფერამბების) მოქმედებას ემსახურებოდა. შემდეგ კი განვითარების შედეგად თანდათან შეიქმნა ანტიკური ტრაგედია და კომედია. არ მოგვებოვება ჯერჯერობით ისეთი მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყოს ქართული ანტიკური თეატრის წარმომომის გამორკვევა. ჩვენ არ ვიცით, ქართული თეატრი შემოტანილი იყო ბერძენთა და რომაელთა კულტურული ზეგავლენის წყალობით, თუ იგი, ისევე როგორც ძველს საბერძნეთში, ნაყოფიერების ღვთაების რელიგიურ მისტერიებიდან წარმოიშვა.

საყურადღებოა, რომ საბერძნეთში, სადაც თეატრი ძალიან ადრე ჩიისახა, რელიგიური მისტერიები, რომლებშიაც ჩანასახის სახით გარკვეულად მოცემულა იყო თეატრალური სანახაობისა და მოქმედების ელემენტები, არ გაშქრალა. პირიქით, თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა ადასტურებს, რომ საბერძნეთში მრავალ ადგილას, მეტადრე თრაკიაში,<sup>2)</sup> ისე,

<sup>2)</sup> Dawkins, The modern Carnival in Thrace and of Dionysos. Journal of Hellenic Studies, 1906, p. 191 sqq.

როგორც საქართველოში, დაცულია დღესაც დიონისეს მისტერიების მსგავსი ხალხური დღესასწაული, რომელიც ეკლესიის მახლობლად მოხუცები იგონებენ ძველ დროს, როდესაც დღესასწაულის მომქმედებლებმა მგლის და მელის ტყავს მოიხურავენ. ეხლა კი მომქმედი პირნი გადაკმულნი არიან თხის მსგავსად. ერთი მათგანი ხის ფალოსს მიათრევს. იმართება წარმოდგენა, რომელიც დიონისეს მისტერიებს მოგვაგონებს. ბოლოს ყანაში მიაქვთ გუთანნი და დღესასწაული დამთავრდება ლოცვით მოსაგლის შესანებ.

ანტიკური თეატრის არსებობას ჩვენში რეალური საფუძველი ჰქონდა. თუ ყურადღებას არ შევამჩნევთ სქოლიასტის ცნობას ტიმონაქსიდან, რომ კოლხეთის დედა-ქალაქში ეაში იყო გიმნაზიონები, დისკოები, მედუას თალამოსი და მრავალი სალოცავი, უნდა დავეყრდნოთ პაროკოპიკეს ბრიელიის ცნობას, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს ზუსტად ასახავს. იგი შემდეგი სიტყვებით აღწერს კოლხეთის განთქმულ ქალაქს აფსარუს: „ეს ქალაქი ძველად მრავალ-ცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და იგი შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით. მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად კედლან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაგებობათა საძირკვლებისა.“<sup>1)</sup> მართლაც, აფსარუს მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა. არიანეს დროს (II ს-ის პირველ ნახევარში) იქაური გარნიზონი ზუთი კომპოტისაგან შესდგებოდა.<sup>2)</sup> აფსარუს მდებარეობა ჯერ-ჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის. პ. ი. ნ. გოტოტყვას აზრით, აფსარუს უნდა იყოს ახლანდელი სარფი. ეს მოსაზრება სამართლიანი უნდა იყოს. საქირთა მისი არქეოლოგიური დასაბუთება.

ერთი სიტყვით, თეატრის არსებობა ჩვენში დადასტურებულა როგორც წერილობითი ცნობებით, ისე ძველ ნაგებობათა სახით. უფლისციხეში დაცულია ადრინდელი ხანის, რომის ექსპანსიის პერიოდის სათეატრო დანიშნულების შენობა.



რომის ექსპანსიის პერიოდში როგორც აღვნიშნეთ, ელინისტური მხატვრული ტრადიცია უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა. რომის გავლენა დაეტყო საქართველოს მხატვრული კულტურის ძირითად დარგებს. ელინისტურ-რომაული ხელოვნების ზეგავლენა იმდენად შეუერთდა და შეერწყა ადგილობრივი წარმოშობის მხატვრულ ტრადიციას, რომ ამ უკანასკნელის განუყოფელ ნაწილად გარდაიქცა. აღნიშნული პროცესი ნათლად ეტყობა პრექრისტიანული ეპოქის ქართული არქიტექტურის ძეგლებს, განსაკუთრებით-კი უფლისციხის გამოქვაბულთა განსაზღვრულ ჯგუფს.

უფლისციხე მართებულად ჩთვლებოდა უძველესი ეპოქის ციხე-ქალაქად. იგი წარმოდგენს მტკვრის მარცხენა ნაპირზე კლდეში გამოკვეთილ შენობათა რთულ კომპლექსს, რომლის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ რამდენ-

<sup>1)</sup> ს. ყაუხჩიშვილი, *Georgica*, II, გვ. 94 — 95, გვ. 59.

<sup>2)</sup> В. Латышев, *Scythica et Caucasia*, стр. 219.

ნამე წლის წინათ დაიწყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ინიციატივით და განაგრძეს კულტურის ისტორიის მუზეუმის მუშაობა. კლდეში გამოკვეთილ სხვადასხვა დარბაზების დარბაზების შესწავლისა და დათარიღებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ არქეოლოგიური გათხრები. უფლისციხის დაარსების შესახებ ხევის საისტორიო მწერლობაში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, გარდა იმისა, რომ იგი იხსენიება ალექსანდრე მაკედონელის საქართველოზე ლეგენდარული ლაშქრობის მოთხრობის დროს („ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისა“, გვ. 12). ქართულ-სომხურ საისტორიო წყაროების განხილვიდან ირკვევა, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია არაბთა ბატონობის პერიოდში. იგი უშუალოდ არაბთა ბატონობის სამფლობელოში არ შედიოდა და წარმოადგენდა ისეთ ცენტრს, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ეროვნული სახე. მე-10 ს-ის დასაწყისში სომეხთა და აფხაზ-ქართველთა მეფეები ეცილებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ უფლისციხის დაქვრას (კოსტანტინე აფხაზთა მეფისა და სუმბატ აღმსარებელის შრომა უფლისციხის დაუფლებისთვის და სხვ.).

მხოლოდ არაბთა ბატონობის მოსაზრებიდან ჰკარგავს თანდათან უფლისციხე თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან საქართველოს დედაქალაქი თბილისი უკვე სამუდამოდ გადავიდა ქართველთა ხელში.

ქალაქის არქიტექტურის შესწავლა მრავალ შემთხვევაში შექაპვენს ისეთ პერიოდებს ქალაქის არსებობისას, რომელთა შესახებაც არავითარი წერილობითი ცნობა არ შემონახულა არც ქართულსა და არც უცხო საისტორიო წყაროებში. როგორც წინასწარი შენიშვნებიდან სჩანს, ქალაქი მთლიანად კლდეშია გამოკვეთილი. უამთა ვითარებაში კლდეში ნაკვეთი მრავალი დარბაზი მთლად მოშლილა, ზოგი სანახევროდ, მაგრამ არის ისეთი დარბაზები, რომელთა მორთულობა ამდენად დამახასიათებელია, რომ შესაძლებლად ხდის მათ დათარიღებას. უფლისციხე ეკუთვნის კლდეში გამოკვეთილ ციხე-ქალაქთა ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და რომელიც დღეს, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ქალაქების კულტურისათვის დამახასიათებელ მოვლენად ითვლება. ცნობილია, რომ ქალაქების ძველი ქალაქის ტუპას (განის) ძირითადი ნაწილი, ე. წ. ზედა-ქალაქი ნაკვეთია კლდეში. უფლისციხის დარბაზების ნაწილს არავითარი არქიტექტურული მხატვრული გაფორმების ნიშანი არა აქვს. ამიტომ ხსენებული ჯგუფის ძეგლების დათარიღება შესაძლებელია ძირითადად არქეოლოგიური გათხრების საშუალებით. მხოლოდ ის დარბაზები, რომლებსაც შერჩენილი აქვთ პირვანდელი არქიტექტურული გაფორმება და დეკორი, გვაძლევენ დასაყრდენ მასალას დათარიღებისა და მეცნიერული შესწავლისათვის.

აღნიშნული ტიპის დარბაზებიდან ყურადღებას იქცევს კლდეში ნაკვეთ შენობათა ერთი კომპლექსი, რომელსაც ქალაქის გეგმაში ცენტრალური ადგილი უჭირავს და მოსჩანს კუთხიდან, რადგან იგი ყველაზე უფრო მაღალ კლდეშია გამოკვეთილი. იგი სამი დარბაზიდან შესდგება. მთავარი მნიშვნელობა, როგორც ამას შენობის მხატვრული გაფორმება ადასტურებს, ცენტრალურ დარბაზს ჰქონია. იგი მოთავსებულია შენობათა კომპლექსის ცენტრში. დარბაზი გეგმით სწორკუთხედის ფორმას გვაძლევს, გადახურულია ცილინდრული კონსტრუქციული თაღით, გარედან გაფორმებულია ფრონტონის

სახით. შენობა გარედან თავისი ფრონტონით უნებლიეთ იპყრობს მნახველის ყურადღებას და თუ მხედველობაში მივიღებთ თაღისა და ფრონტონის მხარეს ბორცვების შეფარდებას, მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ჰქონის.

შენობის დასავლეთ კედელში გაჭრილია კარი და სარკმელი, რომლებიც წინა დარბაზს უკავშირებენ უკანა ოთახს. წინა დარბაზის ორივე კედელში დატანებული ყოფილა თითო კარი, რომელიც აერთიანებდა მთავარი დარბაზის გვერდით მოთავსებულ ოთახებს და ცენტრალურ დარბაზს. მთავარი დარბაზის მარცხნით მოთავსებულ ოთახიდან არის დამოუკიდებელი გასასვლელი უკანა დარბაზში. უკანა ოთახს და აგრეთვე გვერდის ოთახებს მხატვრული გაფორმება არა ჰქონიათ. შენობათა კომპლექსში აღნიშნულ ოთახებს მეორეხარისხიანი დამხმარე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ.

ცენტრალური დარბაზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვრულად გაფორმებულ შენობას წარმოადგენს. იგი გადახურულია ცილინდრული თაღით, რომელიც ამოკვეთილია კლდეში. თაღს შერჩენილი აქვს კესონური დეკორატიული გაფორმება, რომელიც ყურადღებას იპყრობს. კესონის ფორმა წარმოადგენს რვაკუთხედს, რომელიც ამოკვეთილია ცილინდრულ თაღზე; კესონები განაწილებულია თაღის ზედაპირზე ვერტიკალური წყობის პრინციპზე; რვაკუთხედს შორის მოთავსებულია მცირე ზომის სწორკუთხედები. კესონი მეტად გაურცელებული იყო საბერძნეთისა და რომის არქიტექტურაში. თავდაპირველად კესონს კონსტრუქციული მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ კი იგი თანდათან ქაირგაფს ბირვანდელ ფუნქციას და წმინდა დეკორატიულ მოტივად გარდაიქცევა. საბერძნეთის არქიტექტურაში კესონი გამოყენებულია ბრტყელი სახურავის სისტემაში, ხოლო რომის არქიტექტურაში — გუმბათიან და ცილინდრულ თაღების გაფორმებაში. უფლისციხის მთავარი დარბაზის კესონები თავიანთი ფორმით მოგვაგონებს II—III ს-ის რომის არქიტექტურის ძეგლებს. განსაკუთრებით ახლო ანალოგიას ეპოულობთ კარაკალას თერმებისა (211—217 წ. წ.) და მაქსენციისა და კონსტანტინეს ბაზილიკის თაღების გაფორმებაში. თუ შევადარებთ უფლისციხისა და რომაული არქიტექტურის დასახელებული ძეგლების კესონების სქემებს, შევამჩნევთ მხოლოდ შემდეგ განსხვავებას: რომის ძეგლებში კესონები განაწილებულია დიაგონალურად, ხოლო უფლისციხეში — ვერტიკალურად.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარი დარბაზის თაღი გაფორმებულია ფრონტონით. ფრონტონისა და თაღის ფორმათა კომბინაციას რომის არქიტექტურაში ვხვდებით. უფლისციხის ფრონტონისა და რომის არქიტექტურის ძეგლების შედარება დიდ სხვაობას გვიჩვენებს. რომის არქიტექტურაში ჩვეულებისამებრ ფრონტონის სამკუთხედის ფუძე მოთავსებულია თაღის ზემოთ და დამოუკიდებელ გეომეტრიულ ფორმას წარმოადგენს. უფლისციხის ფრონტონის ორივე გვერდი ბევრად უფრო ვრცელია. ფრონტონის სამკუთხედის ფუძე ებჯინება ზუსტად იმ ადგილს, სადაც თაღი თავდება და კედელი იწყება, ე. ი. თაღის დაყრდნობის ადგილას. ეს გარემოება თაღსა და ფრონტონს ორგანიულად აერთიანებს. ხოლო რომის არქიტექტურაში ფრონტონის სამკუთხედი ადვილად განეშორება თაღს, ვინაიდან იგი ორგანულად არ არის მასთან დაკავშირებული. ფრონტონისა და თაღის ის შეფარდება, რომელიც მოცემულია უფლისციხეში, ქართული არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, მთავარი დარბაზის არქიტექტურული გაფორმება და დეკორი შეიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც შემოსულია ჩვენში

რომის არქიტექტურიდან. იმავე დროს შენობის ფასადის გაფორმებაში/ეპო-  
ულობთ ადგილობრივი არქიტექტურის მხატვრულ ტრადიციას/ეპოქულსაც  
შეუნარჩუნებია საკუთარი მხატვრული სახე.

დასახელებული კომპლექსის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვარ-  
კეთოთ, რომ იგი სათეატრო დანიშნულებას ემსახურება.

მთავარ დარბაზი სცენას —  $\sigma x \eta \nu \eta$  — წარმოადგენს, სადაც წარმოდგე-  
ნა იმართებოდა. თანახმად ანტიკური სათეატრო არქიტექტურის წესისა, სას-  
ცენო დარბაზის ორივე მხარეზე და უკან მოთავსებული იყო დამატებითი  
ოთახები, რომლებსაც დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩვეულებრივად სას-  
ცენო დარბაზს სამი კარი ჰქონდა. სცენა ბერძენთა თეატრში შედარებით  
მაღალი იყო, ვიდრე მაყურებელთა საჯდომი ადგილები. რომაულ თეატრ-  
ში-კი მცირე განსხვავება იყო.

უფლისციხის სათეატრო შენობა რომაული თეატრის პრინციპა იცავს. მა-  
ყურებელთა ადგილები, ანტიკური თეატრის ტრადიციის თანახმად, ამოკვე-  
თილი იყო მთის დაქანებულ კალთაზე. მაყურებელთა რაოდენობა ადგილების  
წყებას განსაზღვრავდა. მცირე თეატრში იყო ერთი ან ორი წყება საჯდომი  
ადგილებისა. უფლისციხის თეატრს ჰქონდა ერთი წყება მაყურებელთა საჯ-  
დომი ადგილებისა, რომელიც ამოკვეთილი ყოფილა კლდეში. ნახაზზე კარ-  
გად მოსჩანს დასაჯდომი ადგილის ზოგადი მოყვანილობა. სასცენო დარბაზი  
დაფარული ყოფილა, რომაული წესის თანახმად, ფარდით, რომელიც წაჭ-  
მოდგენის დროს დაიშვებოდა, ხოლო დამთავრებისას აიწვეოდა.

ამრიგად, უფლისციხის შენობათა პირველი კომპლექსი სათეატრო შენო-  
ბას წარმოადგენს. იგი ეკუთვნის რომაულ ეპოქას. დეკორის ანალიზი საშუა-  
ლებას გვაძლევს დავითარდოთ იგი II — III ს-ით, ვინაიდან ქრისტიანობის  
დამკვიდრების პერიოდში ანტიკური თეატრის არსებობისათვის ხელსაყრელი  
პირობები არ იქნებოდა და სახალხო გასართობის ხასიათი სხვა გეზით წარი-  
მართებოდა. ამ გარემოებას უნდა დავუმატოთ ის დაკვირვება, რომ კესონური  
წესი ფაღისა და ტერის გაფორმებაში საქართველოში ცნობილია მხოლოდ  
ანტიკურ ეპოქაში. ქრისტიანული რელიგიური არქიტექტურა ჩვენში არც ერთ  
შემთხვევაში კესონური გაფორმების სისტემას არ მიმართავს, ვინაიდან იგი  
განვითარდა არქიტექტურის სულ სხვა საფუძველზე.

ცნობილია, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყანაში, სომხეთში, რომაელთა  
ბატონობის პერიოდში ყოფილა თეატრი, სადაც ევრიპიდეს ტრაგედია იდგმე-  
ბოდა. რომაელთა დამარცხების შემდეგ პართიის მეფემ ოროდმა თავის  
მემკვიდრეს ბაკურს ცოლად შერთო თავისი მოკავშირის სომხეთის მეფის  
არტავაზის და ქორწილი გადაიხადეს სომხეთის დედაქალაქში არ-  
ტაქსატაში. სომხეთისა და პართიის მფლობელები და მთელი სამეფო  
კარი დაესწრნენ ევრიპიდეს ტრაგედიის ბაქანელ ქალების წარმოდგე-  
ნას. წარმოდგენის დროს მიიღეს ცნობა რომაელთა სასტიკი დამარცხების  
შესახებ ხარანში (53 წ. ჩვ. წ-მდე). მსახიობმა, რომელიც აგვის  
როლს ასრულებდა, მენადების მიერ მოკლული პენტეის თავის მაგიერად, გა-  
მოიტანა სცენაზე რომაელთა სარდლის კრასის თავი. \*) სომხეთისა და სა-  
ქართველოში ელინურ-რომაული კულტურა გავრცელებული ყოფილა, რასაც  
ადასტურებენ, წერილობითი ცნობების გარდა, მხატვრული კულტურის ნაშ-

\*) მოიზენ — „История Рима“, III, 1941, стр. 284 — 285.

თებიც. გარნისში დაცულია რომაული ტიპის ტაძარი, რომელიც აგებულია რომის არქიტექტურის პრინციპების მიხედვით, მაგრამ ტაძრის დეტალები შეესაბამება უცილებელს ჰყოფს ადგილობრივი ძალების მონაწილეობის შესწავლა, რომელიც დაიწყო აკად. ნ. მარშა და აკად. ი. სმირონოვმა, შეაჯამა კ. რომანოვმა, რომლის დასკვნითაც გარნისის ტაძარი III — IV ს-ნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

ამრიგად, უფლისციხის ნაგებობათა შესწავლა არკვევს ანტიკური ხანის თეატრის არსებობას, რაც საეჭვო შეეფარდება კულტურული განვითარების იმ ზოგად პირობებს, რომლებშიც მოჰყვა ჩვენი ქვეყანა რომაელთა ექსპანსიის პერიოდში.

ცნობილია, რომ აღრიანე კეისრის დროს (117 — 138) იბერიის მეფე ფარსმანი თავის ცოლით, შვილით და ამალითურთ რომში ეწვია კეისარს. ისტორიკოსის ცნობით (Dio Cassius. იხ. В. Латышев, Scythica et Caucasia, стр. 622), კეისარმა დიდი პატივით მიიღო იბერიის მეფე, დაესწრო ფარსმან მეფის, მისი შვილისა და სხვა წარჩინებულ იბერიელთა სამხედრო ასპარეზობას. კეისარმა მისცა მას კაპიტოლში საღმრთოს შეწირვის უფლება, ხოლო შემდეგ მარსის მოედანზე მეფის ცხენოსანი ქანდაკება დაადგმევინა.

ეს ცნობა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ჩვენში სამხედრო ვარჯიშობა და ასპარეზობა, რომელთაც ფართო საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, მტკიცე ტრადიციას ემყარებოდა.

დღიობრივი ჯანალიძე

## ქართული სახვითი ხელოვნება საგაგებლო ობის ვითარებაში

1

ლომის სახედ შეკერილი ქართული სალაშქრო დროშა საქართველოს მუზეუმში ინახება. როცა ეს ალაში გაიშლებოდა და წინ უძღოდა ქართველ მხედრობას, ჰაერის მოძრაობისაგან გამოსახულება იცვებოდა და, თითქოს ლომმა კამარა შეჰკრაო, ჯარს თავს ევლებოდა. და ქართველ მებრძოლებს ანთებდა არა მარტო მხედართმთავართა შეძახილი — ლომგულად იყავითო, არამედ დროშაც, რომელიც ლომის სახედ თავს დაფრიალებდა და საბრძოლოდ აღაფრთოვანებდა ჯარს. ხელოვანი, რომელმაც ასეთი შთამაგონებელი დროშა შეუქმნა მშობელი ქვეყნის მხედრობას, შეიძლებოდა კმაყოფილი ყოფილიყო, — მან თავისი ოსტატობა სამშობლოს მტერთაგან დაცვის წმინდა-წმინდა საქმეს მოახმარა.

ერთ-ერთ ძველ ხელნაწერში მე-13 სიუჟენის ქართველმა მხატვარმა ქართველთა ჯარის ლაშქრობის სურათი შეიტანა. ამ სურათზე მან სამხედრო მესაკრავეთა მწყობრი გამოხატა: ღამით ამხედრებულ რაზმებს წინ უძღვის მესაკრავეთა დამსტა. მას უკან მოწყვებიან მხედრები ანთებული და ჩეღმარული ჩირაღდნებით.

მთელი სურათი წითლად არის განათებული. მუსიკაჲ, ეტყობა, საბრძოლო განწყობა და სალაშქრო რიტმი შეაქვს მოძრაობაში. თვით ცხენებიც კი საბრძოლოდ არიან აღტყინებულნი და აბჯარასხმული მხედრები მტერზე გამარჯვების ერთობლივი მიზანსწრაფვით გამოიყურებიან. ამ სურათით მხატვარმა დამაჯერებლად მოგვითხრო ხელოვნების საბრძოლოდ აღმგზნების ძალის შესახებ.

შორეული წარსულიდანვე მტრის ურდოებით გარემოცული ქართველი ხალხის მხატვრობა განსაკუთრებით ეტანებოდა ეპიკაობისა და მამაცობის შთამაგონებელი, სამშობლოსადმი თავდადებისათვის აღმაფრთოვანებელი ეპიზოდებისა და სიუჟეტების გამოხატვას. ძველთაგანვე ქართულ სახვითს ხელოვნებას გააჩნდა თაობიდან თაობისათვის გადმოცემული პატრიოტული მხატვრობის ტრადიციები. ქრისტიანობის ხანაში ქართველმა ოსტატებმა შეინარჩუნეს წარმართობის დროინდელი ტრადიციული საგმირო სიუჟეტები. სუენეთში ლაშთხვერის ეკლესიის გარე კედელზე დაცულია ბაყაყ მღვდთან ამირანის შებმის ამსახველი მხატვრობა. არაბთა ხანგრძლივი ბატონობის ხანაშიც კი ქართველმა ოსტატებმა შეინარჩუნეს შემოქმედებითი ცხოველყოფილობა.

იმ ბრწყინვალე ეპოქაში, როდესაც ქართულმა ხელოვნებამ ბევრით გაუსწრო წინ დასავლეთ ევროპის მხატვრულ კულტურას, როდესაც მკვლევარმა ქვეყნის სადიდებლად და სასახლოდ გენიოსი ხუროთმოძღვრის, მკვლევარის სვეტიცხოვლის ტაძრის ამშენებელი არსუკისძე და ოქრომქანდაკბელი ბექა ოპიზარი რუსთაველის თანაბარი ძალით ქმედობდნენ, ქართველი ოსტატები განაგრძობდნენ გაერთიანებული საქართველოს ჯარის ლაშქრობისა და სახელოვან მხედართმთავართა პორტრეტების გამოხატვას. მათ კარგად იცოდნენ, თუ რა დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ მხატვრობას. ამიტომ ახმარებდნენ ისინი თავიანთ ნიჭსა და ოსტატობას საბრძოლოდ აღმავროვანებელი ხელოვნების შექმნას.

მეჩვიდმეტე საუკუნეშიაი-კი ქუთაისის სასახლის კედლებს ამშვენებდა ქართველი ხალხის ომების ამსახველი კედლის მხატვრობა. თბილისში როსტომ მეფის სასახლის კედლებზე ქართველ ოსტატთა მიერ გამოხატული იყო გმირულ-ეპიკური სცენები როსტომიანიდან. მე-17 საუკუნის მხატვარი მამუკა თავაქარაშვილი და ერთი უცნობი ოსტატი დიდი შთაგონებით ასურათებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის ომების ამსახველი ნახატებით.

ახალმა რეალისტურმა მხატვრობამ შეითვისა და განაგრძო მშობლიური ხელოვნების ეს კეთილშობილური პატრიოტული ტრადიციები. ეს ცხადი ვახდება, თუ გავიხსენებთ ახალი ქართული ფერწერის ფუძემდებლის გ. გამაშვილის „ხევსურთა ბრძოლას“, „მეომარს“, „ხევსურებს სადარაჯოზე“, „ხევსურთა თავდაცვას არღოთში“, „იერიშს“ და სხვას; ალექსანდრე მრეველიშვილის სურათებსა და ნახატებს: „უკანასკნელი მცველი“, „ქრწანისის შემდეგ“, „ამირანის შეხვედრას“, „მიჯაჭულ ამირანს“ და სხვას; ვალერიან სიღამონ-ერისთავის „გიორგი სააკაძის ბრძოლის მოლოდინში“, „ქრწანისის ველს“; ნიკო ფიროსმანიშვილის „გიორგი სააკაძის შეერთებას ხევსურებთან“ და სხვას.

საბჭოთა ქართული მხატვრობისათვის იმ თავითვე დიდი შთაგონების წყაროდ გადაიქცა წითელი არმიის სახელოვანი ბრძოლები. არ დარჩენილა არც ერთი მხატვარი, რომელსაც წითელი არმიის თემაზე სურათი არ მოეცეს. მხატვართა კავშირმა წითელ არმიისადმი მიძღვნილი რამდენიმე გამოფენა მოაწყო და მონაწილეობა მიიღო მოსკოვის გამოფენაში „წითელი არმიის 15 წელი“. ამ გამოფენაზე ყურადღება მიიქცეეს ირაკლი თოიძემ (სურათით „დღეშეთის აჯანყება“), ახოლონ ქუთათელაძემ („რადიოს მოწყობა წითელარმიელების მიერ სვანეთში“), უჩა ჯაფარიძემ („წითელარმიელი კოლმეურნეობაში“) და სამსონ ნადარეიშვილმა („მთებში შეხვედრა“).

1939 წელს თბილისის კომუნალურმა მუზეუმმა მოაწყო გამოფენა, რომელიც ასახავდა გარეშე მტრებისაგან თბილისის დაცვის ისტორიას. ამ გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ: ლადო გუდიაშვილი, შალვა მამალაძე, სევერიან მაისაშვილი, კ. გრძელიშვილი, შ. მაყაშვილი და სხვები. სანდრო შანშიაშვილის, იონა-ვაკელის და უშანგი ჩხეიძის პატრიოტული პიესების გაფორმებით დიდად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გასწიეს მხატვრებმა



ირაკლი გამრეკელმა, სერგო ქობულაძემ, დ. ძნელაძემ და ირინა შტენ-  
ბერგმა.

ერთის სიტყვით, არსებობს ქართველი ხალხის გარეშე მტრების მძი-  
ლის მხატვრული ასახვის გარკვეული ტრადიცია, ამასთან ჩვენმა მხატვრო-  
ბამ საბჭოთა სინამდვილეში ამ მხრივ უკვე დააგროვა გარკვეული გამოცდი-  
ლება.

ამხ. ლავრენტე ბერიას მიერ შთაგონებულმა და მისი მზრუნველი დახმარებით ორგანიზებულმა გამოფენამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ქართველ მხატვართა ფუნჯს მისცა დიდი გაქანება და ერთ გარკვეულ თემაზე მრავალმეტყველი გალერეის შექმნის გამოცდილება. ყოველივე ეს გვიკარნახებს — მოვთხოვით სახვითი ხელოვნების ოსტატებს ქართული მხატვრობის ისტორიული ტრადიციების ღირსეულად განგრძობა და საბჭოთა სინამდვილეში მოპოვებული გამოცდილების ფაღრმაგება.

## 2

ბელადის მოწოდებისთანავე საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოახდინეს თავიანთი ძალების მობილიზება და თავიანთი მუშაობის გარდაქმნა ახალ საოშარ ყაიდაზე, ე. ი. მათ ყველაფერი დაუმორჩილეს ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ამოცანებს. სახვითი ხელოვნებაც, ისევე, როგორც ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგი, სამამულო ომის ვითარებაში ამ ამოცანების მიხედვით წარიმართება.

სახვითი ხელოვნება მოწოდებულია — შესრულოს ღირსეული როლი ხალხის სულიერი ძალების მობილიზებისა და ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან საქმეში. მხატვრობა მოწოდებულია — განამტკიცოს პატრიოტული გრძნობა, აღაფრთოვანოს ხალხი გმირობისა და მამაცობისათვის, უკვლევყოს მამაც მებრძოლთა სახეები, მათი გმირობა და თავდადება სამშობლოსათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი მოწოდების გასამართლებლად მხატვრები ასახავენ საბრძოლო აღფრთოვანების გამომწვევ ისტორიულ ამბებს და სახეებს ჩვენი ხალხის წარსულიდან.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მხატვრობა თავის სადღეისო მოწოდებას ამართლებს დიდი სამამულო ომის გმირებისა და საბრძოლო ეპიზოდების გამოხატვით.

სამამულო ომის დაწყებიდან საქართველოს მხატვართა კავშირმა სამი გამოფენა მოაწყო, ამ გამოფენებში მონაწილეობა მიიღეს უფროსი თაობის მხატვრებმა და მოქანდაკეებმა: იაკობ ნიკოლაძემ, მოსე თოიძემ, ლადო გუდიაშვილმა, ალექსანდრე ბაქტუქაშვილიძემ, იოსებ შარლიყანამ, ალექსანდრე ციმაკურიძემ, ბარბაღე ბებუთოვ-გაბუნიაძემ, ქეთევან მაღალაშვილმა, ელენე ახვლედიანმა, გრიგოლ მესხმა, კირილე ზდანევიჩმა და გრიგოლ ზაზიაშვილმა.

იაკობ ნიკოლაძე, რომელსაც წილად ზედა ქართული სკულპტურის შორეულ წარსულში ჩაწყვეტილი ძირების განახლება, დღემდე მესყუერობს ქართველ მოქანდაკეთა სკოლას. უკანასკნელ გამოფენებზე სახალხო მოქანდაკე წარმოდგენილი იყო ორი პორტრეტული ნაწარმოებით: „აკად. ბერიტაშვილი“ და „გენერალ-მაიორი ჩანჩიბაძე“. ამგვარად სახალხო მოქან-

დაკის საჭრეთელი თიხიდან ძერწყავს როგორც ქართველი ხალხის სახეობა ვენერლის სახეს, ესე მეცნიერების სარბიელზე განთქმულ ქვეყნულ პორტრეტს.

იაკობ ნიკოლაძემ ორიგინალთან უშუალო ურთიერთობის გარეშეც შესძლო, ცოტაოდენი ფოტო-მასალის გამოყენებით, ვენერალ ჩანჩიბაძის საინტერესო პორტრეტი გამოეკვეთა. რა კი მოქანდაკე მოკლებული იყო ცოცხალი მოდელის შეგრძნებას, მან გვერდი აღარა ობიექტის ფსიქოლოგიის გადმოცემას, მის დაწერილებით დახასიათებას, მისი სახის ნაკეთების შინაგან სიცოცხლით ამეტყველებას და მიზნად დისახა საერთო მიმსგავსებით მოეცა სამამულო ომის გმირი, მხედართმთავრის განზოგადოებული სახე. ამ ბოლსტში მან უპირველეს ყოვლისა გამოხატა ხალხის წარმოდგენა თავის გმირზე. აქედანაა ამ ბოლსტის მონუმენტური ხასიათი. მოქანდაკემ ვენერლის პორტრეტში ნაციონალურ ვინაობას მკვეთრი გამოსახულება მისცა. ამ ნაწარმოებზე მუშაობის დროსაც ოსტატი ნაციონალური ფორმის პორტრეტული სკულპტურის ამოცანის გადაჭრას ცდილობდა. რაც არ უნდა იყოს, ეს ქანდაკე იმის მეტყველია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფოტო-სურათის მიხედვით ძერწყვა შემოქმედებას ზღუდავს, ნაწარმოებს აკნინებს და ოსტატის წარმოსახვას ფრთებს უკვეცავს.

აკად. ი. ბერიტაშვილის პორტრეტი აშკარად ცხადყოფს, თუ რამდენად სასურველია შემომქმედისათვის ორიგინალის უშუალო განცდით ძერწყვა. ამ ნაწარმოებში მთელი სიცხადით მოსჩანს იაკობ ნიკოლაძის რეალისტური შემოქმედების ძალა, იგრძნობა ოსტატის ლაკონიურად, მართლად და პოეტურად მეტყველი ხელი. საოცარ მსგავსებასთან ერთად, მოქანდაკე აღწევს ნატურის ღრმა დახასიათებას. პორტრეტულ თხრობაში მას შეაქვს ლირიზმის სითბო და სიფაქიზე. მთელი ნაწარმოები აღბუქილია პოეტური განსახიობის უშუალობით.

იაკობ ნიკოლაძე გულმოდგინედ განაგრძობს ქართული ქანდაკების ნაციონალური ფორმის ძიებას. ძველი ქართული მონუმენტური ფერწერის, სახელობრ, უბისის ფრესკებზე გამოხატული სახეების სკულპტურული წარმოქმნით მოქანდაკე ცდილობს მიაგნოს ქართული პლასტიკური ხელოვნების ძირების უშუალო განცდას და მით გზა გაიგნოს ახალი შინაარსის შესატყვისი ნაციონალური ფორმების ძიებაში. ამ მეტად საინტერესო შემოქმედებითი ექსპერსის მონაპოვარს, ალბათ, უახლოეს გამოფენაზე ვნახავთ.

ერთ-ერთი უხუცესი ქართველი მხატვარი მოსკე თოიძე ნახევარი საუკუნის ენერგიული და დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგაც ადრინდელი ვატაკებით და ენერგიით განაგრძობს თავისი მეტყველი ფუნჯით წერას. სამამულო ომის თემას იგი ხელს ჰკიდებს, როგორც ქართული ფერწერის ოსტატი. განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელ გამოფენებზე მოსე თოიძის ტილო „წერილი ფრონტიდან“. ამ სურათზე ცხოველყოფილი ოსტატობით არის გამოხატული ინტერირი — ბინის შინა სახე. ოთახების ანფილადს შესანიშნავად დაწერილი ქართული დოჭი მომხიბვლელობასა და ინტიმურობას უქმნის. მშვიდი გარემოს შექმნით მხატვარი აძლიერებს იმ მღელვარებისა და სიხარულის გადმოცემას, რომელიც ფრონტიდან მიღებულ წერილს მოუტანია.

მოსე თოიძის მეორე სურათი „ძველი თბილისის ქალები საჩუქრებს ამზადებენ“ არაფრით არ გამოირჩევა მისი უკანასკნელი დროის ნაწარმოებ-

თავან და არაფერს ახალს არ მატებს მის შემოქმედებას. ბოლო დროს ზოგერთ შემთხვევაში მხატვარს დასძემდა უსიამოთ ფერმეტყველებას.

მოსე თოიძე ახლაც ახალგაზრდული გატაცებით და ოსტატურად დაწერა რამდენიმე ნაწარმით რყენებს მზიანი და ნათელი დღეების ყოველ წუთს. მოსე თოიძე ხატავს პაერზე, სწერს ძველი თბილისის ეტიუდებს, არ ეშვება ნატურას. მის მიერ ამ ბოლო დროს დაწერილი 105 წლის ებრაელის პორტრეტი როგორც კომპოზიციის, ისე ფერთა მეტყველების მხრივ, მხატვრის საინტერესო მიღწევად უნდა იქნას მიჩნეული.

მოსე თოიძე უამრავი ეტიუდით და ესკიზით მომზადებული სწერს გაბედული განზოგადების კომპოზიციას „ბუნების სიხარულს“. ეს არის სიმღერა, პოეტური თქმულება ჩვენი შშობლიური ბუნების სიუხვეზე. ეს არის ყარგად თქმული ხილთაქება, ოდა მარჯვენა დალოცვილ ქართველ მებლევებისადმი.

მოსე თოიძე ხატავს ესკიზებს სურათისათვის, რომელმაც უნდა ასახოს რუსი ხალხის დიდი პოეტის პუშკინის სტუმრობა საქართველოში. საბჭოთა პატრიოტიზმის განცლით არის შთაგონებული მოსე თოიძის მიერ იმერეთში დაწერილი ესკიზები სურათისათვის „ახალგაზრდა მიაკოვსკი ბაღდადში“.

მხატვრობის ქართული სკოლის მეტად საინტერესო და მკაფიო თავისებურობის მქონე ოსტატი ლადო გუდიაშვილი არ არის ბატალური ენარის მხატვარი. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობს გამოეხმაუროს დიდი სამამულო ომის მღელვარე დღეებს. ის წინადაც იღებდა მონაწილეობას წითელი არმიისადმი მიძღვნილ გამოფენებში. გავიხსენოთ მისი ფუნჯის სიმძაფრით დაწერილი „შემთხვევა სადარაჯოზე“ და ტრაგიულობით აღსავსე ტილო „განწირული ჩინეთი“.

სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ლადო გუდიაშვილი წარმოდგენილია გრაფიკული ნახატით „დივერსანტის შეპყრობა“, რომელიც სრულიად არ გამოხატავს ამ ოსტატის შემოქმედებითს ძალას და კულტურას და არც შეიძლება ამისდა მიხედვით დაეფასოთ მისი მხატვრობა სამამულო ომის წლებში.

ამ მხრივ ბევრად უფრო საინტერესოა ის, რაც მხატვრის სახელოსნოში მოიპოვება. თითქმის მთელი წელიწადი მან კახეთში დაჰყო და იქიდან ჩამოიტანა გრაფიკული სურათების მთელი სერია, რომელიც შთაგონებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბუნების სილამაზით და სიუხვეით, აღსავსეა ხალხური სიბრძნით, მადლმოსილია ორიგინალური ფანტაზიით და სამამულო ომის მძაფრი დღეების განცდების თავისებურ გამოძახილს წარმოადგენს.

ფაშისტების მიერ ებრაელების მხეცურმა დევნამ მხატვარს შთააგონა მოეცა უაღრესად მეტყველი ნახატი. უფსკრულის პირად აღმართულია მიქელ ანჯელოს ცნობილი ქანდაკება „მოსე წინასწარმეტყველი“. და იქვე მის მიმართულებით უფსკრულისაკენ დაწვდილია უზარმაზარი შამფური, რომელზედაც ყოველად უწყალოდ არიან წამოგებული ბავშვი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა. ნახატი მეტად მეტყველი ძალით ხრის შესრულებულ: რენესანსის უდიდესმა ოსტატმა უკვდავი ძეგლი დაუდგა ებრაელი ხალხის სიბრძნეს, ხოლო მეოცე საუკუნის ფაშისტი ბარბაროსები ებრაელებს აწამებენ და ელუტენ.

ალბათ, გერმანელ დამპყრობელთა მიერ პელოპონესში ხელოვნების ძეგლთა განადგურებისა და გაძარცვის ფაქტმა მისცა მხატვარს თემა დიდი ზომის ნა-

ხატისათვის. ორი მხეცური გამომეტყველების ავაზაკს ზერზე აღუღია ღრ სულამაზის განსახიერებას — შიშველ ქალს, როგორც ნადავლს, შუაზე მხეცურად შუაზე ზერხავს. დიდი ზომის გრაფიკული ნახატების მთელ სერიაში მხეცური ვარი მძაფრად გამომეტყველი ხაზით მოგვითხრობს ფაშისტ ბარბაროსების მიერ ხელოვნების შეგინებისა და დევნის ამბებს.

აგერ მოკლული და ნაწამები სილამაზის სიმბოლოდ დასვენებულა ქალის შიშველი გვაში და მას გარს შემოხვევიან ცრუჭირისუფლებად სწორედ ისინი, რომელთაც დაღუბეს და სასიკვდილოდ გასწირეს მშვენიერება. ამ ცრუჭირისუფლების გამოთაყვანება და ქვეწარმავლური ბუნება წარმოსახვის უჩვეულო ძალით არის გამოხატული. დაახლოვებით ამგვარივე შინაარსისაა ლადო გუდიაშვილის ყალმისათვის ჩვეული მუსიკალობით, პოეტურობით და გაბედულობით ნახატი ათეული დიდი ზომის ფურცელი.

გრაფიკული სურათების მთელი სერია დახატულია „ქალ-ვაჟიანის“ თემაზე. ცამდე აწვდილი ქვევრები და მათ ძირში ურთიერთისაკენ მისწრაფებული ქალ-ვაჟი — ხალხური ლექსის უშუალოდობით და სიწირფელით არის გამოხატული. მრავალი ნახატი თავისი ინვენტარით, ბუნებით და ზღაპრული სამყაროთი უაღრესად ქართული და მშობლიურია. ზოგი მათგანი ზმასა და გამოცანასავით არის შეთხზული — ნაცნობია, გასაგები და თანაც მიუწვდომელი. მეტყველი ხაზებით ამღერებული ეს ფურცლები ავტორსა და მნახველს შორის გაბაასებას იწვევენ. ზოგჯერ მეტად ძნელია გაგება, თუ რისი თქმა უნდოდა მხატვარს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოსტატი თავს დააღწევს ბუნდოვანობას და მხატვრულად გარდაქმნილ მასალას ნათელი და მკაფიო მეტყველების აზრიან ძალას მისცემს.

ლადო გუდიაშვილი განაგრძობს პორტრეტზე გატაცებით მუშაობას. მას, როგორც ქართული სკოლის ფერწერისათვის თავგამოდებულ ოსტატს, სწავლია შექმნას ქართველი ქალის პორტრეტი. ამ მხრივ რომანტიულობითა და პოეტურობით შთაგონებული მისი ძიება მეტად საინტერესო და საგულისხზოა. მხატვარი დიდ კომპოზიციუბზედაც განაგრძობს მუშაობას. სამამულო ომის მძაფრი განცდებით არის შთაგონებული მისი დიდი კომპოზიციის: თავდასხმულ მხედარს ქალი გაუტაცნია და მიჰქრის. ტყეში მოძალადეს თავს ესხმებიან ვეფხვი და ლომი. ტილო დიდი ექსპრესიით და პოეტურობით არის დაწერილი.

ლადო გუდიაშვილი ახლაც დაუცხრომელ შექოქმედებითს ძიებაშია და გამუდმებით ხატავს: და სწერს. ეს ისეთი მხატვარია, რომელიც ამდიდრებს ჩვეს ხელოვნებას, მას თავისებური კილო შეაქვს ქართულ საბჭოთა ნაციონალურ მხატვრობაში.

მხატვარი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ე ბ ე უ ქ მ ე ლ ი ქ ო ვ ი გამოფენაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის გვირის საფონოვოს პორტრეტით. თუმცა ამ პორტრეტშიაც იგრძნობა ოსტატის ხელი, მაგრამ ეს ნაწარმოები მაინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამამულო ომის გვირის ნამდვილ პორტრეტად. არა კმარა მსგავსება, აუცილებელია განზოგადოების ძალა.

ალ. ბაებეუქ-მელიქოვი ფერწერის თავგამოდებული მხატვარია. გამუდმებული შემოქმედებითი ძიებით აღწევს იგი კოლორიტის ისეთ ხშიანობას, ფერების ისეთ მარშინულობას, ადამიანის სხეულის ისე ცოცხლად და ხელშესახებად გადმოცემას, რომ ზოგიერთი მისი ტილო გაუძლებს სახელგანთქმულ სურათებთან შედარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბოლო დროს





დღეს უკვე საგრძნობ ქმედით ძალად გვევლინება საბჭოთა უშაღლეს სამხატვრო სასწავლებელში აღზრდილ მხატვართა თაობა. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ ახალი თაობის მხატვრებს ჯერ კიდევ ახალგაზრდების სახელით ვიხსენებდით, დღეს ისინი მომწიფების ასაკში არიან შესული და სწორედ მათი რიცხვიდან ოთხმა სტალინური პრემიის ლაურეატობა მიიღო, ხოლო რამდენიმეს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის სახელწოდება მიენიჭა. ამიტომ ახლა მათი შემოქმედების ნაკლის გამართლება უკვე დაუშვებელია.

ირაკლი თოიძე ამ ორი უკანასკნელი წლის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სურათებით: „ტანია“, „პარტიზანი არ ვასცემს“, „საბჭოთა ქალებისა და მონუცების საფარველში“. თემის შერჩევასა და მის მხატვრულ განხორციელებაში ირაკლი თოიძე თავისი ფუნჯისათვის ჩვეულ გამბედაობას, ტემპერამენტს ჩიენს. მკაფიოდ და ნათლად გადმოგვცემს იგი თავის შთანაფიქრს. ირაკლი თოიძეს ფუნჯი ამაღლეველი გზებით უმღერის საბჭოთა ხალხის გმირობას. თანადროულობის შუავე შეგრძნებით დაწერილი მისი სურათები გამოირჩევიან მასების საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი, პატრიოტიზმის გრძნობის აღმძვრელი დიდი ძალით.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რამდენიმე შენიშვნა მაინც გვეთქმის. სურათი „ტანია“ თავისი კომპოზიციით უფრო პლაკატისებურად არის გადაჭრილი და მისი ფერადონებაც არ არის სრული ძალით ამეტყველებული. ქართული ფერწერისათვის ასეთი ჩამქრალი ფერებით წერა უჩვეულოა. რაც შეეხება კომპოზიციას „არ ვასცემს“, იგი დიდი სურათის კომპოზიციის ფრაგმენტს წარმოადგენს და არა აქვს მას დამოუკიდებელი არსებობის ძალა. სურათის იდეური მხარე ჩინებულად არის მოფიქრებული და გულაწყვეტილი. ამასვე ვერ ვიტყვით ფერწერილობის მხრივ. შიშველი ტანი მოითხოვს მეტის ოსტატობით, მეტის ცხოველმყოფელობით და სიცოცხლით ამეტყველებას.

უჩაჯაფარიძე მ. სერიიდან „დიდი სამამულო ომის მებრძოლები“ გამოფინა საბჭოთა კავშირის გმირის მიხეილ გახოკიძის პორტრეტი. ფიგურის თავისუფლად დაყენება, ქართული იერით მეტყველი ფესტი, გმირის ქართველური ვინაობის ხაზგასმა, შვიდი ტონი, სისადავე და უბრალოება შშობლიური მიმზიდველობის ძალას და დამაჯერებლობას უქმნის სურათს. მხატვარი ამით ცდილობს გზა-კვალი მოუძებნოს ქართულ ნაციონალურ პორტრეტს. ის ახლებურად სვამს საბჭოთა გმირის განსახიერების ამოცანას.

მეტად საინტერესოა რესპუბლიკის სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის პორტრეტი. მხატვარი დროგამოშვებით, შვიდი თუ რვა სეანსის განმავლობაში ხატავდა მსახიობს. ამ პორტრეტზე არტისტი შეინდისფერ პიეიამში წიგნის კითხვის დროს ტახტზე ნახევრად წამომჯდარია. სახის გამომეტყველებისა და ნაკეთების მსგავსება საოცარია. ცოცხლად და მართლად გადმოგვცემს მხატვარი მსახიობის ხასიათსა და გარეგნულ სახიერებას.

უკანასკნელ გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერილი ტილო „დაჭრილნი მოწოდება“ უფროდ ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია თავის გულწრფელობითა და სიმართლის გამომსახველი ძალით. მაგრამ უჩაჯაფარიძის ეს სურათიც ისევე, როგორც ირაკლი თოიძის ტილო, დიდი კომპოზიციის ფრაგ-

მენტის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქლია მას ის სისრულე, დამოუკიდებელ კომპოზიციას რომ მოეთხოვება, თანაც არ შეიძლება, რომ ერთეულურად წინა ხედზე გამოხატული ორი მთავარი ფიგურა ურთიერთისგან განსხვავებული მიდგომით იყოს დაწერილი. ამ ტილოზე თუ დაჭრილა მებრძოლის სახე იმპრესიონისტული მღელვარებით არის დაწერილი, მისი გვერდით მდგომი ქალის სახე მშვიდად, სისრულის და დამთავრებულობისაკენ მისწრაფებით არის შესრულებული, რასაც ნაწარმოებში აღრევა შეაქვს.

მნახველებს დიდად მოსწონთ ივანე ვეფხვაძის სურათები. დიდ კომპოზიციით „ფაშისტების მხეცობა“ მხატვარი ფართო მასშტაბისათვის გასაგები ენით მეტყველებს. შინაარსის სურათოვანად გადმოცემის ძალით მხატვარი პლაკატის აქტუალობასა და ზეგავლენას აღწევს. მას ეხერხება ამბის საინტერესოდ თხრობა. სწორედ ამ დიდ კომპოზიციამი ერთი დეტალი — ჩარჩოდან ამოგლეჯილი დაიატაზე დაგდებული ტილო პეშკინის გამოსახულებით — ისეთი მხატვრული გზნებით არის დაწერილი, რომ ამის შემქმნელ მხატვარს ბევრად უფრო მეტი მოეთხოვება.

ივანე ვეფხვაძე თანადროულობის მხატვარია, ის გულმხურვალედ ეხმარება დღევანდელ დღეს და სამამულო ომის ამბებში პოულობს თემებს თავის შემოქმედებისათვის.

გამოფენაზე შალვა მამალაძის მიერ წარმოდგენილი სურათი „პარტიზანები“ ვერ გამოხატავს ამ საინტერესო მხატვრის შემოქმედებითს ძალას და ოსტატობას. საქმარისია შეიხედოთ მის სახელოსნოში, რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად გულმოდგინედ და ნაყოფიერად მუშაობს ეს მართლა პროფესიული შემოქმედი. ის ყოველდღიურად ბევრს ხატავს და სწერს უშუალოდ ნატურიდან, უცვარს პაერზე მუშაობა, გატაცებულია ეტიუდების წერით. ამიტომაც ასე დახელოვნებულია ბუნების გადმოცემაში. ბუნების უშუალო განცდით დაგროვილ დიდად მასალას ის ახლა ამუშავებს, ანზოგადოებს დიდი ტილოების დასაწერად. შალვა მამალაძის პეიზაჟს ახასიათებს ოპტიმისტური განწყობა. ერთ-ერთი მოზრდილი ზომის ეტიუდში ის გვიხატავს შემოდგომის კახეთში. თქვენ წინ არის ფოთლებდაცვივებული ხე, რომლის ტოტებზედაც ჩიტები შემომსხდარან. მიწა ოჭროსფერი ფოთლებით არის მოფენილი. ხის გვერდით თივის პატარა ზვინი, განათებული ჩამავალი მზას სხივებით, უჩვეულო სილამაზით და ხალისიანი ფერადოვნებით აუღერებს ამ უაღრესად პოეტურ ქმნილებას. ფგერათ, რომ ამ სურათს თავის ქვეყნის ბუნების სილამაზით გატაცებული ოსტატი სწერდა.

შალვა მამალაძე უმთავრესად მაინც სოფლის ბუნებისა და ცხოვრების მხატვარია. მისი ნატურიდან ნაწერი ეტიუდები შესრულების სიცხადით და ტიპიურობის ბედნიერი მიგნებით ზოგჯერ დასრულებული მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ახდენენ.

გამოფენაზე კარლო სანაძე ყურადღებას იქცევს სურათით „მედიცინის და“. წინათ კარლო სანაძეს ფერწერის კლასიციზმისაკენ ეჭირა თვალი და ის კოლორიტის ევროპიულ ოსტატებისაგან ბევრით იყო დავალებული. მან ბეჯითი სწავლით და მუყაითი შრომით საკუთარი თვალათხედვა შეიმუშავა და ორიგინალური ხმოვანება შეუქმნა თავის ნაწარმოებთა ფერადოვნებას. მიუხედავად იმისა, ის მაინც უფრო მიმდევარ მოწაფედ და გარკვეული სკო-

ლის ეპიგონად სწანდა, ვიდრე დამოუკიდებელ შემოქმედად. უკანასკნელ გამოფენაზე წარმოდგენილი სურათით კარლო სანაძე იწყებს შემწასქმედობას და შეთვისებულის შემოქმედებითს გარდამქმნას, ის უნარჩუნებს სურათთა კოლორიტს, მუსიკალობას, მოეტურ განწყობას, პარმონიულობას და თავისუფლებას მუქი და სევდიანი ფერადოვნებისაგან. მხატვარს ახლა სურათში უკვე შეაქვს თავისი ქვეყნის ჰაერის გამჭვირვალობა, სპეტაკი, ხალისიანი, მშვიდი და თანაც სახეიშო ფერადოვნება. ეს მეტად გაბელული ნაბიჯია. რაკი მხატვარი უფრო ღია ფერადოვნებაზე გადავიდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასძლევს ნახატობის სისუსტეს და მისი ხაზიც იმდენადვე მკვეთრი და ცოცხლად გამოსახული იქნება, რამდენადაც სასიამოვნო და პოეტურია მისი სურათების ფერთი მეტყველება.

სანაძე ამჟამად მუშაობს პორტრეტებზე. მის სახელოსნოში ვნახეთ მისი ორი წლის შემოქმედებითი ძიების ნაყოფი, ქალისა და კაცის, რამდენიმე ათეული პორტრეტი.

საწყენი იქნება თუ მხატვარი ამ ძიებას დამთავრებულად ჩასთვლის. მისა პორტრეტების ფერადოვნება დეკორატიულია დამოკლებულია იმ სიმძაფრეს, გადასვლის კონტრასტულობას, ფერწერის სახარულს, მრავალფერადოვნებაში ერთი ტონის მიგნებით რომ არის მადლმოსილი. მის ადრინდელ სურათებს ეს თვისებები რამდენიმედ მაინც გააჩნდა და ახლა მათი დაკარგვა საზიანო იქნება მისი შემოქმედებისათვის. მართალია, კ. სანაძე ამ პორტრეტებითაც გვიჩვენებს, რომ ის ცდილობს ძველს გასცილდეს, ახალი მანგებით ააყლეროს სურათის ფერადოვნება, ნახატს სიმტკიცე და სიმკვეთრე მოუპოვოს, მაგრამ ეს ცდები მეტად ნაუცხადევი, მეტად აჩქარებული. ისინი მოწმობენ, რომ მხატვარს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს თავის ძალასა და ოსტატობაზე, ერთი ფუნჯის მოსმით თოლად სურს გადასწყვიტოს ფერწერის რთული პრობლემები. ამიტომ ზშირად მარცხს განიცდის. ეს განსაკუთრებით ნათლად შედგენდება მისი ახალი პეიზაჟებით, რომლებიც მოკლებულნი არიან ადრინდელი სურათების სიცოცხლესა და ფერთი მეტყველების პოეტურობას.

უკანასკნელ გამოფენაზე სამსონ ნადარეიშვილის ესკიზი („გერმანელების მიერ ოკუპირებულ სოფელში“) გამოირჩეოდა მხატვრის უზადო გემოვნებით, განცდის გულწრფელობით, საამო კოლორიტით, მშვიდი ტონითა და მეტყველი ფერადოვნებით. დასანანებელია, რომ მხატვარმა ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ამ ესკიზის სურათად განხორციელება.

კოტე გრძელიშვილის „სახალხო ლაშქარი“ ბევრით ჩამორჩება მის ადრინდელ სურათებს. მხატვრის სახელოსნოს გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მხატვარი უკანასკნელ წლებში ბევრს მუშაობს: სწერს ეტიუდებს, სწავლობს ბუნებას, აინტერესებს ტყის სიხშოს გადმოცემა, ესწრაფვის მაკონოს წყლის სიღრმისა და ჩქერის ცოცხლად გამოხატვის საიდუმლოებას. ცდილობს ენა ამოუდგას ბალახს და მთის ყვავილს, ხესა და კლდეს და მით ჩვენი ქვეყნის ლამაზი ბუნების მესაიდუმლო გახდეს. ასე ნაყოფიერად და ბეჯითად შრომობს და მით უფრო მიუტევებელია გამოფენაზე ნაუცხადევი ნაწარმოებებით გამოსვლა.

შოთა მეტრეველმა თავის სურათით („ბავშვები ატყობინებენ წითელარმიელს ფამისტის პარამუტისტების ჩამოსხმის შესახებ“) გვიჩვენა რეალისტური თბრობის უნარი და კომპოზიციური ამოცანის მარჯველ გადაჭრის



ჩვევა. სურათის თხრობას სიმშვიდეს უკარგავს და ფერწერის მიზმილველობის ძალას აკლებს ზედმეტად ახშიანებული ფერადოვნება.

უკანასკნელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 12 პანო, რომელთა შუქმნიშვიც მონაწილეობა მიიღო მხატვართა უმეტესობამ. გამოფენაზე გალერეიაში, საიდანაც მაღალი გემოვნება და სილამაზის ფაქიზი შეგრძნობა უნდა ერცელდებოდეს, სადაც უნდა ვხედავდეთ დიდი იდეების შესატყვისი სრულყოფილი ფორმის ძიებით შთაგონებულ ტილოებს, ასეთი ნაუცბადევი, ფორმის გრძნობას, სისრულეს და სრულყოფას მოკლებული, არა სერიოზულად მოფიქრებული და ფუნჯის ერთი მოსმით, იოლად ნაწერი ტილოები, სხვარომ არა იყოს რა, შეურაცყოფელია ქართული საბჭოთა მხატვრობისათვის. მით უფრო იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი ძალებით დაძაბული შრომობს და ყოველ დარგში ხარისხს აუმაჯობებს, წინ მიიწევს და მით ფრონტს ეხმარება, უხერხულია, რომ საქართველოს საბჭოთა მხატვრების გალერეიაში ნაუცბადევი უშუქმნილი პანოები მთელი საგამოფენო ფართობის ნახევარზე მეტს ავსებდნენ, მით უფრო, რომ ამ შემოქმედებით უმწეობის დემონსტრაცია თვეობით გრძელდებოდა.

უკანასკნელ გამოფენებზე ჭანდაკება და ვრადიკა შესაძლებელი ხარისხით და სისრულით არ იყო წარმოდგენილი.

თამარ აბაკელია გამოფენაში მონაწილეობას იღებდა თაბაშირში განხორციელებული სკულპტურული ნაწარმოებით „დაჭრილი პარტიზანი“. ამავე დროს უკანასკნელი წლების მანძილზე თამარ აბაკელიამ თანაშემოქმედება გაუწია რეჟ. მიხეილ ჭიაურელს კინო ფილმის „გიორგი სააკაძის“ გაფორმებაში. ტანსაცმელისა და ტიპების ესკიზებს ამ შემთხვევაში თავისთავადი მხატვრული მნიშვნელობა აქვთ, და ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის სრული შეგრძნებით ნახატი რამდენიმე ათეული ფურცელი მხატვრის შემოქმედების ზრდისა და მოწიფების მაჩვენებელია. განსაკუთრებით გამოირჩევა „გიორგი სააკაძე“ და „შალიძან ბარათაშვილი“. მხატვარს მათ განსახიერებაში შეაქვს ტრაგიკული კილო, მძაფრი დრამატიზმი და ღრმა გააზრება. თანაც ამ ესკიზიდან სჩანს, რომ მხატვარი რამდენიმედ მიინც თავს აღწევს ერთფეროვნებას და გამოხატული ფიგურების პლასტიკურობას. მხატვრის პალიტრა მეტი სიუხვით მატებს ცხოველყოფილი სახიერების ძალას.

სალოვან კაკაბაძე გამოფენაზე წარმოდგენილია სკულპტურული კომპოზიციით „პარტიზანები“. მოქანდაკის სახელოსნოში ყურადღებას იქცევს მომღერალ დავით გამრეკელის პორტრეტი, რომელიც გამოირჩევა საინტერესო კომპოზიციით, ხასიათის ცოცხალი გადმოცემით და სკულპტურის ნაციონალური ფორმის შეგრძნებისაკენ მიწრაფებით.

მიქოლოზ კანდელაკი საბჭოთა კავშირის მარშლის ტიმოშენკოს ბიუსტის შესრულებით გვევლინება, როგორც მონუმენტური სტილის ოსტატი. მოქანდაკე ცდილობს მოგვეცეს მარშლის სახის შესაფერებლად ერთად საბჭოთა სარდლის განზოგადოებული სახე, აღსაყვ ენერჯით, დაბრკოლებათა გადამლახველი შეუპოვრობით და უტეხი ნებისყოფით. მოქანდაკე იმავე დროს ახერხებს, სკულპტურულ ნაწარმოებს შეუნარჩუნოს ორიგინალის ინდივიდუალური დამახასიათებელი თვისებანი და შკაცრი სისადავე. ამნაირად მეტად ძნელ პირობებშიაც-კი, მოკლებული ორიგინალის უშუალო განცდას, მოქანდაკე აღწევს მხატვრულ დამაჯერებლობას და განზოგადოების ძალას. ნ. კანდელაკი გაუჩრბის შტამპს, ნატურის სახე მას სხვა-

დასხვა მიდგომით გადააქვს მასალაში. როდესაც ასლანიშვილის სახეს, სერ-  
 წავს, იგი შთაგონებულია რომაული სკულპტურით, ხოლო როდესაც მუშაობს  
 დადიანის სახის გადმოცემაზე მუშაობს ან პროფესორ წულუკაძის მუშაობაზე.  
 ტრეტის ჰქმნის, ოსტატი სულ სხვა მანერას მიმართავს, რათა მკაცრი ფორ-  
 მებიდან საჭრეთელი სახის ნაკეთების ცოცხალ შეგრძნებაზე გადაიყვანოს,  
 და უნდა ითქვას, რომ ამით ღირსშესანიშნავ მხატვრულ ეფექტსაც აღწევს.

მოქანდაკე კოტე შერაბიშვილს შოთა რუსთაველის ძეგლისა-  
 თვის უკვე დამთავრებული აქვს თბაშირში განხორციელებული უზარმაზარი  
 ვეფხის ქანდაკება. ამ ღირსშესანიშნავი სკულპტურული ნაწარმოებებით მო-  
 ქანდაკე დიდ შემოქმედებით ძალას იჩენს ცხოველების გამოსახვაში. „ვეფ-  
 ხეი“ ერთ-ერთ საუკეთესო მის ნაწარმოებად უნდა იქნეს მიჩნეული.

მეტად საინტერესოა კ. მერაბიშვილის მიერ უკანასკნელ წლებში დამთავ-  
 რებული პორტრეტები „ალ. ციმაკურიძე“, „ვ. ვეფხვაძე“ და „ვ. გომი-  
 შვილი“. თითოეული ამ პორტრეტთაგანი გვაძინობს, რომ მოქანდაკე გარ-  
 კვეულ ამოცანის გადაჭრას ცდილობს და მსგავსებასთან ერთად აღწევს  
 ორიგინალის ხასიათის გადმოცემას.

უკანასკნელი წლების გამოფენათა მშვენიერება ნამდვილი შემოქმედებით  
 გზნებით მოფიქრებული, და ოსტატურად განხორციელებული ქანდაკი  
 „პარტიზანი“ ვალ. თოფურაძისა.

სერგო ქობულაძე გარდა უკანასკნელ გამოფენაზე წარმოდგენილი  
 სამამულო ომის ამსახველი ნახატისა, გულმოდგინედ მუშაობს აგრეთვე  
 „იგორის ლაშქრობის“ ილუსტრაციებზე. ყველა მხატვარი რომ სერგო ქო-  
 ბულაძის მსგავსად ფლობდეს შრომის კულტურას და ასეთივე პასუხის-  
 მგებლობის გრძნობით ხატავდეს, მაშინ ჩვენი ხელოვნება ბევრით წაიწვედა  
 წინ. მართალია, სერგო ქობულაძის ნახატებს რამდენადმე სიცოცხლე აკლიათ  
 და ისინი ქვის სურათებივით გამოიყურებიან, მაგრამ ექვი არ არის რომ  
 მხატვარი ამ მხრივაც სრულყოფს თავის ოსტატობას.

ქართულ თეატრალურ დეკორატიულ მხატვრობაში უნდა აღინიშნოს  
 მხატვარ ს. ვერსალაძის ნაყოფიერი შემოქმედება რუსთაველის  
 თეატრში. მის მიერ ვაფორმებული სპექტაკლები (ლობე დე-ვეგას კომედია  
 და დავით ერისთავის „სამშობლო“) მხატვრის დახვეწილ გემოვნებას გვაძ-  
 ცნობენ. ქართული ნაციონალური სტილის შეგრძნების თვალსაზრისით გან-  
 საკუთრებით საინტერესოა „სამშობლოს“ მესამე აქტი, სადაც საოცარი გან-  
 ზოგადობის ძალით არის წარმოდგენილი ძველი ქართული ხელოვნების  
 ბუნების სისადავე და სიდიადე. აღსანიშნავია აგრეთვე მხატვარ ყაზბეგის  
 მუშაობა მოზარდ მკურებელთა თეატრში.

ამგვარად, მხატვრები სამამულო ომის ვითარებაში ნაყოფიერად მუშაობ-  
 დნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა რამეა გაკეთებული გმირული ბრძოლის  
 ამსახველი ვალურის შესაქმნელად. ამეამად მხატვრები ეშვადებიან გამო-  
 ფენისათვის: „ქართული ხალხი დიდ სამამულო ომში“. მხატვრებმა უნდა  
 აამაღლონ გამოფენების მხატვრული ღირსება, მეტი ოსტატობით, ცოდნით  
 და დაკვირვებით ასახონ ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული, ჩვენი ქვეყნის  
 ბუნების სილამაზე, საბჭოთა ხალხის თავდადება და თავგანწირვა სამშო-  
 ლოსათვის.

ამ გამოფენაზე მხატვრები, ეჭვი არ არის, უფრო მეტის პასუხისმგებლობით შესრულებულ სურათებს წარმოგიდგენენ. მხატვართა უმეტესობა კარგა ხანი დაყოფრონტზე, წითელი არმიის ნაწილებში. უნდა ვთქვათ ამიტომ, რომ თავიანთი შემოქმედებისათვის მათ მდიდარი მასალა დააგროვეს. საბჭოთა მხატვრებმა უნდა შექმნან საბჭოთა ხალხის საბელოვან გმირთა გალერეა. მათ ფერწერული და სკულპტურული პორტრეტებით უნდა უკვდავყონ ჩვენი ქვეყნის საამაყო, შვილების მამაცობა და ვაჟკაცობა. ამ საპატიო ამოცანის განხორციელებით საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა უნდა გაამართლონ ის შეფასება, რომელიც ბელადმა ინტელიგენციას მისცა.

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე

# ორი მეგობარი

მ თ გ თ ნ ე მ ა

ოდეს ყოველ ჩვენგანისთვის ღიაა უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების კარი. ეს ძირითადი ღერძია სოციალისტურ მშენებლობისა. ამჟამად მართო ჩვენს პატარა რესპუბლიკაში უკვე ოცდარზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს ყველა სასურველ დარგში. ოქტომბრის რევოლუციამდე კი მთელს მეფის რუსეთში, ოდესიდან ვლადივოსტოკამდე, სულ ათი უნივერსიტეტი და რამდენიმე პოლიტექნიკუმი მოიპოვებოდა, ხან ღია, ხან დასჯილ-მცვეტილი, მრავალი დღის საგალი ვზით დაშორებული ერთმანეთისაგან და „ურჩი“, „არასანდო“ კავკასიისაგან.

თითუბზე ჩამოითვლიდით იმ უმაღლესი სკოლის მეცნიერთა კადრებს. და მათ შორის ათიოდე აქა-იქ გაბნეულ ქართველს თუ შეზღუდვადით, სამშობლოს მზეს მოკლებულს, თავის ხალხს მოწყვეტილს, მეცნიერებისათვის თავგანწირულ განდევნილს...

ასეთ რჩეულ ერთეულებიდან წარსული საუკუნის მეორე ნახევარში საბატო ადგილი ეკავა ორ ნათელ პიროვნებას, ოდესის უნივერსიტეტის ორ ცნობილ მეცნიერ-მოქალაქეს და ჭიმიკოსს, რომელთაგან ძნელია ერთის მოგონება მეორის გარეშე. ესენი არიან ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი, ჩვენი სამოციანელი თერგდალეულეების უმცროსი მეგობრები და „შვილობილები“ გახეთ „დროების“ რედაქციას ჩაზიით; და თვითონაც ჩვენი ცნობილი სამოცდაათიანელები.

ჭიმიკოსა და ბუნებისმეტყველების მგზნებარე პატრიოტები ჯერ კიდევ საშუალო სკოლის დროიდან, ეს ორი ახალგაზრდა მეცნიერგანსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ჩვენი სამოცდაათიანი წლების მდიდარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

— ერთნახევარი მეცნიერი ამდენ მწერალთა შორის, — ხუმრობდა თურმე თვით პეტრე, მათ საბლში მოთავსებულ „დროების“ რედაქციაში, როდესაც მან, უკანასკნელი კურსის სტუდენტმა, თან ჩამოიყვანა საზაფხულოდ ახლად კურსდამთავრებული და ოდესის უნივერსიტეტთან დატოვებული თავისი უფროსი მეგობარი პეტრიაშვილი.

ეს უკანასკნელი იმ დროიდან უკვე იღებდა მონაწილეობას ილია-აკაკისა და „დროების“ რედაქტორების ახალ წამოწყებებში, როგორც „დროებაში“ წერილების გზავნით ოდესის „ზღვის გაღმა ნაპირი“-დან, ისე მათ დანარჩენ

კულტურულ მუშაობაში შინ და საზღვარგარეთ, მათ შორის პირველ რიგში — ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლაში, რაც ნიკის ნაპირუცყვე წიგნ: „მომავალი უფროს თერგდალეულებს, ჩერნოშევსკისა და ეურნსტლანსკის მუნიციპალიტეტის“ მოწოდებებს: კირილე ლორთქიფანიძეს, გიორგი წერეთელს და ნიკო ნიკოლაძეს. ეს იყო „დროების“ რედაქციის პარავანდელი აქტივი, რომელმაც ჯერ „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი შემოიკრიბა 1869 წლიდან, ხოლო შემდეგ ქალთა საქმეს ჩაუდგა სათავეში, ევროპისათვის დიდმოვლენიან 1870 — 1871 წლებში.

აი ამ აქტივის ხუთი სახელი უნდა ჩაიწეროს ქართველ ქალთა ჯერ შეუსწავლელ ისტორიაში, „სამი მწერალი და ორი მეცნიერი“, მათივე თქმით: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი. ეს ხუთი მეგობარი უწყობს ხელს ქართველ ქალთა პირველ რაზმის გამგზავრებას შვეიცარიაში უმაღლესი განათლების მისაღებად და იქ, ჯერ ციურიხში, შემდეგ ენევაში, პირადად ხელმძღვანელობს 3—4 წლის განმავლობაში, 1873 წლიდან 1876 წლამდე, ამ ქალთა საუკეთესო ჯგუფის მუშაობას და განვითარებას. ამ ჯგუფში შედიოდნენ: იქვე სულ ადრე ტუბერკულოზით დაღუპული პელო ნაცვლიშვილი — თბილისის ქალთა ინსტიტუტიდან; ორი და ნიკოლაძეები, კატო და ოლიმპიადა, შემდგომ გიორგი წერეთლის პირველი მეუღლე; მამიაკო წერეთელი, გიორგი წერეთლის უმცროსი და, ოლიმპიადთან თათქმის ერთდროულად გარდაცვლილი იმავე ფილტვების ავადმყოფობით 1883 წელს, ოლგა გურამიშვილი, შემდგომ ნიკოლაძე; და კეკე მელიქიშვილი, შემდგომ მესხი.

სამივე მწერალი-რედაქტორი მათ თავისი ზაზით ზრდის და ამზადებს ქალმის ასპარეზისთვის. ოდესელი მცვლევარები კი მათ თავიანთენ გადამირებას ცდილობენ, ბუნებისმეტყველთა რაგებში ჩაბმას: უკითხავენ მათ ლექციებს ყოველ ზაფხულს, აახლოვებენ კარლ ფოხტთან ენევაში, საქართველოში ბუნების ცოდნის მოპლარისაციისათვის და პედაგოგიური მუშაობისათვის ამზადებენ მათ...

ყოველივე ეს ცხადი ხდება ამ ქალთა მდიდარ მიწერ-მოწერიდან აღნიშნულ ხუთეულთან, რომლის ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მიწერ-მოწერა პეტრე მელიქიშვილის დის ეკატერინეს სერგი მესხთან, შემდგომ მის მეუღლესთან, და ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცული ოლგა გურამიშვილის მიწერ-მოწერა ვასილ პეტრიაშვილთან, გიორგი წერეთელთან და ნიკო ნიკოლაძესთან, შემდგომ მის მეუღლესთან.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ სამი წლის განმავლობაში ვასილ პეტრიაშვილი თითქმის შიმშილობს ზამთრობით ოდესაში, საზაფხულო არდადეგების ევროპაში გასატარებლად. იმავე დროს იგი ხელს ჰკიდებს დამატებით სამუშაოს ოდესის საშუალო სკოლებში, შვეიცარიაში ყოველთვიური ასოცირაციის სტიპენდიის მისაწოდებლად ქალთა ჯგუფის საერთო საღაროსათვის.

ქალთა ემანსიპაციის მგზნებარე პატრიოტს პეტრე მელიქიშვილსაც ამაზე არანაკლებ წვლილი შეაქვს ქართველ ქალთა საქმეში. იგი ძმების იმ რჩეულ რიცხვს ეკუთვნის 1870-იანი წლების საქართველოში (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და დავით გურამიშვილი), რომელთაც ყველაფერი დაი-



ლეს რაინდულად და ყოველგვარი დაბრკოლება გადალახეს თავიანთი დებნის ევროპაში წასაყვანად, ქალთა უმადლესი განათლებისათვის დახშულ რუსეთიდან.

ამ მიზნისათვის იმ დროს ყველაზე უფრო ზელსაყრელი იყო შვეიცარიის უმადლესი სკოლა, ჯერ ციურიხში, შემდეგ, ცოტა უფრო გვიან, ბერნსა და ენენევაში. ამიტომ ირჩევს ციურიხს თავის პარველ რეზიდენციად „დროების“ მთელი რედაქცია: მესხთა ოჯახი, წერეთლები, ნიკოლაძეები და მელიქიშვილები. პეტრე მელიქიშვილს სერგი მესხის შუამავლობათ მიიღებენ ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის „ევროპისთვის შეთქმულთა“ ჯგუფში, რომელსაც ოლგა გურამიშვილი, მავალითად, სხვისი პასპორტით გაჰყავს საქართველოდან, მამა-მისის სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

იმევე ჯგუფის დახმარებით ახერხებს 22 წლის პეტრეც თავისი მამის, ქართველი მოწინავე მწერლობის ცნობილი ზელის შემწყობის გრივოდ მელიქიშვილის და თავისი უფროსი ძმის, „დროების“ გამომცემლის სტეფანე მელიქიშვილის წინააღმდეგობის გადალახვას და თავისი დის ქექე მელიქიშვილის შვეიცარიაში გაგზავნას. ნიკო ნიკოლაძის ჯგუფთან თითქმის ერთდროულად აღწევენ ისინი ციურიხს, ოდესაზე გავლით, რის შემდეგაც თვით პეტრე გურამიაში მადის ახლადამოჩენილ პერიოდულ კანონზე მომუშავე ლოთარ მაიერთან, თავის პირველ, ბრწყინვალედ გამოყენებულ მეცნიერულ მივლინებაში.

ციურიხში იმ დროს უკვე ჩასული იყო წინა ზაფხულიდან ვერა ფიგნერისა და ბარდინა-ლიუბატოვიჩების ქალ-რევოლუციონერთა ცნობილი ჯგუფი. ეს ჯგუფი ჩასვლისთანავე ჩაება ბაკუნინისა და ლავროვისტების ცხარე ბრძოლის ალცეცხლში, რამაც თავზარი დასცა შვეიცარიის ზეპაციფისტურ მოსახლეობას, როგორც აღნიშნავენ ჩვენი ქალები თავიანთ წერილებსა და მოგონებებში.

1943 წლის მარტს 70 წელიწადი შესრულდა, რაც ქალთა ეს ორი მოწინავე ტალღა, ჩვენი და რუსეთისა, ერთმანეთს შეხვდა და გაეცნო ციურიხის ტბის ნაპირებზე. ჩვენ ქალებს ძმებიც ახლდნენ. ამ შეხვედრის ზეგავლენით ქართველ ქალებსაც ებადებათ რუს ქალთა „ფერეინის“ მსგავსი ქალთა გამაერთიანებელი წრის შექმნის სურვილი. ნიკო ნიკოლაძის რჩევით და სერგი მესხის ძმის, იმ დროს ციურიხელი სტუდენტის ივანე მესხის ინიციატივით არსდება საზოგადოება „უღელი“ მთელი ციურიხელი ქართველი კოლონიისათვის.

9, 10 და 12 მარტს ახალი სტილით 70 წელიწადი შესრულდა ამ საზოგადოების დაარსებიდან, რისთვისაც ჩატარებულ იქნა სამი კრება, რომლის ოქმებიც დაცულია თერგდალეულთა არქივში.

ცოტა უფრო გვიან ჩასულ და-ძმა მელიქიშვილთ „უღლის“ ახლად ჩამოყალიბებული კოლექტივი 31 მარტის კრებაზე ირჩევს თავის წევრებად. ვასილ პეტრიაშვილს კი ირჩევენ მხოლოდ ზაფხულში, როცა იგი სტოვებს ოდესას და მთელი საზაფხულო არდადეგებებისათვის უერთდება ჯგუფის რიგებს.



ასეთი ფემინისტები იყვნენ ახალგაზრდობიდანვე ჩვენი ქვეყნის ეს საამაყო მეცნიერნი, რომელთაც დღეს შეიძლება ჩვენი ქიმიის პატრიარქები ვუწოდოთ. ხალხმა კი მათ თავის დროს ოდესის ორი „ბრძენი“ უწოდა.

სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი მათგანი მოესწრო საერთო მხურვალე ნატე-

რის აღსრულებას: ქართულ უმაღლეს სასწავლებელს და მით გაბედნიერებულ სამშობლოში დაბრუნებას, თუნდაც ღრმა მოხუცებულად. პეტრე მელიქიშვილი დაბრუნდა 48 წლის ნებაყოფლობითი თვითგადასახლების შემდეგ, როგორც მას თვითონ უყვარდა ამისი აღნიშვნა. როგორ შექსაროდა იგი ამ ბედნიერებას!

— თქვენ ახალგაზრდები ზართ, — ეუბნებოდა ის თავის ახალ მეგობრებს და მოწაფეებს, — და ამიტომ ვერ იგრძნობთ, რა ფასად გვიღირდა ჩვენ, ძველი დროის ქართველებს, მეცნიერების გზის აჩრევა. ამ ნაბიჯის გადადგმა ხომ სამშობლოზე ხელის აღებით ხდებოდა ჩვენისთანა განაპირა ერებისათვის. ეს ნაბიჯი საქართველოს მიტოვების სინონიმი იყო ყოველი ჩვენგანისათვის, მეფისდროინდელ „უვალო გადასახლება-სებით“. მერე, რომ იცოდეთ, რა იყო ეს „გადასახლება“! კიდევ კარგი, თუ იგი სამუდამო დაშორებად არ იქცეოდა წასულისათვის, როგორც ეს, მაგალითად, ვასილ პეტრიაშვილს ხვდა წილად სამშობლოსაგან 43 წლის დაშორების შემდეგ...

სულ ამგვარ შოგონებებში გეგასოვს მოხუცი პეტრე. „სადაც ვშობილვარ, გაეზრდილვარ“, ხშირად იტყოდა ხოლმე პეტრიაშვილი თავის ლაბორატორიაში. — იგი ხომ საქართველოს სოფელ-ქალაქისათვის მუშაობდა ოდესაში, — ამბობდა პეტრე, — და არა „საერთოდ“, ჩემსათვის... და სულ ამეორებდა თავისთვის: „არ გავცელი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. მაგრამ ხომ გაცვალა შინც, უნებლიედ, ქიმიკაზე...

ასე მოიქცა თვით პეტრე მელიქიშვილიც 1917 წლამდე. 19 წლის ასაკში სტრუვეს იგი თბილისს, 1869 წელს, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში კურსის დაშთავრებისა და ერთი წლის დასვენებას შემდეგ, და ოდესაში მიემგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად, იქაურ შედარებით უფრო ახალგაზრდა უნივერსიტეტში, <sup>1)</sup> რომელსაც იმ დროს საუკეთესო მეცნიერული ძალები ამშვენებდნენ; ამ მეცნიერთა რიგებს მალე პეტრიაშვილის გვერდით პეტრეც უერთდება რამდენიმე ათი წლით.

თბილისიდან პირველად გამგზავრებისას ცხატუკ პეტრეს გული სულ სხვა მხრისკენ მიიღრტოდა ქიმიკოსებისათვის იმ ნიშნული საკვანძო 1869 წლის აკვისტომა: ეს იყო მენდელეევის მიერ პერიოდული კანონისა და ცხრილის გამოქვეყნების წელი, რომელიც ახალ მეცნიერებად აქცევდა პეტრეს საყვარელ ქიმიასა და ფიზიკას. ამიტომაც მიიღო მისგან „ქიმიკოსთა აღდგომის“ სახელწოდება. ცხადია, მგზნებარე ნატურალისტის პეტრეს სული და გული ამ სასწაულის აეტორისკენ მიისწრაფოდა, „ცივ“ ჩრდილოეთისკენ. მით უმეტეს, რომ მენდელეევი იმავე წევის ნაპირებზე ასწავლიდა ახალგაზრდობას, რომელმაც თავის დროს ჩერნიოშევსკის ხილვა, გაცნობა და მასწავლებლად შეძენა აღირსა უფროს თერგდალეულთა ბედნიერ ჯგუფს.

ახლა იმ დიდ, შორს გაძევებულ მასწავლებელ-რევოლუციონერს მეორე მასწავლებელი სცვლიდა, აგრეთვე რევოლუციონერი, მაგრამ სულ სხვა დარგში — პეტრეს საყვარელ მეცნიერებაში. და რა უღრუკ რწმენას იჩენდა ეს მებრძოლა მკვლევარი თავისი მონაპოვრის სისწორეში, მის დაუძლეველობაში ბნელი ძალების მიერ. რა შეუტოვარად წააწერა მან თავის დრომას, აღმართულს მისი და სტუდენტობის გამოთშველი მთავრობის წინააღმდეგ თავისი უკვდავი ლოზუნგი-წინასწარმეტყველება, რომელმაც მას „დიდი მთესველის“

<sup>1)</sup> დაარსდა 1860 წელს.



სახელი მოუხვეჭა მთელს მსოფლიოში: *посев научный взойдет для жатвы народной*, ე. ი. თესლი სამეცნე აღმოცენდება ზალხთათვის *ეს მოხვეჭება*. დიად, ადრე თუ გვიან აღმოცენდება, რაც უნდა ზელი შეუშალოს მსხვერპლ ძალებმა. თუნდაც ჩვენ თვითონაც ვერ მოვესწროთ ამ ბედნიერ დღესო...

როგორ უთბობდა გულს ეს ლოზუნგი ოდესის ორივე მეგობარს მთელი მათი ზღვისუღმა თეთვადასახლების განმავლობაში. რა ნათელი იმედებით მოღვაწეობდნენ სამშოშლოსათვის საათესის დასაგროვებლად... საქართველოდან სტუმრების წვევის დროს პეტრე ზშირად იტყოდა ხოლმე ოდესაში: აყვავდი მწვანე ჯეჯილოო...

სამწუხაროდ, სუსტმა ფილტვებმა ვერ აღირსა პეტრეს მენდლეევის სკოლის პირადად გავლა და ოდესაში მოახვედრა იგი, პეტრიაშვილთან, რუსეთის ყველაზე უფრო თბილზვიანი ცოდნის კერაში, რომელიც მოკლე ხანში მთელი ჩვენი ქართველი სტუდენტობის მთავარ ცენტრად გადაიქცა. ამან საგრძნობლად შეუშუბუქა ქიმიის ორივე განდგვილს მათი „უვადო გადასახლება“.

1917 წლიდან პეტრე საქართველოშია. სრულ ათ წელს არჯუნა მას ბედმა საკუთარი ხალხისათვის მუშაობა თავის ახლად მოპოვებულ სამშობლოში, როგორც მას უყვარდა თქმა: «*Потерянный и возвращенный рай...*». ვასილ პეტრიაშვილის სამოცდაათიანელ მეგობარს, მხატვარ დავით გურამიშვილს პეტრე ასე შეხვდა 1917 წელს, თბილისში: „სადაც ვმოხილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი“-ო...

აუწერელია, რა სიხარულით უვსებს გულს მოხუც პეტრეს ეს, მისივე თქმით, „მეორედ დაბადება“. და მართლაც, მეორედ დაბადებას თუ არა, სულით გაყმაწვილებას და ჭაბუკური ენერგიით ანთებას მას ყველა ამჩნევდა და ყველას აოცებდა ამ სუსტი, ფერმიხდილი მოხუცის „ორძარღვიანობა“ და ახალგაზრდა, მგზნებარედ აელვარებულ თვალები. მაგრამ სწორედ ამ სიხარულის ალში პეტრეს გული განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა თავისი მეგობრისა და საქმის მებაიზატრის უდროო დაკარგვას, ამას, რომ იგი ვერ მოესწრო მათი საერთო ბრძოლის ასე ბედნიერად დაბოლოებას.

თავის უკანასკნელ წუთამდე ვერ შეურიგდა პეტრე ამ ფაქტს და სულ იმეორებდა თავის ახლად აგებულ ან მოწყობის პროცესში მყოფ ლაბორატორიებში: მე ხომ ვასილ პეტრიაშვილის საქმეს ვაკეთებ საქართველოში და არა ჩემსას. ჩემი სამყარო იყო სტერეოქიმია, მატერიის პერიოდულობა, — თეორია. ხალხის უშუალო, კონკრეტული დახმარება კი და სურსათ-სანოვავის თუ სასოფლო მეურნეობის ქიმია — ეს ხომ პეტრიაშვილის სკოლაა და არა ჩემი. ვანა ბედის დაცინვა არ არის, — წამოიძახებდა იგი ხშირად, — რომ მე... ვპეტრიაშვილობდე ჩვენს ახლად აღმდგარ სამშობლოში, ის კი აღარ იყოს. რამდენად აჯობებდა, რომ წინააღმდეგ მომხდარიყო...

ეს გრძნობა, ცხადია, პეტრე მელიქიშვილის დამახასიათებელ თავმდაბლობას უნდა მიეწეროს. მისი მრავალმხრივი, 55-წლიანი მეცნიერული კვლევის ხუთი ციკლი — ორგანული, არაორგანული, ნიადაგქიმიური, მეტეორიტული



და სასოფლო მეურნეობითი სულ სხვა თვითშეფასების ნებას აძლევდა მას, მეტადრე არაორგანული ციკლის სამწვერვალო გამოკვლევისას მისი საყვარელი პერიოდული კანონის დარღვევა...

დამახასიათებელია, რომ საქართველოში დაბრუნების წუთიდან პეტრე მელიქიშვილი პირველ რიგში თავისი დაკარგული მეგობრის საქმის გაშლას შეუდგა, ე. ი. ჩვენი სასოფლო მეურნეობის, კვების, საეურორტო-ბალნეოლოგიური საქმის და სხვა ასეთის პრაქტიკულ დახმარებას. მისი საკუთარი, ქიმიური სკოლის თეორიულ დარგების გამოლაკი თავისი მახლობელი მოწაფის პიასარევისკის ჩამოსვლამდე ჰქონდა გადადებული. ის დამუშავება და ჩემზე უკეთ გაუძღვებო ამ ძნელ საქმეს: ჩვენი რთული, სათუთა ქიმიური სკოლის გადმონერგვას მისთვის მოუშაადებელ ნიადაგზეო. ასეც მოხდა 1929 წლიდან, მაგრამ თვით პეტრე, სამწუხაროდ, ამას ვეღარ მოეწყო.

ამნაირად, თვით პეტრემ საქართველოში თავისი დიდი კვლევის მხოლოდ გამოყენებითი მხარის გაშლა დაიწყო, რასაც მარტო 4—5 უკანასკნელი წელი ჰქონდა ოდესში დათმობილი მისი იქაური 45-წლიანი თავაუღებელი კვლევიდან. პირველი 40 წელი კი ოც-ოც წლიანი კვლევის ციკლების სახით იყო განაწილებული, ჯერ ორგანული, შემდეგ არაორგანული ქიმიის საკანძო თეორიულ პრობლემებს შორის, რაც გაგრძელდა 1873 წლიდან 1914 წლის ომის დაწყებამდე.

ამან თავიდანვე საპატიო ადგილი მიაკუთვნა ახალგაზრდა მკვლევარს ევროპის ორგანული ქიმიის ისეთ ცნობალ კერებში, როგორც იყო ვანტ-ჰოფის სტერეოქიმიური სკოლა, ან კიდევ ორგანული სინთეზებით განთქმული ბაიერიის ლაბორატორია, ერლენმაიერის თუმბილ ფიშერისა. შემდეგ კი, 1890-იან წლებიდან, პეტრე ისევ თავის პირვანდელ, ახალგაზრდულ გატაცებას უბრუნდება, უკვე როგორც გამოცდილი მკვლევარი და ექსპერიმენტის ოსტატი: — მენდელეევის პერიოდული კანონის, ე. ი. მატერიის ამგებ ელემენტთა ქიმიზმის პირველწყაროს. და სულ ახალ საფუძველზე გადააქვს საკითხის დაყენება: „ზეჟანგების“ კვლევაზე და მათი გამაშუქებელი ახალი თეორიის დებულებებზე.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიით დაჯილდოვებული ეს დიდი გამოკვლევა მსოფლიო სახელს უხვეჭს პეტრე მელიქიშვილს და მის ახალგაზრდა მოწაფე-თანამშრომელს პასარევისკის, რადგან თვით მენდელეევის კანონს და ცხრილს უკავშირებს მათ მიღწევას.

ყველაზე უფრო კმაყოფილია მათი მონაპოვრით თვით მენდელეევი. იგი სპეციალური წერილით მიმართავს მელიქიშვილს, სადაც მაღალ შეფასებას აძლევს მის ზეჟანგთა თეორიას და თავისი პერიოდული სისტემის განმამტკიცებლებს უწოდებს მას და პასარევისკის. ეს ცნობა მას თავისი უკვდავი „ქიმიის საფუძვლების“ ახალ გამოცემაშიაც შეაქვს საშვილიშვილოდ, მელიქიშვილის ზემკაეა-ზემარილებს ცნობილ თეორიასთან ერთად.

ცხადია, ასეთ პრობლემებში ჩაბმულ კვლევის ენტუზიასტს დრო აღარ რჩება მეცნიერებას მოწყვეტილ სამშობლოში ზაფხულის გასატარებლად. სულ ვეღარ ხედავს მას მისი საყვარელი თბილისი. ზამთარი ოდესის ლაბორატორიებს ეკუთვნის, ხოლო ზაფხული ევროპის ქიმიური აზრია და კვლევის უძლიერეს ცენტრებს: პარიზს, მიუნხენს, ბერლინს, ბერთლოს თერმოქიმიურ სინთეზებს, მუასან-ლუშატელაეს მიროგენეტიკას, რენიოს ვირტუოზულ სათუთფიზიკურ კვლევას და კიდევ ბევრ სხვას...

გზაში მასთან შეხვედრილი ჩვენებური მოგზაურები ანგარიშს არ ჯერევენ ოდესის განდევნილის ამ გარეშე თვალისთვის მიუწევდომელ სამყაროს დედაქალაქის შობლოს „მოლაღატეს“ უწოდებენ მას ხუმრობით: სადა ზანაჲ პეტრიაშვილსა ერთბაშად მიმართავენ მას შეხვედრით გახარებული თანამემამულეები: — როდის მოიცლი საქართველოსათვისაც? რა ნახეთ შენ და პეტრიაშვილმა მაგ თქვენს შავრაზმულ ოდესაში?

რას ეტყოდა ამაზე პეტრე? იგი სდუმდა მისთვის დამახასიათებელი მორცხვი ღიმილით და... ისევ თავის ქიმიას უბრუნდებოდა, რადგან თვითონაც არ იცოდა კარვად 1917 წლამდე, რომელი იყო მისი ნამდვილი სამშობლო: საქართველო თუ მეცნიერება. მით უმეტეს, რომ ოდესაში მუშაობისას იგი და განსაკუთრებით მისი უფროსი მეგობარი პეტრიაშვილი სულ ქართველი სტუდენტობით იყვნენ გარშემორტყმულნი, სულ საქართველოს ბუნებრივი პირობების მსგავს სამხრეთ რუსეთის კვება-მეურნეობისათვის ატარებდნენ თავიანთი ტექნიკურ-ქიმიური კვლევის ციკლებს. მათი ძველი მეგობრებიც ხშირად იგრძელებდნენ გზას საქართველოდან ოდესაზე გავლით თავიანთი ძვირფასი „მოლაღატეების“ სანახავად. ისე რომ, მათივე თქმით, ორივე განდევნილ-მკვლევარს ხშირად კიდევ „აეიწყებოდათ, რომ ისინი არა მშობლიური ცნს ქვეშ მუშაობდნენ თავიანთი შვიანი სამშობლოს მომავალი ღიადი სამკელი-სათვის“...

მელიქიშვილზე მხოლოდ 5 წლით უფროსი ვასილ პეტრიაშვილი სულ უდროოდ დაიღუპა 1908 წლის ზაფხულში, საზღვარგარეთის კურორტზე, კარლსბადში, გადაქანცულობით შექმნილი გულის სისუსტის საფუძველზე. ეს მოხდა 1905 წლის რევოლუციის მომდევნო შავი რეაქციის უმძიმეს ხანაში, როდესაც მოწინავე სტუდენტობისა და მეცნიერ-მუშაკთა დაუცვრობელი „დამცველი მამა“ პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტის რექტორობასაც კისრულობს რამდენიმე წლის ძალზე დამალავი დეკანობის შემდეგ.

პეტრიაშვილი ხედავდა, რომ მისი რექტორობა აუცილებელი იყო მათი საყვარელი საქმის გადასარჩენად სტუდენტობაში შექმნილი ატმოსფეროთი გაღიზიანებული მეფის მთავრობისა და შავრაზმულობით განთქმული ოდესის ადგილობრივი „ლურჯმუნდიროსან“ დერეჟიმორდებისაგან, რომელნიც ასე მწარედ სძულდა და ეზიზღებოდა ამ დიდ მოქალაქეს.

მათთან საქმის დაქვერა უდიდესი მსხვერპლი იყო არაჩვეულებრივად გულფაქიზ ლაბორატორიის განდევნილისათვის. მაგრამ ვასილ პეტრიაშვილი ყველაფერს იეიწყებდა, თუ „მისი წიწილების თავზე ძერა გამოჩნდებოდა“, — პეტრეს მხატვრული შედარება რომ ვიხმართ. ასე მოხდა „პოტიომკინის“ და შემდეგ „ოჩაკოვის“ დღეების და თვეების ოდესაშიც, რომელიც ქართველებისათვის მწარედ ცნობილ ტოლმაჩოვს ჩააბარეს „დასამშვიდებლად“. და ამან თან გადაიყოლია ცეცხლმოღებული ოდესის შვილებზე მღელვარე დამა-რექტორისა უზომოდ მოქანცული გული.

მწარედ დააობლა ამ მძიმე დანაკარგმა არა მარტო მისი საყვარელი უნივერსიტეტი, არამედ მთელი მოწინავე ოდესა და მისი მიდამოებიც, რომელთათვის ყოველთვის ღია იყო ამ გულზიარი, სპეტაკი მოქალაქე-მეცნიერის

სტუმართმოყვარე სახლი, დამშვენებული მისი მეგობარ-მეუღლის <sup>ეკატერინე</sup> თავდგირიძის მასპინძლობით.

ზედმეტია იმის თქმა, თუ რა დაკარგა პეტრიაშვილის სახეუფროსი <sup>ერეკლე</sup> როსმა მეგობარმა პეტრემ, განსვენებულის განუყრელმა ამხანაგმა სრული 40 წლის განმავლობაში, ე. ი. თბილისის ვიწმინდის დამთავრებიდან პეტრიაშვილის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რაც აგრეთვე მოხდა პეტრეს თანადასწრებით შორეულ უცხოეთში, პეტრეს და ეკატერინე პეტრიაშვილი-თავდგირიძის ხელში...

ახლა მარტო მელიქიშვილს დააწვა ოდესის სტუდენტობის „მამობაც, დედობაც“. მანამდე-კი პეტრიაშვილი „მამისებურად“ იცავდა თავის მეცნიერულ ოჯახს, პეტრე მელიქიშვილი კი „ქალურ“ მზრუნველობას იჩენდა მათზე: აფრთხილებდა, თქვენს ქალაღებზე მხედვით, ცნობისმოყვარე, ლურჯ-მუნდროსანი სტუმრები არ გეწვიონ ამ დღეებშიო. თავის თბილ ტანსაცმელს ატანდა ვადასახლებაში მოხვედრილ ახალგაზრდობას, ფულით ეხმარებოდა მათ პეტრიაშვილისავე და სხვ. იმავე დროს ოდესის უმაღლესი სკოლია ოჯახში მელიქიშვილი იგივე იყო ქალთა უმაღლესი კურსებისათვის, რაც პეტრიაშვილი საყვარელი უნივერსიტეტისათვის, ე. ი. ამ ქალთა უმაღლესი სკოლის „მამაც“ იყო, „რაინდიც“ მისი მოწაფე-ქალების მოგონებით. სწანს, ცოცხალი იყო პეტრეს გულში სამოცდაათიანი წლების ნათელი კვალი...

ადვილად წარმოსადგენია, რამდენად პოპულარული იყო ოდესაში ორივე ეს „გავაკასიელი მეგობარი“, როგორც მათ ხშირად ეძახდნენ რუსეთში. დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ ისინი აგრეთვე შავრამბულ მმართველებო-საღმი ოპოზიციურად განწყობილ ოდესის მიდამოების პროგრესიულ სოფლის მეურნეთა წრეებში. მათ შორის ზოგან ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დევნილი პუშკინის ოდესაში ყოფნის ზსოვნა. ასეთ ოჯახებში განსაკუთრებით უყვარდათ ამ ორი მგზნებარე ქართველის მიღება, რომელთა სამშობლოსაც ასეთი უკვდავი ფურცელი ჰქონდა ჩაწერილი ორივე დევნილი პოეტის პუშკინ-ლერმონტოვის შემოქმედებაში...

ძალიან უწყობდა ხელს ორივე მეგობრის პოპულარობას მათი მეცნიერულ კვლევის ხასიათიც. პეტრიაშვილის მუშაობის ძირითადი სფერო იყო ე. წ. ტექნიკური ქიმია და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი თეორიული საკითხი ორგანული ქიმიიდან. მელიქიშვილის კვლევის სიმძიმის ღერძი კი თეორიული ქიმიის სიღრმეში იყო გადატანილი. მაგრამ არც ის ივიწყებდა თავისი, მუდამ საქართველოს სოფელზე მზრუნველი მეგობრის მთავარ ობიექტებს — მეზინდერეობა-მეყანეობისა და მეღვინეობის ქიმიას, მერძეობა-მეყველობას, ფართო მოხმარების ცხიმებს და სხვას.

იგივე საკითხები ძალიან აინტერესებდა ერთ დროს პრაქტიკული თვალსაზრისით ქალაქ ოდესის და მისი რაიონის მოსახლეობას, სამხრეთ რუსეთის მეღვინეობის აწევის და ცხიმების ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ხაზით. მათაც საუკეთესო დახმარებაც გაუწვია ორივე მეგობრის მეცნიერულმა კვლევამ და მიღებულ დასკვნების გამოყენებამ სასოფლო მეურნეობისა და კვების სხვადასხვა მხარის გასაუმჯობესებლად.

ეწყობა წამხრეთ რუსეთის მეღვინეთა კავშირი და სოფლის მეურნეთა საზოგადოება, რომელთაც მათვეში უდგებია იგივე ორი მეგობარი, როგორც ქალაქ ოდესის სურსათ-სანოვაგის საკონტროლო ლაბორატორიას, რომელიც პეტრიაშვილის ხელში დიდის წარმატებით ებრძვის ცხიმების და ღვინოების

ფალსიფიკაციას. ამან მთელ ოდესაში უდიდესი პოპულარობა მოუპოვა ვასილ პეტრიაშვილს და მთელ მის ქიმიურ სკოლას, პირველ მრეწველ უმცროს მეგობარს მელიქიშვილს.

მთელი სამხრეთი რუსეთი იცნობდა და მატყუნს სცემდა ამ ორ სპეტაკ პიროვნებას. მათ სთვლიდნენ სამოციანი წლების რუსეთის მაღალი ტრადიციების ერთგულ მიმდევრებად. განსაკუთრებით მას აქეთ რაც ორივე მეცნიერი დაესწრო სტუდენტთა მიერ 1890 წელს გამართულ სამოქალაქო პანაშვიდს ჩერნიშევსკის გარდაცვალების პირველ წლისთავზე, რამაც ასეთი რეპრესიები გამოიწვია შავრაზმულ ოდესაში. ორივე მეგობარი ყოველმხრივ ეხმარება დევნაში მოყოლილ ახალგაზრდობას. ყველა აღტაცებულია მათი გაბედული პირდაპირობით და უდრეკი პრინციპულობით, რომელიც ასე ხაზგასმით იჩენს თავს მუდამ „ველკანზე მყოფი“ ოდესის ყოველ მწვავე მომენტში.

საერთო სიმბატიას იწვევს აგრეთვე ოდესას პროგრესიულ წრეებში ორივე მეგობრის მგზნებარე სიყვარული შორეულ სამშობლოსადმი, რომლის გმირული, კეთილშობილური წარსულის გამოხატულებად სთვლიან ორივე ამ სულით მაღალი პიროვნების „რაინდობას“. სულით რაინდები, — рыцари духа и профессорской чести, ასე უწოდებს მათ 1905 წლის ოდესა. და ამავდროულად იმეორებს სხვადასხვა სიტყვებით თითქმის ყოველი, უფრო გვიანი მოგონება ამ ორ განსაკუთრებულ ადამიანზე. „ამხანაგური მეგობრობისა და ქალის მიმართ უმწიკვლო ქცევის რაინდი“ — იგონებენ პეტრეს მისი კოლეგები ოდესას ქალთა კურსების ხაზით.



როგორც კი მეფის რუსეთის დამხობამ ჩვენშიაც უმაღლესი სასწაელებლის გახსნის იმედი წარმოშვა, პეტრე მელიქიშვილი იმ წამსვე სამშობლოსკენ გამოემხრა. და არც მოტყუვდა ანგარიშში. 1918 წლის იანვრიდან ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი პირველი რექტორი ხდება ახლად დაარსებული თბილისის ქართული უნივერსიტეტისა.

თითქმის ათი წელიწადი იცოცხლა ამის შემდეგ პეტრე მელიქიშვილმა ან, უფრო სწორად „იფრინა“, მისივე თქმით, ერთი ახალი წამოწყებიდან მეორისაკენ. მაგრამ სიკვდილამდე მასში წარუშლელად ენთო იმ ბედნიერების გრძნობა, რომელიც მან განიცადა, როდესაც მას პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების აქტი მიაწოდეს, როგორც რექტორის ხელის მოსაწერად.

„თ ბ ი ლ ი ს ი ს უნივერსიტეტი!“ სულ იმეორებდა იმ დღეებში სიხარულით ათვალცრემლებული მოხუცი პეტრე: თბილისის ქართული უნივერსიტეტი ნუ თუ ეს სიზმარა არ არის, რომ მე სიკვდილის წინ მაინც მოვესწარი ამ ბედნიერ წუთს? ამ იმედდაკარგულ საქმეს? ამ აღდგომა დღეს ყოველი ქართველისათვის, ასე ამაოდ ნანატრს ჩვენი წინა თაობების და... ვასილ პეტრიაშვილის მიერ! სადაა სამართალი? ათასწილად არა სჯობდა ის ყოფილიყო ახლა აქ, ჩემს მაგივრად, თავის ხალხთან, ქართველ სტუდენტობასთან და ივანე ჯავახიშვილის გვერდში!

ამ მგზნებარე განცდებით აღსავსე პეტრემ ორი თუ სამი საღამო დაატარა ზედიზედ თავის და პეტრიაშვილის „დროებისდროინდელი“ და შევიცარაელი

ძველი მეგობრების ოჯახში: დავით გურამიშვილთან და მასთან ჩამოშორებულ  
ოლგა და ნიკო ნიკოლაძეებთან. მათთან ერთად თავიდან ბოლომდე ქვეყანა  
პეტრემ და გააცოცხლა ყველა ჩვენგანის თვალწინ თერგდალეთის მღვდელთა  
დისი და მამებთან ცხარე შეტაკება რუსეთის მეფის თბილისში ჩამოსვლის წინ,  
„პარიზის კომუნის წლის“ შემოდგომისათვის. მხატვრულად წარმოგვიდგა  
თვალწინ მათი მგზნებარე იერიში, თუ როგორ იცადენენ ილია და დანარჩენი  
ნებისპირელები მათი საოცნებო უნივერსიტეტის მოთხოვნას მეფე-  
საგან საქართველოსათვის. პოლიტექნიკუმის მომხრე ნიკო ნიკოლაძეც მათ  
შეუერთდა თხოვნის მთლიანობისათვის. რუს ხელმწიფემ კი ამის მაგიერ...  
კადეტთა კორპუსი, ე. ი. რუსული სამშალო სამხედრო სასწავლებელი უბოძა  
ქართველ თავდაზნაურობას: თქვენი, შვილები ამით, იმედია, ერთგული  
დამცველები გამოვლენ ჩვენი გვირგვინოსანი გვარისათვის...

— ჩემსავით ვერ დაიფასებთ თქვენ, ახალგაზრდები, — ამბობდა იგი, —  
თუ რა ბედნიერებაა და რა დიდი გამარჯვება ჩვენი მატარა ერისთვის აქვე  
ადგილობრივ, საკუთარი უნივერსიტეტის დაარსება.  
ხელზე შევეუდგები ოდესაში დავიწყებულა ქართული ენის შესწავლას, რომ  
არ შევრცხვე და ჩემს უნაზე დავიწყო ჩემი კურსების კითხვაო. და, ცხადია,  
არა ერთხელ მოიგონებდა ხოლმე პეტრიაშვილს მისი „იდეალური ქართული  
ენითა“, მირველი ქართული ქიმიური ნაშრომების გამო-  
ცემით და სათანადო ტერმინოლოგიის შექმნით 1890-იან წლებში....

1943 წელს 25 წელი შეუსრულდა ჩვენს უნივერსიტეტს და ამ თარიღის  
ისტორიული მნიშვნელობის უკეთ გამოსავლინებლად ჩვენმა ახალმა, უფრო  
დიდმა მეცნიერულმა კერამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-  
მიამ, ჩაატარა თავისი საანგარიშო სესია, დაარსებიდან მეორე წლისთავის  
აღსანიშნავად. ღრმა კმაყოფილების გრძნობით გამოვედით იმ სესიიდან დამს-  
წრენი. და ახლა ჩვენ, პეტრეს მომსწრე ჭიმიკოსებს, მოგვიხდა თითქმის მასი-  
ვ სიტყვების გამოთქმა: უსამართლობა არ არის, რომ ვერც ივანე ჯავახი-  
შვილი, ვერც პეტრე მელიქიშვილი ვერ მოესწრნენ ამ ჩვენთვის ბედნიერ  
დღეებსა და საქმეს?

და მართლაც, ჩვენი აკადემიის წევრთა სამ შეოთხედზე მეტი ხომ ჩვენი  
უნივერსიტეტის კადრებს წარმოადგენენ. დარბაზში მსხდომ აკადემიკოსებს  
რომ ვუცქეროდით იმ სესიაზე, თვალწინ გვედგა ჩვენი ძვირფასი პირველი  
მეცნიერული კერის ჯერ ათი, შემდეგ ოცი წლისთავის საზეიმო საღამოები.  
თითქმის იმავე პირების მწკრივი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს უკვე რამდენი-  
მე ძვირფასი სახის გამოკლებით: ამ ორი მამამთავრის, ანდრია რაზმაძის და  
სხვების...

ამან უეცრად ჩემი ფიქრი ისევ წინა წლებში გადამიტრინა. ერთი ნიშნეუ-  
ლი მომენტი მომაგონდა ჩვენი უნივერსიტეტის მეხუთე წლის შესრულების  
ხანიდან.

გარეთ თბილისისთვის არაჩვეულებრივი თოვლი იდო. ჩვენ კი, პეტრეს ლაბორატორიის ძველი და ახალი თანამშრომლები, მასთან ერთად ექვთიმე ნაგელაშვილის ქუჩაზე მდებარე მისი ლაბორატორიის სამუშაო ოთახში ჩატყუპდნარკინის ღუმელის წინ. ვასმენდით პეტრეს მოგონებებს მისი კვლევის „ახევარსაუკუნის წინა“ წარსულიდან. 1922 წლის დეკემბერი იყო. პეტრემ მახლობელი მეგობარ-თანამშრომლების ნ. ც-ს და მ. ბ-ს მოსწრებული აზრით, იმ დღეს გადაწყვიტეთ — პატარა შინაურული წინასწარი ზეიმით აღგვენიშნა ლაბორატორიაში პეტრეს პირველი, 1872 წელს დასაბუთდად წარდგენილი, მეცნიერული შრომის 50 წლისთავი. ნ-მ თავისებური დიასახლისობა გამოიჩინა და იქვე ცეცხლში შემწვარი წაბლა დაურთო ჩვენს შეკრებას, როგორც ოდესღაც პეტრეს ჰყვარებია ზამთრის თოვლით დაფარულ პარიზის ქუჩებში გაღვივებული მაყალის ცეცხლზე...

ახლა აკადემიის სესიაზე, სწორედ ეს მომენტი წარმომიდგა თვალწინ. უკვე ბინდდება და ცეცხლის წითელი ანარეკლით გამოცოცხლებული ფერმკრთალი თმასპეტაკი მოხუცი პეტრე ასე ამთავრებს მოგონებას თავის მეგობარ ბერთელოსთან ერთი დაუფიქვარი საახალწლო ვიზიტის შესახებ: თქვენ იცით, რომ მე შურიანი არა ვარ, მაგრამ ვერ გეტყვით, როგორ მშურდა ყოველთვის პარიზში მოხვედრისას სენას ცნობილი „მარცხენა ჩაბირის“, ე. ა. ს ტ უ დ ე ნ ტ უ რ ი უ ბ ნ ი ს მეცნიერებით გაყდენთილი ჰაერი და თავისი ზალხის შუაგულში მოთავსებული ცოდნის პირველწყარო: უნივერსიტეტი, აკადემია, ურიცხვი კვლევითი კერა. მათი პანთეონიც... დღეს, ამასთან დაკავშირებით ერთი რამ კიდევ მინდა გავიზიაროთ, — ჩემი გიჟური ოცნება: ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების წელს ჩვენ უიყავით პატარა, განცალკავებული ვარი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი უკანასკნელი ზღვარი იყო მეცნიერული ოცნებისა. ზღვარი და კულტურის შენარჩუნებას ერთად-ერთი წყარო — ცხოველი.

ახლა კი საბჭოთა ზელისუფლების წყალობით, ჩვენ გავიზარდებით უეცრად და ისევ რუსეთის დიდ გასაქანს შევეუერთდით.

ჩვენი მდიდარი სოციალისტური მშენებლობის სხვა მხარეებთან ერთად ახლა შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე ამ ჩვენს ძვირფას „აღმა მატერზე“ კიდევ უფრო მაღალ საჩუქარს მივიღებთ, — მეცნიერებათა აკადემიისა. პატარა საქართველოს დიდ მეცნიერულ კერას — აკადემიას. მაშინ აღარ შემშურდება გულზიარი პარიზის კულტურით გაყდენთილი ჰაერის შესუნთქვა და აღარ მომენტარება სტუდენტთა „ლათინური კვარტალის“ ბედნიერ სამყაროში მოხვედრა. არც ჩვენი მზიანი თბილისი ჩამოუვარდება მაშინ ძველ პარიზს თავის მეცნიერთა მთელ ხალხთან შეხებით და თავისი ჰაერის გაყდენთით ამ მეცნიერული ცხოვრების ახალი ატმოსფეროთი. გაუმარჯოს ჩვენს მომავალ აკადემიას და ჩვენს ძვირფას, დღევანდელ უნივერსიტეტს!“ უეცრად მაღლა ასწია მან ყავით საგსე პატარა ფინჯანი, რომელიც ის იყო მიაწოდეს მას.

რა სწრაფად შეგვისრულდა მისი ოცნება და წინასწარმეტყველება. საბჭოთა ზელისუფლების წყალობით მალე აღმოგვიცენდა „ხალხთათვის დიდად სამკელად“ ჩვენივე უნივერსიტეტით ნათესი თესლი ცხოველი, რა თვალსაჩინოდ შეეჭა ხორცი დიდი მენდელეევის უკვდავ ანდერძს, რომელიც ასე უყვარდა პეტრე მელიქიშვილს...

მაგრამ აღარა გვეყავს ჩვენი ძვირფასი უხუცესი „მთესველები“, ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილი, ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის ორი მამამთავარი.

ხალხმა ისინი ერთად დაკრძალა მათი პირშვოს — უნივერსიტეტის ეზოში. ორი საყვარელი საფლავი... ჯერ სულ ახალია ერთ-ერთი მათგანი. მეორეზე კი ძველი დგას, რომელიც პეტრეს მთელი ცხოვრების მხურვალე ოცნების განხორციელებაა. მაგრამ ფულში ჩამარხულ ამ წადილს იგი მხოლოდ არაპირდაპირ ამხელდა. ევროპაში ყოფნის დროს, როდესაც ერთ-ერთი იტალიური უმაღლესი სკოლის წინ ამა თუ იმ მკვლევარის ბიუსტზე მიგვიითებდა, იტყოდა: ეს არის მეცნიერი, რომელმაც თავისი ქვეყნის უნივერსიტეტის წინ დგომის პატივი დაიმსახურაო.

არც პეტრეს მოაკლო ეს პატივი საბჭოთა საქართველომ. შორეული მთების ლურჯ ფონზე მკვეთრად მოსჩანს მუქ, მაღალ კვარცხლბეკზე ამართული თეთრი მარმარილოს ბიუსტი, სულ მოკლე წარწერით: პეტრე მელიქიშვილი. 1850 — 1927.

პირით თავის საყვარელ უნივერსიტეტისაკენ მიბრუნებული პეტრე მელიქიშვილი თითქოს სიკვდილის შემდეგაც ვერ შორდება ამ თავის ნანატრ კერას და ხელიდან არ უშვებს თავისი საყვარელი ახალგაზრდობის ხელმძღვანელობას. თვალს არ აცილებს უნივერსიტეტის შესაველ კარს მისი მშვენიერი, ღრმად ჩაფიქრებულ სახე, თითქოს თავის ანდერძს უმეორებს ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს: მთელი სიცოცხლე ხალხისთვის ამოქმედებული მეცნიერებას...

უსიტყვოდ გვასწავლის მისი სპეტაკი პიროვნება და წინ გვიწვევს მისი ჩაუქრობელი ენტუზიაზმი: მისებურად თავდავიწყებული მუშაობისაკენ ჩვენ-ჩვენს მშობლიურ საფუშავოზე...

სურამ ახიანი

## სომხური ღივარაგუა სამაგულო ომის პერიოდში

სამაგულო ომის პერიოდში სომხურმა საბჭოთა მწერლობამ მოგვცა სრულიად ახალი მხატვრული მასალა, ბრძოლის პანგები, რომელშიც გამოსტვივის სამშობლოსადმი უზომო სიყვარული, საბჭოთა ხალხებთან ინტერნაციონალური განწყობილება და დიდი ოპტიმიზმი. თითქმის არც ერთი სომეხი მწერალი არ დარბა, რომელსაც უშუალოდ თავისი წვლილი არ გაეღოს სამაგულო ომისადმი მიძღვნილ სომხურ ლიტერატურაში.

პოეზიის დარგში თავიანთი ახალი შემოქმედებით თავი იჩინეს თანამედროვე ცნობილმა პოეტებმა: ნაირი ზარიანი, რომელმაც დასწერა მრავალი ლექსი და ნარკვევი. მანვე მოგვცა აგრეთვე დრამატული დიდი პოემა — „მურისძევა“, რომელიც დაიდგა როგორც სომხეთში, ისე სხვა რესპუბლიკების სახელმწიფო თეატრებში.

ნაირი ზარიანის პოეზია გადღენთილია დიდი გამარჯვების ღრმა რწმენით. მის ახალ ლექსებს შორის აღსანიშნავია „მიმართვა ჩემი ხალხისადმი“, „ჩვენ არ დაუთმობთ მოსკოვს“ და სხვ.

ახატ ვსტუნიმ, პოეზიის შირაზმა, გურგენ ბორიანმა, გელამ სარიანმა და სოლომონ ტარონკმა მოგვცეს მრავალი ღირსშესანიშნავი ლექსი, რომელთაგან ბევრი გადაიკცა სასიმღერო პანგებად.

ახატ ვსტური მკითხველის ყურადღებას იქცევს წერის ორიგინალობით, მაღალი ტექნიკით, მდიდარი რითმებით, დროის შესაფერი პათოსით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი პოემა „ველი ვოლფ“ (რომელიც დაიბეჭდა სომხურ ეტრნალ „საბჭოთა მწერლობა“-ში, 1941 წ., № 9—10).

პოეზიის შირაზს ახასიათებს ღრმა პატრიოტიზმი და ღირსეული პანგები, რომელსაც ის იძლევა მხატვრული ოსტატობით. ყარგია მისი „გამარჯვების გზელი“, „პოეტის ხმა“ და სხვ.

პოეტმა გურგენ ბორიანმა, როგორც სამაგულო ომის უშუალო მონაწილემ, დასწერა ბრძოლისა და გამარჯვების სულსცევებით გადღენთილი ლექსები. პოეტების გელამ სარიანის და სოლომონ ტარონკის ლექსები ავტობიოგრაფიული და სატრეტიკული შინაარსისაა, მათ ზვეთ აგრეთვე პატრიოტული ლექსებიც.

მშენიერი ლექსები მოგვცეს აგრეთვე პოეტებმა სარმენმა და აშოტ შაიბონმა. პოეზიის დარგში არა ნაკლები აქტიურობა გამოიჩინეს აგრეთვე პოეტებმა: ვესპერმა, ხაჩიკ დაშტენკმა, მკრტიჩ კორიუნმა, პენრიკ თუმანიანმა, პოეტ ჭალებმა: ვარსენიკ ალასიანმა, რიფსიმე პოლისიანმა, ილიენიმ, სილვა კაპუტიკიანმა, მარო მარგარიანმა და სხვებში.

ახალგაზრდა მწერლებს არ ჩამორბა სომხური ლიტერატურის კლასიკოსთაგანი, სიტყვის დიდი ოსტატი ავეტიკ ისაქიანი, რომელმაც დასწერა მრავალი ლექსი და სტატია.

მის ახალ ლექსებში აღსანიშნავია „ბრძოლის მოწოდება“, „საყვარელი გვირის ს. გ. ზაქიანის უცედავ ხსოვნას“ და სხვ.

სომხურ პროზაში გამოჩნდა ბევრი ახალი რომანი, მოთხრობა და ნარკვევი. აღსანიშნავია პროზაიკოსების: დერენიკ დემირკიანის, სტეფან ზორიანის, არაზის, არაქსის, ლიუსი თარგულის, ჭრისტაფორე თაფალციანის და სხვების ენერგიული მუშაობა, ახალი ნაწარ-



მოები, რომლებიც ასახვენ სამამულო ომს, ჩვენი გმირი ხალხის ბრძოლას, გერგობა მტრის წინააღმდეგ და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს. პროზაიკოსებს შორის უკრძალებული ყურადღებები შესახებ საინტერესო ნარკვევებით გამოირჩევა შერალი ჰაჩია ტყეშელაშვილი, რომელიც იძლევა მხატვრულ და შინაარსიან სურათებს დიად ბრძოლებისა.

ლიტერატურის სხვა ენარებთან შედარებით თანამედროვეობას საქმოდ ჩამოიხსნა დამატურგია.

ჩვენდა სამწუხაროდ, დრამატურგებმა უკრძალებული ყურადღებით ვერ მოგვეცეს ისეთი მალაღობრის-ხოვანი ნაწარმოებები, რომელიც ღრმა ემოციას გამოიწვევდა, ააღვლევდა თანამედროვე მაყურებელს და მასში გააღვივებდა ბრძოლისა და გამარჯვების მალაღობრის გრძობებს, თუ არ გავითვალისწინებთ ნაირი ზარიანის დრამატულ პოემას — „შურისძიება“ — და ალექსანდრე არაქსიანის დრამის „ეულკანზე“, რომელიც მიწოდებულია დიდ მხატვრულ ტილოს არ წარმოადგენს. თითქმის სხვა არაფერი მოგვემოგვება ამ დარგში ლირსშესანიშნავი (თემცა პიესები ბევრი დაიწერა, მაგრამ მხატვრულის თვალსაზრისით ისინი ვერ უსწორდებიან პროზასა და პოეზიას).

კრიტიკოსებმა თავიანთი ყურადღება მიაქციეს სამამულო ომის ისტორიულ მხარეს. მათ დასწერეს მრავალი ანალოგიური გამოკვლევები, გააშუქეს წარსული — საუკუნეების ისტორიული ბრძოლები, მოგვეცეს ჩვენი ხალხის გმირთა პორტრეტები, განმარტეს მათი მნიშვნელობა, ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი წერილები და სტატიები: ღ. თერჯიანი — „მსოფლიოს მოწინავე შერლები ფაშის წინააღმდეგ“, პროფ. დ. კეტეხიანი — „მსოფლიოს ხალხის ბრძოლა გერმანული აგრესიის წინააღმდეგ მე-13 საუკუნეში“, ჰ. გიულეტი — „გერმანული ფაშის სლავიანური ხალხების დაუცხრომელი მტრის“, ზ. გრიგორიანის — „ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში და 1812 წლის სამამულო ომი“, ა. გიულეტი — „საქართველოს — ფაშის წინააღმდეგ“, არამ დანაღანიანი — „სამამულო ბრძოლები და მათი გმირები სომხურ ფოლკლორში“ და სხვა.

სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ახალი ნაწარმოებები დაიბეჭდა სომხეთის ცენტრალურ გაზეთ „სამუთა სომხეთში“ და ყოველთვიურ სამხატვრო ჟურნალ „სამუთაში“.

გარდა პერიოდიკის, სომხეთის სახელგამმა გამოიჩინა დიდი ინიციატივა და ცალკე წიგნებად გამოისცა მრავალი მხატვრული ნაწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია:

ნაირი ზარიანის დრამატული პოემა — „შურისძიება“, ჰოვანეს შირაზის — „სიმღერების წიგნი“, გედამ სარიანის — „სამშობლოსათვის“, სარგენის — „ვარსკლავები“, აზატ ვიტენის — „როცა მეტი ელვაგებს“ — ლექსთა კრებულები. ქრ. თიფლაქიანის — „სამშობლო“, ლ. თარგულის — „დედები“, არაქსიანის — „ლიპო“, პრაჩია ქოჩარის — „გმირთა დაბადება“ და სხვათა მოთხრობების კრებულები, აგრეთვე აშოტ შაიბონის — „ღამის ცისარტყელა“ (ფანტასტიკური რომანი) და სხვა.

ამ უკანასკნელ დროს სომხეთის სახელგამმა გამოისცა პროფ. ზარიანის სამამულო ომის ფრად საინტერესო წიგნი, „ძველი სომხეთის კულტურა“.

გარდა ორიგინალური წიგნებისა, სომხეთის სახელგამმა ხელი შეუწყო თარგმნილ ლიტერატურასაც, როგორც თანამედროვეს, ისე კლასიკურსაც, რათა ამით უფრო განამტკიცოს ხალხთა ძმური ურთიერთობა და სოლიდარული კავშირი.

ცალკე წიგნებად გამოვიდა:

3. შოლოხოვის — „სიძულელის მეცნიერება“, ემილ ზოლას — „წისკვილის დარბევა“ — რომლის თემაც აღებულია 1870 — 1871 წ. წ. საფრანგეთ-გერმანიის ომის ეპიზოდებიდან და ნაწილობრივად ფრანგების მდებარი ბრძოლა დამპყრობ გერმანელთა წინააღმდეგ.

პანფერვის — „საკუთარი თვლებით“ რომანი, რომელიც მოგვითხრობს ომის გმირთა სამამულო და რაინდულ თავგადასავალს, კონსტანტინე გამაზბურდიას „ბელადი“, ტრილოგიის პირველი წიგნი, რომელიც მხატვრულად ასახავს დიდი სტალინის ბავშვობასა და ყრობას.

გამოვიდა აგრეთვე პუშკინისა და ლერმონტოვის ზოგიერთი ნაწარმოები.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სამამულო ომის დროინდელი ჭარბი პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშების კრებულები, სადაც მოთავსებულია თითქმის ყველა ჭარბი თანამედროვე თვალსაჩინო შერლის ნაწარმოები, რომლებიც ჭარბულიდან სომხურ-

რად სთარგმნეს თბილისში მცხოვრებ სომეხმა მწერლებმა, რომლებმაც იქიან ქართული ენა, კრებულები შეადგინა ლიტერატურაში პოეზიას ავტორებმა.

გარდა ამ კრებულებისა სამამულო ომის პერიოდში სომხურ პრესაში გამოქვეყნდა ნათარგმნი ლექსი: კ. სიმონოვის, მარშაკის, ალიო მამაშვილის, სანდრო ეულის, ირ. აბაშიძის და სხვების.

ერევნის გაზეთ „საბჭოთა სომხეთი“ თავის 1942 წლის მე-247-ე ნომერი მოიპოვებდა ზილქენა კეკელიძის დაქვის საკითხს, ერთა შორის ურთიერთ სიყვარულს და სოლიდარობას.

მან თავის გვერდებს მოწოდებდა წაუშლევრა: „დაარტყი კავკასიონო!“ გაზეთის ამ ნომერში მოთავსდა ბევრი საყურადღებო ლექსი და სტატია. სხვათა შორის აქვე სინტერესო წერილებია ვახტანგ გორგასიანზე, ივანე და ზაქარია მხარგრძელების შესახებ და სხვა.

მოყვანილია აგრეთვე ქართველი მემბტანის — ლეონტი პროცელის ნაწერიდან ერთი შესანიშნავი ადგილი, რომელიც შეეხება ქართველ-სომეხ-აზერბაიჯანელთა ურთიერთობას.

ხალხთა სიყვარულია და კავკასიონის თემანზე დაწერილი აგრეთვე პოეტების: ახატ გუტუნის, პოეზიის შირაზის, სარმენის და გურგენ ზარაიანის რამოდენიმე კარგი ლექსი, სადაც ხაზგასმით მოსჩანს ქართველ-სომეხთა ძმური ურთიერთობა და ჩვენი ისტორიული ნათესაური კავშირი, ლექსები დაწერილია წარფელის გულით და მათში გამოსკვივის სიყვარული.

გარდა ამისა იმავე გაზეთ „საბჭოთა სომხეთი“ თავის № 214-ში მოათავსა ქართველი აკადემიკოსის გ. ხაჭაპურიძის სინტერესო წერილი: „ამიერ-კავკასიის ხალხთა ლენინურ-სტალინური შეგობრობა დიდი ძალია“.

გარდა ერევანისა, ბაჭოს სომეხმა მწერლებმაც საკმაო აქტიურობა გამოიჩინეს ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში და მოგვცეს სამამულო ომის შესაფერის ნაწერები პოეზიისა და ბელეტრისტიკის დარგში. ბაჭოში ცალკე წიგნად გამოვიდა სამამულო ომში დაღუპული სომეხი ახალგაზრდა ნიკიერი პოეტის თათულ ქურბანის ლექსების კრებული, სადაც სჭარბობს პოეტის უკანასკნელი დროის ბრძოლას მიძღვრები.

კოტა რამ საქართველოს სომეხ მწერალთა შესახებ.

როგორც ცნობილია, სომხური ლიტერატურის და საერთოდ კულტურის ერთ-ერთი ბაზა იყო საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი, სადაც აღორძინდა მე-19 და მე-20 საუკუნის სომხური მწერლობა და ხელოვნება.

დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექცია არის გამგრძელებელი იმ ლამაზი ტრადიციებისა, ქართველ-სომეხთა შორის ინტერნაციონალური იმ ხიდისა, რომელსაც ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლის წინად გამოჩენილმა სომეხმა პოეტმა პოეზიის თემატიკაში ჩაუყარა საძირკველი.

სამამულო ომის დაწყების დღიდან საქ. სომეხი მწერლები დიდი ენერჯით შეუდგნენ ახალ შემოქმედებით მუშაობას და ბევრი მათგანი შეეხო ფრიად აქტუალურ თემას.

სექციის უძველესმა წევრებმა მადო პეტროსიანმა და წერტონ თორგოზიანმა დასწერეს ახალი მოთხრობები, რომელშიაც ასახეს სამამულო ომის ეპიზოდები. მთელი რიგი ახალი მოთხრობები, ნოველები და ნარკვევები დასწერეს აგრეთვე მწერლებმა: იერვანდ გალჭიანმა, ვარდან ატრიაანმა, ბენიკ სერაიანიანმა, მკრტომ ასლიანიანმა, მიმოვან გორიანიანმა, მარტინ ლარაგიოზიანიანმა, სააკ მანველიანიანმა და სხვებმა.

სურენ აფიანიანმა დასწერა პიესა „ძმები“ სამამულო ომის თემაზე, ბევრი ახალი ლექსი, სთარგმნა კ. ვამსაბურდიას: „ბელადი“ (რომელიც დაიბეჭდა ჯერ უფროდ „საბჭოთა მწერლობაში“ და შემდეგ ცალკე წიგნად), სთარგმნის აგრეთვე იმავე ავტორის დიდ რომანს „დავით აღმაშენებელს“.

მთელი რიგი ახალი ლექსები დასწერეს პოეტებმა: ვეორგ გრიგმა, რუბენ აღაბაბმა, პაპარემ, კორიუნ აზროიანიანმა, მარტინ ქარაიანიანმა, ვარ. სიმონიანიანმა, პოეზიის კარაპეტციანიანმა და სხვებმა.

სამამულო ომის პერიოდში მრავალი ლექციები წაიკითხეს სხვადასხვა თემში ჩოფ. ლ. შელიქეთ-ბეგში, კრიტიკოსებმა: არტაშეს კარინიანმა, რობერტ ვარდუჯიანიმ, ელიზაბეტი ჰაირაპეტიაძემ, სურენ ავჩიანმა, კორიუნ აზროიანმა და სხვებმა.

1943 წლის დასაწყისში სექციამ ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს მოეწყო თავის ერთ-ერთ ძველ წევრს რესპ. დამსახურებულ არტისტს, შწერალს პაპარეს (პაიკ პეტროსიანს). ეს საღამო, რომელიც დიდის ზეიმით ჩატარდა, დამამტკიცებელი იყო იმისა, რომ საბჭოთა ხალხმა, შწერლობამ ომის პირობებშიაც კი იცის კულტურისა და ლიტერატურის ღირსეული აღამიანების დაფასება.

ამრიგად სამამულო ომის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურასთან ერთად სომხური ლიტერატურაც ცდილობს ასახოს თანამედროვე ცხოვრება, მოწინავე აღამიანები, საბჭოთა ქვეყნის გმირები, მამულისათვის თავდადებული ხალხი, სამშობლოს სიყვარული, თავგანწირვა, ბრძოლა და გამარჯვების რწმენა, რომელსაც გვინერგავს უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი დიდი სტალინი.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბაგი

## სომხეთის კულტურის მავანი

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ახლახან ერევანში გამოქვეყნდა უდიდესი სომეხ პოეტ-წიგრილის ანტიკონსტანტინის „ჩრდილ ლექსთა“ კრებული. წიგნი პატარა ზომისაა 111 გვერდად, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი და უდავო ჩასმული. იგი შეიცავს 168 ლექსს, რომლებიც შეთხზულია პოეტის მიერ 1893 წლიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. მათი დიდი ნაწილი წინათაც იყო ცნობილი სხვადასხვა გამოცემების საშუალებით, როგორც 1939 — 1940 წწ. გამოქვეყნებულის ორტომეულის პირველ ტომში, ისე მრავალ პერიოდულ გამოცემაში (ერუნალ-გაზეთებში). ახალი ლექსებიდან კრებულში შეტანილია „ახალი წლის დილას“, „სალამი ყველას“, „ბინგიოლ“, „მოწოდება ბრძოლისაკენ“, „ძღვანად სომხურ ხუროთმოძღვრებას“, „ხალხის სიმღერა“, რომელთაგან უკანასკნელი სპეციალურად დაწერილია კინოფილმის „დავით-ბეგ“-ისათვის, ამავე კრებულში შეტანილია პოეტის ოსტატურად დაწერილი ლექსი „დიდ სტალინს“, რომელიც რუსულ თარგმანშიც არის ცნობილი.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უთუოდ დიდი კულტურული საქმე გააკეთა კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადის“ (ტრილოგიის) პირველი წიგნის სომხური თარგმანის გამოქვეყნებით, რომელიც შესრულებულია სურცენ ანტიკონსტინის მიერ. თარგმანი გამოვიდა ერევანში მიმდინარე წელს, შეიცავს 235 გვერდს და ჩასმულია ლამაზად გაფორმებულ ყდაში: ტირაჟი 3000-ია. თარგმანი საერთოდ კარგადაა შესრულებული: მთარგმნელს ოსტატურად დაუძლევიან საკმაოდ რთული ორიგინალი, რომლის კოლორიტი თარგმანში მიღიად დაცულია. ოღონდ ადგილ-ადგილ იშინება ზოგიერთი დეტატი წერილობანებში. მაგალითად, სახელწოდება „ეკატერინე“ სომხურად ტრანსკრიბირებულია მეტუთე „ე“-თი, რომელიც რუსულ ე-ს უდრის (Екатерина), მაშინ როდესაც თამამად შეიძლება მეშვიდე „ე“-ს დაცვა. „ტამის-კარი“ ერთ შემთხვევაში დატოვებულია „ტამის-კარად“ (გვ. 131), მეორეში კი სიტყვა-სიტყვითაა გადათარგმნილი „ტამირი დღრნ“ (გვ. 62); „ხეცურეთი“, ისევე როგორც „ჯავახეთი“ და „თუშეთი“, ხან ქართულ ფორმაშია დატოვებული (გვ. 99, ორჯელ), ხან გადმოცემულია რუსულის ზეგავლენით გადაზარბეგებული „ხეცურეთია“ (გვ. 72, 74, 80). „ქართლი“ გადმოცემულია „ქართალინია“-დ (გვ. 211). „ბორჯომი“ — „ბორჯომ“-ად (გვ. 56). ამასთანავე სრულიად დაუსმებელია „შირაქი“-ს გადაცემა სომეხი მკითხველისათვის „შირაქ“-ად (გვ. 179, 186, 187, 196), რამდენადაც ეს ორი ცნება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან: „შირაქი“ და „შირაქის ველი“ — ივრის ხეობაა გარე-კახეთში (საქართველოში), ხოლო „შირაქ“ ლენინაკანის (ვიურსის) ველია აზერბაიჯანის ანუ არდაბაის ხეობაში სომხეთში. ეს გარკვევა, სხვათაშორის, არ გაითვალისწინა თვის დროზე ი. გრიშაშვილმაც, როდესაც აკოვ აკოფიანის ლექსი „შირაქანაქი“ ქართულად „შირაქის არბ“-ად გადმოთარგმნა, მაშინ როდესაც „შირაქის არბი“ უნდა ყოფილიყო. დამოლოს, სომხურ გამოცემას ორიოდ უმნიშვნელო კორექტურული შეცდომა ახლავს, მაგალითად: სახელობით ბრუნვაში „პაატას“ (გვ. 52), უნდა იყოს „პაატა“; ტებუთა (გვ. 56), უნდა იყოს „ტებურა“; „ხიდესთაი“ (გვ. 208), ნაცვლად „ხიდესთაი“-სა, და სხვ.



სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანხმად, სომხეთის საბჭოთა შწერლების კავშირის ორგანო — ყოველთვიური სომხური ჟურნალი „სოვეტკაციან გრაციანულიონ“ (საბჭოთა-ლიტერატურა) 1943 წლის № 8—9-დან გადაქცეულია იმავე კავშირისა და სომხეთის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანოდ, ახალი სახელწოდებით „სოვეტკაციან გრაციანულიონ ევ არვესტ“ (საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება). სარედაქციო კოლეგია შექმნილია შემდეგი შემადგენლობით: არაზი, ს. გასპარიანი, ვ. გრიგორიანი, დ. დემირჩიანი, ნ. ზარიანი, სტ. ზარიანი, ედ. თოფჩიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ა. ისაჰიანი, ა. შაჰვერდიანი.

ახლახან გამოვიდა „სოვეტკაციან გრაციანულიონ ევ არვესტ“-ის № 1.

დიდ მოვლენად უნდა ჩათვალოს განსვენებულ ხეროთომოდღვარ თოროს თორამანიანის თხზულებათა ერთ ტომად გამოქვეყნება, სათაურით „მასალები სომხური ხეროთომოდღვარების ისტორიისათვის“. ეს მონუმენტალური წიგნი გამოცემულია საქვეშრო მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ყ. ფილიალის მიერ, ისტორიისა და ნივთიერი კულტურის ინსტიტუტის ხაზით. იგი დიდი ფორმატისაა, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი, შვენიერ ყდაში ჩასმული. თ. თორამანიანის ნაწერები თავმოყრილია 4 ნაწილად:

1. „სომხეთის პირვანდელი სახეროთომოდღვრო ნაშთები“; 2. „საზოგადო ხასიათის სტატები V — XIII საუკუნეთა ხეროთომოდღვრების შესახებ“; 3. „საეკლესიო ხეროთომოდღვრება“ და 4. „სამოქალაქო ხეროთომოდღვრება“. წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვიობა სომხურ და რუსულ ენებზე, აგრეთვე თ. თორამანიანის ბიოგრაფია ორივე ენაზე, ბოლოში დართულია: 1) სია თორამანიანის ნახაზებისა, რომლებიც მის კირიოსფალთა აქეთ დაეცემა, სულ 70 ცალად; 2) დედანში ნახმარი სახეროთომოდღვრო ტერმინების სიტყვარი; 3) ფრანგულად ნახმარი ტერმინები; 4) კრებულში შეტანილი სურათების სია, სომხურად და რუსულად; 5) თ. თორამანიანის დღემდე გამოცემული ნაშრომებისა და სტატიების სია; და 6) სახელთა საძიებელი. კრებული საერთოდ მზატერულად არის გაფორმებული, შეიცავს 1 (ავტორის პორტრეტი) + 279 სურათს, ღირს 50 მან. რამდენადაც მთელ რიგ სტატიებში მოცემულია სომხური ხელოვნების ძეგლების კლასიფიკაცია და თვით მათი განვითარების პერიოდიზაცია, წიგნი ფასდაუფებელია ჭრითული ხელოვნების ისტორიით დაინტერესებულთათვისაც.

საკვეშრო მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ყ. ფილიალმა დიდი კულტურული საქმე გააკეთა პოპულარული ნარკვევების გამოცემით სომხურ და რუსულ ენებზე, რომლებიც მოძენილია წარსული საუკუნეების და თანამედროვე სარდალთ და მერმართ, ცალკე სურათად, საერთო სათაურის ქვეშ „სომხეთის შეილთა საქმენი საგმირიონი“; ჯერჯერობით გამოქვეყნებულია შემდეგი წიგნაკები: „ვარდან მაშკონიანი“ (სომხ. და რუს.), „სმბატ ბაგრატიონი“ (სომხ. და რუს.), „სომეხი გმირები“ (სომხ.), „დავით ბეგი“ (სომხ.), „გენერალ ბებუთოვი“ (სომხ.), „გენერალ შადათოვი“ (სომხ. და რუს.), „გენერალ ლორის-მელიქოვი“ (სომხ. და რუს.), „გენერალ ლაზარევი“ (სომხ. და რუს.), „გენერალ ტერ-ლუკასოვი“ (სომხ. და რუს.), „აკატიანი ნ. გ. სტეფანიანი“ (სომხ.), „უფროსი ლეიტენანტი პატრიკ გაზანიანი“ (სომხ. და რუს.), „ლეიტენანტი ს. შ. ოპანიანი“ (სომხ.). ნარკვევები შედგენილია შემდეგ პირთა მიერ: პრ. მურადიანი, პრ. ჯანფოლადიანი, ა. ლანდანიანი, შ. ჩიუსიანი, ვ. თერზიანიანი, ვ. პარსანიანი, შ. ელიბეკიანი, ხ. მოშკიანი, ნ. ზარიანი, ას. ასატრიანი, გ. სტეფანიანი და სხვ. სურათის საერთო რედაქტორია აკად. იოსებ ორბელი.



საკავშირო მეცნ. აკადემიის სომხეთის ყ. ფილიალს არ ჩამორჩება სომხეთის სახელმწიფო გამოცემლობა ცალკე წიგნაკებად პატრიოტული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევების გამოქვეყნების საქმეში. ასეთებია: „სომხეთა ხალხის სიტყვა თავის ფრონტულ შეილებსადმი“ (სომხურად და რუსულად), 8000 და 2000 ტირაჟით; „სომხეთა ხალხის გვირი ქალიშვილები“ (სომხურად და რუსულად), თითო 3000 ტირაჟით, რომელშიც მოთავსებულია ლიუსი თარგვილის 2 ნარკვევი — „გოპარ ნაზარიან“ და „სუსანა ზაჩარიან“ და არაქის 1 ნარკვევი — „ლიუსია შაჰინიან“, პროფ. პ. კესიკიანის „სამშობლოს დაცვის იდეა სომხურ ლიტერატურაში“ (სომხურად), 3000 ტირაჟით, ზ. გრიგორიანის „სომეხი და ჩუხი ხალხის ისტორიული მგებობა“ (სომხურად), 2000 ტირაჟით და სხვ. ამვე ფილიალის „მოამბის“ 1943 წ. № 2-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ნ. ნერსესიანის წერილი „ა. ვ. სუვიოროვი და რუს-სომხეთა ერთიგობა 1770—1790 წწ.“ (გვ. 27—48).

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ყ. ფილიალს (რომლის ბაზაზე ამჟამად სომხეთის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა) გამოცემლობით ახლანდ ერევანში ცალკე წიგნად გამოცემა ყოფილი ფილიალის უწყებაში შემაგალი ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივის მიერ დამუშავებული და ჯერჯერობით მხოლოდ სომხურად გამოშვებული „სომხეთა ხალხის ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის. ნაწილი პირველი“. წიგნს ქვესათაურიც აქვს: „სომხეთა ხალხის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე. დაშვებულია სომხ. სსრ განსახლების მიერ რეაგირე სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის“.

„სომხეთა ხალხის ისტორია“ ამ პირველი ნაწილის დამუშავებაში მონაწილეობა მიუღიათ დოც. ბენიამინ პარტიუნიანს (I თავი), აწ განსვენებულ პროფ. ხანო საშელიანს (2—7 თავები), დოც. პამო პარტიუნიანს (8—11 თავები) და დოც. სერაპ პოლოსიანს (12—14 თავები). წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან დოც. დოც. მ. ნერსესიანი და კ. ლაფაძარიანი. მასალა წიგნში დალაგებულია 2 ძირითად კარად, რომელთაგან პირველში წარმოდგენილია აღწერა სომხეთის გეოგრაფიული მიდამოსი, შემდეგ კი განხილულია უძველესი და ძველი პერიოდები, პირველყოფილ-თემური სტადიიდან მოყოლებული მე-5 საუკუნემდე, ხოლო მეორეში საშუალო საუკუნეები, ე. ი. მე-5—18 საუკუნეების ისტორია.

წიგნი ილუსტრირებულია 94 სურათით ტექსტში და დართული აქვს შემდეგი რუკები: ისტორიული სომხეთის ბუნებრივი საზღვარი; სომხეთი ურარტუს სახელმწიფოს დროს; სომხეთი ტიგრან II-ის დროს; სომხეთი არშაკუნიანთა მეფობის დროს; სომხეთი ბაგრატიონიანთა მეფობის დროს; კილიკიის სომხეთა სამეფო; სომხეთი XV—XVIII საუკუნეებში.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 23 წლისთავს დაემთხვა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება და ვახსნა ერევანში 1943 წ. 29 ნოემბერს, რომელიც დიდი ზეიმით ჩატარდა სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზში. აკადემია მოეწყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალისა და მის სისტემაში შემაგალი კვლევამებითი ინსტიტუტების ბაზაზე, და მისი ორგანიზაცია საესებით დროული შეიქმნა იმ დიდი მიღწევების შედეგად, რომელიც სომხეთა საზოგადოებრიობას გააჩნია ამ 23 წლის მანძილზე, როდესაც სომხეთში მომუშავე სამეცნიერო კადრების ზრდამ მოითხოვა მათი მუშაობის კოორდინაცია და შემდგომი განვითარებისაკენ წარმართვა, რამდენადაც აღნიშნული თარიღისათვის სომხეთში მუშაობდა საკავშირო აკადემიის 5 ნამდვილი წევრი და წევრი-კორესპონდენტი, 90-იოდე მეცნიერების დოქტორი და პროფესორი და 170-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი.

სომხეთის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 4 განყოფილების სახით: საზოგადოებათმეცნიერების, ფიზიკო-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა, აკადემიის პირველი შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი წევრის რაოდენობით, რომელთაგან საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 3 არსნ, ფიზიკო-მათემატიკურ და საბუნებისმეტყველოში 5, ბიოლოგიურში — 7, და სასოფლო-სამეურნეოში — 3. საზოგადოებათმეცნიერების განყოფილებაში არჩეული არიან მსოფლიო არმენისტები: სტეფანე მალხასიანი, დაბად. 1857 წ.; მანუკ აბელიანი, დაბად. 1865 წ.; იაკობ მანანდიანი, დაბად. 1873 წ. (საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი); ჰარჩია აქარიანი, დაბად. 1875 წ.; ავეტაქ ისაჰიანი, დაბ. 1875 წ. (კნობილი პოეტ-მწერალი); არსენ ტერტერიანი, დაბად. 1892 წ.; იოსებ ორბელი, დაბად. 1897 წ. (საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი); და გრიგორ ლაფანტიანი, დაბ. 1867 წ.

დანარჩენ 3 განყოფილებაში ნამდვილ წევრებად არჩეული არიან შემდეგი პირები: ალიხანოვი (საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი), ჰამბარცუმიანი (საკავშირო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი), ალიხანიანი, ელიაზაროვი, აკოფიანი, ლეონ ორბელი (საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი), კოშტოიანცი (საკავშირო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი), ისაგულიანი, ბუნათიანი (ერევნის უნივერსიტეტის რექტორი), ოპანესიანი, თამაშვეი, პადენჰოლცი, გულჭანიანი, თუმანიანი და კარაპეტიანი.

აკადემიის პრეზიდიუმში ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: პრეზიდენტად არჩეულია იოსებ ორბელი, ვიცე-პრეზიდენტებად ჰამბარცუმიანი და გულჭანიანი, პრეზიდიუმის წევრად ს. კარაპეტიანი, განყოფილებათა თავმჯდომარეებად: საზოგადოებათა მეცნიერებისა — ლაფანტიანი, ფიზიკო-მათემატიკურისა და საბუნებისმეტყველოსი — ელიაზაროვი, ბიოლოგიურისა — კოშტოიანცი, ხოლო სასოფლო-სამეურნეოსი — თუმანიანი.

აკადემიამ ფართო მუშაობა გაშალა და შეიმუშავა გეგმა 1944 წლისათვის.

აზიზ შარიფი

# აზერბაიჯანული ლიგაეკაგუკა საბაგუდო ოგის ღლეგუბი

დიდებული ნიზამის და ფიზულისა, ვაგიფის და მირზა ფატალი აზუნდოვისა, მოლა ნასრედინისა და საბირის სამშობლო, ორდენოსანი აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლები, პირველ დღიდანვე საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ, გამოვიდნენ მზრვალე მოწოდებით საბჭოთა უწინდესი მიწაწყლის დასაცავად. თანაც მათ გამოსთქვს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მზად არიან ყოველმხრივ დახმარება გაუწიონ მებრძოლ ხალხს კალმით და, თუ საჭირო იქნება, აეტომატითაც, რათა საზიზღარი მტერი, შეჭრებულ, შემუსრულ და უკანგდებულ იქნეს.

დიდი სამამულო ომის დღეებში აზერბაიჯანელმა პოეტებმა გამოუშვეს მრავალი კრებული, სადაც მოთავსებულია უკანასკნელ ორ-სამ წელს დაწერილი პატრიოტული საბრძოლო ლექსები. ამ კრებულთა შორის, რომლებიც ნაწილობრივ გამოცემულია მოსკოვისა და ბაქოში რუსულ თარგმანად, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამედი ვუტრუდუნის ლექსთა კრებული „ბედნიერებისათვის“; სულეიმან რუსტამის კრებულები: „წერილები“, „ღვიფის ვუტი“, და „დადგება დღე“; მამედ რაჰიმის კრებული „სამშობლოს სიყვარული“, რასულ რზას კრებული „სამშობლო“ და „შურისგება“; ფრონტელი პოეტი ჯაფარ ხან დანის კრებულები „ფრონტის ლექსები“ და „კავკასია“; ოსმან სარიევლის კრებული „პოეტის საჩუქარი“; ახმედ ჯამილის კრებულები „სამახსოვროდ“ და „წითელარმიელ ძმებს“; ორდენოსანი პოეტი ზალი მირკარი დილმაზის კრებული საბრძოლო სიმღერებისა. ბავშვებისათვის, აღი-აღა ვახიდის საბრძოლო ვაზელების კრებული, პოეტი ტალ ოლის კრებული „ფრონტისკენ“, ზეინალ ხალილის პოემა „ტატიანა“ და სხვ. ამ ინდივიდუალური კრებულების გარდა გამოშვებულია აზერბაიჯანული პოეტების ლექსთა საერთო კრებულები, სათაურით „სტალინისათვის, სამშობლოსათვის!“, „სამშობლოს სიმღერები“ და სხვ. აგრეთვე აზერბაიჯანელი აშუღების ახალ სიმღერათა რამდენიმე კრებული.

ყველა ეს ლექსი გამსჭვალულია თავდადებული ერთგულების გრძნობით საბჭოთა სამშობლოსათვის, ბოღშევიტური პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის, გენიოსი სარდლის ამნაწავი სტალინისადმი. ეს ლექსები გველენთილია უდიდესი მძულეარებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა მიმართ და აღტაცებული სიყვარულით საბჭოთა ხალხის გმირი შეიღებისადმი, ძლიერამოსილი წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისა და მეთაურებისადმი, გველენთილია ურყევი რწმენით, რომ საბოლოოდ იგი გაიმარჯვებს ფაშისტთა ურდოებზე.

დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სამამულო ომის წლებში აგრეთვე აზერბაიჯანელმა პროზამ, რომელმაც თავისი საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედებაში მრავალი დიდი და მცირე ზომის ნაწარმოები მოგვცა; ამ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია აზერბაიჯანის ნიკაიერ პროზაიკოს-მწერლის მარი ჯალალის მოთხრობები ფრონტისა და ურდოსა გმირებზე, აბულ პასანის ყრიბული ნოველები, აღი ველიევის ფრონტული მოთხრობები, მეკთი პუსტინის მოთხრობები და ნარკვევები, შეღვეერის ლირიკული პროზაიკული ნაწარმოებები და აგრეთვე ახალგაზრდა პროზაიკოსი მწერლების ი. ეფენდიევისა, მ. ჯაბარისა და უ. აზიმ-ზადეს, მამედ აკბერისა და სხვათა ნოველები და მოთხრობები.

ცალკე უნდა გაეჩერდეთ აზერბაიჯანის ერთერთ გამოჩენილ პროზაიკოს-მწერლის სულეიმან რაჰიმოვის შემოქმედებაზე, რომელიც აეტორია სამამულო ომამდე გა-



მოშვებული დიდი რომანების „შომოს“ და „საჩლისა“, ომის წლებში ს. რაზმოვერა გვამს-ცა დიდი მოთხრობა „მედალონი“, რომელშიაც ნაჩვენებია საბჭოთა მებრძოლებზე გამო-რული საჭმენი გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ და შეგებდითი თავგანთავსებას. ამასთანავე ორი ევაკუირებული ბავშვისა, რომელთაც, ახალ ადგილას, ღრმა ზურგში ჰპოვეს საბჭოთა პარტიოტებს შორის გულთათი სიყვარული და აღერსი. საბჭოთა ნამდვილი ადამიანების მომხილავ სახეებთან ერთად, ავტორმა თავის ნაწარმოებში გვიჩვენა ავრეთვე მტრის სახელედილი სახე.

გარდა ზემოაღნიშნული დიდი მოთხრობისა და სამამულო ომის თემებზე დაწერილი მთელი რიგი ნაწარმოებებისა („გუდრატიკი“, „შეხიბეთალი“ და სხვ.), ს. რაზმოვერა დას-წერა ავრეთვე რამოდენიმე შესანიშნავი მოთხრობა რევოლუციამდელი აზერბაიჯანული გლეხების ყოფაცხოვრებიდან („მამლიანი პირსახოცი“, „არზა წყლის გამო“ და სხვ.).

განსაკუთრებით აყვავდა და გაიშალა სამამულო ომის წლებში აზერბაიჯანული დრამა-ტიკური გეია, რომელიც გამდიდრდა მთელი რიგი ზღაღარაბისგან და დრამატული ნა-წარმოებებით. აზერბაიჯანის თეატრმა დიდი მხატვრული წარმატებით გვიჩვენა: ზეი-ნალ ხალილის ლეჟად დაწერილი პიესა, რომელიც ეძღვნა მამაცი უკრაინელი პარ-ტიზანების გმირობას; ავრეთვე მ. ჰ. თაქმაისაიბის პარტიოტული პიესა ყირიმელ პარ-ტიზანულთა ბრძოლებზე გერმანულ ფაშისტ ბრძოლებთან წინააღმდეგ; ცნობილი აზერ-ბაიჯანული დრამატურგის მირზა იბრაჰიმოვის შესანიშნავი პიესა „მამამატი“, რომელიც აშელს მემორიული საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის საყოფაცხოვრე-ბო გახრწნილებას და ამეღვენებს საბჭოთა ადამიანების რევოლუციურ სიფხიზლესა და მა-ღალ სოციალისტურ შეგნებას გერმანულ ფაშისტთან დიდი ბრძოლის დღეებში; პოეტ რასულ რზას საინტერესო პიესა „ვეფა“, რომელიც ნათელ ფერადებით გვიხატავს აზერბაიჯანის ხალხის საუცუთესო შვილების გმირულ ბრძოლას სამამულო ომის ფრონ-ტებზე.

ყველა ეს პიესა, ისე როგორც პოეტ სამედ ვურდუნის რომანტიული პიესა ლექ-ხად „ფარად და შირინი“, რომლისთვისაც ავტორს სტალინის სახელობის პრემია მიეცა და რომელიც დაწერილია ნიზამის უცდავი პოემის „ზოსროე და შირინის“ თემაზე, გამს-ქვალულია მაღალი პარტიოტრზმისა და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობი-სათვის გმირული ბრძოლის სულისკვეთებით.

დიდმა სამამულო ომმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია აზერბაიჯანის ხალხის გმირული წარსულის მიმართ. ამ ორწელიწადნახევარში აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა და ლიტერ-ატორებმა მდიდარი განძი შეიტანეს აზერბაიჯანის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეჭითხან გეჭილკოვის ნაშრომი VII საუკუნის აზერბაიჯანის სარდალ ჯეგანშირზე, მონოგრაფია XVIII საუკუნის აზერბაი-ჯანის დიდ სახელმწიფო მოღვაწე ყუბენ ფატალი-ბანზე, გამოკვლევა უძველეს აზერბაიჯანულ ფილოსოფიის მოაზროვნე ზორაასტრზე, ბროშურები ზ. იბრაჰიმოვი-სა „აზერბაიჯანულ ქალთა გმირულ წარსულზე“, და ჰ. არასლისა „პარტიოტი ქა-ლები“, აზერბაიჯანული მსოფიანი მწერლის მ. ს. რადუბადის გამოკვლევა ნიზამის ეპოქაზე, და სხვა მრავალი.

აზერბაიჯანელი ხალხის გმირული წარსულისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ზოგიერთი სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ავრეთვე ერთერთ ლიდალ ნა-ყოფიერი და მრავალმხრივი მწერლის მეჭითი ჰუსეინის შესანიშნავი დრამა უცდავ პოეტ-კლასიკოს ნიზამი ვანჯელზე.

პიესა „ნიზამი“, მიუხედავად ცალკეული, პირწმინდად ისტორიული ხასიათის ნაკლის (ზოგიერთი ისტორიული ფაქტის არამართებულად გაშუქება, რომლებიც სხვათაშორის, თვით ნიზამის პიროვნებასთან არ არიან დაკავშირებული; არასწორი და მიზანშეწონილი გამტრვა მაშინდელი აზერბაიჯანის მმრძანებლის შირვანშაჰის უარყოფითი თვისებებისა) შინე უცილობლად სასამოენო მოკლენა აზერბაიჯანის თანადროულ დრამატურგიაში ავტორმა მოახერხა და შექმნა ღრმა ლირიზმით აღბეჭდილი, მომხილავი სახე დიდებული პოეტ-პეშანისტისა და მარჯვედ შერჩეული ფაქტებით გვიჩვენა მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, აზერბაიჯანის სახანოების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეისადმი, სამშობლოს დაცვისადმი უცხო ჭეყნის დამპყრობელთაგან.



საქიროა აღნიშნით აგრეთვე ფრად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩვენი თბილისელი მწერლის რ.ზ.ა. შაქვალდის, რომელმაც სამამულო ომში მსახურისთვის პიესა დაწერა. ეს პიესები არა მარტო შირვა-ფაქალი ახუნდოვის სამხედრო-სამხატვრის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრის სცენაზე იდგმის წარმატებით, არამედ აგრეთვე მიღებულია დასადგმელად აზერბაიჯანის თეატრებშიაც. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედარებით ახალგაზრდა დრამატურგის თითოეული ახალი პიესა აშკარად მოწმობს, რომ ავტორი თანდათან გარკვეულად იზრდება და უფრო და უფრო ითვისებს რთულ დრამატურგიულ ხელოვნებას.

ყოველივე ის, რაც აზერბაიჯანელმა მწერლებმა შექმნეს სამამულო ომის წლებში, იმის საწინდარია, რომ შემდგომში ისინი უფრო ღრმად ჩასწვდებიან ჩვენი ისტორიული დღეების შინაარსს და შექმნიან ჩვენი დიდი ეპოქის შესაფერის მხატვრულ ნაწარმოებებს.

## В. К. СТЕШЕНКО-КУФТИНА—Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки. 1. Флейта Пана.

სამართმელოს სახმუზეუმის გამომცემა, თბილისი.

სტეშენკო-კუფტინას ზემოხსენებული ნაშრომი მიზნად ისახავს გამოარკვევის ქართული ინსტრუმენტალური მუსიკის პრეისტორიული პერიოდი: წიგნში ყურადღების ცენტრს წარმოადგენს ქართული მრავალღეროვანი სალამურის შესწავლა, მის თანდათანობით განვითარებაში დღევანდელ ფორმამდე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, — ეგრძოდ გუჩიასა და სამეგრელოში.

სამწუხაროდ, ავტორს თავისი კვლევა-ძიების არც შეტად ვიწროდ აქვს შემაზღვდელი: ის მხოლოდ გუჩია-სამეგრელოს არცაა ტრიალებს, თუმცა, როგორც ცნობილია, სალამურის კულტურა საქართველოში არსებობდა და არსებობს მრავალ სხვა კუთხეშიაც.

წიგნის შესავალში ავტორი იშველიებს მარჭაშის კლასიკოსების აზრს შორეული წარსულის ხელოვნებისა და მუსიკალური საქმიანობის დახასიათებისათვის. ავტორი დიდი ყურადღებით და სიყვარულით არკვევს საკითხს; იგი ახასიათებს სალამურის ხმებს, სპეციალურ მეგრულ ტერმინებს — „უმოსი“, „უცულაბა“, სალამურის, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტის, განხილვა თხოულობს მისი გარეგანი აგებულების და შინაგანი მუსიკალური შესაძლებლობის აწერას: სტეშენკო-კუფტინას აზრით, სალამური ორ ნაწილად იყოფა; თითოეულ ნაწევარს თავისი დანიშნულება აქვს, სრულებით დამოუკიდებელი; ბანის ხმა შუაშია მოთავსებული.

მრავალღეროვანი სალამური დიდი შინაგანი მუსიკალური შესაძლებლობისაა. ერთ დეროში შეიძლება გამოსახოს დაკლებული კვანტი, მეორეში დაკლებული ნეიტრალური ტერცია, შუაში მოთავსებული ბანი უკავშირდება წყვილ ელერას; მაგრამ კუფტინა აღნიშნავს, რომ სამღეროვან სალამურზე არ უკრავენ, საკრავად ხმარობენ ექვსღეროვან სალამურს, რათა ტონის ინტერვალებს წარმოშობა აყოს მდიდარი.

კუფტინა აღნიშნავს, რომ ქართული სალამური, განსაკუთრებით მისი მრავალღეროვანი ფორმა, არის ერთადერთი და უძველესი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ატაროს სახელწოდება პანისა: სხვა ქვეყნებში, კუფტინას აზრით, ეს ინსტრუმენტი დიდი ხანია გაქრა, ხოლო საქართველოში მის ასრულებენ დიდი ხელოვნებით და სიყვარულით. უმეტესა ასახელებს ცოცხალ ადამიანებს, რომელნიც მშვენივრად ასრულებენ სხვადასხვა სახეებს თამაშისა ამ ინსტრუმენტზე საქართველოში — ეგრძოდ სამეგრელოსა და გურიაში; წიგნის შესავალში გამოთქმულია შეხედულება, რომ სალამური ძლიერ არქაული ინსტრუმენტია, მიუხედავად ამისა, ამ მუსიკალური ინსტრუმენტის აღწერა არ არსებობს; კუფტინა ცდილობს გაგვეცნოს სალამურის ადგილი და როლი მუსიკის ისტორიაში, სონარ-ლარკემის ანტიკური და წინანტიკური ფენები, მრავალღეროვანი სალამურის პირველადი სტადიები პირველყოფილ აგარულ კულტურაში, ლარკემისა და სონარის ბეგრათა წყობანი და მათი ტანომეტრული გამოშვანი; ნაშრომს დართული აქვს ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოგრაფია და მრავალღეროვანი სალამურის მეგრულ-გურული სიმღერების ნრტები: მოკემულია „ოსტაპური“, „ობირევი“, „პირველი დაკრა“ ნრტებში; კუფტინა არ იეიწყებს დაახასიათოს ცოცხალი ოსტატობა მრავალღეროვანი სალამურისა მთიან სამეგრელოსა და გურიაში.

კუფტინა გულმოდგინედ უკავშირებს ქართულ მრავალღეროვან სალამურს პირვანდელ ფორმებს ლაზისტანისა და ძველი ბერძნული სალამურების (ფლეიტების) ფორმებს. ნაშრომს დართული აქვს აგრეთვე სამღეროვან და მრავალღეროვან სალამურზე შემართულებულია ფოტო-სურათები. კუფტინა უკრავდებით შეტერებულა სალამურის კულტურაზე საქართველოს გარეშე: ახასიათებს რა აზრის მუსიკალურ კულტურის საერთოდ, კუფტინა

იხსენიებს ჩინელების სალამურის საარქიტექტო ორკესტრს, ოკეანიისა, სოლომონის კუნძულების, ავსტრიის და სხვა ქვეყნების სალამურების წარმოშობას.

კუფტინა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრება სალამურის მდგომარეობას საბერძნეთში: გვამცნობს ბერძენი ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების აზრის დახასიათებას; წიგნში აღნიშნულია, რომ სალამური არ უყვარდა პითაგორს და პლატონს; კუფტინა იმოწმებს აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იმაზე, რომ ბიბლიაში ცნობილია სალამურის ხმარების ტრადიცია.

კუფტინა დაკვირვებული, ფრთხილი და საჭმით დაინტერესებული მგვლევარია: მისი კვლევა-ძიება საინტერესოა, ფაქტობრივი მასალები ნარკვევში ბლომად არის მოცემული, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შოფლმხედველობრივი მხარე კუფტინას ნარკვევებს აკლავს: კრიტიკული მიდგომა საკითხისადმი და საბოლოო დასკვნების გამოტანა ავტორის ეძინებოდა, არ ჩანს ავტორის შეხედულების გადამწყვეტი ხაზი, არ ისმის ავტორის საკუთარი ხმა, მაგალითად წიგნში ერთ ადგილას აღძრულია საკადი ანტიკური ფილოსოფოსების დამოკიდებულებისა მუსიკისა და კერძოდ სალამურისადმი და ნათქვამია, რომ პლატონი და პითაგორი უარყოფით უყურებდნენ სალამურს, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს; ამ დებულებას ესპირება განმარტება და სხვა ფაქტებითან შედარება; ცნობილია, რომ სალამური საბერძნეთის ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა: სალამურზე უკრავდნენ მიცვალებულის გასვენების დროს, თან მღეროდნენ სეფდიან სიმღერას (ელეგიას), აქედან წარმოიშვა ლიტერატურული ვანტი ელგია; ნუთუ სალამურს უარყოფდნენ საბერძნეთში მხოლოდ იმიტომ, რომ ის სეფდიან ხმას იძლეოდა და მასზე უკრავდნენ სამღვთაო პრაქსისის დროს? შეიძლება პლატონი და პითაგორი უარყოფენ სალამურს საერთოდ, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც თავის ხმებით აწვევს სულიერ სინაზეს, სისათვის, რაც ეწინააღმდეგებოდა აღზრდის სპარტულ იდეას, რომელსაც ეთაყვანება პლატონი თავის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, რომლის გავლენით ის უარყოფს ხელოვნებას საერთოდ, კერძოდ მუსიკას, ცნობილია, რომ პლატონი ამ შიმართულებით იქამდე მივიდა, რომ თავის რესპუბლიკაში პოეტები არ შეეშვა, საერთოდ კუფტინას ნარკვევი ატარებს უფრო პოზიტურ-ემპირიულ თვისებას და სათანადო ყურადღებას არ აქცევს ყოფიერების ისეთ მომენტებს, რომელიც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანის განცდებისა, მუსიკალური გემოვნებისა და კულტურული ღონის განსაზღვრისათვის.

ხელოვნების საკითხების და კერძოდ მუსიკისა და მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა ერის ცხოვრებაში იმ ყოფა-ცხოვრებასთან, საჭიანიობასთან, რომელიც ადგილი აქვთ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, გარკვეულ გარემოებაში, სალამურს აცეთებენ არა მარტო ლერწმისაგან, არამედ თიხისაგან (ძველი პერუ), ქვისაგან (ბოლივიაში), წარმოების პროცესს, ბუნების ძალების გადაცეთებას, საწარმოო იარაღების მომარჯვებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და სალამურის უნაზეს ხმებს წინ მიუძღვის ბრძოლისა და შრომის გრძელი წლები გარკვეულ ყოფა-ცხოვრებაში, ტრადიციის ფარგლებში, რომლის გათვალისწინების გარეშე შესაძლებელია ხელოვნებისა, ლიტერატურისა და სხვა დარგში, ყოველთვის სჭოლასტიკის სახეს მიიღებს და ემპირიზმით დამთავრდება.

შევრული ლარკემი, გურული სოინარი, ჩინური სალამურის ორკესტრი ისე, როგორც სხვა ქვეყნების მუსიკალური ინსტრუმენტები, შეიცავენ ტანომეტრულ შესაძლებლობებს არა განყენებულად, არამედ ყოფა-ცხოვრებასა და ისტორიულ-საზოგადოებრივი ვითარების მიხედვით და შესატყვისად, მუსიკა ისტორიული და სოციალური როგორც თავისი ხმებით, ტონით, ღიაპაზონით, ისე ინსტრუმენტებით.

თვით სათაური „Флейта Пана“ — არ არის ნათელი, ანტიკურ ქვეყნებში სალამური დაკავშირებულია არა მარტო პანთან, არამედ სილენთან, აპოლოსთან; ავტორს შეეძლო ეთქვა — აპოლოს ფლეიტა (სალამური), რატომ ფიჭობს ავტორი, რომ ქართული გლეხი, ან მწყემსი პანისებურ განწყობილებით იყო მოვრალი, როდესაც ხელთ იღებდა სალამურს; მაიალია — პანის ფლეიტა, — როგორც ასეთი ტერმინი, არსებობს, მაგრამ ქართულ მწყემსურ-მთიურ ყოფა-ცხოვრებასთან პანისიდნის განწყობილებას კავშირი არა აქვს. აქ ჩვენ ვეაჭვს მთაში, სოფლებში უფრო ავთანდილურ-აპოლონური განცდა და სათაურს „Флейта Пана“ შეუძლია შევდომავი შეიფხანოს მკითხველი, რადგან შიგ ნარკვევში სრულებით არ არის გარკვეული აპოლონური, დიონისური და პანურ-სილენური კულტების

ანტიკური გაგება, ამ კულტების სწორად გაგების გარეშე თქმა „Флейта Пана“ გაუგებრობას გამოიწვევს.

მიუხედავად ასეთი ხასიათის დეფექტებისა, კულტინას წიგნი, როგორც „საქართველო“-ს ლოა და მუსიკალური კულტურის ისტორიაში ის უსათუოდ დადებითი მოვლენაა: ამ წიგნის გამოცემით საქართველოს მუსიკის კარგი საქმე გაუკეთებია, წიგნი დაბეჭდილია კარგ ქალაქში, შეიცავს 282 გვ. ნოტების ჩათვლით, წიგნი არის ილუსტრაციები და ფოტოსურათები.

ს. კაკ — ლი.

## „ფსიქოლოგია“ — ვ. ი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.  
1948 წ. — რედაქტორი აკად. დ. უზნაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერული შრომების მორიგი კრებული, დიდი სამამულო ომის საბჭოთა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ასახვის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს კრებული სამხედრო ფსიქოლოგიის მეტად რთული პრობლემების გადაწყვეტად, ქართული ფსიქოლოგიურ სკოლის მიერ ხანგრძლივი, მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად დადასტურებული, — პიროვნების, განწყობის, ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა გამოყენების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. კრებული მიძღვნილია სამხედრო ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის საკითხებისადმი.

შრომების კრებული იხსნება ა. მ. ს. ი. ა. ვ. ს. მეტად საინტერესო გამოკვლევით: „მებრძოლის სიმტიკე და მისი აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძველი“. ავტორი სამამულო ომის გმირების ქცევის ფსიქოლოგიურ ანალიზის ნიადაგზე ადასტურებს შემდეგს: 1. სიმტიკე — მებრძოლის პიროვნების ცოლიტიური დახასიათება. მებრძოლის ნებისყოფის სიმტიკე — გადაწყვეტილების სიმტიკეა, რომელიც გადაწყვეტილების აქტში შექმნილი განწყობის გამძლეობას ემყარება. 2. უკანასკნელის გამძლეობის ან სიმტიკის წყაროს მაღალი მორალური მოთხოვნილება წარმოადგენს, მაგრამ მებრძოლის საბრძოლო განწყობის სიმტიკე სრულებით არ გამოირჩევა მის გადინაცვლებადობას, პირიქით, ასეთი ნებისმიერი გადაწყვეტილებადობა აუცილებელი პირობაა, საომარ სიტუაციაში სწრაფი ცვალებადობის პირობებში ბრძოლის წარმატებით წარმოებისა. 3. მებრძოლის სიმტიკე არის სამხედრო რეჟიმში დისციპლინირების პროდუქტი. რეჟიმ არის აკრძალვის, პოლიტიკური აღზრდის, იძულების და წახალისების სისტემა, რომელიც შესაბამისად ხელს უწყობს თავდაცვრილობის და შეუდრეკელი მოქმედების აღზრდას, საბრძოლო განწყობის ფიქსაციის გზით; იგი ხელს უწყობს მებრძოლის მორალურ მოთხოვნილებათა გაღვივებას, ე. ი. მის მორალურ განმტიკებას.

დ. რამიშვილის წყაროში: „გმირობის ფსიქოლოგიური არსი და გმირის სხვადასხვა ტიპი“, მოცემულია გმირული საქციელის შინაგანი ფსიქოლოგიური ბუნების ანალიზი. გმირული ქცევის სახიობათა სხვადასხვა ფსიქოლოგიურ რაობის მიხედვით დგება საკითხი გმირების სხვადასხვა ტიპის შესახებ. ავტორის მიერ გამოყოფილი და გაანალიზებულია გმირების შემდეგი ფსიქოლოგიური ტიპები: ნებისყოფის გმირები; ამით კატეგორიის ეკუთვნის ხელმძღვანელის გმირობა, რომლისათვისაც, გარდა საკუთარი პიროვნული გმირობისა, აუცილებელია გადაწყვეტილების გამოტანის უნარი ისეთ რთულსა და პასუხისმგებ მომენტებში, რომლებიც უდიდეს შინაგან დაბრკოლებათა გადალახვის მოთხოვნას, ამასგან განსხვავდება საკუთრივ პიროვნული გმირობა. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია თავგანწირვის უდიდესი უნარი, რომელიც არ გულისხმობს აუცილებლობით ნებელობის საერთო სიმტიკეს, როგორც თავის გარდაუვლადობას. პიროვნული გმირის ტიპი ავრთვე სხვადასხვა სახეობებს შეიცავს, შეგნებულობის მომენტისა და ემოციონალური ფაქტორის სხვადასხვა გვარი ხვედრითი წონის მიხედვით. ემოციონალურ



გვირის წარმოადგენენ, მაგალითად, გმირი-ბავშვები, რომლებთანაც ქვეყნის შიკრიც უფრო მამოძრავებელი გრძნობის სახით არის მოცემული, ვიდრე დიდერენციურებულ, მსგავსებულ სახით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს მსგავსებულ ტიპური გმირობა და სხვა. გმირობის ამ სახეობებისათვის დაპირისპირებულია „მებრძოლობა“, რომელიც გრძნობების საერთო გაგულქვაებასა და ფიზიკურ გამოპრამდედილობას ეყრდნობა და გმირობად ვერასოდეს ვერ ჩაითვლება, ვინაიდან გმირობა უყველთვის გულსმომბთ თავდადება უფრო მაღალი იდეალებისათვის. ასეთი მებრძოლობა უყველთვის უკან იხევს მორალური ძალის წინაშე.

ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, წერილში „პანიკის ფსიქოლოგიისათვის“, ამ საკითხზე არსებული მემუარული მასალების, ისტორიულ-სოციოლოგიურ გამოკვლევების მონაცემებისა და მხატვრულ ლიტერატურის ნიმუშების ფსიქოლოგიურ ანალიზის შედეგად, პანიკის ფსიქოლოგიური არსის მეტად საინტერესო გაგებას იძლევა. ავტორის აზრით: „პანიკის ფსიქოლოგიაში“ გამატონებელი შეხედულება, რომ არსებობს პანიკა არა მარტო მასობრივი, არამედ ინდივიდუალური, აივრეებს არსებითად განსხვავებულ ფსიქიკურ მოვლენებს — პანიკისა და შიშის ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. შიში — მხოლოდ ემოცია და იგი არ ჩაითვლება პირველად მდგომარეობად. შიში წარმოადგენს საფრთხისად გაყლის გაწყობის ემოციურ ასპექტს. განწყობა — პირველადი მდგომარეობაა, რომელიც წინ უსწრებს და განსაზღვრავს საფრთხისა და შიშის განცდის სტრუქტურასა და კანონზომიერებას. პანიკის უყველთვის წინ უსწრებს წინა-პანიკური, კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც არსებითად გამაერთიანებელ ფაქტორთა რღვევის სიტუაციაში განწყობის შეცვლას წარმოადგენს. გაერთიანების მაღალი მორალური მდგომარეობა, მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულია ძირშივე სპობს პანიკის წარმოშობის უყველგვარ შესაძლებლობას. ამ დებულების სისწორის საუკეთესო მაგალითია დიდ სამამულო ომში წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის მაღალი მორალური დონე, ორგანიზებულობა და სიმტკიცე.

ზ. ხ ო ჯ ა ვ ა წერილში „მეომარის საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლები“, ანეითარებს შემდეგ დებულებას: ძველი ტრადიციული შეხედულება იმის შესახებ, რომ მებრძოლის არსი თითქოს მხოლოდ სათანადო სამხედრო ჩვეების შემუშავებაში უნდა გამოხატებოდეს, არ მართლდება, არც ფაქტურად და არც თეორიულ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ბრძოლისათვის საჭირო ჩვეების ჭრება არაა საქმარისი პირობა იმის, რომ სუბიექტი საჭირო კრიტიკულ მომენტებში უსათოდ იბრძოდეს. ომი, ბრძოლა — ეს არის პიროვნების უაღრესად მიზანდასახული ქცევა, რომლის განზორციელებაც მისი მორალური და სასოციალურ-ბიოლოგიური ძალების კონსოლიდაციას მოითხოვს. საჭიროა ამ დროს სოციალური ინსტინქტის დათრგუნვა, თავის ცხოველურ მოთხოვნილებებზე მაღლა დგომა, მათი დამორჩილება მტკიცე საბრძოლო გადაწყვეტილებისათვის. ეს გარემოება კი მთლიან პიროვნების ხანგრძლივი აღზრდით მიიწვევომა. აღზრდა ქმნის პიროვნების მაღალ მოთხოვნილებებს, როგორც ერთერთ პირობას იმისას, რომ ომის გამოცხადების სიტუაციაში შესაფერისად აღზრდილს, ანუ შესაფერისი მაღალი მოთხოვნილებებით აღჭურვილ პიროვნებას, საბრძოლო განწყობა შეექმნას. განხილული გამოკვლევა არცევენ სწორედ ასეთი საბრძოლო განწყობის შემუშავების პროცესს და სათანადო ფაქტების საფუძველზე ურვენებს, რომ საბრძოლო მოქმედების ნამდვილ მოტორს, ანუ მექანიზმს, მთლიანი პიროვნების განწყობა წარმოადგენს.

ი ო ს ე ბ ე ა ვ ა კლინიკურ-ექსპერიმენტული გზით მოპოებული, მეტად მდიდარ და საინტერესო მასალების ნიადაგზე იძლევა „პოსტკომოციურ რეაქციათა ტიპოლოგიას“. პოსტკომოციურ რეაქციებს ავტორი ორ ჯგუფად ყოფს: 1) კომოციისთან უშუალო დაკავშირებული ეგზოგენური ტიპის რეაქციები, 2) კომოციის ზოგად დონზე წარმოშობილი ფსიქოგენური რეაქციები. რეაქციათა თვითიველ ამ ფორმას შეესაბამება, რეაქციათა სინდრომების სახით, თავისებური კლინიკური ფორმები. ამ სინდრომებს შორის სრულიად განსაკუთრებულნი ადგილი უკავია ტრავმატულ დემენციას. პოსტკომოციური ნევროზების კლინიკური ფორმები განწყობის ტიპოლოგიურ თავისებურებასთან აღმოჩნდა დაცავშირებული. ავტორი ექსპერიმენტული მასალებით ადასტურებს ნევროზებისა და განწყობის გარკვეულ ტიპებს შორის სრულებით გარკვეულ შესატყვისობას. ავტორივე ადასტურებს, რომ პოსტკომოციურ ნევროზების კლინიკური ფორმებისა და განწყობის ტიპოლოგიის დამახასიათებელი თვისებების სამოქალაქო ტრავმატულ ნევროზებთან შედარება არ იძლევა მათ შორის პრინციპიულ განსხვავების აღიარების უფლებას. გამოკვლევას, განსაკუთრებულად, დიდი მნიშვნელობა აქვს პოსტკომოციურ რეაქციათა დიაგნოსტიკისათვის.

რევაზ ნათაძე ექსპერიმენტული მეთოდით იკვლევს ომში კომოციის შედეგად ინტელექტუალურად დაქვეითებულ ავადმყოფების ცნების შემუშავების უნარი, თავისუფლურებას. პოსტკომოციურ ინტელექტუალურ დაქვეითების შემთხვევაში დაქვეითებული ცნებით აზროვნებაში სინტეზის, ინტეგრაციის ფუნქციის დარღვევა, აზროვნების განსაზოგადოებელი ფუნქციის სისუსტე, რომლის განსხვავებული ხარისხი, კომოციური ავადმყოფის ცნობიერების სიფიქროვის ფონზე, ცნებითი აზროვნების არსებითად განსხვავებული სიღრმის დარღვევას იწვევს, ავტორი ვრცელი და ზუსტი ფსიქოლოგიური ანალიზით გვიჩვენებს, აბსტრაქციის, განსაზოგადების უნარის თავისებურებას. აღგნის ცნების შემუშავების უნარის დარღვევების ტიპებს და საფებურებს, დადასტურებს, რომ ცნებითი აზროვნების დარღვევათა ყველა საფებურისათვის დამახასიათებელია ცნობიერების თავისებური სიფიქროვე, სახეობითი ცნებების გამაერთიანებელი ადეკვატური გვაროვნული ცნების მონახვის უნარმოკლებულობა, კრიტიკის უნარის დაქვეითება.

გ. ნორაკიძე გამოკვლევაში: „პრემორბიდული პიროვნება ომის ფსიქონევროზებში“ კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგად აღასტურებს 7 პრემორბიდულ ტარაქტულოგიურ ტიპს. — პრემორბიდული პიროვნების ტიპი განსაზღვრავს ნევროზების ფორმას, მის კლინიკურ სურათს, მიმდინარეობას და პროგნოზსაც.

ნ. ელიავა გამოკვლევაში: „მესხიერების პოსტკომოციური დაავადების საკითხისათვის“ — პოსტკომოციურ მესხიერების პათოლოგიის ანალიზის შედეგად შემდეგ დასკვნამდე მიდის: 1) მესხიერების ძირითადი „მეჭანიში“ — ფიქსირებული განწყობაა, წარსულ შთაბეჭდილებათა მოგონების გაძნელების შემთხვევაში საჭე გვაქვს ძველ ფიქსირებულ განწყობათა აქტუალიზაციის შეფერხებასა და არა მის ჩატობასთან. 3) დამახასიათებლის სიმწიფეს განსაზღვრავს განწყობის ფიქსაციის და ახალ ფიქსირებულ განწყობათა შემუშავების სიმწიფე. 4) პოსტკომოციურ ავადმყოფობაში ფიქსირებულ განწყობათა აქტუალიზაციის შეფერხებას განსაზღვრავს ფიქსირებული განწყობის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორების ინტენსიობის დაქვეითება.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია ორი მიმოხილვა: პროფ. ბ. ანანიევის „სამხედრო შენიღების საკითხები ფსიქოლოგიაში“ („ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“) და ფატი ხუნდაძის „სამხედრო ფსიქოლოგია პირველი იმპერიისლისტური ომის დროს“ („ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“).

კრებულში მოთავსებული ყველა ფსიქოლოგიური ხასიათის შრომების მიხედვით დიდი სამაშულო ომის მონაწილე — მებრძოლი გამოიყურება როგორც მაღალ-მორალური მოთხოვნილებების მატარებელი, მთლიანი, აქტიური პიროვნება (ამ მაღალი მოთხოვნილებებისა და ომის სიტუაციის ნიადაგზე წარმოიქმნი განწყობის თავისებურებით განსაზღვრული საბჭოთა მებრძოლის მთელი რიგი ფსიქოლოგიური თვისებები, როგორცაა: ნებელობის სიმტკიცე, ორგანიზებულობა, ბრძოლის ველზე უმაგალითო გმირობა, მტრისადმი სიძულვილი და სხვ.

კრებულს გაფორმების მხრივ ახლავს მნიშვნელოვანი ნაკლი: აუცილებელი იყო როგორც რუსულ/ ისე ერთერთ უცხო ენაზე თვითიული შრომებისათვის დასკვნების თანდართვა; ასეთი აქვს მხოლოდ რამოდენიმე შრომას და ისიც მხოლოდ რუსულ ენაზე. გვხვდება კორექტორული შეცდომებიც.

კრებული კარგ ჰალაღზეა დაბეჭდილი.

მ. ნორაკიძე.

## შინაარსი

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

33-

3

### მხატვრული ლიტერატურა

ვასო გორგაძე — ვ. ი. ლენინის ხსოვნას (ლექსი)	8
გიორგი ნატროშვილი — ახალწლის ღამე (საფრონტო დღიურიდან)	9
კოლაუ ნადირაძე — ვალერიან გაფრინდაშვილს (ლექსი)	21
დომენტი თომაშვილი — მინაწერი (ლექსი)	22
შალვა აფხაიძე — ზღვასთან (ლექსი)	24
მარიკა ბარათაშვილი — შერცხლები აკაკის აივანზე (ლექსი)	25
ნიკო ლორთქიფანიძე — ქედუხრეღნი (მოთხრობა)	26
რაქდენ გვეტაძე — ყინულის ქანდაკება (მოთხრობა)	47
ავეტიკ ისაკიანი — საბრძოლო მოწოდება (ლექსი) თარგმ. ხარიტონ ვარდოშვილისა	54
ხერგო კლდიაშვილი — ირმის ხევი (პიესა)	56
გიორგი კეჭახიძე — დედის სურვილი (ლექსი)	101
სოლომონ თავაძე — კაეკასიონის კარებთან (რომანი)	102
გრიგოლ ცეცხლაძე — გმირი მეზობლებთან (ლექსი)	119
ანდრო თევზაძე — მარადი ხსოვნა (ლექსი)	121
ზორის ჩხეიძე — ლიახვის პირას (მოთხრობა)	123

### უსსრეთის ლიტერატურიდან

პერსი-ბიში შელლი — ღრუბლები (ლექსი) თარგმ. ალ. საჯავიასი	135
ჰანს გაბე — ათასნი დაეცემიან (მოთხრობა) თარგმ. ი. ავლაძისა	138

### კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

კონსტანტინე კიკინაძე — პოეტური მეტყველების კულტურის დასაცავად	154
მ. დუდუჩავა — ასახვის თეორია და მხატვრული შემეცნების საკითხები	165

### ხელოვნება

პროფ. შ. ამირანაშვილი — წარმართული მისტერიები და ანტიკური თეატრი საქართველოში	183
დომიტრი ჯანელიძე — ქართული სახვითი ხელოვნება სამამულო ომის ვითარებაში	198



## მეცნიერებათა

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე — ორი მეცნიერებათა . . . . .



## მოკლე ხალხთა კულტურა

სურენ აფხიანი — სომხური ლიტერატურა სამამულლო ომის პერიოდში . . . . .	223
პროფ. ლ. მელიქიძე-ბეგი — სომხეთის კულტურის მატრიანე . . . . .	227
აზიზ შარიფი — აზერბაიჯანული ლიტერატურა სამამულლო ომის დღეებში . . . . .	231

## ბიბლიოგრაფია

კ. კახანელი — В. К. Стешенко-Куртина — „Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки“ . . . . .	234
ვ. ნორაკიძე — „ფსიქოლოგია“ წ. II . . . . .	236

